UDC(უაკ) 050(479.22) ISSN 2233-3312
ა-376

ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია

ათინათი

2016 / 1 / (19)

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2016

უფლის საგალობელი

მოდიოდა, ნინო მთებით მოდიოდა
და მოჰქონდა სანატრელი ვაზის ჯვარი...
ანა კალანდაძე

ლურჯ ზეციდან შენ
გმფარველობ წმინდა ნინო,
იქნებ შენებრ იანუსზეც
ქება გვეთქვა.
მისი არ გვწამს,
ორპირია არ გვიწყინო,
შენი ხატით ,,ათინათის"
გული ფეთქავს.

გულნაზ ხარაიშვილი

უწმინდესი და უნეტარესი
ილია II

*** * ***

უწმინდესი მყავს
რაღად დავღონდე,
ერის მხსნელი და
ერის საჩინო.
სიკვდილი უკვე რწმენით
ჩავღობე,
სიცოცხლე უნდა
გადავარჩინო...



მამა გაბრიელი
(ბეგლარ კულუმბეგაშვილი)

*** * ***
(მამა გაბრიელს)

გარდაცვალებას, მეუფისას ვერ შევეჩვევი...
შენმა ლოცვებმა, მომირჩინოს იქნებ იარა...
ღმერთს ცაში მიჰყავს კეთილები, ყველა შერჩევით,
აი, ამიტომ ტკივილებმა არ გამიარა.
დამლოცე მამავ, იქნებ მწუხრი გადავიყარო,
მამა გაბრიელ, უტკბილესო, უსათუთესო...
ხომ მიქადაგებ, მტერი ისევ რომ შევიყვარო,
და შენი ლოცვით ლექსი შევქმნა საუკეთესო.

გულნაზ ხარაიშვილი



მეუფე თადეოზი
(მირიან იორამაშვილი)

შენი ღოცვით

სიცოცხლეშივე მზედ ბრწყინავდი შენი სიმშვიდით...
ახლა სიონში განისვენებ ოლიანდრებთან.
როს ჩემში წვიმდა, გულის დარდებს გადაგიშლიდი,
ვძლიერდებოდი... და ვომობდი, ბედის ავდრებთან.



(მამა ანდრია აბაშიძეს)

დამლოცე მამა ანდრიავ,
მოვინანიებ ცოდვებს...
იქნებ ჯერ კიდევ ადრეა,
რადგან დარდებით ვგოდებ.

რწმენა შემოდის ჩემს გულში,
შემოდის ჩემთან რჩება,
მინდა რომ დარჩეს წარსულში,
არ მიტევების ჩვევა...

გულნაზ ხარაიშვილი

სრულიად საქართველოს კათალიკოს–პატრიარქ ილია II–ეს
დაბადების 83 წლისთავთან დაკავშირებით ჟუჟღენი ლექსს

დიად ღმაშენებელს!

დაბადების დღეს გილოცავ თქვენ, ჩვენო უწმინდესობავ!
უფალმა ღმერთმა დაგლოცოთ, დიდია მისი წყალობა!
ღვთისმშობლის კალთა გფარავდეთ, ერსა თქვენსა კი მშვიდობა!
ყველა წმინდანი მაღლიდან, გიწევდნენ დიდ მფარველობას!

თქვენს ჯანმრთელობას შვვხარით , ღმერთმა გიმრავლოთ წლებია!
რომ თქვენი კარგად ყოფნისთვის ვლოცულობთ, მთელი ერია!
ამბიონს ოდენ გიხილავთ, მოპყრობილი გვაქვს თვალნია,
რომ თქვენი წირვა-ლოცვები მრევლისთვის სანუკვარია!

თქვენი შეწევნით ყოველგან მომრავლდა უფლის სახლები!
განახლდნენ. და უბან-უბან აშენდა წმინდა ტაძრები!
სასულიერო საქმესაც დაუდგა დიდი დარები!
დაარსდა ჟურნალ-გაზეთი, მომრავლდა მამაოებიც!

ხართ ერის სულიერების უშურველ საზრდოს მიმცემი!
საღმრთო საქმეთა წარმართვის უბადლო შემსულებელი!
რომ თქვენი ქადაგებანი მრევლს გულს მალამოდ გვედება!
მრევლი თავის მხრივ მადლს გწირავს, თქვენ, ჩვენო უწმინდესობავ!

ხართ გრანდიოზულ საქმეთა წამომწყებ-შემსრულებელი!
მრავალ კეთილთა საქმეთა, დიადი ფუძემდებელი!
წმინდა ,,სამების" ტაძრისა შენების წამომწყებელი!
და მახათას მთად აღმართულ ტაძრისა აღმშენებელი!

ქართველთა გამოფხიზლებავ, გამონათებავ მზიანო!
სხვა რწმენის ერთა შვილები ალალად შეგვნატრიანო!
რომ ხართ კეთილი მათ მიმართ, თავის მამაოდ გთვლიანო!
გვიყვარხარ მწყემსო კეთილო! ერისთვის სახელიანო!

ქართველთა გამრავლებისთვის გზა გამონახეთ დიდია,
მრავალშვილიან ოჯახებს გაუხდით ტკბილი ნათლია!
ხართ ქვეყნის მამა-მოძღვარი, მესამე წმინდა ილია!
რომ თქვენი ნახვა ყველასთვის სასურველ-სანატრელია!
ერია თქვენი სიცოცხლე და ჯანმრთელობა თქვენია!

რამდენ ჭირ-ვარამს გაუძელ, რა გადაგხდათ თავითა!
რამდენ უღირსმა თავს მჯდომმა, უღმერთოდ გული გატკინათ!
მაინც არ შედრკით, გამაგრდით, ღვთაებრივ ძალის ნებითა!
მაღალი ღმერთი გიფარავთ და სიყვარული ერისა!
ვერა დაგაკლოთ დუშმანმა ღუდუშაურის გვარისას!

გვეამაყება, რომ თქვენ ხართ მრავამხრივ ნიჭის პატრონი!
მხატვარი და მუსიკოსი, კომპოზიტორი საჭირო!
ბუნების დიდი ტრფიალი და ყვავილების მეუფე!
მოქანდაკე და პოეტი, ვინ მოსთვლის რამდენ ნიჭისო!

და რომ მუსიკის გარეშე სიცოცხლე არ შეგიძლიათ!
საგალობლები თქვენსა სულს, გულს და გონებას წვდებიან!
მაგრამ კლასიკას სხვა ხიბლით უსმენთ და გიყვართ ძალიან!
ხართ დიდ ხელოვან-მხატვართა ჭეშმარიტ გზის განმგრძობია!

იყო მძიმე დრო ამ ქვეყნად, ერსა მართავდა ,,მაფია",
ქართულ ოჯახებს ,,ამკობდა" არაფერის მთქმელთა სახეა...
დღეს სხვა დრო დადგა, გვახარებს, დაგვიდგა დიდი დარია!
ხატებთან ერთად ჩვენს ოჯახთ, ამშვენებს თქვენი სახეა!

დიდხანს სიცოცხლეს გისურვებ და ჯანმრთელობას მეუფევ!
რომ სიყვარული ერ-ბერთა აროდეს არ მოგკლებოდეთ!
თვქენსა მტერსა და ორგულსა გულსა ლახვარი ესოდეს!
მრავალრიცხოვან მრევლთაგან სიყვარულ არ მოგკლებოდეთ!

ზედა ბეთლემის ტაძარში მოღვაწე მამაო ზურაბ მჭედლიშვილის
მრევლი – რუსუდან ფაილოძე
10.08.15

მამა შერაბი და დედა მაია სასწაულებს ახდენენ, მამა შერაბის ლოცვით ასეული უშვილო ოჯახს შეეძინათ შვილები.

ჟურნალ „ათინათის“ რედაქცია დედა მაიას ულოცავს ქალთა დღესასწაულს, უსურვებს დიდხანს სიცოცხლეს და ჯანმრთელობას.

ილია ძმანაშვილი



მე გახლავარ ქ. თბილისის №36 საჯ. სკოლის VI კლასის მოსწავლე ილია ძმანაშვილი, აგრეთვე ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის ნორჩი ათინათელი

გთხოვთ, მამა მერაბი მიამბოთ თქვენი მშობლების შესახებ.

მამა შოთა დეკანოსიძე დაბადებული 1924 წელს სრულიად ახალგაზრდა წავიდა მეორე მსოფლიო ომში მოხალისედ, მას მიღებული ჰქონდა ყველა ჯილდო, რაც არსებობდა, იყო ომის ვეტერანი. სპეციალობით იყო ენერგეტიკოსი და მუშაობდა რკინიგზაში.

დედა მარგალიტა მახათაძე არის ფრანგული ენის სპეციალისტი და წლების განმავლობაში მუშაობდა პედაგოგად. ამჟამად პენსიონერია.

რამდენი დედმამიშვილი ხართ?

მყავს ორი და. ერთი მათგანი საბავშვო ბაღის აღმზრდელია, მეორე კი ფარმაცევტი და მუშაობს სააფთიაქო ქსელში.

რას იტყვით დედის შესახებ?

რა თქმა უნდა დღეს 8 მარტია და ვულოცავ მას ამ დღეს. დედა ძალიან მიყვარს და უდიდეს პატივს ვცემ. ის ხშირად არის ჩემთან, დამყავს ყველგან, სადაც დავდივარ. მინდა დიდხანს იცოცხლოს.

როდის დაამთავრეთ საშუალო სკოლა და სად?

1977 წელს დავამთავრე დაბა შორაპნის №8 საშ. სკოლა.

სანამ მამაო გახდებოდით, რა პროფესიის ბრძანდებოდით?

პირველად დავამთავრე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, ამჟამინდელი ტექნიკური უნივერსიტეტი, მანქანათ მშენებლობის ფაკულტეტი. პარალელურად ვსწავლობდი ქართულ სიმღერებს. ვმუშაობდი კათედრაზე, ვიყავი ფაკულტეტის დეკანი, შემდეგ დავამთავრე სასულიერო აკადემია.

წარსულის გადმოსახედიდან რას იტყვით?

ძნელია ადამიანმა გააკეთოს რამ, თუ უფალმა ის მასში არ ჩადო. ადამიანის სული უფლისგან არის ბოძებული. მე ვფიქრობ, რომ ვარ მრავალმხრივ

განვითარებული სასულიერო პირი და უნდა დავიხარჯო მაქსიმალურად.

რომელი წლიდან დაიწყეთ ხატვა და რა იგრძენით პირველი ნახატის შესრულების დროს?

ეს ასე მოხდა, მე დავდიოდი შეწირულობებზე და შევხვდი მხატვარს, რომელმაც დამხატა. ამ დროს ვიგრძენი რომ მეც მქონდა ხატვის ნიჭი და სამი წლის წინ დავიწყე ხატვა.

როგორც ვიცი, თქვენ დაამთავრეთ სასულიერო აკადემია, რამ განაპირობა ეს?

მე სასულიერო აკადემიის დამთავრება არ მიფიქრია. ვმუშაობდი თანამდებობებზე და უფლის ხმამ მიკარნახა თავი დამენებებინა საერო საქმისთვის და შევდგომოდი სასულიერო ცხოვრებას. წავედი მონასტერში, ამის შემდეგ პატრიარქისგან მივიღე კურთხევა და დავამთავრე სასულიერო აკადემია ექსტერნად.

რას იტყვით დედა მაიაზე, თქვენს მეუღლეზე?

ჩემს მაიაზე იმას ვიტყვი, რომ მეორედ რომ მომეყვანა ცოლი, ისევ მაიას მოვიყვანდი.

რამდენი შვილი გყავთ?

მყავს ერთი შვილი.

შვილიშვილი?

ორი შვილიშვილი. გიორგი დეკანოსიძე და მაია დეკანოსიძე.

გიყვართ ხელვნება?

დიახ. მიყვარს სიმღერა, ხატვა, პოეზია.

იცნობდით თუ არა ჯუმბერ ლეჟავას?

დიახ, ვიცნობდი. მყავს ნანახი ძლიერი და უკეთილშობილესი პიროვნება იყო, მრავალგზის გინესელი მსოფლიო მოქალაქე, მისი სახელი უკვდავად დარჩება.

რას იტყვით ჟურნალ „ათინათის" შესახებ.

ძალიან მომწონს ჟურნალი „ათინათი“. მე ამ ჟურნალში ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილის მეშვეობით მოვხვდი. ძალიან კარგი გაკეთებული, მრავალპროფილიანი ჟურნალია.

თქვენ რამდენიმე აკადემიის აკადემიკოსი ბრძანდებით, პირველად რომელ აკადემიაში შეხვედით?

პირველად ჯუმბერ ლეჟავას სახელობის აკადემიიდან დავიწყე. ასევე ჩემმა მეუღლემაც. ამ აკადემიაში თითქმის ყველა წევრს ვიცნობ, არიან უფლის მიმდევარნი და მიმტევებლები.

თქვენი აზრით, როგორი უნდა იყოს ბავშვი, ცელქი, ღვთის მოშიში, თუ ორივე ერთად?

ჩვენ არ შეიძლება ბავშვი რაღაც ჩარჩოში ჩაცსვათ. ცნობილია, რომ ცელქი ბავშვები ყოველთვის განსაკუთრებულები არიან.

რამდენი წლისამ დაიწყეთ ეკლესიური ცხოვრება?

დილის და საღამოს ლოცვები პატარაობიდან ვიცოდი. ჩემი ბებია იყო ძალიან ღვთიური და იმის წყალობით. როდესაც ბაღში ვიყავი, ლექსის მაგივრად „მამაო ჩვენო” ვთქვი.

რას უსურვებდით მომავალ თაობას?

დედა მაია, (პედაგოგი) ციური ხუჭუა და გულნაზ ხარაიშვილი

მე ვუსურვებდი მათ გაძლიერებულ საქართველოში ცხოვრებას, ყოფილიყვნენ კარგი ადამიანები. ვისურვებდი საქართველოში ყოფილიყოს სიმშვიდე, კაცთმოყვარეობა, ჰუმანურობა, მეგობრობა და სიყვარული.

გულნაზ ხარაიშვილი
ჟურნალ „ათინათის“ მთავარი რედაქტორი
ჟუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა
მრავალპროფილიანი საერთაშორისო
აკადემიის პრეზიდენტი

ვედრება

რადგან ბედით გული გამეფატრა,

უნდა მივწვდე უსასრულო ზეცას...

ამისრულდეს მხოლოდ ერთი ნატვრა,

იქაც მადლის სამოსელი მეცვას.

პოეზია



მეუფე თადეოზი
(მირიან იორამაშვილი)

* * *

ჟამია, ვდარდობ გაფრენილ წუთზე,
რომელიც უკან აღარ ბრუნდება...
და მაშინ, თვალში ჩამხედოს თუნდ მზემ,
მე ამის გამო ფიქრით ვბრუვდები...
წუთი მოწყვეტილ ვარსკვლავს მაგონებს,
თავის ადგილს რომ ვეღარ პოულობს,
რომელსაც უყვარს უსასრულობა
და უსასრულოდ დამოგზაურობს...

* * *

დღეს ჩემთან სუფევს მამა-მშობელი
და ვით ვთქვა ღირსი სამადლობელი,
რომ შემიწყნარა მონა უღირსი
და განმანათლებს ნათელი მისი?
მისის შეწევნით განვიწმინდები
და მას ვადიდებ დიდის დიდებით,
ვინაც დაბადა ყოველი ესე
და განაწესნა კეთილნი წესნი.
დიდება შენდა, ღმერთო ძლიერო,
თვალშეუდგამი ნათლის იერო,
დაუსაბამო, მარადიულო,
გამოუთქმელო სიბრძნევ ციერო.

* * *

კაცი სულგრძელი უნდა იყოს მადლია დიდი,
ნუ შეიყვარებ, რასაც დღემდე წვრილმანად სთვლიდი,
ჭეშმარიტება გაგინათებს ბნელში მთიებად,
მცირე შეცდომა დიადისთვის – გეპატიება,
თუ შენი ფიქრი და მიზანი ელტვის მწვერვალებს,
ამაოებით წუთისოფელს როგორღა გალევ?
მშვენიერების – მშვენიერში ეძიე სული,
ჩამონაშუქი, ტატოს ლოცვით ზეცით მოსული.
ასეა ყოფნა ხან მზიანი, ხანაც უმზეო,
კაცი ხან მთების მომრევი ხარ, ხანაც უმწეო,
გამოცანაა არსებობა მიზნის გარეშე
იფიქრო უნდა: რას წაიღებ ციურ მხარეში.

* * *

მიდის ზამთარი – მოხუცი, მკაცრი,
დგას გაზაფხული მწვანე დროშითა...
გამოფხიზლებას მიეცა აზრი,
მიწას მზის სხივთა სითბო მოშივდა.

* * *

სახელო – შენთვის სიცოცხლე –
სუყველაფერი ყოფილა...
მამულო – შენთვის სიკვდილი...
სუყველაფერი ყოფილა...
სინდისო – შენთვის სიფრთხილე –
სუყველაფერი ყოფილა...
სიცოცხლევ, შენი ციმციმი –
აქ რა ხანმოკლე ყოფილა...

წკვარამსა წუთისოფელსა,
ანათებს სხივი ფოფინა...
ნეტავი ერთხელ ყოველი
წვრილ-წვრილად მაამბობინა...
ხილული ესე ყოფილი,
თითქოს არცარა ყოფილა,
ნეტა მას ვინაც არყოფნას –
ყოფნის ნათელი მოჰფინა.

იყავნ მოხედვა შენი იბერიასა ზედა, უფალო, ვითარცა ჟამსა დავითისა და თამარისასა. ამინ

თავნი იტყვიან –
დავით აღმაშენებლის საქართველო
შეიწყალე უფალო
(სიზმრად შთაგონებული პირველი ორი სტრიქონი, ფორმა
და თავდაწერილობის (აკროსტიხის) სიტყვები)

„დ-იდებით დიდებულო უფალო,
ა-ღამაღლე რქა ერისა ეკლესიისა შენისა.
ვ-ითარცა ჟამსა დავითისა და თამარისასა,
ი-ყავნ მოხედვა შენი იბერიასა ზედა.
თ-მენით დავუთმოთ სახელსა შენსა და
ისმინო ვედრებისა ჩვენისა.
ა-რა არს სასოება ჩვენი შენისა გარეშე –
ღ-მერთო ჭეშმარიტო-მამაო, ძეო და
სულო წმიდაო,
მ-ამათა სასოებაო და მფარველო შვილთა,
ა-რა დავდუმდეთ, არცა დაგივიწყოთ,
„შ-ენთა, შენთაგან, შენდა შემწირველთა.
ე-ლვარე მყოფელო მორწმუნე სულთაო,
ნ-იჭითა და შეწევნითა ზეგარდამომცემელო,
ე-ლი სინანულსა დაცემულთა შვილთა –
ბ-ინდისფერ სოფელში უცისკროდ მავალთა.
ე-რთია სამზეო მაღალი, მარადი,
ლ-აჟვარდი უსაზღვრო – ნათელით ფერილი,
ი-ქ ილტვის ყოველი სიმაღლის ძიებით,
ს-ული, უნივთოა სიკეთის შემკრები,
ს-იხარულით ფრთონავს ანგელოსთა დარად...
ა-ქ, ამა სოფელში არს მოსაგებელი
ქ-ების ან ძაგების დაუსრულებელის...
ა-ღგვავსე უფალო სიბრძნისმოყვარებით,
რ-ათა გამორჩევა შევიძლოთ კეთილის...
თ-ავი სიცოცხლისა ფიქრია მამულზე,
ვ-ის ეს არ აწამებს – სული დაჰკარგვია,
ე-ნა ანგელოზთა – ამ ენით იგრძნობა,
ლ-აზარეს – მაცხოვრის მეგობრად ხმობილი,
ო-ხრის და ხმატკბილობს ციურმეტყველებით.
შ-ორია მამულის ძირი და ფესვები,
ე-დემს დანერგული უფლის მარჯვენითა...
ი-ყავ მადლობელი ძეო ადამისავ,
წ-ამით, წამისყოფით ყოვლისშემძლებელის,
ყ-ოველთა საზღვართა დამაწესებელის,
ა-დრე აღმომფხვრელის ძალის მჩემებელთა...
ლ-ომთ მზრდელი მამული განჯღრევს და
გაფხიზლებს,
ე-ყმე ამ სიყვარულს მოდგმავ იბერისავ,
უ-ფროის იმძლავრე საკუთარ მიწაზე,
ფ-რთენი არწივისა მოისხ შენი ცის ქვეშ,
ა-რვის ათელვინო სიწმიდე ქართული,
ლ-ოცვით და მახვილით, ცეცხლოვან ძახილით
ო-რბებ განახლდი და იყავ ხარლაღივით

სულში შემოდიხარ, როგორც ცისფერ ზღვაში

სულში შემოდიხარ, როგორც ცისფერ ზღვაში,
ყვავილივით მორცხვი, უდარდელი ბავშვი...
გულუბრყვილო მზერა მიღმა სივრცეს
სერავს,
ვერ გავექეც, მჯერა, უცნობ ბედისწერას.
მეც ბავშვივით ვხვდები შენ რომ ანცობ მაშინ,
მომახურე ფრთები, ამაფრინე ცაში,
წუთით დამავიწყე წუთისოფლის სევდა,
ქარი იყო მიწყივ, ქარი ფოთოლს სდევდა...
აჰა, ეს პლანეტა მზის წილხვდომილ წვაში...
რაზე ფიქრობს ნეტავ უდარდელი ბავშვი?
(ძველი ლექსებიდან)

* * *

გულო გაჰბედე, მიენდე
ზეციურ შთაგონებასა:
„ერთხელ სჯობია სიკვდილი
ნიადაგ დაღონებასა“.

* * *

სიცოცხლის წყაროდ იდინე,
ახარე მთა და ბარია,
აქით რომ სანთელს აინთებ
იქ არ გერქმევა მკვდარია...



კახა ბაციკაძე
(ჯგუფ „ზღვარის“ წევრი)

ფერი წარსულის

საღამოს ზეცამ დაიჩნია ფერი წარსულის,
ფიქრებში ახლა მოგონების ლურჯი მტვერია,
მახსოვხარ, როგორც მონასტერი ცამდე ასული,
მშვენიერება, – რომ დაიტევს თვით ივერიას...
შეღამდა... სულთან ცრემლისფერნი გაჩნდნენ ხეები,
სამყაროს ახლა პოეზიის ჯვარი ატყვია,
მომხვიე თეთრი ნისლებივით მშვიდი ხელები,
მე ვარ მთა, გულზე მომიძებნი სევდის ნატყვიარს.
სულზე გადიხარ, – როგორც კვეთავს ზეცას მზის სხივი,
ჩამოშლილია ჩანჩქერებად გრძნობის ფარდები,
ვარ ამ სამყაროს პოეტური სიზმარი, ხილვა,
შენზე ფიქრებით რომ დავიწყე და დავმთავრდები...
საღამოს ზეცამ დაიჩნია ფერი წარსულის,
ფიქრებში ახლა მოგონების ლურჯი მტვერია,
მახსოვხარ, როგორც მონასტერი ცამდე ასული,
მშვენიერება, – რომ დაიტევს თვით ივერიას...

მუსიკის დედოფალს

თეთრ კლავიშებზე, თითები თეთრი,
ჰყვებიან გრძნობის პოეტურ ამბავს
მე თვით მუსიკის ნისლით ვირთვები,
(ზეცა თოვლისფერ ვარსკვლავებს ნაბავს).

ქალი, რომელიც მოჰგავს ანგელოზს,
უკრავს საოცარ მუსიკას სულის,
მე - პოეზიის მიქელანჯელოს
მაქვს აღტაცება ამ ხილვით სრული.

რაც უფრო მეტად ამძაფრებს დაკვრას,
გულს მისერავენ ლურჯი ნოტები,
მან არც კი იცის, რომ ასე კაცს კლავს,
ზის როიალთან განმარტოებით.

გამანადგურებს მე ეს ჰანგები
შერწყმული ზღაპარს მისი მშვენების,
და ამ მუსიკის ზღვისფერ მხარეში
მისი თვალების ჯვარზე ვევნები...

როიალი კი აგრძელებს შრიალს,
შლის საზღვარს ყოფნა არყოფნას შორის...
და კლავიშებზე ოცნებას ღვრიან
თეთრი თითები, თითები ბროლის....

გადმოსვლა შენს თვალებში

უბრალოდ ჩუმად ვფიქრობ და გიმზერ,
სულის ზეცაზე ვარსკვლავად კრთები,
არ ვეძებ ამგვარ შეგრძნების მიზეზს,
უბრალოდ მე შენს თვალებში ვკვდები!..

გიწამე, როგორც სამყაროს არსი,
როგორ მკვეთრია ამ რწმენის ფერი!
ცის ანგელოზთა ღვთიური დასიც
შენი მშვენების ამბავზე მღერის!

მე კი ლექსს გიწერ, დღე მიდის ასე,
ცას ეხატება ფრინველი გულის,
მიიღე ჩემგან, გთხოვ, გრძნობით სავსე
ფერად სტრიქონთა ეს თაიგული

და ასე ძვირფასს და ასე ლამაზს,
დღეიდან გერქვას თვით სიყვარული...

უბრალოდ ჩუმად ვფიქრობ და გიმზერ,
სულის ზეცაზე ვარსკვლავად კრთები,
არ ვეძებ ამგვარ შეგრძნების მიზეზს,
უბრალოდ მე შენს თვალებში ვკვდები!..

მაია ხოფერია

დიდება შენდა უფალო ჩემო'

ეს გზა თუ მიდის ნეტა ტაძრისკენ,
მინდა ამ გზაზე მშვიდად ვიარო,
ჩემი ცხოვრების ლაბირინთები,
უფლის წყალობით გადავიარო...
მე მოვალ შენთან, რომ მაზიარო
და ვიცი ცოდვილს გულში ჩამიკრავ,
მსუსხავი ფიქრით გონდაკარგული,
ადგილსაც გეტყვი სადაც ჩამიტყდა...
შენთან მოვედი უფალო ჩემო,
სიმშვიდე ვპოვე მე შენს ტაძარში
და ჩემი სულის გადასარჩენად,
ამ გზას ვერ გავცვლი სხვა ათას გზაში....,
დიდება შენდა უფალო ჩემო,
შენით ვსულდგმულობ და შენით ვჩემობ,
გულში კი ფიქრი მხოლოდ ერთია,
რომ სიყვარული თავად ღმერთია....

დიღით ქალმა გადაკვეთა ქუჩა

დილით ქალმა გადაკვეთა ქუჩა,
მას სურნელი მიჰყვებოდა უცხო,
ჟასმინის თუ იასამნის სიტკბოს,
ტანის რხევაც ამძაფრებდა თითქოს...
ქალი იყო თეთრი როგორც ფიფქი,
მზერა ჰქონდა სევდიანი თითქმის,
მონატრების გაყინული ფიქრით,
ლექსის სტრიქონს ჩურჩულებდა მისთვის...
მოსახვევში მან დალანდა კაცი,
სიხარული დაუბრუნდა წამში,
გაუთბა და აუჩქარდა გული,
ახმაურდა სისხლი მილეული,
მერე რა რომ მიამსგავსა სხვა კაცს,
წამით მზე ხომ ჩაუსახლდა სულში,
სიყვარული თურმე მარტო გტკივა,
სიკვდილამდე ჩაკირული გულში....
დილით ქალმა გადაკვეთა ქუჩა,
მას სურნელი მიჰყვებოდა უცხო,
წუხელ სიზმრად კაცს პირობა უთქვამს,
ქალს სიცოცხლე უხაროდა უხმოდ....

სევდიანი სიყვარულის მეხოტბე

ვერ დავმალე ჩემი სულის სიშიშვლე,
მაპოვნინეთ ეს ნანატრი სიმშვიდე....
,,სევდიანი სიყვარულის მეხოტბე'',
ეს სახელი უხდებაო - იფიქრეს...
თუმცა ჩემში სევდა მართლაც მეტია,
შენთან ყოფნამ სიცოხლე და მზე მომცა,
ტკივილნარევ ტრფობის გემოც ხომ იცით
და ცხოვრებაც როგორ გვიწყობს გამოცდას...
შენ კი ახლა თბილ ბუხართან ზიხარ და
იღიმები და წარსულში ბრუნდები,
ერთი გოგო მოკლე კაბით ფრიალებს,
ის დღეები კადრებივით ტრიალებს,
სიყვარული გაჩუქა და რა ქნას მეტი,
საზღვრებიც ხომ გადალახა ტკივილით,
უშენობას ნეტა როგორ უძლებდა,
დარდის ზღვაში ფარფატებდა ტივივით....
ეს გოგონა ახლაც სევდიანია,
სხვა ვერავინ, მის დარდს ხომ ვერ იტვირთებს,
ენანება და წუხს სულის სიმშვიდეს,
აპოვნინეთ ეს ნანატრი სიმშვიდე....

მე მოვალ შენთან

მე მოვალ შენთან და მოგიტან ვიცი სიმშვიდეს,
შენ დამახვედრებ ჩემი ლექსის კრებულს გადაშლილს,
ჩვენ ვისაუბრებთ ამინდზე და ხვალინდელ დღეზე,
უცებ გაფრენილ, მაგრამ სავსე ბედნიერ ნლებზე,
ისევ საუბარს შეგაპარებ კვლავ სიყვარულზე,
გული არ კვდება და არ ჭკნება გრძნობა ფაქიზი,
შენ ჩემს თვალებში დაინახავ ვიცი ყველაფერს,
როგორ მინდოდი, არეული, გიჟი მარტივით....
მე მოვალ შენთან და მოგიტან ალბათ სიმშვიდეს,
ამ ფიქრით ახლა სევდიანად თავსაც ვიმშვიდებ,
შენს მონატრებას თუ გაუძლო გულმა დაღლილმა,
მოვალ შენთან და მოფერებას მოგთხოვ თავიდან...
იცოდე ჩემი სიყვარული უსაშველოა,
მე შენ გიპოვე, ამოცლილი ნეკნი ვარ შენი,
ვერა, ვერ დაგთმობ ღმერთმა მომცა ძალა გატანის,
მე შენ მიყვარხარ და არ ვგავარ მე სხვას არავის....

ნინო ჯანქანიძე

* * *

ხშირად კითხულობენ
რა სურთო ქალებს..
იდუმალიაო,მალავსო თვალებს...
ხან მაცდურიაო,გულის მახეაო...
ხან ღმერთქალიაო,მეინახეაო...
დედა?!..ღმერთიაო..ერთადერთიაო...
ეს კი მართალია,
მაგრამ ხომ ქალია...
ქალი რომელიც შენთვის დედაა,
შენი მამისთვის ის დედოფალია..
იგივე ქალია,როგორიც სხვაა..
ხან ერთი წვეთია,
ხან მთელი ზღვაა..
თბილი სიოა და გრილი ნიავია...
უყვარხარ?..მზეა..
სძულხარ?..მყინვარია.
თუკი დაფიქრდები..ეს ქალიც ისაა,
რაც შენში სახლობს..
ღვთისა ხარ?..ღვთისაა...
შენი სურვილია..შენივე სახეა...
შენი ნეკნია და შენივე სარკეა...
ცივი ხარ?..ცივია...
თბილი ხარ?...თბილია...
მის აღმოჩენამდე მცირე მანძილია...

08.03.2015

* * *

მე შენში ვპოვე ჩემეული სულის მსგავსება,
შენით შევძელი მილეული მთვარის გავსება...
ხელი შემახე, თბილი მზერით გამიშვი მზესთან,
შენ გამოსტაცე ჩემი თავი ქარაფებს კლდესთან...
მე შენთან ვპოვე ჩემი სულის ნავსაყუდელი
და ერთგულებით განაბული დღემუდამ გელი...
ძლიერი მკლავით მიმიზიდე,არსად გამიშვი...
ოდესმე გულს თუ გადაგიშლი,გთხოვ ნუ დამიშლი..
ჩემს ცრემლებს მიეც იმედების ახალი წვეთი,
შენით ვიწამე,თუ ვიწამე მე ისევ ღმერთი...

* * *

ნუთუ ვერ ხვდები..რომ მიყვარდები,
მე ვხდები სუსტი...
და ვემსგავსები ქარწაღებულ,
დამტვერილ ყვავილს...
ჩემს მობრუნებას ყრუ ძახილით
ამაოდ უცდი,
მე მეშინია შენი სახის,
სუსხის და გვალვის...
მე მეშინია უთქმელობის,
გაურკვევლობის...
რადგან თავად ვარ გადაშლილი
ფურცელი ფიქრის,
უტყვი თმენა ვარ დარჩენილი
მოუთმენლობის...
დროის წამი ვარ,დაუნდობლად
უღვთოდ რომ მიჰქრის...
მე დაღლილი ვარ..დამტვრეული,
გულდაწყვეტილი...
ლექსის სტრიქონში მოქცეული
უხმო წყვეტილი...
დამშრალი წყარო,ყრუ სიმღერა,
ჩამდგარი ქარი...
ტკივილებისგან გაყინული,
უთქმელი ქალი...

9.02.15

* * *

ერთი მზის სხივი მინდა..სათნო,თბილი და წმინდა..
მე დავაბრუნებ ათასს,რაც რომ სამყაროს ხატავს..
ერთი მზის სხივი მინდა,რომ სული დარჩეს წმინდა..
შენი სამყარო მინდა... ჩემი სამყარო მინდა..
ვინძლო აგაფრენ ცაში..ბავშვივით ხელებს გაშლი..
„ღმერთო სიცოცხლე მინდა“ - ჩურჩულით მეტყვი მაშინ..

5.04.2009

* * *

ცის კამკამა სილურჯემ
სული გამიმზიანა..
კვლავ მაქცია სამყაროს
ნაწილად და ზიარად..
მიცისკროვნებს სიმშვიდეს
ღრუბლის თეთრი ქულები..
მიყვარს, როცა არსებობ..
სადღაც რომ მეგულები..
კამკამა ცის ბრალია,
თუ იმედი ხვალისა..
ბედმა შენთან შეხვედრა
ოდესღაც თუ მაღირსა,
გულთან ჩაგჩურჩულებენ
ნეკნის წილი მალები..
მიხვდები რომ მიპოვე,
ვეღარ დაგემალები..
შეჩერდება წუთით დრო..
მზერას მზერა დახვდება..
შეცნობილი სულების
სიყვარული ახდება..

03.05.2015

* * *

უთქვამთ თურმე,დედის ცრემლზე
ამოდისო ია...
ხედავთ?..დედას უთვალავი
ცრემლი დასდენია...
ვთვლი სიუხვეს ლურჯი იის
ბღუჯა-ბღუჯა ბუდის...
რაღაც...თითქოს დედის ცრემლსაც
იის სუნი უდის...
დავფიქრდი და გადავწყვიტე,
ღმერთო მაპატიე...
დედას ვუძღვნათ იის მდელო,
ნუ დავკრეფავთ იებს...

03.03.2015

* * *

წუხრის მუქ სარეცელზე
ვრცლად რძისფერი წვებოდა..
ქარს მოუნდა სიშლეგე,
ღრუბელთ ერეკებოდა..
თოთო ბავშვის ტაატით
წიკწიკებდა საათი..
ვიღაც წუთებს ითვლიდა..
უკვე რვა,ცხრა და ათი..
მორჩა ერთი ზღაპარი..
აღარ მოვა, ნუ ელი..
უპირობით დამთავრდა
სიყვარულის დუელი..
აღარ მოვა.. ნუ ელი,
ცას ცრემლები დასცვივდა..
ჩემთვის უცხო არ არის,
უნდა გითხრა რაც მინდა..
ორთა სულთა სიშორე
ვის გულს უფრო აწუხებს?..
-ვინაც მეტად მიენდო,
იმას უჭერს მარწუხებს..
შეუმდგარი პაემნის
მიდიოდა ეული..
ცა უჩანდა თვალებში,
ნისლად ჩამორღვეული..
მიჰყვებოდა სურვილი
მოღალატის ალერსის
და სიშორედ ქცეული
მისი სიმხურვალესი..
ღამის ფიქრში ჩაძირულს
კვლავ ზმანებად ეწვია
და ნაცნობი სურნელით
სიზმრად წამოეწია..

. . . . . .

მწუხრის მუქ სარეცელზე
ცას ვარსკვლავი სწყდებოდა..
სიყვარულის პირობა
გულს არ ავიწყდებოდა..

24.09.2015

* * *

მე შენ გიპოვი, – რადგანაც ვხედავ, რომ ცისარტყელა კვლავ შვიდფერია..
მე შენ გიპოვი-ეს ჩამჩურჩულა ჩემი ოცნების თეთრმა ფერიამ..
მე შენ გიპოვი-მჯერა უშენოდ მე ჯერ სიკვდილიც არ მიწერია.
„მე შენ გიპოვი“ - ფანჯრის მინაზე ეს არაერთხელ წამიწერია..

თამარ გავაშელაშვილი

უშენოდ გული წრიალებს

ვერ გავერკვიე, შუაღამეს
გამომეღვიძა, რა დროს,
გარეთ გავედი, ჭორები
თავს დამეხვია ამ დროს.
შენზე ფიქრები ყოველთვის
მაბრუებსა და მათრობს,
უშენოდ გული წკრიალებს,
შენს ნაბიჯებზე დარდობს.

მაინც მიყვარხარ და

მაინც მეყვარები
ჯვარზე რომ გამაკრან,
სული რომ ამომხადონ,
მაინც მეყვარები,
ამ გულს ედარდები,
ამ სულს ეხმარები,
რატომ მეხათრები,
დარდად მემატები,
ფიქრად მებადები,
მაინც მეყვარები,
შენთვის ვეწამები,
გადის ეს წამები,
ტანჯვით ვეწვალები,
მაინც მიყვარხარ და მაინც მეყვარები...
რატომ აღარ მხვდები,
აზრად უკვე ვხვდები,
ფიქრებს შენსას ვწვდები,
თავზე დაგადგები,
მაინც არ აგცდები,
სანთლად დაგადნები,
მაინც მიყვარხარ და მაინც მეყვარები.
მაინც მოვალ შენთან,
გულში ჩაგაკვდები,
ახლოს დავმარხდები,
ღმერთი მაპატიებს,
მაინც გავმართლდები,
მაინც მიყვარხარ და მაინც მეყვარები,
მაინც მოვალ შენთან,
ასე ნაწამები...
შენს მკლავებში სიკვდილს
ტკბილად ვეწამები,
მაინც მიყვარხარ და მაინც მეყვარები...

სიყვარული დაულოცე ყველას

ჩემო უფალო
ღმერთო მითხარ ვინაა რომ
ჩემს გულს ასე უკარობს?
რად არ ესმის, გული რომ მას
სუყოველდღე უგალობს?
ეს ფიქრები, ოცნებები
ღმერთო, არ ჰქნა უკვალოდ,
ჭრილობები მომიშუშე
უექიმოდ, უწამლოდ,
ქვეყანაზე არ არსებობს
კაცი ვინმე უდარდო,
რაც რომ ბევრი გამაჩნია
სიკეთეა უხვადო.
ღმერთს არ უყვარს მიწიერზე
უმადური-უმადლო,
არაფერი არ არსებობს
მუდმივი და უვადო.
სიყვარულზე უკეთესი
ვინმეს რაღა უქადო,
ღმერთს მადლობა დღე და ღამე
მუდამ უნდა უხადო.
რადგან მომცა სიყვარული,
გული კიდევ უბრალო,
სიყვარული დაულოცე
ყველას, ჩემო უფალო.

მანანა ტონია

მზის და მთვარის სიყვარული

სიყვარული მზის და მთვარის,
მოვლენაა ერთადერთი,
ვერსად შეხვდნენ, ვერსად ნახეს,
მაინც უყვართ ერთმანეთი.
ბუნებამაც დაუწესა:
მზეს ამოსვლა-მთვარეს ჩასვლა,
აღმოსავლეთს გაჰყურებს და
მიჯნურს აღარ უნდა წასვლა.
მთვარე, თავის გიჟ პატარძალს,
მუხამბაზებს უმღერს ღამით,
ცაზე უკრეფს ვარსკვლავებს და
არ ჩერდება ერთი წამით,
მზე კი სატრფოს მოუქარგავს,
სამფლობელოს ცისარტყელით,
ღრუბლის ბალიშს შორს გაისვრის,
გაიღიმებს ღიმით მწველით,
მზე, ოქროსფერ, ნაზ დალალებს,
დასავლეთზე გადააფრენს,
საღამოა, სატრფოს ელის
მბრწყინავ სხივებს, გზად დააფენს.

მაგრამ მთვარე იგვიანებს,
მზე, მას, ლანდავს ჰორიზონტზე,
მოლოდინით ძალას კარგავს,
ველარ ასწრებს მოსვლას გონზე.
ჩქარა მოდი, გენაცვალე!
სხივებს უწვდის, შველას ითხოვს,
ბოლოს, ძალა გამოცლილი,
შუა ზღვაში თავს დაიხრჩობს.
ჩავა მზე და ცოტა ხანში,
თურმე, იქაც დაღამდება,
ცის გუმბათზე, მედიდურად,
მთვარე გამოგოგმანდება.
საყვარელი მოენატრა
ისე ძლიერ, რომ სულს ღაფავს,
ხედავს, ზღვაზე, მოწითლებულ,
საყვარელი ქალის საფლავს.
ტირის მთვარე, წყევლის, კრულავს,
თავის სვე-ბედს ეომება
და ეს დრამა სიყვარულის,
კვლავ, ყოველ დღე, მეორდება.

ავმის ხე

რა მოგდის ბაღის ატამო,
რად აგჭირხვლია ღაწვები?!
ზამთრის ყინვის ვერ ამტანო,
გამანდე ვის ეპრანჭები!
ბებერ ტოტებზე დაგისხამს,
აქა-იქ ნაზი კვირტები,
გულში მზის სხივი ჩაგისვამს,
ალბათ შენც მისთვის ირთვები!
ის მზე გატყუებს ალერსით,
თვალთა მხურვალე გიზგიზით,

დაგნაცრავს სხივთა თარეში,
გვიან იქნება ვიშვიში.
ატამო, უკვე ხმელი ხარ,
დღენიც არ დაგრჩა ულევი,
შენი ჩიტებიც გაფრინდნენ,
გაფრინდნენ გაზაფხულები.
ამ ზამთრის პირას ბედშავო,
ტყუილად გაიაპრილე,
მორცხვო და გაუბედავო,
კვირტობას ხომ არ აპირებ?!

ლეილა გაფრინდაშვილი

იმერეთს მასტუმრეთ

იმერეთს მასტუმრეთ,
ჯრუჭულით დანამულ მოლზე დამაწვინეთ,
ხელში ამიყვანეთ,
საშევარდნოს კლდიდან ღრუბლებს ამაწვდინეთ,
ჭიათურის ხიდის
გაჭვარტლულ ჯებირებს ტრფობით ჩამაკონეთ,
მღვიმევის მონასტრის
კლდეს ჩამომავალ წვეთს
ტუჩით მაამბორეთ.

ყვირილის ნაპირზე
ენძელებს, გვირილებს შემახეთ ხელებით,
მესამე სკოლის და
ლეჟუბნის ქუჩების გამაძღეთ ფერებით.
ნუთუ ისეთს რას გთხოვთ?
ოდნავ გამიძელით, ცოტაც ამიტანეთ,
კაცხის სვეტის კიდეს
თოკი ჩამიბით და ცოცვით ამიყვანეთ.
მერე კი, შეკრიბეთ
ჩემს ეზო-ბაკეში იმერ-ამიერი,
იმქვეყნად მიმავალს,
ყურს დამიგუგუნეთ, მრავალჟამიერი!

ვერ დამღლით

(შვილიშვილებს)

მზემ ჩემს გასახარად
ოთხი სათაყვანო სხივი გააბრწყინა,
უფროს-უმცროსებად
ქალ-ვაჟი, ქალ-ვაჟი
ასე დააწყვილა.
ხიბლი, სილამაზე თითოეულ მათგანს
ნაწნავად დაუწნა,
ღრუბლებზე დასვა და-
სათითაოდ მათი სტუმრობა მაუწყა.
მუხლი მოვიდრიკე,
მზეს ვეამბორე და ვუძღვენი სალამი
მერე დავჯექი და...
მადლობის ძახილით, დავღალე კალამი.
სიყვარულის ანბანს
ოქროს სამაჯური მაჯაზე დავკიდე,
მკერდში სიამაყის ხანძარი დავანთე,
გულს ცეცხლი წავკიდე.
მოდით, სათითაოდ
ბებოს გულის ბუხარს მიათბეთ ხელები
არ დავიზარებ და...
ვერ დამღლით ლამაზი თვალების ფერებით!

ვეფერები თბილისს

ნეტავ მქონდეს ფიროსმანის ნიჭი
მთაწმინდიდან გავხედავდი თბილისს,
მწვანე მოლზე გადავშლიდი ტილოს,
დავხატავდი: სამებას და სიონს.
ქართლის დედას დავადგამდი გვირგვინს,
გავუფენდი ნარინჯისფერ ფარდაგს,
მოვხატავდი ჩემს მადლიან თბილისს
ძოწის ფერს შემოვავლებდი ქარგად.
დავხატავდი: მეტეხს, ნარიყალას,
აივანზე მოწნულ მერცხლის ბუდეს,
სინაგოგას, ძველ თბილისურ ხედებს,
ბარათაშვილს და მტკვარს მობუტბუტეს.
მეეზოვეს ჭრელა-ჭრელა კაბით
ფაეტონში შებმულ ლურჯა ცხენებს,
სიყვარულით მოალერსე წყვილებს
ორთაჭალის ბაღებსა და ველებს...

ნეტავ მომცა ფიროსმანის ფუნჯი,
გავუცოცხლო თბილისს იეთიმ გურჯი!

საქართველოს დედასა და სინდისს,
ვეფერები ჩემს ჭაღარა თბილისს!

შედევრები, ხელით ციმ-ციმ სცვრები

ნიკო ფიროსმანს

ჯადოსნური ფუნჯები თუ ტილოები,
სიამაყით ერი წელში გამართული,
ბედი კაცის, გრძნობით, ნიჭით გადავსილის,
ნარ-ეკალში, ღორღში ახლართ-ჩახლართული.
მიდი, თვალი გადაავლე ამღერებულს,
აცეკვებულს, ჩაფიქრებულ საოცრებას,
ჩვენნი, სხვისნი, იქაურნი, აქაურნი
ვერ მალავენ ატაცებას, გაოცებას.
სტუმრად მისულს, ისე, შენთვის, გასართობად
ოდა სახლის ჭერ-კედლები მოგიხატავს.
შედევრები, ხელით ციმ-ციმ სატარები
გაგიცია, მიგიფანტავს, მოგიფანტავს.
ბახუსში მყოფს, მშიერს, დაღლილს, გადაქანცულს
მოგიქარგავს დუქნები თუ სარდაფები,
სიცოცხლეში ვერ გიცნეს, არ გაღიარეს,
არ გიმღერეს, არ დაგიკრეს დაფდაფები.
სიყვარულით გაჟღენთილი, გადამთვრალი,
მარგოს უძღვნი ვარდებსა და ყაყაჩოებს.
სხეული თუ ვერ ეღირსა ნიშნულ საფლავს,
სული ღირს არს, - მთაწმინდაზე ნავარდობდეს.

სოფლავიდან წინაპრის ამოძახილი

მე დაგიტოვე წყარო ანკარა
შენ არ აქციო იგი ჭაობად,
სინდისს, ზნეობას თუ ნამუსს ახდი
შეირაცხები უღირს თაობად.
მარცვალ და მარცვალ სულში ვაგროვე
სინდის ნამუსის, სიკეთის თესლი,
ბოღჩა ზანდუკში ვყარე და ვტენე
გაგმაგრებოდა ფუძე და ფესვი.
უღირსს ვებრძოლე სიცოცხლის ფასად
იმდენი შევძელ, გავტეხე წელში.
შიში დავმარხე, მიზნად დავსახე,
რომ შეგრჩენოდა მამული ხელში.
ძალ-ღონით ვტეხე სალი კლდეები
მყარი ამეგო მე შენთვის სახლი,
გზას მარადიულს რწმენით გავუყევ,
არ გაგცვდებოდა მომავლის ჩარხი.
რად გატვრენილხარ, ხმაური გესმის?
მიწა რომ ბორგავს ჩემი ბრალია,
ვწრიალებ საფლავს, ვასკდები კედლებს,
ანგრევ? რაც ზურგით მომიტანია?
გულხელდაკრეფით თმობ მიწას, მამულს
დარდი არა გაქვს? არა გრცხვენია?
ქარი ბობოქრობს? სულია ჩემი,
წვიმა იღვრება? – ჩემი ცრემლია.

ჭა ჩვენს ეზოში

როგორც გინდა თქვან
დედისგან ვიცი, ასეა სწორი
ეზოში ჭა გვაქვს, ეს ჭა არის
ჩემი ძმის ტოლი.
ვზივარ ჰამაკში, საშინლად ცხელა
მომწყურდა წყალი...
მაშინვე ჩვენი ეზოს ჭისკენ
გამექცა თვალი.
თუმცა არა ვარ სოფლის საქმეში
მე მარჯვე ქალი...
დავატრიალე ჭის სახელური,
ავიღე წყალი.
დაორთქლა ჭიქა, რა ანკარაა...
ცივია, წყნარი
მადლობა ჭაო, რამდენ პატივს გვცემ
გვაქვს შენი ვალი.
კაცო მშრომელო, ვინც ეს ჭა გაჭერ
ღმერთმა გაცხონოს
გმადლობთ, ბაბუა, დაგვიტოვე
ჭა სამახსოვრო.

ზეგული ტყეშელეშავილი

ანტონიმი

თუ სიკეთის ანტონიმი
ჩაუსახლდა მავანს სულში,
უკადრებელს ხომ იკადრებს,
ქენჯნას არ გაივლებს გულში.

ქენჯნას სინდის-ნამუსისას,
რადგან მისთვის „უცხო ხილი“,
რა გემოსა არა იცის:
მჟავე, მწარე... იქნებ ტკბილი.

ბოროტება და სიკეთე,
არა ქრება, ნიშანს ტოვებს,
წინ ყოველთვის ის დაგხვდება
შენი კვალით რაც დატოვე!

22. 11. 2011 წ.

***

წელს მათქმევინე ჩემს სოფელში ვარ, თითქოს,
შობა-ახალ წელს ველი. . .
თეთრად ქათქათებს ზეცა,
მუხამ მომხვია ხელი!
ადგილის დედა მიხმობს,
ვაკე, დაღმართი, სერი. . .
მინდორს ზეწარი ჰფარავს,
ტყემლის ყვავილის ფერი!
თეთრ კაბაშია ნაძვიც,
ფიჭვი, თელა და ვერხვი,
წელს მათქმევინე, ღმერთო,
რაც მინდოდა და... ვერ ვთქვი!

2015 წ.

ო რ ი კ ვ ი რ ტ ი

თუთა მიხმობს, ჩემი თეთრი თუთა,
და ქლიავი ზუსტად მისი ფერის,
სიზმრად ვნახე ატამი და კომში,
იადონი, როცა ტრფობით მღერის!
მერე, ფრონე დავინახე ცხადად,(!)
ცოტა ცივი მომეჩვენა ოღონდ,
იქვე იდგა დაკოჟრილი მუხა,
ორი ტოტი აღარ ჰქონდა მხოლოდ!
უმალ მივხვდი, რაშიც იყო საქმე,
ახლოს მივედ, მუხას დავაკვირდი,
მეხისაგან გადამტვრეულ ტოტებს,
შევამჩნიე ... სათითაო კვირტი!..

2015 წ.

ხელს გამოგიწვდით!

(აფხაზეთი და სამაჩაბლო – საქართველოს
განუყოფელი ნაწილია!)

მუზის სამყარო შევაღე...
ვით რაში ფაფარაშლილი -
თვალით ყვავილებს დავეძებ,
ჩემს ბაღში იყო გაშლილი.
შევნიშნე ორი ყვავილი,
შემომცქეროდა გამწყრალი,
მე ჩემად მინდა გიგულოთ,
თქვენ კი – განზე ხართ გამდგარი.
დღეს საძებნელი გამიხდით,
თუმცა, აქვე ხართ, განა შორს;
ჯიუტობთ, ჩემთან არ გინდათ,
მე დაგიმტკიცებთ – ვისთან სჯობს.
ხელს გამოგიწვდით, ისევ მე,
მტერი ხომ არ ვარ – გაგრიყოთ,
დროა, დავფიქრდეთ იმაზე -
ბუტიაობამ რა გვიყო!

02. 07. 2014

ამ წელს მაინც

უკაცრავად, ,,თეთრო დათვო,'' მაიმუნობ?!
რა ხანია დაგიძველდა ეგ ჟესტი. . .
მითხარ გულში რა ჩაიდე, ხრიკუნიავ,
ახალსა და საოცნებოს -- რას მეტყვი?
დამიბრუნე, რაც წაიღე და წამართვი,
იქნებ მორჩე ამ სიტყვების რახა-რუხს,
აფხაზეთი, სამაჩაბლო ჩემია და
არასოდეს არ დავუთმობ ნებით რუსს!
მაიმუნის წელი კარზე გვიკაკუნებს,
ღამეა და ითხოვს სახლში შემოსვლას,
თასი ღვინით ამევსოს და ამ წელს მაინც,
შენი გასვლის საგღეგრძელო შემესვას!!.

2015 წ.

ია

რა ხანია გავიღვიძე,
გავახილე ლურჯი თვალი,
სამოსელზე გადავივლე,
მოციმციმე დილის ნამი!
აქეთ-იქით გავიხედე,
ორეული შევამჩნიე...
მზემ ირიბად გამიღიმა,
სურნელება დავაფრქვიე!
მორცხვი ვარ და პაწაწინა,
მიყვარს ჭალა, მიყვარს ველი,
მინდა მხოლოდ შენთან ვიყო,
იცი, ამ დროს როგორ ველი!

2016 წ.

ჩემი წამალია

ზოგჯერ გულში გაგიელვებს:
მეყო, აღარ დავწრ ლექსებს,
გავა ორი, სამი დღე და
თვალით საწერკალამს ეძებ. . .
თუ ლექსია დიდი შვება,
წერო უნდა, ეგ ვალია,
გადაიხდი, დაგედება;
აბა, რა შენი ბრალია!
მუზა ნიავივით მოჰქრის,
ხან მოქუხს და... ავდარია;
ზოგჯერ დაგემშვიდობება,
გეტყვის: შენთვის არ მცალია!...
ჩემი ხვაშიადი იცით,
გულს რომ მიკლავს რა ხანია,
დაჭრილი ვარ მონატრებით...
ნახვა ჩემი წამალია!!

2016 წ.

იას არ გავცვლი შენზე

ვარდო, მომწონდი ძლიერ,
ახლაც ჩამქრიხარ გულში,
და სიყვარული რაა —
იამ ამიხსნა გუშინ!
როცა მამჩნევდა ია,
შენ სად იყავი მაშინ,
ალთას გაგირბის თვალი,
მე – ბალთასა ვარ სახლში!
ვარდი ხარ, ვარდი ტურფა,
მზეს გაუსწორე თვალი,
იას არ გავცვლი შენზე,
თუ მქვია მართლა ქალი!

2016 წ.

რას იზამ . . .

რას იზამ, უნდა აიტანო შეურაცყოფა,
სხვა რა ჩარაა, ტვირთი ესე მხრებით ატარო,
კაკალს ხმა არ აქვს, ჩახლეჩია ამაოებით,
ბამბის ჩხრიალმა დააყრუოს ლამის სამყარო!
ძნელია, როცა ლაფის წვიმა გიახლოვდება,
გინდა აგცდეს და სიმწრისაგან ვეღარას აწყობ,
შეგეზიზღება იმდროისთვის, მიწაც და ზეცაც,
ამა ქვეყანას რად მოველო – ტირილით ამბობ!
აწმყოს განიცდი, ვერ გამშვიდებს წარსული, ვერა,
უმზერ მომავალს, იქნებ ცაზე გამოიداროს. . .
ნატრობ მოისხას არსთა გამგემ გრძელი მანტია,
და სანუკვარი განაჩენი გამოგიტანოს.

უშანგი მოსიაშვილი

ვრცლ გვიშველის მარტო ჩივილი

ინდა ციდან ჩამოვიყვანო
მე ვარსკვლავების მთელი ამალა,
გავაცისკროვნო მთლად საქართველო
აღარ გმინავდეს იგი აღარა.
მინდა ათბობდეს ჩვენ წმინდა მამულს
ხალხის გულები და მზე თაკარა,
აღარ ისმოდეს ხალხის ჩივილი
და არ გვტანჯავდეს მტერი აღარა.
ალბათ ეს არის ჩვენი საშველი
ჩვენში ვეძებოთ ხალხი მაშველი.
და დავიჯეროთ მარტო წუწუნით
რომ არ იქნება ჩვენი საშველი.

მეფე ფარნავაზი

მე ლექსის წერა მიტომ დავიწყე
სიკეთე ვერ ვქენ რაც მე მინდოდა
და ის სიკეთე რაც ძველი გვქონდა,
სულ წავახდინეთ ჩვენ არ გვინდოდა.
ჩვენ ფარნავაზმა დაგვმოძღვრა ძველად
და დაგვილოცა ქართული ენა,
აზოს აჯობა ჭკუით და გონით
ჩვენი ქვეყანა წაართვა ომით.
ქართველებმა მას ამაგი
დაუფასეს დადეს ფიცი.
გააღმერთეს და აუგეს
სალოცავი არმაზისი.
სამოცდახუთ წელს იმეფა
არ წაიღო ჯავრი სხვისი,
საქართველოს ყველა კუთხე
მადლიერი იყო მისი.
2014წ.

შიდვა იღურიძეს

მინდა რომ ლექსი მოგიძღვნა
ავახმიანო კალამი,
ძმობილო მინდა მოგწერო
დაუვიწყარი სალამი.
შენი ხმატკბილი ჰანგები,
გულს რომ უხარებს ყველასა,
ყველა მეგობარს უყვარხარ,
შენგან მოელის შველასა.
ბუნების ნაბოძები გაქვს
სიყვარული და კაცობა.
მრავალი მეგობარი გყავს
მეც მინდა მათი გაცნობა.
კაცები ბევრი ვიქნებით
ერთურთს მოვუტანთ შვებასა,
ღმერთიც ხელს წამოგვაშველებს,
დავიმსახურებთ ქებასა.
2014წ.

ბერი თევდორე
(ხალხურ კილოზე)

თევდორე შენ სულნათელო
ჩვენთვის აიდგი ფეხიო,
შენ რომ არ გამოგვჩენოდი
დაგვეცემოდა მეხიო.
მტერს, რომ ეგონა ქართველი
მალე ღალატობს კერასო!!!
შენთან შეხვედრით დარწმუნდა,
რომ ვერ დაგვაკლებს ვერასო.
ერსაც უშველე, მეფესაც
შენ კი დაგიჯდა ძვირადო,
მტერი დაჯაბნე, დათრგუნე
დარჩი მათ გასაკვირადო.
შენს ნაკვალევზე, თევდორე,
ბევრი გაზრდილა შვილიო,
ბევრი შებმია მტრის ლაშქარს
სისხლი უღვრია თბილიო.
შენი სახელი თევდორე
დარჩება ქართველთ გულებში
შთამომავლობას გადავცემთ,
გვეყოფა გამოსარჩლებლად.
დღესაც კი ათბობს მთა და ველს
შენი გმირული სახელი,
საუკუნეებს ეყოფა
დიდების გამომსახველი.
თევდორე არ დაკარგულხარ,
არა ხარ ჩვენთვის მკვდარიო!
ჩვენი ხალხისთვის მრავალჟამს
იქნები ღმერთის დარიო.

ტაშისკარი

გიორგი აბა რა დაგვავიწყებს
სხერთის ჭალასთან შენ ნამოქმედარს,
შენ ვაჟკაცობით მზე დაუბნელე
სამტროდ შემოსულ უამრავ მხედარს.
გზა გაუმრუდე, სხვა მხარეს ვლიდნენ
შენ მხედრობას მალ-მალე სთვლიდნენ
მალე შეგროვდა ქართული ჯარი
ეს უკვე მტრისთვის სიკვდილის დარი.
შენ ვაჟკაცური გამბედაობით,
სწორად განჭვრიტე ბრძოლის რაობა.
მტერი შეშინდა, შედრკა უდრეკი
რა ნახა შენი გამბედაობა.
ტაშისკარს შედგა ეყო მხნეობა,
რომ აიცილოს ჯარმა ტყვეობა.
მთლად გაამაგრეს ტყე და ველები
არ დაგვიტოვეს მისასვლელები.
შენ არ აჩქარდი, თავს არ დაესხი
და საუდუმლოც არვის გაეცი
მტერმა იფიქრა რომ მზად არ იყავ
ბრძოლის ველიდან რომ ჯარს გაიყვან.
ოსმან ფაშას ამ ფიქრებმა,
გული ცოტა გაუმაგრა,
მაგრამ მისი ჯარისათვის
ამ ამბავმა არ ივარგა.
სააკაძის სწორმა გეგმამ
გასჭრა ისე ვით მის ხმალმა,
ოსმალთ ჯარში იგრიალა
ქართველთ ჯარმა ვით გრიგალმა.
დაბნეული და შემკრთალი
განადგურდა ოსმალთ ჯარი.
ტაშისკარის მიდამოებს,
ეტყობოდა სისხლის კვალი.
ბრძოლის მერე მათ მებრძოელბს
ყველას მძიმე დაღი აჩნდათ,
სამშობლოში ამბის მთქმეილ
მათ არავინ აღარ დარჩათ.
1609 წელს ჯერ სხერთის ჭალასთან კასპის
რაიონში და შემდეგ ტაშისკართანაც
გაანადგურა სააკაძემ ოსმალთა 60 ათასიანი
ჯარი ქართველთა 10 ათასიანი ჯარით.

2014წ.

რწმენა

ჩვენ უფალმა დაგვანათლა
სიყვარული, ... რწმენა
და დღემდე შევინარჩუნეთ
მამული და ენა.
ბევრი უკვე გადაშენდა,
არაფერი დარჩათ!
სად წავიდნენ, რომელ მხარეს,
ნაკვალები არ ჩანს.
სულ სხვა იყო საქართველოს
მინდორ-ველი, ცა და მიწა,
მიტომ მისი სიცოცხლისთვის,
მის მიწაში ბევრი მიწვა.
ურწმუნო ხალხს არასოდეს
არ ჰქონიათ მამული,
მიტომაა მათი ყოფნა -
ცრემლით გადანამული.
ჩვენ კი ისევ გვიპატრონებს,
ვითარც ადრე მამა ღმერთი,
რადგან, როგორც მტკვარს-არაგვი,
სამყაროს დიდ ღელვას ვერთვით.

არაგველებს

ბიჭებო არაგველებო,
მთიდან მოხვედით ბარადა
მტერს დაულეწეთ ფარ-ხმალი
დიდგორს, შამქორს და მარაბდას.
ასმა ათასი გაწყვიტეთ
მინდა თქვენზე ვთქვა ბალადა,
თქვენც შეაკალით მტერს თავი
მტერი დაიბნა თავადა.
მხოლოდ სიმრავლით გაჯობათ,
მომხდურმა ქართულ რაინდებს,
თორემ ვერ დაიკვეხნიდნენ,
რადგანაც აღარ დაინდეთ.
თქვენ ვაჟკაცობამ კრწანისში
ქართველთ გაუთქვა სახელი,
მაგრამ მშობლიურ არაგვში
ვერც ერთი ვეღარ ახვედით.
თქვენმა სულებმა სამშობლოს
მთლად მოაფინა ნათელი,
თქვენ სადიდებელს მარადჟამს
ყოველთვის შესვამს ქართველი.
ბიჭებო არაგველებო,
დღესაც გვიხარებთ გულსაო
უფლის ნაკურთხი სანთელით
თქვენ გაგინათებთ სულსაო.
ბევრ ცოცხალს დიდად სჯობიხართ
ბევრი გვაქვს თქვენზე სათქმელი,
არ დაგივიწყებთ სამშობლო
სანამ იქნება ქართველი.

კახა სამყურაშვილი

* * *

ვიღაც არ ჩარჩა ხროვაში,
უკვდავებისთვის იცოცხლა,
რაღაც სულ დარჩა ხსოვნაში,
მტვრის ფენად არ გაიცოცხა.
დათრგუნავს გრძნობებს მთლად ქვენას
მზერა ნათელი კვალის,
თუ რამ კარგს ვხედავ ამ ქვეყნად,'
ისევ იმ ქვეყნის თვალით.
2016

ღმერთი

კვლავ მიუყვება უცნობ აღმართებს
და ძლიერ გულით დააქვს მაჟორი.
ძირს ძირს! აღმართებს ის ხომ აღმერთებს
და ასე ახლოს ესმის ხმა შორი.
პაუზით მუზათ მუზეუმთ დარბაზს
ივსება მადლით, იმედით, ძალით,
გზადაგზა გამჩდარ ნაპრალსა და ბზარს
ამრთელებს რწმენით და უფლის კრძალვით.
სირცხვილი ლაჩრებს! ვინც გზა წარმართა
დაბლა – დაჰკარგა რწმენა აღმართთა!
ღმერთმა გაგვმიჯნა ასეთ წარმართთა,
იმედის დროშა ჩვენში აღმართა!
მაშ, კვლავაც ავყვეთ ახალ აღმართებს
და გულში მარად გვქონდეს მაჟორი,
ძირს ძირს! აღმართებს ჩვენ ხომ ვაღმერთებთ.
დე, მუდამ ახლოს ჟღერდეს ხმა შორი!...
2007

ტყუილ-მართალი

არის ტყუილი, ის შენ არ გჯერა,
თუმც ეჭვი კი გლრნის – ვიღაც ბრიყვდება,
ეს ეჭვია, რომ დაგდევს მტანჯველად,
მანამ გვნებს, ვიდრე თვით არ მოკვდება.
არის სიმართლე, ის შენ კი გჯერა,
მისი ნათელი შენთვის კაშკაშებს,
თუმც კი ვიღაცას არ სწამს ამ ჯერად,
გწყინს, რომ მოყვასი ასე ამლაშებს.
არის ტყუილი, შენ ხომ არ გჯერა,
ისიც არ გჯერა, თუ ვინმეს სჯერა,
არის სიმართლე, რაც ყველას გვჯერა,
სხვა მხრივ იქნება ჯერ ვერც და ჯერ არც!

2012

წერილი მამას

ჯიბეში ხურდა საწყალი ხურდა,
მთელი დღის სარჩო – მშაშხავი ხურმა,
და რა ხანია თანხა გახუნდა,
გახურდა ხურდა, შემცვლელი უნდა...
სირცხვილით ხურდა ხურდების გუნდი,
ხურვება ხრავდა, ეწვოდა ქუდი,
გაფრინდა თანხა ვით მტრედის ხუნდი,
რა ნახა მასთან, გლახ, რომ გავხუმრდი.
p.s. ცხოვრება აცხობს ცხარე ხმიადებს,
– შეძლებისგვარად შემეხმიანე!
1995

იდეა

იდეა კიდეა, სანამ ცის კიდეა,
სანამ მზე ჰკიდია და დღენი კი დიან...
არაა ზღვარი, არა კიდეა,
იდეა სულია, სულაა იდეა...
იდეა ბედია, გიდია, დიდია,
იდეა წიდია, ხიდია იდეა;
სანამდის სულია, სანამ მზე ჰკიდია,
იდეა სულაა, იდეა კიდეა!
10.11.12

გაქრობასქება

ყოველს ათეთრებს ფიქრის ფერები,
მიქრის უცნობი, იქსს ვეფერები.
მომავლის ფერი მომივლის ფრთებით,
ქიქება ქრება გაქრობის ქებით.
ლაოს არძვრობით ცით იძვრის იქსი,
ფიქრთ ფერით ჩემში მასა აქვს ფიქსი,
გაქრობას ქება! გაქრობასქება!!!
მიქრის უცნობი, ფიქსია იქსი...

ივლისი, 1994

სოფლიდან დაბრუნებისას

ვფიქრობ, როგორც მამა-პაპათ, წვლილი
ამ ნათქვამში რომ მიმიძღვის მეცა –
სახლში მისულს ჩამეხუტა შვილი
და შესძახა – ,,სოფლის სუნი მეცა!"
მიხარია, მამა-პაპათ მსგავსად
მშობელ კუთხის სუნთქვით
ვცოცხლობ მეც რომ,
თუმც მახარებს კიდევ ასჯერ ასად,
რომ შვილს თავის მიწის სუნთქვა ეცნო.

16.01.2016

ჰაოლო იაშვილს

წელში მოხრილნი მძიმე ზოდებით
შენი საბადოს ,,სიტყვის მადნიდან“
ჩვენ საუნჯეებს მივეზიდებით,
ისმის ,,მხედრული“ შენი მარნიდან.
ცხოვრება, ბრძოლა და შენი ბოლო
არს ვაჟკაცობის ნაღდი სიმბოლო,
და ვამაყობდეთ გვაქვს საფუძველი –
დაგვაქვს შეფიცვა ჩვენ სულთა ძველი.
გამოჰქრის ,,აფრის ტკაცუნი“ შორი
გემიდან შენი სულის ნიავით
და შენს დაღარულ ტალღათა შორის
მოგყვებით ჩვენი კოპწია ნავით.

1995

ენდე-ეღი!

ამ ცხოვრების ანა-ბანა:
იყავი ღვთის ანაბარა!
ია-ვარდს რომ გზად იფენდე,
თვალ-მარგალიტს თავს იდენდე,
ახალ-ახალ განძს იძენდე,
ან განსაცდელს დაითმენდე,
მარად, ყველგან ღმერთს მიენდე!

სულ შენს ქებას რომ ისმენდე,
სულ პირს ღიმილს რომ იჩენდე,
ზეიმობდე, სულ ილხენდე,
ან დიდ ტკივილს, ჭირს ითმენდე,
მარად, ყველგან ღმერთს მიენდე!

არად გსურდეს არც სახელი,
არც სახლი, არც საწნახელი,
ბევრის იყო რომც მნახველი,
ან გმტრობდეს შენ დრო მსახვრელი,
დაგიფარავს მარად მხსნელი!

დიდ მიზნების დამსახველი
გქონდეს ჭკუა, ოქროს ხელი
და ხეც გქონდეს ოქროს მსხმელი,
ან გსაფრობდეს თავს დამსხმელი,
დაგიფარავს მარად მხსნელი!
ამ ცხოვრების ანა-ბანა:
იყავი ღვთის ანაბარა!

06.02.2013

ლამზირა შეყილაძე

* * *

წუთისოფელში დრო ისე დადის,
თითქოს მზესავით იყოს უქრობი.
ადამიანის ბუნება არის
სამყაროსავით ამოუცნობი.

* * *

ვერ დამიმონა დარდებმა
არც ვარ მთლიანად დაცლილი.
სადაც კი წავალ დამყვება,
მაცხოვრის წმინდა აჩრდილი.

რომ ყველაფერი კარგად იქნება.

უწმინდესს და უნეტარეს ილია II-ს

წმინდა სამების მადლი გამშვენებს,
ხატ-სალოცავად გაქვს ან-ბანია...
რა დაგაძინებს, რა მოგახვენებს,
მთელი ქვეყანა შენ გაბარია.

ვიცით ცხოვრება მეტად რთულია,
დროც ამინდივით ხშირად იცვლება.
შენ გვამწყალობებ ბრძენო ილია,
„რომ ყველაფერი კარგად იქნება“.

როცა სამშობლო გასაჭირშია,
მამულის ბედი მრუდედ იხრება.
მყის გვაიმედებს შენი სიტყვები:
„რომ ყველაფერი კარგად იქნება“.

ღვთისმოსაობით, წმინდა ლოცვებით,
ზეციდან მადლი ჩამოიფრქვევა,
შენი სიბრძნით და უფლის წყალობით,
გვწამს, „ყველაფერი კარგად იქნება“.

თუ ცოცხალი ხარ

თუ ცოცხალი ხარ, უნდა იცოცხლო,
უნდა გმოსავდეს წმინდა მანტია.
სამშობლოს უნდა აჩუქო გული
და ყველაფერი რაც გაბადია.

თუ ცოცხალი ხარ, უნდა იცოცხლო,
ძარღვებში უნდა გიდუღდეს სისხლი.
მამულს გულ-მკერდით გადაეფარო
და შენი მიწა დაიცვა მისხლივ.

თუკი სიცოცხლე ჯანსაღი გინდა,
სიყვარულს უნდა გაუხსნა კარი.
იარებოდე ფიფქივით წმინდა,
ხელთ უნდა გეპყრას სულ მნათი კვარი.

სიცოცხლე უნდა კვებო სიმართლით,
არ შეუშინდე ღვარცოფს და ქუხილს.
სიბნელე უნდა კვესო სინათლით
და არ დანებდე დარდსა და წუხილს.

გადააგორო სიზიფეს ლოდი,
აღმოაჩინო რაღაც სიახლე.
უნდა ჩაქოლო დარდი და შფოთი,
უნდა დაიპყრო სიბრძნის სიმაღლე.

უნდა ეცადო იცხოვრო ისე,
არ მიაყენო არვის ზიანი.
უნდა იცოდე რად გაჩნდი ქვეყნად,
ან რატომ გქვია ადამიანი.

ჩვენი ცხოვრება წამის ყოფაა,
წუთისოფელში წამია მხოლოდ.
ყველა ნელ-ნელა ვტოვებთ ქვეყანას,
სხვა სამყაროში გადავალთ ბოლოს.

ღმა-დღმა

მუდამ ვეძებ თავშესაფარს,
ვერსად ვერ დავეტიე.
დროის დევნას მოვუნდი და
მაინც ვერ დავეწიე.

რას დავყვები აღმა-დაღმა,
დრო რას მეტყვის ახალს...
ცხადშიაც და სიზმარშიაც
ვეძებ თავშესაფარს.

ახლა ვდარდობ დროს რად ვენდე,
რად მჯეროდა მისი.
წუთისოფლის სტუმარი ვარ...
დროა მარადისი.

სამშობლო

ჩემი ლამაზი სამშობლო,
სიცოცხლის ტყუპის ცალია.
მზესავით მანათობელი,
სამყაროს ნატვრისთვალია.

ჩემი ლამაზი სამშობლო,
ღვთისმშობლის სანათელოა.
მთელ სამყაროში საჩინო
შუქმნათი საქართველოა.

ჩემი ლურჯთვა სამშობლო
მარადისობას ეყოლა.
ცასავით დიდი ყოფილა,
მე რომ პატარა მეგონა!

მამულზე ფიქრში

(აკაკი გასიტაშვილის ხსოვნას)

შენ ერთგულების იყავ მესაჭე,
იყავ მზესავით შუქთამფენელი.
შენი მეგზური იყო სიმართლე,
მამულზე ფიქრში ღამისმთეველი.

სამშობლოს დარდში იწვოდი ისე,
როგორც ხატის წინ იწვის სანთელი.
შენს წმინდა სულს და ჯიშიან ფესვებს,
მარადისობის ადგას ნათელი.

შენ მომავალი დააფრთიანე,
სიკეთე იყო შენთვის მთავარი.
ამად გიხსენებს მემატიანე,
წარსული რომ გაქვს შეუბღალავი.

* * *

შენი სამშობლო თუ გიყვარს,
თუ გიყვარს მისი ქედები.
ბავშვივით უნდა გავზარდოთ,
როგორც ჩვენ გვზრდიდნენ დედები!

* * *

ბედნიერება გეწვევა ოდეს,
ჩემს ნაოცნებარს კარს თუ გაუხსნი.
წადი, გაჰყევი ცრუ მატარებელს,
ჩემს წრფელ სიყვარულს თუ არ დაუცდი!

* * *

სიკვდილო, ბრიყვი ხომ არ გგონივარ,
ჩემს მოტყუებას როგორ აპირებ.
ჯოჯოხეთიდან უკვე მოვდივარ,
არ ვიცი აწი რით გამაკვირვებ?!

* * *

მაინც ვერ ავცდი დარდის ბაცილებს.
რადა აქვთ დარდებს ბევრის უფლება.
როცა მოვკვდები გადამაფარეთ
ჩემი სამშობლოს თავისუფლება!

ია ქებურია

ქებურიების სახელოვან გვარს კიდევ ერთი, სრულიად ახალგაზრდა, ნიჭიერი პოეტი და სტუდენტი ია ქებურიას სახელი შეემატა. სულ სხვაა მისი პოეზიის არქიტექტონიკა, მასში შემავალი სტილური ინგრედიენტები, მეტაფორები, ეპითეტები, გრაფიკა. გარდა ამისა 24 წლის გოგონა ორი შვილის „ლიზის და ზურას" დედაა.

ია ქებურიას ლექსები, ესეები, პოეტური ჩანახატები პერიოდულად იბეჭდება ჟურნალ-გაზეთებში. ამჟამად აკინძულია წიგნად და გულის ფანცქალით ელოდება კეთილი ნების სპონსორს, რომელიც დღის სინათლეს ახილვინებს პოეტი ქალის სულიერ ნობათს. წიგნის მადლიერი ავტორი ახალ-ახალ ლექსებს ლოცვად აღუვლენს დამფინანსებლის გვარსა და ჯილაგს.....

ვაჟა ეგრისელი

საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემია ქალდეას პრეზიდენტი, ქართული პოეზიის რაინდი

მწუხრის მელოდია

ჩემი ფიქრები დალამბულა
დარდის ძაფებით,
ქრიან ქარები მწუხარების
კვლავ გამძაფრებით,
და მაინც სულში ფრიალებენ
თეთრი აფრები...
ნათელს ბნელი ცვლის
დამსხვრეული გული მთელდება
ქვეყნად ზოგისთვის ადრე ღამდება
და ზოგისთვის გვიან თენდება.

მენატრები

ჩემო,
შენს სახელს,

ცხადში
სიზმარში
კვლავ სჩურჩულებენ ჩემი ბაგენი.
რა ვქნა,
მიყვარხარ
და მენატრები,
მაგრამ სიზმარშიც ვერ მოგაგენი.

ათასწლეულთა ჟამი გაცვითავს

კეთილს და ბოროტს...
დამკარგავს...
მპოვნელს...
ყველას და ყოველს...
ვითა ღობეს ნაშენს ქაცვითა
როგორც არავი...
სხვა არაფერი და სხვა არავინ
ათასწლეულთა ჟამი გაცვითავს.

მოლოდინი

ელოდებიან მესამე წარყვნას –
მოშიშარნი მაღალნი უფლის
მაძიებელნი მუდამ სიმართლის
გადარჩებიან მლოცველნი მწუხრის
და ნიად მოიმედენი –
გვირაბის ბოლოს მპოვნელი სინათლის.

ვერ ვუძლებ ეჭვთა ქარტეხილს

ღამეა...
ეჭვი მაწვალებს,
ცრემლები თვალებს მისველებს....
ნეტავი, ვისზე გამცვალე,
ვიხსენებ....
და ვერ ვიხსენებ!
ფიქრით ვისთან არ მივედი,
წყვდიადში მზერას ვაცეცებ,
მაგრამ არა ჩანს იმედის,
სულ ერთი ციცქნა ნამცეცი,
მსურს შენი თვალის შევლება,
ვერ ვუძლებ ეჭვთა ქარტეხილს.
ნეტავი რა ეშველება
გულს სარკესავით გატეხილს!

განუკითხობა

ცა და მიწა ერთმანეთში აირია,
უვიცთა ბრბომ დაბლა
 დასცა კარავი.
ასე არის, ხალხიც ნაირნაირია,
განმკითხავი ქვეყნად
არ სჩანს არავინ.
მაშვრალებს კი შესცქერიან
ვით ცხვრის ფარას,
შიშის მთებზე შეფენილთ
არაუშავს,
მათ უფალი დაიფარავთ,
დრო მეფობს ქვეყნად,
არა მეფენი.

ყვავ-ყორნები

აქ-აფსუები
და იქ ოსები,
ჩემს საქართველოს ოქროს მთებიანს,
შემოსევიან ვით ყვავ-ყორნები
და მტრობით,
შურით დანაოსები
კვლავ აქეთ-იქით ეზიდებიან.

ხეები

ზამთარ და ზაფხულ ხელ აპყრობილნი,
ცის ქვეშ ლოცვებად დგანან ხეები.
და არაფერი აღარ ახარებთ,
სანამ გათხრიან საფლავს ფესვებით,
სანამ წაიყვანთ ქარი სხვა მხარეს
მწვანე თვალები-
შიშით ევსებათ.

ზამთარი

ზეციდან ცვივა თოვლის ფანტელი,
ვითარცა ზამთრის თეთრი ფიფქები,
გზა და გზა ქრიან და იფანტება
დღეს არის,
მაგრამ ხვალ არ იქნება.
ქარი მთებს მიღმა მიერეკება,
ამღვრეულ ღრუბლებს,
როგორც ცხვრის ფარას.
დამკრთალი ელვა მოგავს ერკემალს,
რომელიც თავის (სამწყმსოს) იფარავს.
მდინარეები ძირს ჩამორბიან
და მხრებით მოაქვთ ქვა და ლოდები.
რადგან იციან გულის ფანცქალით
დედა მშობელი ზღვა ელოდებათ.

****

ნეტავი რა მჭირს,
რა მემართება,
გული ვერ უძლებს
ეჭვთა ქარტეხილს,
ფიქრები შენსკენ მიემართება,
რა ვქნა,
რა ვუყო,
შენს სიყვარულს,
(უცაბედად) თავზე დატეხილს.

შვილებს- ღიზის და ზურას

წამოიზრდებით დედის ნანათი,
რადგან უფალმა ასე ინება,
სპეტაკი როგორც თოვლის ფიფქები,
შვილებო ჩემო!
თქვენზე ფიქრები,
გულზე ვარდებად სულ მეფინება.

ნანა ბერაია

სიყვარულმა გადამარჩინოს

ო, სიყვარულო, ამაცილე სახიდან რიდე.
ნუ მსაყვედურობ, მე ხომ ისევ დაგიმეგობრდი.
შებერებული ახლაც აქ ვარ, ტაძრის კარებთან,
ვით შეფიცული ჯულიეტა შენსკენ მოვრბოდი....
გადაიფურცლა ჩემი წლების მეხუთე გვერდი.
უნდა დავწერო თეთრ თაბახზე ნანახ-განცდილი.
მიამიტობას ვუპასუხებ მუსიკით ვერდის,
მე ძლიერი ვარ, სიყვარულით არ ვარ დაცლილი....
და მაინც ვჩქარობ, რომ სტროფები იყოს გამთბარი.
ეს სათნოება, დრომ ვერაგმა ვეღარ დაჩრდილოს,
შემომიხაზეთ გულის მიღმა დიდი საზღვარი,
ნატვრა ამიხდეს - სიყვარულმა გადამარჩინოს!....

მე თქვენ მიყვარხართ

ცვივა ფოთლები შემოდგომის ყვითელ მიწაზე,
ცვივა ბზრიალით, უსუსური ფანჯრის რაფებთან.
გამვლელ-გამომვლელს შეაფარებს სულს და თავს დახრის,
ეს ჩემი სევდა მე ყოველდღე მხვდება კარებთან...
მე თქვენ მიყვარდით და შეგრაცხეთ ღმერთად, ეროსად.
კვლავ გვიან მივხვდი, ყველაფერი თურმე თქვენ არ ხართ.
მომნატრებიხართ ნაზი კოცნით, ხვევნა -ალერსით
და ამ ალერსში ჩუმად თქმული სიტყვით-მიყვარხართ !
თქვენი სიმშვიდიტ, ოდნავ ცივი, მიუკარება,
თავს მაჩვენებდით, რომ გიყვარდით, ფიქრობდით ჩემზე
და სული ჩემი, თეთრ თოვლივით სპეტაკი, ნაზი,
წვიმის წვეთების ,,ვენურ ვალსზე'' მემახსოვრება...
ცვივა ფოთლები, შემოდგომის ყვითელ მიწაზე.
ჩემო ძვირფასო ქალბატონო, ნუთუ თქვენა ხართ ?!
ტკბილი სიტყვები მომიქარგეთ გულის ღილაკზე
და ბოლო სიტყვა მათქმევინეთ: ,, მე თქვენ მიყვარხართ !''

გაზაფხული

იქუხა მოულოდნელად
ცას ფერი ედო ქვიშის
ქარმა ვით ფარა მოდენა
ღრუბლებთან ერთად შიში.
გადაეფარა წიწვნარს
წვიმის წვეთები რისხვით,
და აუჩქეფდა მიწას
მდინარეების სისხლი.

ქალია ღმერთი

ვინა ვარ, რა ვარ ?! ლექსად დაწერილი მუზა ვარ შენი,
ვინა ვარ, რა ვარ ?! ამოუსვლელი მთვარე ვარ შენი,
ვინა ვარ, რა ვარ ?! ახლად დაკრეფილი ქორფა მტევანი ვარ შენი
და საფიცარი ხატი ჯერ ხელთუქმნელი....
ვინა ვარ ?! ქალი ვარ, ქალი, ოღონდ ნამდვილი,
ადამისათვის შექმნილ - ვნებული....
ვინა ვარ ?! დედა ვარ, ძე ვშობე ღვთისთვის,
დიახ,ქალი ვარ, მაგდალინა ვარ, თანაც ცოდვილი...
ჩუმად, ჩუმად, ჰეი, ვინ ხართ მანდ ?
რამ შეგაშინათ, მომიახლოვდით, მესროლეთ,
მესროლეთ ქვები,ოღონდ აღიარეთ, რომ ქვეყანაზე,
რომ ქვეყანაზე, ,,ქალია ღმერთი !''....

ნუნუკა გურალია

სიამაყით ფეთქავს

ფიროსმანის ფუნჯით,
რუსთაველის კალმით
ხმით სარაჯიშვილის
და დავითის ხმალით.
სიამაყით ფეთქავს
სული ბობოქარი,
და ვერ დაგვაშინებს
მტრის მზერა ვერანი.
ღვთითკურთხეულ მიწას
დიდი მადლი ფარავს,
და უფლის ლოცვებიც
მეტად დაგვიფარავს.
ქართველობას დიდი
მოკრძალება ახლავს,
აქ სიცოცხლე უფრო
ლამაზია მართლაც.
ამიტომაც ვეტრფი
ჩვენს მზესა და ზეცას,
და მათ სიყვარულსაც
გულში ამოვკემსავ.
ფიროსმანის ფუნჯით,
რუსთაველის კალმით,
ხმით სარაჯიშვილის
და დავითის ხმალით.
სიამაყით ფეთქავს
სული ბობოქარი,
რადგან ქართველობა,
სიყვარული არის!

სხვაა მისი სურნელი

ამაყი ვარ როცა მინდვრად
ყაყაჩოებს ვუცქერი,
გაზაფხული მართლაც სხვაა,
სხვაა მისი სურნელი.
რა სჯობს როცა იასამანს
ბაგეზე აქვს ღიმილი,
იქნებ ყველა ოცნებები
აუცხადდა, ვინ იცის!
მაგნოლია ხომ გვაოცებს
მისი მზერით ლამაზით
ენძელებიც ღიღინებენ
ფურისულაც აქ არის.
კორჩიოტაც თავს გვაწონებს
აღარ მორცხობს აღარა,
ია-ია კი სიყვარულს
გვეფიცება პატარა.
ვარდებიც ხომ თვალებს გვჭრიან
ღვთაებრივი ფერებით,
დავდივარ და ჩემთვის ჩუმად
ყვავილებს ვეფერები.
ამაყი ვარ, როცა მინდვრად
ყაყაჩოებს ვუცქერი.
გაზაფხული მართლაც სხვაა
სხვაა მისი სურნელი.

ცერენტი გრანელს

ო, ეს ამდენი ქარები
და ეს ამდენი გვემა,
ცრემლით დაღლილი ფურცლები
ძლივსღა იტევენ სევდას.
პოეზიისთვის იწვოდა
ენთო ამაყად, კდემით
და ჩუმად გვანებივრებდა
უნატიფესი ლექსით.
გაზაფხულის მზის ღიმილში
ეძებდა მუდამ სითბოს,
მაგრამ მშფოთვარე წამები
არ ასვენებდა თითქოს.
ხან ფორიაქი ღრუბლების
ხან ფანტელები ცივი
გათოშილ ფიქრთა ბულული
და სული გაცრეცილი.
ო, ეს ამდენი ქარები
და ეს ამდენი გვემა,
ცრემლით დაღლილი ფურცლები
ძლივსღა იტრვენ სევდას!

შალვა ილურიძე

ჩემი წიგნის ნაცვირალი

მე წიგნი ვარ, ათას ერთი
წიგნი წაუკითხავი,
შენ ერთ წუთში გადამფურცლე
ნუ ხარ განუკითხავი...
ხოდა კარგად შემისწავლე
სათითაო ფურცლებით,
ყოველ სტრიქონს ღრმად ჩაჰხედე
ჩემს ცნობაში თუ სცდებით..

როგორ მინდა არ დამტოვო,
ძმაო, წაუკითხავი,
ჩემი სულის ღირსებისა
ნუ იქნები მკითხავი...
ისევ დამდე ზედ თაროზე
რად ხარ განუკითხავი,
ვიცი! ასე დავძველდები
წიგნი წაუკითხავი!!!

იესოს სისხლი

ღვინო აიღეთ დალიეთ,
„იესოს" სისხლის ფერია.
ახსენეთ წმინდა უფალი
ფუძე, კარი და ჭერია...
ღვინო სისხლია უფლისა,
ხორცი კი ხორბლის ხმიადი.
ვაზო, რქა გაიძლიერე,
ამღერდი, ამოხმიანდი..
აიღეთ თიხით დალიეთ
ქრისტეს გულის სისხლია.

ახალი აღთქმის სული და
მთას მოხვეული ნისლია..
მამამან მოგვცა ძარღვებში
სისხლი, მიწაზე საღვრელად.
ღვინო კი ლოცვად უფლისა,
ცოდვების მისატევებლად..
ღვინოვ, ამღერდი ქვევრებში,
შენ თამადა ხარ სუფრისა,
შენ ხომ მიწიდან მოსჩქეფხარ
სისხლი, ნაწვეთი „უფლისა"...

ძველი ქართული სიმღერა

სიმღერა არის სიცოცხლის
გახანგრძლივების რეცეპტი,
მე ხალხურ მედიცინაში
აბი ვერ ვნახე ვერცერთი..
ტკბილად ნამღერმა სიმღერამ
თუ შეგძრა, ცრემლმაც იმღერა.
უკვდავებისა ყოფილა
ეს, მადლიანი სიმღერა..
სიმღერა მომღერალისთვის
დიდი განძია რჩეული,
სისხლ-ხორცში მჭიდროდ ჩამჯდარი,
სულს-გულზე შემოხვეული..
მრავალ ტოტებავ, მუხაო,
არ ხარ არცერთი ხის ფერა,
ბებერო, ათასწლოვანო,
შენ მოგგავს, ჩვენი სიმღერა..
მრავალხმიანი მიტომ ხარ,
ხმლითა და ხანჯლით გასხლულო!
მუხავ, ქართულო სიმღერავ,
შარავანდედით ასხმულო..
ერი ასეთი ვერ ნახეს,
ვინც ამდენ ხმებით იმღერა.

ეს ფოლკლორია ქართული,
ძველ ქალდეველთა სიმღერა..
უფლისა საგალობელმან
იბერში ყელი იმღერა,
პირველმა ქართველმა კაცმა
შექმნა ეს ტკბილი სიმღერა..
სამ ხმიან საგალობელში
დევს სამი წმიდა იმ ფერა,
მამისა ძისა და სულის,
დიდ სულიწმიდის სიმღერა..
ჩაკრულომ, ლილემ და ნანამ,
ძმურად მუშტები მიღერა.
იმიტომა ვართ მებრძოლნი
ომშიც რომ გვესმის სიმღერა!
ის კაცი ცხონდა სანთლითა
ვინაც პირველმა იმღერა.
ვინც დაგვიტოვა სამკვიდროდ,
მრავალ ხმიანი სიმღერა..
„უფალო" თქვენი წყალობით
ქართველმა, ყელი იღერა.
ჩემს სამშობლოში ისმოდეს
ლილეს, ჩაკრულოს, სიმღერა!!!

მადლობა დაიას

(გულნაზ ხარაიშვილს)

მადლობელი ვარ, დაიავ,
ლექსს მაზიარე დევნილი,
დარდის მარწუხი მახრჩობდა
ყელ-ყურზე შემოხვევნილი,
– ლექსმა მიშველა, გამკურნა
არ დამიჩირქდა ჭრილობა,
გადამარჩინე, დაიავ,
დაგირჩეს გვარიშვილობა..
– რად შემაყვარე, გულნაზო,
პოეზიისა ტრფიალი.
შენმა ლექსების კითხვამა
ჩამნაცრა ოხერტიალი..
– დევნილსა დამაწყებინე
ლექსით სიმღერის გალობა,
გადამავიწყდა დარდები
შენ დაგელოცოს ქალობა..
– დღეს რომ ორ სტრიქონს გავჩორკნი,
ეს არის შენი წყალობა.
ტკივილს ვმკურნალობ ლექსითა
ამისთვის დიდი მადლობა..
– ას ლექსს დავწერავ დაიავ,
მეტს ვეღარ გავშლი ფრთებსაო,
მერე სიმღერად დავრჩები,
ვფიცავარ გამჩენს ღმერთსაო...

ჩივილი ლომა ხარისა

მარტოდ ვბერდები ჭალაზე,
ტყე გავხდი სევდა დარდისა.
წეროვნის ველზე თუ გესმით,
ქსნიდან კივილი ხარისა?!
ლომისის მთაზე ვდგავარ და
რქებზე შუქი მცემს მთვარისა,
მზის მოლოდინში დავბერდი
მძევალი გავხდი ღამისა..
ხორასანიდან მოსული,
რქით მტარებელი ხატისა.
წმინდა გივარგი მშველელი
ჩემი, ტყვედ ქმნილი ხალხისა..
შვიდი ათასის სახელი,
ბავშვის, კაცის და ქალისა.
აქვე ავაგე სიწმინდე,
მთიელთა ჯიშის გვარისა..
აღარ მეგონა აყრასა
შევესწრებოდი ახლისა!
არვინ გაჰკვლევდა ჭალაზე,
დააჟანგებდა სახნისსა..
მე აქ დავრჩები მფარველად,
წმინდა „ლომისის" კარისა.
რომ ყოველ დილას გესმოდეთ
კივილი „ლომა" ხარისა..
დარდის ღრუბელად ვიქეცი,
დარი არა სჩანს ხვალისა.
წეროვანს მყავხართ ქსნელებო,
იმედად ძის და მამისა!!!

შალვა ახალციხელს

დღესაც ისმის შავლეგოსი
ხმა, ჩოხიდან სიმღერისა.
ეს ხომ, გმირის გალობაა
შალვა ახალციხელისა!!
ჯავახეთში იზრდებოდა
ყრმა, მთვარის და პირი მზისა.
საგმირონი დაგვრჩა ერში,
შალვა ახალციხელისა!!!
ერთგულება სამშობლოსი,
რწმენა მართლმადიდებლისა.
სამრეკლოდან ჰანგი ისმის
შალვა ახალციხელისა!!
კაცს ბუმბერაზს უმშვენებდა,
მკერდს ნადები სული ღვთისა.
გულიც მამულს შეწირულის
შალვა ახალციხელისა!!
შავლეგოა ქართველების
ჰიმნი, ლომგულ მეომრისა
ეს სიმღერაც ტაძრად გვიდგას
შალვა ახალციხელისა!!
განა ჩვენმა წინაპრებმა
დაგვიტოვა აზრი სხვისა?!
შავლეგოთი საქმე გვამცნო
შალვა ახალციხელისა!!
აი! –ასეთ ქართველებმა
შეგვინახეს ერი ღვთისა.
დღეს რწმენითაც რომ ვამაყობთ
შალვა ახალციხელისა!!
შენ, მამულო, დაჭრილი ხარ,
გულ-მკერდიდან სისხლი გდისა.
დაღს სიმღერა მოგიშუშებს
შალვა ახალციხელისა!!
„უფალო" დღეს როგორ გვიჭირს,
მხარში დგომა, ღვიძლი ძმისა!
როგორც გვახსოვს წარსულისა
შალვა ახალციხელისა!!
დიდ სახელმა მიაღწია
ნაწამებმა, მრავალს გზისა.
ეს სახელი „შავლეგოა"
შალვა ახალციხელისა!!!

ხნეული სული

სულის მკურნალად შამყრიან
ვაზი, ლექსი და სიმღერა.
აცხონოს ღმერთმა პირველად
ვინაც ჩაკრულო იმღერა..
ვინაც დასწერა ხბოს ტყავზე
ვეფხვის და მოყმის ბალადა,
გაიმეორა სულმნათმა,
შოთა რუსთველის დარადა..
ვაზო – ვინ შემოგედრება
მბრძანებელი ხარ სუფრისა,
მიწიდან წმინდა სისხლს გვასმევ,
მართლმადიდებლებს უფლისა..
სიმღერავ, შენი მონა ვარ,
ვერ შეგელევი ვერადა,
დევნილი გადამაქციე
მწარე ლექსების წერადა.
მინდა, ჩემს მამულს ვუმღერო,
ბაღი გამიხდა ველადა.
იქნებ, სიმღერავ, შენ გახდე
ჩემი დარდების მხსნელადა!!!

ჩემი ხეობის წმინდანებს

ქსნის ხეობას ეფინება,
მზის სხივი და შუქი მთვარის.
ეს მფარველთა ნათებაა
შალვასი და ელიზბარის..
მთებზე თეთრად მოხვეული,
ნისლია თუ კვამლი ადის?!
არა!-ბალღავ, ეგ სულია
შალვასი და ელიზბარის..
ჭადრებს არხევს გარიჟრაჟზე
დილის სიო, ტალღა ქარის.
შალვასი და ელიზბარის..
წმინდა ხატი შეფრენილა
სალოცავად რქებზე ხარის,
ეს „ლომისის" სიწმინდეა
შალვასი და ელიზბარის..
მარცხნივ კლდეზე აღმართული
„სამებაა" ოქროს კარის.
დღეს ხეობის მფარველად დგას
შალვასი და ელიზბარის..
იკორთაში მიწა იძვრის,
გუგუნია მთის და ბარის.
წმინდა ძვლების ბორგვა ისმის
შალვასი და ელიზბარის..
აგერ ხოფის წითელ გუმბათს,
ორი მტრედი ჯვარზე აზის.
დღეს ორივეს სული ტირის
შალვასი და ელიზბარის..
აქ მესამეც მოფრენილა
ესეც მათი ფერის არის
კახეთიდან ძმა მოსულა
შალვასი და ელიზბარის..
ბიძინაა მტრედის ფერად,
იმედს გვიწნავს გულში ხვალის.
დღეს ტკივილის ჩამზიარე
შალვასი და ელიზბარის.
ქსნის ბოლოში მუხრანისას
ჭალას თეთრი ბუღი ასდის.
სალოცავად აღმართულა
წმინდა სული ქეთევანის..
წმინდანების აკვანი ხარ,
ქსნის ხეობავ შენ მარადის.
მუხრანს, ქალ- ღმერთს „ქეთევანის,"
შალვასი და ელიზბარის..
ბახტრიონის კედელს ადევს,
დამღა შუბის, კვალი ხმალის.
ეს ქსნელების ჩუქურთმაა
შალვასი და ელიზბარის..
ქსნის ხეობის ერისთავნი,
მსხვერპლი გახდნენ თათარ-ხანის.
იკორთიდან ზარი რეკავს
შალვასი და ელიზბარის..
ნეტავ ძვლებს თუ ეღირსებათ,
წმინდა მიწა ქსნისა მხარის.
სადაც აკვანი გადირწა
შალვასი და ელიზბარის..
მინდა ქსნის ხევს ამშვენებდნენ
საფლავები, მათი გვარის.
რწმენას წმინდად შეწირულნის,
შალვასი და ელიზბარის..

გუკა ბერიძე

•

ბობოქარია ეს ქვეყანა ამბიციებით
ყველგან ტკივილი შეცდომა და ცოდვაა!
ბობოქარია ეს სამყაროც ცოდვების გროვით
და ჩვენც შევცოდეთ,როცა ტკივილს ვუწოდეთ შველა!

ბობოქარია სამყაროც და ის ლოცვაც ჩვენი!
სადაც შეცდომა ღმერთის რწმენით გამოვასწორეთ!
ბობოქარია შენდობაც და მონანიებიაც
და ჩვენი რწმენაც უღირსია ვით მოგონება!

რატომ არ ვცდილობთ სიხარული ვასწავლოთ ყველას?!
რატომ არ გვინდა ჩვენი რწმენა იყოს მარადი!
რატომ არ ვცდილობთ შეცდომამდე ვუშველოთ თავებს
და არ გვინდოდეს ტირილი და შვების ცრემლები!

რატომ არ ვცდილობთ,რომ ვუშველოთ ყველა „მორწმუნეს„!
რომ მონაცრულა მათი სევდა როგორც ღრუბელი!
რატომ არ ვცდილობთ,რომ ვასწავლოთ ლოცვა მარადი!
რომ იღაღადონ! სიმღერისგან გულიც სტკიოდეთ!

ბობოქარია სამყაროც და ის ლოცვაც ჩვენი!
სადაც შეცდომა ღმერთის რწმენით გამოვასწორეთ!
ბობოქარია შენდობაც და მონანიებაც
და ჩვენი რწმენაც უღირსია ვით მოგონება!

ვცდილობ ჩავკიდო ჩემს შეცდომებს ხელი ძლიერად!
ვცდილობ ვუშველო და განვკურნო მონანიებაც!
ვცდილობ უცრემლოდ დავივიწყო ის მოგონება...
და სიხარულით ავიკენწლო გავუშვა სადღაც!

როგორ არ მინდა ვითომ რწმენით სისხლი მოვწამლო!
როგორ არ მინდა შეცდომები რომ ვაღიარო!
როგორ არ მინდა რომ მტკიოდეს შენი შეხება
და სიხარულით ჩავანაცვლო შენი ხატება!
მე ვაღიარებ...!

ბობოქარია სამყაროც და ის ლოცვაც ჩვენი!
სადაც შეცდომა ღმერთის რწმენით გამოვასწორეთ!
ბობოქარია შენდობაც და მონანიებაც!
და ჩვენი რწმენაც უღირსია ვით მოგონება!!

მანანა ზაზიკაშვილი

ფრთები გავშალე

რამდენი რამის მომსწრე ვარ,
დამშორდა ლაღი ბავშვობა,
აღარც კი მახსოვს სიცელქე,
უდარდელობაც დამშორდა.
წინ გზები, ვრცელი გზებია,
მივდევ, მივყვები გზაშარებს,
თავზე აპრილმა დამთოვა,
საფრენად ფრთებიც გავშალე.

ქარი ჩადგება

ქარი, ფრთაძაღლი ჩადგება,
მზეც ჩქარა გამოანათებს,
და სიყვარული, მე შენი,
შენი სახლისკენ გამაფრენს.
ვერას დამაკლებს ვერც თოვლი,
ვერც ყინვის ბაქიბუქია,
ოღონდაც, გზას მინათებდეს,
მაგ შენი თვალთა შუქია!!!

ყვავილნარი შენი

(ლია ქვარიანს)

თვალს ახარებს,
გულს ახარებს,
ყვავილნარი შენი,
ქვარიანთა დედოფალო,
გარჯა მაგრად გშვენის.
გადმოგხედავ, შრომაში ხარ,
გულს ხალისით მივსებ,
ყვავილები სიხარულით
გიღერებენ კისრებს.
მეც შევხარი შენს
ლამაზ ბაღს,
ზამბახებს და ვარდებს,
ქლიავები, ალუბლები...
მიქარვებენ დარდებს.
სულ შრომაში გაგელიოს
წლები, კიდევ ასი,
სიხარულით აგვსებოდეს
უკვდავების თასი!!!

08. 03. 2016 წ.

შენც შეგიყვარდი?!

რაც თავი მახსოვს,
შენი ნახვიდან,
ჩემი ცხოვრება
გახდა იოლი,
საქმე გამიჩნდა,
ქვეყანა მიცნობს,
სულ ჩემს წისქვილზე
ასხამს იორი.
შენი ცხოვრებაც
უფრო აეწყო,
მგონი, შენ ჩემთვის
გაჩნდი, გვიანა,
არ გიყვარვარ და
მაინც ყოველთვის,
მხვდები და, თითქოს
თავაზიანად.
შენი დანახვა
სიხარულს მმატებს,
შენი აჩრდილი მუდამ
თან დამდევს.
ახლა?! ეჭვები შეგატყვე გულში,
შენც შეგიყვარდი?!
ვიგრძენი გუშინ.

10.02.2016.წ.

ოცნების კოშკი

ქარი ეცემა ცის ტატნობს,
ღრუბელი ცხრა მთას გადიარს,
მიწას მოსწყინდა ამდენი
უცოდინარი გადია.
ზოგი ოცნების კოშკს აგებს,
ზოგი აგებდა ხერთვისსა,
მეც მინდა ლექსი დავწერო,
პატარა მაინც, ჩემთვისა.
დღეები ისე გარბიან,
როგორც ზეცაში ქორები,
ყველაფრის მოსწრება მინდა,
თუ არსად ჩავიქოლები.

ზამთარი მიდის

ზამთრის დღეები შემოკლდა,
ძვლები გაუთბათ ნუკრებს,
ალბათ გულთეთრა მერცხალი,
ჩვენსკენ მოფრინავს უკვე.
მალე ნარცისიც ამოვა,
დაიბუხუნებს მუხაც,
ყველა მინდორში გავა და
მიატოვებენ ბუხარს.

ნიკო ბაღაშვილი

ხიხმარი

(მანანას)

მთელი ღამე დავფრინავდი ცაში,
არა მქონდა დარდი და არც სევდა,
ნარნარებდა ატმის ჩერო ბაღში,
ალბათ მასაც შენი შუქი სდევდა.
ნატვრის ხიდან დამნათოდა მთვარე,
ახდენილი ოცნება რომ ვთვალე,
სიხარული გულში სხივად მენთო,
ცხონებაა ეს ცხოვრება, ღმერთო!!!

მონატრება

შენი მოუსვლელობით
გული შევიჭამე,
შენი უნახაობით
ბევრი ცრემლი ვღვარე...
მიყვარდი და მიყვარხარ,
სხვაზე ვერ გაგცვალე...
მოდი ჩემთან, ძვირფასო,
გული გამიხარე!
დავდივარ და დაგეძებ
მთელ ქალაქში მარტო,
ჩემო სულის ნაწილო.
შენს დანახვას ვნატრობ!
სად, სად აღარ გეძებე,
ვერსად დაგინახე,
შენი უნახაობით
ჩამომტირის სახე!

კლდეებსაც შევეჭიდები

რა ვქნა, ძალიან მიყვარხარ,
გული დარდისგან მელევა,
შენს ნაცვლად სიცოცხლეს დავთმობ
და ასე ვიტყვი:-მერე რა!
კლდეებსაც შევეჭიდები,
ოღონდ შენი ხმა მესმოდეს,
შენა ხარ ჩემი იმედი,
შემყვარებიხარ ესოდენ.
სულ შენზე ფიქრში გავლიე
ჩემი ცხოვრების გზაწვრილი,
უშენოდ მე რას ვივარგებ?
შენით ვარ, თითქოს არწივი!

ბავშვობა ირბოშიკში

კარგი იყო გუდის ყველი,
დედის ცხელი ლავაში,
გაკროლილი კაკლები და
შვილდისარი ქამარში.
ღობე-ღობე ხეტიალი,
გოგონებთან ანცობა,
სტუმრად მყოფი ქალაქელის
მეზობელთან გაცნობა.
ის ბავშვობის გატაცება
დღესაც ისევ მახელებს,
სიდინჯეს და ვაჟკაცობას
ვინ გვასწავლის კახელებს?!

მიყვარს ჩემი ბათუმი

მიყვარს ჩემი ბათუმი,
მიყვარს მახინჯაური,
ქათქათა ზღვის ნაპირი,
მატარებლის ხმაური.
ბავშვთა ჟივილ-ხივილი,
თოლიების გნიასი,
გაღიმება მეზობლის
ციცქნა თამუნიასი.
ამდენი ლამაზმანი
აქ საიდან სადაო,
ჩემს მეგობრებს, რატომღაც
გახდომიათ სადაოდ.
მიყვარს ჩემი ბათუმი,
მიყვარს მახინჯაური,
მატარებლის გრიალი,
ზღვის ტალღების ხმაური.

ნათია სირაძე-კახიძე

სურვილი

როცა ლექსს ვწერ და ვარ ლექსთან მარტო,
უნდა იცოდე... რომ მაშინ გნატრობ
მინდა მოხვიდე... შემეხო ხელით
მე ვიყო ნაზი... სულ ვარდისფერი
იყოს სიჩუმე... გულების თრთოლვა.
გარეთ კი წვიმდეს...ან იყოს თოვა...
იყოს სამყარო ცის და მზის ფერი,
და არ დამთავრდეს ეს ყველაფერი...

ღამე კახეთში

კარალიოკებს ათოვდა ღამით,
ცას უხდებოდა ჩუმი სითეთრე,
სახლს ადგა შუქი მიბნედილ მთვარის
შენ კი ნატრობდი იმ დროს იმერეთს.
მე კი კალამი მეკავა ხელში
მათრობდა ჩუმი და თეთრი სევდა,
მენატრებოდი დეკემბრის თვეში
მენატრებოდი, ვფიცავარ დედას.
ვწერე და ვწერე ლექსები მაშინ
მთვარე მტოვებდა, შორს მიდიოდა,
თუმც მინათებდა მე შუქი ლამპის
მაგრამ რატომღაც გული მტკიოდა.
და საოცარი სიჩუმე იდგა,
როგორ ათოვდა იმ ღამეს კახეთს,
ჩვენს შორის იყო მესამე ვიღაც
და ჩვენს სიყვარულს უგებდა მახეს.
შენ კი, ძვირფასო, თეთრი ლექსებით
ეფერებოდი თურმე იმერეთს,
ცივ დეკემბერში იქ ისვენებდი
და გაოცებდა თოვლის სითეთრე.
კვლავ შორეული და ჩუმი თრთოლვით
ვუალერსებდით ჩვენს თეთრ ზმანებას,
შენ რომ წახვედი, მე მაშინ მოვკვდი
მაშინ ვიგრძენი გარდაცვალება.
კარალიოკებს ათოვდა ღამით,
ცას უხდებოდა ჩუმი სითეთრე,
როგორ მტკიოდა, მტკიოდა მაშინ
შენი წასვლა და ყოფნა იმერეთს!!

•

ისე წახვედით, ვერც კი იგრძენით
დუმილმა გული როგორ დასერა,
თქვენ ცეცხლი დაგრჩათ ჩასაქრობელი
ჩაქრობა როცორ არ გაგახსენდათ!
მეკიდა ცეცხლი, ვიწოდი ცეცხლში
ცეცხლით დამწვარი ტკივილს მაჩვევდა,
და იყო ქვეყნად მაღალი ღმერთი
ვინც მე ნამდვილად გადამარჩენდა.
და მაინც... სული იყო ძლიერი
ცაში აფრენას ის არ ლამობდა,
ყველა ტკივილი, ცეცხლით დამწვარი
უკანასკნელად თქვენს გულს ნატრობდა.
განელდა ცეცხლი, დაცხრა ტკივილი
მე სინანულის ცრემლი მდიოდა,
აღმერთებული ჩემი სხეული
თავის უიღბლო ხვედრს დასტიროდა.
ეს იყო ბოლო წამება ჩემი
უხმო ოცნება სადღაც მიქროდა,
იყო ცოდვები მრავალიც... ერთიც...
და ყველა ცოდვა მე თან მიმქონდა..

•

გასაოცარი სწორედ ის არის
რომ მე შენამდე ვერ მოვაღწიე,
იქნებ მოვედი, შეგეხე ხელით
შენ ყურადღება არ მომაქციე.
ძვირფასო, ალბათ ზმანება იყო
ზმანება იყო ისეთი ტკბილი,
გამოღვიძება აღარც მინდოდა
რა გაუძლებდა უშენოდ ტკივილს.

18 ივნვარი ჩემი დაბადების დღე

მე გადავიხდი დაბადების დღეს
და იქვე გავშლი პატარა სუფრას,
ჩემი და შენი გაჩენისათვის
მადლობას ვეტყვი მაცხოვარს, უფალს.
შენ მოხვალ ჩემთან თეთრი ვარდებით
მინდვრის ყვავილებს ჩამაწნი თმაში,
და ბედნიერი ამაყი ქალი
გავხდები უცბად პატარა ბავშვი.
როგორ არ მსურდა დაბადების დღე
გადამეხადა კარგო უშენოდ,
დღეს ყველაფერი უნდა შევცვალო
აღარ ვიცხოვრებ აწი უგეგმოდ.
სულ სხვა თვალებით შევხედავ ამ მზეს
შენი სურნელი დამათრობს უცბად,
რაღაც საოცრად გამიხარდები...
და შენს ნაფერებ პატარა ხელში
ათრთოლდებიან თეთრი ვარდები
დღეს სულ სხვა ქალად გადავიქცევი,
ცხოვრება ვეღარ დამჯაბნის მერე
ეკლიან გზაზეც არ წავიქცევი.
დღეს გადავიხდი დაბადების დღეს
ღიმილით გავშლი პატარა სუფრას,
ამ ქვეყნად ჩვენი გაჩენისათვის
მადლობის მეტი რა ვუთხრა უფალს!!

•••

ვუძღვნი ძვირფას დედას

რაც შენ მოხუცდი
 და დაუძლურდი,
მე იმის შემდეგ
 ძალა დავკარგე, დედი!
შეიძლებოდეს ნეტავ
 უკვდავების წყალს
მე მოგიტანდი მკერდით.
შენით ვისწავლე ეს სიყვარული
შენვე მასწავლე ლექსების წერა,
და ეს ლამაზი... ტკბილი სიმღერა.
მე შენით მიყვარს სახლი და კარი.
მე შენით მიყვარს შვილი და ქმარი.
შენ შემაყვარე დედა-ბუნება
და ჩვენი სულის-გაუკვდავება.
სიყვარული ხომ-უკვდავი არის,
უკვდავი არის-სონატა მთვარის,
აი, ეს ჩემი ცრემლები არის,
გესმის? დედიკო-ჰანგები ქნარის.
როგორ გაფრინდა წლები წამივით
მე ახლა ვტირი დედი, ბავშვივით.
დიდ ბავშვად დღემდე მე შენით დავრჩი
მიყვარდა შენი... კაბები ფარჩის.
უნდა მოგხედო... უნდა გაცოცხლო
მინდა ჩაგიდგა-უკვდავი სული,
მე რომ ვარსებობ, შენით ვარსებობ
შენით მახარებს-ეს გახაფხული!1

•

ვუძღვნი წმინდა ნიკოლოზის ტაძრის მრევლს,
პოეტს, მწერალს, ჩემს მეგობარს ქ-ონ ნელი ქველაძეს

ქალი ანტიკვარი,
ქალი-რელიქვია,
ასე გულით მე ჯერ
არვინ შემიქია.
ღმერთის სიყვარულით
ანთებული დადის,
თქვენი გული ბრწყინავს
თქვენ განძი ხართ ტაძრის.
ზოგჯერ-სულიც გტკივათ
ზოგჯერ-ეულიც ხართ,
მაგრამ ეს იცოდეთ
უფლის რჩეული ხართ.
მემატიანე ხართ
წიგნის აღმწერელი,
სულ უფლის გზით გევლოთ
ქალბატონო ნელი.
ხომ გსმენია, დაო
როგორ მღერის გედი,
ეს სიყვარულია
სწორედ გადამდები.
პატარაა ოქრო
მაგრამ ძვირფასია,
გულიც ერთი არის
განა ათასია?!!!

ნელი ქველაძე

ბავშვობის ხიდვა

(ხალხურ მოტივზე)

ო, ტკბილო ახალდაბაო,
ვირბენდი ფეხშიშველაო,
მეყო სასწორზე დებაო,
მომბეზრდა უშენობაო!
მანდ დარჩა ჩემი ბავშვობა,
გვიმრებში გადახვეული,
ნეძურას ჩხრიალს დაჰყვება,
სიზმრები გადარეული...
ვერვინ მომასწროს სისხამზე,
მზის ამოწვერვის ხილვაო,
„ბებერა სერხე“ მიდგია
კარავი მარტიხელაო;
წამოვხტებოდი რიჟრაჟზე
„ქიმერეთს“ მაყვალს მოვკრეფდი,
პირს დავიბანდი ჩანჩქერზე,
„ფოთოლეთს“ გავფრინდებოდი,
ჩამოვივლიდი ჭონაზე,
„ნარუჯში“ ვიოცნებებდი,
კვლავ შევდგებოდი ბორანზე
თვით მტკვარსაც გავაოცებდი;
გეტყოდი, ძლიერ მიყვარხარ
არ მინდა უშენობაო,
ერთგულო, ნავთსაყუდარო,
ჩემო ლხენავ და შვებაო!
გაგნახლებოდეს სოფლები:
ნეძვი და წითელხევაო,
და მტკვარზე კიდევ მეხილოს
ძველი ტივების რხევაო!
მუხლებს მოვიყრი საფლავზე,
წინაპრის ხსოვნის წინაო,
ტოლ-სწორსაც მივეფერები,
ნეტავ, დამიხვდნენ შინაო!
გადაწყდა, უნდა ვიჩქარო,
მხოლოდ შენ გძალუძს შველაო,
მოვდივარ, გულში ჩამიკარ,
სამოთხევ, ჩემო შვებაო!

2000 წ. მაისი.

მონატრება

ო, ახალდაბავ, მშობლიურო, ტკბილო სიზმარო...
შენსკენ მოვფრინავ, არასოდეს აღარ გამწირო,
მსურს მთების ზემოთ, თეთრ ღრუბლზე გამოვიზამთრო,
ერთად გავფრინდეთ ცის ლაჟვარდში თეთრო არწივო!
მთვარის ბადეში მონუსხულო, რუხო სერებო,
უღრან ტყეებში მონავარდე, ფრინველნ-ნადირნო,
მინდორ- ველებში ჩაქარგულო, ტურფა-ყვავილნო,
უფალს შევნატრი, თქვენით ტკბობა კიდევ მეღირსოს!
ცივ ნეძურაში მოხტუნავე, ცქვიტო კალმახო!
მოწნულ ფაცერში გახლართულო, თევზო ცოცხალო!
წყალო მკურნალო, ყოველ გოჯში ამოხეთქილო!
აქაურთა და იქაურთა განმკურნებელო!
გაღმა კლდეებზე მოგრიალე ბროლის ჩანჩქერო,
თავსხმა წვიმაში ამღვრეულო მტკვარის ტალღებო,
ჩანგრეულო და აღმართულო, მტრედის ხიდებო,
იმ ბეწვის ხიდზე ნეტავ გასვლა კიდევ მეღირსოს!
წმინდა ტაძარნო, მტკიცე რწმენის მომნიჭებელნო,
მამა-პაპათა სამოსახლო, ძველო კერებო,
ციხე-გოდოლნო ერთგულებით მოდარაჯენო
გეთაყვანები, ჩემი სახლის, მუხის კედლებო!

მაისი 2002 წელი

გზაფხულზე მაისობ

(ჩემს ქეთის)

მე გაჩუქე სიცოცხლე,
სიყვარული ცხოველი,
გაგიხადე საფიცრად,
ძველი სვეტიცხოველი;
მოვიარე მთა-მდელო,
ნაბიჯ-ნაბიჯ გატარე,
მადლიანი საქართველო,
ფეხით შემოგატარე!
ვარდი გაზის ბაგეზე
გაზაფხულზე მაისობ;
ცისკარივით სახეზე
სულ ღიმილით აისობ;
თავიდანვე ნათელი
როგორ გაჩნდი ასეთი?
ღმერთის მადიდებელი,
სულ სიკეთის მთოველი....
სულით, ხორცით უზადოს,
ბუნება გაქვს გამტანი,
უფალმა გაგიზარდოს
გიორგი და ნესტანი!
მუდამ გქონდეთ იმედი,
სიყვარული ულევი,
საქართველოს ედემის,
ამერის და იმერის!

სიკეთის სხივი

ჩემს დას-ციცინო ქველაძეს
სიკეთის სხივმა შეგიკრა გული,
მოყვასისათვის დნება და იწვის,
ხან სათნოებით გამორჩეული,
და თავიდანვე სხვისათვის იღწვი
რა კარგი იყო ჩვენი ბავშვობა
ფეხშიშველები დავრბოდით გზებზე,
სულ ლხინი იყო, ცეკვა-გართობა,
ვირუჯებოდით ცხრათვალა მზეზე
გავაღვივებდით კერაზე მაყალს,
წყაროზე დოქით მიჰქროდი მარდი,
წითელხევაში მოვკრეფდით მაყვალს
და ვინ იცოდა რა იყო დარდი?!
წყალს მიაპობდი მტკვარში მკლავურით,
ტრიალს იწყებდა ბურჯებში ტალღა,
თავს ამოყოფდი მეორე ნაპირს
შენ არ იცოდი, რა იყო დაღლა!
ჩემო ვაჟკაცო!-გეძახდა მამა,
და მიირბენდი მასთან ფრიალით,
მისით ვიგრძენით ბუნების გამა,

გაგვიბრწყინდა მთა-ველი

ჩემს შვილიშვილებს-
გიორგი და ნესტან მახარაშვილებს!

თვალბრიალა ყმაწვილი,
გვარის გამგრძელებელი,
დაიბადა ზაფხულში,
გაგვიბრწყინდა მთა-ველი;
მოსახელე წმინდანის,
ვაჟკაცური, მხარგრძელი,
წელსაც ფრიადოსანი,
მოსწავლეა პირველი!
უყვარს მასწავლებლებსაც,
ზრდილია და ჭკვიანი,
ძეგლები შეისწავლა
ადრეული, გვიანი...
პაპამ სახლი აუშენა,
ფართოა და მზიანი,
უყვარს ქსანში ბანაობა,
მკლავის მოსმა ფხიანი;
ლორწომის კლდეზე ავიდა,
გადმოგვხედა მაღლითა,
ქსნის ხეობა დახატული,
გადაშლოდა თვალწინა,
დაიკო ჰყავს, ნესტანი,
ღმერთმა არა დააკლო,
მშვენიერი, კენარი,
მოხდენილი, უნაკლო;
ვით ნაზი ნიამორი,
ნორჩ ბალახზე მავალი,
გაფრენილი ისარი
მოკაშკაშე ვარსკვლავი
გიორგი და ნესტანი
დედის ნატვრისთვალია;
მამის თვალისჩინია,
ქვეყნის მომავალია!

2002 წელი, ივლისი

მისგან გამოგვყვა ლექსის ტრფიალი;
ახლაც თან დაგვდევს დედის სახება
სათნოებასთან შენივთებული,
რამდენჯერ გვიხსნა მისმა ხატებამ,
როცა ვიყავით შეჭირვებულნი;
რა მძიმე იყო ორივემ ვიცით,
შენთან ობლობის თანაზიარმა,
შენ ყველაფერი იყავი, ციცი,
ჩემთვის დაც, დედაც, მზრუნველი მამაც!
მადლობა უფალს! ვართ ისევ ერთად,
გამოვიარეთ ათასი ჭირი,
ოღონდ, შენ მყავდე ჩემდა იმედად,
დე, იყოს თმენა და გასაჭირი!

2000. წელი. ივნისი.

თინათინ კაპანაძე

***

ასე ხშირად ვბრძოლობთ მე და მონატრება,
როგორც იაკობი ერკინება უფალს,
მაგრამ არაუშავს,
არ ვარ მოღალატე
და არც მარგარიტა,
დრო ვერაფერს იზმს.
ხოდა დამიჯერე
ყველა უძლურია,
ყველა უძლურია
თუკი მართლა გიყვარს,
წლები გაივლიან,
რა არ გადაგხდება,
ვინ არ გამოჩდება,
გზა სად არ მიგიყვანს,
მაგრამ ყველაფერი მოჩვენებითია,
უნდა გავატანო დარდი
მონაბერ ქარს,
თორემ სირცხვილია,
მართლა სირცხვილია მოღალატე ერქვას ახლა ჩემნაირ ქალს...
შენი ზმანებაა სულში ჩასახული,
მაგრამ როდემდეა რომ გაუძლებს გული,
ვბრძოლობთ ისევ ისე
მე და იაკობი
და უცნაურია ჩემი სიყვარულიც...

***

ჰადესს მიყიდული სულით და გრძნობებით
ნუ დამელოდები, მორჩა!
გეტყვი რომ ქვესკნელის ზევიდან სამყარო
სრულიად სხვაგვარი მოჩანს...
არესის გამართულ უგვანო ბრძოლაში
არ გამოიდო თავი,
ჯობია იყო მკვდარი და ცოცხალი,
ვიდრე ცოცხალი მკვდარი.
და თუ თანატოსი სიკვდილს დაგიპირებს
თუ კი გიღალატებს ჰერაც,
შენში ჩასახლდება შურისძიება და
ცივი გაგიხდება მზერა,
მაშინ გაიხსენე არის აფროდიტე,
ზურგი შექაციე მდევარს..
ღმერთი გაგიხდება მერე ასტრეაც და
მაშინ დამარცხდება ყველა...

***

ზოგჯერ მგონია, რომ ზეცა ჩამოწვება,
მიწა გაეცლება ვფიქრობ დედამიწას,
თუ კი გახმაურდა, თუ კი გამომჟღავნდა
შენი არსებობა რა უღმერთოდ მიყვარს.
ტანო ტატანოთი ველი განთიადებს
უნდა მომიტევოს ყველამ ჩემი გრძნობა,
ახლა ყველაფერი უსასრულობაა,
ისე შეფერილი როგორც უაზრობა...
აპოსთაზებია ჩემი ნაბიჯები,
ბზარი გაჩენია უკვე ყველა რწმენას,
მაგრამ დამიჯერე არვის შეუძლია
ქვეყნად უღმერთოთა გადარჩენა.
რადგან, ტკივილია უკვე ამოსუნთქვაც
ისე მიმაჩვიე ფარულ მონატრებას,
შენი ჩქამის, ბგერის, სუნთქვის წარმოქმნისას
გული გამალებით დაუნდობლად მირტყამს.
მიდი, ამოიღე ნაცნობ კარადიდან,
მიგდებული შენი ძველი მეგობარი,
ტყვიანაკლულია, მხოლოდ ერთი დარჩა
მე კი შენ წინ ვდგავარ და ვამბობ - მომკალი!!!

***

მტკივა უშენოდ არსებული მთელი სამყარო,
გარიჟრაჟიდან დაწყებული გარიჟრაჟამდე...
ვიდრე ფილტვებში ძალა რჩება კიდევ სუნთქვისა
ვიდრე ბილიკი არ მიმიყვანს სადღაც სხვა გზაზე,
სულის საზღვარზე...
მე ვფიქრობ შენზე...
და სანამ კიდევ არსებული გადაგორდება
სანამ წაიღებს მოჩვენებებს წლები ქარწყლებით,
ნაცნობ ქუჩებზე მირაჟები არ გაჩერდება,
ნაცნობ ხეებთან ფოთოლივით დაგვიანდები-
შენ გვიანდები,
მიგვიანდები...
უშენოდ მეთქი ვყვირი ასე დაუსრულებლად
უშენოდ მეთქი ეს სამყარო მხუთავს მაგიჟებს
და ვიდრე ყელში მომჭირდეს ბინძურ მარწუხებს,
და ვიდრე შენზე ფიქრი
ტკივილს კიდევ აყუჩებს
მოდი...
მოდი და წამიშალე უყველაფრობა,
უშენობისგან ნაბოძები უყველაფრობა...

ცისნამი უტარაშვილი

მღვდელი თევდორე

საით მიფრინავ პეპელავ,
რად ჩაუქროლე დილეგსო,
რა დააშავა ქართველმა,
მისთვის მახვილი ილესოს.
ან თუ ერია პატარა,
განა ეს დასაწუნია?
ოქროც კი პატარა არის,
მაგრამ შიგ გაზაფხულია.
ოქროს ვერძია რქახსნილი,
ოქროს მტევნების რიდესო,
რა გვმართებს შენი ოსმალო,
რატომ მიჰქრიხარ ცხირეთსო?
მღვდელი თევდორე შემომხვდა,
მთა-მთა ჰყვაოდა იები,
ერქალოს მთაზე იწვოდა,
მიწა თავისი მძივებით.
გათოკილ იყო ისეთი,
თითქოს ლურსმები მიესოთ,
მეგზურის ჯაჭვი ეკიდა,
ერს ავედრებდა იესოს.
კველთელი მღვდელი თევდორე,
ღვთისგან ელოდა იმედსო,
მეფე ლუარსაბს ცხირეთში,
ჩიტი ვერ შეუფრინესო.
გზა აურია მეგზურმა,
ცრემლით ატირდა იელი,
შვიდი საათი ატარა,
ოსმალოს ჯარი ცბიერი.
ბოლოს კი თავი მოჰკვეთეს,
ტანი ხევს გადაჰკიდესო,
სამშობლოვ, მაგ ლამაზ მკერდზე,
სისხლმა როდემდე იღვენთოს!

23.02.2016.წ.

გიორგი სსაკაძე

ზოგმა სამშობლოს სიყვარულს,
მთლად დააწურა ფიალა,
ზოგმა კლდეკარი გაყიდა,
თავისი სოფლებიანად.
სამშობლოს დიდო სარდალო,
შენ, საქართველოს კარიბჭევ,
შენ სააკაძე გიორგი,
შვილი გასწირე არ იმჩნევ.
შვილი პაატა გასწირე,
სამშობლოს დედის ძუძუში,
ყორჩიღა-ხანი ალაგმე,
სპარსელებს გადაუდექი.
საბედისწერო სასწორი,
ქანაობს მარტყოფს, მარაბდას,
სამოციათასი სპარსი
სულ გაუწყვიტე შაჰ-აბასს.
მტერს გაუფანტე იმედი,
ერს მოუშუშე იარა,
სამშობლო წამოაყენე,
ვით დაზაფრული ხვიარა.
შურიანობა აღზევდა,
ჭირმა შეგიკრა იარა,
ახლა სტამბულის ომებმა,
შენს მხრებზე გადაიარა.
მტრის საბუდარში სიცოცხლის,
გადაგიწურეს ფიალა,
სად წევხარ, რომელ საფლავში,
თუ ზეცამ აგაფრიალა.

23.02.2015.წ.

ბსსკა ხერხეულიძე

ვით ტევრში წყარო გულგადახსნილი,
ვით მთებზე ნამი იის საგუბრად,
ისე გვჭირდება სიკეთის წამი,
რომ შევაგებოთ მამულს საჩუქრად.
რაა სიცოცხლე, თუ არ გაქვს გონი,
ერთგულ მეგობრის გადასარჩენად,
ისე ყვავილი არსად ამოდის,
თუ მზე ფერადად არ გადაღებავს.
გხედავ, ბააკა ხერხეულიძევ,
შენ سااკაძის უბელო მხედარს,
მაგ გულს გილოცავ მკერდში რომ გიძგერს,
სანთელს აგინთებ ცამდე რომ ელავს.
არ შეუშინდი თავადთა რისხვას,
არც შადიმანს და არც მისნაირებს,
გიორგის სისხლი თუ არ დაიქცა,
და მისი გული მოინადირე.
ამით მარტყოფი გადაარჩინე,
ამით მარაბდას სული ჩაუდგი,
შენ საქართველოს ღვიძლი შვილი ხარ,
ცად უფალს შეხვდი როგორც რაინდი.

08.03.2016.წ.

გურამ გედევანიშვილი

ხიდვები ხალიჩასთან

შევსცქერდით ხალიჩის უცნაურ ნაქარგებს,
დაგვათრევს რადგანაც ყისმათი ბედისა,
ხალიჩის ნაყშებზე ოცნება აღვმართეთ,
ოცნება სამყაროს ცრუ-არაფერისა.
იხსნება ნაქარგი, ნაქარგში თითები,
თითებში ელდენთა მოდენა ბობოქრობს,
ხეთები, შუმერი, ქალდეა, სკვითები
და უცხო პლანეტის ბინადარნი ბოლოდროს.
ისმის გულწამღები წყვდიადის ჰანგები,
ქაოსის ბნელი ხმა ხარხარებს განქრობას,
უსრულო კოსმოსში ყვირიან: დაგვნებდით
და არვის არ უნდა, არაფრის დათმობა.
ფერები ლაჟვარდის ნისლებში ირევა,
მინერვა, ელადა, იზიდა, ნილოსი,
მიფრინავს ხვლიკების მიმსგავსი ქიმერა,
უდაბნო, კამბიზი, სპილო და პიროსი.
ირევა ღრუბელი, იკვრიან ქაფები,
რაშები ჰელიოსს გაექცნენ მისრეთში,
ვენერა ქაფიდან ამოდის ნათებით
და დალი სახლდება გაფრენილ ირმებში.
თვალები ეძებენ დახვეულ სპირალებს,
მიწამდე შორია, ბაგეთა ვარდებით
ვნებები ქალწულთა რაინდებს მიანდვეს
და ხილვის მირაჟით ჩნდებიან ლანდები.
დროება ირევა, ვით მღვრიე მორევი,
დროები ჰქრებიან, სივრცეთა კივილში,
ამ ორომტრიალის ვინ არის მომრევი,
ხალიჩის ბინდიან უხილავ ღიმილში.
ვსხედვართ და სილაღით შევსცქერით
ხალიჩას,
დაჩითა, დაწინდა ფიქრიან ქარბუქით,
ალერსის ლოდინით შემოსვლა ნარინჯთა
სევდიან დიაცმა, დაისის დამუქვით.
ცრემლებიც ატყვია, ნატყვიარ დარბაზებს,
ციხეთა გოდოლებს კუპრებიც ასხია,
ქარები, ნიავთა ქროლვებით განაზდნენ
და ნათლის თოვაში შიშვლდება სასკია.

შემოდის სიკვდილი თვალების ირიბით,
ჯოკონდა ქაოსთა მირაჟებს გვთავაზობს,
ღიმილი, ო, უცხოდ დაღუპვის ღიმილი,
სიწმინდე, ო, ვის სურს აზრებით დაზაფროს
მხედრები პირქუში სახეთა ჩვენებით,
საფუხრე-ჩაფხუტით, ფარით და შიმშერით,
ლურჯანი ჯანღიან ნისლიან ფერებით
ტინებში ფრინავენ, მკერდების მიშვერით.
და აგერ ღვთისშვილნიც, ზეციურ ბრიალით,
ცეცხლოვან ლახტებით, მბზინავი შუბებით,
გაისმის რაშების ფლოქვების გრიალი,
საბრძოლო ხივილი, იმედის ნუგეშით.
ხალიჩა ბობოქრობს, ხალიჩა მღელვარებს,
ვერ დალევს სიცოცხლეს, სიცოცხლის მხვრეპავი,
ქიმია შორს არის გაფრენილ გედამდე,
ფიზიკა აგვიხსნის, სულთ სწრაფვას ნეტავი..?
ან, გვითხრას ვულკანთა მფეთქავი დუღაბი,
ვით, ავლენს სიყვარულს, სამყაროს ფეთებად,
გრძნობები ჩაიჭრა, ჩაყვინთა გულთამდი
და სასიყვარულოდ მარადის თენდება.
ხალიჩა იხსნება, ხალიჩა კიაფობს,
ხალიჩას ედება ვარდების კონები,
ოთახში ნინველთა ვნება ჰკრავს ირაოს,
ო, ეს ბიჭუნები, ო, ეს გოგონები!!
ხალიჩას მრავალჯერ, მრავალჯერ ნახავენ,
დახარეთ თავები, ბრძენნო, თავკაცებო,
ჭაბუკნი ცხოვრებას ოცნებით ხატავენ,
გზნება-სიყვარულით, ჟინით, გატაცებით.
ხალიჩაც სთავაზობს უდაბნოდ ოაზისს,
უდაბნოდ ოაზისს, ღიღინა მწვანეთი,
თვალები ბინდდება შორს მონა-ლიზისი,
თვალები მზირალი ლაჟვარდის კაეშნით.
ეს ხდება თბილისში, ეს ხდება ვერეში,
უბანმა გაითქვა ქალაქში სახელი,
წერონი მიფრენენ ნაქარგის ფერებში
იმ ცისკრის მზეებით, იმ ცისკრის ნათელით.

ნანა მესხი

МОЙ ГОРОД

Набережная мне твоя снится,
Чайка над волнами вновь парит
Город мой Сухуми ты как птица,
Птица-Феникс возрадишся из руин.

Улицы твои согреты солнцем,
Море зеленеется вдали,
И цветущие Магнолии и розы
Испускают ароматные пары.

Мой Сухуми-Витязь ты и рыцарь
Город ты и славный и простой
Кто остался жив все любят тебя веря
Что откроешь двери перед ними вновь.

9.04. 15

«НЕ РОДИСЬ КРАСИВОЙ»

«Не родись красивой»
Молвится народ
Просто будь счастливой
Верь оно пройдет

Не играй с любовью
И не предовай
И не будь жестокой
Не любив прощать

Не носи ты маску
Лести или лжи,
Не гневи в ненастьи
Друга жизни ты

И не дай гордыне
Победить тебя,
Просто будь счастливой
И люби себя!

Верь, люби и знай ты
Что счастье рядом тут,
Радуйся минутам
Пролетавшим вдруг...

Счастье где-то рядом
Дышит и живет
Присмотрись, почувствуй
Зделав ты глоток,

И впитай ты радость,
Солнечнего дня,
Посмотрев с любовью
В любимые глаза.

В миг почувствуй вечность
Кросоту, цвета
Радуйся ты жизни
Вечно и всегда.

Поспеши помочь ты
Кто зовет и ждет
Дай тепло и веру
Так как Бог дает.

Отдавай любовь ты
Всем кто есть вокруг,
И не жди взамен ты
Получить за труд...

Счастье где-то рядом
Дишит и живет,
Не пройди ты мимо,
Оглянись вокруг!

ВСЕ МЫ СТРАННИКИ

Все мы странники и все мы гости,
На красивой этой на земле
Нас встречает на рассвете солнце
А луна качает колыбель во сне,

Раскрываются нам двери жизни,
И дары все разные у каждого из нас
И дается нам любовь как испытанье
И воспитывают недуги всех нас...

И приходится преодалеть нам много,
Все ненастья и превратности судьбы,
Не свернуть бы с той тропы и видеть
Где проложен правильный тот путь, найти.

Постояв вдруг у обрыва жизни,
Понимаем как не ценим жизнь свою,
Каждый день из уходящей жизни,
Пробегает кадром на яву.

Мы посмотрим в будущее верно,
Просчитав как зыбки наши дни,
И увидем наше счачтье в ближнем,
И порадуемся преданной любви...

Посидим мы вместе за застольем,
Обогрев и облюбуя всех,
Все мы странники и гости в этом мире
Как прошедший день, как вечер как рассвет.

ივერი თაბაგარი

ციცქნა გოგო

ჩითის კაბა, ციცქნა გოგო,
თუნგი, ღობე, ქაცვის ბარდა,
ოი როგორ, ოი როგორ,
თუნგით ხელში შემიყვარდა.
ჩამოშლილ თმებს წეწდა ქარი,
თრთოდა გოგო ატმის ტოტი,
მე და მუხა ნამეხარი,
სულ ტორტმანით მოვდიოდით.

გაღმით ვიღაც იძახოდა,
უღიმოდა ძახილს მთვარე...
გეთქვა, თუკი არ მოგქონდა,
შენ კი მიწა დაგაყარე.
იდგა თუნგი, თუნგს წყუროდა,
აღარ თრთოდა ჩითის კაბა.
სადღაც ოდა მიგველოდა,
სადღაც სითბო აკლდა საბანს.

დაბადება

თოფმა დაიჭექა სადღაც,
მთებზე დაიღვენთა ღამე...
ნისლი ქედებიდან ადგა,
ზლაზვნით გადაევლო ხრამებს.
მერე, ნაჯაფი ქარი,
ოთხად მოიხარა წელში.
ჩადგა, და ნამგალა მთვარე
რიჟრაჟს შემოაკვდა ხელში.
მთებში ჩაიკარგა ღამე,
როგორც გაფრენილი რაში...
წამი აედევნა წამებს,
ძუძუს მოეკიდა ბავშვი.

ტკივილი იყო

(ბეჟან ხარაიშვილს)

ცის კაბადონზე ჰკიოდა ქორი,
თბილი სურნელი სდიოდა ახოს,
როცა სხვა იყო მუზასთან შორი,
ის იდგა მაშინ მუზასთან ახლოს.
ხვანის ნიავი აკრთოდა თხმელებს,
წყაროს ჩუხჩუხი ითვლიდა რითმებს,
ლექსის საფიცრად, მის გაწვდილ ხელებს
მზე უკოცნიდა ნაზამთრალ თითებს.
ერთგულ ძაღლივით დასდევდა სევდა,
მუზის ედემშიც ამ სევდამ იხმო,
ის სიყვარულზე, ტკივილით წერდა,
რადგან, თვითონაც ტკივილი.

ქალი მზეა

დე...ემს

ქალს, მზისფერი თვალები აქვს ქალს,
ქალი მზეა, თვითონ ცხელი მზის,
სიყვარული ალამაზებს მას,
სიყვარული, თვითონ არის ის.
ქალი დგას და ეფერება ვარდს,
ვარდი ტირის სილამაზე ცის,
ქალი თვალებს ვერ არიდებს დარდს,
რადგან დარდი თვითონ არის ის.
მუზა შვენის თვალცრემლიან ქალს,
ქალს, რომელიც ამოსუნთქვად ღირს,
ლექსით ცოცხლობს,
ლექსით იხდის ვალს,
რადგან თვითონ ლექსი არის ის.
თუ სიკვდილი აამღერებს ქარს,
თუ სიკვდილი მოსთხოვს თავის წილს,
გედის სოლოს არ დაუთმობს სხვას,
ის იმღერებს ლექსად,
მხოლოდ ის.
ქალმა გული გაატანა ქარს,
რადგან ქარმა შეიყვარა ის,
ახლა გული აღარ ტკივა ქალს,
ახლა, მხოლოდ ტლივილებად წვიმს.

თამარ (იამზე) ჭელიძე

ვის ესმის წრფელი სულის ძახილი

პერიოდები ახლა გოდებით
მოდიან ისევ, რას ველოდები,
ლოდინის სახე ჭმუნვის ნაბიჯით
ჩერდება ისევ, რას გავს, არ ვიცი.
შეხლა-შემოხლა და სულის ცვეთა
საით წაიყვანს ყველაფერს ნეტავ.
ო, ველარ ითმენ, სწუხარ და ღელავ,
როგორ აჭრელდა ერთბაშად ყველა.
გასძახი ისევ სიმართლის პატრონს
და ისევ რჩები დაღლილი მარტო.
მიდიხარ ისევ, ულევი გზაა,
უხეშობის და დამღლელთა ხმაა,
როცა სუყველამ აწ მიიძინა.

სიფხიზლევ, ისევ შენს სამოსს ვეძებ
და ამ ძებნაში ლამის დავეცე,
ნუთუ ყრუ-მუნჯთა გამეფდა ხანა,
რა უხარია გაგონილს, ნანახს.
ოი, დაცემავ, დაგექცეს დღენი,
შენ არ ხარ, არა, სურათი ჩვენი.
გამოფხიზლებავ, მოგდევს შეტევა,
წუხილი გულში აღარ ეტევა.
ლამის აძგერო ბოროტს ისარი,
ყოვლის სათავე მხოლოდ ის არის.
ისევ და ისევ სინათლევ, დიდო,
ფართედ შემოდი, რომ დამამშვიდო.
აჯანყდეს ლამის სული დაღლილი,
ვის ესმის წრფელი სულის ძახილი.
გარბიხარ ისევ და შველა გინდა,
სიმახინჯენი არ დაიწმინდა,
კიდევ რამდენი, სადამდე კიდევ,
ლამის ბეწვის ხიდს ჩამოეკიდე.
და მერე გვიან იღვიძებს ყველა,
გამოლევიათ სიფხიზლე, ხედავთ?
ბედოვლათებო, მრუდე ნაბიჯით
აწ საით წახვალთ, ახლა არ ვიცი.
მერე კი ჩქარი მატარებელი
მოდის, მისდევენ ატირებულნი
და რატომ მოხდა ასე, არ ვიცი,
წუთისოფელი ყველას დაგვიცდის?!

ბედნიერებავ

ბედნიერებავ შორს ნუ მიდიხარ,
ჩემს კარებს მეტად შვენი, გინდიხარ.
ხომ ხედავ შენთან მე დავიჩოქე,
ამ ქვეყნად აბა რა უნდა გჯობდეს.
როცა გპოულობთ, ფუფუნებაა,
შენამდე მხოლოდ მოთმინებაა
და გულის კარიც შენში მზიანობს
შენ მშობლიურად ყოვლად ხმიანობ
ვისაც არ ესმის გონჯი შლეგია,
ალბათ შენს სითბოს ვერ შეელია
და სიამაყე მოსდევს ტუტუცის,
სილამაზესთან ვერ ძლებს ნუწუნი
და მერე ფასი არ ესმის შენი,
წრფელ გულთან მოდი და დამამშვიდე,
ის სამუდამოდ იქნება შენი
სიწრფელისა და სიკეთის მფენი.
მე დღეს გიგრძენი ბედნიერებავ
მომინდა ყველას მე მოფერება
გონების შუქიც აინთო ძლიერ,
შევრჩი შენს სახეს არა წამიერ.
ბედნიერებავ შორს ნუ მიდიხარ
ჩემს კარებს მეტად შვენი, მინდიხარ
ხომ ხედავ შენთან მე დავიჩოქე
ამ ქვეყნად აბა რა უნდა გჯობდეს.

კაცი წრფელი და კაცი გულღია

აკაკი გასიტაშვილს

მაღალი სული: სიყვარულით გამთბარ ფიქრებთან
ბატონ აკაკის ხიბლავდა და ის იყო მასში
დღეს მისი ხსოვნა სიმაღლისკენ სწრაფვას იძლევა
თუ სუფრასთან ხართ მის ხსოვნისთვის აავსეთ თასი.
სიმართლის დიდი საწყისებით იყო შობილი
ახალგაზრდობას ლამაზ სულით უძღვოდა ფართოდ
იყო მრავალი ახალგაზრდის დიდი მშობელი
მის დიდ იდეებს ვესალმებით: დღესაც ხელს ვართმევთ.
ის საქართველოს სიყვარულით სუნთქავდა მხოლოდ
ბრძოლის ველზედაც არ აკრთობდა ვერაგთა ტყვია
და ვერ იტანდა, ვერ იტანდა ფლიდსა და ბოროტს
მის ნათელ ხსოვნას, კეთილ კაცის საქმენი ქვია.
დღეს: ვისაც ბატონ აკაკისთან უსაუბრია
არ ავიწყდება ის ღიმილი მრავლის მეტყველი
რაოდენ იყო კაცი წრფელი, კაცი გულღია
მის სათნოებას: სიმამაცეს ესვა ბეჭედი.
ახალგაზრდობის იყო დიდი ის მოამაგე
და მისი სიტყვა სიღრმეებში მოგავდა ლოცვას,
მარადი ხსოვნა მსურს ვუსურვო მის ნათელ საქმეს
როცა სიკეთეს და დიდებას ვახსენებთ როცა.
რადგან ასეთი ფიქრნათელი უკვდავი არის
მისი აზრები დღესაც გლოცავს გეალერსება
და ჩვენც ბატონი აკაკის ვართ დღეს წილნაყარი,
მსურს მისი სახე გამოხატონ წრფელმა ლექსებმა.

ახლა აჩრდილთა თბილი ზმანება

შემომრჩენია იმედის კართან
სწრაფწარმავალმა დრომ ახლობელი
ყველა გაიხმო იმქვეყნად უკვე,
დაფიქრდები და აწ აღშფოთდები,
ამ ცხოვრების გზებს რაღას გაუგებ.
ახლა აჩრდილთა თბილი ზმანება
შემომრჩენია იმედის კართან,
სურვილი ჩემიც ვხედავ, თავნება
სადღაც შორს მიდის, სიღრმეებს გასცდა.
სულთ სამფლობელოს ეფოფინება,
სურს, რომ გაიგოს სად, რა და როდის,
ნუთუ მოკვდავ კაცს ეცოდინება
სულები ჩვენთან რა დროში მოდის.
ახლა ჩაწვერილ მზის სხივებს ვუმზერ
და წინათგრძნობას მივყავარ შორეთს,
თითქოს სიამის ტალღა მდევს გულზე
და აჩრდილთა გზებს მე ვიმახსოვრებ.
ახლა ზმანება უფრო მაღალი,
სულში შემოვა რაღაც ახალი,
ის დრო ამ დროში შეერწყმის ჩემთან,
თითქოს ნაგრძნობი რაღაცა შემრჩა.
და ჩემი სული სითბომ აზიდა,
გაიყოლია დიდი აზრიც და....
ახლა ფიქრები კვლავ მაწვალებენ
და გრძელ ღამეებს ველი და ველი.
აწ ვგრძნობ მექნება მე საკვირველი,
გამოცხადება რაღაცას მეტყვის
და ხელს დამიქნევს წარსულთა ბედიც
და წინათგრძნობით მოქსოვილ სამოსს
მომთხოვ ლამაზო წუთო და წამო.
ახლა ბინდდება, ჩამხატავს ღამე,
მერე აგიხსნით იდუმალ წამებს,
როს დამფარავენ ლაბირინთები,
მახვილი მზერით იქ ავინთები
და გეტყვით, მერე მოდიან ჩემთან,
მესმის იმათი მე გულის ფეთქვა.
ო, დედაჩემო, ყველაზე მეტად
ჩემს სიმარტოვეს ხედავ და ხედავ.
ხშირად მიგზავნი ზამთარში სამოსს,
რომ დრო გავლიო მე აქ საამოდ,
მაგრამ მაინც მსურს წარსულთა ყოფა
შევიგრძნო, დროში რა ხანა ჯობდა.
მალე შემოვა ბრძნული სიზმარიც,
დამხედავს, როგორც მისანთ-მისანი
და კარს გამიღებს სიღრმეთა წვდომით,
გამოვფხიზლდები ყოფნა-არყოფნით
ნაზიარები დიდი სათქმელით,
სულნო, დაგინთოთ წმინდა სანთელი
რადგან სიკეთის თვალებით მიმზერთ,
მე ამ ყოფაშიც თქვენგან ბევრს ვისმენ.
ისევ შორეულ ფიქრებს ხელს ვართმევ,
კვლავ მოგახსენებთ გვიან ჩემს სათქმელს.

ბელა ალანია

ლივლივა ზღვაო,
ლიცლიცა ტბაო,
უსაზღვრო ცაო,
ქოჩორა მთაო,
ჭახჭახა მზეო,
ამაყო კლდეო,
ნათელო დღეო,
უფალო ღმერთო,
გთხოვ, დამინდეო!

წამომიყოლე

წამომიყოლე მთის გვირგვინი - თრთილა ნისლები,
უდაბურ ტყეთა ნაირფერი ხმელი ფოთლები,
წამომიყოლე მარადმწვანე კედრის ნერგები,
მალე გაიდგას უკვდავების ნორჩი ფესვები.
წამომიყოლე იელები გონშემშლელები
დედამიწას რომ მინდობიან დაბნეულები,
დაწითლებული ნეკერჩხლები სისხლისფერები,
ღიმმორეული ასკილები - გულისხელები,
ჩამომიკრიფე კუნელები თბილი ხელებით,
შროშანები და ლილიები მონაფერები.
არ დაგავიწყდეს შვინდი, სოკო, ანწლის ღერები,
არც კალიები დაივიწყო და არც მერცხლები,
არც ახლო-მახლო მოფარფატე ნაზი პეპლები,
მზეს რომ ჰყვარობენ, ჩურჩულებენ ,,შემოგევლები“.
წამომიყოლე რუდუნებით, ფერებ-ფერებით,
პეშვით წყალი და მოელვარე თეთრი ვერხვები,
მიწის სურნელი ჭალებიდან მონაბერები,
დაისები და აისები ღვინისფერები.
ნუ აგვიანებ, შემისრულე დანაპირები,
შენ მოლოდინში თავს დამადგა ხეთა ჩრდილები,
წამომიყოლე სიყვარული დანაბარები,
და დამიამე გული ჩემი განახელები.

ალიონი

ალიონს სხვაგვარი ღელვა აქვს,
უხდება სიცოცხლის იმედი,
ყველაფრის თავიდან დაწყებას
ყოველჟამს აისზე ვპირდები!
ალიონს ბადაგის გემო აქვს,
ცვარ-ნამებს დაგვათოვს სახეზე,
მზის სხივებს ჩუმ-ჩუმად ჩამოცლის
საწოლზე, სხეულზე, ბაგეზე...

ალიონს ნაბიჯი ფრთხილი აქვს,
უცებ დაგადგება, შეპარვით,
წინა დღეს უჩუმრად წაიყვანს
და გეტყვის: ყოველთვის მიყვარდი!
ალიონს ვიხუტებ გულში და
ალიონს ყოველთვის ვეძახი...
არ დააგვიანო, არასდროს,
შეგნატრი, შეგნატრი, შეგნატრი!

მე-შენი ცალი

მიწა დაიდებს თოვლის საფარს, რომ დაიმალოს,
წყალი კი ყინულს დაიფარებს, რომ არ გაცივდეს,
მთებსა და ველებს გაზაფხულის ლოდინი დაღლის,
ხე დაიძინებს, ფოთლებს ისევ ქარი წაიღებს...
დაიმალება მობუზული ღრუბლებში მთვარე
და გაეხვევა ნისლის ბინდში მზე მოთენთილი
და მინავლული ნაკვერჩხლები სულ ჩაიწვება,
გაიპარება ძილისგუდა, კვამლში დაღლილი
და მოგეკვრები, განუყოფლად, ზურგსუკან ისევ,
რომ დამიფარო, რომ არ გავქრე, მიუსაფარი.
აიტუზება კარის უკან ზმუილით ქარი,
ადევნებული, გაოფლილი, სულ მთლად შემცბარი.
კარის ღრიჭოდან შემოაღწევს სისინით ისევ
გულჯავრიანი, დაბნეული, გაუმაძღარი.
ჩაგეკვრები და ნუ გაატან ნურავის ჩემს თავს,
დამიფარე და დამიცავი, მე -შენი ცალი.

*

მე მიხარია, რომ ჩიტები სახლობენ სულში
და ატოკებენ არეული გონების სიმებს.
ფანჯრიდან ჭრაქი მოანათეს დაორთქლილ მინებს,
ღამე გულდაგულ მიგვიკერებს დაკარგულ ღილებს.
გულის ფიცარზე ჩამომჯდარი პატარა ჩიტი,
სულის ტრამალში არემარეს ჟღურტულით იკლებს.
ვითარცა ცისკენ გაჭიმული ნათელი სიმი,
ტყის უდაბურთა ჭრაქად არის ქცეული ისიც
და ელოდება ღამის მეხრეს, რომ იშვას მითი
გულის ფიცარზე ჩამომჯდარა ჭიკჭიკა ჩიტი.

*

გვიყვარდა მე და შენ, ორივეს გვიყვარდა,
მერცხალა ყმაწვილი, ქორბუდას თვალებით.
რა ვქნათ, რომ დარდი და ფიქრები გვიგავდა,
გვიგავდა ძალიან ოცნება, მიზნები.
რა უცნაურია, რომ გადაიკვეთა
გულისკენ სავალი გზები და ხედვები.
რა ვქნათ, რომ ძალიან ვემსგავსეთ ერთმანეთს,
ორივე განგებას უჩუმრად ვნებდებით.
გახსოვს, რა ხანძარი დაგვინთო გულებში,
რა ძლიერ რეკავდნენ საშველად ზარები?
მოჰქონდა სურნელი ფშავიდან მთა-ველის,
მოჰქონდა არაგვის ფერსისხლა ტალღები,
თან ჩამოიყოლა ხარ-ირმის ძახილი,
სულში გვიტრიალა ბორბალა ქარები...
– რატომღაც მგონია, შენ უფრო უყვარდი,–
ჩუმად შეგაპარე, ნაფიქრი ხედვები
– არა, შენ უფროო, – ვიღებდი პასუხად,
სიყვარულს ვუთმობდით ერთმანეთს ბებრები...
დრო-ჟამმა დააცხრო გრძნობა და ვნებები,
ოცნებით გავლიეთ მე და შენ ეს წლები.
რას აღარ ითმენდნენ ოთახის კედლები,
არ გაგვხსენებია წყენა და ცრემლები.
ერთმანეთს ვზვერავდით მე და შენ შორიდან,
არ დაგვირღვევია ზნეობის წესები.
დამთავრდა ჩვენ შორის შეჯიბრი გრძნობებით,
დამთავრდა რბოლა და გაიჭრა ლენტები.
ოდესღაც მე და შენ ძალიან გვიყვარდა,
ჩვენ უკვე აღარ გვყავს მერცხალა ყმაწვილი -
კლდესავით ამაყი, ცასავით მაღალი,
ზღვასავით უსაზღვრო ქორბუდას თვალებით...

ცერენცის კვიცად...

სიზმარში ვნახე საკუთარი გარდაცვალება,
მიმასვენებდნენ, მიმყვებოდა მწუხარე ლანდი,
შველას ვითხოვდი და ვერავის ვაგებინებდი,
არავის ჰქონდა უჩემობის ცრემლი და დარდი.
მზე არსად იყო, აღარც მთვარე და არც ვარსკვლავი,
და მითუმეტეს აღარ იყო აღარსად ხალხი.
მოუსავლეთის ვიწრო გზაზე, ყველა მარტოა
მოხუცი ხარ თუ მკვდრადშობილი უმწეო ბალღი.
გამომეღვიძა. გაყინული ვიწექი ისევ
და აღარ მქონდა საწოლიდან ადგომის თავი.(ძალა)
თითქოს ქარებმა ფესვიანად მომწყვიტეს მიწას,
მიმაქანებდა გაურკვევლად, ნაზამთრალს ვგავდი.
ახალშობილის ტირილის ხმა მესმოდა ყურში,
დაბადებითვე წარმავლობის თანმდევი განცდით.
მზის სხივს ველოდი, ხსნას ვეძებდი, აღარსად ჩანდა,
გათენებამაც ვერ დამიფრთხო სიკვდილის ლანდი.

* მოვალ შენამდე...

შევეგებები მეწამული ფერის განთიადს
და გადავირბენ ლაჟვარდოვან მთათა
მწვერვალებს, ჩამოვუჯდები დაუ-
გრომელ მფრინავ ღრუბლებს და სულ
გადავსერავ არემარეს, მოვალ შენამდე.
ჩამოვუყვები ბილიკ-ბილიკ სოფლებს,
ქალაქებს და ამოვკრიფავ უბე-უბე სიტ-
ყვის ფარდაგებს, ხან შემოვირბენ მინ-
დორ-ველებს, ჭალებს, სათიბებს და კო-
ნა-კონა შევაგროვებ მინდვრის ყვავი-
ლებს.
სულ მუჭა-მუჭა მოვუყრი თავს გრძნო-
ბებს ნათიბებს და გულის გულში მისას-
ვლელ გზას ვიცი გავიკვლევ.
აღარ დავტოვებ კუთხე-კუნჭულს, ყვე-
ლას ავიკლებ, ჩაგისაფრდები, ხელს
ჩაგკიდებ, არსად გაგიშვებ.

ფოთოლი წარსულიდან

ძველი წიგნიდან უცაბედად გადმოვარდნილი
ხმელი ფოთოლი მომეჩვენა ძლიერ ახლობლად,
ფაქიზი თრთოლვით დავცქეროდი ხელისგულებს და
წამით ფოთოლმა დამიბრუნა ცელქი ბავშვობა...

5 დეკემბერი, 2015

მამის პიჯაკი

მამის პიჯაკებს მთვარის სუნთქვა გადასდებია
და მოლოდინი შეჰპარვია ღამის სიფხიზლეს.
გახუნებული პერანგი კი დროს გაქცევია,
დარჩა წარსულში, მომავლისკენ პირს არ იბრუნებს.
ძველ სავარძელში უმამობის დარდი ჩამჯდარა
და ჩემს თვალებზე არეკლილა გრძნობის სიშიშვლე.
ამ კედლებს ადრე მამის სავსე მზერა ათბობდა,
ის აღარა სჩანს, გაბატონდა მკაცრი სიცივე.
მამის ღიმილი კედლის სურათს შეჰყინვია და
წრფელი ღიმილი მოგონებებს ისევ მიფხიზლებს.
მამისხელა ვარ, რადგან ვძლიე წლების სიდიდეს,
აღარ აშინებს ჩემს თმებს უკვე თეთრის სიხშირე.
მამის პიჯაკებს მისი სუნთქვა შერჩენია და
ღამის შუქები დასდგომია მწუხრის ბილიკებს...

*

შენი თვალები ლაჟვარდისფერი გალაკტიკაა,
წამწამთა ჩერო - ჩრდილი შენი იდუმალების.
უსაზღვროების თვალთ განჭვრეტა რარიგ ძველია,
რარიგ ძნელია გამოცნობა შენი ღვთაების.

*

ყოველდღე იღვრები გრძნობებად, ტკივილად,
თითქოსდა გითრევენ აბსურდის მორევში.
ყოველდღე ირჯები უამრავ წვრილმანზე,
სამყაროს ფერებში იბნევი, ირევი...
გგონია, თავდები, აღარსად დარჩები
და ასე უკვალოდ წახვალ და გაქრები...
გტანჯავენ ფიქრები, ჭკუიდან იშლები,
ბოლომდე იწვები, სისხლისგან იცლები,
ცხოვრებას კი მაინც მიჰყვები, მიჰყვები...
ო, როგორ იღლები, ო, როგორ იღლები...
ფეხზეც კი არ იცი, როდემდე იდგები,
ხან აქეთ იხრები, ხან იქეთ იხრები,
თუმცაღა ირწევი, მაინც არ იქცევი,
მაინც არ იცვლები, მაინც არ შინდები
და კვლავ სიყვარულით ივსები, ივსები...
და რადგან ვიღაცას ყოველთვის ახარებ
და რადგან ვიღაცას ყოველთვის სჭირდები,
შენ ისევ თავიდან იწყები, იწყები...

ყოველდღე იღვრები გრძნობებად, ტკივილად,
თითქოსდა გითრევენ აბსურდის მორევში.
ყოველდღე ირჯები უამრავ წვრილმანზე,
სამყაროს ფერებში იბნევი, ირევი...
გგონია, თავდები, აღარსად დარჩები
და ასე უკვალოდ წახვალ და გაქრები...
გტანჯავენ ფიქრები, ჭკუიდან იშლები,
ბოლომდე იწვები, სისხლისგან იცლები,
ცხოვრებას კი მაინც მიჰყვები, მიჰყვები...
ო, როგორ იღლები, ო, როგორ იღლები...
ფეხზეც კი არ იცი, როდემდე იდგები,
ხან აქეთ იხრები, ხან იქეთ იხრები,
თუმცაღა ირწევი, მაინც არ იქცევი,
მაინც არ იცვლები, მაინც არ შინდები
და კვლავ სიყვარულით ივსები, ივსები...
და რადგან ვიღაცას ყოველთვის ახარებ
და რადგან ვიღაცას ყოველთვის სჭირდები,
შენ ისევ თავიდან იწყები, იწყები...

*

ქუჩის მევიოლინე

ქუჩის მევიოლინე, სიმარტოვით უძღები,
გიჟმაჟური იერით უკრავს თავდავიწყებით.
მე სიამით დამთვრალი აღტაცებას ვუნდები,
ტროტუარის კიდედან გაშტერებით ვუმზერი.
ბორიალის მსურველთა მოწყალების იმედით,
დაბლა ქუდი უგდია გაცვეთილი შირმებით.
ღამის წყვდიადს ერწყმება აწყვეტილი ჰანგე-
ბი,
ნეტავ, ვინმე თუ არის ამ ტკივილის გამგები,
ქუჩის მევიოლინეს არ დაადოთ ხუნდები,
ნუღარ დაგენანებათ, ჩაუყარეთ ხურდები.

*

მინდვრის ყვავილები ადრე იძინებენ,
ადრე გვიხურავენ ფანჯრებს,
მთვარის მოლოდინით თავს არ იწუხებენ,
ნაზად გვიხუჭავენ თვალებს.
როცა ალიონი მოდის ფეხაკრეფით,
რათა მოეფეროს ღამეს,
ციცქნა ყვავილები ფხიზლად დარაჯობენ,
უცებ იმარჯვებენ ფარნებს.
მინდვრის ყვავილები ადრე იღვიძებენ,
აღარ გამოგვრჩესო რამე
მინდვრის ყვავილები კოცნას არ აცდიან,
კოცნას არ აცდიან ღამეს...

გვანცა ხარაიშვილი

* * *

მეგობრებს,
რომლებისთვისაც არ მრჩება მთავარი –
დრო,
სიყვარულს,
რომელსაც ვერ ვპატიობ წასვლას –
უმისამართოდ,
ღმერთს,
რომელიც მოვკალი დილის ლოცვაში,
დღეებს,
რომლებმაც ოცნებები დაასაფლავეს,
ლექსებს,
რომლებმაც გამცეს,
ამბებად დამანაწევრეს:
მე ისევ აქ ვარ.
კვირის მერვე დღეს ვაცხობ
შეშის ღუმელში,
რომლის ირგვლივაც შემომსხდარებს
მოგონებების პლედი გვათბობს,
გვა-სულ-დგმულებს.
მე ისევ აქ ვარ.
მთის ძირში,
მარტო,
რადგანაც ჩემი სიყვარულის სახლი
ზამთარში ხეზე მიტოვებული ბროწეულივით
დასკდა –

* * *

ოთახში, თუნდაც,
იყოს სრული ქაოსი.
ვერ ვაგნებდე თითებს,
სიცივემ რომ ძვლებში დატეხა.
წარმოდგენა არ მქონდეს სად წავიდნენ
დაგეგმილი დროის გვამები,
საკარნავალო ტანსაცმელში გამოწყობილი
სიზმრის ძაღლები
ყეფენ ხმამაღლა,
ეწევიან არტერიებს,
გულის დარაჯებს..
ოთახში, თუნდაც,
არ მოვიდეს შემოდგომა.
უქმად ეკიდოს საკიდზე
შავი პალტო,
ფიქრით ნაქარგი.
დილას გადაესხას კაბის კალთაზე
ცხელი ჩაი ან ყავა,
დაეორთქლოს ისედაც ნამიანი
ლურჯი თვალები.
ოთახში, თუნდაც,
არავინ იყოს
ვინც გაიგებს,
რომ სადაც შენ ხარ,
იქაა ღმერთიც.

მისი სიტკბო სიცივემ წაიღო.
მე ისევ აქ ვარ.
ვანთებ სანთელს,
შობის ღამეა,
და ღმერთს ვთხოვ იშვას
არცერთხელ მისთვის გაღებულ გულში.
მე ისევ აქ ვარ.
ოცნებების მესაფლავე დღეებს
ვუკოცნი წამებს –
ახალი სურვილების ნაყოფს,
მუცლით ვატარებ.
მე ისევ აქ ვარ.
ახლაც გამცემს
ვიცი, ეს ლექსი.
ახლაც გამცემს
ვიცი, ეს ლექსი.

ვრა

გადაწიე ფარდები.
მოწიე სკამი ჩემამდე და
ჩააქრე სიგარეტი.
სულ გეუბნები
ნუ მოწევ მეთქი,
როცა ახლოს ვარ.
მოწიე სხეულიც
ჩემს სულთან ახლოს.
უნდა მოგიყვე
ის ამბები,
სადაც არა ხარ,
სადაც ვარ მარტო.
გეპატიჟები საღამოზე.
პოეზიის არა,
ჩუმ საღამოზე,
ერთმანეთი რომ ვიპოვნოთ,
სანამ დავკარგეთ.

მე ვარ შენი არჩევანი,
შენი ტკივილების მწარე მალამო.
ამიტომაც მოდიხარ.
მოგაქვს ასრულებადი საახალწლო
სურვილები
დღეს თუ არა ხვალ,
ხვალ თუ არა ზეგ,
ზეგ თუ არა რომელიმე
დროსა და სივრცეში.
დღის ბოლოს,
როცა ერთმანეთს უკვე
ერთი ოცნებით ნაკლები გვაშორებს,
და შენი სხეული
ვულკანივით ცხელ ჩემს ვნებებს ერწყმის,
დრო არ ჩერდება.
ჯიუტად წიკწიკებს სამყაროს საათი –
მთვარე
და წამებს –
ვარსკვლავებს,
ცაზე აბნევს,
ცაზე ანათებს.

კარადას ვაღებ.
მურაბები ოცნებებივით ჩამიშაქრდა
და საუზმე შეადგენს მხოლოდ კოცნას
დალურჯებამდე.

სირცხვილი საბანს იძრობს,
უკვე ორია,
მე ვერ გპირდები სიყვარულს და
უკვე ასე ნაცნობი „არა„
„არას„ აღარ ჰგავს.
ვინმე დაფიქრდა რა იქნება?
არამც და არამც.
აწმყოს წამებში გახლართული წამწამებით
სურვილებს ვხატავთ.

ვიღვიძებ.
სიმართლე ნემსივით მჩხვლეტს
მუცლის არეში.
მინდა გავიქცე მარტოობის იმ ქუჩაზე,
სადაც ხალხია.
მინდა გავექცე შენში დალექილ
საკუთარ სუნს
ახლა,
ახლავე.
მე – თავისუფლად მოფარფატე
ველის ფერია.



ბეჟან ხარაიშვილი

ნაცვრა

და როგორც ლოთი, ლუდის ჯიხურთან
ფულით ამოვსილ ძველისძველ ჯიბეს,
ისე ვინატრებ შორენა გერქვას,
ცერზე წითელი მიმინო გეჯდეს.
და ვაშენებდე გაღმა-გამოღმა,
ორივე მკლავის დასაჭრელ კედლებს,
რომ სამოთხეში, გინდ ჯოჯოხეთში
თავთან დაკლული სიკვდილი მედოს,
ანდა ვაჟაის მთაში ჩამმარხა,
ხმელი წიფლისთვის სანედლო ფესვად,
ო, როგორ მინდა შორენა გერქვას,
ცერზე წითელი მიმინო მესვას!

რუსთავო

ამ დღეს ელოდი,
დუმდი, დუმდი ასეულ წლობით,
ვეღარ გადურჩი
ათას მომხდურს, ათას ურჯულოს
მეც შენთან ვიყავ,
იმ გრიგალებს მეც გავუძელი...
ვკოცნი ყვავილებს,
ქარ-წვიმიდან გამობღუჯულებს.
წამოიწევენ გორაკები შუბლნათურებით,
რომ მეც თანდათან მიმაზიდონ
ახალ პირიმზეს.
ფერფლზე ამოსულ
იმ ჭადრის ხეს ვექართულები,
ფესვი ხელახლა რომ გაუდგამს
მტკვირს ნაპირებზე.
და სტრიქონებიც
მერცხლებივით ცასთან შეხლილან, –
თითქოს ქოჩორზე გადამისვა ხელი თამარმა
დღეს შემიძლია დავიჭექო მტკვართან მეხი-
ვით,
ბებერ მდინარეს
დავადევნო სიტყვა თამამად
მტკვარო, იყუჩე,
შენც გეყოფა წარსულზე ოხვრა,
სისხლო, იდუღე,
ნუ ჩადგები ძარღვებში მდორედ,
ხარო, იბღავლე,
პაპის გუთნით სხვა ბელტებს მოვხნავთ,
ფიქრო გამიძეხ, –
სადაც მიცდის მწვერვალი შორი!

რატომ გამიფრინდი?

ტყემლების თეთრი ფიფქი,
შენს ბაღში რომ თოვდა,
ნიავს გაზაფხულის
სუნთქვა შემოჰქონდა.
მათრობდა და მწვავდა
მაგ თვალების კრთომა,
მკერდი სავსე გქონდა,
როგორც შემოდგომა.
შენთვის ავირჩიე
ყვავილების კონა,
გვიღიმოდა არე
სხივით დაქარგული,
რატომ გამიფრინდი,
როგორც ჩიტბატონა,
ნუთუ ნაადრევად
მოდის გაზაფხული?

სხვაობა

მაგნიტოფონი მივიწყებულ სიმღერას იწერს, –
გულის ძარღვები მამულის სუნთქვას,
მაფნიტოფონი ჩანაწერის გადაშლას იწყებს, –
გულში ჩანაბეჭდს ვინ ამოთუთქავს?!
მაგნიტოფონი უცხო მიწის მსმენელსაც იწვევს
...მამულის ბედზე ვის უნდა უთხრას?!

გახსენება

გახსოვს? – მოდინახე,
ღვინო ალისფერი,
მთვრალი მგზავრები და შორი გზები...
წამომელანდები კლდეზე შემომდგარი
და ხელს გამოგიწვდი მორიდებით!
სიო ჩაიყურებს წამწამთ სიშავეში
შენ კი მთებს გაჰყურებ ნისლიანებს,
თრთოლავს გიტარა და მწვანე მოლზე
ღვინით სასმისები ივსებიან!
გახსოვს? – მოდინახე...
მზეი ჩამავალი,
გულთა იდუმალი ბგერის გადაცემა,
ხედავ? – ჩავჩურჩულებ და მთის ნაპრალიდან;
ქალაქს გადმოვხედავთ ალმაცერად.
ეკლებს გაურბოდი, წუხდი დამკაწრავსო,
თმები შინდის რტოზე დაგეწეწა,
ვკრეფდი ფურისულებს
ახლად დაჩიტულებს
მერე იმედივით გიწოდებდი,
ნისლში ირწეოდა მთიდან მონადირე,
ჟამთა ნასეტყვი და ნაწვიმები,
...დავრჩით ხელგაწვდილი მთის მწვერვალზე,
დავრჩით ასაფრენი არწივები!

შემოდგომით

ფოთლის ცრემლში ტყის ლოცვათა ციმციმი,
ცვრიან მთაზე ცხვარის გადათოვლება,
ყვავილისკენ გადახრილი ყვავილი
და პასუხად კოცნის არ დაყოვნება...
მიყვარს ხოლმე ჩემი სოფლის ჭალაზე
სიმინდებში მთვარის ჩანამგალება,
კლდის ქვებიდან გადმომდუღარ ჩანჩქერის
თვალით შესმა და წყურვილის წვალება...

მიყვარს ხოლმე ხევსურული ჩოხისებრ
გაშლილ ცაზე გადაწინწკვლა ვარსკვლავთა,
თავთუხებზე ხოხბის ფერთა ფენაში
უშენობა დაჭრილივით ჩავა და...
ვდგევარ ხოლმე... და ვიხსენებ იმ ღამეს
მტევნების თვე მიმაწურე ბაგეზე,
ფოთოლ-ფოთოლ გადაივლის ყვითლობა
შენ კი ისევ სიცოცხლეზე მაქეზებ.

გამოთხოვება

დათვის ჯვარს ვეფხვის ფერი დაჯაბნის
და სიმწვანეში ჩასთვლემს ხახმატი,
ნახვამდის ხევის მჟავე წყლის შხეფო,
მიწის მზექალო, შენაც ნახვამდის!
რა დამავიწყებს ბეწინას წისქვილს,
არაგვის ტალღის ქვებთან ხუმრობას...
მიყვარს ეგ მთა და ეგ ქალიც მიყვარს,
მაგრამ შევძლებ კი მაგ ხევსურობას?

გულნაზ ხარაიშვილი

აბობოქრდება

აბობოქრდება ცხელ ზაფხულშიც ქარიშხალი და...
თავნება ღრუბლებს აეშლება თეთრი ფაფარი,
ვწუხ! გაერევა შენს იმედში მწარე შხამი და...
უნდა მოძებნო მაშინ ჩემში თავშესაფარი.
გადაღლილი ხარ! აღარ გძალგიძს განცდის ატანა,
გზას ხლაფორთიანს მოერიდე წინ აღმართია,
ფიქრმა მე შენთან გაფრთხილება გამომატანა,
გულიც რომ მისცე უმადური სულ წარმართია.

მთაო

მთაო მეტყველი არა ხარ თორემ,
ხომ მიამბობდი ძირულის ამბავს,
ფიქრით გარს ვუვლი ბარსა და გორებს
და ვეფერები ვაზს ცვარით ნაბანს.

ყოჩივარდები

შინდს უკვე კაბა შეუკერია,
დარდი შორს ჩემგან გადაბარგდება...
სული მზის სხივით მონაფერია,
ვიცი იმედად დაიბარდნება.

ლექსით მაცოცხლეთ ჩემო ბიჭებო

(კახას და სერგის)

არ დამასველო ქარიშხლის წვიმავ,
არ დამათოვო, მხრებზე ფიფქებო...
ჩემი ბიჭების ლექსები ბრწყინავს,
ლექსით მაცოცხლეთ ჩემო ბიჭებო.
ჩემი წამალიც მხოლოდ ლექსია,
გამქარვებელი გულის ტკივილის...
სიკეთის თესვა ჩემი წესია,
ლექსია ჩემი სულის ყივილი...
ბედი ისევე ცოტას მადროვებს,
მინდა შევიგრძნო ამ გულის სითბო.
მე ფუტკარივით ტკბილ თაფლს ვაგროვებ,
ჩემთვის არ მინდა, ყველაფერს გითმობთ.

გული

გული იმედების გრძნობით ავსილია
წვიმამ გადაიღო, მჯერა დაიდარებს...
ფიქრი დანავარდობს, ზეცის ნაწილია,
დღეს მზე თავის სახლში დამიბარებს.
მივალ ვეახლები, ლექსებს მოვუყვები,
ღრუბლებს მოვაშორებ ნისლიანებს...
აღარ ვიკამათებთ, ისევ დავმოყვრდებით,
ქარიც გაჩუმდება აღარ იღრიალებს.

გულის ფანჯარა

გულის ფანჯარა გამოვაღე,
თქვენთვის შვილებო....
პოეტები ხართ, არა გაქვთ და
არც გინდათ ფული....
თქვენ ლექსები ხართ,
ცეცხლის ალში გამოწვრთნილებო,
ფუფუნებისთვის არასოდეს,
არ მატკინოთ შვილებო გული.

შემომღიმილეს

(ქალაქ ხაშური)

შემომღიმილეს პოეზიის საღმა ფესვებმა
და ბუნებრივად გადიხადა ლექსმა სარქველი,
სული დამიტკბო მასპინძლების ტკბილმა ლექსებმა,
შემომიგროვა გულუხვობამ ბევრი სათქმელი.
ზამთრის დაისი გაზაფხულთან აღარ დაობდა,
ფიქრები გახდა მეოცნებე, სულ მთლად ბავშვური,
თუმცა იმედი დიდი ავდრით ადრეც დაობლდა...
დღეს, ცისკრის დილით მეგებება ქალაქ ხაშური.

შენს ნაზ სულეთში

ჩემო ძვირფასო მინდა ლექსით
მოგესათუთო,
მიმოვაბნიო ია-ია შენს ნაზ
სულეთში,
მე ჩემი გული მაგ გულმკერდში
უნდა დაგინთო
ო, არ დაიწვა საყვარელო,
სიმხურვალეთი.

ვარ ისე უმწიკლო

ვარ ისე უმწიკლო, როგორიც დილაა...
ნამი, რომ ბწკრიალებს ოქროსფერ სხივებით...
გულით ვარ მებრძოლი, რადგან სულ წვიმაა...
არ მიყვარს კამათი და ემოციები.

მე არ გავცურავ

შენ სიბრძნის ღვინოს
ვერ დალევენ,
და იცი რატომ?
გადათვრებიან...
დაიწყებენ გზადაგზა ბანცალს.
შენ ერთ სტრიქონში,
მე ვკითხულობ,
რვასა თუ ცხრა ტომს,
ვხედავ სხვა მიწას, სხვა ცასა და
სამშობლოს განცდას.
მე არ გავცურავ, არასოდეს
შენეულ ზღვაში,
რადგანაც იგი შენია და
შენვე გეკუთვნის.
გავილუმპები.... ჩემი მთების
ოქროსფერ ცვარში,
და მისი სიყვარულს,
ჩემი გულის გულში შევფუთნი.

ვეძებ

ვეძებ ცაში და ვეძებ მიწაზე,
უცხო სამყაროს უნდა მივაგნო....
შავი ღრუბლები ნისლს სდებს ჯინაზე,
გრძნობა სხივებით უნდა დავლანდო.
მიუალერსებ მზეს ისევ ფრთხილად,
მინდა კოცონი ლექსის დავანთო...
თეთრი ღრუბლების ნისლების ფთილა,
ჩემი სითბოთი უნდა გავათბო.
სიკეთის ტოტის სულ თოთო ყლორტი,
უნდა გავზარდო ცათა სიმაღლის...
ვუძლებ წვიმაშიც რაღაცის ლოდინს,
გული დარდით, რომ არ გადავღალო.

თამაში, სცენები

თამაში, სცენები და ხორცით ვაჭრობა,
ქარი და ავდარი, სიტყვათა ტყვიები.
არ უნდათ სითბო და არ უნდათ მოყვრობა,
დაღუპავთ უბედურთ ეს ემოციები.
იანჩხლონ ბატონო, იყვირონ,
ვინ უშლით,
თვალებზე ცრემლების გაშრობა
მაცალონ..
მე მტერსაც მოყვრულად
დიდ სუფრას გავუშლი.
ფუტკარი კოღოში არ უნდა
გაცვალონ.

არ მძინავს

არ მძინავს, ფიქრებო,
ზღვის ტალღად მაქციე,
აშფოთდი, მოასკდი,
ამ გულის ნაპირებს...
ხან წყნარად იქცევი,
ხან კიდევ მაცდურად,
ჯიუტობ, იმედის ჩაყლაპვას
აპირებ.

ფრთები მაქვს

ხო, ჩემო ლექსებო, დარდი მტვრად
მიქციეთ,
ჩემს მკლავზე, შენს სითბოს
ხშირ-ხშირად ვაძინებ...
არ ვტირი, ვიყიდი იმედის აქციებს
ფრთები მაქვს და მიწას,
მე აღარ ვამძიმებ.

თეთრად აფეთქება გაზაფხულის

(გიორგი ლობჟანიძეს და თეონა სხირტლაძეს)

მარტი მზის სხივებთან ნიძლავდება,
შინდი გაიშლება ყვავილებით.
მთაში ღვთით ქორწილი გაგრძელდება,
მთვარის სიყვარულის დავალებით.
ცოლ –ქმრის უღელია ოჯახი და...
ითხოვს ყურადღებას ყოველ წამით.
ტრფობის ელექსირის დაჯავშნით და...
ჯაფას... დიდ სიფრთხილეს, დღით და ღამით.
ხუთი მარტი არის სიცოცხლეთა..
თეთრად აფეთქება გაზაფხულის,
მთვარემ ია ხელში მოიხელთა,
მიზნად ქორწილი აქვს განზრახული.
მისი სიყვარული წრფელია და...
ტრფობის სიფაქიზით ნაფერები..
გუნდი ვარსკვლავების მცველია და..
ცათა ცისარტყელის ელფერებით...
მთვარე გიორგია, მეფეთ-მეფე,
ია თეონაა, მზის ხელებით....
რაჭას გადაშლიან ლამაზ სეფეს,
ას წელს აითვლიან ერთგულებით.

წავალ

წავალ ზეცაში, წავალ ბედით,
ნაგვემ- ნაჯიჯგნი,
რადგან ზაფხულის მოლოდინში,
დავღალე თვალი...
მე ცათა აღმართს მივუყვები,
ფრთხილი ნაბიჯით...
მთლად ვალმოხდილი.. სამშობლოსთვის
მლოცველი ქალი.
გაგიიოლეთ, მოგითელეთ ეკალბარდები,
ნაჯაფ ხელებით ავაშენე, მადლის სასახლე..
და ღვთის სამსჯავროს, როცა ბედით
ღმერთს ჩავბარდები..
როცა ცის სახლში თვალებს გავახელ..
დავტრიალდები... გადავფერთხავ, ღრუბლებს
თქორიანს..
შემომღიმილებს ვარსკვლავები ფერთა გამებით,
წლები ავთვალე, ცაც არა სჩანს ძალზე შორია...
იქ გაგრძელდება კვლავ სიცოცხლის ყოფნის წამები.

შენი სამყაროს სიკეთიდან გამომდინარე

(ნელი ქველაძეს)

ჩემო კეთილო, შენმა ლექსმა
ყინვა დაადნო,
ლღობა დაიწყო გულის არეს,
დარდის მდინარემ,
მეც შევეცდები სულით პოეტს
ფიქრი გაგანდო,
შენი სამყაროს სიკეთიდან გამომდინარე.
კეთილ ქალბატონს შემოგფიცავ,
ღვთით ერთგულებას,
სული ცის სივრცის, სიკამკამის ანაფერია,
სულის კერიავ,
თუმც ბედისწერა მიბრიყვებს და
მედიდგულება,
ლექსის ნობათი პოეტისთვის
ყველაფერია.

არ დაგიგებენ

არ დაგიგებენ ცოდნის ყვავილებს,
არც დაემდურო,
ვერ მოგწვდებიან.
გთხოვ, ცუდს პოეტო, გულს
ნუ გაივლებ,
ვხედავ ისედაც შურით კვდებიან.

მე

მე სხვა პლანეტას დავტრიალებ
ცის მთების იქით...
სასაცილოა... ვინც დამიწყებს
ძებნას ან ლტოლვას...
ლექსების რაშზე ვზივარ და მივქრი
გაჩერდეს ყველა...
წააგებს ჩემს სულთან ბრძოლას.

და ისევ მაინც...

როგორ მოგენდო, მყიფე ტოტო,
 როგორ მოგენდო,
შენ საღ ტოტებსაც არ ენდობა
 ჭკუამყოფელი...
როგორ მინდოდა შენს ჩრდილის ქვეშ
 ყინვა დამედნო,
ვყოფილიყავი დარდის კუნძულს გამოყოფილი.
არ შემიცოდე, თოვლი მხრებზე
 შემომიგროვე,
ნისლში გამხვიე და ცრემლებმა
 სევდად მაქცია.
წლებს შევაბერდი... საკმარისად
 დარდიც ვიგლოვე
და ისევ მაინც... მე სიკეთის
 კაბა მაცვია.

უნდა გავტეხო

უნდა გავტეხო ნიჭის გისოსი,
შემოვიჭყიტო, ფრთხილად, შორიდან.
მერე შევცურდე ლექსის ნილოსში,
ერთი დავრჩებით ბოლოს ორიდან.
მე დავმარცხდები, შენთან ჭიდილში,
შენ ცის და მიწის იცი ბიბლია,
ბრალს ნუ დაგდებენ ამ ჩემს სიკვდილში,
უბრალოდ ბრძოლა ჩემი ხიბლია.

გისურვებ

ისე უნდა გიფრთხილდებოდეს ყველა,
როგორც ღვიძლ შვილს, ანდა ძმას...
შორს შენგან შური და მავანთა წყევლა..
მიაყურადონ... შენი ლექსების ხმას.

არ ენდო

ვიღაცა იბრალებს რაღაცას,
ვიღაცა გულს გაძლევს თითქოს.
არ ენდო, სიცოცხლით გაგძარცვა,
ვიღაცამ მტერიც კი გიქო.
მის ხელში, იცოდე, მოკვდები,
მსხვერპლი გახდები ფლიდის.
შენს კვალს წვიმაშიც მოვსდევდი,
მაგრამ ვერაფერს ვცვლიდი.

გამოზაფხულზე

მზემ თბილი სხივით
გაზაფხულზე დარგო იები...
თოვლი ჯიუტობს,
აქა-იქა მაინც ბატონობს...
ქარს გავატანე ძველებური ემოციები...
და უნდა შევძლო, კვლავ
სამშობლოს მივეპატრონო.

არ გპატიობენ

არ გპატიობენ, ნიჭს რომ ასე
 უხვად არიგებ...
ნუ გეწყინება, ო, ეს სენი გვჭირს
 ჩვენ, ქართველებს..
მეც მაპატიე, გულო ჩემო,
 რომ ვერ გაგიგე,
წელში გაგტეხე
 და ვერაფრით ვერ გაგამთელე.

უსინდისობის ბალიში

ხომ დავიფიცე და სიფრთხილით
შეგბედე სიტყვა,
რჩეული ხარ და... ნუ აყვები
 მფრინავ ხალიჩას.
ზღაპრებს ყვებიო, გაიცინე,
 ჩამთვალე ბრიყვად...
უსინდისობა დაიდევი თავქვეშ ბალიშად...

ზღვას შემოგბედე

ზღვას შემოგბედე, ადიდებულს,
აბობოქრებულს,
ო, ამ ბრძოლებმა
მეც გამხადეს ტალღების შვილი.
მე გამოვუშვებ სულიწმინდის, სიმშვიდის
კრებულს,
არც დავბერდები...თუნდაც ვიყო
ხანშიშესული.

ხუთი მაისი

გაზაფხულის ლამაზ თვეს დავიბადე
ხუთ მაისს.
მოვიმარჯვე ანკესი
კალმახის დასაჭერად.
მადროვე ცოტა, ვლექსაობ-თქო,
შევძახე დაისს.
ბედმა სახრით იმდენი მცემა, კანი ამიჭრელა.

ყავისფერ ტანზე

ყავისფერ ტანზე ბაბუაწვერას,
თეთრი ბოხოხის ქუდი ახურავს,
მივიღე ჩემი ფიქრების წევრად,
მის სიახლოვეს ვიდექ მსახურად...
ვაკვირდებოდი მის ფაქიზ სხეულს,
მივეკარე და გამიქრა ხელში...
გულის ცახცახით ელოდა რჩეულს,
როგორ მინდოდა მყოლოდა ჩემში.
რძე მოდიოდა თოთო ტანიდან,
ბზინავდა მზეზე ფაფუკი სახე.
ვდარდობ და ვდარდობ მე იმ ხანიდან,
ბაბუაწვერას ხელი რად ვახლე...

მშვიდობის კრავი

მძიმე ჟამის დროს შაჰაბასმა სიმკაცრით ბრძანა,
პაატას სისხლით გადაღებეთ მთელი სპარსეთი.
თავი მოკვეთეთ...ტანი დადგით
თივების ზვინად,
ღალატისათვის ძღვენი იცის შახმა ასეთი.
გავიდა წლები....
ჩამოგვძახის პაატას სული,
ჩემს ძეგლს დავეძებ,
ვერსად ვნახე ქართულ მიწაზე,
ცხვარივით ვიყავ შეწირული,
მძევლად მისული.
თავი შეგწირეთ და თქვენ გმირად,
რად არ მიწამეთ?
იქნებ დრო არის, საქართველოვ,
იქნებ დრო არის,
შევრაცხოთ შვილი წმინდანად და
ჰქონდეს ნათელი....
ღამის წყვდიადი როს ნათდება
ლამაზი მთვარით...
პაატა არის, დამავალა მეთქვა სათქმელი.

ღვთის წილნაყარო

(თეონას)

შენ ჩემო თეო, სილამაზით მზეთა სადარო,
ჩემთვის მთვარევ და ცის ვარსკვლავო,
გულის სამყაროვ.
გზა მზემ გინათოს, საყვარელო,
აგცდეს ავდარი,
ჩემო იმედით მოსაუბრევ, ღვთის წილნაყარო.

სინდისით მოვკვდე

არ მეშინია მგლისა და ვეფხვის,
ზღვის და ქარიშხლის არ მეშინია.
მიწა? დედაა...ციდან ხმა მესმის,
ფიქრით დავეძებ მე ჩემიანებს.
გზათა ბილიკი ირგვლივ სავსეა.
მტაცებელია...მხვდება ავსულიც...
იყო ადრეც და დღესაც ასეა,
ცრემლები იყო ჩემი წარსული.
ახლაც ძალიან გახშირდა თოვა,
ხალხი შემომხვდა დღემეხვალიე....
სინდისით მოვკვდე დრო როცა მოვა,
მიმტევებლობით წლები გავლიე.

ჩემი სოფლის მთები

სანთელის მთები, ცის
ვარსკვლავებს
ეთამაშება,
მაგრამ ბაც ღრუბლებს, ცვალებადი
ხასიათი აქვს..
იქ თოჯინების სახლი დავდგით
ერთად ბავშვებმა,
და თვით ბუნება, ლამაზ-ლამაზ
ყვავილებს რგავდა.
საოცრებაა გაზაფხულზე
იების ხილვა,
ლამაზ შროშანებს ჩაუწნიათ
ქათქათა ბაფთა,
აქ როგორ გავძლო, იმ წალკოტში
გაზრდილმა შვილმა,
აქ ზაფხულშიდაც ჩემი გული
არაფრით გათბა.

ხათუნა ჩიტაძე

გაპატიებდი

მარტის თვალებს, ფახულას,
ხან მზე უდგას,
ხან თოვლი,
ეს სხივები ფარულად
ნაწვიმარზე კრთის თრთოლვით...
გაზაფხულის სურნელი
ეზო-ჰაერს იხუტებს,
მონატრებულს, სულელი
მარტი - წარსულს იბრუნებს.

მიწის შვილებს გულები
დასასკდომად მზადა აქვთ,
სიხარული, ულევი,
ამ გაზაფხულს თან დააქვს.
...და მეც ზეცას შევხარი,
მიწა ელავს იებით!
წარბი ვეღარ შევკარი,
წყენას გაპატიებდი.....

2016წ.

მარტის თვალი

მარტმა გაახილა თვალი!
ეზოში გაზაფხული დარბის...
ამ მზის სხივებით ვარ მთვრალი,
ღრუბლის ნაყინი მაქვს, ბამბის!
ეზოში ბაიები თრთიან,
ვაიდა გვესტუმროსო ქარი!
ია-იები კი ფრთიან,
სიმღერებს მიმღერენ ქნარით.
ტყემალს აექოჩრა კვირტი,
მიწას ზურმუხტები მოსჩანს,
აი, ამას ჰქვია რიტმი!
პირველ გაზაფხულის კოცნა!
სხეულს ჟრუანტელი მოსავს,
სულში დანავარდობს სხივი,
მზის გვირგვინი ზეცას მოსჩანს,

მიწას დაჰფოფინებს შვილი!
მიწას გული უცემს დიდი!
ახლა იმედების დროა...
გაზაფხულდა! - რა დროს რიდი!
მშვიდი გაზაფხულის დროა?!
მერე, - ამ სარკმლების გახსნა,
ქვესკნელს ჩაქცეული დარდი,
მერე, - სიყვარულით ხატვა!
კარზე მორთმეული ვარდი...
სურვილს ვერ ვაკავებ ხელში,
სიტყვას აეკინძა სიტყვა!
ახლა მხოლოდ მარტის მესმის!
ახლა მხოლოდ შენთან მინდა!
...მარტმა გაახილა თვალი.
მარტმა შემომიღო კარი.....

2016წ.

ქალი -ხარება

მიწას - მზისფერი ფარდაგი,
ნაფეხურები, უწყვეტი.
განა უბრალო? - მართალი!
ორ-ორი, არა თუ კენტი!
დედას სავსე აქვს ხელები,
წამოჩიტული თითებით!
მათ მოდგმას ლოცვით შევხვდები,
მზის ქუჩა! სავსე შვილებით!
ქალი არ მალავს მოლოდნს,
სხეულს ზედ აკრავს ცის თაღი!
დედას, კვლავ შვილის მომლოდინს,
ჯიში აქვს მრთელი და საღი!
მთელი ქვეყანა შეჰღიმის,
თვალი ვერ სწყდება საცქერალს!
დედამიწაზე ეს სხივი,
ღმერთო, ულევლად მაჩვენა!
შვილთა სიმრავლე ჩემს მამულს!

ქალ-ვაჟი მხნე და რჩეული!
ეს დედა ბევრი ქალისგან,
მით არის გამორჩეული!
ტიკ-ტიკით ქუჩას იკლებენ,
სიცილით ცას ედრებიან,
ეს პაწაწინა ბოკვრები,
უკვალოდ არ გაჰქრებიან!
ქალაქს მზისფერი ფარდაგი,
ზედ დედა თვისი შვილებით,
მშობელი, წრფელი, მართალი!
მომავლით სავსე იმედი!
უფალო!
- გზაა ოცნება!
სურათი, როგორც ზმანება!
დედას, შვილებით მომავალს,
მე დავარქმევდი ხარებას!

2015წ.

ფითრი

მურად მთვარელიძეს

უნდათ ხელზე შეგასიონ ფითრი!
ტყვიის სიტყვებს ვეფარები ფარად
და თან სათქმელს ისევ ისე ვიტყვი,
თუნდაც მტერი მოვიმრავლო ჯარად!
როცა გული მეგობრობის ნათელს
იტევს! და თან სხვებს ურიგებს ჯილდოდ,
ვუფრთხილდები ამ ერთადერთ სანთელს,
არ ჩამიქვრეს! ჩამეფერფლოს, ვინძლო!
...მაინც გზაზე ეს ამდენი მრუდე...
ერთად ბევრი გაგვივლია, ვხედავ,
არ გაკმარეს ტალახი და წუმპე!
კიდევ ერთხელ გასაოცრად ჩემდა!
...გადაიწევს ქარტეხილთა ჩერო,
ჩვენ ხომ ვიცით, გაზაფხული მოვა,
ახლა ვხვდები, თურმე რატომ გჩემობ,
რატომ მიყვარს მაგ ლექსების თოვა!
უნდათ ხელზე შეგასიონ ფითრი,
უნდათ წყარო ამოაშრონ თვითვე,
ფარად ვდგავარ!
გულისცემას ვითვლი!
რამდენი ვართ, მოდით ერთი, გვკითხეთ!

2016წ.

ოდესღაც

ათასში ერთხელ
ჩავივლი ქუჩას,
სადაც იები ენთო ოდესღაც,
ჩანს...
არ ჩანს...
თვალი მატყუებს ურჩად,
გაზაფხული და მზეა როდესაც....
რომ მოდიოდი იმედად, მახსოვს,
როგორ მაკლია იმ ქუჩის მტვერი,
ბედი, ორგული, დღესაც კი მასხრობს, -
მეგობარია თუ შენი მტერი?...
...ფეხის ხმა მახსოვს,
საღამოები,
სულ ერთი ციდა ღიმილი, მშვიდი,
მოდიოდი და მახსოვს, ერთხელაც
ველარ მოხვედი...
- მე კი სულს ვშლიდი.
რომ არ მოხვედი,
იმ გზებსაც ვშლიდი...
...ათასში ერთხელ ჩავივლი ქუჩას,
სადაც იები ენთო, ოდესღაც,
დღეს მეჩვენება ის ქუჩა ლურჯად!
გაზაფხული და მზეა როდესაც.....

2015წ.

საღამოს ექსპრომტი

შვილი იავნანას მღერის,
ნოემბერი მთვარეს ქარგავს,
გამიმრავლდეს ოღონდ ერი,
ვლოცულობ და მთვარის ქარგას,
ვუფრთხილდები,
რომ ქარებმა,
ბნელ-ღრუბელი არ მოდენოს,
ღამენათევმა თვალებმა
ისევ თეთრად არ ათენოს!
რომ მომავალს კვლავაც შვილმა
იავნანით დაიმღეროს,
ამ ოჯახის ძველმა ძირმა,
ტრფობით გული გაიხელოს!
...შვილი იავნანას მღერის,
გული მეცხრე ცაზე დაფრენს,
კალთაში კი მთვარის ბელი,
ელოდება ბებოს ზღაპრებს...

2015წ.

მზითევი

მე ისევ ვკერავ,
დამეჩხვლიტა ისევ თითები,
კვლავ ნაქარგს ,,ვზვერავ"
...და მზადდება ასე მზითევი.
ისევ სიჭრელე
მოქარგული ჩემი ფერების,
მძიმედ დაეშვა
მერამდენედ ჩემი ხელები...
თქვენს სასიკეთოდ,
სამომავლოდ,
კვლავ ავინთები!
ასე მზადდება
დედის ხელით
შვილის მზითევი!
...ჭრელ ტილოს ვქარგავ,
დამეჩხვლიტა ისევ თითები.....

2009წ.

ავტოპორტრეტი

სული -ხელოვნება,
- გული მეთანხმება!
გრძნობა მემალება,
ღაწვი მეალება,
ფიქრი მეფერება,
ნახვა მენატრება,
თავი მედარდება -
ბევრი მევალება!

2009წ.

ხაშურს

ვერასდროს გავცვლი
მე ვერაფერზე
ამ პაწაწინა
სულის ყვავილებს;
ჩემი ბავშვობის,
ჩემი ქალობის,
ჩემი სიცოცხლის
წარმტაც ნაწილებს...
აქ, სადაც შვილებს
წყობით უვლიათ,
სადაც გაზრდილან
ჩემი ასულნი!
და მირჩევნია
მთელს გალაქტიკას
ჩემი სიცოცხლის
სუნთქვა!
ხაშური!
არასდროს გავცვლი მე არაფერზე
ამ უზარმაზარ სულის ნაფლეთებს!

2003წ.

იარებს

მზის სურნელია, -
ჰაერს რომ ერწყმის,
ისე უბიწოდ ზეცა კრიალებს...
გაზაფხულივით მიღიმის ლექსი
და მომიშუშებს სულს, ნაიარევს!
ვერ დავახატე ჩემი სინათლე,
გრძნეულ ჯადოქარს,
უცხოს და უბირს!
შემოვიფარე თბილი სინაზე
და ვტოვებ მარტო
უღირსთან უღირსს!
გაზაფხულია ახლა ჩემი დღე,
(მე რა ვინაღვლო, სხვა დაიღალოს,)
მარტო დარჩენილს უცხო ბუნაგში,
ტყვია-ტყუილი გულს დაიხალოს!
ხო! ახლა მარტი მეფოფინება...
აპრილი დგას და ამაყად მიცდის!
სხვას თავის სევდა ემყოფინება
ჩემი გული კი ტკივილებს იცლის...
გაუფერულდა რადგან სიმღერა!
ვერ შევაყვარე ანი და ბანი,
როგორ მეგონა, რომ დაიმღერა,
ბედნიერებამ პატარა ქნარით!
...წაბილწეს ყველა თეთრი ოცნება!
ფრთიანი ფიქრი,
კეთილი დღენი,
ვერსად ვიხილე მე გამოწვდილი,
მართალი კაცის ძლიერი ხელი!
აი, ესაა ჩვენი ცხოვრება!
გამოცანა და მხოლოდ ტყუილი!
მიტომ არ მოდის უფლის ცხონება...
რჩება ტკივილი და მგლის ყმუილი!
...მაგრამ,
ახლა რა მოსატანია,
ამ გაზაფხულზე ტვირთი და ვიში,
მზის სხივი ჩემთვის ხომ საფარია,
ნავსაყუდელი კი კიდევ ვისში!
მზის სურნელია,
ჰაერს რომ ერწყმის...
ისე უბიწოდ ზეცა კრიალებს....
მე დავიკარგე ისევ ჩემს ლექსში,
მე დავუბრუნდი ისევ იარებს!

2014წ.

ვაჟა ფშაველს

რას დაგსეტყვავდა ბუნება,
ჭრილობას ფენდი მალამოს,
ნეტავ დარჩენა გენება,
ჩემო ფიქრო და ვარამო!
მთას იქით მთვარე ამოდის,
ისევე, როგორც იყო რა...
ჩემი ვედრება არ მოდის
და ტანჯვამ გადამიყოლა...
იას რა ვუთხრა, ტურფასა,
ხომ იცი, ვერც რას გაიგებს!
ისევ ამოგლეჯს მიწასა,
პატარა ფერხთით დაიგებს...
ბუნების მესაიდუმლევ,
აქ უსაშველოდ ბინდდება,
გადაგვიჯიშდა ჯილაგი
და სულიც უფრო ფითრდება!
სახვალიოდა არა ჩანს,
გლეხის ერთგული თვალები!
ვაი, სოფელში მომრავლდა
ეული ნასახლარები!
მშვიდად როგორ ხარ სულეთში,
როცა აქ, ასე ბინდდება?
ჩვენი ცოდვების სიმრავლით,
როცა ავსული მდიდრდება!
შენ, დიდო ლექსის ბერმუხავ,
კვლავ შენი სიტყვა გვჭირდება!
ილოცე საქართველოსთვის,
ვინძლო, არ გაგვიჭირდება...
ტკივილებს ლექსად გიგზავნი,
შორით მოგაწვდი ხმასაო,
ბოლო სიტყვად კი დაგაწევ: -
არ დავაჟანგებთ ხმალსაო!

2014წ.

მწარაბალა (ზვარეში)

დამემგზავრება დღესაც სოფელი,
მისი სურნელი და მისი ჭალა,
და მემგზავრება ყველა კუნჭული,
წყაროს ჩრდილები და...
მწარაბალა!
სოფლის თავდაღმართს რომ ჩავირბენდით,
ამხანაგები, ღვედურ-ნაწნავა!
გულის ფრთხიალით იმ ხის კენწერომ,
ხან მახალისა, ხანაც მაწამა.
ქარი კი რკალის ხაზზე მარხევდა,
არ მეშინოდა, ვიყავ ნაწრთობი,
ნაგლეჯი ტოტი ჯიბეს მახევდა,
არ მნებდებოდა მწიფე ნაყოფი!
...ნეტავ, დღესაც თუ იქაა ჭალა...
...ნეტავ, ისევ დგას ის მწარაბალა?.....

2010წ.

* * *

სულ ცოტაც და...
გაიშლება კვირტი!
მოვდივარ და ლექსი მომდევს გზაზე,
ალბათ, სათქმელს უფლის ენით ვიტყვი,
გაზაფხულსაც გადავთარგმნი ასე...
იდუმალი ზმანებაა სივრცე,
აცეტებულ მზის სხივებით მთვრალი,
სახადივით შემომყარა სიცხე,
მზემ საჭვრეტად დაიყენა თვალი.
გაზაფხული... სურნელთკიდობანი!
ვარდის რტოებს აეშალათ ფრთები,
ზურმუხტებით მიმზერს მთა და ბარი,
მოვდივარ და გაზაფხულით ვთვრები!
...სულ ცოტაც და...
გაიშლება კვირტი!
თვალხილული ოცნება ფრენს გზაზე,
სათქმელს, მხოლოდ უფლის ენით ვიტყვი,
ჩემს სიყვარულს დაგიხატავთ ასე...

2012წ.

ანისული

სიკეთეა ჩემი ყოფა და ცხოვრება,
მისი ჯილა ფერად სულზე არის სრული,
დამებნია სასწაული სურნელებით -
მარგალიტი! - უნაზესი ანისული!
ნურც მეახლოს უცხო ვინმე, ვინც ვერ მიგებს!
ვინც მეცრუა...
და თან არის ავი სული!
განა არხლი შემეყინა ამ გულ-მკერდზე?
- არა! მათოვს საამური ანისული!
ვაჩუქურთმე ჩემს გარშემო ეს ალაბი...
და ჩემს ბილიკს ვერ მოძებნის მდარი გული;
სიკეთეა ჩემი ყოფა და ცხოვრება,
და ოცნება - უნაზესი ანისული!

2010წ.

მეუღლეს

არ გვინდა სიტყვების ქარავანი,
ოჯახის სიმშვიდე გვშვენის.
აქაა მომავლის ბალავარი, -
სათქმელი ჩემი და შენი!
თვალთა სიმრავლე და ვარდისფერი,
ცხოვრება მარტივი, ძნელი...
სიკეთე, ყველაზე მადლისმფენი, -
სიმდიდრე ჩემი და შენი!
პეპლის ცისარტყელა მინდორში კი
ლამაზ თავგვირგვინად მშვენის,
გაცხადდა სიზმარში მონათხრობი
ზღაპარი, ჩემი და შენი!
ღიმილი, სურვილი, იმედები,
ამ გულს დიადემად შვენის,
არასდროს იქნება ბორკილები,
ძვირფასო, ჩემი და შენი!
რად გვინდა სიტყვების ქარავანი,
ჩვენ უფლის წყალობა გვშვენის...
აქაა მომავლის ბალავარი,
ოჯახი ჩემი და შენი!

2011წ.

ეკა მოდებაძე

გულში ჩაგიხუტო, მინდა!

ვუძღვნი დედას

არა, არ გატირებ და არც იფიქრო,
არც გულს აგატკივებ, დედი!
მინდა, იმზეგრძელო, დიდხანს იცოცხლო,
თმა შეგეევერცხლა, ვხვდები.
ალბათ, ჭაღარა უფრო დაგათოვს,
შუბლზე გაგიჩნდება ხაზი,
სიბერის წლები ბევრი მოგეცეს,
გული შეგრჩენოდეს ნაზი.
დედიკო, დედი, ო, რა ტკბილი ხარ,
გულში მზედ მიზიხარ, ვთბები,
როცა მახსენდება შენი ხელები და
შენი თვალები, დედი!
ცრემლი მერევა, ქუთუთო მძიმდება,
გულში ჩაგიხუტო, მინდა,
შენთან შეხვედრა რომ მიგვიანდება,
გრძნობა მეძალება წმინდა.
დედა, დედიკო, გეძებ, ვით ბავშვი,
პატარა გოგონა ცელქი,
მინდა გამოვრბოდე ბავშვობის სახლში,
კალთას გისველებდე ცრემლით
და, მერე, შენი თბილი ხელებით
მეფერებოდე, დედი;
კვლავაც მითბობდე ბუნჩულა თითებს,
ცრემლებს მიშრობდე კოცნით,
შენს თბილ უბეში მეძინებოდეს,
მანუგეშებდე ლოცვით.

სერგი ლომაძე

სერგი და ვასო ლომაძეები

ზამთრის ეპოქა

(თეთრი)

ეს ქმნილება უნდა დაემატოს ჯგუფ „ზღვარის“ ერთ-ერთ წიგნს – „ლურჯ ლირიკას“. წიგნში მისი ადგილი იქნება ჩემი ლირიკულ-ეპიკური პოემის – „მკვდარი მეფეების ბაღის“ შემდეგ და აქვე უნდა იყოს განმარტება, რომ ეს პოემა წიგნს მოგვიანებით შეემატა.

„ცხოვრების მიღმა,
სადაც მწვანე ხმაურობს ტალღა“..
მაგრამ სიმწვანე
არის მხოლოდ მოჩვენებითი,
და ეზმანება გორდას ზაფხული..
არის ზამთარი საშინელი,
ძვალ-რბილში ატანს
თოვლი და ყინვა.
გორდა მარტოა,
გაქცეული თვის ქალაქიდან.
სხვა მხარეშია,
არის თოვლში, ქუჩაში, მარტო, მიგდებული.
ის ზამთარში (თუ ზმანებაში)
გაჰყურებს ტალღებს, –
მომწვანოს, ლურჯებს,
ამ ტალღებში ყვავილებია,
გაზაფხულია ამ ტალღებში
ზაფხულზე უფრო მეტწილადაც,
გაზაფხულია,
თუ – მშობლიური ქალაქია აქ დამარხული..
თვალებს გაახელს.
სოფელია, რამ, უცნაური
ყველას შავები აცვია და
თოვლია თეთრი,
თოვლის ტალღები გადადიან
მთელ სამყაროზე,
ქვებუდარია თუმც სიცივე,
თოვლი მაინც ლამაზია,
ღვთაებრივია,
ანათებს თეთრი,
ანათებს თეთრად;
და შავებში ჩაცმული ხალხი
(შემოდგომური,ზამთრული ხალხი, –
თითქოს.. თითქოს..)
ყველა მიმოდის თავის საქმეზე..
ეს არის რაღაც სოფელი (დაბა),
საკმაოდ ვრცელი,
უცნაური რამე ადგილი.
ვერა ხედავენ თითქოსო, გორდას.
– ეჰეი, ხალხო!
ხომ არ გძინავთ,
თუ ეს მე მძინავს,
ისევ მძინავს,
და თან ვხედავ ისევე სიზმარს?!“
ცივი ნიავი ძვალ- რბილში ატანს,
ხოლო გორდა
თეთრი სამყაროს შავ ბინადრებს
ისევ გასძახის.
– ეჰეი, ხალხო, გაიღვიძეთ!
გაიღვიძეთ, თქო!.. მიჭირს აღქმა..
ერთ მღვიძარს მიჭირს
ამდენ მძინარეს შორის ყოფნა..
გაიღვიძენით!..
მერე შეხედეს.
მოიყარეს მის ირგვლივ თავი.
– „ვინა ხარ, კაცო,

რა გაყვირებს?–
უთხრეს მას, ფრთხილად
უთხრეს ჩუმად და გულგრილადაც.
აქ მას არავინ იცნობდა და
არცა უყვარდათ,
არცა სძულდათ,
არცა ახსოვდათ საერთოდა,
ის აქ ამათთვის,
უბრალოდ ვთქვათ,–არ არსებობდა;
ინტერესიც არა იყო,
აქა მისდამი,
და იყო იგი არარსებული.
– „ვინა ხარ, კაცო?“
ისევ ჰკითხეს ყასიდადა,
ჰკითხეს უჟმურად,
და მოიწყინა ძალიან გორდამ.
– „მეომარი ვარ.
ასი ომის მოგების შემდეგ,
მიღალატეს და გავიქეცი ჩემი მხარიდან.
დაჭრილი ვარ.
ეგებ ვიღაცამ შემიფაროს
ცოტა ხნით მაინც.“
– „გვითხარი, რაა შენი სახელი?“
ჰკითხეს ისევე უგემურად.
– „მე გორდა მქვია“
– ძმაო, იცი რა, ეს მონების ქვეყანაა,
ხო, მონების იმპერიაა;
ხოდა, აქ გორდა არვის სჭირდება..
ზევით აუყევ აიმ ბილიკებს, –
იქ იპოვი ძველსა მონასტერს,
ძველს და უცნაურს;
ეგების ვინმეს იქ გამოადგე.“
შეუყვა გორდა
თეთრსა აღმართს,
და მოდის თოვლი,
მოდის თოვლის ზღვა,
იტევს სამყაროს,
და ოკეანე თეთრი თოვლის,
ცამდე იწევა,
ხოლო სახეზე თამაშობენ
ფიფქთა ჩრდილები,
და თეთრსა გზაზე
სისხლის წითელი წვეთები ჩანს,
ვით ყაყაჩონი..
ცხოვრების მიღმა თუა გორდა,
ან თუ ჰგონია,
რომ არის ახლა,
ცხოვრების მიღმა..
გზა გაიარა,
გასცდა თეთრ ტყეს,
და გავიდა თეთრი ტბის პირას.
იქით მთებია.
მონასტერი, სულ თეთრი,–აქეთ.
მონასტრის კართან–ყორანია,
– „აღარასოდეს“...
აწერია რომლის ნისკარტსაც,
ედგარ პოსა და ბარათაშვილს
სულის ჩრდილად რომ გადაექცა,
აის ყორანი,
აის სიტყვა,
და უამრავი სხვა პოეტიც,
როგორც პოეტი და მეომარი,
რომ დაამწუხრა..
– „თუ მიწერია გადარჩენა?“
მშვიდად ჰკითხავს მოხეტიალე, –
„თუ უკვე არ ვარ,
უკვე აღარ ვარ..“
ყორანი ნელა აფრინდება,
დაიკარგება,
ერთ სიტყვასაც კი აღარ იტყვის
იმისი ბაგე (თუ ნისკარტი),
მხოლოდ ღიმილი ცინიკური,
იქვე დააგდო,
და ეს ღიმილიც,
ძველ სარკესავით, იმწამსვე გატყდა..
დააკაკუნა გორდამ კარზე,
დააკაკუნე და გაიღება, –
გაახსენდა,ხმა, ბიბლიური,
დააკაკუნა კიდევ, კიდევ..
მერე ზარების რეკვა ატყდა,
წითელი სისხლით
შეიღება როს თეთრი კარი
და ამ ზარებში
კოსმიური ჩანდა მუსიკა,
მიქელანჯელოს და რაფაელის
ნახატებივით;
ლეონარდოს მედუზასებრი მზერასავით
საიდუმლოდ ჟღერდა მუსიკა,
მუსიკა იგი ზარებისა,
გრანდიოზული.
იღებებოდა წითელი სისხლით,
მონასტრის კარი
(თუ ტაძრის კარი,–
კარი იგი მთავარ შენობის)
იღებებოდა, იღებებოდა..
მერე გალურჯდა სისხლი ესე..
მერე გათეთრდა..
და იფეთქა, უეცრად კარმა,
ჩამოილეწა იგი მთლიანად,
და გამოვიდა მონასტრიდან,

ბერების შავი სამოსელით შემოსილი
ას ათი კაცი
რაინდები,
თეთრ ცხენებზე ამხედრებულნი.
– ვინა ხართ თქვენა?!
გაოცებით ეტყვის მათ გორდა.
– ჭეშმარიტება, ან მისი აჩრდილი,
ხო, აჩრდილი მაინც,
თეთრი აჩრდილი.. –
პასუხობს იგი,
ვინც არის სულ წინ,
სულ პირველი.
და უცებ, შავი ანაფორები,
(ან ანაფორის მსგავსი სამოსი)
უთეთრეს და უსპეტაკეს
სამოსელებად ექცათ რაინდებს,
ყველას – როგორც ერთს.
– შენ ხომ გორდა ხარ, –
ვიცი.. ვიცი ეს..
აგე, ცხენი კიდევ ერთი, –
შეჯექი მასზე და წამოგვყევი.
გორდა ხომ ხარ და..
გორდა ყოველთვის საჭირო!
და არის თოვლი..
არის ნიავი;
არის ქარი;
არის გრიგალი..
ხოლო გრიგალში, ეს ფიფქები
გიჟურად ცეკვავს,
ხოლო ფიფქთა ამ დიდ თეატრში
მიდის რაინდი ას თერთმეტი:
სულ წინ –
უცნობი რაინდია, ძლევამოსილი;
სულ ბოლოს – გორდა,
აღარ არის იგი დაჭრილი..
ეს სიზმარია?
მისტერია რამე უცნობი?
ეს არის რამე საიდუმლო

შეუცნობელ მარადისობის?
ღმერთის სცენაა,
უცნაური რამ პოეზია,
ღმერთის სპექტაკლი?..
ჩვენ ეს არ ვიცით...
ხოლო თეთრი,
დარჩება სულში,
და სამყარო,
ბრილიანტივით უთეთრესი,
მოხიბლულა მისსავ ნათებით...

P.S. მე, სერგი, განვმარტავ იმას, რომ ჩემს პოემათა
დიდ ნაწილში რიტმი უფრო იგრძნობა,
ვიდრე რითმა, თუმცა, სინამდვილეში, მათში
ორივეა თავისებურად, და ისინი
ქსოვენ ამ პოემათა მკვეთრ,
ხელშესახებ მუსიკალობას...

თარგმანები

მაყვალა გონაშვილი

პოემა

მარ ბაჯიევი

მანასის ბავშვობა

(გაგრძელება)

პოემის დასაწყისი იხილეთ
ანთოლოგიის მე-3 ტომსა და
ჟურნალი „ათინათის“ მე-18 ნომერში

რვა წლისა გახდა აკარაკი, ჩვენი მანასი,
დღეებმა ისე ჩაიქროლეს, როგორც რაშებმა,
თანატოლები შესცქეროდნენ შიშით გოლიათს,
რომელიც ლოდებს კენჭებივით ათამაშებდა.
ჩხუბის თავი და შფოთიანი იყო მანასი,
რიდი არ ჰქონდა არც დედასი და არც მამასი,
ყინულს ჩატეხდა და ცივ წყალში ლაღად ცურავდა,
უყვარდა ცხენით ჯირითობა, ბედთან თამაში.
ო, კოკე-თენგირ! – ვიშვიშებდა მწარედ ჟაკიპი,
გავჭაღარავდი, სიბერეში ეს რას მოვესწარ,
არა მგონია, რომ ამ თავხედს ჭკვა მოემატოს,
იქნებ და სჯობდა, ღმერთო, შვილი სულ არ
მოგეცა.
ხშირად ტოვებდა აკარაკი მშობლიურ კარავს,
შეკრებდა თავის თანატოლებს, ვით ცხვრების
ფარას,
ყირგიზ ყმაწვილებს ის ყოჩივით ედგა ქომაგად,
ორდოს თამაშში გოლიათი თავს არ ზოგავდა.
და ახალგაზრდა ყალმუხებმა უთხრეს ერთმანეთს,
არ უცხოვრია ამ მხარეში ყირგიზს აროდეს,
ვის გაუგია სხვის მიწაზე, სხვის სამშობლოში,
რომ ხიზანს თავი მოჰქონდეს და ამპარტავნობდეს.
ხელში ავიღოთ ქამანდები, კეტები, ქვები,
იქ შევიკრიბოთ, სადაც ცივი, ანკარა რუა,
თავხედ გოლიათს ალიყური ვაჭამოთ უნდა
და სულელ ბავშვებს, სანამ დროა, ვასწავლოთ
ჭკუა.
და დაერივნენ ბალღებს, ორდოს მოთამაშეებს,
მთას აყრუებდა ყმაწვილების ყვირილი, ოხვრა,
ზოგს პანღური ჰკრეს, ზოგსაც ხელი ჰკიდეს
ქეჩოში,
ყველაზე მეტი, რა თქმა უნდა, წინამძღოლს
მოხვდა.
და თანატოლებს შეუძახა მანასმა ასე: –
„თავისით როდი დაგვიჯდება ალჩუზე ბედი,
თავხედ ყალმუხებს უნდა კუდით ქვა ვასროლინოთ,
უნდა დავიცვათ ერთმანეთი საკუთარ მკერდით.
წინ გველის ბრძოლა სასტიკი და დაუნდობელი,
ეს არ გეგონოთ ომობანას ლაღი თამაში“.
უცებ დასტაცეს ხელი კოჭებს, ქამრებს და ჯოხებს
და მოაქციეს ყალმუხები უცებ ალყაში.
რა ჩხუბი იყო, მუშტი-კრივი, რა ორთაბრძოლა,
სიმწრით და ბოღმით ყალმუხები ატირდნენ ლამის,
ზოგი ჩირგვებში მიიმალა, როგორც კურდღელი.
ვინ სად გარბოდა, ძნელი იყო გარჩევა ამის.
შემოეხვივნენ ძმა-ბიჭები უძლეველ მანასს,
გამარჯვებული, ალამივით ცისკენ ასწიეს,
მთებში გავარდა ხმა, ჟაკიპის სულელმა შვილმა
ცხვირიდან სისხლი ადინაო ყალმუხ ყმაწვილებს.
ჟაკიპმა იხმო ჩიირიდი, ასე შესჩივლა: –
„ეჰ, ჩემო ცოლო, გადავვარდე მითხარ, რა წყალში,
მტრად გვექცა შვილი, ქარს გაატანს მთელ ჩვენს
მონაგარს,
ნეტავი ასე აკარაკი ვინ გვყავდა გვარში?
ბევრი ვიტანჯეთ, სანამ ჩვენ აქ
დავმკვიდრდებოდით,
სანამ მშვიდობას ვიპოვიდით, ჩვენს მთავარ მიზანს,
ბოენის შვილი ჩაიანი მე პატივს მცემდა
და ბაკდოლეთი მომათხოვა ლტოლვილს და ხიზანს.
მტერი მოყვარედ გავიხადეთ, ძმად და მეგობრად,
თითქოს ამ გულსაც დაავიწყდა ტანჯვა-წამება,
ჩვენი მანასი ყალმუხებთან ისე დიდგულობს,
ვაი, თუ, ისევ გადავიქცეთ მაწანწალებად.
იქნებ და რამე დავაკელი ჩემი სიბერით,
რა ეშველება ასე სულელს, მითხარი, ქალო?
დაე, ოშპურთან წავიყვანოთ, მწყემსის ნახირი,
თვალს მოვაშოროთ ჩვენი ვაჟი, შორს
გადავმალოთ.
იხმეს მანასი, ასე უთხრეს, ვართ ღარიბები,
არ გვაბადია ხედავ, შვილო, ცხენები, ცხვრები.
მიეხმარე და თხუთმეტ ბატკანს მოგცემს ოშპური,
თვით მოიპოვე შენი სარჩო და ლუკმა-პური.

•

უთენია ბაიმ ცხენი
ჯაგლაგი და ფერად ყარა,
შეკაზმა და თავის ერთა
იალაღზე წაიყვანა.

ოშპურს უთხრა: – „გევედრები,
მშრომელ კაცად გამიზარდე,
ბრიყვია და უსაქმური,
მე რა წყალში გადავვარდე,
არ მოეგო თუკი ჭკუას,
თავი უნდა ქვას ვახალო,
ერთი გყავდა, ვერ გაზარდე,
არ მეტყვიან, ვინა ხარო?
მოყვარე ვით დავამწუხრო?
მტერი როგორ გავახარო.
მთელი ჩემი მონაგარი,
მე ქარს როგორ გავატანო?“

•

არ ჰქონია მოცლა წამით,
გაამრავლა რემა, ფარა
და მანასმა ხუთი წელი
სულ შრომაში გაატარა.
თორმეტი წლის რომ შეიქმნა
მან თავისთან უხმო ტოლებს
თამაშობდნენ, ჯირითობდნენ
ედებოდნენ ღობე-ყორეს...
კოჭაობდნენ, ჭიდაობდნენ,
მდინარეში შლიდნენ ბადეს,
საღამოთი ცეცხლს ანთებდნენ,
ნაკვერჩხალზე წვავდნენ მწვადებს.
იძახოდნენ: – „ვაშა, მანას!“
დროშად შეკრეს ძონძ-მანძები,
ხუთ ბატკანს ერთ დღეში ჭამდნენ
სავსე იყო ველი ძვლებით.
შვილი მაინც არის შვილი,
გინდა იყოს სალახანა,
მოენატრა ჟაკიპს ვაჟი
გაეშურა სანახავად.
– ჩემო ოშპურ, დავბერდი და
შვილზე ფიქრი მექცა დარდად,
თუ შემატა წლებმა ჭკუა,
მითხარი, თუ დავაჟკაცდა.
– ჟაკიპბაი, ჩვენს მწყემსებში
მას ბევრი ჰყავს მომჩივანი,
ბიჭები შეკრიბა რაზმად,
შენი ვაჟი ყოჩი არის.
ჭიდაობენ დღე და ღამე,
არის ერთი ზედახორა,
საქმეს გულს არავინ უდებს,
ყველა ბიჭი აიყოლა.
ერთ ჭამაზე ხუთ ცხვარს ჭამენ,
სუფრას შლიან ჯაილოზე,
მთელი ღამე ქეიფობენ,
იძინებენ ალიონზე.
იძახიან: – „ვაშა, მანას!“
საქმეს შველა უნდა დროზე.
თუ გაიგო, ესენ ხანმა,
ცოცხალია მანასიო,
ყირგიზების წინამძღოლი
და იმედი მამასიო,
გამოგზავნის მამაც მხედრებს,
წამითაც არ დაახანებს,
უსათუოდ მოკლავს მანასს,
იცი, ჩვენს მტერს გაახარებს.
თუ გსურს ხიფათს გაარიდო,
თანაც ყველა ახეირო,
წაიყვანე შენი ვაჟი
გული დავიარხეინო!“
რაკი წყალი გადუწურეს,
აღარ ჰქონდა სხვა გზა რაკი,
წამოვიდა ჟაკიპბაი
უკან მოსდევს აკარაკი.
ეს რა ხდება იალაღზე?
დააყენეს რა ქარბუქი?
ცხენებს საით ერეკება
ათი ყალმუხი ჭაბუკი?
„ასე რატომ მოიღუშე?
ცრემლია თუ თვალზე ნამი?
რატომ სცემენ იმ მეჯოგეს?
ვისი რემა მოჰყავთ, მამი?“
„მოფენილი არის ველი,
ჩვენი სისხლით, ჩვენი ძვლებით,
ჩვენ აქ მაინც ხიზნები ვართ,
ყალმუხები – მასპინძლები.
ეს ცხვრებიც და ეს ცხენებიც,
ყველაფერი სულ ჩემია,
ბეგარა არ გადვიხადე,
კაცი მიტომ უცემიათ“.
ახლა მიხვდა გოლიათი
ის კაცები ვინ არიან,
რომ ოშპური მსახურია,
რომ ჟაკიპი მდიდარია.
ითმინა და ვერ ითმინა,
გააჭენა ბაიმ ცხენი
და ყალმუხმა მოხუც მხედარს,
გადუჭირა შოლტის წვერი.
მანასმა ვერ დაიოკა
მრისხანება, გულისფეთქვა,
კორტუკს ესროლა ქამანდა
თავის ქალა გაუხეთქა,
ყალმუხები ეცნენ მანასს,
ჭაბუკს ძალა მოემატა,
გოლიათმა ბიჭ-ბუჭები
აქეთ-იქით მიმოფანტა.

ჟაკიბ-ბაიმ უთხრა მანასს,
დავისჯებით ამ სისხლისთვის,
გამოსასყიდს გადავიხდი
მე კორტუკის სიკვდილისთვის.
„გვეყო, მამი, მორჩილება
რადგან ასე გაგვახელეს,
რა ვქნა, მე ვერ გავჩერდები,
გულზე ვერ დავიკრეფ ხელებს,
ჩემი რისხვის, ჩემი ძალის,
ეშინოდეთ ყანგაელებს.
როცა ჩემს ხალხს ამცირებენ,
ვერ ვიქნები არხეინად,
ვიცი, მხსნელად დავიბადე,
„მანას“ ჩემი სახელია.
იმ მხარეში კოჩკუ იყო
ესენ-ხანის ნაცვალიო,
გულში ჩუმად უღვიოდა
სიძულვილის მარცვალიო.
სისხამ დილით მოახსენეს,
დიდებულო, კოჩკუ, ხანო!
მთიდან ამბავი მოვიდა
სავალალო, სამწუხარო.
ბურუტები[1] გათავხედდნენ,
არ დაგვითმეს ცხენებიო,
მოკლეს ვაჟკაცი კორტუკი,
უცემიათ ჩვენებიო.
ბრაზობს კოჩკუ, იგლეჯს წვერებს,
კედლებს აწყდება, ვით ქარი,
მრისხანებით ავსებულმა
შეკრიბა დიდი ლაშქარი.
მრავალ ბურუტს დაუჭკნება
დღეს სიცოცხლის ყვავილიო,
ქალის ქვითინს შეერევა
ცხვარ-ძროხების ბღავილიო,
ბალახი ვერ გაიხარებს
იქ, სადაც მე ჩავივლიო,
ჟაკიპ-ბაი, უმადურო,
დაგვანახე შენი ძეო,
იმდენს ვურტყამთ ცხვირ-პირიდან
წამოუვა დედის რძეო.
ღირსები ხართ ამ მიწიდან
სამუდამოდ გაგაძევოთ.
არ გაკმარებთ ჩვენ ამ სასჯელს,
დღე და ღამე ცრემლი ღვარეთ,
უმადურო ბურუტებო,
შეგიკედლეთ, შეგიფარეთ.
თქვენს აქლემებს, თქვენს ცხვარ-ძროხას
არ აკლიათ თივა, ქერი,
გამრავლდით და გათავხედდით,
სიკეთის წილ ეს რა ჰქენით?
ნახეთ ერთი, მაგ თქვენს მანასს
ცხვირ-პირს როგორ დავუნაყავ,
მძვინვარებდა კოჩკუ-ხანი,
შემოარტყეს უცებ ალყა.
სიცოცხლეს არ დაიშურებს
დასჭირდება მანასს თუკი
ძმობილისთვის სულსაც დალევს
ეს ორმოცი მზეჭაბუკი.
„ხის ჯოხებით რას დამაკლებთ“, –
მოიმარჯვა კოჩკუმ ხმალი,
მაგრამ ამ დროს ერ-მანასი
გამოენთო, როგორც ხარი.
მხარში სტყორცნა კოჩკუს შუბი,
მამაცმა და ავზნიანმა
და გაიქცა შიშნაჭამი
ხანი თავის რაზმიანად.
ასახელა ძმობილები
და აუვსო ლხენით გული,
მხოლოდ ჟაკიპბაი ოხრავს
ვაჟს უცქერის საყვედურით.
– მამი, ასე რატომ ოხრავ,
გულს რად გიღრღნის ეჭვის მახრა,
– ეს სიკეთეს არ მოგვიტანს,
დაიწყება მტრობა ახლა.
ნეტავ რისი გამარჯვება,
რის გმირობა, რისი ძმობა,
მანას, ძვირად დაგვიჯდება
ვიცი, შენი თავკერძობა.
ეს ქიშპობა, ეს ყოჩობა,
რას მოგვიტანს? მხოლოდ ზიანს
და საბრალო ჩვენს ყირგიზებს
ალტაიდან განდევნიან.
დღე და ღამე ვმუშაობდი,
ეს სიმდიდრე რისთვის მინდა?
აკმალტბაი ჩუმად იჯდა,
ბოლოს ვეღარ მოითმინა.
„სულ ქალივით რად ვიშვიშებ?
თავში რატომ იცემ ურoს?
შვილი გსურდა, მოგცა ღმერთმა,
სხვა რა გინდა, უმადურო.
მერე რა, რომ ცეტი არის,
როგორც რაში უბელოო,
ნაპერწკალი რომ აენთოს
უნდა სული უბეროო.
ამ შენს ვაჟში უფლის ნება
კოცონივით გაღვივდაო,
ჩვენს ხალხს იხსნის შენი შვილი,
ძმაო, მეტი რა გინდაო.

[1] ბურუტი – ასე ეძახდნენ ჩინელები და ყალმუხები ყირგიზებს.

ჩვენ აქ მაინც უცხონი ვართ,
რაც არ უნდა ვიყოთ კარგად,
სამშობლოში დაბრუნების
რწმენა ნუთუ დაგეკარგა?
ნებით რატომ იდგამ უღელს?
რატომ იყრი თავზე ნაცარს?
მითხარ, ძმაო, დედის ნაცვლად
ვინ იფიცებს დედინაცვალს?
გული როდი არის მთელი,
თუ გაიყო ეჭვით ორად,
შენი ვაჟი ღმერთმა მოგვცა
ყირგიზების წინამძღოლად.

(გაგრძელება იქნება)

კახა სამყურაშვილი

ჰაინრიხ ჰაინე

Sorge nie!

ნუ ჯავრობ! გავთქვავ და გაცხადდება
მთელს ქვეყანაზე ეს ჩემი ტრფობა,
მშვენიერება როს ჩემი ენით
მეტაფორებით ჭარბად იმკობა.
მყუდროდ, უჩინრად და საიმედოდ
ერთსა ყვავილნარს ეფარებაო
იგი მგზნებარე საიდუმლოო
და საიდუმლო მგზნებარებაო.
ნუ ჯავრობ! ვარდთა ნაპერწკალთ გუნდი
თუ მყის აფეთქდა, ცას მოესია,
–მსოფლიოს არ სწამს ტრფობის ალების,
მარტოკა იღებს მათ პოეზიად!

Alte Rose – ბებერი ვარდი

ვარდის კოკორს ისა ჰგავდა,
მისთვის დუღდა ჩემი გული,
გაიფურჩქნა და აყვავდა
საოცრება არნახული.
უტურფესი ვარდის მსურდა
მითვისება და მოწყვეტა,
თუმცა მუდამ პიკანტურად
მან იცოდა ეკლით ჩხვლეტა.
ახლა მისთვის შნო და რიხი
გაუძარცვავთ წვიმებს, ქარებს,
უკვე კარგი ჰაინრიხი
გავხდი, გულით მიღებს კარებს.
– ჰაინრიხ იქ, ჰაინრიხ აქ! –
პირს ღიმილი აფენია,
ეკლებიც მთლად დაეგრიხა,
ნიკაპზედღა დარჩენია.
ნიკაპს, როგორც ბასრი დანა,
მეჭეჭიდან დგას ჯაგარი,
მონასტერში წადი, ანდა
გაიპარსე და ეგ არი!

Die Wanderratten-მოხეტიალე ვირთხები

არის ვირთხის ორი გვარი:
დამშეული და მაძღარი;
– მაძღრები შინ ნებივრობენ
უდიდეს კმაყოფილებით,
მშივრები დანადირობენ
ყოველი განზომილებით:

გაირბენენ ათას მილებს,
გამალებით კრეჭენ კბილებს,
დაშხუიან აღმა-დაღმა,
არ იციან რაა დაღლა.
დაცოცავენ მაღლობებზე,
დაცურავენ წყლებზე, ზღვებზე.
ვერ აჩერებთ ვერა ქარი,
ვერც დარი და ვერც ავდარი.
ბევრსაც ასე ემართება:
კისერს იტეხს, ან წყალს რჩება.
იჩქარის, ვინც გადარჩება,
კვლავ მირბის, ბედს ეურჩება.
არის მათგან ერთი წყება,
ბალნის მოვლა ავიწყდება.
ქაჩალალაგბალანგრძელი,
დრუნჩი-ტუჩი – საძაგელი.
,,ვირთხა-როტე რადიკალებს‘‘,
– ვინაც ახლოს არ იკარებს
არც რწმენას, არც რამე მცნებას,
არც აქვს, არც ექნება ნება,
რომ განათლოს ნაშიერი
და ხროვა მწყურვალ-მშიერი
ერთობლივად ინაწილებს
მდედრთა ალერსს, თბილ ნაწილებს.
,,უსათუთეს გრძნობის მოდგმას‘‘
მხოლოდ თქვლეფა-სვლეპა მოდგამს,
ის არ ფიქრობს, როდესაც თქვლეფს,
როცა სანსლავს, როდესაც სვლეპს,
როს პირთ მსხვერპლი უკავია,
რომ სულები უკვდავია.
,,ვირთხა-ველურ-გარეული‘‘,
მძვინვარე, გადარეული,
სავსე ღირსებებით ვირთხის,
ქვეყნად არაფერს არ უფრთხის.
არ აქვს შიში ჯოჯოხეთის,
კატის - გინდ ზღვის, გინდ ხმელეთის.
არ აქვს ქონება, არც ფული,
თუმც კი აქვს ახირებული,
რომ მსოფლიოს ახლებური,
უეჭველად მისებური
მოხდეს გადანაწილება.
(მასთან კატაც გაწბილდება).
ვაი, უკვე დავიღუპეთ,
ცრემლი გვცვივა ღაპა-ღუპით.
ხროვა კარზე მოგვდგომია,
გარეთ მძვინვარე ომია.
ისმის ვაი, ღრენა – ავი.
რიცხვი მათი უამრავი.
ჩვენს სენატს და თავს ქალაქის
აღარ აქვთ თავი ლაქლაქის,
არ აქვთ რჩევა, არსაით ხსნა!
ვაი, თავი რით დავიხსნათ!
თოფებს ყველა სახეობათ’
მიმართავს მოსახლეობა.
პალლადიუმ საფრთხეშია,
ბედი ჩვენი მტრის ხელშია.
დიდი საფრთხე ემუქრება
დოვლათს, პირად საკუთრებას,
ზნე-მორალს და ადათ-წესებს.
ზარი მოუხმობს ხუცესებს.
ვერა ზარი, შეგონება,
ვაი-ვიში და გოდება,
მაღალკეთილგონივრული
დეკრეტი სენატორული,
და ვერც ეს უზარმაზარი
დატენილი ზარბაზანი
დღეს ბავშვებო ველარ გშველით,
და ხსნას მათგან ნუღარ ელით!
მკვდარ სიტყვათა ხელოვნება
დღეს მიზანში ველარ ხვდება.
,,ფრთა-ფრაზები‘‘ ფუჭი ხდება.
ან ვირთხასთან რას გახდება
ლოგიკა და სილოგიზმი,
მათთვის ფაქიზი სოფიზმიც
მხოლოდ დაბალი ღობეა
და არა რამ წინაღობა.
კარი ჰპოვოს მშიერ კუჭის,
სუპის ლოგიკას არ უჭირს.
არგუმენტები ხბოს მწვადის
დააოკებენ მწველ წადილს.
ერთი თევზი, შამფურსცმული,
ჩუმი, მუნჯი, კარაქსმული,
,,რადიკალ როტეს‘‘ აამებს –
(უჯობს რიტორ-სიტყვის მამებს)
მეტად, ვიდრე თვით მირაბო,
ყბედნი: სათავით ციცერონ.

Jetzt wohin? -სხვა სადა?

ახლა საით? სულელ ფეხს სურს
გერმანიის გზაზედ შევდგე,
თუმც გააქნევს თავს გონება,
ჭკვიანურად მეტყვის შემდეგს:
,,სასამართლო კვლავ რჩება, თუმც
მორჩა ომის ისტერია.
შენ კი შენდა დასაღუპად
მრავალი რამ გიწერია''.
მართალია, სულაც არ მსურს
გავხდე მათი ტყვიის წერა,
არ ვარ გმირი, მე არ მყოფნის
პათეტიკური მანერა.
წავიდოდი ინგლისისკენ,
თუმცა სუნით ჭვარტლ-ნახშირის
(ინგლისელთა სუნთან ერთად)
გულის რევა მომკლავს ხშირი.
ხანდახან მსურს, ვინახულო
ლაღი მხარე, ის თავლები
– ამერიკა, სად ცხოვრობენ
სწორუფლებით და თავნებით.
თუმცა თამბაქოს მღეჭავი
ხალხნი ძლიერ მე მაფრთხობენ,
უმეფოდ კეგლს თამაშობენ,
უსანერწყვედ აფურთხებენ.
რუსეთი – ის კარგი მხარე –
ალბათ დიდად მაამებდა,
თუმც იქ ზამთრის მათრახები
უსაშველოდ მაწამებდა.
სევდით ვუცქერ მაღლით ზეცას
და უამრავ მბრწყინავ ვარსკვლავს,
ჩემი ბედის ვარსკვლავი კი
დაკარგული სადღაც არს კვლავ.
ალბათ ოქროს ლაბირინთში
გადიკარგა სადმე ზეცად.
ვით ქაოსში წუთისოფლის
დაკარგული დავალ მეცა.

Die Tendenz - ტენდენცია

გერმანელო მგოსანო! შენ უმღერე დიდება
დიად თავისუფლებას გზნებით და გატაცებით –
რომ აღტკინდნენ, აზვირთდნენ, ცად აიჭრან სრულებით,
აღფრთოვანებულები გერმანელთა გულები,
ჰიმნი-მარსელიეზას მიჰყვნენ მაღლა დინებას!

აღარ გინდა ღიღინი ვერთერივით ტკბილ ხმებით,
მხოლოდ ლოტეებისთვის გულს ნაზ ალს რომ იკიდებს,
მწველი ცეცხლით აენთე, და მშობელ ხალხს უთხარი –
სივრცეებში რეკავენ რასაც ზარნი მქუხარნი!
დე, ბასრავდნენ სიტყვები ვით ხანჯლები, ვით ხმლები!

ფლეიტის ჰანგს წრფელ გულში ნუღარ დაასადგურებ,
მორჩა მყუდრო ცხოვრება, იდილია, სიმშვიდე!
იყავ შენი მამულის ტრომბონი და საყვირი,
დასცი ზათქი ზარბაზნის მძლავრი და გასაკვირი,
დაიქუხე, დაჰქროლე, დასცხე, გაანადგურე!

სულ იქუხე, ქვეყანას ცეცხლი რომ გადმოადო!
ვიდრე არ დასრულდება ტირანია დაცემით,
მხოლოდ ასე ნამღერი ლექსი, შემოქმედება
ჭეშმარიტი იქნება, გულს წამლად მოედება,
ოღონდ რაც შეიძლება – ჟღერდეს ის საზოგადოდ!

საბავშვო განყოფილება

ყამარ ტიელიძე-ბლიაძე (ყამარ ბებო)

შეცდომა

როგორც იტყვიან, განუყრელი მეგობრები იყვნენ ნატო და ეთერი. ერთ სოფელში და ერთ უბანში ცხოვრობდნენ. ორივე ერთ სკოლაში და ერთ კლასში სწავლობდა. ორივე სანიმუშო მოსწავლე იყო. თუმცა ცხოვრებით განებივრებული ნატო ზოგჯერ თავს ამეტებდა ღარიბ, ობოლ ეთერს, მაგრამ ეთერი აინუნშიც არ აგდებდა მეგობრის ქედმაღლობას.

ზაფხულის არდადეგები დაიწყო... ნატოს მამიდაშვილები გვანცა და თეკლე ეწვივნენ ქალაქიდან. გაიხარა გოგონამ. ისე შევიდა მასპინძლის როლში და გაერთო, რომ სულ დაივიწყა მეგობარი. ეთერი კი ხშირად მალულად უყურებდა გოგონების ფუსფუსს და ნატოს უყურადღებობის გამო გული წყდებოდა.

ერთხელ გოგონამ დრო იხელთა, ნატოსთან მივიდა და სთხოვა:

– ნატო, მეც მათამაშეთ, რა...

ნატო ჩაფიქრდა და შეიშმუშნა:

– არ გეწყინოს, მაგრამ ქალაქელ სტუმრებთან ვერ გამოგაჩენ შენი ჩაცმულობით. როცა წავლენ, მერე სულ ერთად არ ვიქნებით?

ეთერს ხმა არ ამოუღია, შინ გულნატკენი და შეურაცხყოფილი დაბრუნდა. დედამ მაშინვე შეამჩნია შვილს უხასიათობა და შეეკითხა:

– რატომ ხარ, შვილო, დაღონებული, ხომ არაფერი გტკივა?

– არა, დედიკო, რა უნდა მტკიოდეს, – დამალა წყენა ეთერმა. დედა არ მოეშვა, სანამ მისი მოწყენის მიზეზი არ გაიგო.

ეთერის ნათქვამმა დედამისსაც გული ატკინა, მაგრამ არ შეიმჩნია, შვილი გულზე მიიხუტა და დაამშვიდა:

– დაწყნარდი, ჩემო გოგონა, იცოდე, მოთმინება და თავმდაბლობა ყველანაირ სიმდიდრეს სჯობს. ნატო თავად მიხვდება თავის შეცდომას. შეიძლება უკვე მიხვდა და ნანობს კიდეც.

არც ნატოს დედას – თამარს გამოჰპარვია ეს ამბავი. ერთ დღეს შვილს ჰკითხა:

– რატომ აღარ დაიარება ჩვენთან ეთერი, ხომ არ წაიჩხუბეთ?

– არა, დედიკო, რა გვაქვს საჩხუბარი, მაგრამ ჩვენთან თამაშზე უარი ვუთხარი.

– რატომ?

– აბა თეკლესთან და გვანცასთან როგორ გამოვაჩენდი გახუნებულ ჩითისკაბიანს?

ნატოს პასუხმა დედა გააოცა... ორივე ხელი თავზე შემოიჭდო და შვილს აღელვებული მიუახლოვდა:

– ეს რა სთქვი, ეს რა ესმის ჩემს ყურებს... თურმე რა ცუდი შვილი მყოლიხარ... ეთერს თავისი სიღარიბე და ობლობა არ ეყოფა, რომ შენც გული არ ატკინო? გრცხვენოდეს ასეთი საქციელისთვის. დაიმახსოვრე – შენი ამპარტავნობით და ქედმაღლობით ტოლ-ამხანაგებში პატივისცემას და სიყვარულს ვერ მოიპოვებ და მუდამ გარიყული იქნები...

არც გვანცას და თეკლეს მოეწონათ ნატოს საქციელი:

– არა ხარ მართალი, ნატო, მეგობარს რატომ ატკინე გული? ჩვენც გვყავს კლასში ღარიბი ამხანაგები, მაგრამ ისინი ჩვენგან არასდროს გაგვითიშია, – უსაყვედურა თეკლემ ბიძაშვილს.

– პირიქით, ღარიბ ამხანაგს თანაგრძნობა და გვერდში დგომა სჭირდება... რატომ არ გაგვაცანი ეთერი? ყველანი ერთად უფრო არ ვიხალისებდით? – დაუმატა გვანცამ.

– შენ ადგილზე მე მივიდოდი ეთერთან და ბოდიშს მოვუხდიდი, – არ ჩერდებოდა თეკლე.

მთლად გამშრალი და შერცხვენილი ნატო იქვე სავარძელში ჩამჯდარიყო და მდომარეობიდან გამოსავალს ეძებდა. რა თქმა უნდა, ის ღამე მშფოთვარე და უძილო იყო მისთვის.

– ეს რა სისულელე ჩავიდინე, როგორ ვკარი ხელი საუკეთესო მეგობარს? არ მეპატიება, არა... სამართლიანად გამკიცხეს... ღირსი ვარ... ღირსი... იმეორებდა ერთსა და იმავეს სასოწარკვეთილი...

* * *

გათენდა. ბიცოლა თამარმა ბავშვები სუფრასთან მიიწვია. ხმისამოუღებლად, უხალისოდ შეექცეოდნენ გოგონები საუზმეს. ნატომ პირი არაფერს დააკარა. წინა დღით მომხდარმა ამბავმა მოსვენება დააკარგვინა. თვალწინ ეთერი ედგა და ახლა უკვე გონს მოსულს მისი სიბრალულით გული ეთუთქებოდა... ბოლოს ნატომ სიჩუმე დაარღვია:

– თეკლე, შენი რჩევა ჭკუაში დამიჯდა. ეთერს ბოდიში უნდა მოვუხადო... კარგი იქნება, თუ თქვენც გამომყვებით, ეთერსაც გაგაცნობთ და... სათქმელი ვეღარ დაამთავრა ნატომ.

– როგორ არ გამოგყვებით, – სწრაფად უპასუხა თეკლემ.

– თან ჩვენი მისვლაც გაახარებს... – დაუმატა გვანცამ.

* * *

გოგონებს კარი შავებში ჩაცმულმა ქალმა გაუღო.

– დეიდა მარო, ეთერი სახლშია? – დარცხვენილი და გაბზარული ხმით შეეკითხა ნატო.

– კი, შვილო, სახლშია, მობრძანდით, – ღიმილით შეეგება ეთერის დედა და გოგონები სახლში შეიპატიჟა.

– ეთერ, შვილო, შენთან სტუმრები არიან, – გასძახა შვილს.

ეთერი ნატოს და მის მამიდაშვილებს გაოცებული უყურებდა. ვერ აეხსნა, რაში იყო საქმე, რა იყო მათი მოსვლის მიზეზი.

– ეთერ, მაპატიე... შენთან პირშავად ვარ... მივხვდი, რომ ძალიან გატკინე გული, არ ვიცი, რა დამემართა, ჩემი თავისთვის ვერ მიპატიებია... – უხერხულად იშმუშნებოდა ნატო.

– არა უშავს, ნუ განიცდი, დავივიწყოთ, რაც მოხდა. – დააწყნარა ეთერმა. იგი თვალებგაბრწყინებული ხან ნატოს შეჰყურებდა და ხან თეკლეს და გვანცას. მათი სტუმრობით გახარებულს სულ დაავიწყდა წყენა. გოგონებს ძალიან მოეწონათ ეთერი.

– ნატოს ჩვენც გამოვყევით, ერთმანეთი ხომ უნდა გაგვეცნო, – ხელი მოხვია გვანცამ.

– მიხარია, რომ ნატოს მიუტევე შეცდომა. ახლა კი წავიდეთ, ვითამაშოთ, – დაუმატა თეკლემ.

– დედიკო, გამიშვებ? – გასძახა სამზარეულოში მოფუსფუსე დედას ეთერმა.

– კი, შვილო, მაგრამ ჯერ ამხანაგები ხილზე მოიპატიჟე.

გოგონები სახელდახელო სუფრას მიუსხდნენ...

მალე მთელ უბანს აცოცხლებდა მათი სიცილ-კისკისი... დედას უხაროდა, რომ გოგონები შერიგდნენ, რომ მისმა ეთერმა ახალი მეგობრები შეიძინა...

– ღმერთმა სიხარული და ბედნიერება ნუ მოგაკლოთ, შვილებო, – უხმოდ ლოცავდა კეთილი ქალი ბავშვებს.

აივანზე გადმომდგარი ნატოს დედაც კმაყოფილი სახით გაჰყურებდა ეზოში თამაშით მოღლილ გოგონებს და მის სახეს ნათელი ეფინებოდა.

შეგონებანი:

სიტყვა აწონე-დაწონე,
გამოგივიდეს ბრძნულიო,
სათქმელი ისე წარმოსთქვი,
არვის ატკინო გულიო.

* * *

ნუ ეძებ მომხვეჭელობას,
სიმდიდრე წარმავალია,
გირჩევ, რომ მცირედს დასჯერდე,
ტოვო სიკეთის კვალია.

წიგნიდან „ყამარ ბებოს ნობათი“

„მეზღაპრე“ ლალი კახიძე

ყვავი და ფუტკარი

ზღაპარ იყო ზღაპარ იყო და არა იყო რა თბილისთან ახლოს იყო სოფელი „საფუტკრეთი“ ამ სოფელში მხოლოდ ფუტკრები ცხოვრობდნენ. მათ ძალიან საინტერესო ოჯახები ჰქონდათ. ისინი მხოლოდ დაკავებული იყვნენ შრომით. დღე და ღამე მუშაობდნენ.

შევაღოთ ერთ-ერთი ოჯახის კარი. დედა ფუტკარი თეკლა განაგებს ამ ოჯახს, მის წესებს ემორჩილება ყველა. ყოველ დილით დაუპატიჟებელი სტუმარი ყვავი, ქანდარაზე შემოსკუპებული ახალ-ახალ ჭორებს ენა გაუჩერებლად უამბობს დედა ფუტკარს. დედა ფუტკარი დაიღალა ამ ცუდი ამბების მოსმენით. უცებ დააფრინდება ყვავს ნისკარტზე და თავის მოსავლით დაუტკბობს ხახას. ამ მოსავალს ნეტარების, ბედნიერების მონიჭება შეუძლია. მას ჩვენ ენაზე „თაფლი“ ქვია. ყვავი წუთიერად ნეტარებას მიეცემა. ჩაფიქრდება: ეს ჯადოსნური უგემრიელესი საკვები ნეტა რა არის? მალამოსავით ედება მთელ სხეულს. ზეცას ახედავს, უფალს მადლობას ეტყვის. ბოროტი ყვავიც კი უცებ კეთილ ფერიად გადაიქცევა. წუთიერად გამოსწორდა ამ უგემრიელესი თაფლის დაგემოვნების შემდეგ. გაფრინდება გახარებული მაგრამ დილით ისევ მოვა, ისევ ცუდი ამბების მოყოლას იწყებს. დედა ფუტკარი განერვიულდება ყვავს შესძახებს-ყვავო! სუნთქვას ნუ დავუშლით ერთმანეთს. ამას შეამჩნევს ყველა ოჯახის წევრი ფუტკარი, დაესევიან ყვავს და დაკბენენ.

მეზღაპრე ამას ყველაფერს თვალყურს ადევნებს და ფიქრობს: განა ადამიანებიც ასე არ იქცევიან. წავა თავის ფიქრებში მეზღაპრე: სანამ ზღაპარს დავწერ მინდა ჩემს გულში დაგროვილი ემოცია გადმოვცე ჩემს საყვარელ ხალხს.

ქართველები უნიჭიერესი ხალხია, თუ რამე პროფესიას დაეუფლება ქართველი უნდა ღირსეულად შეისწავლოს, თავის დარგში პროფესიონალი იყოს. წარმატებულ ზენიტს. ერთადერთი რაც ჩემთვის მიუღებელია ეს არის შური და ტყუილი. ეს დამანგრეველი ორი თვისება

უნდა აღმოიფხვრას და ჩვენ ვიქნებით უნიკალური ერი. მატყუარა ადამიანი ძალიან საცოდავია, ის ვერასოდეს მიაღწევს ბედნიერებას. შურიანი კი ბოღმის მორევში ოხრჩობა. კეთილისთვის ღმერთის კარიბჭე აუცილებლად გაიხსნება, ნეტარება ელოდება კეთილ ადამიანს.

დავესესხები დიდ რუს მწერალს ჩეხოვს „ადამიანი უნდა იყოს მშვენიერი ხასიათით, მშვენიერი სულით და მშვენიერი სამოსით.“

ყველას შეგვიძლია, რომ ვიყოთ კარგები. მთავარია გვიყვარდეს ერთმანეთი. არასოდეს არ ვიქილიკოთ სხვებზე. არ ვიყოთ სხვისი ენის გავლენის ქვეშ. გავიცნოთ ჩვენ თვითონ ის ადამიანი, ვისაც უმოწყალოდ ლანძღავენ. სხვა კუთხით შევხედოთ, მას ხომ ჩვენთვის არაფერი დაუშავებია? და თქვენ თვითონ ნახავთ მასში უამრავ კარგ თვისებებს-ის უბრალოდ შურის მსხვერპლია. მხოლოდ და მხოლოდ გადაგვარჩენს სიყვარული და ურთიერთ პატივისცემა. ისე როგორც დიდი გალაქტიონი ამბობს: „ბედნიერება ლამაზ სიყვარულშია.“-ჰოდა მეც ყველას ლამაზ სიყვარულს გისურვებთ.

კომშის ხე

„ზღაპარი“

ზღაპარ იყო ზღაპარ იყო და..... იმერეთის ერთ-ერთ ლამაზ სოფელში, რომელსაც ერქვა ქვემო საზანო ცხოვრობდა ძალიან ლამაზი, საყვარელი ცაცია ბებია.

ცაცია ბებიას შვილიშვილებში ყავდა გამორჩეული შვილიშვილი ლალი. გამორჩეული იმიტომ, რომ ლალი დედაქალაქში ცხოვრობდა . დანარჩენი შვილიშვილები კი მის ხელში დაიზარდნენ. ქალაქელი შვილიშვილის ნატრული იყო. ლალი ყოველ ზაფხულს სტუმრობდა ბებიას საზანოში, მამულეთში. ბებია კი ყოველ შემოდგომას დახუნძლული სანოვაგით ჩადიოდა შვილიშვილთან.

მიქრის მატარებელი, სიხარულით ვერ იძინებს გოგონა, მას ერთი სული აქვს როდის ჩავა საყვარელ სოფელში და მიეფერება თავის ბებიას, ბიძაშვილებს, ნათესავებს მეზობლებს. აი გაცდა მატარებელი ტუნელს, საოცარი სურნელია ნუშის და ატმის ხეების. სულ სხვა არომატიც იფრქვევა. ნამიან ბალახში თითქოს ბრილიანტები მოუყრიათო ისე ბრჭყვიალებს ცვარი.

განსაკუთრებით ლალის უყვარს სოფელში კომშის ხე-მისი ნაყოფი კომში. (იმერეთში კომშს ბიას უწოდებენ) შუაგულ ეზოში უზარმაზარი კომშის ხე დგას, დახლართული დიდი ტოტებით. შემოდგომაზე საღამოს, რომ გადახედავთ სახლის აივნიდან ბურთებივით კომშები ყვითლად ლაპლაპებს, სასწაული სანახავია. ბებია ამხელა ხეზე ადის შემოდგომაზე, თავის ხელით კრიფავს კომშს, ჩადის ქალაქს შვილიშვილი, რომ გაახაროს.

მისი ჩასვლა მთელ ოჯახს უხარია განსაკუთრებით მის გამორჩეულ შვილიშვილს ლალის. ასე მიდი-მოდიან ზაფხულსა და შემოდგომით ბებია და შვილიშვილი.

ეს ყველაფერი კარგად იცის ჭორიკანა კაჭკაჭმა. როგორც კი ფეხი ჩამოდგა გოგონამ მატარებლიდან, კაჭკაჭი სასწრაფოდ გაჩნდა კომშის ხეზე ატეხა დიდი ამბები.

-ლალი ჩამოვიდა დედაქალაქიდან-გიხაროდეთ.

ბებიამ სასწრაფოდ თავს წაიკრა თავის შარფი, ხელები დაიკაპიწა, თონე გაახურა ხაჭაპურებისა და ჭადების ცხობა გააჩაღა.

ამასობაში ნანატრი შვილიშვილიც მოვიდა. დიდი სიყვარულით, სიხარულით შეხვდა სუყველა. მეზობლებიც უკლებლივ მოსულიყვნენ იყო დიდი მხიარულება. კომშის ხის ქვეშ გაიშალა დიდი სუფრა. სიყვარულით მოილხინეს. დიდებული რამ არის სიყვარული. მელია კუდაგრძელიაც მოსულა, კომშის ხეს შემოეხვია და კაჭკაჭს ეუბნება: კაჭკაჭო ჩვენც ვისწავლოთ ასეთი ძლიერი სიყვარული. ყველას გვიყვარდეს ერთმანეთი. თითქმის ტიროდა მელაკუდა. გვიყვარდეს ბავშვებო ბებიები, ბაბუები ისინი ჩვენი წინაპრები არიან! პატივისცემა არ მოვაკლოთ, ვაჩუქოთ ერთმანეთს დიდი სიყვარული. ამინ!

„მეზღაპრე“

პროზა

რევაზ მიშველაძე

რას მერჩოდი

ჩიმჩონია ხარაბაძემ ზღვას გახედა.

ლურჯად მოლივლივე ზღვას ერთადერთი თოლია აწყდებოდა.

აფრინდებოდა მაღლა, შურდულივით დაეშვებოდა, ულამაზეს ფრთა-მკერდს წყალს გაუსვამდა და ისევ ჰაერში აიჭრებოდა.

თეთრ ქვიშაზე გამწკრივებული თოლიები ყურადღებით შესცქეროდნენ იმ ერთადერთ მონავარდე თოლიას.

„საოცარია, თითქოს იმისთვის ამოვარდა გუშინ ქარიშხალი... და ზღვა კინაღამ გადმოაბრუნა, ჩვენი გემი რომ დაღუპულიყო“ – გაიფიქრა ხარაბაძემ და ქოქოსის პალმის ნაყოფიდან კაჟქვით თეთრი გულის ამოფხეკა განაგრძო.

ტურისტული გემი „ამიგო“ გუშინ, შუადღისას ჩაიძირა.

აქაფებულმა, გადარეულმა ოკეანემ ჩიმჩონია უკაცრიელ კუნძულზე გარიყა.

შუაღამისას მოვიდა გონს ტანსაცმელ შემოფლეთილი, ნაწამები ტურისტი.

თავდაღმა ეგდო ქვიშაში და ხელთ ნეილონის ლურჯი, ორმეტრნახევარი სიგრძის ნიჩაბი ეჭირა. ნავის ნიჩაბს ერთადერთი ლათინური ასო „რ“ ეწერა.

თავი ძლივს წამოწია და პირველი, რაც მთვარის შუქზე გაარჩია, ნიანგის უშველებელი ხახა იყო. ეტყობოდა, ნიანგი დიდხანს დარაჯობდა მსხვერპლს და სწორედ რომ მის გაღვიძებას ელოდა. ხარაბაძეს ცივმა ოფლმა დაასხა. ნეილონის ნიჩაბი მთელი დარჩენილი ძალით ჩათხარა ნიანგს პირში და გაიქცა.

ნიანგი არ გამოჰკიდებია. რატომ? ვერ გეტყვით.

ღამე ზღვის პირას, ორ კუნძს შორის გაატარა.

კუნძები ისე ახლოს იყვნენ ერთმანეთთან რომ ძლივს ჩაეკვეხა, ორი მხრიდან მაინც ვიქნები დაცულიო.

შიგადაშიგ, ნაწყვეტ-ნაწყვეტ ეძინა.

გათენდა თუ არა, წამოჯდა, გაიზმორა და აქლემის კუზებივით მორგებულ კუნძებს მკლავები გადაადო.

მოეჩვენა, რომ კუნძები ამოძრავდნენ.

განზე გახტა და ახლაღა შეამჩნია, რომ წუხელის თურმე ორ გიგანტურ კუს შოროს ეძინა.

ბაობაბის სპილოს კანივით სქელ, დამსკდარ-დარღვეულ ტანს მოეჭიდა და კარგა ხანს იჭაპანწყვეტა, ხეს წვერზე რომ მოჰქცეოდა.

აქედან მთელი კუნძული ჩანდა.

თეთრი ქვიშით და ლურჯი ანკარა ზღვით შემორკალული კუნძული დიდი არ იყო. დილიდან საღამომდე ძუნძულით შემოურბენდა კაცი. კუნძული უღრანი ტყით იყო დაფარული და არსად ჩანდა ადამიანის სიცოცხლის ნიშანწყალი- სახლი კი არა, თუნდაც პაწაწინა ქოხი და, რაც უფრო სავალალო იყო, კვამლიც არსად ამოდიოდა.

„ახია ჩემზე“, გაიფიქრებდა თუ ხმამაღლა იტყოდა ამ ფრაზას ქუთაისის რძე-ყველეულის დეპარტამენტის ყოფილი უფროსი მრჩეველი ჩიმჩონია ხარაბაძე, ამას ახლა მნიშვნელობა არ აქვს, იგი ხომ უკაცრიელ კუნძულზე იყო. უკაცრიელ კუნძულზე კი, გინდა იყვირე და გინდა ყირაზე გადადი, შენი დამნახავი-გამგონი არავინაა.

ჩვენთვის მთავარი ის გახლავთ, რომ ხარაბაძეს არავინ დაუდანაშაულებია საკუთარი თავის გარდა. არც მეზობელი, რომელმაც ურჩია: „ვისთვის კუჭავ ამ ორ კაპიკს მუთაქაში, შვილი შენ არ გაწუხებს და ძირი, ერთხელ ხომ მაინც უნდა შემოხედო ქუთაისს შორიდან, წაი საზღვარგარეთ, პატარა თვალი გაახილე, გულს გადააყოლებ სხვა კაცად მობრუნდებიო.“

„ისე მობრუნდა ჩემი დამაწყევარი, მე რომ აქედან მოვბრუნდები,“ ცრემლი მოადგა ჩიმჩონიას და ბაობაბის გრილ კანს შუბლი მიადო.

ბარემ აქვე ვეტყვი მკითხველს, რომ ტურისტული გემი „ამიგო“ შტორმისაგან შუაზე გადატყდა და ჩაიძირა 427-ე „ბ“ პარალელზე 2001 წლის 3 აპრილს.

გემი მადაგასკარიდან სეიშელის კუნძულებისკენ მიცურავდა.

ჩემთვის ეს ამბავი განსაკუთრებით სავალალო იმიტომ გახლავთ, რომ „ამიგოზე“ სხვა ტურისტებთან ერთად ქუთაისის მკვიდრი ჩიმჩონია ხარაბაძე იმყოფებოდა, თორემ რამდენი გემი ჩაძირულა (და იძირება ახლაც, ჩვენ რომ არ გაგვიგია და მით უმეტეს, ნოველის თემად არ გაგვიხდია).

კაცი, რომელიც ახლა ბაობაბის ხის ტოტზე იდგა და სევდაჩამდგარი თვალებით ოკეანეს გადაჰყურებდა, საშუალოზე მაღალი, თაფლისფერთვალება, მეჩხერკბილება, დიდთავა, ვიწრობეჭება და გიდელმუცელა გახლდათ.

რიონზე ნასწავლი მხარული იცოდა, შარვლის გაუთოება შეეძლო, მიტინგობის დროს ერთხელ ჯგლეთაში მოხვდა და რეზინის ჯოხიც იგემა ქედ-კისერზე, მაგრამ ახლა რომ დღეში ჩავარდა, ასეთი დღე არ დასდგომია.

ახლა ვაი-ვიშის დრო არ იყო; პირველ რიგში ღამის გასათევი უნდა ეპოვა, რადგანაც პირღია, უშველებელი ნიანგის სიახლოვეს, ან თუნდაც გიგანტურ კუთა შორის თვლემა დასვენების საეჭვო იმედს უსახავდა ისედაც ამღვრეულ გულში.

ხიდან ჩამისულს ათიოდე ნაბიჯიც არ გადაედგა, რომ მარცხნივ ლიანებს შორის უდაბნოსფერი მორი შენიშნა. მიუახლოვდა და შიშისგან გაქვავდა. უზარმაზარი მაიმუნიყლაპია გველი მიიზლაზნებოდა მწვანე ბალახზე. „ჯუნგლების მეფეს“ თავი ბანანის ბუჩქის ძირას ედო და ტანს მიიგრეხ- მიიკეცავდა.

ხარაბაძეს „რობიზონ კრუზო“ წაკითხული ჰქონდა, პოპულარული იტალიელი კინოკომედია „სენიორ რობიზონიც“ არაერთგზის ნანახი, მაგრამ ლიტოსის ფოთლებშემოვლებული და ისლით დახურული ბამბუკის ქოხის კეთებას არ შესდგომია.

ნიანგებით, ანაკონდებით, აბეზარა მაიმუნებით, ორთავიანი სვავებით და მარტორქებით სავსე ჯუნგლებში ლერწმის ქოხის იმედზე ყოფნა თვითმკვლელობად მოეჩვენა და არცთუ საქებარი სიტყვები მოადგა ბაგეზე დანიელ დეფოს და უფრო მეტად „სინიორ რობიზონის“ მეტიჩარა დამდგმელ-რეჟისორის წინააღმდეგ.

კარგა ხანს იხეტიალა და ზღვის მიერ ჩამორეცხილ კედელზე, ღამის ჰაერში დაკიდებულ ფესვებს შორის გამოქვაბული აღმოაჩინა.

სწორედ ის იყო რასაც ეძებდა.

გამოქვაბული ზედ წითელქანოვანი კლდის შუაში გამოეჭრა ბუნებას.

ქვემოდან ვერ მიუდგებოდი, ფესვს, უნდა მოსჭიდებოდი და ზემოდან ჩაგეღწია.

ეს იმას ნიშნავდა, რომ ოთხფეხა მტაცებელი ვერ შეგაწუხებდა. რაც შეეხება მაიმუნებს, ფესვზე ჩასრიალება და წყალმცენარეთა საქანელაზე ქროლვა-ტრიალი მათი ხელობაა, მაგრამ,

კაცმა რომ თქვას, ჩვენს გმირს მაიმუნების რატომღაც არ ეშინოდა. რიდი კი ჰქონდა, რასაკვირველია.

გამოქვაბულში წვეტიანი, სიპი ქვა იპოვა და გარეთ კლდენაშალზე საფეხურები ამოჭრა. ახლა უფრო იოლად შეეძლო მაღლა ამოსვლა.

პიჯაკს სარჩული გაურღვია და სახელოებით ყელთან განასკვა. მშვენიერი ზურგჩანთა გამოუვიდა. ზღვის პირას ჩავიდა და ორ გზობაზე სხვადასხვა ზომის ქვები, კაჟის ნატეხები, ნიჟარები, სირაქლემას ძვლები და ფრინველთა ფრთაბუმბული ამოიტანა.

„ჭურჭლეულობა“ კედლის გასწვრივ დაალაგა. მერე მწვანე, ჯერ დაუმწიფებელი, მაგრამ გაჭირვების შემთხვევაში საჭმელად ვარგისი ბანანი მოკრიფა, დიდხანს არხია ქოქოსის პალმა, მაგრამ ვერ ჩამოაგდო კაკალი.

ბამბუკის ორი ჯოხი ერთმანეთს გადააბა ხვიარას ფესვებით,თავზე ბამბუკისავე კაუჭი მიამაგრა.

ამ იარაღით ნებისმიერი ნაყოფის მოპოვება შეეძლო.

ანანასსაც მიაგნო, მაგრამ მუჭის სისხოც არ იყო. ერთი ანანასი მოწყვიტა, კაჟიანი ქვით შუაზე გაგლიჯა, მაგრამ მწკლატე ეჩვენა, სამაგიეროდ ჯუნგლებშიპაპაიაც (ველური ნესვი) აღმოაჩინა და შიმშილით სიკვდილს ხელი დაუქნია.

„ხორაგეულით“ რომ „გაავსო ბინა,“ ლერწმისაგან საწოლიც გაიკეთა და ზედ საბან-ზეწრად ბანანის და ლიტოსის ფოთლები შვიდფად გააწყო.

სასმელი წყლის პრობლემა ჯერ ვერ გადაეწყვიტა, მაგრამ ხვალინდელი დღის იმედი ჰქონდა. არ შეიძლება ჯუნგლებში წყარო არ იყოს, ქოქოსის კაკლიდან წვენს გადმოვღვრი, კანაფის თოკის თასმებს გავუკეთებ და მათარად გამოვიყენებ. „მათარებს“ წყლით გავავსებ და ერთ ჩამოსვლაზე ხუთ ლიტრს მაინც ამოვიტანო.

ამასობაში დაღამდა კიდეც.

დაღლილი მიწვა და ზღვის შრიალში მალე ჩაეძინა.

შუაღამისას საეჭვო ხმაურმა გააღვიძა.

გამოქვაბულში ვიღაც იყო.

სიბნელეში ორანგუტანგის ზურგის მსგავსი რაღაც დალანდა. დაუპატიჟებელი სტუმარი პირს აწკლაპუნებდა. აშკარა იყო, ხარაბაძის მიერ სიმწრით მოგროვილ ხილეულს შეექცეოდა, ხოლო ქვანიჟარებს, როგორც საჭმელად გამოუსადეგარს, ხელუკუღმა ყრიდა.

ჩიმჩონიამ თვალები დახუჭა.

„ბანანს რომ მოათავებს, ალბათ შემჭამს“, – გაიფიქრა უიღბლო ტურისტმა და გულმა ბაგაბუგი დაუწყო.

როგორ უნდოდა, ღმერთი ყოფილიყო ქვეყანაზე და, თუნდაც ამ ერთხელ, ყოველივე სიზმრად ექცია.

როცა ურჩხული მიუახლოვდა და მისი საზარელი ქშენა ყურთან მოესმა, ჩიმჩონია საბოლოოდ დარწმუნდა, რომ საბედისწერო სიცხადეს სიზმრად გადაქცევა არ ეწერა.

თვალები დახუჭა და თავი მოიმკვდარუნა.

თავის მომკვდარუნება ერთადერთი გამოსავალი იყო, რაც ახლა უიღბლო ტურისტს შეეძლო.

ბავშვობაში გაეგონა, ნადირთა უმეტესობა მკვდარს არ ეტანება, ზოგი კი პირიქით, მხოლოდ ლეშს მიირთმევსო.

ხომ შეიძლებოდა, გამოქვაბულში შემოხეტებული მხეცი სწორედ ლეშიჭამია გამომდგარიყო, ან იმდენი გუმანი მაინც ჰქონოდა- მკვდარი ცოცხალისგან გაერჩია.

ახლა ამის ფიქრის დრო არ იყო.

დაუპატიჟებელი სტუმარი ხარაბაძის მარჯვენას დასწვდა და ღონივრად ასწია.

ჩიმჩონიამ იგრძნო, რომ მისი ხელი თით-ბრჭყალებიან ღონიერ ხელს ეჭირა.

როცა მხეცმა ოდნავ შეუშვა, ხარაბაძემ მარჯვენა მოწყვეტით ჩამოაგდო, აქაოდა და მკვდარი ვარ, ამა ქვეყნისა არა მეყურება რაო.

კარგა ხანს სათითაოდ წევდა და უშვებდა სტუმარი ჩიმჩონიას ხელებს და ფეხებს.

„იქნებ მთლად განწირული არა ვარ, იქნებ როგორც შემოვიდა, ისე გავიდეს, სხვა გამოქვაბული მოძებნოს. გამოქვაბულების მეტი რა იქნება ამ კუნძულზე,“-ელვის სისწრაფით მუშაობდა წყალწაღებული ტურისტის გონება, მაგრამ იმედის მობდღვნილი ხავსიღა შერჩა ხელთ, როცა „სტუმარი“ ხარაბაძის გვერდით წამოწვა და ხვრინვა ამოუშვა.

„მკვდარმა“ მთელი ღამე თვალდახუჭულმა გაათენა.

გამოქვაბულში ციაგი რომ გაკრთა, გაბედა თვალის გახელა. ნელა, გაუბედავად გააპარა მზერა, მერე კისერი შეაბრუნა და, როგორც შეეძლო, შეათვალიერა.

ჩიმჩონიას გვერდით ადამიანის მსგავსი არსება იწვა.

დაკუნთული ტანი ნეკის სიგრძე ბალნით ჰქონდა დაფარული. ტანის სიგრძე ღონიერი ხელები თავზემოთ გადაეწყო და გაბურძგნული თმა-წვერი ცხვირ-თვალებზეც ჩამოჰფარვოდა. პირღია სუნთქავდა და წინ წამოწეული ქვედა ყბიდან თეთრი, თოხივით კბილები მოუჩანდა.

თავ-პირზე მორეული თმის და მაღალი, წინ წამიწეული ყბის გამო ჩიმჩონიამ დაასკვნა რომ „სტუმარი“ მამრობითი სქესისა იყო „თუმცა, რა მნიშვნელობა აქვსო, ძუ რომ აღმოჩნდეს, რა შეღავათია.“

ისე კი, სულო ცოდვილო, გულის სიღრმეში მაინც სურდა, ორანგუტანგი დედალი აღმოჩენილიყო, მაგრამ წელს ქვემოთ რომ ჩაატარა მზერა, ეს იმედიც საბოლოოდ და ფრიად დამაჯერებლად გადაეწურა. „იქნებ, სანამ გაიღვიძებდეს, გავასწრო, ა,“ – გაიფიქრა ხარაბაძემ და წამოჯდა იმაში დასარწმუნებლად, რომ კაც-მაიმუნს ღრმად ეძინა.

პირსახეს დაადგა მზერა იქ, სადაც მხეცს თვალები უნდა ჰქონოდა. სიმწრისა და მოულოდნელობისაგან გააჟრჟოლა. დაფანჩულ წარბებს ქვემოთ უიღბლო ტურისტს ველურის ორი სრულიად ფხიზელი, ცნობისმოყვარე თვალი შესცქეროდა.

„ჩვენ ბოდიში“ და ისევ თავის მომკვდარუნება გვიან იყო.

ოპერაცია „გაპარვა“ ჩაიშალა.

ბედს მიენდო ჩიმჩონია ხარაბაძე. რაც იქნება, იქნებაო, გაიფიქრა, შემჭამს, მეტს რას მიზამსო და ამ ფიქრმა, ცოტა არ იყოს გაბედულება შემატა.

მთელი დღე ერთად დაჰყვეს.

ჩიმჩონია ხილს აგროვებდა, წყალს იმარაგებდა, წვეტიან ქვებს და კომბლებს ეძებდა და, თითქოსდა, ვერ ამჩნევდა ორმეტრიან ველურს (როგორი ვერშესამჩნევია), რომელიც ყოჩაღი შეგირდის ერთგულებით იმეორებდა მის თითოეულ მოძრაობას.

მიმალვის საშუალებას აძლევდა კი არა, ნაბიჯზე არ შორდებოდა და როცა ხარაბაძემ, რაღაც ნიანგის მსხვერპლი გავხადე, ისევ გამოქვაბულში გავათევ ღამესო, გადაწყვიტა, სტუმარი ეცა, თავის ხორაგ- იარაღიანად ხელში აიყვანა და კლდის ნაპირზე ხტომა-ხტომით, ციმციმ დაბრუნა გამოქვაბულში.

„ეს ჩემი გამშვები აღარ არის. რატომ გამიშვებს რა, მოშივდება და შემჭამს,“- ფიქრობდა ჩიმჩონია და თავის დღევანდელ ნადავლს ველურს ერთგულად ულაგებდა წინ, აქაოდა, იქნებ გემრიელად ივახშმოს, ადამიანის ხორცი ამაღამ მაინც არ მოეგუნებოსო.

შუაღამისას წამოიწია.

ველურს ღრმა ძილით ეძინა.

ფორთხვით მივიდა კედელთან.

გამოქვაბულს ოდნავღა ანათებდა მთვარის შუქი კი არა, ცისა და ზღვის ციაგი.

ახლაღა გაახსენდა, ამ ორი დღის განმავლობაში კუნძულზე მთვარე საერთოდ არ შეუმჩნევია.

კედელთან მიჩოჩდა.

კომბალი მოძებნა.

კაჟქვებს შორის ყველაზე მძიმე და ბასრპირიანი ხელით მოსინჯა.

კანაფის თოკით მიაბა კაჟქვა კომბალზე.

მერე მძინარეს ჩოჩვით მიუახლოვდა. ქვის ნაჯახი ორივე ხელით ჩაბღუჯ, უკან გადასწია

და რაც ძალი და ღონე ჰქონდა დაჰკრა.

ველურმა დაიღრიალა და გასასვლელის ნაცვლად კედელს შეასკდა.

ჩიმჩონიას სხვა არაფერი დაუნახავს. დაჭრილი ღრიალებდა და კედელს მუშტებს უღერდა.

ჩიმჩონია ელვის სისწრაფით გახტა გარეთ.

საფეხურებით მაღლა ასვლაზე არც უფიქრია, უკანალით ჩასრიალდა.

კლდის ქიმს წამოედო, რამაც წამის მეათედამდე შეაყოვნა, ფეხები წინ გაიშვირა და მორივით ჩაგორდა.

ხათქუნ-ხათქუნით ეშვებოდა ქვებზე და გონებას იმიტომ არ კარგავდა, რომ მუხლი საშინლად სტკიოდა. ბოლოს ქვიშაზე მოადინა ზღართანი და წამებაც დამთავრდა.

კარგა ხანს გაუნძრევლად ეგდო.

ეგონა, არც ერთი ძვალი მთელი აღარ ჰქონდა.

სადღაც, სულ ახლოს შრიალებდა ზღვა და დამტვრეულ-დალეწილიმა ჩიმჩონიამ იმდენი მოიფიქრა, რომ ვაივაგლახით გაფორთხდა ზღვისაგან გალოკილ, უშველებელ ქვამდე და სველ კენჭებზე გაგორდა.

ახლა იგი ქვას ზღვის მხრიდან ეფარებოდა.

ზღვის მლაშე წყალი დროდადრო სახეზე გადაევლებოდა ხოლმე.

თავიდან ფეხებამდე გალუმპულს ფეხები კლდეზე ჰქონდა მიბჯენილი, რომ ღონიერ ტალღას ტანქვეშ ხრეში არ გამოეცალა და თვითონაც რწევა-რწევით არ გაეტაცა.

ველურის ღრიალი აღარ ისმოდა.

ერთი-ორჯერ სულ ახლოს გაშლიგინდა მდევარი.

ეს იყო სულ.

ახლოს არ მოსულა.

გატრუნულ ჩიმჩონიას თავისივე სუნთქვის ეშინოდა.

როგორც იქნა-გათენდა.

ღელვისგან განსხვავებული ჩქამი რომ მოესმა და დაგორებული კენჭი მკერდზე დაეცა, ჩიმჩონიამ მაღლა აიხედა.

სულ ახლოს, ორიოდე მეტრში, ქვაზე ველური იჯდა.

მხარზე, ლავიწის ძვალთან, შემხმარი სისხლი აჩნდა.

მდუმარედ, მაგრამ გუშინდელზე უფრო მკაცრად და მეტი ინტერესით დაჰყურებდა ნატურისტალს.

დიდხანს შეჰყურებდნენ ერთმანეთს.

ბოლოს ველური წამოდგა.

ორი ნახტომით ჩამოქვიშავდა და წავიდა.

„ალბათ, დიდ ქვას მოიტანს და თავს გამიჭეჭყავს. ღირსიც ვიქნები,“-გაიფიქრა ხარაბაძემ.

მუხლი საშინლად სტკიოდა.

ველური ერთ საათში დაბრუნდა.

ჩიმჩონიასაგან სრულიად მოულოდნელად, მას ხელში ქვა არ ეჭირა.

წყალში შედგაფუნდა, ჭრილობა ზღვის წყლით მოიბანა. მერე ჩიმჩონიას მიუახლოვდა და ფეხებში მოჰკიდა ხელი. მოჰკიდა ღონივრად. ველურის გაუფრთხილებლობით.

„ვაი!“ – დაიძახა ტურისტმა. თუმცა არ შეიძლებოდა არ სცოდნოდა, რომ „ვაი“ ველურის ენაზე შეიძლება სრულიად სხვა რამეს ნიშნავდეს, ვიდრე ყველა სხვა ცივილიზებული ხალხის ენაზე საერთოდ.

„ვაიმ,“ თითქოსდა, შეაკრთო ველური.

ჩიმჩონიას ფეხებზე ხელი უშვა, წელქვეშ შეუცურა ფეხის სიგრძე მკლავები, დაკეცილი ნაბადივით შეიგდო მხარზე და გამოქვაბულში აიყვანა ფრთხილად დაუშვა ლერწმის საწოლზე და თითქოს რაღაც გაახსენდაო, გავარდა.

ჩიმჩონიამ თვალი მოავლო გამოქვაბულს.

ახლომახლო არათუ ქვის ნაჯახი, არც ერთი კომბალი და კაჟი ქვა აღარ ჩანდა.

ველური მალე დაბრუნდა.

ხელებში ანანასის და პაპაიას ნაყოფით დახუნძლული დამსხვრეული ტოტები ეჭირა,

ლამის ძირფესვიანად მოთხრილი ბუჩქი.

ხეხილი ახლოს დაუწყო ავადმყოფს. თვითონ კი იქვე ინახით წამოჯდა და მიაჩერდა.

„მიაშტერდა“ კინაღამ წამომცდა, მაგრამ ვერ ვაკადრე ველურს, რომელიც ლამის თვალის-დაუხამხამებლად, მორჩილი თანაგრძნობით, ნადირისათვის დამახასიათებელი მზრუნველობა-ერთგულებით და ათასი პასუხგაუცემელი კითხვის ნიშნით სავსე მდუმარებით ათვალიერებდა მის წინ გართხმულ, მუხლგაშეშებულ ჩიმჩონია ხაბაძეს.

ვიცი, როგორ არ ვიცი, რას ფიქრობდა ჩიმჩონია, მაგრამ, რაკიღა არ ვიცი, რას ფიქრობდა ველური, მეტს აღარ გავაწვალებ ამ ჩემს მწირ გონებას და თხრობას აქ შევწყვეტ.

ასე აჯობებს, კი....

*

დავუსვი თუ არა ამ ნოველლას წერტილი, ჩემს სიყმაწვილეში იმერეთში გაგონილი ერთი ანეგდოტი გამახსენდა და, რაკიღა მოთხრობილთან ცოტა კავშირი მაინც აქვს, თუ არ გეჩქარებათ, გიამბობთ:

ჭიჭიკია გზაჯვარედინთან მივიდა. წარწერა იუწყება: „მარჯვნივ წახვალ-მოგკლავენ, მარცხნივ წახვალ-მოგკლავენ, პირდაპირ წახვალ-ან მოგკლავენ, ან არა,“ „პირდაპირ“ გადარჩენის ცოტა შანსი მაინც არისო და პირდაპირ წასვლა ამჯობინა.

გაიარა ერთი კილომეტრი. წყაროსთან გველეშაპი წევს. „მოვიდა აღსასრული,“- ფიქრობს ჭიჭიკია.

გველეშაპი კეთილად უღიმის.

ხომ არ დაიღალე, ჭიჭიკიაო, ეკითხება.

იწვევს სუფრასთან.

რა გინდა, სულო და გულო.

იქეიფეს გემრიელად.

აბანოში პატიჟებს გველეშაპი. ნამგზავრი ხარ, მოგიხდებაო.

იბანავეს მშვენივრად.

გველეშაპმა ოქროები ჩაუჩხრიალა უბე-ჯიბეში. ვიცი, ქუთაისში ჭირს ცხოვრება და გამოგადგებაო.

მადლობელია ჭიჭიკია, მაგრამ მაინც ფრთხილობს.

ახლა, ნააბანოვარზე კარგია დასვენება და წოვუძინოთ პატარაო, გველეშაპმა.

ა, ახლა აპირებს ჩემს შეჭმასო, ფიქრობს ჭიჭიკა.

დააწვინა აბრეშუმის ქვეშაგებში სტუმარი გველეშაპმა, თვითონ იქვე ფერხთით კედელთან მიეგდო.

ჭიჭიკიას რა დააძინებს.

მოდი, დავასწრებო, გადაწყვიტა. აიღო პურის საჭრელი უშველებელი დანა და მოაჭრა თავი გველეშაპს. ერთი თავის მაგივრად გველეშაპს ორო თავი ამოუვიდა. ახლა ორივე მოაჭრა. ორის მაგივრად ოთხი თავი ამოუვიდა გველეშაპს.

ჭიჭიკიას ცივი ოფლი ასხამს. იცის, ეს ოთხი თავი რომ მიაჭრას რვა ამოუვა.

„რას მერჩი, ჭიჭიკია, არ ხარ ახლა შენ მოსაკლავი?“-რომელიცხა პირით ეკითხება

გველეშაპი და ყურს იფხანს.ღ

სერგი ლომაძე

ნოდარ ბერაძე
მეორე ჯუმბერ ლეჟავა?!

ნოდარ ბერიძე, რომელსაც ზოგნი დიდი სპორტსმენისა და ფილოსოფოსის-ჯუმბერ – ლეჟავას სულიერ მემკვიდრედაც კი მიიჩნევენ და „მეორე ლეჟავას“ უწოდებენ, თბილისიდან იანვარში გავაცილეთ: მან თავისი ვრცელი, რთული საველოსიპედო მარშრუტი უნდა შეასრულოს.

ახლა თებერვალია. ხომ დიდი არაფერი თითქოსულ ცოტა დრო გავიდა, და მაინცუკვე რამდენი რამ მოხდა ამ დროში ჩვენს აკადემიაში... მაგალითად: ქალბატონმა გულნაზიმ უამრავი შემოქმედებითი საღამო დაგეგმა, ხოლო ზამთრისეული სტუმრობა ხაშურში უკვე შევასრულეთ; იქ შეხვედრა გვქონდა ადგილობრივ ბიბლიოთეკაში, მაკა დიდებულიძის, ვაჟა შუბითიძის და სხვათა და სხვათა გარემოცვაში... პირადად ჩვენ რაც შეგვეხება, ჯგუფმა „ზღვარმა“ უკვე დავასრულეთ, აი, ამ თებერვალს, ახალი წიგნი-„ოცდაცამეტი,“ ამიტომ ახლა დამშვიდებით შევუდგები ამ სტატიის წერას. სჯობს ასეთი სიდინჯე, რამეთუ ამბავი მნიშვნელოვანია. მასზე საწერად აჩქარება არა ღირს.

დილით დიდუბის პანთეონში შევიკრიბეთ. ძირითადად აკადემიის წევრები ვიყავით და გაცილებასაც, რომელიც ლეგენდარული ჯუმბერ ლეჟავას საფლავთან შედგა, ხელისუფლების წარმომადგენლების მაგივრად ქალბატონი გულნაზ ხარაიშვილი მთავარსარდლობდა, როგორც აკადემიის პრეზიდენტი. ამაზე ვკითხეთ ნოდარს:

– ხელისუფლების წარმომადგენელნი სად არიან? მხარს ხომ გიჭერენ ამ რთულ საქმეში?

– ხელისუფლების?... აი, ჩვენი პრემიერ-მინისტრი ეგ არის, – ხელი აკადემიის მმართველისაკენ გაიშვირა.

ჩაფიქრებით შემოგვცქეროდნენ დიდებული ადამიანების საფლავები. მზიანი დღე იყო. შევკრებილიყავით რამდენიმე ათეულნი, ასეულების და ათასეულების მაგივრად, მაგრამ ჩვენი გულნაზი მაინც მხნედ გამოიყურებოდა. მას მხარს უმშვენებდა თავისი განუყრელი და უღალა-

ტო მეგობარი-ლამზირა შეყილაძე, იქვე იყვნენ თამარ ჯაჭვაძე, ნინო სალუქვაძე და სხვა აქტიური პიროვნებანი. მათ სწამთ, რომ ნოდარი გაიმარჯვებს, რომ იგი ქვეყანას აალაპარაკებს საბოლოო ჯამში, ისევე, როგორც ეს მსოფლიოს მრავალგზის რეკორდსმენმა, ქართველმა „გინესიორმა“ - ჯუმბერ ლეჟავამ შეძლო. მეორე დიდი ჯუმბერი, ოღონდაც – ხარაიშვილი, ვნახეთ იმ დღეს: არც ის დააკლდა ღონისძიებას. ითქვა სახელდახელო სიტყვები. გამომსვლელთა შორის იყო ქართველი საცეკვაო ხელოვნების ერთ-ერთი მეფეც-ომარ მხეიძეც (იგი ამ სფეროში-ფოლკლორულ ცეკვებში, უდიდესი სახელია, ვთქვათ ილიკო სუხიშვილთან და ფრიდონ სულაბერიძესთან ერთად). ქალბატონებიდან კი ზოგიერთი ცრემლს ვერ იკავებდა: მიდის ნოდარი თავის უსასრულო გზაზე, ვინ იცის, რამდენ დაბრკოლება-ხიფათს გადაეყრება მარტოდმარტო მოგზაურობის ამ ვრცელი ეპოპეისას... და მშვიდობიანად დაბრუნებას უსურვებდნენ, ჩვენი დროის ამ ახალ გმირს.

მერე პატივი მივაგეთ როგორც დიდი ჯუმბერ ლეჟავას განსასვენებელს (საფლავის გულზე ქალბატონმა გულნაზიმ თავიდანვე დაასვენა ჩვენი ახალი ანთოლოგია და ჟურნალი, მივიტანეთ ყვავილები და ავანთეთ სანთლები), ასევე ვნახეთ სხვა საფლავებიც. გენიალური ტერენტი გრანელის განსასვენებელთან მე და კახამ (პოეტი კახა ბაციკაძე-კაცი, რომელთან მეგობრობითაც ყველაზე მეტად ვამაყობ, თუმცა მყავდა და მყავს ზოგი სხვა რჩეული მეგობარიც, მაგალითად-ასევე პოეტი გიორგი ზუხბაია) კიდევ ერთხელ გადავიღეთ სურათები.

იგივე მოიმოქმედეს პოეტმა ქალბატონებმა-ლამზირა შეყილაძემ და თამარ ჯაჭვაძემ.

უკან დაბრუნებისას, ჩვენი სტუდიისაკენ მომავალნი, მე და კახა უამრავ სხვადასხვა საქმეზე ვფიქრობდით. აი, თუნდაც ის ორი პიესა, რომელიც „ზღვარის“ ოთხეულმა რამდენიმე ხნის წინ დავწერეთ (ერთი პოეტის შესახებაა და ჰქვია „ლურჯი სინათლის ბაღი,“ ხოლო მეორე მოგვითხრობს ლეგენდარული ნაზი შამანაურის შესახებ, მას ეწოდება „იდეალისტები“) და დღემდე დაუბეჭდავია. პირადად მე კი გასულ წელს დავასრულე რომანი, ჯერაც დასამუშავებელია; სათაურად, საბოლოოდ, ალბათ, „სიტყვათა მორევს“ დავარქმევ (სათაურის შესახებ ახლაც ვმსჯელობ კახასთან და სხვებთან ერთად); აგერ, ჩემი იდეით, „ზღვარის“ ოთხეული, „ზღვარისავე“ პარალელურად, ისევ ვაპირებ ახალი მუსიკალური ჯგუფის ჩამოყალიბებას, თუმცა ამ საქმეს საშველი თითქოს ჯერაც არ დაადგა. მინდა, რომ ჯგუფს (ბრენდს) სახელწოდება შესაფერისი შევურჩიოთ, ხოლო მის ლიდერად მე კახას დავასახელებ. დიახ, მინდა ეს კახას ბენდი იყოს.... ვნახოთ... სრულიად სხვა შემოქმედებით ჯგუფებზედაც, სხვა გზებზედაც ვფიქრობთ.... მაგრამ უფრო მეტი აქვს საფიქრალი ქალბატონ გულნაზს, რომელსაც ამხელა აკადემია აბარია

(უამრავი წევრით), და ურთულეს პირობებში, არც ეს ორგანიზაცია შეაჩერა, არც მისი ჟურნალი, არც მისი ანთოლოგია და ღონისძიებათა ჯაჭვიც უწყვეტია.

აი, ნოდარ ბერიძეც სწორედ გულნაზ ხარაიშვილმა გააცილა, – პრეზიდენტობაც მან იკისრა, პრემიერობაც და შექმნა ნამდვილი ღონისძიება დიდუბის ეკლესიასთან გაშლილ სასაფლაოზე. ჩვენ იმ დღეს ვიდექით დიდ სულთა პირისპირ. იმედი გვაქვს, რომ ვიდექით დიდი საქმის დასაწყისში, და ასე გავაცილეთ კაცი, რომელიც ბოლო წლებში კვალში მყარად ჩაუდგა თვით ჯუმბერ ლეჟავას.

ვნახოთ, სადამდე მიიყვანს გზა ჩვენს ნოდარს.

ვნახოთ, ავა თუ არა იგი თავისი ცხოვრების ევერესტზე....

თბილისი.

2016 წლის თებერვალი.

P.S. „ჩვენ კვლავ ერთად ვართ“-ასედაც ეძახიან როკ-ჯგუფ „ბერმუხას“ ერთობლივ ჰიტს (ქიტიაშვილის, ფანცულაიას, იობაშვილის და სხვათა მიერ შექმნილიაო-ამბობენ), რომელიც ზოგ სხვა სიმღერასთან ერთად, ქართული როკ- მუსიკის ჰიმნად იქცა... დიახ, ჩვენ ისევ ერთად ვიყავით იმ დღეს, იმ დიდი საქმეების ზღურბლზე, რასაც მომავალში შეებმებიან როგორც აკადემია-თავის მხრივ, ასევე ნოდარ ბერიძე-თავის მხრივ. მეტიც: ეს საქმენი უკვე დაწყებულია, სინამდვილეში ეს ერთი დიდი პროცესია მწვერვალზე ასვლისა, რომელსაც წლების წინ ჩაეყარა საფუძველი.

გამარჯვება კი ერთობაშია.

მაშ – ჩვენი ერთსულოვანი მხარდაჭერა ნოდარ ბერიძეს!

ქართველი ველოსიპედისტი ისევ სერავს მსოფლიო სივრცეებს;

დიდი ჯუმბერ ლეჟავას სიცოცხლე მართლაც რომ მისი სიკვდილის შემდეგაც კი გრძელდება.

ხატწერის დიდოსტატი

საქართველოს მხატვართა ეროვნულ გაერთიანებას (რომელიც თავისებური და საინტერესო აკადემია-კავშირია), ბატონები- გურამ ცერცვაძე და შალვა გერაძე მეთაურობენ. სწორედ ერთ-ერთი მათგანის გამოფენაზე ვიყავით გასული წლის ბოლოს, დიდი ბიბლიოთეკის დიდ დარბაზში, გაოგნებულნიც დავრჩით- ბატონი შალვა თავისი საქმის ძალიან დიდი ოსტატი აღმოჩნდა. სულ მალე, გამოფენიდან, მას აკადემიკოსის მოწმობა გადასცა ჩვენი ორგანიზაციის პრეზიდენტმა- გულნაზ ხარაიშვილმა, სხვათაშორის, ჩემი ხელით, და მეამაყება ეს ამბავი, თუმცა მე მსურდა, გურამ ცერცვაძესაც მიეღო ეს მაღალი წოდება, როგორც ერთ-ერთ ორგანიზატორს იმ და საერთოდ აღიარებულ კაცს.

მე მიყვარს სიტყვათნაერთი „პროფესიონალი ხელოვანი“, ვცდილობ ვიყო დამფუძნებელი პროფესიონალური პოეზიისა, პროფესიონალური ხელოვნებისა, საერთოდ, ხოლო ასეთი აზროვნების წარმომდგენლებად მიმაჩნია, ვთქვათ, კახა ბაციკაძე, გიორგი ზუხბაია, ანი ლაშხელი, თეა თაბაგარი და სხვანი, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ უფრო ადრე არ ჰყავდა პროფესიონალები ხელოვნებას. პირიქით, ბევრიც იყო ასეთი. როგორ, განა, ვთქვათ, რუსთაველი, აკაკი, ფიროსმანი, გალაქტიონი, გრანელი პროფესიონალები არ იყვნენ, სუპერპროფესიონალები არ იყვნენ?!

ბატონი შალვა, რომელიც უკვე ათეულობით წლებია მუშაობს თავის სფეროში, ერთ-ერთი ნიმუშია პროფესიონალიზმისა ხელოვნებაში.

მაინც რომელია, კონკრეტულად, მისი დარგი?

მართალი გითხრათ, ცოტა არ იყოს მიჭირს დაკონკრეტება, რადგანაც იგი თავისებურდ შერეულ-შეზავებული ხელოვნების მიმდევარი მგონია: მის ნამუშევრებში იგრძნობა ღრმა ცოდნა მხატვრობისა (ფერწერისა), ჭედურობისა, და ასევე რელიგია-ფილოსოფიისა, როგორც ხელოვნების. ის პოეტური მხატვრობით ხსნის რელიგიის სულს, მისსავე მისტიკურ სიღრმე-საიდუმლოებებს, და გვაგრძნობინებს როგორც ხილული, ასევე უხილავი სიწმინდის ძალას. დიდი მუხტი, დიდი ენერგია მოდის მისი ნამუშევრებიდან, ოღონდაც ეს, უმეტესწილ, დამამშვიდებელი, უაღრესად კეთილისმყოფელი ენერგიაა. იგრძნობა ეზოთერული ცოდნა, თეოსოფია-ფილოსოფიის ახლებურად გააზრების მკვეთრი მცდელობანიც კი.

დიდი დარბაზი სავსე იყო ნაშრომებით, თუმცა, როგორც მითხრეს, ეს მხოლოდ პატარა ნაწილი ყოფილა ბატონი შალვას დიდი შემოქმედებისა.

ხატმწერი- ასე უწოდებენ მას.

დააკვირდით რა საოცარი სიტყვაა- ხატმწერი!

ანუ ოსტატი ხატს კი არ ხატავსო, ან კი არ გამოჭედავსო, გამოაპირკეთებსო მას, არამედ, ოსტატი ხატს წერსო. ანუ შემქმნელი ისეთი სიწმინდისა, როგორიც არის ხატი, პოეტიაო, უწინარეს ყოვლის.

დიახ, ბატონი შალვაც პოეტია სწორედ, ასევე, როგორც ყველა ადამიანი-ყველა სულით ლამაზი ადამიანი.

და მისი ნახელავი ხატები მართლაც რომ დაწერილნი უფროა, ვიდრე დახატულ-გამოჭედილნი.

და ბატონი შალვას ქმნილებანი ერთი დიდი მოზაიკური პოემის ნაწილებია თითქოს, ნაწილები წმინდა წიგნისა, თუ ფურცლები წმინდა წიგნისა.

საერთოდ, მე ხშირად ვამბობ, რომ ყველა ადამიანი პოეტია, ოღონდაც მეტნაკლებად, და მთელი სამყარო პოემაა, პოეზია, შექმნილი თვით უდიადესი პოეტის- ღმერთის მიერ.

ესაა საფუძველი ჩემი მსოფლმხედველობისა, ხოლო ხელოვანი, ანუ ადამიანიშემოქმედი, ბაძავს უმაღლეს შემოქმედს- ღმერთს, და ამიტომაცაა ხელოვნება საღვთო საქმე.

აი, ასეთ სივრცეში დააბიჯებს ბატონი შალვა უკვე რამდენიმე ათეული წელი და ქმნის თავის გასაოცარ სურათ-ხატებს. დიდი მადლის მატარებელია ის გარემო, სადაც ეს ხატებია დავანებული.

გამოფენა-ღონისძიებაში მონაწილეობას იღებდნენ თვითონ ორგანიზატორი გურამ ცერცვაძე, ერეკლე საღლიანი, გენადი ბერსენაძე, გიორგი ხაზარაძე, ნათია ავსაჯანიშვილი და სხვანი და სხვანი.

იქვე ვნახე ცნობილი სასულიერო პირი, ასევე დიდებული მხატვარი მამა მერაბი.

ღონისძიებაზე შემაგვიანდა მისვლა და ალბათ ამიტომ ვეღარ ვნახე იქ, დიდი ნიკო ხერკელაძე - ჩემთვის უძვირფასესი ადამიანი ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილთან და ან გარდაცვლილ დიდ მეუფესთან- თადეოზთან ერთად, მან ბევრი რამ მასწავლა ცხოვრებაში. იყვნენ სხვებიც. მე გულის სირღმეში არავინ მავიწყდება, ვინც კი მასწავლიდა. ,, ბევრი ვინმე გავიცანი, იმ დღეს საჯარო ბიბლიოთეკაში. მათ შორის ბატონი შალვას პირმშვენიერი მეუღლეც, რომელსაც ალბათ ძალიან ეამაყება ის, რომ დიდოსტატის ცოლია...

ვასრულებ სტატიას ბატონი შალვას შესახებ და თანაც ვფიქრობ: მანამ, სანამ ასეთი ხელოვანები კიდევ გვყავს, ჩვენს ქვეყანას გადაშენება არ უწერია, პირიქით, ყოველთვის რჩება წინსვლის მკვეთრი იმედი.

თბილისი. 2016 წელი.

ხაშურქალაქი-2016

თბილისის შემდეგ ყველაზე მეტი შემოქმედებითი საღამო სწორედ ხაშურში ჩაგვიტარებია, ზუსტი რიცხვი რთული სათქმელია ამ საღამოებისა, ერთი კი ნამდვილია, რომ პირველად, იქ, პოეტმა მიშა თუმანიშვილმა მიგვიწვია, ორიათასცხრა წელს, და მას მერე ერთი-ორჯერ (ხანდახან-სამჯერაც) ყოველ წელს ჩავდივართ ხაშურში ღონისძიების ჩასატარებლად. ადრე იქ ჩავდიოდით, როგორც მხოლოდ ჯგუფ „ზღვარის“ წევრები. მერე და მერე ამ სტატუსს სამი სხვადასხვა აკადემიის (ლეჟავას, ფაზისის და ქალდეას), ასევე მწერალთა კავშირის წარმომადგენლობითობანი (სტატუსები) მიემატა. ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო მრავალპროფილიანი აკადემია გამოირჩევა თავისი აქტიურობით. წელს ხაშურში სწორედ ამ აკადემიის პრეზიდენტი- გულნაზ ხარაიშვილი გაგვიძღვა. მას თან ვახლდით: მე, ჩემი მეგობარი პოეტი კახა ბაციკაძე, ნელი ქველაძე და ნოდარ ხარაიშვილი.

თბილისქალაქიდან ხაშურქალაქისაკენ ბატონი ნოდარის ჯიპით გავეშურეთ. გზაში თავგადასავლები არ გვაკლდა. მაგალითად, შევიარეთ, რა, ბატონ ელგუჯა ნოზაძის მეურნეობაში, იქვე, ერთ-ერთ სასადილოში, მისმა მეუღლემ გვაჩვენა გიგანტური მოცულობის გოგრა. ერთ-ერთი ამ გიგანტთაგანი მართლაც დაუჯერებელი ზომა-წონისა გახლდათ, და მისთვის თურმე, არაოფიციალურად მიუნიჭებიათ საქართველოს ჩემპიონის სახელი ხილ- ბოსტნეულთა შორის....

ხაშურის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში მოგვიწყვეს გულთბილი შეხვედრა. ამ ბიბლიოთე-

კის დირექტორს-ქალბატონ მაკა დიდებულიძეს, უკვე კარგა ხანია ვიცნობთ. იგი გამოირჩევა ლიდერის თვისებებითა და პროფესიონალიზმით. თანამშრომელნიც ასეთი პროფესიონალები ჰყავს, მოწესრიგებული ხალხი, ამიტომაც თავიდანვე ვიცოდით, რომ შეხვედრა წარმატებულად ჩაივლიდა.

ღონისძიებას ორი წამყვანი ჰყავდა: სტუმართა მხრიდან-ქალბატონი გულნაზი, ხოლო მასპინძელთა მხრიდან-ქალბატონი მაკა. ორივემ წარადგინა თავ-თავიანთი პროგრამა. აკადემიის პროგრამაში, ჩვენი გულნაზის გადაწყვეტილებით, ამჯერადაც მე და კახას მოგვენიჭა ცენტრალური ადგილი. მე-ჩემი სიტ-ყვით და ლექსებით, კახამ კი, ამ ყოველივეს, ლექსიც და „ზღვარის“ ახალი სიმღერაც („წვიმის ქალი“) შეჰ-მატა და ძალიან დაამშვენა საღამო.

„ზღვარის“ წევრები-კახა, ზუხბა, მე და ვასო (არის ასეთი თანმიმდევრობაც, უფრო ძველი: მე, კა-ხა, ზუხბა და ვასო) უკვე იმდენი ხანია ერთად ვართ, რომ ლამის პიროვნება-შემოქმედებანიც საერთო გაგვიხდა და აღარც ვიცით, თითქოს ესა თუ ის ქმნილება რომელმა დავწერეთ, მითუმეტეს, რომ მართლაც ხშირად გვიწევს ერთობლივი მუ-შაობა ბევრ ქმნილებაზე. სიმღერებს კიდეც ვაწერთ ოთხივეს სახელს ავტორებად; რაც შეეხება ლიტერატურეს, აქ, ასე თუ ისე, უფრო გარკვეულია ავტორთა ინდივიდუალურობა; თუმცა „ზღვარი“ მაინც რაღაც ერთ საერთოდ და განუყოფლად მოჩანს, ასე ვთქვათ, მარადიულ ჯგუ-ფად, რომლის წევრებსაც მიგვაჩნია, რომ ყოველთვის „ზღვარელები“ ვიყავით და ასეთებად დავრჩებით სამუდამოდ, სიკვდილის მერეც კი.

ხაშურელებმა წარმოგვიდგინეს პრეზენტაცია აკადემიის ანთოლოგიისა. ჩვენი ლექსები წაიკითხა სამმა მოსწავლემ-შესანიშნავი გარეგნობის გოგონებმა, რომელთაგან ერთ-ერთი, ლურჯთვალება ნინი რომაშვილი, იქ გვხვდება თითქმის ყოველი ჩასვლისას ბოლო წლებში.

შემდეგ ხაშურელებმა წარმოგვიდგინეს ადგილობრივი პოეტებიც, რომელთა შემოქმედება გამოირჩევა დახვეწილობით, წერის მაღალი კულტურით. ერთი ეგაა, რომ საღამოს მიშო თუმანიშვილი აკლდა-ხაშურის რაიონის საუკეთესო პოეტი. აი, სხვა მხრივ კი ყველაფერი უნაკლო იყო.

პოეტების გარდა საღამოს ეს-წრებოდნენ იქაური სკოლების ხელ-მძღვანელებიც, მასწავლებლებიც, ასევე-უბრალოდ, დაინტერესებული ადამიანები, რომელთაგან ერთ-ერთი გახლავთ იმ რაიონის ხელმძღვანელ-თაგანი-ბატონი ვაჟა შუბითიძე. ესაა ყოველმხრივ განათლებული პიროვნე-ბა, რომლის ინტერესის სფეროც ძა-ლიან დიდია. ზუსტი მეცნიერებების მიმდევარი, (რომელიც გეპეიში მუშაობს), ჰუმანიტარულ დარგებსაც არა სწყდება, ხელოვნების სიყვარულის გამო. იგი არაერთხელ შემინიშნავს ჩვენს ღონისძიებებზე და სიტყვითაც არაერ-თხელ გამოსულა, ამჯერად კი აკადემიაშიც გაწევრიანდა. დიახ, ქალბატონმა გულნაზიმ ამჯე-რად ხაშურში გასცა აკადემიის დიპლომები, რომელთაგან ერთი სწორედ ბატონ ვაჟას ერგო.

მოკლედ, საღამომ წარმატებით ჩაიარა (ზუსტად ისე, როგორც ველოდით), ხოლო უკვე შემდეგ, სუფრაზე, განსაკუთრებით დამამახსოვრდა კიდევ ერთი ადამიანი ბატონი გია ქურდა-ძე. რომელმაც ყველანი გაგვაკვირვა ქართული ლიტერატურის შეუდარებელი ცოდნით, და სა-

ერთოდ, თავისი ერუდიცია-განსწავლულობით, მრავალმხრივი გონებით...

ვბრუნდებოდით უკან-თბილისში. იდგა ზამთრის თეთრი დღე, იწურებოდა ეს დღე, მაგრამ მზე ჯერ არ ჩასულიყო, და მოჩანდა, ირგვლივ, სიზმარივით, გადათეთრებული მთა-ველები, მოთეთრო ტყეები, ცაც და ჩამავალი მზეც თეთრად ბრწყინავდა... სამახსოვროდ კი გვეჩებოდა ერთი დიდებული შეხვედრა ხაშურში, რომელიც მაკა დიდებულიძემ მოგვიწყო ჩვენ-აკადემიის ძირითად წევრებს.....

თბილისი 2016 წელი. ზამთარი

სწრაფი ალზევება მაია მახარაშვილისა

მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე მაია მახარაშვილს ალბათ არასოდეს უფიქრია, რომ პროფესიონალი ლიტერატორი გამხდარიყო. მას ჰქონდა და აქვს თავისი ძირითადი პროფესია, ხოლო ლიტერატურა მისთვის მხოლოდ ჰობი გახლდა. წერდა, მაგრამ რეგულარული გამოქვეყნებაც ბოლო დროსღა დაიწყო. თუმცა მას შემდეგ, რაც ნაირა მარშანიამ ჩვენს აკადემიაში მოიყვანა ეს ნიჭიერი ქალი, მაიას პოეზია-პროზამ გასაოცარი სისწრაფით იწყო გახმაურება-აღიარება, ხოლო ოცი თებერვლის ის შემოქმედებითი საღამო, რომელიც დიდი ბიბლიოთეკის დიდ დარბაზში შედგა, და რომლის არაოფიციალური ინიციატორი ჩვენი აკადემია გახდათ, პირდაპირ ვიტყვი, მაია ტრიუმფად გადაიქცა.

პრეზიდიუმში ხუთნი ვისხედით: მე და კახა ბაციკაძე, როგორც წამყვანები და საერთოდ, ღონისძიების შემოქმედებითი გამფორმებელნი, და ქალბატონი-მაყვალა გონაშვილი, გულნაზ ხარაიშვილი, მაია მახარაშვილი. დარბაზი შეივსო ხალხით. განწყობა თავიდანვე ამაღლებული მქონდა. მე როგორც ძირითადმა წამყვანმა, საღამო გახსნილად გამოვაცხადე. საერთოდ, ანტიისტორიული და ანტიპოლიტიკური პიროვნება ვარ. (ჩემი არაპოლიტიკურობა თუნდაც იმაში გამოიხატა, რომ ამ სფეროში, ჩემივე რამდენიმე ცდა, არ იყო მაინცდამაინც სერიოზული). მაგრამ რადგანაც ღონისძიების გაძღოლას მაინც სჭირდება გარკვეული პოლიტიკა (მე კი კარგ წამყვანად ვითვლები), ვიცოდი, რომ დაახლოებით ორი საათის თუ-მეტი ხნის განმავლობაში მკვეთრი მუშაობა მომიწევდა, რათა საღამო ერთ ღამაზ ლიტერატურულ სპექტაკლად მექცია. საბოლოოდ ასეც მოხდა. თანაც: შედეგად მივიღეთ ბევრად უფრო მეტი, ვიდრე ველოდით.

მაიამ მოუთხრო მსმენელებს იმის შესახებ,თუ როგორ ქმნიდა თავის ექსპერიმენტულ რომანს რეტრომანის შესახებ. ესაა კოსმიური რომანი, დეტექტივის, ფანტასტიკისა და თავისებური ფილოსოფიის ელემენტებით გაჯერებული სათავგადასავლო ამბავი, რომელიც იშვიათობაა სამამულო ლიტერატურისათვის. მოგეხსენებათ. ასეთ ჟანრში ჩვენთან ცოტანი მუშაობენ. დიდი სინთეზი-აი მაიას რიმანის წარმატების ერთ-ერთი უმთავრესი საიდუმლო. შეზავებამ, სხვადასხვა მიმართულებებისამ, გაამდიდრა ჟანრი.

არის კიდევ სხვა ფაქტორებიც. მაგალითად: მოგეხსენებათ, თუ რას ნიშნავს ქართველი კაცისთვის დიდი ილიას (ჩვენი ერის მამის) წმინდა სამება-ენა, მამული, სარწმუნოება. ეს ჩამონათვალი სწორედ ენით იწყება, და ენა ქართული, იესოს და ლაზარს რომ ეხმიანება სიმბოლურად, ქართველთათვის უფრო მეტია, ვიდრე, ალბათ, მსოფლიოს ნებისმიერი ერისათვისაც კითავისი ენა. ქართული ყველაზე უფრო პოეტური, მუსიკალური, ყველაზე ღრმადლიტერატურული ენაა, ენა ხელოვნების, და მაია მახარაშვილი კარგად ფლობს მას, ქართულს, სწორედ რომ ლიტერატურულად. ასეთია მისი პროზა, ასეთი დახვეწილია მისი პოეზიაც. ხოლო რადგანაც პოეზია (და მუსიკა) ყველაზე უფრო მეტად ზემოქმედებს ადამიანებზე, მაიას ვურჩიე, რომ ლექ-

სები არ დაეკლო მსმენელთათვის. ასეც მოხდა და მისი რომანის პრეზენტაციის გამარჯვებაში მისმავე ლექსებმაც ითამაშა, სწორედ, ერთ-ერთი მთავარი როლი. დარბაზში აპლოდისმენტები არ წყდებოდა.

რაც შეეხება გამომსვლელებს: ერთმანეთს ცვლიდნენ დავით შემოქმედელი, რეზო ადამია, მიმოზა ცანავა, ნაირა მარშანია, ნელი ქველაძე და სხვანი, ხოლო რაც შეეხება ქალბატონ მაყვალასა და ქალბატონ გულნაზს, მათი მილოცვა იყო ძალიან გულთბილიც და დამრიგებლურიც. ეს ორი ადამიანი, როგორც გზამკვლევნი შემდეგი თაობებისა, თანაც როგორც ყველაზე უფო გავლენიანი ლიტერატორი (პოეტი) ქალბატონები, მეტად ყურადსაღებ დარიგებებს ამბობენ ხოლმე დაკვირვებული ადამიანებისათვის.

მაია მახარაშვილის წარმატებანი განსაკუთრებით უხარია მის ახლობელ ადამიანებს, რომელთა ყოფნა-გულშემატკივრობაც მკვეთრად შეიგრძნობოდა დარბაზში. ესენი იყვნენ, ძირითადად, მისი კოლეგები, აგრეთვე-სტუდენტობისა და სკოლის მეგობრები.... ზუსტად არ ვიცი, იყო თუ არა დარბაზში წარმოდგენილი პოეტის (მწერლის) სანათესავო, მაგრამ სამეგობრო კი აშკარად დიდი დოზით და ხაზგასმით, ხმამაღლა წარმოჩინდა. კარგია, როცა ადამიანს ასეთი საახლობლო წრე ჰყავს.

რაც შეეხება კახას, რომელიც მუდმივი გმირია შემოქმედებითი საღამოებისა, იგი ორი სიმღერით წარსდგა მსმენელთა წინაშე („წვიმის ქალი“ და „ჩემი ლირიკა“), და როგორც „ზღვარის“ განუმეორებელმა ლიდერმა, „ზღვარის“ სახე-სიმბოლომ, კიდევ ერთხელ აალაპარაკა ამ ჯგუფის შესახებ საზოგადოება. უკვე დიდი ხანია, რაცნაკლები მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ როგორ გამოდის კახა, მნიშვნელოვანი კი ისაა, რომ იგი გამოდის, რომ ის მონაწილეობს ღონისძიებაში, და დღეს ასეთი „მოარული ფრაზაც“ კი არსებობს, რომ, საერთოდ, მით უფრო დიდებულია ღონისძიება, რაც უფრო მეტი მონაწილე იქნება, იქ, ჯგუფ „ზღვარიდანო.“ ამჯერად, ოთხი ძირითადი წევრიდან, ორნი ვიყავით წარმოდგენილნი, თუმცა, რაღა თქმა უნდა, საღამო მაინც არ იყო მხოლოდ „ორვარსკვლავიანი,“ პირიქით, ეს გასხივოსნებული საღამო „მრავალვარსკვლავიანი“ გახლდათ.

მაია მახარაშვილს რამდენჯერ მოუწია გამოსვლა ამ სოლიდური, მრავალფეროვანი აუდიტორიის წინაშე. მისმა პოეზიამ სრულიად დაიპყრო მსმენელი. მე მგონი, ასეთ წარმატებას თვითონ მაიაც არ ელოდა, იგი, საერთოდ, თავმდაბალ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება, და ერთბაშად იმხელა ყურადღების ცენტრში მოექცა, რომ.... ბოლოს კი, როცა მთელი დარბაზი ფეხზე წამოიშალა და აპლოდისმენტებს საზღვარი აღარ ჰქონდა, იდგა მაია თავდახრილი და სიხარულის ცრემლებს ძლივს იკავებდა.

ფაქტია, რომ ნაირა მარშანიამ აკადემიაში ალმასეული ნიჭის ადამიანი მოიყვანა.

ფაქტია, რომ ამ ნიჭიდან ბრილიანტის შექმნა დაიწყო ქალბატონმა გულნაზიმ.

და თუ ეს პროცესი არ შეწყდა, მაია მახარაშვილი უეჭველად ჩამოყალიბდება ბრწყინვალე, პროფესიონალ ლიტერატორად.

დღეს საქართველოში ხუთი-შვიდი აქტიური აკადემია არის (მათგან თუნდაც სამის წევრობა სოლიდურ მიღწევად ითვლება). ამ გაერთიანებებიდან ერთ-ერთი ყველაზე უფრო აქტიური სწორედ ლეჟავა-ხარაიშვილის აკადემიაა, რომელიც ცდილობს როგორც მოყვარული ხელოვანების, ასევე-პროფესიონალების (სუპერპროფესიონალების) პოპულარიზებას. დიახ, „პროფესიონალთა ლიგა,“ თითქოს არაოფიციალურად, მაგრამ მაინც, უფრო და უფრო მკვეთრად იკვეთება სამამულო ხელოვნებაში. მე ეს მიხარია, როგორც ამ პროცესის ერთ-ერთ მეთაურს. და ძალიან მინდა, რომ ისეთი ადამიანი, როგორიც არის ჩვენი მაია, სწრაფად ჩაითვალოს ამ „უმაღლესი ლიგის“ წევრად, მითუმეტეს, რომ პროფესიონალიზმისაკენ გზა, დღესდღეობით, დიდწილად, სწორედ აკადემიებზე გადის. ყოველ შემთხვევაში, ახლა, დღევანდელი ქართული აკადემიურობის რამდენიმე მესვეურის გააქტიურებული ორგანიზაციული მუშაობის ფონზე, ასე ჩანს. დღეს ქართული ხელოვნება, დიდწილად, სწორედ აკადემიებშია თავშეფარებული, და დიდი კულტურული საქმეების უკან, ძირითადად, სწორედ ეს გაერთიანებები დგანან. დიახ, ჩვენს, ასე ვთქვათ, ნახევრადდამოუკიდებელ ქვეყანაში, ჯერაც კეთდება დიდი საქმეები.

თბილისი. 2016 წელი. თბილისი.

გახსენება-დაფასება აკაკი გასიტაშვილის ღვაწლისა

წიგნის ავტორი - **ამალია საზანდრიშვილი**.

წიგნი ეხება აკაკი გასიტაშვილის ცხოვრება-მოღვაწეობას.

აი, სწორედ ამ ნაშრომის განხილვა მიმდინარეობდა თექვსმეტ მარტს დიდი ბიბლიოთეკის მესამე კორპუსის ერთ-ერთ დარბაზში. საღამოს უძღვებოდა ისევ და ისევ ჩვენი აკადემიის ხელმძღვანელი - გულნაზ ხარაიშვილი, ხოლო დამსწრე საზოგადოების უმეტესობა იყო რჩეული, ნაღები ინტელიგენცია.

დავიწყოთ იქიდან, რომ ავტორმა კარგად შეარჩია წიგნის თემა-ამბავი მშრომელი, მოღვაწე კაცისა, რომელმაც ღირსეულად იცხოვრა და ისე გავიდა ამ სოფლიდა, რომ აქ ბევრი გულშემატკივარი დარჩა. რაც შეეხება მის პირდაპირ მემკვიდრეებს, ანუ შვილებს, ორივე ესწრებოდა ღონისძიებას: ბატონი ზურაც, რომელიც უაღრესად წარმატებული პირი ესგახლავთ-გეპეის რექტორის მოადგილე და ქალბატონი დალიც, რომელიც ასევე მეცნიერულ გზას ადგას. მოკლედ, დღეს ეს ადამიანები აგრძელებენ თავიანთი სახელოვანი მამის ფენომენს.

ქალბატონმა გილნაზიმ ისე ოსტატურად წარმართა მთელი საღამო, რომ არც ლექსი დააკლდა ღონისძიებას, არც მუსიკა, საერთოდ არაფერი და მიუხედავად ამისა, მაინც თითქმის არასოდეს ავცდით მთავარ ხაზს: როგორღაც ყოველთვის ვტრიალებდით ბატონი აკაკის ცხოვრება-მოღვაწეობის გარშემო. მაგალითად, როცა უკვე სახელოვანი ოცდამეთექვსმეტე საჯარო სკოლის წარმომადგენელნი მოვიდნენ, აღმოვაჩინეთ, რომ მათ ზედმიწევნით კარგად ჰქონდათ დამუშავებული დღის თემა. მოწაფეებმა-სოფო სოფრომაძემ, ლიკა დუშმანიშვილმა. ისაუბრეს ბატონი აკაკის შესახებ. მათ გამაკვირვეს თავიანთი ცოდნა-მზაობით, გამიკვირდა ის, თუ როდის, რა ვითარებაში შეისწავლა-დაამუშავა სკოლამ (სკოლის მოწაფეებმა) ეს საკითხები, ჩვენი თემის გარშემო, მათ პატარა დადგმაც კი რომ შემოგვთავაზეს, თავისებური, სპექტაკლური ნიუანსებით. თუმცა როცა სკოლას ჰყავს ისეთი ბრილიანტურად ძვირფასი პიროვნებები, როგორებიცაა დირექტორი მაია კვინიკაძე და პედაგოგი ციური ხუჭუა, იქ აღარაფერი უნდა გიკვირდეს. ამ ორ უაღრესად აქტიურ ადამიანს ყოველთვის მზად ჰყავთ მოწაფეები ნებისმიერი საპასუხისმგებლო სიტუაციისათვის.

ღონისძიებას, რაღა თქმა უნდა, არც ლამზირა შეყილაძე და მაია მახარაშვილი აკლდა. ამათგან პირველი აკადემიის გამოცდილი კადრია უკვე, რომელიც თვით ქალბატონი გულნაზის ერთ-ერთ მთავარ თანაშემწედ მიიჩნევა, ხოლო მაია ახლა იკრებს ძალებს ლეჟავა (ლეჟავა-ხარაიშვილის) აკადემიაში, თუმცა ეტყობა, რომ მას აქ მკვეთრი პერსპექტივა აქვს.

ქალბატონი ამალია და მისი ნაშრომი ბიბლიოთეკარებმაც დააფასეს: მარინა სხირტლაძე-დიდი (საჯარო) ბიბლიოთეკის ერთ-ერთი თვალსაჩინო თანამშრომელი, ბოლომდე დაესწრო ღონისძიებას და სიტყვითაც გამოვიდა. ასევე მოიქცა მისი სეხნია-მარინა დიდებულიძეც-ხაშურის ბიბლიოთეკის დირექტორი, უამრავი შემოქმედებითი საღამოს ორგანიზატორი, ერთ-ერთი ლიდერი ხაშურ- ქალაქის ინტელიგენციისა. მასსავით სტუმრის სტატუსით იმყოფებოდა ქარელის პირველი საჯარო სკოლის ხელმძღვანელი-მარიკა საზანდრიშვილი, რომელმაც ასევე შემოგვაშველა თავისი სიტყვა. ქარელიდან ჩამოვიდა, ვთქვათ, დპდო მაჭარაშვილი-იქაური ინტელიგენციის წარმომადგენელი, პედაგოგი, გვესწრებოდა ფილოლოგი ანა გივიაშვილიც....

მოკლედ, საღამოზე წარმოდგენილი იყო შემდეგი ქალაქები-თბილისი, რუსთავი, ქარელი, ხაშური და სხვა. აი, ასეთი მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა წარმომადგენლობა.

პოეტებს რაც შეეხება-თვითონ ქალბატონი გულნაზის, ლამზირასა და მაიას გვერდით უნდა მოვიხსენიო იამზე ჭელიძეც, ნელი ქველიძეც, ლეილა გაფრინდაშვილიც....

მე და კახა ბაციკაძეც, „ზღვარიდან," რაღა თქმა უნდა, პოეტების სტატუსით ვიყავით მიწვეულნი და რა თქმა უნდა, კახას სიმღერების შესრულებაც სთხოვეს. ახალი ხელოვნების შექმნა მე დავიწყე-ოთხმოცდათოთხმეტ წელს, როგორც-ახალი ეპოქისა დამ ას შემდეგ გვერდიდან არ მომოშორებია კახა, ვითარცა ყოვლისშემძლე კაცი ხელოვნებაში. უკვე იმ წლიდან პროფესიონა-

ლი ვიყავი და კახასაც ვასწავლიდი პროფესიონალი ხელოვანის თვისებების გამომუშავებას, ლიდერის თვისებების გაღვიძებას თავისსავე პიროვნებაში. ისიც საოცარი სისწრაფით ვითარდებოდა. ერთი წლით ადრე სოხუმი დაეცა, ერი უმძიმეს მდგომარეობაში ჩავარდა. საჭირო გახდა ახალი გზების ძიება, ყველაფრის შეცვლა და მალე სინათლეზე იწყო გამოსვლა ახალმა ხელოვნებამ, როგორც ახალმა აზროვნებამ, თუ მსოფლმხედველობამ, თუ ცხოვრების სტილმაც კი... მოკლედ, ეს იყო უახლესი ხაზი, წრფე, რომლის სათავეებთანაც მე, კახა და საერთოდ, ჩვენი თაობა ვიდექით. მას მერე კახას ყოველი გამოსვლა თავისებური მოვლენაა. ქალბატონი ამალიას წიგნის პრეზენტაციაზე მან სამი სიმღერა შეასრულა, სხვადასხვა ეპიზოდში. პირველი იყო ლექს-სიმღერა „უკვდავება," მეორე კი-ქალბატონი გულნაზის ტექსტზე დაწერილი „წიგნის მეგობრები," ხოლო მესამეს რაც შეეხება, ეს გახლავთ ძველი ჰიტი „ყვავილების ქვეყანა," რომელსაც შემსრულებელთან ერთად მღეროდნენ მსმენელნიც. კახას გამოსვლები საღამოს მშვენებად იქცა. მასზე უფრო ადრე კი მე გამოვედი და სიტყვა ვთქვი, ხოლო სულ ბოლოს, საღამოს დახურვაც მე მერგო წილად.

ღონისძიების მშვენებად იქცა გეპეის ინტელიგენცია. ისინი ზურა გასიტაშვილის მეგობართა წრეს წარმოადგენდნენ, უაღრესად ერუდირებულ პიროვნებათა არეალს ქმნიან. ღრმა არის და მკვეთრად ლოგიკურია მათი საუბარი, საჭირბოროტო თემები ერთმანეთს ცვლიან, წინა პლანზე წამოწეულია თემა ერის ბედისა და ადგილი, ამ ბედში, ამ განზომილებაში, ინტელიგენციისა, საერთოდაც საერო თუ სასულიერო პიროვნებებისა. ეს თემები უფრო გაიშალა, ასე ვთქვათ, „მეორე განყოფილებისას," სუფრის დროს და მაშინ კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ქართული სუფრა ნამდვილად არის თავისებური აკადემია. იმ დღეს, მე, იქ, სუფრაზე, მთვრალი არავინ მინახავს. ისინი ბჭობდნენ ურთულეს თემებზე, მათ შორის რუსეთ-საქართველოს დახლართულ ურთიერთობაზედაც და მიმოიხილავდნენ ამ ორი ერის ისტორიის გარკვეულ ეტაპებს. იყო, რაღა თქმა უნდა, სხვა საინტერესო თემებიც, მაგალითად-ეპიზოდები გეპეის და მისი თანამშრომლების ცხოვრებიდან. გაიხსენეს ამ უმაღლესი სასწავლებლის ლეგენდარული წარმომადგენელნიც.... როგორც ჩანს, ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტთან ერთად, გეპეი არის, სწორედ, ერთ-ერთი უმთავრესი სამჭედლო დიდი ქართული აზროვნებისა. ივანე გორგიძემ, დავით გორგიძემ, მამუკა მაცაბერიძემ, ალექსანდრე უნაფქოშვილმა, დავით სანდოძემ, ქეთევან მახაშვილმა, მაკა ხართიშვილმა... რაც შეეხება თემურ ბუტულაშვილს, სწორედ იგი უძღვებოდა სუფრას-თამადა გახლდათ...

დავუბრუნდები, ისევ, ღონისძიებას და ვიტყვი: რომ ჩვენ მა აკადემიამ, იმ დღეს, კიდევ ერთი გამარჯვება მიითვალა, დაანახა რა ირგვლივეთს, რომ ქალბატონმა ამალიამ ბატონ აკაკის დაუდგა ძეგლი, ძეგლი სიტყვისა, ხოლო არაფერია უფრო ღრმა და უფრო მაღალიც, ვიდრე-სიტყვათა მორევი....

თბილისი. 2016 წელი. მარტი.

ზღვარი-2016

იმ დღეს-ცხრა მარტს, გეპეის ადმინისტრაციულ კორპუსში, საკომფერენციო დარბაზში, დიდი ამბავი იყო. მოკლედ, გეპეის „ზღვარი" ეწვია-ჩემს მიერ დიდი ხნის წინ შექმნილი ლეგენდარული ჯგუფი, ჩემი, ჯერ-ჯერობით, ერთადერთი მართლაც წარმატებული საქმე-პროექტი, რომელმაც უამრავი წელი გაატარა ზენიტზე (დიდი ჯგუფი იყო „მირაჟიც," თუმცა ის ხუთ წელიწადში მაინც დაიშალა).

„ზღვარის" ტრიუმვირატს (მე, კახა ბაციკაძე, გიორგი ზუხბაია) იმ დღეს შეემატა ჯარჯი შუქიაური და ილო (ილია) შუღლიაშვილი, ხოლო მსმენელთა წინაშე წარსდგნენ, ასევე, მორჩილი გიორგი, დიტო ყუფუნია, ბელა ალანია, გოგა გოგიტაშვილი, ლამზირა შეყილაძე და სხვები, აი, რაც შეეხება ჩვენი აკადემიის პრეზიდენტს-გულნაზ ხარაიშვილს, იგი არა მარტო სიტყვით გამოვიდა, არამედ ერთ-ერთი ორგანიზატორიც კი გახლდათ ამ საოცრად ენერგიული და ფეთქებადი ღონისძიებისა, სტუდენტურ-ახალგაზრდული მუხტით რომ იყო სავსე (დარბაზში ყველაზე მეტნი სწორედ სტუდენტები იყვნენ).

ღონისძიების იდეა ეკუთვნოდა გეპეის ლექტორს-ვაჟა შუბითიძეს, რომელიც თბილისსა და ხაშურში ერთ-ერთი გამორჩეული ინტელექტუალია, ხოლო როცა საქმეში პრორექტორი თამაზ ბაციკაძეც ჩაერია, უკვე ნათელი იყო, ყველაფერი კარგად ჩაივლიდა. ამ ორმა ადამიანმა და ქალბატონმა გულნაზიმ ორგანიზების საკითხები დიდწილად მაინც ახალგაზრდებს დაუთმეს,-გიორგის, პაატას, ავთოს, მაშოს... სამწუხაროდ, არ მახსოვს ყველა მათგანის სახელი, რომელთაც დიდი წვლილი შეიტანეს იმაში, რომ ჩვენი ჯგუფის ის „ცეცხლოვანი შოუ" შედგა გეპეიში.

„ზღვარის" დიდი ტრიუმვირატიდან, იმ დღესაც, როგორც ყოველთვის, კახა გამოირჩეოდა. მის მიერ შესრულებულ ხუთივე სიმღერას („დროის მკვლელი," „წვიმის ქალი," „ჩემი ლირიკა," „გოლგოთა," „ნასახლარი") გამაოგნებული აჟიოტაჟი მოჰყვა დარბაზში. ახალგაზრდები რამდენჯერმე წამოცვივდნენ ფეხზე და აპლოდისმენტებმა ლამის დააყრუა იქაურობა. ისინი რეაგირებდნენ ყოველ ნოტზე, ყოველ აკორდზე, თანაც აშკარა იყო-ამ სიმღერათა ტექსტები თითქმის სულ ზეპირად იცოდნენ. ახალგაზრდები სულ კახას გამოსვლას ითხოვდნენ, მის ლექსებს, მის სიმღერებს... მოკლედ, საღამო ლამის ერთი კაცის შოუდ იქცა.

მიუხედავად ამისა, მეც ძალიან თბილად შემეგებნენ (სწორედ ჩემი ლექსით-„მწვერვალით," რომელსაც მეორე სართულიც აქვს „სტრიქონი-სისხლი" გავიხსენი საღამო) დარბაზში მყოფნი. განსაკუთრებით გამიხარდა, რომ დიდი მოწონებით შეხვდნენ მეორე კახას (კახა ლომაძის) ლექსსაც, ასევე ჩემს მიერ წაკითხულს. მეორე კახას სახე-სიმბოლოდ ჩემს მხატვრულ შემოქმედებაში, მიჩნეულია ერთი უცნაური პერსონაჟი-ოლირი. ნაწილობრივ, ეს, გამართლებულიც არის. საღამოს ესწრებოდა კახა ლომაძის უმცროსი და-ნანიკო. მისმა იქ ყოფნამ ასევე ძალიან გაგვახარა.

ზუხბას ლექსებმა, როგორც ყოველთვის, ახლაც აღაფრთოვანა დარბაზი. ეს გოლიათური აღნაგობის კაცი პოეზიაშიც ნამდვილი გოლიათია, ტიტანი. მისი შედევრები-„შეშლილთა სახლი" და „პოეტების რულეტკა" დიდი ზემოქმედების მქონე ფილოსოფიური ლექსებია, ხოლო „რიქშა," რომელიც, სამწუხაროდ, აღარ წაგვიკითხავს იმ დღეს, საოცარი აღმოსავლური პოეტურ-თეოლოგიური, მისტიკური მოზაიკაა. ასეთივე შეუცნობელია მისი ბოლოდროინდელი ლირიკული ნამუშევარი „მტრედი" და ბევრი სხვა. ზუხბა ათასობით ლექსის ავტორია, ხოლო ამათში, პირადად ჩემი აზრით, გემოვნებით, არცერთია სუსტი. იგი მხოლოდ ლექსებს წერს. უძლიერესია მისიეპოსიც, თუმცა ეს ცალკე თემაა, ვრცელი თემა.

იმ დღეს დიდებულ პოეტურ ფორმაში იყვნენ ჯარჯიც და ილოც. ესენი ჩვენი შემდგომი თაობაა, აეს ვთქვათ, ჩვენი პოეტური მემკვიდრეები და პოეტურ ფრონტზე სწორედ ასეთი ხალხის იმედი მაქვს. მათ რიცხვს მიეკუთვნება დიტოც, გოგაც, მიშო თუმანიშვილიც (ხაშურის უპირველესი პოეტი), ნიკო ჩერქეზიშვილიც, მინდია ცეცხლაძეც და ზოგი სხვაც.

რაც შეეხება მორჩილ გიორგის, იგია ადრე ცნობილი პოეტი გიორგი ბუნდოვანი (ასევე ადრე ცნობილი პოეტის-მარი ჟორჟოლიანის მეუღლე), რომელმაც სასულიერო გზა აირჩია და ხელოვნებას თითქმის ჩამიშორდა. მიუხედავად ამისა, ეს ნამდვილი ხელოვანი ვერაფრით შეელია, ბოლომდე, ძველ გზას და თავისი ლამაზი ლირიკით ამშვენებს ხოლმე, დღესაც, ზოგ პოეტურ თავშეყრას.

დარბაზში, ჩემთვის უცნობი ადამიანების გარდა, იყვნენ, რა თქმა უნდა, ახლობელნიც. მაგალითად: გიორგი გერგეშელიძე და ტატო ებანოიძე როკ-სამყაროდან. წელს, ბოლო-ბოლო, მგონი მართლა მოვახერხეთ „კახას ბრნდის" შექმნა. იდეა ჩემია, შემქმნელი კი ჯგუფი „ზღვარი" ვართ, ერთობლივად (მე, კახა, ზუხბა, ვასო). „კახას ბენდის" („კახას ჯგუფის") პირველი შემადგენლობა ასეთია-კახა ბაციკაძე, როგორც ვოკალისტი, გიტარისტი, სიმღერების თანაავტორი;შემდეგ-ტატო ებანოიძე, როგორც გიტარისტი; შემდეგ-იკა შარმიაშვილი, როგორც ბას-გიტარისტი; მერე-გიორგი გერგეშელიძე, როგორც დრამერი; და ბოლოსმე, როგორც სიმღერების თანაავტორი (ხანდახან შეიძლება კლავიშებზედაც დავუკრა ან რომელიმე სხვა საქმე შევითვისო). აი, ეს ბენდი იარსებებს „ზღვარის" პარალელურად (ხანდახან, შეიძლება, თვით „ზღვარის" სახელითაც კი მოუწიოს გამოსვლა), ხოლო ამით ჩვენს ძველ, მარადიულ ჯგუფს მიეცემა საშუალება, რომ მუსიკაზე ბევრად უფრო დიდი დრო ლიტერატურეს დაუთმოს.

მოკლედ, მთლიანობაში, „ზღვარის" საღამო-შოუ დაუვიწყარი იყო და ეს ინტერნეტ-სივრცეშიაც აისახა, იმ სივრცეში, სადაც ქვეყნდება ჯგუფის ლექსები, სიმღერები, მთელი ალბომებიც... საღამოზე იმ თაყვანისმცემელთა ნაწილიც დაესწრო, რომელნიც სწორედ რომ ინტერნეტიდან გავიცანით.

და ბოლოს, მინდა დიდი მადლობა ვუთხრა, კიდევ და კიდევ ერთხელ, „ზღვარის" არაოფიციალურ მენეჯერ-პროდიუსერს, ქალბატონ გულნაზს, რომელმაც კატეგორიულად მოგვთხოვა, რომ ეს საღამო ჩაგვეტარებინა (ჩვენ, რატომღაც, ვყოყმანობდით, თანაც, ათიან წლებში იმდენჯერ გვიხდება სხვათა საღამოებზე გამოსვლა, რომ პერსონალურ ღონისძიებებს ხშირად აღარ ვატარებთ). მადლობა გვანცა ხარაიშვილსაც ჩვენს უერთგულეს ადამიანს და ყველას, ყველას, ვინც იმ დღეს იქ იყო, ან თუნდაც არ იყო, მაგრამ „ზღვარი" ვისაც ძალიან უყვარს.....

თბილისი. 2016 წელი. გაზაფხული.

დამატება: მარტის იმ დღეს, პოეტურ საღამოზე და მის შემდეგაც, ვთქვი რამდენიმე პოპულისტური ფრაზა, რომელთაც, არც მეგონა, რომ სერიოზულ ყურადღებას მიაქცევდნენ. მაგალითად, ვთქვი, რომ ზღვარი „ბიტლზებზე" და „პინქ ფლოიდებზე" უფრო დიდი ჯგუფია, რომ ჩვენ, ასევე „ცისფერყანწელებს" და „აკადემიურებს" აღვემატებით და ასე შემდეგ. რაღა თქმა უნდა, ჩემს სიტყვებში, ამ სარეკლამო ფრაზებისას, სერიოზულობა ნაკლებად ერია, არადა, ამ ნათქვამებზე ახლა დიდი კამათია გამართული სხვადასხვა წრეებში. რაღა თქმა უნდა, არა ღირს

ასეთი კამათი. ხელივნება ნაკლებადაა შეჯიბრებითობა და აქ, ხანდახან, ბოლო უფრო დიადია, ვიდრე პირველი; ფაქრიურად სარეკლამო განცხადებების გამო, კამათი არა ღირს; პოეტებს, საერთოდ, სჩვევიათ აღმატებული სიტყვანი საკუთარი თავისთვის თუ სხვებისთვის. ბევრს უწოდებია, ვთქვათ, კახასთვის, პოეზიის მეფე, და ასე შემდეგ, (მათ შორის-თვით ვაჟა ეგრისელსაც), მაგრამ კახა ამით არასოდეს გათამამებულა, პირიქით: ესაა სტიმული, ყველა ჩვენთაგანისათვის, სარეკლამო სიტყვები მხოლოდ სტიმული, რომელიც მეტ მუშაობას გვაიძულებს, სხვა კი არაფერი, აი, პასუხისმგებლობა იზრდება მხოლოდ.... მოკლედ, ჩვენი თუ სხვათა სარეკლამო ფრაზები საკამათოდ არა ღირს.... „ზღვარი" (უფრო ადრე „მირაჟიც") ჩემი იდეითა და ძალისხმევით შეიქმნა. მე იგი ხსლოვნების სიყვარულის გამო შევქმენი და არა კამათის სიყვარულის გამო. საწყისი, საწყისი-იდეა, ხელოვნების, პოეტურობის სამარადისო სიყვარულია, როგორც ჩემში, ასევე-სამყაროში...

„მოგონება..... მონატრების ცრემლია"

გასულ წელს გამომცემლობა „უნივერსალმა," დედაქალაქში, გამოუშვა წიგნი „მოგონება... მონატრების ცრემლია," რომლის ავტორი გახლავთ ნაირა მარშანია, მასვე ეკუთვნის წიგნში მოთავსებული ნახატები. მთლიანობაში ესაა ლამაზი პოეტური ნაშრომი (პოეზია, მხატვრობა), რომელიც ძეგლია, წიგნი-ძეგლი, აფხაზეთზე და საქართველოზე-საერთოდ. ქართულ-აფხაზური ურთიერთობების საკითხში ეს ლირიკული ნაშრომი ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფეხურად მიმაჩნია, და მეთაკილება კიდეც, რომ მის შესახებ უფრო ადრე არ დავწერე სტატია, თუმცა ხომ უთქვამს ბრძენს, რომ სჯობს გვიან, ვიდრე არასდროსო....

ქალბატონი ნაირას წიგნის ღირსება მის სინაღდეშია, მის სიმართლეში. საქმე იმაშია, რომ ნაირა მარშანია სწორედ სოხუმიდან გახლავთ, იმ ქალაქში გაატარა, მან, თავისი ცხოვრების საუკეთესო წლები, და ამიტომაც ატყვია სტრიქონებს ცოცხალი განცდა აფხაზეთის გულის-სოხუმისა, რომელიც ერთ-ერთ ულამაზეს ქალაქს წარმოადგენდა. საერთოდაც: აფხაზეთი ერთი უმშვენიერესი კუთხეთაგანი იყო (არის!) საქართველოსი, ხოლო თუკი ქართველი და აფხაზი ძმები არიან (ახლა, სამწუხაროდ, წაჩხუბებულნი, მაგრამ მაინც-ძმები), მაშინ აფხაზი ქართველი ყოფალა!

ხოლო ნაირას წიგნის საძირკველი, მისი ფუძე-აზრი ისაა, რომ ყველაფერი უნდა გადავლახოთ, მათ შორის-ომის ამბავიც კი, ომისა, რომელიც გარეშე ძალებმა მოგვახვიეს თავს, და უნდა დადგეს დრო დიდი შერიგებისა. ეს წიგნი, თბილისში გამოცემული, საუკეთესო მესიჯია სოხუმისათვის.

აგერაა, ერთი ლექსთაგანი წიგნიდან-ფერადი ნახატი პოეტური ნოსტალგიისა:

„აქ დავრგე პალმა, კოხტა, მორჩილი,
მაგრამ სოხუმი, ალბათ ერჩია.
ჩემთან იზრდება თმააქოჩრილი,
შევუყვარდი და შემომეჩვია.
და ვით მარაო, ირხევა ნაზად,
მაგრილებს მისი გრილი ნიავი.
მე კი ამქვეყნად რა მინდა მეტი,

გული დაფრინავს ცაში, მზიანი.
მიმზერს მე პალმა, კოხტა, მორჩილი,
თუმცა მას ზღვაზე ფრენა ერჩია....
დამკვიდრდა იგი ჩემს გვერდით, ახლოს,
და ჩემს ცხოვრებას შემოეჩვია....”

სოხუმს მართლაც ხშირად აღიქვამენ პალმების ქალაქად, ზღვის პირას გაშლილ საოცრებად, ხოლო ნაირა მარშანიას ლექსმა კარგად გადმოსცა იქაური კოლორიტი, ოღონდდაც-მონატრების განცდითაა გაჟღენთილი თითოეული სიტყვა.

წიგნში მონატრების თემას ეთმობა უდიდესი ადგილი. აგერა, ავიღოთ, თუნდაც, სათაურები ლექსთა: „სოხუმის მონატრება,” „ჩემი ეზო (სოხუმში), „აფხაზეთი ჩემი დარდია,” „ჩემი აფხაზეთი,” „აფხაზ მეგობრებს,” „სოხუმელ მეზობლებს”... შემიძლია დავასახელო კიდევ არაერთი ლექსი.

მაგრამ, როგორც ჩანს, პოეტს გადაუწყვეტია, რომ მაინც არ შემოფარგლულიყო მხოლოდ ერთი თემით და წიგნს ამრავალფეროვნებს ისეთი თემები, როგორებიცაა დედა-შვილობისა და ბებია-შვილიშვილობის სიტკბოება, სიბერის თავისებური ლოდინი-აღქმა, მარტოობის, მარტოსულობის პრობლემა, ეჭვიანობა-შურისა და სხვადასხვა დახლართული, (რთული), დილემური საკითხები. ავტორს აქვს, თითქოს, შემუშავებული თავისი ფილოსოფიური თვალსაზრისი ცხოვრებაზე, რომელიც მოკლედ ასე გადმოცემული ორი სხვადსხვა ლექსის სათაურში: „ცხოვრება ბრძოლის ველია!” და „ცხოვრება რთულია!” ეს ორი სათაური, ფაქტიურად, ერთი და იგივე თვალსაზრისია, არახალი, მაგრამ როცა ამას ქალი ამბობს, გაცილებით უფრო მძიმედ, უფრო მტკივნეულად აღიქმება. ამ ყოველივეს ემატება სიკვდილ-სიცოცხლის მარადიული თემაც და გახსენება-მონატრებაც აწ გარდაცვლილი მეუღლისა...

მოკლედ, ყველაფერი რომ მიმოვიხილო, ძალიან შორს წავალ, მაგრამ ერთ ლექსს მაინც ვერაფრით ავუვლი გვერდს, რომელიც გულს გაუთბობს და ოპტიმიზმით აღავსებს მეგობრობის უმაღლესი ფენომენის შეცნობას ყოველი ადამიანის. ნაირას ამ პატარა ლირიკულ მარგალიტს, უბრალოდ, ასე ეწოდება: „ჩემს ერთგულ მეგობრებს,” და რაღა თქმა უნდა, იგი მიძღვნაა:

„თქვენი მეგობრობა-ჩემი სიმდიდრეა,
თქვენი თანადგომა-არის თანამგზავრი,
თქვენი ერთგულება-არის დიდი ძალა,
მე თქვენს სიყვარულს, არსად გავაგზავნი!..
თქვენი მოფერება სულის სიმშვიდეა,
უფლის ნაბოძები დიდი საჩუქარი....”

ეს ხოტბა თითქოს ლოცვაა, მეგობართა მიმართ აღვლენილი და აღემატება თვით ისეთ მოტივებსაც კი, როგორებიცაა სამართლიანობა-უსამართლობისა თუ სიცოცხლე-სიკვდილის არქაული თემები; მეგობრობა ხომ თვითონ არის მარადისობა, და არა-მხოლოდ ნაწილი მარადისობისა; მეგობრობა განძია სამყაროული....

წიგნს, დანართის სახით, ერთვის გულნაზ ხარაიშვილის, ლამზირა შეყილაძის, მურად ანჯაფარიძის, ნინო მეშველიანის, სოსო ასათიანის ნაწერნი. ამათგან პირველი, ქალბატონი გულნაზი, არის წიგნის წინასიტყვაობის ავტორიც (რედაქტორი). აქვე უნდა ვთქვა, რომ მე ჩახედული ვარ ნაირას ამ ლირიკული ნაშრომის (წიგნის) შექმნის პროცესში, ამიტომ ვიცი, თუ როგორი თავდადებული შრომა ჩადო ამ საქმეში ქალბატონმა გულნაზმაც, და რომ წიგნი არის კარგი, ნამდვილად ღირებული, ამაში მასაც მიუძღვის წვლილი.

ნაირა მარშანია არ დაკმაყოფილდა მხოლოდ წიგნის გადმოცემით. მისი ინიციატივით, ორგანიზებით, მისივე სცენარით, ქართულ-აფხაზური საკითხის შესახებ გადაიღეს ფილმი, (მხატვრულ-დოკუმენტური), რომელსაც ასევე ნაირამ გაუწია პროდიუსერობა, ხოლო წიგნი და ფილმი შემდეგ არაერთხელ წარადგინეს სხვადასხვა ადგილას. ყველაზე მასობრივი შემოქმედებითი საღამო შედგა სამების უდიდეს ტაძარში (ქვედა დარბაზში), რომელსაც უამრავი ადამიანი დაესწრო, მათ შორის-ცნობილი სახეებიც. სხვათაშორის, იმ საღამოს წამყვანი ასევე ქალბატონი გულნაზი იყო, ხოლო მე და კახა ბაციკაძეს ღონისძიებაში გვქონდა გარკვეული ადგილი, სხვებთან ერთად. სამწუხაროდ, იმ საღამოს დეტალების აღდგენა ახლა აღარ ძალმიძს, ფილმის რეჟისორის გვარ-სახელი კი გავიხსენე-ზიზი ტოგონიძე, რომელმაც კარგი ფილმი გადაიღო. (მთავარ როლს ნიკა წულუკიძე ასრულებს).

რაღა თქმა უნდა სჯობდა მაშინვე დამეწერა სტატია, თუმცა ისე მოხდა, რომ მაშინ ვერაფრით მოვიცალე...

სამაგიეროდ, ახლა გამოვასწორე ჩემი შეცდომა და მგონი საკმაოდ კარგი სტატიაც გამოვიდა; ყოველ შემთხვევაში, ამ სტატიამ გარკვეული ინფორმაცია მაინც დააფიქსირა ნაირა მარშანიას ღვაწლის შესახებ.

სერგი ლომაძე.
თბილისი. 2016. წელი. მარტი.

P.S. კომპიუტერი, ინტერნეტი პოპულარობით უკვე გაუტოლდა ყველაზე ცნობილ ტელევიზიებს და უცხოურ სივრცეზე მათზე უფრო ეფექტურადაც ვრცელდება. მაგალითად, უკვე კარგა ხანია, რაც „ზღვარის" შემოქმედებას უცხოეთშიც უსმენენ, როგორც ქართველი ემიგრანტები, ისე უცხოელნიც. ძირითადად სწორედ ინტერნეტის საშუალებით და ბევრმა მათგანმა შესანიშნავი კომენტარიც გააკეთა ჩვენი შემოქმედების შესახებ.... საინტერესოა, იგივე გზით-ინტერნეტით გავრცელებულს რა გამოხმაურება ექნება, ვთქვათ, ნაირას ფილმსაც, უცხოელთაგან, რამეთუ ეს ხომ არაა მხოლოდ ქართული პრობლემა, ომის უმძიმესი თემა ხომ ზოგადსაკაცობრიო პრობლემაა. ფილმი რაღა თქმა უნდა, მცირეზე მცირე ბიუჯეტითაა გადაღებული, მაგრამ აქ მის (ფილმის) სიდიდეში კი არაა საქმე, არამედ-მის შინაარსში, პრობლემის სიმწვავეში, ცალკეული ეპიზოდების მართლაც შესანიშნავად გადაწყვეტაში... მთლიანობაში ესაა ტრაგიკული ისტორია ომის წინააღმდეგ. მოკლედ, ქართველების, აფხაზების, რუსების გარდა, სხვა ერის წარმომადგენელთა აზრიც საინტერესო იქნებოდა. ამ მოკრძალებული, მაგრამ მართლაც შინაარსიანი, ჩასაფიქრებელი ნაშრომის შესახებ. ცალკე უნდა აღინიშნოს რეჟისორისა და მსახიობების ფრიად მონდომებული მუშაობაც...

თამარ თედიაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი



ეგვიპტური სიურეალიზმი

სიურეალიზმი ჩამოყალიბდა საფრანგეთში 1924 წელს ანდრე ბრეტონის მიერ, რომელმაც მოგვიანებით მთელი მსოფლიო მოიცვა. მათ მთავარ იდეას არაცნობიერის წინ წამოწევა და ადამიანის ბუნების კვლევა წარმოადგენდა. დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ სიზმრებს, წმინდა აზროვნებას, რომელიც დაუპირისპირდებოდა საზოგადოებაზე გაბატონებულ ბურჟუაზიასა და ლიტერატურაში დამკვიდრებულ რეალიზმს, ისწრაფოდნენ უფრო ღრმა ქვეცნობიერი რეალობის წარმოჩენისაკენ.

არაბულ სამყაროში სიურეალიზმი XX ს-ის 30-იან წლებში გაჩნდა, როდესაც ჯურჯ ჰანინიმ საფრანგეთში სწავლისას გაიცნო ანდრე ბრეტონი. მოგვიანებით, მეგობრებთან ერთად დააარსა

„ხელოვნებისა და თავისუფლების საზოგადოება“ ეგვიპტეში, სადაც თავი მოიყარეს ევროპაში ნასწავლმა ახალგაზრდებმა. ეგვიპტურ სიურეალიზმსაც გარკვეულწილად პოლიტიკური სახე ჰქონდა, თუმცა არაბულ სამყაროში არსებულმა სოციალურ-პოლიტიკურმა მდგომარეობამ საშუალება არ მისცა ბოლომდე იმ სახით ჩამოყალიბებულიყო, რა სახითაც საფრანგეთში არსებობდა. ხშირად უშუალოდ ანდრე ბრეტონის მითითებებით ხელმძღვანელობდნენ და აქტიურად მიყვებოდნენ თანამედროვე საზოგადოებრივ ტენდენციებს. სიურეალიზმი მხოლოდ ეგვიპტეში განვითარდა და ასებობდა, ისიც გარკვეულ ინტელექტუალურ ფენაში. საზოგადოება მზად არ აღმოჩნდა ახალი ლიტერატურული მიმდინარეობის მისაღებად. მნიშვნელოვანია, რომ ყველაზე ნაკლებად სიურეალისტური ლიტერატურა განვითარდა არაბულ სამყაროში , რადგან ფრანგულ ენაზე წერდნენ, რაც რთული და ხშირ შემთხვევაში სრულიად გაუგებარი იყო ფართო აუდიტორიისთვის. მრავალი დაბრკოლების მიუხედავად სიურეალიზმმა დიდი გავლენა მოახდინა არაბულ ლიტერატურაზე. განვითარდა ჟურნალისტიკა, მხატვრობა, კინოხელოვნება. „ხელოვნებისა და თავისუფლების საზოგადოება“ აქტიურად მონაწილეობდა საერთაშორისო სიურეალისტურ გამოფენებში, ეწყობოდა ადგილობრივი შეკრებებიც. 1940-50 წწ-ში „დამოუკიდებელი ხელოვნების“ ხუთი გამოფენა მოაწყეს. ეგვიპტურ სიურეალიზმში დიდი წვლილი მიუძღვით: ჯურჯ ჰანინის, ქამილ ალ-თილმისანის, მარი ქაფადიას, ჯუის მანსურის, რომელთა შემოქმედება დღემდე დიდი პოპულარობით სარგებლობს.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დასუსტებული სიურეალიზმი ახალ ძალებს იკრებს და „სამოციანების თაობის“ სახელით ჩნდება ასპარეზზე. პიონერი სიურეალისტებისგან განსხვავებით, ფართოდ დაიპყრო არაბული მწერლობა მათმა მეორე ნაკადმა, ამავდროულად აქცენტი გადაიტანეს ტრადიციულ არაბულ ლიტერატურაზე და ოსტატურად შეურწყამდნენ თანამედროვე ტენდენციებს. სამოციანელებმა გაილაშქრეს არსებული სოციალურ-პოლიტიკური რეალობის წინააღმდეგ და სრული გადატრიალება მოახდინეს არაბულ ლიტერატურაში.

1970-იანი წლებიდან ახალგაზდრა არაბ პოეტებშიც აქტიურად და თამამი სახით გამოჩნდა სიურეალიზმი. ედვარდ ალ-ხარატი (الخراط ادوار) ცნობილი ეგვიპტელი მწერალი აღნიშნავს,რომ სიურეალიზმი აღმოსავლური ლიტერატურისათვის ჯერ კიდევ არაბული ფოლკლორიდან იყო დამაასიათებელი.

ანა პაპუაშვილი
ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი

მაცუო ბაშო „ჰაიკუს უდიდესი ოსტატი“

VII საუკუნის 30 იან წლებში იაპონია გარე სამყაროსთვის ჩაიკეტა.იზოლაცის პერიოდში (1639-1854) ხელოვნების უამრავი ახალი მიმდინარეობა ჩამოყალიბდა, იზღუდებოდა ყველაფერი რაც დასავლეთს უკავშირდებოდა და უდიდესი ყურადღება ეთმობოდა თვითმყოფადი იაპონური კულტურის აყვავებას. კულტურის მთავარ ცენტრს კი ედო, დღევანდელი ტოკიო წარმოადგენდა.სწორედ ამ პერიოდში იქმნება პოეტური ჟანრი „ჰაიკაი“,რომელზეც უდიდესი გავლენა მოახდინა ძენ-ბუდიზმმა. ჰაიკაი იყო ხუთტაეპიანი ლექსი, ის წარმოადგენდა ერთგვარ თამაშ-შეჯიბრს, რომლის მიხედვითაც ერთი მონაწილის მიერ წარმოთქმული ლექსის დასაწყისი სტრიქონებისათვის გაგრძლება უნდა მოეფიქრებინა მეორე მონაწილეს და საბოლოოდ ხუთტაეპიანი ლექსი შეექმნათ. ჰაიკაის პირველ სამ ტაეპს ერქვა ჰოკკუ,რომელიც ლექსის უმთავრესი ნაწლი იყო ,თუმცა უდიდესმა პოეტმმა მაცუო ბაშომ „ჰოკკუს“ ახალი სახე მიანიჭა და ის აქცია დამოუკიდებელ სამტაეპიან 17 მარცვლიან (5-7-5) ლექსად,რომელიც შემდეგ ჰაიკუს სახელით გახდა ცნობილი. ჰაიკუში ორი მთავარი ელემენტი ერთიანდება: დაუსრულებელი და მყისიერი, მასში უნდა იგრძნობოდეს უსასრულობა და სიმარტივე. მაცუო ბაშო გახლდათ გამორჩეული პოეტი ,რომელმაც უდიდესი აღიარება მოიპოვა სიცოცხლეშივე. ის დაიბადა 1644 წელს უენოში, დაბალი რანგის მქონე სამურაის ოჯახში, ჯერ კიდევ ბავშვობაში ის გახდა ტოდო იოშიტადას მსახური,რომელმაც მას ასწავლა ჰაიკაის წერა. ბატონის გარდაცვალების შემდეგ ბაშომ სამურაის ტიტულზე უარი თქვა და სახლი დატოვა, ისტორიას არ შემორჩა ცნობები იმის თაობაზე, თუ სად იმყოფებოდა პოეტი სანამ ის ედოში ჩავიდოდა და უდიდეს წარმატებას მიაღწევდა.იმის მიუხედავად,რომ ბაშო ყველაზე პოპულარული პოეტი იყო იმ ხანის იაპონიაში, ზოგჯერ მას მელანქოლია მოიცავდა და ყველასგან, შორს განმარტოებით წყნარ ადგილებში მიდიოდა საცხოვრებლად, სადაც უკეთ შეიგრძნობდა ბუნებას და სულს სიმშვიდე მოუტანდა. მის შემოქმედებაში აისახება ძენ-ბუდიზმის ორი უმთავრესი იდეალი, ვაბი და საბი.ვაბი ნიშნავს უბრალოებისგან ,სისადავისგან ტკბობას და საბი არასრულყოფილების დაფასებას. მისი ჰაიკუები შერწყმულია ბუნებასთან, მასში არ გვხვდება სასიყვარულო სამკუთხედები,დრამა,პოლიტიკა პოეტი ცდილობს დაგვანახოს,რომ ჩვენ უნდა დავტკბეთ უბრალო მომენტისგან,თითქოს სეზონის ცვალებადობაც კი სიამოვნებას ,სიხარულს უნდა გვანიჭებდეს ,ის შგვახსენებს ,რომ ჩვენი ყოველდღიური პრობლემები არაფერია უკიდეგანო კოსმოსის ფონზე, თითოეულ პატარა დეტალი თუ მოვლენა არის ფასეული, თვით სიკვდილიც კი. მაცუო ბაშოს ეკუთვნის ლექსის არაერთი წიგნი,მასვე მიეწერება „მოგზაურთა პოეზიის“გამოცოცხლება,რადგანაც პოეტს ხშირად უწევდა მიუვალ ადგილებში მოგზაურობა და ის თან შესანიშნავ ჰაიკუებს ქმნიდადა ინიშნავდა. უნდა ღინიშნოს ის ფაქტიც,რომ პოეტს უამრავი მოსწავლე ჰყავდა რომ აღარაფერი ვთქვათ თაყვანისმცემლებსა და მეგობრებზე. საბოლოოდ შიძლება ითქვას ,რომ მაცუო ბაშოს პოეზია ადამიანში წარმოქმნის უკიდეგანო კოსმოსს, ავიწყებს რეალობას და საკუთარი თავისგან მოშორებით სხვა რეალობაში გადაისვრის, სადაც ის თავიდან ბოლომდე ერწყმის ბუნებას და ხდება ერთი საერთოს განუყოფელი ნაწილი .ქვემოთ მოცემული ჰაიკუ ყველაზე ცნობილია პოეტის შემოქმედებიდან.

古池や	მდარე გუბე
蛙飛こむ	სიჩუმე... ბაყაყის ნახტომი
水のおと	წყლის ხმა

გულნაზი ხარაიშვილი

ვინ არის სერგი ლომაძე და კახა ბაციკაძე

ბრმა უნდა იყო, რომ ორი არაჩვეულებრივი პოეტის მეგობრობამ არ გაგაკვირვოს. ფიზიკურობით განსხვავებული და გონებით ერთნაირები სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით.

ღვარძლით უნდა გქონდეს გული სავსე მათ ნიჭიერებას არ აღიარებდე, სულით ხორცამდე შეგძრავთ მათი პოეზია, პროზა და მუსიკალური ხმათა ღაღადი. არაერთხელ მინახავს დარბაზიდან მოწყვეტილი ტაშით შეძახილი „ბრავო“ და ასე შემდეგ. ნებისმიერი მოსაწყენი საღამოს გამომაცოცხლებლები არიან. მათი გამოსვლა ყველანაირ თემატიკას უხდება, თითეული საღამოს მათ გარეშე ჰაერის უკმარისობა სჭირს, ანუ ღონისძიება მათ გარეშე არაფერია.

ლომონოსოვი წერდა: სიმართლე და სარწმუნოება ორი დედმამიშვილიაო. ისინი ერთი უზენაესი მშობლის შვილები არიანო, რომელთაც არასოდეს ექნებათ ერთმანეთთან უთანხმოება.

კახა და სერგი ერთმანეთისთვის სულის ძმები არიან, რომლებიც არასოდეს იკამათებენ მატერიალურისთვის და მაინც არიან განსხვავებული, სერგი ზედმეტად ემოციურია, როცა ვინმე საუბრობს ის თავჩაღუნულია, ჩასაფრებულია მიმინოსავით, თითეულ სიტყვაზე ხშირად მინახავს სახეზე ეკალაყრილი, ის ემოციებს უწვრილმანეს დეტალებშიც კი ავლენს, თითეულ ადამიანში ამყარებს სულის კავშირს ფიქრით აანალიზებს და მას როცა აზრს ჰკითხავენ, იტყვის ღრმად, ფილოსოფიურადაც, და ადვილად გასაგები ენითაც ახსნის თავის შთაბეჭდილებას, დაგრჩება ასეთი აზრი: მან იცის ფილოსოფია, ფსიქოლოგია და ლოგიკა. მან იცის ლიტერატურის თითოეული ნიუანსი და პატარა დეტალიც კი, საკმაოდ ცნობილი ამირან ლომაძის შვილი სხვანაირი არც უნდა იყოს. ბატონ ამირანს თურმე ზედმეტი სახელი „ღმერთკაცი“ ერქვა და რამდენად გამეხარდა ეს რომ გავიგე, რადგან 2003 წელში მე გამოვუშვი პროზაული ნაწარმოები „ღმერთკაცი და თოლია“. წიგნის ყველა ქვეთავში სიკეთის თესვაა ჩადებული, ის სამი თავი ეკუთვნის იმას ვინც ჩუმად, ყოველგვარი აფიშირების გარეშე ეხმარება ირგვლივ მყოფებს, თითეულმა ადამიანმა ან თავისი თავი უნდა იპოვოს,ან მიზნად უნდა დაისახოს მადლიანი სიტყვა თქვას, თუ სხვა რამე არ შეუძლია. ასეთი იყო სერგი ლომაძის მამა, ბატონი ამირანი. დედა ქალბატონი კლარა, უაღრესად განათლებული და თბილი ქალბატონია, მაგრამ როგორც თვითონ სერგი ამბობს, ის დეიდას გაუზრდია, ქალბატონ ნანას, რომელსაც ძალიან ხშირად იხსენებს და ამაყობს მისით. სულით ძლიერი და ამავე დროს ზრდილობით სავსე სერგი სწორი აღზრდის გარეშე ასეთ პიროვნებად არ ჩამოყალიბდებოდა და ამიტომ პასუხი ნათელია, აქ უკვე სხვა ეპითეტი ან კომენტარი სრულიად ზედმეტია.

და მაინც მიკვირს წიგნი „გზა მწვერვალისკენ“ (ლიტერატურული პორტრეტი გულნაზ ხარაიშვილისა) რომელიც სერგი ლომაძემ დაწერა. ეს წიგნი ბატონმა რეზო მიშველაძემ ასე შეაფასა: რას გამათენებინეთ ღამეო, ოცდახუთი ტომეულის ავტორი გააკვირვა მისმა გაზრდილმა ყოფილმა სტუდენტმა სერგი ლომაძემ. ხოლო მეცნიერი ლიტერატურის დარგში ქალბატონი ლუარა სორდიამ ალალად წარმოთქვა ეს სიტყვები, საშუალება რომ მქონდეს, სერგის ოქროს კალამს ვუყიდიდიო.

სერგი ლომაძემ შემოაღწია ჩემს სულში იქნებ დეიდა „ნანას“ სული დაეხმარა, რომელსაც ძალიან მამგვანებს, იქნებ მისი თვისებები ახსოვს და გაუიოლდა წიგნის დაწერა, მაგრამ ო, არა, მაპატიე შვილო. სერგი შენ სულ სხვანაირად ხედავ სამყაროს, შენ სულ სხვანაირად გიხარია და გტკივა, შენ, ჩემი აზრით, ყველაზე დიდი სულის ახალგაზრდა ხარ, ვინც

ჩემს გვერდში აღზრდილა, იქნებ წარსულშიც არ იყვნენ შენნაირნი უფროსი თაობის დამფასებელი.

მე ჩემი ცხოვრებით დავამტკიცე, რომ სიკვდილი არ არსებობს, ადამიანის ცხოვრების ხაზი კი არის გზა- მისივე დაბადებიდან მისივე სიცოცხლის მწვერვალამდე.

მერე....

მერე ყველაფერი თავიდან იწყება.

ომი არ მაკლდა, ომი იყო ჩემი ცხოვრება, მაგრამ ჩემი გზა უკვდავებისკენ ბრძოლაა, ფრთხილად, მოზომილად, ერთგულებით, სიყვარულით, მიმტევებლობით, ლუკმის გაყოფით, მოზარდი თაობის აღზრდით და ამავე დროს შეუპოვრობით ბედთან ჭიდილში სიკვდილი არა, მხოლოდ გამარჯვება მინდა. გავიმეორებ ჩემი ძმის სიტყვებს ან გარდაცვლილ პოეტ ბეჟან ხარაიშვილის სიტყვებს: „რა დროს სიკვდილია, ჯერ უნდა მკლავი მომჭრანო.“

სერგი ლომაძე ადამიანობისა და ლიტერატურის სახე სიმბოლოა.

მივუბრუნდები კახა ბაციკაძის პიროვნებას. ქრისტიანული ღვთისმეტყველების ფუძემდებელი გრიგოლ ღვთისმეტყველი ამბობს „ჩვენი ხელმძღვანელი გონებაო“, კახას მბრძანებელი მხოლოდ გონებაა, როდესაც კახას დააინტერესებს ესა თუ ის ღონისძიება ნებისმიერ საკითხზე იმსჯელებს, მშვიდად, აუჩქარებლად, სამართლიანად, მის გრანელისელ სულში პოეზიის ქარიშხალი წამიერად ჩაქრება და მოდის წყარო ცოდნის მდინარისა, ეს ერთი შეხედვით საშუალო ტანის ახალგაზრდა პოეტი ცას სწვდება, ვარსკვლავებს ეთამაშება, თითქოს ეურჩება კიდეც. ასეც არის. კახა ვარსკვლავია აქ მიწიერ სამყაროში, მისივე შექმნილი ლექსებით, მერე საუბრით, ბოლოს სიმღერად აჟღერებული სიტყვები საოცრებაა. ერთ ადამიანში იყოს ამდენი ნიჭი იშვიათია. ომარ ხაიამი ამბობს: „სიცოცხლე ჩვენი ერთი მწყობრი ფოთოლცვენაა. „ ეს კარგად ესმის ნიჭიერ შემოქმედს და ამიტომაა, რომ ის ჯერ თვითონ ქმნის სიყვარულის იმპერიას და მერე სხვისგანაც იღებს. კახა ბაციკაძე ერთი ბედნიერი პოეტია, იმ გენიოსთა განსხვავებით, რომლებიც სიყვარულით ატირებულები იყვნენ, მისი ანგელოზივით ფერია ირმა ორი თვალხატულა გოგონების დედაა.

როდესაც რაიმე საკითხი წყდება, ანუ მსჯელობის საგნად იქცევა, კახა ბაციკაძე ისე დამაჯერებლად ლაკონურად გაგცემს პასუხს გაგიკვირდება, თითქოს ფოლადია გრდემლში გამოკვერილი. დიახ! ასეთია კახა ბაციკაძის სიტყვა. ის არის ლიტერატორული წიგნი, რომელშიდაც ყველაფერი ნათქვამია. წიგნი მარადიული ჭეშმარიტებისა. კახა ბაციკაძე ზოგჯერ წერს ყველასათვის გასაგები ენით. ზოგჯერ მისი პოეზია ლაბირინთია. არის რეალურიც და არარეალურიც, ანდა პირიქით იდუმალება, ამოუცნობი. შეიცნო თავი ეს არ არის ადვილი. აქ სამი პირობაა გასათვალისწინებელ:

1) როგორ ხედავს ის თავის პიროვნებას;
2) როგორ ხედავენ მას სხვები;
3) როგორია ის სინამდვილეში.

სიტყვას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, სიტყვას მარადიული სიკვდილ სიცოცხლესთან ღრმა კავშირი აქვს.

და მაინც ვინ არის სერგი ლომაძე და კახა ბაციკაძე? პასუხი ასეთია, არ ეგუებიან

უსამართლობას, განიცდიან ქვეყანაში გამეფებულ ღვთიური ნიჭით დაჯილდოვებულ პიროვნებების არდაფასებას, როცა პროფესიონალი პოეტებია და მათი ცოდნა ამაღლებულია ლიტერატურის დარგში, ამ დროს დაუსაქმებელია სხვადასხვა მიზეზთა და კანონთა გამო.

ამ ორი პოეტისათვის ,ორი სიკეთის ჰაერით გაზრდილი ახალგაზრდისთვის, მზის დაისს ჩავყვები უსასრულობაში, მზესთან ერთად გავაგრძელებ სიცოცხლეს, მერე მოვყვები დილის ცისკარს, სიცოცხლის მზედ გადავიქცევი და გავათბობ მათ პესიმისტურ გულს.

მაია ტყემლაძე

დ ე დ ა შ ვ ი ლ ო ბ ა

მოთხრობა

(ეძღვნება აფხაზეთიდან დევნილ გოგონას)

- დე, მისმინე, დე, მისმენ ?

...

- მე იქ აღარ მივალ, დე, ახლა მართლა აღარ მივალ!

...

- შენ არ გეწყინოს, რა! იქ მეშინია, მაშინაც ხო გითხარი, მეშინია და რა ვქნა?! ასე მგონია, სულ მითვალთვალებენ.

...

- გახსოვს, დე, პატარაობისას, ზღაპარი რომ მიამბე ცოცხზე გადამჯდარ კუდიან დედა-ბერზე? ის მოხუცი იმ დედაბერს მაგონებს. კაცივით დიდი წვერები აქვს. თუმცა, შენც ხო იცი. როცა მიყურებს, მწვავს და მთელი ტანი მიცხელდება. ის ქალი ზოგჯერ ძალიან იზრდება სი-მაღლეში, დე. ასე მგონია, ცაში ხტება მაშინ და კუდიან ვარსკვლავებს იჭერს ხელში, თვალები სულ წითელი აქვს, წითელი და ცხელი.

...

- დეიდა როგორ მექცევა? კარგად. როცა ისინი არ არიან, მეფერება, რაც კი რამე აქვს, მე მაძლევს. მათთან კი სულ მოწყენილია, ძლივს მამჩნევს. დე, მგონი დეიდასაც ეშინია მათი. შენ რომ უშლიდი, ნეტავი მართლა არ გაყოლოდა იმ კაცს.

- ღამით როგორ მძინავს? ღამით სულ არ მძინავს, დე! დავაჭყეტ თვალებს, ვუყურებ ჭერს და იქ შენ გხედავ, შენ, მამიკოს, ბათუს, ჩვენს სახლს... მერე მომივა ცრემლები და ვტირი, საბანს წავიფარებ თავზე და ისე ვტირი. ის კუდიანი გვერდით მიწევს და მეშინია, არ გაიღვიძოს ჩემს ხმაზე. თუმცა, რა გააღვიძებს? ისე ხვრინავს! ჩვენთან, სოხუმში, გემი რომ ნავსადგურში შემო-ვიდოდა, ისე ქშუტუნებს და ისე უსტვენს ხანდახან. მე მაინც მეშინია იმისი გაღვიძებისა და საბ-ნის ქვეშ ჩუმად ვტირი.

როგორ მინდა, დე, დეიდას გვერდით წოლა, მაგრამ...

...

- არა, ისე შენთან მირჩევნია, აქ დავრჩები, გემუდარები, ნუ დამიშლი რა, დე, ამაღამ მაინც დავრჩები.

...

იცი რა კარგადაც მოვისვენებ?! აი,უკვე კარგ გუნებაზე დავდექი.

...

- რატომ გამოვიქეცი?! აბა კარგად მისმინე, ყველაფერს გიამბობ: ხომ გითხარი, იქ ვერა ვძლებ, მათი მეშინია. მგონია, სულ მითვალთვალებენ. ვერც ვთამაშობ, ვერც ვიცინი, ვერც დავ-რბივარ. გავინძრევი თუ არა, იმ წამსვე, ერთ ამბავს შექნიან, რა ცელქი და ჯიუტია, ერთ წამს ვერ ისვენებს, თვალი თუ მოაშორე, მთელ სახლს აიკლებსო. ახლა, როცა ვჭამ?! მოხუცი მაშინვე მოცანცარდება, ჩამოაყრდნობს ნიკაპს მაგიდაზე და ამომცქერის წითელი თვალებით. წავა მე-რე და თავისთვის ბუტბუტებს: რამდენს ჭამს ეს გაჩხინკულიო. ჰო, სულ გაჩხინკულს მეძახის. დე, მართლა, რა არის გაჩხინკული? როცა თვითონ ჭამს, გადმომიწყობს ხმელ, ძველ ქერქებს, მე კბილები არა მაქვსო. იცი, მეც როგორ მინდება ფუმფულა პური?!

ჩაისაც როგორ მასმევს?! ჩაის გემო თუ გინდა გაიგო, უშაქროდ უნდა დალიოო. თვითონ ჩუმად იმდენ შაქარს იყრის! მე არ მომწონს უშაქროდ, ტკბილი ჩაი მირჩევნია!

...

- დეიდა სად არის ამ დროს და, დილით, ადრე მიდის სამსახურში, ქმარიც მიდის ხოლმე ხანდახან, უფრო ხშირად კი შინაა...

...

- დე, გული ძალიან გატკინეს, ხო?! კარგი, ახლა კარგ ამბებს გეტყვი, მგონი სოხუმში უნდა

დაგვაბრუნონ, ასე ამბობენ. ისევ ჩვენს სახლში ვიქნებით, დე, ყველანი ერთად. მამა და ბათური? შენ ეგ არ იდარდო, ისინი ერთად იქნებიან სადმე, აბა, მამიკო ბათუს ხომ არ დატოვებდა? შენ?!

შენ მამიკო წამოგიყვანს...აბა აქ მარტო ხომ არ დაგტოვებთ, უშენოდ რა გვინდა სახლში? მე და ბათუ სულ აღარ ვიჩხუბებთ, დე! საჭმელსაც მე მოვამზადებ!

კვერცხის შეწვა ვიცი! კვერცხის მოხარშვა ვიცი! კვერცხიანი პურის გაკეთება ვიცი! ჩაის ადუღება ვიცი!..

ოო, ჩაის ადუღებისა ცოტა კი მეშინია, ამას წინათ იმ ბებრუხანამ ამადუღებინა, ჩაიდანი რომ მიმქონდა, ხელიდან გამივარდა და ცხელი წყალი ფეხზე დამესხა, დე. წინდები რომ გავიძრე, კანიც ზედ აჰყვა, კინაღამ გავგიჟდი, ისე ამეწვა ფეხები, დეიდა შინ არ იყო და ვერც ვიტირე. იმ კუდიანმა კი, გოგო, სულ რად დაღვარე, ჩაი რითღა დავლიოო, ჩაიდანიც როგორ ატკოჩილა, შე მიწადასაყრელოო.

საღამომდე სულ სულს ვიბერავდი დამწვარზე, თავი გამირეტდა. დეიდა რომ მოვიდა, ლამის გაგიჟდა, ეს რა დაგმართნია, რატომ ახლავე არ მოვკვდებიო, გულში ჩამიხუტა, სულ მეფერა, იმათაც აღარ მორიდებია. ვიღაცას დაურეკა, ისეთი მალამო მომიტანა, უცებ დამიყუჩა ტკივილი, იმ ღამით თვისთან ჩამიწვინა, ისე ტკბილად ჩამეძინა!!!

დილით მოხუცი აბუზღუნდა: ჯერ დედამისს გადაჰყვა თან, ახლა ამ ბავშვსო, ჩემთვის და ჩემი შვილისათვის სადღა სცალიაო.

...

ისევ გული გატკინე, ხო, დე! აბა, რა ვქნა, რა გიამბო?.. სულ ასეთი რამეები ვიცი და!

აა, იცი ვინ შემხვდა? ჩემი მუსიკის მასწავლებელი. ძლივს ვიცანი, როგორ შეცვლილა, რამდენ ხანს ვუცქეროდი ჩუმ-ჩუმად. დე, გახსოვს რა ლამაზი იყო? რა გრძელი და ქათქათა თითები ჰქონდა, ნაირ-ნაირი ფერის ლაქს ისვამდა, დაკვრისას სულ იმის თითებს ვუცქეროდი, მეც როგორ მინდოდა მისნაირი გრძელი, ლამაზი თითები მქონოდა!..

სიგარეტსა და ,,კევს" ყიდდა ქუჩაში, დე. იმ ყინვაში გახუნებული, დამოკლებული „პალტო" ეცვა, სიცივისაგან გალურჯებულიყო და ცახცახებდა. მე თითებზე დავაცქერდი და იცი?! ერთ ხელზე ორი თითი ჰქონდა, მეორეზე მხოლოდ ცერა. შერცხვა მზერა რომ აღარ მოვაცილე მის ხელებს და უკან მიმალა, მერე სახეში შემომხედა და თავად მიცნო, მაშინვე მიცნო, დე!

შენი ამბავი რომ ვუთხარი, თვალები აუცრემლდა, გულში ჩამიხუტა, არაფრით არ მომეშვა, ,,კევები" დაუთვლელად ამოიღო ყუთიდან და ჯიბეში ჩამიტენა.

...

ოოჰ! ერთი ვიცოდე სულ, სულ, სულ პირველად ვინ გამოიგონა ომი.იცი რას ვუზამდი? ჩამოვკაწრავდი ფრჩხილებით სახეს, ამოვკორტნიდი თვალებს, ჩავსვამდი დიდ ყუთში და ჩავძირავდი ზღვაში...

ვაიმე!!! ტირი, დე? აბა, რა ვქნა, რა გიამბო, ხომ გითხარი, სულ ასეთი რაღაცეები ვიცი-მეთქი და...

...

-მაინც რად აღარ მინდა დეიდას სახლში დაბრუნება? კარგი, გეტყვი და გავათავებ. იცი რად გამოვიქეცი?

,,კიდევ კარგი, ის ქალი დროზე მოკვდა, თორემ ჩვენი მოსავლელი და სარჩენი იქნებოდაო, ამ გოგომაც გული შეაწუხა, სადამდე უნდა იყოს ჩვენს კარზეო,"- ეუბნებოდა თავის შვილს კუდიანი, ისიც თავს აქიცინებდა. მე ვერ მხედავდნენ.

და კიდევ, იცი რა? ჩემი შვილი, ჩემი ნაჭრის თოჯინა, ჩემი თათალა, სოხუმიდან წამოღებული ერთადერთი სახსოვარი, შენც როგორ გიყვარდა, დე. ეს ძონკი სახლში რად გვინდაო, ნაგვის მანქანაზე გადააგდო.

ვერა, ვეღარ დავბრუნდები, დე, იქ...

-აუუჰ! მცივა, დე! ძალიან მცივა, თან ძილიც მინდა...

* * *

აქამდე მხოლოდ ბუნდოვნად ჩაესმოდა ბნელი ბურუსიდან, ახლა ცხადად გაიგონა, კი არ

გაიგონა, შეიგრძნო დედის ჩურჩული:

-დარჩი ამაღამ ჩემთან, მაგრად ჩამეკარი, ხელები შემომხვიე, ჩემო პაწია, მე ჩაგათბობ, მე მოგხედავ, აბა, ამ ბნელში სადღა გაგიშვებ? ხვალ კი... ხვალ ისევ დაბრუნდი, შვილო, იქნებ მამა გამოჩნდეს სადმე, შენი პატარა ძამიკოც, შენი ბათური, აქ არ არიან, აქ ვერსად ვხედავ ვერც ერთს, მერე მეც სოხუმში წამიყვანეთ, იქ მირჩევნია, თქვენს სიახლოვეს...

* * *

წრიულად გაიფანტა, უკან დაიხია ბინდის ბნელმა ბურუსმა. ჩაკირული კედელი ნელ-ნელა გახსნა სითბოს დიდმა ნიაღვარმა, ტუჩებიდან გამოსული თბილი ორთქლი შეიგრძნო ახლოს.

- ჰო, შვილო, ახლა მაგრად ჩამეხვიე, ჩამეხვიე და ჩაგათბუნებ!
- რა თბილი ხარ, დედიკონა-დე, როგორ ჩამათბე!
- რა ტკბილი ხარ, ჩემო პაწაწინა, ჩემო ნამცეცა!
- რა ძლიერი ყოფილხარ, დე!
- რა უმწეო ხარ, შვილო!
- აღარც აღარაფერი მტკივა, დე!
- მოდი ხოლმე და გიშველი, შვილო!
- მეძინება, დე!
- დაიძინე, შვილო!

ჩაეძინა თბილად, უშფოთველად, ტკბილად. ღიმილი დაეფინა ახურებულ ტუჩებს, ნათელმა დაასხივა ავარდისფერებულ ლოყებს.

* * *

შებინდებისას დედა-მზემ მიიზიდა, მიიკრიბა თავისი შვილები... ერთი სხივი აკლდა. შეძრწუნდა დისკო, ეს იშვიათად ხდებოდა, მზის სხივის მოწყვეტა დედის სხეულიდან თითქმის სასწაული იყო. ატირდა დედამზე, შვილი დავკარგეო, დაიგმინა მწარედ. შესთხოვა მთვარეს, ხვალამდე ზემოთ ვერ ვიწევი, მანდ ვეღარაფერს ვხედავ, მომეშველეო, მომაძებნინეო შვილი. დაამშვიდა ბნელეთის ყოვლისმცოდნემ:

- ცოდვა-მადლის გაყრააო დედამიწაზე, გათოშილი, უმწეო ბავშვი უარყვიათო ადამიანებს, მკვდარი დედის გაყინულ საფლავს ჩაჰკვრიაო მთელი სხეულით, აბურცულ მიწას ეხვევაო პაწაწინა, სხვასთან ვერავისთან უპოვნია ნუგეში და შვება, განუდგნენო უმწეოს კაცნი, ამადაც მოგწყდაო შვილი, ნეტავი მეც შემეძლოს სითბოს გაცემა, არ დავიშურებდიო არაფერს საბრალოსათვის.

* * *

დამშვიდდა დედამზე. ეგებ სიკეთე გააღვიძოსო ჩემმა შვილმა დედამიწაზე, მე ავიტანო ამის სანაცვლოდ ტანჯვას...

ნერვიულად შეუყვირა ღრუბლებს მთვარემ: წინ ნუ მეფხორებით, ამაღამ საერთოდ ვერ მოვხუჭავო თვალს, ვინიცობაა გაეღვიძოს პატარას, არ შეაშინოსო ბნელმა.

გული დაემდუღრათ ხეებს. ნელ-ნელა, ფრთხილად, არ გავაღვიძოთო, ჩამოუშვეს ფოთლები დაბლა, მრავალწყებად დაეფინენ პირქვედამხობილს ზურგში...

ერთ სულ და ერთ ხორც იქმნენ ქვეშეთსა და მიწის ზე მყოფი ორი არსება.

1995 წ.

ელენე ფუტკარაძე

ღია წერილი პატარა, ახალგაზრდა ქართველებს.... ყველას, ვისაც საქართველო უყვარს....

ჩემო ძვირფასებო! მოგმართავთ, როგორც რიგითი ქართველი, ჩემი ქვეყნის ერთერთი შვილთაგანი....

ვარ მონაწილე 1989 წლის ავბედითი 9 აპრილის, მაშინ ჩვენი თაობა უნივერსიტეტის სახელით იდგა რუსთაველზე, მთავრობის სასახლის წინ....ჩვენ გვახსოვს რუსული ტანკების გუგუნი თავისუფლების (მაშინ ლენინის მოედანზე)....უმანკო ადამიანების სისხლი....სამარცხვინო სამოქალაქო ომი....ჩვენი თაობის საუკეთესო ნაწილი შეეწირა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ტრაგიკულ ამბებს 90-იან წლებში...ამ თაობის ცხოვრებიდან წაიშალა საუკეთესო 18-20 წელი...უმეტესობას ოჯახი არ შეუქმნია და შთამომავლობის გარეშე მოუწევს წასვლა ამ სოფლიდან...ჩვენ დროსა და სივრცეში დაკარგული თაობა ვართ!..

მე ამ თაობის სახელით მოგმართავთ დიდი სიყვარულითა და თხოვნით - რაც არ უნდა მოხდეს ჩვენი პატარა, მშვენიერი სამშობლოს მიწაზე, გახსოვდეთ, რომ ჩვენმა წინაპრებმა გაუძლეს: ასურელებს, აქემენიდურ ირანს, რომაელებს, ბიზანტიელებს, არაბებს, თურქ - სელჩუკებს, მონღოლებს, ოსმალებსა და სეფიანთა ირანს...ცარისტულ და ბოლშევიკურ რუსეთს...და როგორც ბატონი მუხრანი ბრძანებს: „ქართული სული, ქართული სიტყვა, ქართული გული გადადიოდა კაციდან კაცში...და მოდიოდა, და მოდიოდა, ვითარცა, მტკვარი...“-- ღრმად მჯერა, რომ ასე იქნება მანამ, სამყარო არ შეწყვეტს არსებობას, რადგან ასე სურს ალბათ სამყაროს შემოქმედს!!! მავანისა და მავანის ძალისხმევა იქნება დროებითი.....ასეთ დაწოლას თუ ერი ღირსეულია, გაუძლებს და გადარჩება....

ახსოვდეს, ყველა ტირანს - უფალი არასოდეს, არავის აპატიებს თავისი უფლებების უზურპაციას და ოდესმე სასტიკად დასჯის..ჩვენ ამას მოვესწრებით....

ჩემო ძვირფასებო, გახსოვდეთ და გიყვარდეთ:

- ❖ ოჯახი, სადაც დაიბადეთ და იზრდებით;
- ❖ ქუჩა, უბანი, სადაც თანატოლებთან ერთად თამაშობთ;
- ❖ სოფელი, ქალაქი, რომლის ქუჩებშიც დადიხართ საყვარელ ადამიანებთან ერთად;
- ❖ ყველა ულამაზესი კუთხე საქართველოსი: ქართლი, კახეთი, იმერეთი, თუშ - ფშავ - ხევსურეთი, რაჭა - ლეჩხუმ - სვანეთი, გურია - სამეგრელო, აჭარა, მესხეთ - ჯავახეთი;
- ❖ გახსოვდეთ! საინგილო, აზერბაიჯანში; ტაო - კლარჯეთ - შავშეთ - ერუშეთი - თურქეთში; ლაზებითა და ჭანებით, საქართველოდან ტყვედ წაყვანილი მუჰაჯირების შთამომავლებით დასახლებული...ოდესღაც იქაც საქართველო იყო....ჩვენი სისხლი სიხლთაგანი, შაჰ აბასის სისხლიანი მახვილის მსხვერპლნი - ფერეიდნელები, ირანში...
- ❖ გახსოვდეთ და გიყვარდეთ! აფხაზეთი ენგურის ხიდიდან სოჭამდე; სამაჩაბლო, ულამაზესი კუთხე შიდა ქართლის; სწორედ აქ ჩამოასახლა დავით აღმაშენებელმა ყივჩაღები....
- ❖ ჩვენ, აფხაზებთან და ოსებთან არაფერი გვაქვს გასაყოფი..სისხლსა და ტკივილს ჩვენ შორის დროჟამი წაშლის...საერთო მტრის წინააღმდეგ ყოველთვის ერთად ვიბრძოდით...მტერი ახლაც ერთი გვყავს და ჩვენი გათიშვა, განადგურება სწადია...

ჩემო ძვირფასებო, ყოველთვის, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე გახსოვდეთ, „ვისი გორისანი ხართ“...კარგად შეისწავლეთ თქვენი გვარის ისტორია, ფესვები, საიდანაც მოდიხართ - ხის სიმაღლე ხომ მისი ფესვებიდან იზომება...გიყვარდეთ და მოეხმარეთ ერთმანეთს: კახელ გლეხს ვაზის მოვლაში; სვანს, ფშავსა და ხევსურს, მთაში; აჭარელს, მესხსა და ჯავახს, მოსავლის მოყვანაში....ჩვენი სამშობლოა, ყველგან - ისედაც ცოტანი ვართ!!! ღმერთმა გვამრავლოს, ამ კურთხეულ მიწაზე!..

დიდი სიყვარულით, თქვენი უფროსი მეგობარი, ელენეაია....

8 - 12 აგვისტო, 2008 წელი....

ამალია საზანდრიშვილი

დაუღალავი შემოქმედი, რჩეულთა შორის რჩეული.

ბატონი აკაკი გასიტაშვილი, ბოლომდე დაიხარჯა თავისი ქვეყნისთვის. აკაკი იყო თავისი საქმის ერთგული, მცოდნე, უაღრესად ტაქტიანი, მტკიცე ნებისყოფისა და ფართო ინტერესების მქონე პიროვნება.

იგი მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებით აფასებდა ამა თუ იმ ფაქტს და მოვლენას და თავის შეხედულებებს სიამოვნებით უზიარებდა ნაცნობ მეგობრებსა და მოსწავლეებს. იგი არასოდეს მოგახვევდათ თავის აზრს და როგორც ჭეშმარიტი ინტელიგენტი, უაღრესად მომთმენი და სულგრძელი მსმენელი იყო.

ბატონი აკაკი არასოდეს ზრუნავდა თავის კარიერაზე. საოცარი თანაგრძნობა იცოდა. ის გაჭირვებაშიც ისეთივე სადა და უბრალო იყო, როგორც ყოველდღიურ ცხოვრებაში.

არ მოსწონდა ზედმეტი მოჩვენებითობა და უბედურების თეატრალიზებული განცდა, მაგრამ მისი უხმო თანადგომა გაცილებით ხანგრძლივი საჭირო და სასიამოვნო იყო.

ბედნიერია ის ადამიანი, ვინც ბატონ აკაკის თანამშრომლობა იგემა, ვინც მისი ამაღლებული და გამორჩეული სულის სისპეტაკეს წუთით მაინც ეზიარა.

ბატონი აკაკი მაღალზნეობრივ მოთხოვნილებათა და მტკიცე პრინციპების პიროვნება იყო. თავისი ადამიანური თვისებებით და პროფესიული დონით, მან ღრმა კვალი გაავლო მოსწავლე ახალგაზრდობის სპეციალისტთა აღზრდის საქმეს.

მისი სახელი მუდამ მადლობითა და მოკრძალებით მოიხსენიება.

აკაკი იყო ბრწყინვალე მოქალაქე, შესანიშნავი პედაგოგი, დაუშრეტელი ენერგიისა და შრომის უნარის მქონე ადამიანი. მან თავისი უზადო ნიჭისა და ტიტანური შრომის წყალობით დიდი სიყვარული დაიმსახურა როგორც ნამდვილმა შემოქმედმა.

ამბობენ უკვდავი სიცოცხლე, სიკვდილის შემდეგ იწყებაო, და თუ ეს ასეა, ჭეშმარიტად უკვდავია მუდამ კეთილად მოსაგონარი ადამიანის სახელი.

ბატონმა აკაკიმ ღრმა სიბერემდე იცხოვრა.

ხალისიანი, მოუღლელი ცხოვრებით. არაჩვეულებრივი ნათელი გონებით განეშორა წუთისოფელს. აკაკის ნათელი სახელი და მართალი გული დიდხანს გვემახსოვრება მის ამხანაგებს, მეგობრებს, თანამშრომლებს, ვისთვისაც ძვირფასია ნამდვილი მამულიშვილობის ხსოვნა.

აკაკი გასიტაშვილის მოღვაწეობას მიესადაგება შემდეგი სტრიქონები:

„როცა სამარეს დახედავ წუთით
და უნებურად ძნელდება სუნთქვა,
ჰე, მოიხადე ქართველო ქუდი!
აკაკის შენი მადლობა უთხარ!"

აკაკი გასიტაშვილმა ცხოვრებაში ნათელი კვალი დატოვა, ნათელი გზით გავლილი სწავლულის. ბატონ-აკაკი გასიტაშვილის სახელი იმ ქართველ მამულიშვილთა პლეადას ამშვენებს, ვინც გამორჩეული ღვაწლით დიდი ამაგი დასდო მომავალ თაობათა აღზრდის კეთილშობილურ საქმეს, ქვეყნის განვითარების წინსვლას. იგი სწორედ გამორჩეული მოღვაწე გახლდათ.

იგი იყო საინტერესო პიროვნება. მასთან მუშაობა სიამოვნებას ანიჭებდა როგორც თანამშრომლებს, ასევე მოსწავლეებსაც.

მისი მუშაობა ერთი ლამაზი ისტორიაა, რომელიც დაიწერა და ცალკე წიგნად გამოიცა სათაურით „მოგონებათა ფურცლები აკაკი გასიტაშვილზე" რომლის ავტორიც მე გახლავართ.

ძნელია ყველაფერი ითქვას. მე პირადად საამაყოდ დამრჩება, რომ ვიყავი აკაკი გასიტაშვილის მოსიყვარულე თანამშრომელი და უმცროსი მეგობარი.

აკაკი გასიტაშვილის ღვაწლი და სახელი ჭეშმარიტად უკვდავია!

პროექტი

მაია ტყემლაძე

ვეფხისტყაოსნის გარშემო გაერთიანება

ძვირფასო თანამემამულეებო, ერის სიამაყის, შოთა რუსთაველის საიუბილეო (850) წლისთავთან დაკავშირებით, ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურს დაგეგმილი აქვს განხორციელება პროექტისა:

„ს ჯ ო ბ ს ს ა ხ ე ლ ი ს ა მ ო ხ ვ ე ჭ ა, ყ ო ვ ე ლ ს ა მ ო ს ა ხ ვ ე ჭ ე ლ ს ა,“

რომელიც ითვალისწინებს ხელნაკეთი წიგნის – „ვეფხისტყაოსნის“ შექმნას.

წიგნის ყდა მოპირკეთდება ბუნებრივი მასალებისაგან. პოემის ყველა სტროფი გადაიწერება ხელით, სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის საუკეთესო ხელმწერების მიერ, როგორც საერო, ასევე სასულიერო პირებისაგან. ერთი ადამიანი გადაწერს მხოლოდ ერთ სტროფს. გადამწერის სახელი და გვარი დაფიქსირდება წიგნში და მას ისტორია შემოინახავს.

ხელნაკეთი წიგნი და „ვეფხისტყაოსნის“ სხვა გამოცემები (რომლებზედაც ხელი მიგვიწვდება), გამოიფინება წინასწარ შერჩეულ, ლამაზად გაფორმეფულ ადგილზე: „ვეფხისტყაოსნის სამყარო,“ სადაც საჯარო სკოლებსა და სხვადასხვა ორგანიზაციებს მიეცემათ თავისუფლება, წარმოადგინონ და კედლებზე გამოფინონ: ლამაზად გაფორმებული აფორიზმები, ამოქარგული სტროფები, ხეზე ამოკვეთილი სტრიქონები, „ვეფხისტყაოსნიდან“ შექმნილი ილუსტრაციები და სხვა. გამოფენა გაგრძელდება დაახლოებით ერთი თვის განმავლობაში და მისი დათვალიერება შეეძლება ყველა მსურველს.

საიუბილეო დღეებში, ჭიათურის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო პროფესიულ დრამატულ თეატრში მოეწყობა მთლიანი პოემის წაკითხვა უწყვეტად, წინასწარ შექმნილი წამკითხველთა ჯგუფების მიერ.

ღონისძიებების დაწყების პირველ დღეს მიეცემა საერთო-სახალხო ზეიმის სახე. მოეწყობა მასიური მსვლელობა თეატრის მიმდებარე სკვერისაკენ, სადაც, ვეფხისტყაოსნის გმირების სამოსში გამოწყობილი ადამიანები აჩვენებენ სხვადასხვა სანახაობას. იქნება შეჯიბრი პოემის კითხვაში, ექსპრომტად ნახატების შესრულებაში, სიტყვებში გამომსვლელები ისაუბრებენ „ვეფხისტყაოსნის“ მნიშვნელობაზე, ზეიმის აღსანიშნავად დაინთება კოცონი. სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებულები დაჯილდოვდებიან სამახსოვრო საჩუქრებით.

ვისაც გსურთ მონაწილეობა მიიღოთ ამ მამულიშვილურ, ისტორიულ ღონისძიებებში, დაწვრილებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურს. შეგიძლიათ დაგვირეკოთ ტელეფონის შემდეგ ნომრებზე: 599 52 72 20; 595 51 91 51; 599 90 20 68.

ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური.

თბილისის № 36 საჯარო სკოლის პროექტი

თანამედროვე პროზისა და პოეზიის კორიფეებთან შეხვედრა:

რევაზ მიშველაძესთან
მაყვალა გონაშვილთან
გულნაზ ხარაიშვილთან

სკოლის დირექტორმა მაია კვინიკაძემ და პროექტის ხელმძღვანელმა ციური ხუჭუამ მონაწილეები სიგელებით დააჯილდოვა.

აკაკი გასიტაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ საღამოზე მონაწილეობდნენ: სოფო სოფრომაძე, ლიკა დუშმანიშვილი, ბექა რაზმაძე.

ინტერვიუ

ლამარა გერგედავას

ინტერვიუ ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორ, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ მარიამ მირესაშვილთან

გალილეო გალილეისთვის ისევეა სამყარო გაშლილი წიგნი, როგორც ინგლისელი ფილოსოფოსისა და ისტორიკოსის ფრენსის ბეკონისთვის წარმოადგენს იგი ღვთის მიერ ბოძებული წმინდა წერილისა და ქმნილებების გრაგნილებს...ფრანგი მწერლის ლეონ ბლუა მარისთვის კი: „ისტორია უზარმაზარი ლიტურგიკული ტექსტია...ჩვენ მაგიური წიგნის სტრიქონები ვართ, ან სიტყვები, ან ასოები და წიგნი, რომელიც მარადღღე იწერება“...

თქვენ, წარმატებით ემსახურებით მეცნიერებას, ლიტერატურას, გიყვართ თქვენი საქმე და სხვების, ახალგაზრდების, აღმზრდელი, მათი გზამკვლევი ხართ...

–...და, რა არის თქვენთვის წიგნი? ვის გამოყოფდით თანამედროვე ქართველი კლასიკოსებიდან, ახალგაზრდა ავტორებიდან? რას კითხულობთ ამჟამად?

ჩემთვის წიგნი ყველაფერია. ვფიქრობ, ცხოვრება ძალზე უინტერესო იქნებოდა წიგნების გარეშე. თანამედროვე ქართველი კლასიკოსებიდან, უპირობოდ, ჭაბუა ამირეჯიბს, ოთარ ჭილაძეს, ოთარ ჩხეიძესა და გურამ დოჩანაშვილს გამოვყოფდი. რაც შეეხება მომდევნო თაობის მწერლებს, მომწონს კოტე ჯანდიერის ნარატივი. მის შემოქმედებას დიდი ხანია ვიცნობ, ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდიდან. ვფიქრობ, სრულიად სამართლიანი იყო „საბას„ ჟიურის გადაწყვეტილება „კონკიას ღამისთვის„ პრემიის მინიჭების შესახებ. ცალკე გამოვყოფდი მის მოთხრობას „გლობალიზაცია„, რომელიც, თითქოს, ერთი ამოსუნთქვით არის დაწერილი და ჟანრული ფორმატის მიუხედავად, ქრონოლოგიური თვალსაზრისით, თითქმის ერთ საუკუნეს მოიცავს. მკითხველის თვალწინ „გაცოცხლებულია„ გასული საუკუნის მოვლენები; რთული, წინააღმდეგობებით აღსავსე, შეუბრალებელი ეპოქის წარმოჩენით, თვალხილულად არის ნაჩვენები, თუ როგორ თანმიმდევრულად ხდება ეროვნული ღირებულებებისა და ცნობიერების „ჩაკარგვა„ (ან შეგნებულად ჩაკვლა) გლობალიზაციის სახელით. თანამედროვე ქართველ მწერალთაგან, ასევე, გამოვყოფდი ნუგზარ შატაიძის, აკა მორჩილაძის

(თუმცა, „ჩავარდნებიც„აქვს), თეონა დოლენჯიშვილის, თამთა მელაშვილის, გელა ჩქვანავას, დათო ტურაშვილის შემოქმედებას. ამჟამად ვკითხულობ მილან კუნდერას „რომანის ხელოვნებას„.

- უკანასკნელ პერიოდში ქართველი მკითხველი მოწმე გახდა არაერთი ახალგაზრდა მწერლის, რბილად რომ ვთქვათ, არაორდინარული ქცევისა; ასევე, თანამედროვე ქართულ მწერლობას (ისევე როგორც მედიასაშუალებებს) „შემოეჩვია„ სკაბრეზი, ჟარგონი, ბილწსიტყვაობა.. და რა როლი ენიჭება მასმედიას ლიტერატურული პროცესების წარმართვაში?

ვფიქრობ, ახალგაზრდა მწერალთა ეპატაჟური ქცევა მხოლოდ ჩვენი საუკუნის პრობლემა არ არის; ამაზე ჯერ კიდევ ანტიკურ სინამდვილეში მსჯელობდნენ (მაგ., ჰორაციუსი წერდა „პოეტური ხელოვნების„ ბოლო კარედებში). სავარაუდოდ, ხელოვანი ადამიანი ყველა ეპოქაში საკუთარ თავს გამორჩეულად მიიჩნევს და თუ ნაწარმოებებით ვერ მიიქცია საზოგადოების ყურადღება, გარეგნულ ეფექტებზე გადააქვს აქცენტი. რაც შეეხება სკაბრეზს, ბილწსიტყვაობას, რომელიც, სამწუხაროდ, მოჭარბებული დოზით მოეძალა თანამედროვე ქართულ მწერლობას, პირადად ჩემთვის, გამაღიზიანებელია. როგორც ცნობილია, ე.წ. „ძმაბიჭობის ხერხს„ უწოდებენ მხატვრულ ხერხს, რომელსაც ხშირად მიმართავენ პოსტმოდერნისტი მწერლები; იგი გულისხმობს ნაწარმოების გადატვირთვას ჟარგონით, სლენგით, სკაბრეზული გამოთქმებით (ა. მორჩილაძის „ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები“, „აგვისტოს პასეანსი“, ლ. ბუღაძის „ბოლო ზარი“ და სხვ. სწორედ ამ მოდელში ექცევა). ცხადია, ნაწარმოების სიუჟეტიდან და ლიტერატურული სუბიექტის ტიპოლოგიზაციიდან გამომდინარე, არადამაჯერებელიც იქნებოდა, რომ ზემოაღნიშნული ნაწარმოებების პროტაგონისტები თავანკარა ქართულით ამეტყველებულიყვნენ; ამდენად, მათი საუბარი ბუნებრივად „ჯდება„ იმ სოციალურ გარემოში, წრეში, სადაც მათ უწევთ ყოფნა. სხვა საქმეა, როდესაც მწერალს არაფერი საყურადღებო არა აქვს სათქმელი საზოგადოებისთვის და მხოლოდ **სკაბრეზითა და ბილწსიტყვაობით ცდილობს ყურადღების მიქცევას და საკუთარი უნიჭობის შენიღბვას. უნდა ითქვას, რომ ეს მწერლები ხშირად აღწევენ კიდეც მიზანს მასმედიის ხარჯზე, რომელიც დახარბებულია ამგვარ „სენსაციებს„, თუმცა, ეს „დიდების წუთები„ დროებითია. ვფიქრობ, დრო ყველაზე სამართლიანი მსაჯულია და ათწლეულები სულაც არ არის საჭირო იმისთვის, რომ ლიტერატურული პროცესი „დაიფილტროს„ და ამგვარი ნაწარმოებები ლეთას მდინარებას მიეცეს.**

რაც შეეხება მასმედიას, ცხადია, მას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ლიტერატურული (და ზოგადად, ხელოვნებასთან დაკავშირებული) პროცესების წარმართვაში. კარგად „შეფუთული„ და მკითხველისთვის პიარ-ტექნოლოგიურად „სწორად„ მიწოდებული ნაწარმოები დაინტერესებას იწვევს საზოგადოებაში; თუმცა, მეორე მხრივ, თუ ნაწარმოები (წიგნი, ფილმი, სპექტაკლი...) უვარგისია, მას მასმედიის „მაშველი რგოლიც„ ვერ გადაარჩენს.

–უკანასკნელ ხანს ხშირად გაისმის კითხვა: არსებობს თუ არა სალიტერატურო კრიტიკა?

საბედნიეროდ, ქართული სალიტერატურო კრიტიკა არსებობს; ინტერესით ვეცნობი ლევან ბრეგვაძის, თეიმურაზ დოიაშვილის, მალხაზ ხარბედიას, როსტომ ჩხეიძის, შოთა იათაშვილის, ნუგზარ მუზაშვილის, მაია ჯალიაშვილის (შეიძლება, ვიღაც გამომრჩა) წერილებს. ჩემი უმცროსი კოლეგებიდან გამოვარჩევდი ნანა კუციასა და მარინე ტურავას, რომელთა კრიტიკული შეფასებები პერმანენტულად იბეჭდება ჩვენი მწერლობის„ ფურცლებზე. სალიტერატურო კრიტიკა, რა თქმა უნდა, არსებობს, თუმცა, კარგ მთქმელს კარგი გამგონი უნდაო. ქართველებს არ გვიყვარს კრიტიკა და ლამის მტრად მოვეკიდოთ მას, ვინც შენიშვნას მოგვცემს. მრჩება შთაბეჭდილება, რომ ზოგიერთი ახალგაზრდა მწერლისთვის თვითმიზანს წარმოადგენს, რომ მისი სახელი ფიგურირებდეს პრესის ფურცლებზე ან ტელესივრცეში (თუნდაც, უარყოფით კონტექსტში). სამწუხაროდ, ახალგაზრდა შემოქმედთა უმრავლესობა ჯეროვნად ვერ აცნობიერებს კრიტიკის როლს.

– რომელი ლიტერატურული ჟანრია თქვენთვის გამორჩეული? ქართული სალიტერატურო პროცესები არის თუ არა ევროპული და ზოგადად, მსოფლიო ლიტერატურული პროცესების თანამდევი?

ცნობილია, რომ ჟანრი წარმოადგენს მხატვრული ნაწარმოების ისტორიულად ჩამოყალიბებულ ტიპს, ისტორიულად მდგრად მოვლენას, რომელსაც ახასიათებს ფორმის სპეციფიკური თავისებურებებისა და შინაარსის ერთიანობა (მოვლენათა გადმოცემის, თხრობის საშუალებანი, მხატვრულ სახეთა სისტემა; ავტორის მიმართება ასახვის საგნისადმი; კონფლიქტების ხასიათი; ასახვისა და გამოხატვის ხერხები და სხვ.). ამდენად, ლიტერატურული ჟანრები თავიანთი ეპოქის „შვილები„ არიან. ვერ ვიტყვი, რომ დღესდღეობით რომელიმე ჟანრი დაკნინებულია ან მიჩქმალულია სხვათა აღზევების ხარჯზე. მახსენდება ლიტერატურის კრიტიკოსთა გამონათქვამები, რომ მე-20 საუკუნეში რომანმა ამოწურა თავისი თავი, თუმცა რომანის დაანონსებული „გარდაცვალება„ ნაადრევი აღმოჩნდა; მილან კუნდერას, მილორად პავიჩის, უმბერტო ეკოს და სხვათა პოსტმოდერნისტული რომანების პოპულარობამ ცხადყო, რომ რომანის ჟანრი კვლავაც ცოცხალია. თუმცა, სავსებით შესაძლებელია, რომ განვითარების გარკვეულ ეტაპზე ამა თუ იმ ჟანრმა (რომელიც წინა ეპოქაში აქტუალური იყო) მართლაც ამოწუროს თავისი შესაძლებლობები.

ცალსახად, ქართული ლიტერატურული პროცესები ევროპული და ზოგადად, მსოფლიო ლიტერატურული პროცესების თანამდევია. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ქართულ ლიტერატურაში უნდა წარმოჩინდეს ყველა ნიშნეული თვისება, რაც კი სხვა ერების ლიტერატურებს ახასიათებს. ბუნებრივია, თავს იჩენს ეროვნული თავისებურებანი, თუმცა მაგისტრალური ხაზი განვითარებისა, ევროპული ვექტორით მიემართება.

– თქვენი სამეცნიერო შრომებიდან რომელს გამოყოფდით განსაკუთრებულად და რა პრობლემაზე მუშაობთ ამჟამად?

ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო 2008 წელს სტუდენტებისთვის განკუთვნილი სახელმძღვანელოს, *ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლების (თანაავტორი - პროფ. ნანა გაფრინდაშვილი)* და 2010 წელს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის - *სოციალისტური რეალიზმის თეორიული ისტორია (ქართული ლიტერატურის მაგალითზე)* (თანაავტორები - *პროფ. ნანა გაფრინდაშვილი* და პროფ. ნინო წერეთელი) - გამოცემა. აღნიშნული წიგნების მნიშვნელობას იმით ავხსნიდი, რომ საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდეგ საკმაო დრო გავიდა; შეიცვალა როგორც მკვლევარ-ფილოლოგთა, ასევე მკითხველთა თაობა, რომელთაც მრავალი კითხვა უჩნდებათ საბჭოთა პერიოდის ლიტერატურის ძეგლებთან, მათი ინტერპრეტაციის პრობლემებთან დაკავშირებით. როგორც წესი, ამ კითხვებზე ადეკვატური პასუხის პოვნა შეუძლებელია საბჭოთა აპოლოგეტურ ლიტერატურათმცოდნეობით სახელმძღვანელოებში, რომელთა მრავალი ნიმუში დღეს უკვე ანაქრონიზმს წარმოადგენს. ის, რომ ახალი ტიპის სახელმძღვანელოს გამოცემა აქტუალური იყო, ადასტურებს ის ფაქტი, რომ ჩვენს შემდგომაც გამოიცა არაერთი ავტორის სახელმძღვანელო ლიტერატურათმცოდნეობაში. რაც შეეხება სოცრეალიზმის თეორიულ ისტორიას, აქ ერთი სიმპტომატური ტენდენცია შეინიშნება, კერძოდ, პოსტსაბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობამ სოცრეალიზმის შეფასებისას გარკვეულწილად შეინარჩუნა საბჭოთა პერიოდისათვის დამახასიათებელი კატეგორიულობა - თუ ადრე ყველაფერს ხელაღებით იწონებდა, ახლა ბევრ რამეს ხელაღებით იწუნებს. სწორედ ამიტომ მივიჩნიეთ, რომ შეფასებების ეს ანტონიმია უფრო აქტუალურს ხდიდა ქართული სოცრეალიზმის ლიტერატურის ღრმამეცნიერული, მიუკერძოებელი და დეიდეოლოგიზებული შესწავლის აუცილებლობას არა ფაქტებისა და სახელების სისრულის თვალსაზრისით, არამედ კონცეპტუალურად. ამჟამად ვასრულებ ჩემს კოლეგებთან ერთად მუშაობას ახალ პროექტზე -„იმაგოლოგია: კულტურათა დიალოგის თავისებურებანი (პოსტკოლონიური ქართული ლიტერატურის მაგალითზე)„ - რომელიც ასევე შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ არის დაფინანსებული. სავარაუდოდ, მონოგრაფია 2017 წელს გამოვა; მასში წარმოდგენილი იქნება ლი-

ტერატურათმცოდნეობითი იმაგოლოგიის თეორიული ასპექტები, ფართო ისტორიულ-კულტურული კონტექსტის გათვალისწინებით შესწავლილი იქნება პოსტკოლონიური ქართული ლიტერატურის ეთნოიმაგოლოგიური მოდელები, პოსტკოლონიური ეპოქის ქართული ლიტერატურის სპეციფიკური ნიშან-თვისებები.

–ქალბატონო მარიამ, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურისა და დოქტორანტურის განყოფილების ხელმძღვანელი ბრძანდებით... რა პროგრამები მუშაობს ამჟამად ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე?

2012 წელს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე წარმატებით გაიარა აკრედიტაცია შემდეგმა პროგრამებმა: *თანამედროვე ქართული ლიტერატურა და ლიტერატურის თეორია* (ხელმძღვანელები: პროფ. ლუარა სორდია და პროფ. მარიამ მირესაშვილი), *ქართველური ენათმეცნიერება* (ხელმძღვანელი: პროფ. მერაბ ნაჭყებია), *არქეოლოგია* (ხელმძღვანელი: პროფ. ჯონი აფაქიძე) და *საქართველოს ისტორია* (ხელმძღვანელი: პროფ. ზურაბ პაპასქირი). ზემოაღნიშნულ პროგრამებში ჩართულნი არიან მაღალკვალიფიციური კადრები, რომლებიც ძალისხმევას არ იშურებენ, რათა ხელი შეუწყონ დოქტორანტის ინტელექტუალურ ზრდას, სამეცნიერო და უმაღლესი სკოლის პედაგოგიური კადრების მომზადებას, აკადემიური და კვლევითი რესურსების დაახლოებას, ქვეყანაში სამეცნიერო მუშაობის გააქტიურებასა და ხარისხის ამაღლებას, საერთაშორისო აკადემიურ და სამეცნიერო სივრცეში ჩართვას, ახალი ცოდნის შექმნისა და დანერგვისთვის ხელის შეწყობა. ვფიქრობ, თქვენ, როგორც სსუ-ს ექს-დოქტორანტი თავად დარწმუნდით ამაში...

ქალბატონი მარიამ, სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობისას მუდმივად ვგრძნობდი თქვენი საქმიანი რჩევების განსაკუთრებულობას. მინდა მადლიერების გრძნობა გამოვხატო ამის გამო და საუბარი იმით დავასრულო, რითაც დავიწყე, სამყარო, მართლაც, დიდი გადაშლილი წიგნია...ჩვენ, ყველანი, მისი სტრიქონები ვართ...მეცნიერებისა და სიტყვის მსახურთა საქმიანობა ურთიერთკავშირშია, ისევე როგორც, ძველი ბერძნების „სიმპათიის კანონისა„ არ იყოს, სამყაროში განფენილი ყველა მოვლენაა ურთიერთზეგავლენის მომხდენი. ყველაფერი ის, რაც ღირებულია, არ იკარგება. თქვენი ნიჭი, სიკეთე და მედგრობა ასხივებს და მისი ხიბლი, შემდგომშიც, ბევრს მიიზიდავს და თაობებში ასე გაგრძელდება, ალბათ. აკი, სამყაროს „უზარმაზარი ლიტურგიკული ტექსტი„, რომლის ნაწილსაც წარმოადგენენ ადამიანები, ყოველდღე იწერებაო, ბრძანა ლეონ ბლუამ. მრავალი საჭირო წიგნის არსებობა და შექმნა კი მას უფრო მშვენიერს გახდის...

ინტერვიუ ჩაიწერა ლამარა გერგედავამ

წერილები

ტიტე მოსია

ბიბლიურ-რელიგიური ნაკადი და ასპექტები
(ვაჟა ეგრისელის შემოქმედებაში)

.... „გაუზვიადებლად შეიძლება შევნიშნოთ, რომ რუსთაველისა და ვაჟა ფშაველას შემდეგ საქართველოს არ ჰყოლია უფრო დიდი მეტაფორულენოვანი პოეტი, ვიდრე ვაჟა ეგრისელი“.

პროფ. ტიტე მოსია

საკითხზე მსჯელობას დავიწყებთ ლ. სორდიას სიტყვებით: „ვაჟა ეგრისელის ღრმა ფილოსოფიური ლირიკის ძირეული პრობლემაა ადამიანის შეცნობა, მისი არსებობის ფორმებისა და დანიშნულების, ცხოვრების საზრისის ძიება, მიგნება, რასაც აშუქებს მრავალგვარად, სიღრმისეულად.... ღრმად აქვს გაცნობიერებული ადამიანისა და ცხოვრების რაობა სოციალურ, პოლიტიკურ, ფილოსოფიურ, ფსიქოლოგიურ, ესთეტიკურ ჭრილში ბიბლიასთან, მითოლოგიასთან, ღვთისმეტყველებასა თუ ქართულ-უცხოურ კლასიკურ მწერლობასთან მიმართებაში.”

ვაჟა ეგრისელის ლირიკაში ღმერთის ცნება შთამბეჭდავად ჟღერს. პოეტის ღმერთი ჭეშმარიტი ორთოდოქსული ქრისტიანული ღმერთია. ვიდრე ამაზე საუბარს გავაგრძელებდეთ, გვინდა შევნიშნოთ, „იქმენ ნათელის” ავტორი არ ივიწყებს ქრისტიანობამდელ ღმერთებს წარმართული ხანისა. თვალშისაცემია, ვაჟა ეგრისელი ქრისტეს გვერდით ზოგჯერ ახსენებს ბუდას. ბუდიზმი ინდოეთში დაიბადა ჩვენს ერამდე VI საუკუნეში. პოეტი კარგად იცნობს ამ რელიგიის რაობას და ქრისტეს გვერდით შემთხვევით არ ასახელებს მას. საქმე ისაა, რომ ბუდიზმმა, პირველთაგანმა რელიგიების ისტორიაში, გამოაცხადა მესიანელების იდეა-მოძღვრება ბუდების შესახებ, რომლებიც დედამიწას სტუმრობენ ადამიანთა სახსნელად. ეხმარებიან მათ ნირვანის მოპოვებაში. აქვე გვაქვს მოძღვრება სამოთხისა და ჯოჯოხეთის რაობაზე. ადამიანთა ხსნის იდეა მსჭვალავდა განხორციელებულ და დედამიწაზე დაშვებულ მაცხოვარს.

ვაჟა ეგრისელი ადამიანთა ხსნის მოტივით მოიხსენიებს ქრისტეს გვერდით ბუდას:

„და მაინც არ ვიცით, ლოცვით სავსე ცისკენ
რომ გვახედებს მუდამ,
კაცია თუ ღმერთი,
ქრისტეა თუ ბუდა.”

ყოველი ადამიანი, მითუმეტეს პოეტი, თავისი ეპოქის შვილია. ვაჟა ეგრისელი მწარედ განიცდის თავისი ეპოქის კატაკლიზმებს, ვერაგობას და სისასტიკეს. ადამიანებს მოუწოდებს სიფხიზლისაკენ. იგი სახარებისეული შთაგონებით მოძღვრავს ადამისა და ევას შთამომავალთ:

„ადამიანებო, იყავით ფხიზლად-
თორემ, ო, თორემ ვერ გვიშველის
ბუდა და ქრისტე,
ჩვენ ახლა ისეთ ეპოქაში და დროში ვცხოვრობთ.”

ვაჟა ეგრისელი არაერთ ლექსს უძღვნის ამაოებას, წუთისოფლის წარმავლობას, ყოფნა-არყოფნის საკითხებს. იგი ერთ ლექსში სასოწარკვეთით აცხადებს: საჭიროა დავნებდეთ ჟამთა დინებას ამქვეყნიური ტანჯვის მგმობელნი, რადგან სულს გვიწვავს სააქაოში „არყოფნის მზე და აბედი.” ამ თხზულებას ასე ასრულებს ავტორი:

„რადგან წინასწარ იქ (იგულისხმება საიქიო) რა მოგველის
ვერ გვიხსნის ბუდა, ვეღარც ქრისტე, ვერც მუჰამედი.”

ქართული მითოლოგიის შემდეგ ვინ არ დაინტერესებულა ქართველ შემოქმეთდაგან ბერძნული მითოსით. ეს ძალუმად იგრძნობა ვაჟა ეგრისელის პოეზიაში. ბერძნულ მითოლოგიაში მას განსაკუთრებით იტაცებს ღმერთების სახე და პრომეთეს პიროვნება:

„სამყაროს წარსულში ბერძენი ღმერთები მეფობენ,
გვასმევენ მადლსა და სიკეთეს"...

პოეტი ახსენებს კიდეც უძველეს ბერძენთა უმაღლეს ღვთაებას ზევსის სახით. ვაჟა ეგრისელი მას იხსენებს მთელი თავისი პოეტური შემართებით. მართალია, ზევსთან თავის გატოლება მისივე მხრიდან ფანტასტიკურია და ჰიპერბოლიზებული, თუმცა მკითხველი ადვილად უგებს მის ჩანაფიქრს:

„და თავს ვიგრძნობ ტოლად ზევსის-
თვით მეუფის „მაღლა" ცათა,
„დაბლა" ერთი კარგი ლექსის
ამოსუნთქვა თუ დამცალდა."

იმდენად სწორუპოვარია პოეტის სურვილი მარადიული ასაკით გაპოხიერებული თუნდაც ერთი ნაწარმოების შესაქმნელად, რომ მისი სულიერი და ფიზიკური ენერგია გათანაბრდება ზევსთან და თავს იგრძნობს „მეუფის მაღლა ცათა." საერთოდ, პოეტი თუ ასეთი შინაგანი განწყობილებით და სულიერი ძლევამოსილებით არ განიმსჭვალა პოეზიის სიყვარულისადმი, იგი ვერასოდეს შექმნის სიკვდილუკარება ძეგლს. ამ წადილის გასაძლიერებლად ზევსის მოხმობა ამართლებს მისივე მხატვრულ ფუნქციას.

ბერძენთა უმაღლესი ღმერთის ზევსის ხსენებასთან უპირველესად მუდამ ასოცირდება მითოლოგიური პრომეთეს სახეც. პრომეთე ნიშნავს „წინდახედულს," „შორსმჭრეტველს," „წინასწარმეტყველს." მან ადამიანთა საკეთილდღეოდ ზევსს მოსტაცა ცეცხლი. პრომეთეს ცეცხლი იქცა სიმბოლოდ კულტურისა, განათლებისა.. ოვიდიუსის მეტამორფოზების თანახმად, ადამიანიც კი პრომეთემ შექმნა მიწისა თუ თიხისაგან.

ვაჟა ეგრისელი თავის ერთ-ერთ ლექსში („ცეცხლი") გამოიხმობს ბერძნული მითოლოგიის გმირს პრომეთეს, ზევსისთვის ცეცხლის წამრთმევს. ლექსის მიხედვით, შეცივნული თქმულებები და ლეგენდები ბუხარს მიფიცხებიან, გარეთ კი ზამთარი ლამბავს სიმყუდროვეს და მთებს უმზადებს უთეთრეს გვირგვინს. ხოლო „შეშა კი ტირის...

ცეცხლი ჰყვება გარდასულ ამბავს,
როგორ მოსტაცა უვიც ღმერთებს
პრომეთემ იგი."

„ბერძენ ღმერთებს" ვაჟა ეგრისელი კიდევ ერთ ლექსში („კვირიკე") ახსენებს, რომელთაც უპირისპირებს ქართველთა წარმართულ ღვთაებას-კვირიკეს:

„სამყაროს წარსულში ბერძენი ღმერთები მეფობენ...
გვასმევენ მადლსა და სიკეთეს.
ხოლო ქართველი უფალი კვირიკე
დღეებს და ღამეებს-საოცარ სიზუსტით-
დიდსა და პატარას თანაბრად გვირიგებს."

პოეტის მიერ აქ მოხსენიებული „კვირიკე" იგივე „კვირია" არის, რომელიც ძველი ქართული წარმართული ღვთაება იყო. იგი გამოირჩეოდა ერთადერთ ღმერთად, რომელსაც უზენაეს არსებასთან მისვლა შეეძლო. კვირია გამოირჩევა შუამავლობით უმაღლეს ღმერთთან და ღვთისშვილებს შორის. უზენაესი მორიგე ღმერთის დადგენილი წესით კვირია უშუალოდ მართავდა ქვეყნიერებას. ჩვენში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ წარმართულმა ღმერთებმა დაკარგეს ღვთაებრივი ძალმოსილება, მაგრამ დაინარჩუნეს ძალა ესთეტიკური ზემოქმედებისა. ისინი მხატვრულ სახეებად იქცნენ (რ. სირაძე). ვაჟა ეგრისელს, როგორც პოეტს, აქვს შინაგანი თავისუფლება წარმართული ხანიდან მისთვის საყვარელი ღმერთის გამოსაწვევად. კვირიკეს (იგივე კვირიას) მორიგე ღმერთის მხრიდან მინიჭებული უფლებამოსილებიდან პოეტი აქცენტს აკეთებს ერთ მომენტზე-ქვეყნიერების უშუალო მმართველობა, რომლის დროსაც იგი მონაცვლეობით დღეს და ღამეს ჩუქნის დიდსა და პატარას თანაბრად. აქვე შეუძლებელია არ გავიხსენოთ კვირიაკობის დღესასწაული. ეს არის კვირიკეს და ივ-

ლიტეს დღე, საქრისტიანოს სალოცავი წმინდანობისა, ეწყობა 15 ივლისს (ძვ.სტ.) დღესასწაულები ტარდება სვანეთში (კალა), რაჭა (ზემო კრიხი), ლეჩხუმში (ლაცორია), დუშეთში, თრიალეთში, გურიაში (კვირიკეთი), ვანში, ქობულეთში და სხვ.

ვაჟა ეგრისელი ბერძნული მითოლოგიის კიდევ ერთ ღმერთს შეგვახსენებს ლექსში „როდესაც ღმერთებს ვესაუბრები." გავეცნოთ მას:

„ჟამს მიმწუხრისას სიყვარულის წმინდა ტაძარში
(შენთან ყოფნით და სიცოცხლით მთვრალი),
როდესაც ამურს და სხვა ღმერთებს ვესაუბრები,
ცა გაიღიმებს-ქათქათა მთვარეს.
გამოაჩენენ ოქროს კბილებს-შავი ღრუბლები."

როგორც ვხედავთ, პოეტი კონკრეტულად ასახელებს ღმერთს „ამური." ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, იგი სიყვარულის ღმერთია, ვენერას შვილი. მისი ლათინური შესატყვისია „ამორი." წარმოშობით ფრანგული სიტყვაა, როგორც შენიშნავენ, ქართულში რუსულის მეშვეობით დამკვიდრდა არასწორი ფორმა „ამური."

ვაჟა ეგრისელის პოეტურ სამყაროში არაერთი ლექსი ცოცხლობს, სადაც ზოგადად ფიგურირებენ „ღმერთები." ფანტაზიის წყალობით საინტერესო მხატვრული სურათების მოწმენი ვხდებით: ღამით ღმერთების ერთმანეთთან წაკიდების შედეგად ცის დარბაზების დალეწვა, ურჩი ღმერთების სისხლით მორწყული ცა:

„ღამით ღმერთები წაეკიდნენ ერთიმეორეს
და დაცალეწეს ცის დარბაზები.
რწმენა კი დუმდა.
ცა-ურჩ ღმერთების სისხლით მორწყულა."

ერთ-ერთ ლექსში („წინაპრები") ავტორს ჩვენი სახელოვანი წინაპრები რკინის მკვნეტელი გოლიათისთვის მიუმგვანებია, რომელთაც ქართულ მიწაზე „მთანი მაღალნი" კერპებივით ჩამოჰყოლიათ. ეს ის წინაპრები არიან, რომლებიც „სანთლებს უნთებდნენ, როგორც ღვთაებებს-

მთებს შემოსილებს ღვთიურ ჭაღარით."

ერთობ შთამბეჭდავია უსათაურო ლექსი, რომელშიც ცის ჩახველება ქრისტეს აგონებს პოეტის ფიქრებს. აქ ვეცნობით მზის ჭიშკრის მიღმეთს, მნათობთა ოჯახებს, ცაში ღმერთთა ომის ჯახაჯუხი საუკუნეების ერთმანეთთან დაჯახებად ჩაესმის შემოქმედს:

„ქრისტე ეგონა, ცა როდესაც ჩაახველებდა
და მის საძებრად ჩემმა ფიქრმა ბევრი იარა-
მზის ჭიშკრის მიღმა, სად მნათობთა ოჯახებია,
სწამს, ჯახაჯუხი-ცაში ღმერთთა ომი კი არა,
საუკუნენი საუკუნეებს ეჯახებიან."
მეტყველი პოეტური სურათებია:
„იისფრად, ოდნავ ბოლავს ღრუბელი,
თითქოს ღმერთები საკმელს აკმევენ."

(ციტატა მოტანილია ვაჟა ეგრისელის უზარმაზარი წიგნიდან-კოლხური ფსალმუნები," გვ. 310)

მარაბდის ომის თემაზე წერისას პოეტს აგონდება სისხლით გალეშილი ომის ღმერთი: „სძინავს ომის ღმერთს სისხლით გალეშილს."

ზემოთ თქმულის საფუძველზე მოკლედ მოვჭრით: მართალია, ვაჟა ეგრისელი ქართულ ქრისტიანულ რწმენაზე, ქრისტიანულ კულტურაზე, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ბიბლიაზე აღზრდილი პოეტია, მაგრამ არ „ავიწყდება" წარმართული ღმერთებიც, ბერძნული მითოლოგიის ღვთაებანი. ამით იგი არა ოდენ ქართული და ბერძნული მითოლოგიების ცოდნას ავლენს, რაც ძალზე ახლოს მოდის მის შინაგან კულტურასთან, პოეტურ და ადამიანურ განწყობილებასთან, არამედ შემოქმედს აინტერესებს ქრისტესშობამდელი სამყაროს რაობა, წარმართობის პერიოდის ღმერთების რაობა, ბუდას არსი და სხვ. ვაჟა ეგრისელი საინტერესოდ ამბობს: „ასე მგონია, ქრისტეს შობამდეც, ქართველი კაცი თავის ბუნებით იყო, ო, იყო ქრისტეს სულით და ხორცით."

აკ. გაწერელიას მართებული შენიშვნით: „ვაჟა ეგრისელის სტილი ღრმადაა დაკავშირებული ქართული სალიტერატურო ენის უძველეს პლასტებთან, კერძოდ, ბიბლიის წიგნებთან. ამაში პოეტის სხვადასხვა დროს გამოცემული კრებულების სახელწოდებაც გვარწმუნებს: „სიცოცხლე," „ამაღლება," „ნათელხილვა," „საგალობელი," „იქმენ ნათელი." ამჯერად გვაინტერესებს ვაჟა ეგრისელის ბიბლიასთან მიმართების ზოგიერთ ასპექტზე ყურადღების გამახვილება.

ათეულობით საუკუნეთა მანძილზე ბიბლია არაერთი ქართველი და უცხოელი შემოქმედის წყარო იყო და არის დღესაც. ისინი ბიბლიურ თქმულებებს, თემებს, მოტივებს, სიუჟეტებს თავიანთ შემოქმედებაში კუთვნილ ადგილს მიუჩენდნენ მათივე მსოფლმხედველობრივ-სახისმეტყველებითი არეალის შემოსასაზღვრავად. მწერლები (და არა მარტო მწერლები) ბიბლიიდან ითვისებდნენ პოეტურ ხატებს, აქსესუარებს, ფერწერულ შტრიხებს, მხატვრულ ფრაზეოლოგიას, პარაფრაზებს, ციტატებს, ლექსიკურ-გრამატიკულ მარაგს და ა.შ. სხვადასხვა ქვეყნის (მათ შორის საქართველოს) მწერლობის წარმომადგენელნი ბიბლიურ მოტივებს მიმართავდნენ თავიანთი ეპოქის აქტუალური საკითხების გადასაჭრელად (შდრ. ქართულთან ერთად, ბიზანტიური, იტალიური, ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული... ლიტერატურული ძეგლები თუ ხელოვნების ნიმუშები). ლ. ფოიერბახის თვალსაზრისით, ყოველ ეპოქას ბიბლიაში ამოკითხული ჰქონდა თავისი თავი, ყოველ ეპოქას აქვს საკუთარი, თვითნაკეთი ბიბლია. ეს თითქოს და ფოიერბახს ქართველ მწერლებზე უთქვამს, რომელთაც შუასაუკუნეებიდან მოკიდებული ბიბლიაში ამოკითხული ჰქონდათ საკუთარი თავი ისევე, როგორც მათივე ეპოქებს. ჩვენი პოეტიც ასეთ შემოქმედთა რიგებში გვეგულება.

მართალია, ვაჟა ეგრისელი ახლოს იცნობს ქართველთა და უცხოელთა წარმართულ ღვთაებებს, მითოლოგიას, მაგრამ მათ თავის ლირიკაში სტიქიურად ან თვითმიზნურად კი არ მიმართავს, არამედ მისივე მსოფლმხედველობას უმორჩილებს. მაგრამ ეს მაინც ხარკის გაღებად მიგვაჩნია. პოეტის პოეზიის და მსოფლმხედველობის მასულდგმულებელი ძალა და ამოსავალი პუნქტი ბიბლიურ-ქრისტიანული ღმერთია: მამაღმერთი, ძე ღმერთი, სულიწმინდა ღმერთი, იგივე სამება, ღვთის სამსახოვანება.

მამა ღმერთის სახე დაჰნათის ქვემოთ დამოწმებულ სტრიქონებს:

„ებჯინება სანთელს მხრებზე,
ფეხისწვერზე დგება ალი,
უფალი რომ დაინახოს
და თუ ძმა ხარ, მითხარ ერთი
რაღა ვუთხრა იმ კაცუნებს,
ლოცვით დაღლილთ მამა ღმერთი
ელვის შოლტს რომ უტკაცუნებს."

მისტიკურ სამოსელში გახვეული ეს ლექსი წარუხოცელ შთაბეჭდილებას ახდენს განსაკუთრებით მორწმუნე მკითხველზე. უჩვეულო მისტიკურ-პოეტური ხედვის ნაყოფია გამოთქმა: „ფეხის წვერზე დგება ალი, უფალი რომ დაინახოს." ვის არ უწერია ღვთის მისტიკურ ჭვრეტაზე, მაგრამ ეს სტრიქონი საოცარი ორიგინალურობით გამოირჩევა. მას ექსოვება მთელი მისტიკური ფილოსოფიის არსი, რომლის არა ოდენ ცოდნას, არამედ უჩვეულოდ პოეტურ განჭვრეტასაც ახერხებს მგოსანი.

ვაჟა ეგრისელის მიხედვით, მამა ღმერთი, მართალია, დროისა და სივრცის მიღმა მყოფი უზენაესი არსებაა, მაგრამ იგი მის მიერ შექმნილ სამყაროზე და ადამიანებზე ზრუნავს, კაცივით დარდი იპყრობს:

„დაუკრავს ღამე-მთვარის როიალს
ცამ იცის მხოლოდ,
რომ ეს ღრუბლები
დარდით მოცული მამაღმერთის
ყალიონის ბოლია."

ეს სტრიქონები არის გზა ადამიანთა წარმოდგენის ღმერთთან მისაახლოებად, მის „გასაშინაურებლად." ერთი წუთით წარმოვისახოთ: დარდით მოცული მამა ღმერთი აბოლებული ყალიონით ხელში. ეს სურათი, ერთი შეხედვით, იუმორესკას უფრო ეგუება, მაგრამ არა. მას სხვა

მხატვრული ფუნქცია და მსოფლმხედველობრივი დატვირთვა აქვს და ამის თქმა მხოლოდ პოეტს შეუძლია, სხვას არავის. ან კიდევ: „მამაღმერთი ელვის პირჯვარს გადისახავს." დავაკვირდეთ მამა ღმერთის მხრიდან ელვის პირჯვრის გადასახვას. ამ სურათის ძერწვა მხოლოდ პოეტს ძალუძს, ალბათ, სხვისთვის იგი მიუწვდომელია. ეს სახე-ხატი არ ეტევა მხოლოდ ესთეტიკურ ხიბლში, მას მისტიკურ გარემოცვაში გადავყავართ. იგივე ითქმის ლექსზე-„არსთაგამრიგე."

„ფაფარს უწენდა ქარი და გრიგალი
და მაინც ვარსკვლავთა დაწერა წერილი,
მთვარის ვეება წერტილიც დაუსვა.
ახლა კი ღრუბლებში ზის და ელის-ხემს
წვიმის წვრილ სიმებზე ხანდახან გაუსვამს."

მისტიკურ ბურანში მყოფ ცას მიყურადებულ პოეტს მოესმის ანგელოზების ფრთათა რხევა და ღვთის ფეხის ხმა:

„და სიჩუმეში მოისმის ციდან
ანგელოზების ფრთის რხევა და
ფეხის ხმა... ღმერთის."

ალბათ, დაგვეთანხმებით: ანგელოზების ფრთების რხევის და უფლის ფეხის ხმის მოსმენა ოდენ პოეტის ფანტაზიაში ჯდება, სხვა გასაქანი მას არ გააჩნია.

(*გაგრძელება შემდეგ ნომერში*)

ლუარა სორდია

„ცისფერი ღამის" პარადიგმები ტერენტი გრანელის პოეზიაში

ტერენტი გრანელის რელიგიური, ფილოსოფიური, ეროვნული, ესთეტიკური იდეალები, როგორც მარადიულობის კატეგორიის კუთვნილება, ძალზე ხშირად ენიგმური სახეებით არის გამჟღავნებული.

იზიარებდა რა სახე – სიტყვათა მრავალმნიშვნელოვნების პრინციპს, „უვალი გზებით" მავალი პოეტი ახალი ელფერით, ახალი შინაარსით ტვირთავდა ცნობილ სახეებს, ახლებურ ჭრილში მოიაზრებდა კანონიკურ ცნებებს, ზოგჯერ სრულიად ახალ, ორიგინალურ სიტყვათშეთანხმებებს მიმართავდა. ამიტომაც არის გაუნელებელი ინტერესის საგანი მისი „სიტყვა ძვირფასი, სიტყვა ახალი".

დასაბამიდან, ადამიანის სული შეძლებისდაგვარად ტრიალებს დღისა და ღამის, მიწისა და ზეცის, ლაჟვარდებისა და უფსკრულის, სინათლისა და სიბნელის, სიკეთისა და ბოროტების, ხილულისა და უხილავის, საგნობრივისა და ტრანსცენდენტურის, ცნობიერისა და ქვეცნობიერის არეალში, ლოკალურისა და გლობალურის მასშტაბებში.

ტერენტი გრანელს, როგორც ბედისწერის რჩეულს, ხელეწიფებოდა შეეღწია ისეთ განზომილებებში, რომლებსაც მხოლოდ „გონის თვალით" გამორჩეულნი, „გულის სმენის" უნარით მომადლებულნი ეზიარებიან.

ნებისმიერი ასპექტით ფართოა პოეტის თვალსაწიერი.

ამჯერად გვაინტერესებს, როგორ არის მის შემოქმედებაში „ღამე" ჩაყენებული უმაღლესი პოეზიის სამსახურში.

ერთ შემთხვევაში, „ღამის რკალებში მოქცეული ქვეყანა" ტერენტი გრანელის უიღბლო სამშობლოა, მეოცე საუკუნეში სოციალიზმის იდეებით გაბრუებული, ხელმეორედ ოკუპირებული და „ყაჩაღების ცრუ მანიფესტით" მოტყუებული.

„ნაპრალებიანი შავი ღამის" სასტიკი ქარიშხლის ეპოქა არ იწამა პოეტმა / მოგზაურობა თბილისისკენ (1, 126).

„ქვეყნის უკულმართობა“ აღქმულია, როგორც „საღამო, ღრუბელი, წვიმა, გრიგალი“ (ვხედავ ამგვარ ცას) (1, 48-49).

ეროვნულმა ტრაგედიამ სიბნელე, ბურუსი გააბატონა, აშკარა გახდა ნათლის გაუჩინარება (უმიზნო ხეტიალი) (1, 41-42).

სისხლის მდინარე, ტყვიები, კვამლი, მღელვარება, „შორეული რაინდების უმწეო შფოთი“ (ამაო შემართება სამშობლოს თავისუფლებისათვის) აღიქვა, როგორც მთებისა და გზების დაბინდვა, „ბნელი შუაღამე“ (სულის ცეცხლი) (1, 48).

„თავისუფლების შუქი ჩაქრა“, სიბნელემ მოიცვა სამშობლო, ღრუბლით შეიბურა მაღალი მისწრაფებები, ასპარეზი გაეხსნათ „ფინიებს“, რაც გაბედულად ამხილა „მემენტო მორის“ ავტორმა (ახლაც ვიგონებ) (1, 219).

გამეფდა „ყრუ ღამეები“ (მთვარე ფოთლებიდან) (1, 39), „გრძელი და დიდი ღამე“ იქცა „ყრუ სამარედ“, გოლგოთად, გლოვად, ლოდად, აფთრად, კუბოდ, იმედების სასაფლაოდ (შორეული სინათლე) (1, 188).

სიბნელემ მოავლინა ბაბილონის ნაპირის ყორნები, აღზევდნენ ჭოტები, ყვავები. დღეც სიბნელეს ამკვიდრებდა (ისევ დაბნელდა) (1, 198).

ღამე იყო უკეთურთა დედა, ღამე წერტილს უსვამდა დიად იდეალებს, ტაბუ ედო ეროვნულ სატკივარს, ცენზურა კლავდა მართალ სიტყვას. „და სინათლეზე მე გადავმალე ჩემი ლექსები“, გვამცნობს პოეტი (მოვა საღამო, როგორც წამება) (2, 165).

შფოთვა და კორიანტელი იყო მართალთა ხვედრი. პოეტი დაეხეტებოდა სამშობლოსათვის დაცემულ რაინდთა სასაფლაოზე, როგორც ჩრდილოეთიდან მოვლენილი განსაცდელის მოწმე, გაუგონარი ტრაგედიის მსხვერპლთა გულწრფელი ჭირისუფალი.

ტერენტი გრანელი გლოვობდა „მკვდარ“, თავისუფლებადაკარგულ სამშობლოს: „... და საქართველო ეს ის მხარეა, სადაც ცოცხალი ხალხი მარხია“ (1921) (3, 18). „და საქართველო ახლა მკვდარია“ (ფიქრები ქაქუცას მკვლელობის დღეს) (3, 18). ეს სტრიქონები იმდროინდელი შემზარავი ვითარების ანარეკლია, რადგან ქვეყნის მტარვალები, სატანისეულნი სამშობლოს დამოუკიდებლობისთვის მებრძოლ დაჭრილ რაინდებს ცოცხლად მარხავდნენ.

პოეტს მოუნახულებია წყაროს ქუჩა, სადაც 1924 წ. გამოსვლების მონაწილეთა დიდი ჯგუფი დახოცეს. იქ გაძლიერებული დაცვა მდგარა. ტერენტის გაურღვევია დაცვა და აკანკალებული ყვებოდა თურმე: „იქ ვიყავი წუხელ! დაცვას დავუსხლტი ხელიდან! იცი, საკუთარი თავი შემჯავრდა, ისეთი რბილი იყო მიწა, ფეხები შიგ მეფლობოდა. ფეხქვეშ ადამიანის სისხლის სუნი მცემდა. მეგონა? მეც იმ სისხლიან მიწაში ვეფლობოდი... გამოვაღწიე... მაგრამ მთელი ღამე არ მიძინია“ (ალექსანდრე გაბისკირია, დიდი პოეტი) (4, 213-214).

პოეტი ცხოვრებამ „გაფითრებულ შემოღამებას“ დაამსგავსა (დაბრუნება სოფელში) (1, 223).

აშკარა იყო ეროვნული იდეალების დასამარება, „ღამის“ გაბატონება, „მფარველი თვალის“ - მესიის გაუჩინარება (ფიქრები ქაქუცა ჩოლოყაშვილის მკვლელობის დღეს) (3, 246).

მაგრამ ტერენტი გრანელი „ღამესთან“ დადგა, „როგორც „ქანდაკება““ (კვირის ნისლები) (... 130).

ნუგეში იყო „შუაღამის ვედრება“ (მწუხარე მელოდია) (1, 162-163), „შუაღამის თეთრი ლოცვები“ (ნისლიანი ღამე) (1, 166), „სიცოცხლის შუქის“, „ნათლის“ (ღმერთის) მოლოდინი (ღმერთო! სიცოცხლის შუქი მაღირსე) (1, 99).

პოეტი იმედს მაინც არ კარგავდა, მას ასულდგმულებდა სამართლიანობის რწმენა, სამშობლოს თავისუფლების მოლოდინი: „... საქართველოს ვერ დააჩოქებენ, მოვა ჩვენი დროც და საქართველო ისევ თავისუფალი იქნება“, სჯეროდა პოეტს (3, 416).

თუ სხვები სიმართლეს თვალს არიდებდნენ, უფსკრულის, სიბნელის საშიშროებას ამხელდა ტერნეტი გრანელის „მწუხარე მუზა“ და „სევდის ოდებს“ ქმნიდა (შეშლილი ცრემლები), „შორეული ყვავილების“ ჭკნობას-ღმერთის უარყოფას აფიქსირებდა, სამშობლოს ეროვნულ-პოლიტიკურ ავდარს შეიგრძნობდა, მთვარიანი თეთრი ღამის შუქი ახარებდა, „მაღალი სურვილი“, „მაღალი ფიქრები“ არ ტოვებდა, იდეალი იყო „ცისფერი საღამო, ცისფერი ყვავილი, ცისფერი ქვეყანა, ცისფერი ბაღი, ცისფერი იმედი, ცისფერი სინათლე“ და სიცოცხლის წყურვილი ავსებდა.

„ბედის ამაღლებას“ შეიგრძნობდა, „შუაღამის თეთრ ლოცვებს“ ეძლეოდა, რათა თავისი „სევდის ბაღში“ მშვენიერების იდეალი დაემკვიდრებინა: „ეს ჩემი ბედი ახლა ამაღლდა, ვით შუაღამის თეთრი ლოცვები და სევდის ბაღში ისევ აყვავდა იები, ვარდი და მიმოზები“ (ნისლიანი ბაღი) (1, 166).

პოეტს ეიმედებოდა „შორეული სინათლე, ცისფერი სინათლე, ცისფერი ღამე“.

ტერენტი გრანელმა შექმნა ორიგინალური ელფერით აღბეჭდილი „ნისლიანი ღამის“, „ცისფერი ღამის“ სახეები.

„სიცოცხლის გრადაციაში“ პოეტი საუბრობს გაცრუებულ, მირაჟებად ქცეულ სურვილებზე, შეცდომებზე, ფიქრის, ანალიზის აუცილებლობაზე: „ჩაესვენა სურვილების გროვა, როგორც შორი მირაჟების სერია. ახლა უფრო დაფიქრების დროა, ჩადენილი შეცდომები ბევრია“.

სამარისკენ ცხედარს ადევნებული, სამგლოვიარო მუსიკის ხმებს ისმენდა, თვითონაც გაყვითლებული, „შორეული ყვავილების“ ხმობით შეძრწუნებული: „ჩემი სახე რომ ყვითლდება, ვხედავ, შორეული ყვავილებიც ხმებიან. სამარისკენ აცილებენ ცხედარს და მუსიკის მგლოვიარე ხმებია“.

უსიცოცხლო ველების სიჩუმე კიდევ უფრო უძლიერებდა ტკივილს.

და, როგორც ლექსის დასაწყისში, ისე ფინალში, პოეტი სულის თვალით ხედავდა „ცისფერ ღამეს“, „წითელ მზეს“ და „წმინდა მაცხოვრის“ მოლოდინი ანელებდა უიმედობას: „წითელი მზე აელვარდა მინებთან, მოდის ჩუმი და ცისფერი ღამე. უიმედო გულისძგერა მინელდა, შენ, წმინდაო მაცხოვარო, ამინ!“ (1, 183).

„სიცოცხლის გრადაციის“ მთელი შინაარსი ორგვარ რეაალობას უღრმავდება: რეალურად იავარქმნილია აწმყო შეცდომების, არასწორი ნაბიჯების გამო, ხმება „შორეული ყვავილები“, ანუ კვდება რწმენა.

ყვავილი, ვარდი საღმრთო სახელია: „ყვავილები დაჩნდნენ მიწის პირზე, ჟამი გალობისა მოიწია და ხმა გვრიტისა ისმის ჩვენს მხარეში“, გვამცნობს „ქებათა ქება“ (2, 12) (5, 15).

ტერენტი გრანელის პოეზიაში მრავლად გვხვდება მისტიკური ვარდები. ვფიქრობთ, „შორეული ყვავილები“ უზენაესის მეტაფორაა, ხოლო მისი ხმობა – რწმენისდამკარგავი ქვეყნის ტრაგედია.

დაცვენილი, გათელილი, გაუჩინარებული, გაყინული, გარდაცვლილი ვარდების მთელი ციკლი გალაკტიონის პოეზიაში ურწმუნო, ღმერთისუარმყოფელ ეპოქაზე მიმანიშნებელი სახეებია (6, 10-24).

ანალოგიური სახეების არსებობა ამ პოეტებთან ეპოქის შინაარსით აიხსნება. საატანისეული დრო განუდგა ღმერთს, მაგრამ მხატვრული სიტყვის რჩეულთ არ გაუწყვეტიათ კავშირი ქრისტიანულ სამებასთან.

ტკივილებით გულდამძიმებული პოეტი თვალს არ აცილებდა „წითელ მზეს“, მზე კი საღმრთო სახელია: „მზე და ფარია უფალი ღმერთი“ (ფს. 84, 12) (7, 614).

ტერენტი გრანელისთვის ღამე ხან ნისლიანია, ხან მთვარიანი, ტრადიციის კვალობაზე, მაგრამ საანალიზო ლექსში გვხვდება „ცისფერი ღამე“.

ცნობილია, შოთა რუსთაველიდან მომდინარე და შემდგომი ეპოქის (დავით გურამიშვილი, გალაკტიონ ტაბიძე, ნოდარ დუმბაძე) მიერ გათავისებული განუმეორებელი სახე ოქსიმორონი „მზიანი ღამისა“, ქრისტიანული ღმერთის სიმბოლოდ მოაზრებული (8, 3-127).

ტერენტი გრანელის ღამე, ერთი მხრივ, „წითელი მზით“ ელვარებს, ამასთან იგი ცისფერია. „ცისფერ ღამეს“ ანალოგი არ ეძებნება, ვფიქრობთ, იგი „მზიანი ღამის“ ანალოგიით შექმნილი უზენაესზე მიმანიშნებელი მხატვრული სახეა.

ზემოხსენებული ლექსის სტროფში წმინდა მაცხოვრის გამოცხადება უფრო აკონკრეტებს სათქმელს და „წითელი მზე“, „ცისფერი ღამე“ ძე ღმერთის სახეებთან ასოცირდება, რაც პოეტის რელიგიურ ინტერესს ავლენს. ქრისტიანული ღმერთის სიყვარულს პოეტი კანონიკური სახეებითაც გამოხატავდა და ენიგმური, ორიგინალური მეტაფორებითაც მიგვანიშნებდა თავის საღვთო იდეალზე.

ლექსის სათაურიც მიგვანიშნებს სასიცოცხლო იმპულსების გაძლიერებაზე, რაც უზენაესის მოვლინების შედეგია.

„ცისფერი ღამის“ სიმბოლოსთან შეხვედრა გვიწევს აგრეთვე ლექსში „მეგობარს“ (9, 149), რომელშიც უსაზღვრობით, „საიდუმლო ფიქრით“ გატაცებული მეგობრები „ცისფერ ღამეზე“ საუბრობენ.

გრძნობისა და გონების ბრძოლა, ხილვა შორეულის, მიუწვდომლისაც, პოეტისთვის ორგანული იყო, რაც ამ ლექსშიც ვლინდება: „ეს გრძნობა ისევ ებრძვის გონებას და ძვირფას დღეებს დრომ დამაშორა. მე ახლო ვხედავ ჩემს მოგონებას, მე ახლო ვხედავ ძვირფას ლენორას“.

ლენორა სახელია ედგარ პოს ნაადრევად გარდაცვლილი სატრფოსი, რომელიც ექვსჯერ იხსენება ტერენტი გრანელის პოეზიაში.

განსაკუთრებული ჭვრეტის უნარით მომადლებული სიტყვის ოსტატი ამბობდა: „ვუმზერ სამყაროს ღია თვალებით“ და იგი ხედავდა როგორც ხილულს, საგნობრივს, ისე მიღმურ მოვლენებს, არასოდეს წყვეტდა კავშირს ძვირფას სახელებთან.

ტერენტი გრანელისთვის პოეზია იყო „უსაზღვროება, მარადისობა, იდუმალება“, უხილავის ხილვა.

იობივით ნაწამები პოეტის სული ისევ უზენაესს ელტვოდა, უიმედობას სულიერი ამაღლება ცვლიდა, ლექსისთვის გულის სისხლის გამღები, სიზმარივით იგონებდა ყოფნას, სიცოცხლეს და მუდამ ერთგულებდა ზეციურ ძალებს.

უსათაურო ლექსში „ბაღში ქარია ისევ“ ქარისგან შეწუხებულ კვიპაროსში თვით ნაწამები პოეტი გვეცნაურება: „ბაღში ქარია ისევ და კვიპაროსის რხევა. გული წამებას მისდევს და უიმედო დღეა“.

სხვები ჩვეულებრივი ყოფით კლავდნენ დროს, პოეტს კი „ცისფერი ღამე“ იტაცებდა: „დადიან ირგვლივ და ასე გადის წამი. ჩემი მდუმარე ფიქრი ტყვეა ცისფერი ღამის“ (1, 159).

„ცისფერ ღამეზე“, „ცისკენ სწრაფვაზე ფიქრი მაშინაც არ ტპოვებდა, როცა ოჯახს, ემპირიულ გარემოს იგონებდა, როცა ირგვლივ ქარი იყო, გულის სისხლით იწერებოდა ლექსი და ყოფნა, ცხოვრება შორეულ სიზმარს ემსგავსებოდა: „ბაღში ქარია ისევ, ლექსი შეღება სისხლმა, ყოფნას ვიგონებ ისევ, როგორც შორეულ სიზმარს...“

ყოფნა, ცხოვრება საღვთო სახელია: „მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე“ (იოანე 14, 6) (7, 211).

გალაკტიონის პოეზიაშიც ხსოვნაშია ყოფნა და დიონისი (წარმართული თრობისა და შვების ღმერთი)... დარჩება ხსოვნა ყოფნას, დიონისს“ (ცისფერი) (10, 305).

ტერენტი გრანელის იმპრესიონისტულ ლექსში, ერთი შეხედვით, ირღვევა ტრადიციული ლოგიკა, მაგრამ აქაც, როგორც საერთოდ, სევდის მიზეზი „ქვეყნის უკუღმართობა“, რწმენის იგნორირებაა. ამიტომ ჰგავს „ყოფნა“ „შორეულ სიზმარს“. ამასთან, ყოფნის სიზმარეულობის განცდაც ორგანული იყო პოეტისათვის.

ლექსში მთავარი აქცენტის მატარებელი სახეა „ცისფერი ღამე“ და „ყოფნა“. შემთხვევითი როდია, „ცისფერი ღამის“ ტყვეობა, რადგან პოეტს არასდროს გაუწყვეტია კავშირი უზენაეს ძალებთან.

ყოფითი, ჩეულებრივი, პრაგმატული მისწრაფებების და პოეტის ამაღლებული, რელიგიური გრძნობის კონტრასტია სხვაგანაც: „ახლა ჩემს ირგვლივ მეტი ხალხია, მე მაინც ვფიქრობ ცისფერ ღამეზე, ჩრდილია, ვწევარ და მეშინია, რომ სახურავი თავზე დამეცეს“ (ახლა ჩემს ირგვლივ მეტი ხალხია) (2, 119).

ანალოგიური, რელიგიური შინაარსის „ცისფერი საღამო“ გვხვდება ლექსში „ახლა საღამო ხომ ცისფერია“ (1, 77).

ერთი მხრივ, სულის მაწამებელი „ღამის ჩრდილები“, ქარები, „ცხოვრების ნაპრალებია“ პოეტის დარდების, მოუსვენრობის, საზღვარსგადაცდენილი გრძნობების მიზეზი (სიგიჟედ რომ არის სახელდებული უმეცარი ბრბოს მიერ), მაგრამ ეს ბნელი ღამე სულის ძალით შენაცვლებულია ცისფერით: „ახლა საღამო ხომ ცისფერია (სადაც ქარები მთაზე ტიროდნენ). მე დასვენება არ მიწერია, ყოველთვის მინდა, რომ მივდიოდე“.

ღალატის სამყაროს, ბნელი საღამოს მეუფებას შორიდან უმზერდა პოეტი, წყდებოდა უკეთურ რეალობას, რათა „ცისფერი ღამის“ - უზენაესის ნუგეში შეეგრძნო: „ისევ შორიდან ვუმზერ სამყაროს, ეს გრძნობა თვალებს ცრემლით ამივსებს. მწუხარე სახით მოვწყდი საღამოს და ახლა

მივალ ცისფერ ღამისკენ“ (მე შენზე ფიქრი მაშინ მღალავდა) (1, 82).

ლექსში აშკარად განსხვავებულია საღამო, როგორც ნეგატიური ძალების საბუდარი და „ცისფერი ღამე“, როგორც უზენაესი სიკეთე, სამართლიანობა, წმინდა სულების შემწე-მფარველი.

„ცათა ცაში“ ეგულებოდა პოეტს „ცისფერი ღამე“: „სიცოცხლე ისევ არ შეიძლება, და ზეცა ცისფერ ღამეს იძლევა“ (ელვარებს ისევ) (2, 113).

ამ გონიერი ზეცის, „ცათა ცის“ მხილველი სულის თვალები ჰქონდა ტერენტი გრანელს.

ტერენტი გრანელის რწმენა, სულში განუშორებლად ჩასახლებული „ცისფერი ღამე“ იყო, დიდ ნიჭთან ერთად, მისი განუმეორებელი, კოსმიური, მასშტაბური მხატვრული სიტყვის გამოვლენის გარანტი, მხოლოდ ეს რწმენა აცოცხლებდა: „ალბათ გენიოსი ვარ და ცისფერი სიშორე“... (ცისფერი სიშორე) (9, 11).

დამოწმებანი

1. ტერენტი გრანელი. ლექსები, წერილები, ჩანაწერები. თბ., 2012.
2. ტერენტი გრანელი. ორ ტომად, ტ. I, თბ. 1991.
3. ტერენტი გრანელი. ცისფერი სიშორე, თბ., 1998.
4. გივი ცქიტიშვილი. ვიცი, დრო მოვა ჩემი გაგების, თბ., 1990.
5. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II, თბ., 1990.
6. ლუარა სორდია, მეფისტოფელის საუკუნე და გალაკტიონ ტაბიძის პოეზია, თბ., 2011.
7. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992.
8. ტიტე მოსია, ოქსიმორონი „მზიანი ღამის“ პრობლემატიკა, თბ. 1999.
9. ტერენტი გრანელი, თბ., 2011.
10. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ., 1977.
11.

ლიანა წურწუმია

მითოსი – კონკრეტულ-ისტორიული ეპოქის ანარეკლი

მითოლოგია, როგორც მსოფლმხედველობა, ადამიანის მიმართებაა სამყაროსთან. იგი აზროვნების სპეციფიკური წესია, რომელიც გარკვეულ ისტორიულ პერიოდში წარმოიშვა, კერძოდ, პირველყოფილი საზოგადოების საწარმოო ძალთა განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. მითოსში უძველესი ხალხები თავისებური ეროვნული შეფერილობით წარმოაჩენენ თავიანთ დამოკიდებულებას სამყაროსთან, თავის იდეალებს, ფიქრებს. მასში გაცხადებულია ამ ხალხების საზოგადოებრივი ცხოვრების ძირითადი ფორმა – წესი. მითები ასახავენ შრომისადმი, მიწისადმი, ბუნებისადმი პატივისცემას. მაგალითად, ,,ვინც დედამიწაზე ჯოხს დაჰკრავს, ხელი გაუხმებაო“ (გერმანული მითოლოგია), ,,მოსე ფეხზე იხდის, როცა წმინდა წყალზე გადადის“ (ბიბლია), ,,გლეხი რომ ყანას ხნავს ან ცეცხლს ანთებს, ჯერ მიწას ეთაყვანება“ (ინდური მითოლოგია). ყოველ ეროვნულ მითოლოგიას განვითარების საკუთარი გზა აქვს. ეროვნული შეფერილობის გარდა, მითოლოგიას კონკრეტულ-ისტორიული ეპოქის ბეჭედი აზის. იგი ამ ეპოქის ანარეკლია ცნობიერებაში. მარქსის თქმით, აქილევსი ვერ დაიბადებოდა დენთის ეპოქაში. მითოსის მომხიბლელობა მის განუმეორებლობაშია.

მითოსი წარმართული რელიგიის საფუძველზეა წარმოშობილი. წარმართულ რელიგიურ

წარმოდგენებში ბუნება განსულიერებულია, ბუნების მოვლენები პერსონიფიცირებულია ინდივიდუალური ღმერთების სახით – ბუნება გაღმერთებულია, ამდენად ეს წარმოდგენები პანთეისტურ ხასიათსაც ატარებენ.

მითოსი, როგორც გვაროვნულ-საზოგადოებრივი ცნობიერების პროდუქტი, გვაროვნულ საზოგადოებაში სისხლით ნათესავთა პრეროგატივაა. წარმართულ რელიგიაში ღვთაებათა ნათესაობა, მემკვიდრეობითი კავშირი შესაბამისად აირეკლება მითში. ანტიკურ მითოსში, მცირე აზიის ხალხების, შუამდინარეთის, ეგვიპტის, ინდოეთის მითოსურ წარმოდგენებში წარმართული პანთეონი ოჯახურ ჯგუფს უკავია, რომლის სათავეში ყველგან დგას მამა, მას ემორჩილებიან შვილები. ღვთაებათა შორის ამგვარი ურთიერთობა პატრიარქატის დროს სოციალური დიფერენციაციის ანარეკლია, ამა თუ იმ ხალხის სოციალური განვითარების, ეთნო-კულტურული, გეოგრაფიული და სამეურნეო პირობების შედეგად აღმოცენებულია. საუკუნეების მანძილზე მითოსური სიუჟეტი თანდათან შორდება თავის კონკრეტულ რელიგიურ-მითოსურ მნიშვნელობებს და ესთეტიკურ-ლიტერატურულ სამყაროში გადადის.

საზოგადოებრივი განვითარების ადრეულ საფეხურზე სინამდვილის მხატვრულ-სახეობრივი ასახვა რიტუალურ-მაგიურ და შრომით საქმიანობაში იყო ჩართული და ამდენად სინკრეტულ ხასიათს ატარებდა. უძველესი ხელოვნების შესწავლის თავისებურება ის არის, რომ მის შესახებ მხოლოდ არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოძიებული მატერიალური მასალის – უტილიტარული დანიშნულების რიტუალურ-მაგიური ნაკეთობების, სკულპტურული გამოსახულების (საკულტო დანიშნულების) გრავიურების, წვრილი პლასტიკისა და რელიეფურ-ბარელიეფური ძეგლების – მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ. გარდა ამისა, მითოსური მხატვრული სახეების უმდიდრეს საგანძურს წარმოადგენს ხალხური მუსიკალური და ლიტერატურული ფოლკლორი. აღსანიშნავია სახვითი ხელოვნების ნიმუშები, რომლებიც გამოქვაბულების, კლდეების კედლებზე გვხვდება, ხელოვნების ამ ნიმუშების შინაარსი რეალისტურია. შველის, ბიზონის, გარეული ტახის სქემატური, პირობითი გამოსახულებანი, ნადირობის სცენები იმ დროის ხელოვანთა დაკვირვებულობაზე, ცნობისმოყვარეობასა და თვალის სიზუსტეზე მეტყველებენ. მითოლოგიური მხატვრულ-ესთეტიკური ცნობიერებისათვის დამახასიათებელია: ნატურასთან მიახლოებითი სიზუსტე, პირობითობა, სიმბოლურობა, რაც პირველყოფილი ,,ხელოვანის“ განზოგადების უნარზე მეტყველებს. პალეოლითური ხანის სახვითი ხელოვნება ძირითადად ორი სახით წარმოგვიდგება:

1) ე.წ. „პალეოლითური ვენერები“ – ქალის პლასტიკური გამოსახულებები (რაც ქართულ სინამდვილეში ჯერჯერობით არაა მიკვლეული), 2) ცხოველთა სამყაროს მხატვრული გამოსახულებანი (კლდის, გამოქვაბულის მხატვრობა) და მათი ნაკვთების ორნამენტული გამოსახულებანი ყოფით საგნებსა და სამკაულებზე.

„პალეოლითური ვენერები“ უზარმაზარი ქვის ლოდებისგან გამოკვეთილი, უხეშად დამუშავებული ქალის ფუგურებია. მორგვივით მრგვალ ლოდს, რომელზეც ჰიპერტროფირებულია ქალის სხეულის სასიცოცხლო ორგანოები – გვერდი, თეძოები, მუცელი, ზედ ადგას თავი – შედარებით მომცრო ქვის ლოდი, რომლის გაპრიალებული ზედაპირი პორტრეტულობას მოკლებულია, სახე წაშლილია, არანაირი კვალი არ ჩანს თვალის, ცხვირის, ტუჩის. უსახო სახე კონტრასტშია განსაკუთრებული სიზუსტით და დახვეწილობით გამოძერწილ იმ ნაკვთებთან, რომლებშიც ქალის, როგორც სიცოცხლის დედის, სიცოცხლის წყაროს ფუნქცია ვლინდება. გაფუებული, მსუყე ფორმები, ქალის როგორც დედის ფუნქციის მატარებელი, მოკლებული არიან ეროტიზმის ნიშნებს, ისინი მხოლოდ პირველყოფილ საზოგადოებაში ქალის სოციალურ დანიშნულებაზე მიგვითითებენ – გვარის გაგრძელების, ოჯახის შენახვის. სიცოცხლის დასაბამის მანიშნებელი ეს ჰიპერტროფირებული ფორმები იმავდროულად მატრიარქატის დროის ესთეტიკურ იდეალს წარმოაჩენენ, რომელიც დედის კულტის რელიგიურ რწმენა-წარმოდგენას ემყარება. მართალია, ჯერ ჩვენში არ აღმოჩენილა ე.წ. „პალეოლითური ვენერები“, მაგრამ ასეთი ფიგურების მოძიების შესაძლებლობა ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე ეჭვს არ იწვევს. ამის საფუძველს გვაძლევს ქართულ ენაში დაფიქსირებული დედის ცნების შინაარსობრივი დატვირთვის მასშტაბები ისეთ სიტყვებში, როგორიცაა: დედამიწა, დედაენა, დედაბოძი, დედაბურჯი და სხვ.

საზოგადოების განვითარების ადრეულ ეტაპზე მითოსური აზროვნების ჩამოყალიბებას

უდიდესი პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც სინამდვილის შემეცნებისა და მასზე გაბატონების პირველ ცდებს. მითი ადამიანის შემოქმედებითი ფანტაზიის ისეთი გამოხატულებაა, რომელიც პირველყოფილ-გვაროვნული საზოგადოების უკვე განვითარებულ საფეხურზე ადამიანს სამყაროს შეცვლისა და გარდაქმნისათვის ერთგვარ სტიმულს აძლევდა. დროთა განმავლობაში საზოგადოების განვითარებასთან ერთად მითოსს ნიადაგი ეცლებოდა და გზას უთმობდა ჭეშმარიტ ცოდნას, როგორც უკვე დრომოჭმული, ჩამორჩენილ წარმოდგენათა შემცვლელი, იგი დასაღუპავადაა განწირული, მაგრამ მის მიერ შემუშავებული მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები, ცალკეული მოტივები თუ სიუჟეტური ქარგა ხალხთა შემოქმედებით საგანძურში შედის, როგორც კულტურის ნაწილი.

მითოსურ აზროვნებას, უძველეს ხალხთა ეთნიკური სხვადასხვაობის მიუხედავად, ზოგადი პრინციპები ახასიათებს. უფრო ვრცლად: გვარ-ტომობრივი ცხოვრების პირობებში ურთიერთმეზობლობაში მყოფი ხალხების მითოლოგია, რომელიც ამ ხალხების წეს-ჩვეულებებში რეალიზდებოდა, ისტორიული განვითარების ერთ გარკვეულ საფეხურზე აღმოცენდა, როგორც საზოგადოებრივი ცნობიერების პრდუქტი. დღეს ტერიტორიულად დაშორებულ უძველეს ხალხებს, მიუხედავად ეთნიკური სხვადასხვაობისა, წეს-ჩვეულებებში ბევრი რამ აქვთ საერთო. ასე, მაგალითად, ,,ლიფანალის" დღესასწაულზე, რომელიც გარდაცვალებული წინაპრების კულტს ეძღვნებოდა, სვანები, წლის კარგი მოსავალი რომ დაბედებოდათ, ერთმანეთს ნაცრითა და მჭვარტლით მურავდნენ.[2] ნაცარს (ფერფლს) ნაყოფიერების ძალა მიეწერებოდა. ეგვიპტელები მსხვერპლად შეწირული ადამიანის ფერფლს მინდვრებზე მიმოფანტავდნენ, რაც, მათი აზრით, მოსავლის გადიდებას უწყობდა ხელს. ინდოეთში დღემდე შემორჩათ ეს ტრადიცია. მსხვერპლშეწირული ადამიანი ღვთიური ორიგინალის ასლად ითვლებოდა, ამდენად, ფერფლს სხვადასხვა ხალხის წარმოდგენებში გამანაყოფიერებელი ძალა ჰქონდა, როგორც ღვთაებრივ არსებათა სხეულის ნაწილებს.[3]

ზემოთ აღნიშნული ვრცელდება ქართულ მითოლოგიაზეც. ქართულ წარმართულ ხელოვნებაში სრულიად აირეკლა მითოსური აზროვნების ეროვნული თავისებურებანი: ქართული წარმართული პლასტიკური ხელოვნება მდიდარ მითოლოგიურ სამყაროს განასახოვნებს. ორნამენტული ხელოვნების სახით მიღწეული მასალის შესწავლა ინტენსიურად მე-20 საუკუნის 20-იან წლებში დაიწყო ქართულ სინამდვილეში. მას საფუძველი ჩაუყარეს აკად. ნ. მარმა და ივ. ჯავახიშვილმა. ნ. მარის შრომებმა უდიდესი როლი შეასრულეს ქართული წინარე ქრისტიანული რელიგიის შესწავლაში. სწორედ ამ თვალსაზრისით აინტერესებდა ნ. მარს ქართული ასტრალური სიმბოლიკით დატვირთული ორნამენტი, როგორც ქართული რელიეფური ხელოვნების ერთ-ერთი დარგი. რა თქმა უნდა, ქართული ორნამენტიკის სიმბოლიკის საკითხი ქართველ ეთნოგრაფთა კვლევის სფეროა, ამიტომ წარმართული დროის ქართულ ხელოვნებაზე საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით ცნობილი ქართველი ეთნოგრაფების: გ. ჩიტაიას, ა.ბარდაველიძის, თ. ოჩიაურის, მ. ჩართოლანის, ს. მაკალათიას, მ. ხიდაშელის და სხვა. ნაშრომებს. მდიდარ ეთნოგრაფიულ მონაცემებში წარმართულ კულტურებთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენებია ასახული. ეს რწმენა-წარმოდგენები ქართველურ ტომთა კოსმოგონიური შეხედულებების ანარეკლია და ამიტომ საყურადღებოა ქართული კულტურის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისითაც. ჩვენი წინაპრების წარმართულ შეხედულებებში ადამიანი ცასთან, მზესთან, ციურ სხეულებთანაა დაკავშირებული. მიკრო და მაკროკოსმოსი ერთიანია, ბუნების ოდნავი ცვალებადობაც კი ადამიანის ბედთან არის დაკავშირებული, ყოველ ადამიანს თავისი ვარსკვლავი ჰყავს, ვარსკვლავის ჩამოვარდნა ადამიანის სიკვდილს ნიშნავს, აღსანიშნავია მიცვალებულისა და „მკვდრის მზის" კავშირი. წარმართული კულტების ნაწილი ქრისტიანულ ღვთიურ სახეებს შეერწყა. მაგალითად, მზის განმასახიერებელი ქალღმერთების წარმართული კულტი ქრისტიანულ რელიგიაში წმ. ბარბალეს სახით გადმოვიდა, მთვარის კულტი – თეთრი გიორგი – წმ. გიორგის სახეს შეერწყა. მითოლოგიური პანთეონი მდიდარია ზოომორფული კოსმოგონიური სიმბოლიკებით, რომლებიც არეკლილია ქართულ ფოლკლორში. მაგალითად, ირმის რქასთან დაკავშირებული სიმბო-

[2] „ლიფანალი" ამავე დროს საახალწლო ციკლის დღესასწაულია, იგი სრულდება ბუნების ძალთა განახლების წინ და ნაყოფიერებისა და გამრავლების იდეას უკავშირდება.

[3] Дж. Фрезер, Умирающие и воскресшие Боги растительности, в кн: Золотое ветро, вып. III, М., 1928, გვ. 28

ლიკა – ირმის რქა – სიცოცხლის ხეს ენაცვლება. რქის მცენარეული გააზრების ტრადიციულობაზე ქართველთა შორის მიუთითებს ვაზთან დაკავშირებული რქის სიმბოლიკა. ტერმინი „ვაქის რქა“ ცხოველისა და მცენარის სხეულებზე წანაზარდთა იდენტურ გაგებას შეიცავდა.

საინტერესოა, ღვთაება დალის ევოლუციის გზა, რომელიც გვიჩვენებს, რომ იგი მამრობით „ჯგრაგთან“ არის დაკავშირებული. დალი ცხოველებისა და ფრინველების, ჯგრაგი კი მცენარეების მფარველი ღვთაება იყო. დალი ბუნების ძალების გამოღვიძებასთან დაკავშირებული მითოსური წარმოდგენაა (ირ. სურგულაძე). ქართულ ენაში დაცულია სამყაროს დიფერენცირებული მითოსური ხედვა, რომელიც სხვადასხვა სიტყვათა შეპირისპირებაში ვლინდება: ქვე-ყანა („ყანა“ – მიწის ზედაპირი), ზე-სკნელი, ქვესკნელი („სკნელი“ – კიდე), ზედა-შე, ქვე-შე, გარე-შე. „ზედაშე“ სულხან საბას ლექსიკონში „შეწირულ ღვინოს“ ნიშნავს. ზედაშე – შესაწირი „ზედა“-სადმი, ღვთაებისადმი, ზეარსებისადმი. „უკანასკნელი“ – („უკუ“ – უკან) „უკუნი“ – მარადისი (საბა). „უკუნი“ – ბნელი წყვდიადია, ბნელ ქვეყანას თვალი არ უდგება, იგი შეუგრძნობი და შეუცნობადია, უცვლელი და მარადისი. ასეთ საფუძველზეა გაიგივებული ბნელეთი და მარადისობა, აქედან „საუკუნო“. „სკნელი“ – კიდე. აქედან „ზესკნელი“ – საბასთან ასეა განმარტებული: „ზეით უმაღლესი კიდე“, „ანგელოზთა“ სამყოფი საუკუნო.

წინარე კლასობრივ საზოგადოებაში ქართველთა წარმართული რელიგიური შეხედულებანი თანდათან დაიხვეწა და გარკვეული იერარქიული წყობის მდიდარი წარმართული რელიგიური პანთეონი შეიქმნა. ქართული მითოსური სახელები იდეურ-ემოციური შეფერილობით დიდ გავლენას ახდენენ ხალხის ცნობიერებაზე. ადამიანები წარმართული კერპების – არმაზის, ზადენის, გაცის, გაის, აინინას, დანაინას, ბოჩის, ბადგინის – სახით ბუნების ძალების გამოვლენას ხედავდნენ. მათი ეშინოდათ, მათთვის ლოცულობდნენ მსხვერპლს სწირავდნენ. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში არქეოლოგიური გათხრების შედეგად წარმართული კულტების სკულპტურული გამოსახულებანია აღმოჩენილი. მაგალითად, 1947 წ. ვანის ნაქალაქევის სამარხებში აღმოჩენილია ძვ. წ. III ს. სამარხი წარმართული კერპის გამოსახულებით. ქ. ფაზისთან დაახლოებით II ს. ძვ. წ. აღმართული ყოფილა ქალღმერთ რეას ქანდაკება, რომელსაც ბერძნ. „კიმფალს“ უწოდებდნენ (მცირე აზიის მთავარი ქალღმერთის „კუბელა – კვიბელის“ მსგავსი), იგი „დიდ დედად“, „ღვთის დედად“ იწოდებოდა. საქართველოს მთიანეთში დღესაც შემონახულია მაგიის, ტოტემიზმის, ანიმისტური მსოფლმხედველობის ნიშნები: ჯვარ-ხატები მთაში, ველური ხარის კულტი და გველის კულტი სვანეთში, ცხენის, ხორბლის, ლაშარის ჯვრის, გუდანის ჯვრის, ფალოსის კულტი, ჯვარ-ხატები წარმართული და ქრისტიანული რელიგიის შერწყმის შედეგია ადამიანთა წარმოდგენებში.

ძვ. წ. IV-III ათასწლეულის მიჯნაზე საქართველო მოფენილია ადრებრინჯაოს ხანის მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლებით, რომელიც ცნობილია მტკვარ-არაქსის კულტურის სახელით. მისი გავრცელების არეალია ქვემო ქართლი მიმდებარე მხარეებით. უხვად აღმოჩენილი კერამიკის, თიხის ჭურჭლებზე აღბეჭდილია სხვადასხვა სიმბოლური კომპოზიციები, გამოსახულია სპირალები – მზის სიმბოლო, სიცოცხლის ხე, რქებგადაგრეხილი ვერძის თავი, წეროები, გველი, ქალის სქემატური გამოსახულებანი. ამ გამოსახულებებში ჩადებულია მზისა და მთვარის კულტის მნიშვნელობები, როგორ ჩანს, ამ პერიოდში უკვე ჩამოყალიბებულია ნაყოფიერების უზენაესი ღვთაებები, დედა-ღვთაება მზის სიმბოლიკით და მამა-ღვთაება მთვარის ნიშნით. ამ უკანასკნელის კულტს უკავშირდება თიხისაგან გამოძერწილი ხარის პატარა სკულპტურები. აღსანიშნავია, რომ მტკვარ-არაქსის კერამიკაზე მოჩანს პიქტოგრაფიული ნიშნები, სულ აღრიცხულია 33 ნიშანი – დამწერლობის უძველესი სისტემის საწყისი.

უმდიდრეს მხატვრულ მასალას შეიცავს თრიალეთის ყორღანები – სამარხები. სამკაულებიდან გვხვდება: საკინძეები, სასაფეთქლე რგოლები, სამაჯურები, მძივები, საკიდები, ღილაკები. განსაკუთრებით ვითარდება საიუველირო საქმე. ძვირფასი ლითონი დახვეწილი ტექნიკითაა შესრულებული. იმდროინდელ ხელოსანთა ოსტატობამ საფუძველი ჩაუყარა ქართულ ოქრომჭედლობას, რომელიც საუკუნეების მანძილზე ქართული საზოგადოების მმართველი ფენის ესთეტიკურ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებდა.

რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს, შუა ბრინჯაოს ხანაში იქ მძლავრი მეტალურგიული კერები არსებობს. აღსანიშნავია ურეკის, ქვიმარის, გაგრის, ბიჭვინთის, ლიხნის განძები. აქ

წარმოდგენილია ბრინჯაოს ფურცლებისგან გაკეთებული ნატიფი ჭურჭელი ასტრალური სიმბოლიკით. აღსანიშნავია ანტროპომორფული და ზოომორფული გამოსახულებების არა მარტო რელიგიური, მაგიური, არამედ ესთეტიკური მნიშვნელობაც.

გვიან ბრინჯაოს ხანის კულტურული ძეგლებიდან აღსანიშნავია ადამიანის სკულპტურული და გრაფიკული გამოსახულებები. მელიღელეს სამლოცველოში მოკვლეულია თიხის ჭურჭელზე გამოძერწილი ქალის პრიმიტიული და სქემატური გამოსახულებები, შიშველი ადამიანების ბრინჯაოს პატარა სკულპტურული ფიგურები. სამისნოებსა და სამლოცველოებში აღმოჩენილია კერპების მაღალმხატვრული სკულპტურული გამოსახულებები. უდავოა, რომ ამ დროის საზოგადოებაში არსებობდა მხატვრული ხელოსნობის ნაწარმი, რომელიც ამასთანავე ესთეტიკური მოთხოვნილების საგანიც იყო.

ამრიგად, მითოლოგია, როგორც საზოგადოებრივი ცნობიერების განვითარების გარკვეულ ეტაპზე წარმოქმნილი მსოფლმხედველობა, უძველესი ხალხების ცხოვრების წესის, სამყაროსთან მათი მიმართების გამოხატვაა. იგი გვიხსნის კონკრეტულ-ისტორიულ პირობებში ეთნიკურად განსხვავებული ხალხების მატერიალური და სულიერი ცხოვრების თავისებურებებს, რაც საფუძვლად ედება ამ ხალხების კულტურული ცხოვრების ჩამოყალიბებას. ძველი ხალხების წარმართული პანთეონები რელიგიური წარმოდგენებითა და საკულტო რიტუალებით ძლიერ ჩამოგავენ ერთმანეთს, რადგან წარმართული რელიგიის ყველა ხალხს ერთი იდეურ-მსოფლმხედველობრივი საფუძველი აქვს – ბუნების კულტი. მაგრამ ყველა ხალხი თავისი ეროვნული ფსიქოლოგიით სხვადასხვაგვარად ავლენს ამ წარმოდგენებს თავის მითოლოგიაში. ვნახოთ ეს მაგალითზე: მხედველობაში გვაქვს ქართული მითოსური აზროვნების შედეგრი „ამირანიანი“, რომელიც დაახლოებით ძვ. წ. II ათასწლეულის II ნახევარშია შექმნილი. იგი შუმერთა „გილგამეშიანს“ (ძვ. წ. IV-III ათასწლეული) ენათესავება, ორივე მითოსური ეპიკური ძეგლის იდეური შინაარსის ძირითადი მოტივი ღმერთთან შებრძოლებაა. იგივე მოტივს ვხვდებით ბერძნულ მითში პრომეთეს შესახებ. თავის მხრივ, აქადურ-შუმერული და ქართული მითოსური აზროვნების ეს იდეური ხაზი (ღმერთთან ბრძოლის იდეა) ბიბლიაში ღმერთთან (უფრო ზუსტად, ღვთის ანგელოზთან) იაკობის ბრძოლას ეხმიანება.

როგორც ვხედავთ, ძველი ხალხების მითოსური წარმოდგენები, სამყაროსთან მითოლოგიურ-მსოფლმხედველობრივი მიმართება საერთო იდეურ-ესთეტიკური პრინციპებით ხასიათდებიან, მაგრამ ყოველ ხალხს მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალური და ორიგინალური მითოსური ხედვა აქვს. ეს კარგად ჩანს გილგამეშის, ამირანისა და პრომეთეს მითოსურ-მხატვრული სახეების შედარებისას.

Lali Ratiani
Professor Doctor Staatlichen Universität Sochumi

STRUKTURELL-SEMANTISCHE MODELLE IM SATZGEFÜGE MIT DEM LOKALSATZ
(Adverbialsatz des Ortes)

Der Lokalsatz erfüllt im Satzgefüge die Funktion einer Adverbialbestimmung des Ortes − gibt den Ort und die Richtung des Geschehens im Hauptsatz an, Er antwortet auf die Fragen: **wo?, wohin?, woher?** und bezieht sich auf das Prädikat des Hauptsatzes. Die Lokalsätze werden durch die Relativadverbien **wo, woher, wohin** eingeleitet, dementsprechend sind sie Relativsätze. Im Hauptsatz treten als fakultative Korrelate die Lokaladverbien: **da, dort, dorthin, hier, überall, nirgends, oben, unten, innen, hierher** u.a. Nach der Stellung im Satzgefüge können die Lokalsätze **Vorder-, Nach** − oder **Zwischensätze** sein.

Wo einer nicht satt wird, können zwei kaum verhungern. (H.Fallada).
Das Brett muss man bohren, wo es am dicksten ist. (Sprichwort).
Hier, wo ich alle Einzelheiten durchgedacht habe, kommen mirBedenken.

Als eine Art der Lokalsätze werden die Nebensätze angesehen, die nicht auf einen konkreten Ort, eine gewisse Richtung hinweisen, sondern die Reichweite des Geschehens im Hauptsatz durch ihre Identifizierung mit der Reichweite des Geschehens im Nebensatz beschreiben, also sie deuten durch Gleichung einer Entfernung mit der anderen auf den Endpunkt hin, bis zu dem sich etwas **räumlich** ausdehnt[4], wie: **der Wald, die Wiese, das Feld, die Stadt, das Dorf, die Siedlung, das Land, der Weg, die Strasse, die Bahn, der Raum** u.a. Als Prädikat im Hauptsatz treten meistens die Verben auf: **liegen, sich dehnen, sich ausdehnen, sich ausspannen, sich ausbreiten, sich ausweiten, sich ausziehen und dergleichen[5].**

Die Nebensätze solcher Art sind Konjunktionalsätze - sie werden durch die Konjunktion **soweit** eingeleitet und antworten auf die Frage - **wie weit**? Als Korrelat fungiert im Hauptsatz das Adverb **so weit,** das fakultativ gebraucht wird.

Soweit das Auge reichte, (so weit) erstreckte sich die Wüste. (Wolf-Dietrich Zielinski)
Soweit mein Blick reicht, (so weit) erstreckt sich der Wald. – Wie weit erstreckt sich der Wald?
Deine Sachen liegen (so weit), soweit du sie mit der Hand erreichst. - Wie weit liegen deine Sachen?

Abgesondert werden die Lokalsätze betrachtet, die sowohl lokale als auch konzessive Bedeutung realisieren können. In solchen Fällen spielt eine entscheidende Rolle die Wortfolge im Hauptsatz - **wenn im Hauptsatz das finite Verb die erste Position einnimmt,** so **wird die lokale Bedeutung realisiert; wenn das finite Verb an der zweiten Stelle steht, so hat der Nebensatz die konzessivc Bedeutung.** Den Lokaladverbien **wo/wohin/woher** wird **„auch (immer)"** zugefügt.

Wo auch (immer) dieser junge Politiker auftritt, **wird er** von Publikum stürmisch applaudiert. (Wo wird er applaudiert? − Lokalsatz)
Wo auch (immer) dieser junge Politiker auftritt, **er wird** vom Publikum stürmisch applaudiert. (Wessen ungeachtet wird er applaudiert) − Konzessivsatz).

Die Lokalsätze fallen in ihrer Form mit Subjekt-, Objekt-, Attribut- und Restriktivsatz zusammen.

Wo das Licht ist, da ist auch der Schatten.
(Wo ist der Schatten? - Lokalsatz).
Die Kinder wollen wissen, **wo** die Mutter die Weihnachtsgeschenke versteckt hat. (Was wollen die Kinder wissen? - Objektsatz).
Wo die Gemälde unseres berühmten Malers ausgestellt werden, interessiert mich sehr. (Was interessiert mich sehr? Subjektsatz)
Die Polizei markiert die Stelle, **wo** es passiert ist. (Welche Stelle markiert die Polizei? - Attributsatz).
Die politischen Aktiven stützten und halfen einander, soweit sie konnten. (Wieweit halfen die politischen Aktiven einander? -Restriktivsatz).

Die strukturell-semantischen Besonderheiten, die die Realisierung der syntaktischen Funktion der Adverbialbestimmung des Ortes durch einen Nebensatz bedingen, können als strukturell-semantische Modelle dargestellt werden.

I

HS-Subjekt	+ Prädikat	+ (Objekt)	+ (Korrelat)	+ wo/wohin/ woher-NS
Subst. Pron. Person,Ding, Erscheinung	Verb-Vorgang, Zustand, Veränderung des Zustandes Indikativ	Subst. Pron.- Person, Ding, Erscheinung	Lokaladv.-da, dort,hier,dort-hin/daher, überall	{Ort, Richtung}

[4] Durch das Vorhandensein des Begriffs der „Räumlichkeit" unterscheiden sich die **soweit** - Lokalsätze von den **soweit** - Restriktivsätzen, die auf die Einschränkungsbedingungen im Hauptsatz hinweisen.

[5] Wolf Dietrich Zielinski - ABC der deutschen Nebensätze. Max Hueber Verlag, 1987. München. S. 170

Die gute Sache ist doch natürlich dort, wo man gegen die anderen, auch gegen sich selbst ehrlich ist.

II

HS-Subjekt	+ Prädikat	+ (Objekt)	+ Korrelat	+ soweit-NS
Subst. Pron. Person,Ding, Erscheinung	Verb-Vorgang, Zustand, Indikativ	Subst. Pron. Ding, Erscheinung	[so weit]	Reichweite

Der Garten dehnt sich so weit, soweit das Auge reicht.

Lokalsatz
(Fragen zur Selbstkontrolle)

1. Welche syntaktische Funktion erfüllt der Lokalsatz?
2. Was gibt der Lokalsatz an?
3. Auf welche Fragen antworten die Lokalsätze?
4. Wie sind die Lokalsätze nach ihrer Stellung im Satzgefüge?
5. Wie sind die Lokalsätze nach der Art ihrer Verbindung mit dem Hauptsatz?
6. Durch welche Adverbien/Konjunktionen werden die **Lokalsätze** eingeleitet?
7. Welche Lokalsätze weisen auf den Ort und die Richtung des Geschehens hin?
8. Welche Lokalsätze geben die Reichweite der Handlung an?
9. Welche Korrelate können im Hauptsatz stehen?
10. Welcher Modus ist für die Lokalsätze üblich?
11. Mit welchen Nebensätzen fallen die Lokalsätze in ihrer Form zusammen?
12. Welche Sätze können sowohl lokale als auch konzessive Bedeutung realisieren?
13. Was ist maßgebend für die Realisierung lokaler oder Konzessives Semantik?

Lokalsatz
Übungen

1. Stellen Sie die Fragen zu den folgenden Lokalsätzen.

l. Gott wohnte dort, wo das dicke schwarze Buch ein Kreuz als Siegel trug. (Erw. Strittmatter). 2. Die Hausmädchen waren schon da. wo die Fabrikantin mit anderen Arbeiterinnen sprach. (Erw. Strittmatter). 3. Das Heimatdorf meines Vaters liegt so weit, soweit der Zug verkehrt. 4. Das spitzige Ziegeldach war schadhaft besonders dort, wo die kantigen Stützbalken des Fachwerks aus dem zerblöckenden Mauerwerk hervortraten. (W. Bredel). 5. Das Spielzeug liegt so weit, soweit es das Kind leicht erreichen kann. 6. Er zeigte mit dem Finger dorthin, woher jemand mit einem großen Stein genau die Mitte der Scheibe traf. 7. Arm sei er, arm wie eine Kirchenmaus, klagte er überall, wo er auch verkehrte. (W. Bredel).

2. Finden Sie die Lokalsätze in den folgenden Satzgefügen.

l. Nur wo das Meer seicht ist, kann man auf den Grund sehen. (Sprichwort). 2. Heidelberg, wo viele Ausländer studieren, ist ein liebliches Städtchen am Neckar. 3. Wo Verdacht einkehrt, nimmt die Ruhe Abschied. (Sprichwort). 4. Wo gehobelt wird, fallen Späne. (Sprichwort). R. Jeder von unseren Mitbürgern versteht, woher der Konflikt kommt. 6. Wo sich die Liebe zur Arbeit gesellt, das erblühen Acker und Feld. (Sprichwort). 7. Der Kameramann fliegt morgen nach Afrika, wo er Aufnahmen von Elefanten machen soll.).

3. Bestimmen Sie die Lokalsätze nach ihrer Stellung im Satzgefüge.

1. Dort, wo die Rosen so schön blühen, sitzt oft stundenlang eine alte Frau. 2.Vorsichtig auf den Zehen schlich sie dorthin, wohin sie nicht gehen durfte. 3. Wo der Himmel frei von dicken Wolken ist, erscheint da manchmal der Mond. 4. Unten, wo er stehen geblieben war, hörte er leise Schritte hinter der Tür. 5. Die Firma beschloss dorthin umzuziehen, wo sie günstigere Arbeitsbedingungen hat. 6. Unten, wo eine Schar Mädchen in hellen Kleidern lachend sprach, blieben die Vorbeigehenden stehen und musterten

sie ungeniert. 7. Dort, wo die Felder stark nach Erde und Tau rochen, machten sie ein paar Minuten Rast. (E.M. Remarque).

4. Setzten Sie richtige Relativadverbien bzw. Konjunktionen in die Lücken ein.

1. Er will weiter reisen dorthin, ... er seit einigen Jahren zu reisen geträumt hat. 2. Ich fand ihn dort, ... ich ihn nicht zu finden glaubte. 3. Jeder war bereit dorthin zu laufen, ... diese gellenden Rufe zu hören waren. 4. Der Himmel war purpurrot da, ... die glühende Sonne untergeht. 5. Gehe dorthin, ... dich dein gesunder Menschenverstand lockt. 6. Überall, ... die Sonne scheint, gibt es hilfreiche und verzeihende Menschen. 7. Der Soldat kroch dorthin ... ... das Krachen von Kanonen zu hören war.

5. Vervollständigen Sie die Sätze durch passende Korrelate.

1. Die Grünfläche des Parks dehnt sich ... ..., soweit die Straße den Park durchquert. 2. ... ..., wo das Wasser ständig braust, ist der Kanal verstopft. 3. Wo er auch vorbeikam, sprach er ... ... von der politischen Lage im Lande. 4. Ich habe vor, bald zu fahren, wo meine Freunde bis heute wohnen. 5. Wohin er auch immer fährt, nimmt er ... ... seinen großen Hund mit. 6. ... ..., wo die Fahrgäste aussteigcn, steht der Schaffner. 7. Die Geologen forschen das Gebiet ... ..., wieweit die Wälder das Gelände bedecken.

6. Verbinden Sie die Satzpaare zu dem Satzgcfüge mit einem Lokalsalz. Ersetzen Sie die Ortsangaben im ersten Satz durch das passende Korrelat.

Muster: Mein Cousin setzt seine wissenschaftliche Arbeit **an der Universität** fort. Hier hat er das Hochschulstudium absolviert.

Mein Cousin setzt seine wissenschaftliche Arbeit **dort** fort, **wo** er das Hochschulstudium absolviert hat.

l. Sie arbeiten **in dieser Fabrik.** Hier können sie ihr berufliches Können verbessern. 2. **In der Vorstadt** wird ein schöner Park angelegt. Früher war dort ein großer Abladeplatz. 3. Wir wollen **aufs Land** fahren. Wir können dort für die Familie Wintervorräte besorgen. 4. Er wohnt im **rechten Hügel.** Hier ist noch nicht alles in Ordnung. 5. Alle laufen **zum Spielplatz.** Dort ist das Feuer **ausgebrochen.** 6. Der Wagen bremste **an der Straßenkreuzung.** Dort stand der Verkehrspolizist. 7. **An einigen Orten** baut man zurzeit vielstöckige Häuser. Einst freuten hier die Grünanlagen das Auge.

7. Vervollständigen Sie das Satzgefüge durch einen passenden Lokalsatz. Bestimmen Sie möglichst verschiedene Relativpronomen.

1. Rechts, ..., ist mein Zimmer. 2. Der Weg ist so weit, ..., 3. Ich möchte für den Sommer dorthin fahren, ... 4. Überall, ..., empfängt man ihn mit stürmischem Beifall. 5. Der Hund läuft dorthin, ... 6. Wir gehen nach links, ... 7. Das Kind bittet die Mutter es dort zu lassen, ...

8. Ergänzen Sie die nachstehenden Lokalsätze durch passende Hauptsätze.

1. ..., wo früher eine Wüste war, ... 2. ..., wohin die glühende Sonne unterging, ... 3. ..., woher die ausländische Delegation gekommen ist, ... 4. ... ..., woher der Waldrand schon zu sehen ist. 5. ... ..., wo jede Wohnung mit Kochnische, Bad und Zentralheizung versehen ist. 6. ..., wo auf das Gewissen kaum ein Mensch achtet, ... 7. ... ..., woher sie ständig leises Weinen wahrnahm.

9. Beantworten Sie die Fragen. Beachten Sie dabei den Gebrauch von in Klammern angegebenen Korrelaten und Lokaladvcrbien

1. Wo werden die Ausgrabungen dieser vorgeschichtlichen Siedlung durchführt? (dort − wo). 2. Woher stammen Sie? (von dort − wo). 3 Wohin unternimmt die Expedition ihre Forschungsreise? (dorthin − wo). 4. Wohin fährt das junge Ehepaar in den Flitterwochen? (dorthin − wo). 5. Woher hat der Verfasser das Zitat genommen? (daher - woher/ von dort − wo). 6. Wo hast du die vorhergehende Woche verbracht? (da − wo). 7. Wo versteckt sich der Verbrecher? (hier − woher).

10. Bestimmen Sie die syntaktische Funktion der Nebensätze. Stellen Sie zu den Nebensätzen die Fragen.

1. Er konnte nicht begreifen, woher die Stimme kam (Brüder Grimm). 2. Schumann fragte, wo seine Leute ein paar Stunden ausruhen und die Pferde etwas bekommen können. (W. Bredel). 3. Der älteste Sohn begann dort zu arbeiten, wo der Vater seinen Berufsweg begonnen hatte. 4. Der König nahm das schöne Mädchen auf sein Pferd und führte es in sein Schloss, wo die Hochzeit mit großer Pracht gefeiert wurde. (Brüder Grimm). 5. Wo der Kaiser begraben liegt, wird ewig ein Geheimnis bleiben. 6. Ich habe

noch ein paar Sachen in dem Haus, wo ich gewohnt habe. (E.M. Remarquc). 7. Drinnen, wo um die zügelnden Flammen ein Kind und ein Weib saßen, war alles magisch beleuchtet. Grimm).

11. Übersetzen Sie die Sätze ins Georgische.

1. Der Alte kehrte nicht mehr dorthin zurück, woher er vor Jahren heimlich geflohen war.
2. Der Soldat kroch dorthin, woher das Krachen von Kanonen zu hören war.
3. Draußen, wo wir am Tage die Mahlzeiten gern eingenommen haben, ist es abends
4. ziemlich kalt.
5. Kehre dorthin zurück, woher du vor Jahren hierher gekommen bist.
6. Überall, wo Menschen hausen, herrscht ein schreckliches Durcheinander.
7. Der Wagen bremst stark dort, wo sich mehrere Straßen kreuzen.

12. Übersetzen Sie die Sätze ins Deutsche.

1. iq, sadac haeri JangbadiT Raribia, Zalian miZneldeba sunTqva. 2. guli mimiwevs iqiTken, sadac yvelaferi yvavis. 3. saidanac is gamoiqca, iqidan miviReT guSin Setyobineba. 4. yvelgan, sadac qalaqebSi mWidro dasaxlebaa, iqmneba sabinao problemebi. 5. is sigrZeSi iqamde gadaxta, sadamdec zRvaris niSani Canda. 6. iq, sadac Zlieri susts Cagravs, Znelia cxovreba. 7. marjvniv, saiTkenac turistuli jgufi gaemarTa, mTebi TovliT iyo dafaruli.

13. Analysieren Sie syntaktisch und morphologisch die Sätze.

l . Wo der beste Wein wächst, trinkt man den schlechtesten. (Sprichwort). 2. Hier liegt Ihnen, wo es scharf um die Ecke geht, ein Stückchen Sackleinen von den Füßen. (H. Mann). 3. Lassen Sie ihn einfach grasen überall, wo was wächst. (Chr. Hirte). 4. Er eilte immer dorthin, wo die Gefahr am bedrohlichsten ist. (R. Carstensen). 5. Wo es weh tut, da greift man hin. (Sprichwort). 6. Dann musste sie fort, wohin ihre Feinde sie schickten. (H. Mann). 7. Dort, wo jetzt der Kampf tobte, hatte ein wilder Ölbaum gestanden. (R. Carstensen).

ლალი რატიანი

სტრუქტურულ-სემანტიკური მოდელები ადგილის დამოკიდებულ წინადადებებში

რეზიუმე

ქვეწყობილი წინადადებების თავისებურებები, რომლებიც სინტაქსური ფუნქციების რეალიზაციას დამოკიდებული წინადადებებით განაპირობებენ, სქემატურად შესაძლებელია წარმოდგენილ იქნენ მრავალრიცხოვანი სტრუქტურულ-სემანტიკური მოდელების სახით.

ნაშრომის მიზანია რთული ქვეწყობილი წინადადებების, კერძოდ ადგილის დამოკიდებული წინადადებების დაწვრილებითი დახასიათება, მათი თავისებურებებისა და სპეციფიკის დადგენა, წინადადებების მოდელებისა და სტრუქტურების თავისებურებებისა და მათი განსაზღვრული სინტაქსური ფუნქციების აღწერა, ცნობილი გერმანელი მწერლების ნაწარმოებებიდან ამოკრეფილი ადგილის დამოკიდებული წინადადებების სახეებით გამყარებული სავარჯიშოების გაცნობა და მათი შესრულების აუცილებლობა, გერმანული ენის შესწავლისას ქართული აუდიტორიისათვის დამახასიათებელი სინელეების გათვალისწინება, გამონაკლისი შემთხვევების გამოვლენა

ილუსტრირებული ენობრივი მასალა გერმანული წინადადების არა მხოლოდ სტრუქტურული თავისებურებების გაცნობის, არამედ ენის შემსწავლელთათვის ენის ჩვევების გაუმჯობესებისა და შესაძლო შეცდომების არიდების გარანტიაა.

Lali Ratiani

Structural - semantic Models in the adverbial clause of place

Summary

The features of complex sentences which condition the realization of syntactic function by the **adverbial clause of place**, schematically they can be presented as numerous structural - semantic models.

The purpose of the paper is to characterize in detail a complex sentence, privately a subject clause, determine their features and specifics, describe models and peculiarities of sentence structures and also present examples on the **adverbial clause of place** taken from famous German authors' works and necessity of doing them. It should be considered difficulties characterized for the Georgian audience during learning German and reveal exceptional cases.

The illustrated language material for language learners is the guarantee not only acquaintance of structural features of German sentences but development of language skills and avoiding of errors.

Sergi Lomadze

Weg des Ruhmes

/Literarisches Porträt

von Frau Gulnazi Charaischvili/
Multiprofilierte Internationale Akademie der Wissenschaften namens Dschumber Ledschawa

Sergi Lomadze

Der Weg zur Spitze
/Literarisches Porträt von Gulnaz Charaischvili/
Tbilisi 2013

MULTIPROFILIERTE INTARNATIONALE AKADEMIE DER WISSENSCHAFTEN NAMENS DSCHUMBER LEDSHAWA

... Symbolisch soll es sein, dass ich diese Person zum ersten Mal in einen von den Räumen des Komplexes des heiligen Sameba-Tempels getroffen habe, der oft den Vertretern der Kunst und ihren schöpferischen Abenden zu Verfügung steht, wo die Kunst innewohnt, wo sich die Kunst eingebürgert wurde.

Es sei erwähnt, dass der kathedrale Sameba –Tempel als zweite Swetizchoweli benannt wurde. Diese Schöpfung, dieses neue Wunder erregt an mir stets die Assoziation des Steinerzeugnisses, aus Stein gefertigtes „Recken im Tiegerfell“. Dieses warmes und poetisches alt Geschöpf ist sowieso gesegnet. Die Farbe seiner grossartigen, grandiosen Wände saugt die Sonne: gesättigt durch die glühenden Sonnenstrahlen, und dann als ob sich der Tempel selbst leuchtete und leuchtete so, wie die Dichtung von ersten Georgier aller Zeiten-Schota Rustaveli, der der echte König der Dichtung war, der noch in den XII - XIII Jahrhunderten lebte und unsere ganze Literatur mit Licht füllte und der bis heute für jeden georgischen Dichter als Gebetsikone/Flehen-Ikone bleibt.

Ich erzähle aber jetzt über eine andere Geschichte. Ich soll ein anderes Thema entfalten. Sameba – Tempel errinert mich an georgische klassische Poesie, die selbst aus Stein gefertigte Poesie ist.

Und ich wiederhole nochmals**: i**ch glaube, es ist symbolisch, dass ich eben in einen von den Räumen dieses Tempels Gesellschaftstätiger, Dichter und Prosaiker, Frau Gulnazi Charaischwili / Shirtladse zum ersten Mal getroffen habe. Es erwies sich, dass sie eine der besten Persöhnlichkeiten unter ihnen ist, die ich irgendwann begegnet bin.

Über Frau Gulnazi habe ich bis zu jenem Tag auch etwas gehört. Zum Beispiel: ich wusste, dass sie literarische Tätigkeit führte und sie Begründerin und Präsidentin der Akademie war, die den Namen des ausgesuchten Wissenschaftlers, Philosophen, mehrfach Rekordhalters Dschumber Ledschawa trägt. Ich wusste auch darüber, dass Fr. Gulnazi Charaischwili die Zeitschrift „Atinati“: gegründet hatte und sie selbst als Redakteur dieses interessanten Unternehmens/Vorhabens tätig ist.

Ich wusste aber nichts davon, dass in ihr so ein treuer und phantastischer Dichter verborgen war, wie es hier in diesen Strophen ausgedrückt ist:

„Das Gedicht beruhigt/trostet mich...
Ich habe Hunger an Gedicht,
Ich habe Durst an Gedicht
Das Leben ist himmelische Gottes-Gnade,
Meine Versen sind wie ein Lüftchen,
Lauscht, hört Singen der Seele.“

Diese Strophe kann als Visitkarte von Fr.Gulnazi Charaischwili angesehen werden, so entält sie Glaube, Weltanschauung, Ansicht, Gedanke des Lebens dieser Menschen, aber das ist doch ein unvollständiges Gesicht/Antlitz-Bild ihrer Seele.

An diesem Tag oder am Tag unserer Bekanntmachung soll ich zugestehen, dass ich ihre Poesie nicht gut und ihre Litaratur überhaupt gar nicht gekannt hatte.

Jetzt bin ich aber in der Lage, auch ihre Bücher mündlich aufzuzählen. Es sind:“ Gedanken", „Ich sehne nach dir“, Gottesmann und Möwe“, „Heiβe, gesottete Tränen“,“Mord im eigenen Haus“,“ Sonnenstrahlen“, „In der Gegend der Seele“, „In den Armen der Sonne“.

Aber damals...

Damals war es nicht so-

Ja(wohl), damals kannte ich die Tätigkeit von Fr. Gulnazi Charaischwili wenig(er). Also, Ich konnte ihre Persöhnlichkeit kaum erkennen.

Ich kann mich nicht gut erinnern, was für eine Veranstaltung damals im erwähnten Raum stattfand, aber ich bin doch in der Lage, mich an diesen Tag klar zu erinnern.In meinem Gedächtnis zeichnet sich ein weiter/breiter, heller Raum aus. Das ist ein als grosser Saal gewordener Unten-Raum des Tempels. Hier wirtschaftet man sich. Es ist ein reger Menschenverkehr. d.h. der Schaffensabend ist noch nicht begonnen. Ich bin nicht allein. Ich bin mit meinem Freund–Dichter Kacha Bazikadze zusammen.Man hat unsere Persöhnlichkeiten einer im soliden Alter gewesenen, vornehmen Frau vorgestellt. Natürlich, ist sie auch nicht allein: mit ihr sind auch Dichter Manana Dangadze(Frau von Komponisten Wadscha Asaraschwili), Nunuka Guralia und v. a. Manana und Nunuka beginnen im gleichen Moment mich und Kacha zu loben, uns in den Himmel zu heben:offensichtlich haben sie einen Wunsch, eine für uns noch unbekannte Frau tief zu beeindrücken. Als solch eine Frau erwies es sich eine ausserwählte, hervorragende, bedeutende, auf einem Gebiet des öffentlichen Lebens Tätiger und Dichter -Frau Gulnasi Charaischwili.

Kurz gesagt, wir haben im Tempel dem grossartigen Tempel ähnlichen und einen warmherzigen Menschen kennengelernt.

Bei der Beziehung, Umgang hat sie sich als eine einfache und unmittelbare Frau gezeigt.Nachdem sie davon erfahren hatte, dass wir beide auch Dichter sind, war sie auβer sich vor Freude. Im gleichen Moment schlug sie uns vor in ihrer Zeitschrift („Atinati“) mitzuarbeiten. Im gleichen Jahr 2012 begannen wir unsere Arbeiten in dieser Zeitschrift zu veröffentlichen. Das Besorgnis von Gulnasi Charaischvili endet sich damit nicht- mit ihrer Hilfe wurden wir von Anfang an in ihrer eigenen Akademie als Dichter-Akademiker eingeschrieben und durch ihre Vermittlung beim Hrr. Nugsar Nadaraia-Präsidenten der Akademie Phasisi erfolgreich ausserwählt worden. Durch ihre Initiative und Energievollheit sind wir wenigstens in Verwirrung geraten. Unsere gegenwärtigen Literaten (und nicht nur Literaten) sind doch leider, zueinander mit Rache und geheimer oder offener Feindlichkeit mehr bekannt, als mit solcher selbstlosen Unterstützung. Frau Gulnazi Charaischwili hat sich als solch ein Mensch gezeigt, neben der sich ringsumher alle und alles zum Besten verändert.

Sie besitzt eine seht gute Eigenschaft, die entsprechend einzuschätzen ist. Es macht ihr Freude, den Anderen Freude zu bereiten.

Vielleicht organisiert sie deshalb z.B. wunderschöne literarisch-musikalisch-wissenschaftliche Abende oder Feierlichkeiten, von dennen einige in meinem Gedächtnis ewig geblieben sind und Spuren hinterlassen haben. Durchführungsort dieser Abende sind öfter, doch Akademie der Künste und Sameba-Tempel; Verschieden sind auch die Städte, wo die Veranstaltungen organisiert werden. Man gibt einen Vorrang natürlich der Hauptstadt-Tbilissi. Mich hat ehrlich gesagt, auch das Treffen in der Stadt Rustavi tief beeindrückt, das die Akademie einem der ausgewählten geistigen Dichter und Schöpfer-dem Vater Thadeos, Mitropolit gewidmet hatte. Dieser Tag fiel mit der Eröffnung der Filiale/ Auβenstelle der Akademie namens Dschumber Ledschawa in Rustavi zusammen.

Die Tatkraft und der Maβstab von Frau Gulnazi Charaischwili kann doch allen in größte Verwirrung/in äuβerstes Erstaunen versetzen. Ich will durch dieses Buch eine konkrete Persönlichkeit wirklich nicht nur einerseits,idialisieren, sondern die Warheit über diese Frau unverblümt sagen, anderseits. Die Wahrheit besteht darin, dass die Frau Gulnazi Charaischwili im gesellschaftlichen Leben steht und es wäre unmöglich und zugleich schwer, sie im heutugen Georgien mit einer anderen Frau zu vergleichen. Unter anderem habe ich davon nicht einmal gesagt und hier geht es nicht um Kultiwierung dieser Persönlichkeit, z.B.wir streben uns zur solchen westlichen Zivilisation(wir bestehen hart darauf, dass wir Europäier sind und die archeologische Reste der ersten Europäier auf dem Territotorium Georgiens aufgedeckt worden sind, eben Georgien und Griechenland (altes Griechenland) betrachten wir als Vätter und Grundleger, die seit langer Zeit prädigen, repräsentative Menschen in ihrem Leben entsprechend einzuschätzen und anzuerkennen. Und ob, dabei wird eine echte Anerkennung verlangt! Was geschieht es aber bei uns....Wir erlebten immer Probleme bei der Anerkennung der Menschen und es happert uns bis

jetzt damit. Groβe Persönlichkeiten dürfen unbemerklich nicht gelassen werden. Ich kann nicht sündigen/verstöβen...und das, dass Frau Gulnazi Charaischwili ihren eigenen klaren Verdienst vor der georgischen Kultur im Allgemeinen hat, soll nicht verborgen werden. In der Tat ist es entsprechend nicht verheimlich worden. Deshalb ist sie doch Akademiker aufeinmal einiger Akademien. Auf Initiative und Anstrengung von Frau Gulnazi Charaischwili wurde, wie ich schon erwähnt habe, vielseitig profilierte internationale Akademie Dschumber Ledschawa gegründet. Das geschah im Jahre 2010. Dazu möchte ich hinzufügen, dass eben Frau Gulnazi Charaischwili auf einen guten Gedanken kam, die Akademie „Kaldea" zu gründen. Es sei erwähnt, dass an der Spitze „Kaldea" gegenwärtig Dichter Wadscha Egrisseli steht.

Frau Gulnasi Charaischwili, die schon sechzig Jahre überschritten hat, verwaltet und führt die Sachen bei der Vervollständigung ihres Verdienstes energisch, wie ein achtundzwanzig-dreiβigjähriger Mensch. Und ehe ich ihre Poesie konkretterweise betreffe, oder ich mich mit der bestimmter Analyse ihrer Poesie beschäftige, könnte ich bis dachin dieses Thema auβer Acht nicht lassen, es nicht berühreren. Jawohl, in manchen Menschen zeichnet sich Vielseitigkeit zu sehr aus. Es geht jetzt um solch einen Menschen, wie Frau Gulnazi Charaischwili ist. Obgleich sie ein groβartiger Dichter und die Poesie ihre Seele, ihr Herz, ihr Leben ist, könnten wir ihr echtes Porträt nicht bekommen, wenn ich nur über ihre Poesie gesprochen hätte.

Führen wir ein Beispiel dazu:

War doch Ilja Tschavtschawadse vor allem kein legendaren Dichter, war er doch kein Künstler?

Jawohl, so ist es!

Hätte doch das Porträt von Ilja, sein Tätigkeitsbereich, Wirkungsareal die Vollständigkeit gehabt, wenn wir uns nur mit seiner Kunst beschränkt, auf seinen Verdienst das Auge zugekniffen und darüber kein einziges Wort hervorgebracht hätten?

Selbstverständlich nicht!

Ilja isth durch die Einigkeit der Kunst und seinen Verdienst ins Verzeichn/ in die Liste der zehn gröβten Georgier aller Zeiten eingetragen. Wegen der Vereinigung seiner riesigen Welten (seiner Kunst und gesellschaftlichen Tätigkeit) wurde er als Vater der Nation benannt.

Nein, obwohl ich mit Frau Gulnasi Charaischwili in warmer und freundlicher Beziehung stehe, wage ich es natürlich nicht sie mit dem heiligen Ilja der Gerechte oder sagen wir, dem heiligen Eqvtime, dem Gotessohn zu vergleichen,- darauf würde mich doch Frau Gulnazi scharf kritisieren

und es vor allem ihr nicht gefallen.Ich möchte nur das sagen, dass eben Ilja Tschawtschawadse solch ein Mann und Mensch ist, dem es gelungen war, den gesellschaftlichen Verdienst mit der Kunst ideal zu verbinden und ihre Einigkeit zu bilden. Eqvtime Takaischwili verband mehr gesellschaftliches Verdienst (bis zu der Heldentat erhöht) und die Wissenschaft miteinander, -er war ein groβer Schatzmeister des ganzen Georgiens, ein selbstloser Verteidiger des georgischen Schatzes und ein gtoβartiger Buchkenner-Wissenschaftler.

Gulnazi Charaischvili versucht auch zwei Wege zu vereinigen, zwei klare Bereiche Kunst (Kunst – Wissenschaft) und gesellschaftliche verdienstvolle Leistung einwandfrei miteinander zu verbinden.Dieser Arbeit dient sie ganz leise und kostenlos, ohne auf den Gedanken zu kommen sich mit den Genien zu vergleichen. Was aber von ihrem gesegneten Verstand und Händen gemacht und geschaffen wird, ist alles gut und groβartig, weil Frau Gulnazi Charaischvili ein aufopfernder Idealist, eben Phanatiker-Idealist ihrer Beschäftigung ist.

Und aus diesem Grund, bevor ich beginne, über ihre Kunst zu sprechen, sollte ich unbedingt etwas über ihren Verdienst auch sagen.

Ausser Künstler (Dichter und Prosaiker), ist sie auch Wissenschaftler (eigenartiger Philosoph,) Bibliograph und Journalist, verdiente Kulturschaffender, der jahrelang als Direktor des Kulturzentrums in Tbilissi tätig war.

Wie ich schon erwähnt habe, ist in ihr eine grosse Energie mit den Eigenschaften der Anführerin-Organisatorin vermischt. Sie ist selbst Ideolog sie ergreift die Initiative aller Sachen und beschäftigt sich schnell mit der Verwirklichung grösserer Unternehmen. Ihr ist nicht eigen, die Arbeiten zu verzögern.In unserem Land gibt es einiege (vier-fünf)Akademien, die sie verwaltet hatte. Ausserdem gehört es ihr die Gründungsidee Tbilisser Privatschule („Lampari") namens Sviad Gamsachurdia. Sie wird als Prorektorin dieses Lehranstaltes.betrachtet.

Das ist doch ein unvollstndiges Verzeichnis der Beschäftigungen von Gulnazi Charaischwili.

Als Anführer und Verwalter ist sie absolut ein eigenartiges Phänomen. Ihre Leitung in der Akademie, ihre Beziehung mit den Menschen, so zu sagen, ihre Verkehrspolitik ist Gegenstand einzellner Beobachtung-**Erstauung**-Behandlung. Ich habe doch von ihr gesagt, dass sie im Verkehr eine warme, ab und zu auch

elterlich warme Person ist. Sie ist auch zugleich stark, stolz und einfach--- Vornehmlichkeit und Einfachheit wohnen aufeinmal in ihr zusammen. Ihre seeliche Stärke zeigt sie nicht oft. Sie bevorzugt weich und konfliktlos zu bleiben. Sie verehrt alle um so mehr, sie ist aber entsprechend wenig geschätzt.. (Sie vermeidet nicht die Anderen zu loben, im Gegenteil, sie stellt die Pershönlichkeiten der anderen Menschen oder ihr Verdienst steigernd dar). Bei der Vervollständigung ihrer geschichtlichen Arbeiten soll man sie nicht verhindern, sonst könnte man sich persönliche Kraft dieses grossartigen Vertreters des bekannten Familienamens Charaischwili im Nu spüren. Im gleichen Moment ahnt man, dass es sich nicht lohnt, dem Dirigenten der grössten Angelegenheiten zu stören, als ob sie als Fürstin geboren und aufgewachsen wäre, mit der man sich sehr vorsichtig, ehrend verhalten soll, wenn sie einen guten Einfall hat und du nicht in der Lage bist ihr bei der Verwirklichung dieses Nachdenkens zu helfen oder, einfach dafür keinen Wunsch hast, falls dein Herz, dein Gefühl diese gute Idee nicht begreifen kann...

Sie hat eine groβe Lebenserfahrung; neben den Erfolgen hat sie so viel Missgeschick, Bitteres, Gram, Kummer, Leid, Unglück im Leben erlebt und erduldet, dass sie persönlich felsenstark wurde. Sie bleibt fest nicht nur vor der Hoffnungslosigkeit, sondern auch vor der grossen Tragödie, Aussichtslosigkeit.

Solch ein starkes, fast /nahezu/ die Vollständigkeit erreichtes Individuum ist aber eigensinnig nicht-sie verlässt sich auf sich überschüssig nicht, ihre Eitelkeit fällt nicht auf, im Gegenteil, sie ist immer eng umrahmt-kontrolliert.Wenn es eine Notwendigkeit braucht, kann sie sich zurückziehen, und –anderen zuhören, die Meinungen und Empfehlungen berücksichtigen, wenn sie die Wahrhaftigkeit des Nachdenkens und der Empfehlung sieht...

Auf solche Schattierungen/Nuance ist eben die Politik des Menschenumgangs oder- eine der hauptsächlisten Politiken im Leben aufgebaut.

Frau Gulnazi Charaischwili besitzt die Eigenschaften des Leiters und ist bestimmt ein zielstrebiger, von der Natur kein diktatorischer Mensch. Und das ist auch ihre positive Seite. Die Frau soll die Macht überhaupt nicht lieben. Erinnern wir uns daran, dass in der Vergangenheit der Geschichte, selbst die matriarhaischen Zeiten vowiegend unter der Beobachtung und Anführung einiger Männer vorsichtig verlief. Sie stützt sich auf die Empfehlungen solcher Menschen, die neben ihr stehen. Es sind z.B. Herr Nugsar Nadaraija und Dschumber Ledschjawa, dazu kann ich auch Herr Reso Adamia und ein Paar anderen Menschen nennen, z. B. Metropolit Thadeos, den viele Georgier als ihren geistigen Vater anerkennen.

Frau Gulnazi Charaischwili zeichnet sich in ihrer Akademie durch den demokratischen Verwaltungsprinzipien aus. Aus diesem Grund herrscht dort eine warme, heimische Atmosphäre, erfolgreich ist auch sowohl in der Akademie existierende Zeitschrift "Atinati", als auch alle Veranstaltungen, die im Namen dieser Akademie und ihrer Zeitschrift organisiert werden. Ausserdem hat Frau Gulnazi Charaischwili das erreicht, das die Akademie namens Dscjumber Ledschjawa mehr und mehr öfter neben der ersten Hauptakademie und der Akademie der Physik erwähnt wird. Diese drei Institutionen, wie auch, sagen wir, Tbilisser Staatliche Universität /oder-ein weisser Tempel oder Tempel der Kenntniss –wie sie nicht selten benannt wird/, hinterlässt die Spuren aufs Leben der Hauptstadt.

Über Frau Gulnazi Charaischwili hatte ich bis zum Erscheinen dieses Buches einen einzigen Artikel geschrieben. Ich habe ihren Verdienst und auch ihre sonnenähnliche Poesie schriftlich eben damals zum ersten Mal anerkannt.In diesem Artikel habe ich sie mit dem Helden meines Poems

/dem Dichter Phartas/verglichen, der dem riesigen Ozean entgegenzukämpfen versuchte..Und ist es in der Tat nicht so? Ihre Beschäftigungen, die sie übernommen hatte, sind maβstäblich riesig und umfangreich, wie Ozean, wogegen diese unerschütterliche, träumerische und ideale Frau ab und zu unter vier Augen allein steht.

Ich möchte mich an diese schöpferische Abende erinnern, die im Namen der Akademie Ledschawa unter der Leitung von Frau Gulnazi Charaischwili durchgeführt waren, die oft zu poetischen Feierlichkeiten geworden sind. Ich soll doch meine und die Aufmerksamkeite des Lesers auf zwei Veranstaltungen richten.

Im Januar des 2013 Jahres war im Gebäeude der Akademie der Künste eine der Veranstaltungen durchgeführt worden. Im erwähnten Gebäude des Lehranstaltes hat Frau Gulnazi Charaischwili ein Zimmer gemietet. Man verehrt und unterstützt sie damit, dass man ihr oft auch andere Zimmer/oder Auditorien/ und Säle überlässt. Aus diesem Grund hat sie hier die Möglichkeit, ihre kulturelle Arbeit zu entfalten. Sie hat schnell ringsumher Literaten,/Schriftsteller, Musiker, Maler, Wissenschaftler....gesammelt. Auf diese Weise hat sie ihr kleines kulturelles Keisersreich, Königsreich gegründet.

Unterdessen befindet sich diese Kunstakademie/oder eine der Hochschulen/ neben dem Denkmal von legendären Dichter Zereteli Akaki, dort in der Nähe, als ob diese poetische Umgebung auf dieses Gebäude

übergeht. Es soll nicht zufällig sein, dass eben der Rektor des Lehranstaltes diese im gesellschaftlichen Leben stehende Frau im Gebäude seiner Institution angesiedelt hatte.

Und eben in einem von den Räumen dieses Gebäudes fand im weiβen Monat Januar/drei Wintermonaten. Dezember, Januar, Februar nenne ich als weisse Monaten/eine der Veranstaltungen statt, die ich nie vergesse. Daran nahmen viele Menschen–Alt und Jung,./die -nach Frau Gulnazi als „Norchi Athinathelebi“benannte Kleinen/ Dichter und Prosaiker, Musuker, Wissenschaftler...teil. Unter ihnen habe ich einige Pädagogen, Schuldirektoren und auch die Vertreter konkreter Organisationen, z.B. –Dichter Zabutaschwili Thamaz. –als Vertreter von „Kartu dshgupi'und

ein Paar Geschäftsmänner erkannt.

Schöpferischer Abend verlief von Anfang an bis zum Ende in hoher Stimmung und hatte einige Stunden gedauert. Frau Gulnazi Charaischwili hatte den Dichtern eine gute Möglichkeit gegeben,

um sich zu zeigen. Ihre Gedichte haben Zabutaschwili Thamaz und Bazikadsde Kacha glänzend

auf gesagt und von den anderen ausgesondert. Kacha hat mit seinem als Meisterwerk gewordenes Gedicht„Stürmischer Gebirgspass“,das er in neunziegen Jahren geschrieben hatte, das Publikum fasziniert. Man hat ihn als aller besten und von den anderen ausserwählten Dichter anerkannt. Zabutaschwili Thamas hatte Kacha brüderlich **umarmt** und ihn zu seinem Poesieabend persönlich eingeladen. Wenn doch Frau Gulnazi Charaischwili nicht gewesen wäre, hätte jene Veranstaltung nicht stattgefunden und diese zwei ausgezeichnete Dichter einander nicht getroffen. An die ähnliche Anerkennung, die Kacha an diesem Tag bekommen hatte, kann ich mich wenig erinnern. Solche Tage sind es nur an den Fingern zu zählen. In meinem Fall, sagen wir, geht es um die Geschichte eines an der Uni organisierten skandalösen Poesieabendes, im vergangenem Jahrhundert des 1996 Jahres. An diesem Abend waren dieselber Bazikadse Kacha und Suchbaja Giorgi/ Suchba/ gewesen, die nach einem Jahr ähnlicherweise anerkannt wurden**.** Dann war, sagen wir, 2003 Jahr, als mein Bruder Lomadse Waso und ich an einer der Poeten-Abenden, Poetenversammlungen teilgenommen hatten. Ich soll mich auch unbedingt an 2005 Jahr erinnern, als wir das Buch „Weisser Traum“von meiner Gruppe –Sgwari“ veröffentlicht haben. /das Buch haben wir nach dem Namen unseres musikalischen Klipps benannt/und Suchba hat sich eben mit diesem Buch und durch poetische Abende jenes Jahres besonders gut gezeigt...

2013- das Jahr, als Frau Gulnazi Charaischwili nicht nur uns -Kacha, Zabutaschwili Tamaz,

mir und auch den anderen einen ähnlichen Feierabend durchgefhrt hat.

Diesem Abend wonten unter anderem der bekannte Wissenschaftler Gia Kwaschilawa und sein naher Verwandte – auch Wissenschaftler Nugzar Kwaschilawa bei, der Vater des Dichters Gigi Kwaschilawa ist. Man hielt diesen Dichter für einen grosser Künstler seiner Zeit mit heller Zukunft. Unter meiner Beobachtung meisterte er die Dichtungskunst während zwei Jahren und machte auch Fortschritte dabei (nein, man kann natürlich die Poesie nicht lehren, aber es ist möglich, poetische Angaben im begabten Menschen, Mann zu verstercken und zu erhöhen).Zuletzt hat er doch die Kunst verlassen. Ich habe mich an Gigi in meinem Auftreten errinert. Nach der Beendigung des Abendes hat sein Vater, Herr Nugzar mir die Hand gedrückt und mir gesagt, dass es gut war / sei, daβ ich alte Freunde nicht vergesse. In der Tat / wirklich versuche ich niemanden zu vergessen.

Der zweite Tätigkeitabend ist im Februar des 2013 Jahres in von mir einigesmal erwähnten Raum des Sameba –Tempels stattgefunden. Der Initiator und Organisator dieser grandiosen Veranstaltung war natührlich Frau Gulnazi Charaischwili und es war uns so, als ob alles um sie drehete und kreiste. Der Abend war auch groβartig. Der Raum war doch gröβer und es waren mehr Leute gekommen. Diese Versammlung – dieser Feiertag hatte einige Stunden gedauert. Anschlieβend waren die Maenchen müde und die Reihen der Anwesenden dünner geworden, wie es gewöhnlicherweise in solcher Situationen vorkommt, aber die Gebliebene hielten bis zum Ende auf.

Ich halte diesen Abend für die georgische Kulturkonferenz, den ich gut behalten habe. Formell war diese Veranstaltung solcher Anthologie des georgischen Schaffens gewidmet, die in der Akademie, von Frau Gulnazi ausgegeben wurde. (erster Band); Einige hundert Menschen haben sich doch in jenem heiligen Raum nicht nur wegen dieser Schöpfnung, dieser Erschaffung versammelt; nein, sie interessierten sich noch für mehr, - sie hatten Intersse überhaupt dafür, was es in georgischer Kultur neuerer Zeit geschieht, die ihren Anfang von den wütenden neunzigen Jahren des vergangenen Jahrhunderts nimmt; Ob es Reneseance hinsichtlich der Kultur in uns wirklich gibt und wenn es so was gibt, was geschiet es mit dem Land vom Standpunkt der Politik, warum sichere Stellung bis zum Ende einen festen Fuss noch nicht gefasst hat? Man sagte auch, dass die Hoffnung auf die Zukunft jetzt mehr klarer geworden ist – wollen wir mal sehen...

Dem Abend wohnten die Präsidenten einiger Akademien bei; - dabei war auch der Mann, dessen Namen die Akademie trägt. – *Dschumber Ledschawa*; Unter den Anwesenden waren auch die führenden Mitglieder des Schriftstellerbundes Mischweladze Reso und Gonaschwili Makwala, sie haben dort an jenem Abend der Frau Gulnazi Charaischwili Mitgliedszeugnis des Schriftstellerbundes überreicht...Dort gab es auch Lieder, wissenschafliche oder abenteuerliche Erinnerungen / Memuarartige Auftreten, direckte Buch – Lesungen und natürlich – die Poesie, ihre Meistet Poesie, erst klassige Kunst. Von den Dichtern habe ich mich einige gut behalten, unter ihnen – derjenige Zabutaschwili Tamaz, oder sagen wir, Nateladze Qeti und ihre Freunde. Alles war follgenderweise verteiligt: Qeti und ihre Freude vertraten Jugendflügel, Tamazi und seine Gleichältrigen-die Künstler, die mittleren Jahren erreicht haben. Dort waren auch selbstverständlich ältere, auf einem Gebiet des öffentlichen Lebens Tätiger. Eben sie stellten, glaube ich, die Mehrheit dar.

Damit möchte ich das sagen, dass Frau Gulnazi Charaischwili im Stande ist, die Menchen in allen Alter leicht zu versammeln, sie zu einem Ziel, einer Sache zu vereinigen. Das ist natürlich eine Eigenschaft der Leiterin, die Eigenschaft einer guten Menschen. Eben die ähnlichen Menschen schaffen die Legenden und ihr charismatisches Aussehen bleibt doch auf die durch die Zeit zerriessenen Blätter der Geschichte. Frau Gulnasi ist in der Tat der Mensch der Zuckunft. Heute ist es leider schwierig, sie bis zum Ende zu erkennen und sie entsprechnd einzuschätzen. Solche Menschen sollen, meiner Meinung nach, von der Regierung zeitig unterstützt werden. Sehr schade, dass sie keine Wohnung in Tbilissi hat und sie gezwungen ist, aus Rustawi in die Hauptstadt anzukommen, um ihre grossen Ideen und Pläne zu vervollkommnen; Es tut uns Leid, dass sie alles persönlich bis auf Kleinichkeiten und auch schwere Finazielle Probleme erledigen soll... Akademie, Zeitschrift, Bücher, Tätigkeitabende- alles braucht viel Arbeit und Geld, auβerdem ist es nicht leicht die Beziehungen mit den Geschäftsmännern und Banken Kontakte aufzunehmen. Ohnehin ist diese Frau eine der Stützen der georgeschen Kultur, eine der Muttersäule. Gott begnade sie, damit sie nicht hinfällt, sonst wäre es schwer, die von ihr angefangen Arbeiten bis zum Ende zu führen. Solche Menschen sollen hochgeschätzt und auf Staatsebene unterstützt werden. Die Kultur ist doch Geist des Staates! Aber die Vertreter der sowohl Volks – als auch elitaren Kultur sollen von den höhen Persönlichkeiten der Regierung und der Kirche einen festen Rücken haben; Solche F orderungen sollten aber vor den Staatsbürgern gestellt werden. In unserem land geschiet es aber alles umgekert: mehr aktiv sind die kirchlichen Beamten (gut das sie doch aktiv sind).

-z.B. im Jahre 1996 nachdem die Akademiker – Tschitaia, Mirzchulawa und Nadaraia (die erste und zweite ehemalige Präsidenten dieser Akademie), die Akademie Phasis wiederhergestellt hatten, haben sie Kathalikos Patriarch, den heiligsten und seeligsten, Ilja der Zweite als Ehrenpräsident eingeladen, hat er ihnen seine Zustimmung gegeben. Der Patriarch hat diesen grossen Wissenschaftlern, bei ihren Beschäftigungen nicht einmal seine Hilfe geleistet. Bei der Verwirklichung dieser Arbeiten haben sich auch andere Persönlichkeiten aus der kirchlichen Welt gemischt.

Frau Gulnazi hatte einen fersten Rücken von dem selben Metropolit Thadeos, der dem von mir äbeschriebenen Abend im Sameba – Tempel beiwohnte..

Die Staatsbürger sollen natürlich mehr aktiv bei der Unterstützung und Förderung der Wohltätigkeit sein...

Kurz nachdem im Sameba – Tempel organiziertem gläzenden Abend lieβ Frau Gulnazi Kacha und mich im selben Monat Februar zu ihr kommen und hat eben uns beauftragt, ihre Akademie am Vesammlungsabend der grossen Akademie Phasisi in der Räumen der Universität Davit Agmaschenebeli (SDASU) vorzustellen. Im Januar –Februar war Kacha wircklich in besten Form gewesen. Er trat glänzend sowohl in der Kunsakademite, als auch im bekannten Raum des Sameba – Tempels auf. Gulnazi Charaischwili hoffte vielleicht darauf, dass sich der auβerwählte Dichter unserer Akademie auch an der Universität namens Agmaschenebeli berühmt machte (preiste). (ohnehin wonnte Kacha auf der Agmaschenebeli Alee – auf der ehemalige Plechanow Alee, - alles ist in der Tat symbolisch im Leben) Es kam so vor: Kacha hat an der Universiatät Davit Agmaschenebeli sein einziges Gedicht – „Graneli – Gott“ aufgetragen. Nach diesem akademischen Abend stand vor ihm eine grosse Reihe der Nähebekanntmachungswilligten Schlange. Als Augenzeuge dieses Erreignisses, har sich der bekannte Dichter Wadscha Egrisseli eben darauf sehr gewundert.

Am demselben abend (bei der Dämmerung) lieβ uns Frau Gulnazi wieder zu ihr kommen und sie sprach über die Durchführug eines neuen Tatigkeitabendes!..

Obwohl meine Freunde und ich seit den neunzigen Jahren hundert erfolgreiche Poesieabende in letzten zwanzig Jahren durchgefürt hatten, wundert mich, versetzt mich in äuβerstes Erschtaunen doch stets Energizität, Massstäbe, Zielsträbigkeit und Standhaftigkeit von Gulnazi Charaischwili: Ihr Denken und

Richten ist fortwährend zur Spitze, zum Hohepunkt gerichtet. Die Spitze – Ewerest, auch – Ialbuzi oder Mkinwarzweri, worauf sich vorgestellte, weisseste Tempel der grossen georgischen Kultur erhoben hat. Die Kultur, die einige Renesaunce enthalten hat, ungeachtet der Weltaufstiege, Feuer oder blutartiger Jahrhunderte. Frau Gulnazi will in diesem Tempel ihre Herzenskerzen anzünden und sie hat das unbedingt machen konnen, weil ihr Beitrag, ihre Kunst besonders ihre Poesie grosartig ist.

Die Dichtung von Gulnazi Charaischwili.

Das ist eine besondere Welt, es ist ene komplizierte Pflicht, sie zu behandeln und analysieren.

Im allgemeinen soll es schwer sein, die Poesie zu beraten, ohnehin in Georgien – im Land der Poesie und Dichtung.

Die Poesie ist die höchste Kunst und das haben wir uns Georgier am besten geeignet.Deshalb haben wir Georgien am meisten–unsere Hauptstadt Tbilissi Jahthunderlang zu wahren Sitz der Poesie, der Dichtung gewandelt. Stellen sie sich vor, hier haben die Sieben grössten Dichter und Persöhnlichkeiten: Rustaveli, Barataschwili, Ilja, Akaki, Vadscha, Galaktioni, Graneli, erfühlt von der poetischen Gesinnng und Gefühl, gewirkt.

თამარ ჯაჭვაძე

„ქალი და ყვავილი ერთია“
(მეუფე თადეოზის სატრფიალო ლირიკა)

ძალიან ბევრი თქმულა და დაწერილა მეუფე თადეოზის (მირიან იორამაშვილის) საერო თუ საეკლესიო მოღვაწეობაზე, მის თავმდაბლობაზე და სათნოებაზე, მის დიდ ადამიანობაზე და ლოცვად ქცეულ პოეზიაზე... ბევრი ჭეშმარიტად ნიჭიერი კრიტიკოსი, შემოქმედი და მეგობარი დახარჯულა ქებად მეუფე თადეოზისა. ამ ფონზე, მე, ნამდვილად ვკადნიერდები, როცა, არ ვიცი რა მაიძულებს, რატომ არ მასვენებს ფიქრი, ან ვინ მკარნახობს იმას, რის თქმასაც ვაპირებ... ეს ერთი მოკრძალებული სიტყვაა მეუფე თადეოზის სატრფიალო ლირიკაზე.

ღმერთი თავად სიყვარულია-ო! – გვასწავლის ეკლესია.

განა სიყვარული არაა, როცა საქართველოზე უზომოდ შეყვარებული მეუფე პოეტი, ერის ტკივილებით საკუთარი მამულივით დაფლეთილი გულიდან ამოიძახებს:

„სიმღერით ირჩენდი ნახმლევ-ნატყვიარებს,
იმედით ცოცხლობდი, მამულო ჩემო.“
(„ჩემო წმინდა ხატო“)

განა სიყვარული არაა, ამაოების წიაღში, რომელსაც ჩვენი ცხოვრება ჰქვია, რომ შეჩერდები სადმე, აგეკვიატება ფრაზები ამავე ლექსიდან: „შენ ხარ ჩემი მზე და ჩემი სალოცავი“. ღიღინებ და, როგორც თვით მეუფეს, შენც ისევე აგტკივდება ყველა ნახმლევი და ნატყვიარი, საქართველოს ციხე-ტაძრებს, მის ცასა და მიწას რომ ატყვია.

განა სიყვარული არაა, როდესაც, „მზით ავსებული დიდი თვალებით“ („წინაპრები“), როგორც ვაჟა ფშაველაზე ამბობს თავადაც წმინდანად ქცეული მგოსნის ტოლი მეუფე – უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის სიცოცხლეზე და დღეგრძელობაზე ლოცულობს, ლოცულობს და ერის სათქმელ ჭეშმარიტებას ღაღადებს:

„თუ საქართველო წმინდა ჯვარია –
ნატრობ, სამოთხის კართან იყოსო...
შენი სიცოცხლე ერს უხარია,
მრავალჟამიერ კათალიკოსო!“
(„შენი სიცოცხლე ერს უხარია„)

განა სიყვარული არ არის, როცა მეუფე ყველა ნაცნობსა და მეგობარს, გმირსა და მამულიშვილს ლექსით ეფერება და ენუგეშება. პატარების უცნაურ სამყაროში შედის და თავადაც

ბავშვივით სუფთა ხელებით იწერს პირჯვარს... ბავშვებთან ერთად ლოცულობს, მათებური სიწმინდით და სიწრფელით:

„პირჯვარს როგორ ვიწერთ
ნახეთ მე და ქეთო,
ქვეყნად უკეთესი
რა უნდა ვაკეთოთ...“
(„მე და ქეთევანი“)

განშტოებებივით გადაგვეწნა სიყვარულზე მამული, სარწმუნოება, მომავალი... მაპატიოს უფალმა, და ეგებ მაპატიოს დიდმა მეუფე-პოეტმა, რომ ურჩი გონება და მოუთვინიერებელი გული, სიყვარულის უცნაური წნულიდან, იმ სტრიქონებისაკენ გამირბის, რომლებიც სხვებზე უფრო მეტად მეჩემა და მეტკინა, მეუფე თადეოზის პოეზიასთან პირველივე შეხებისას:

„წახვალ, ეწვევი საყვარელ თბილისს,
სანამ ეს ქარი ამინდს აურევს...
გული გაქვს შენი ლექსივით თბილი
და ბედნიერი უხმობ ამურებს.„
(„ფიქრები ღამეში“)

მთელი პოეზია მეუფე თადეოზისა ხომ ერთი ჟრუანტელის მომგვრელი ლოცვაა; სიამაყის გამღვიძებელი და იმედის ამღორძინებელი, საქართველოს გაბრწყინებისა და ლაზარესავით აღდგინების წინასწარმჭვრეტი ხარებაა... მაგრამ, სადღაც, კუთხეში მიმალულა სევდა, ერთი ჩვეულებრივი, ადამიანური სევდა. დიდი ტაძრისათვის კენჭის მისატანად გარჯილი ადამიანის ფიქრი გადასკვნია მას და, თვით სიყვარულის სახელში იმალება გარდასულისა და ვერმიღწეულის სევდა. „ერთხელ ხომ მაინც მერქვა პოეტი, ერთხელ ხომ მაინც გამიგეს კარგად.“

შემოქმედის სიდიდეზე საუბარს მრავალი გაურბის, რათა სხვისი ნიჭის აღიარებით, თავად არ მიადგეს ჩრდილი, მაგრამ პოეტისგან მაინც ყველას მიაქვს თავისი წილი. სარკეში მაცქერალივით, მასში ყველა საკუთარ მოსაწონს ხედავს... სწორედ რომ ასე ხდება ამჯერად, მეუფე თადეოზის ლექსის ნექტარს ეწაფება მისი პოეზიის მრევლი და ყველას თავისი წილი სითბო მიაქვს...

ძველი ლექსებიდან – ასეა სახელდებული ლექსთა ციკლი, საიდანაც დიდი მეუფის სიჭაბუკე შემოგვღიმის და ვინ იცის, რამდენჯერ გატეხილი გულიდან ამოყვავილებული სტრიქონები ეფინება ფონად.

„და აუხდენელ ჩემს ნატვრას ისევ
ახირებული სურვილი ჰქვია.“
(„შენ ვერ გაუგე სიყვარულს მზისფერს“)

ეს ლექსადქცეული სევდა ნაგვალევ თვალებში დილის ნამივით ამკიაფებელია ჯადოსნური წვეთებისა... და მერე შეიძლება ვინმეს შერცხვეს გულუბრყვილო ცრემლისა და მალულად მოწმენდა დააპიროს... მას დიდი მეუფე შეაჩერებს და ჩუმად შეახსენებს: „ვის ცრემლის მადლი აქვს ის ღმერთის შვილია...“

და რადგან ასე დიდსულოვნად მიგეტევება ყველა, მეტნაკლები, ცოდვა... გულში სიტყვა – ადამიანური სიყვარული – შემოდის, რომელიც, რომ არც გგონია, უფლისაკენ მიმავალი ერთი პატარა ბილიკი ყოფილა. ამ ბილიკზე შეჩერებულა მარადიული მლოცველი და ღმერთის მაძიებელი პოეტი, შეუხედავს ბილიკზე გაშლილი ყვავილისათვის, რომ საიდუმლოსავით გაემხილა: „ქალი და ყვავილი ერთია.„ მერე უფრო ღრმად ჩაფიქრებულიყო და შენც ჩაეფიქრებინე:

„ყვავილი მიწის ღიმილია, ზეცის შუქია,
სიწმინდის საგალობელია და ბრძენთ უქიათ.
.....
მხოლოდ სიკეთე, სილამაზე, მშვენიერება...
დაე გაგვწმინდოს მისმა მადლმა და მოფერებამ.“
(„ყვავილი“)

ხომ მრავალფეროვანია ქალის სახე ქართულ მწერლობაში; არის ქალი - მებრძოლი, ქალი - დედა, ქალი - სატრფო, ქალი - მოწოდება... მაგრამ როგორი გმირი და მებრძოლიც არ უნდა

იყოს, ქალი მაინც ყვავილია... ყვავილივით სათუთი და საფერებელი. ეს, ღვთიური მადლით მდიდარი თვალის მიერ შემჩნეული, სახეა ქალისა, რომელსაც შეიძლება დაუჩოქო და შეევედრო: „მო, აპრილივით ააყვავე ჩემი ცხოვრება."

ცხოვრების გზაზე ხშირად კარგავენ ადამიანები ერთმანეთს, მერე, გზადშეყრილნი, უცნობებივით ჩაივლიან და მიდიან ამაოებით სავსე ბილიკებით. მიდიან და თან მიჰყვებათ გაფრთხილება მარტოობისა, რომელსაც შეიძლება „არსაყვარელიც" შეეყვარებინა ოდესღაც:

„მე მივყვებოდი ნაწვიმარ ქუჩებს,
გვერდით მომდევდა ქარი ანცობით,
მეჩვენებოდა დავკარგე უცებ
ყველა კარგი და ყველა ნაცნობი."
(„მე მივყვებოდი ნაწვიმარ ქუჩებს")

სიყვარული ღვთიური და ადამიანური, სადღაც ერთდება და ეს მიწიური და ციური გრძნობების კავშირი, თითქოს შერწყმაა ცისა და მიწის, დღისა და ღამის, სიკვდილისა და სიცოცხლის, სააქაოსი და საიქიოსი... მიახლოებაა ადამიანისა უფალთან... „ტკბილ წამებას არ უჩანს უკვე დასასრული.„ გვეუბნება მეუფე თადეოზი და არ შეიძლება აქ ჯვარზე გაკრული მაცხოვარი არ წარმოგვიდგეს თვალწინ. ღვთიური სიყვარულისათვის, ადამიანურის ტკბილი წამებით შემწირველი. „უიმისოდ თუ სიცოცხლეს აქვს რაიმე აზრი?„ - კითხულობს პოეტი და ეს აზრი გასაგები ხდება ყველასათვის, ვისაც ამ „სიცოცხლის აზრთან„ და „ტკბილ წამებასთან„ აქვს თუნდაც შორეული ნაცნობობა, ვისაც შეუძლია ამ ტრფიალის საგნისათვის თავის განწირვა და ტკივილის ატანა... და ასე ნელი სვლით მიახლოება უფალთან, გრძნობათა ლამაზი და მარადიული კვარის შუქზე:

„ხელი შეახე გვედრებ ამ სიმებს,
ჩემი ფიქრების გახდი ზიარი,
თორემ დუმილი სულსაც ამძიმებს,
მარტო საკუთარ სხეულს კი არა.
ამინთე გრძნობის ლამაზი კვარი,
რომ მარტოობის გაჰქრეს სიცივე
და როგორც სივრცეს ავსებს ცისკარი
ამივსე სული მზით და სიცილით.„
(„ხელი შეახე გვედრებ ამ სიმებს„)

სიჭაბუკესთან ერთად მოდის სიყვარული, მოდის გაზაფხულის მობრძანებასავით მარადიული, გაზაფხულივით ლამაზი და მიმზიდველი... მოდის, როცა „გამჭვირვალეა მაღალი ცის კამკამა სივრცე„... და მაშინ „ვგრძნობ გული რაღაც უჩვეულო სიამით მიცემს„.

ადამიანის ცნობიერებაში, სიჭაბუკიდან კი არა, ბავშვობიდანვე, ამ სამყაროს პირველი შეცნობისთანავე, გაზაფხულივით შემოდის უფლის ნათელი და ამ ნათელს ჩვეულებრივი ადამიანური გონება - სიყვარულის სახელს არქმევს, მერე გადიან წლები... „ო, ის ღამეც დროის ქარებს გაჰყვა„... და ამაოების წიაღში გადაშვებული მოკვდავნი ივიწყებენ იმ საოცარ გაელვებას, რომელსაც ხორციელ სურვილს ადარებენ, მერე უკმარისობის გრძნობით სავსე გულით დადიან და ეჩვენებათ: „თითქოს ვინმეს ვახსენდები ისევ, პაემანზე ისევ მეძახიან.„ - ამ სიტყვებით, თითქოს ყველას სათქმელი უთქვამს დიდ მეუფეს... სიყვარული კი, არასოდეს ტოვებს ადამიანს, იგი უფლის ხელივით უხილავია და მარად ჩვენთან მყოფი.

რჩეულთა ხვედრია იმ უხილავი ხელის სითბოს შეგრძნება... იმავე სითბოსთან ფიზიკური მიახლოვება, უფრო მეტად რჩეულთა ხვედრია, ასეთი რჩეული კი, ვინ ვინ და, პოეტი უნდა იყოს, რომელსაც, როგორც საკუთარ თავს, ისე მიმართავს თავად მეუფე-პოეტი: „შენ სულ სხვაგვარად ხედავ სამყაროს...„ ამ სამყაროში კი... რამდენი ცალბილიკია, ვიდრე დიდი ტაძრისაკენ მიმავალ გზას დაადგება მოკვდავი ადამიანი. გულისყურით სმენა ვისაც შეუძლია, მიხვდება, აქვე, ჩვენს გვერდით დადიან მეუფე თადეოზის ლექსები და გვკარნახობენ: „მოსძებნე შენი სავალი გზები.„ („იყო დრო„) ეს სხვა განზომილებიდან ნაკარნახევი სიტყვები, ჩვეულებრივ ადამიანურ ურთიერთობებში, ერთი შეხედვით, ერთი შეყვარებული კაცის ფიცია, რომელშიც თავად უფალი ჩასახლებულა რათა ათქმევინოს:

„მე სიყვარულთან არ მწამს დუელი
და არც მსურს ვინმეს სულში ბნელოდეს,
ჩემზე ერთგულ მგზავრს ქვეყნად ნუ ელი,
კარგად დაფიქრდი და დამელოდე.„
(„იყო დრო„)

როგორც ცალკეული ადამიანის, ისე ზოგადად კაცობრიობის ბიოგრაფიასა თუ ისტორიაში დგება ჟამი, უძღები შვილის ბილიკებს ადევნებისა და უფლის მიერ ნაჩვენები გზიდან გადახვევისა. უფლის ხელი - სიყვარული მაინც არ ტოვებს შეორგულებულ ძეს კაცისას – „მე შენთან ვარ შენი გულის სწორი„ - იგი შენთანაა, იგი არ მიგატოვებს, რადგან კარგად იცის; მოვა რწმენის ასაკი და ერთ მშვენიერ დღეს ყოველი მოკვდავის გულში გაიელვებს მეუფე თადეოზის მიერ დასმული კითხვა: „მაპოვნინე სიყვარული, სად დავკარგე?„ („ექსპრომტად თქმული„) მერე, გულში ისევ ბრუნდება გაზაფხულივით მარადიული სიყვარული და რწმენა, „სიმაისე„ ბრუნდება და მკაცრი და ცივი ზამთრის შემდეგ უფრო მეტად ამშვენებს იერშეცვლილ დედამიწას:

„აპრილია, გაიღიმე,
პირზე ვარდის გაშლით,
აპრილია, გაიღიმე,
აღარა ხარ ბავშვი.„
(„გოგოვ პირი რად იბრუნე„)

უბედური იქნებოდა ადამიანი, სულში უქრობი კანდელივით, რომ არ ენთოს იმედი, იმედი ფიზიკური თანამეწყვილისა და იმედი უფრო მაღალი სატრფოსი. მარადისობის გზაზე დაღლილ და ტკივილებდამცხრალ სულთშესაფარია იმედი, რომელსაც მეუფე-პოეტის სიტყვებით გვიგზავნის წინასწარმეტყველი:

„ამაღამ სტუმრად მეწვევი, ვიცი,
ასე კარგი და ასე კეთილი,
გაზაფხულივით ნაზი და თბილი
მოხვალ, მომიტან მზესა და ღიმილს.„
(„დამონებია ვარსკვლავთა ციმციმს..„)

სიმბოლურად ქცეული „სიყვარულის წვიმა„ მარტო ბუნებაში კი არა, მეუფე თადეოზის პოეზიაშიც „ციდან ეშვება„, და მარადიული წრებრუნვის ძალით, ისევ ზეცას უბრუნდება. „ან რად იცის სიყვარულმა ასე ჩუმი წვალება?„ ალბათ იმიტომ, რომ „მიწად რომ მიიქცევი„, ამქვეყნიური ამაოებისაგან რომ თავისუფლდები, კარგად გახსოვდეს: „ტანჯვით იწმინდება სული„. ამ ხანმოკლე სამყოფელში, ამქვეყნიურ განსაწმენდელში, სადაც მარადიულ გამოცდას გადის ადამიანი, არავის არ უნდა დაავიწყდეს – „სიყვარული არასოდეს მარცხდება„. („არა, ასე არ ხდებოდა, არც ხდება.„)

კიდევ ერთხელ გახსენებს უხილავი სული, რომ სიყვარული ღვთიური ჯილდო ყოფილა, ღირსეულთა ხვედრი. შეიძლება მთელი სიცოცხლე ელოდო, სადმე ადამიანურმა ბუნებამ ამოგაძახებინოს: „შენს ლოდინში აპრილივით მეც გამიჩნდა ჭაღარა„, შეიძლება „ღელისპირს მძინარე„ ნახო, შეიძლება მორცხვი გოგონას სახით გამოგეცხადოს, და თუ ვერ შეამჩნიე, მერე სინანული დარჩება:

„ისე გავბრუვდი, რომ ვეღარ მივხვდი
იგი გოგონა სად გამეპარა.„
(„აპრილის ოინი„)

მარტოშთენილა ადამიანი, საკუთარი ბედის ვერდამნახავი თუ უარმყოფელი რჩება ამაოების გზაზე და ცხოვრების რომელიღაც ეტაპზე მისტირის ბედისწერას; სიყვარულის, ქალის, ყვავილის, მორცხვი გოგონას-აპრილის სახით მის ყოფიერებაში შემოსულს... და ერთეულნი თუ ხვდებიან, რომ ეს ყოველივე უფლის საჩუქარია, მისი სიყვარულივით უჩინარი და ძლიერი ხელია, წუთისოფლის ამაოებით გართული ადამიანისაკენ გამოწვდილი. იგი მარად „შორს და მაინც შენთან არის და შენს სულში ტირის.„

პოეტი ხედავს სიყვარულის გრძნობას, ისევე, როგორც ღვთისკაცი უფალს... პოეტი სხვაგვარად იტკივილებს, როცა ადამიანს სიყვარული აკლდება, ისევე, როგორც ღვთისკაცს

ეტკინება მრევლის რწმენის შესუსტება... პოეტი ხედავს ქალში - ყვავილს, ყვავილში - გაზაფხულს, გაზაფხულში - უფრო დიდ შემოქმედს... ისევე, როგორც ღვთისკაცი ხედავს ლოცვის ნელსურნელებას. მეუფე ხედავს სუნთქვის სიოსაგან გადარწეული სანთლის ალში მოფარფატე იმედს. მეუფე პოეტი ხედავს ჩვეულებრივი თვალისათვის უჩინარქმნილ უფალს, ისევე როგორც ხედავს გაზაფხულს, ყვავილს, ფრინველს, ქალს... გრძნობს ყოვლადძლიერი შემოქმედის მადლს, სამყაროზე თანაბარი ძალით განფენილს.

მარადიული გაზაფხული, ლოცვის სურნელი, რწმენა და იმედი არ მოშლოდეს დიდ მეუფე თადეოზს, მის პოეზიას, მის მრევლს, მის სათაყვანო საქართველოს, ჩვენს საქართველოს, დედა საქართველოს. ამინ!

ბოლოთქმა: ეს სიტყვები მეუფე თადეოზის სიცოცხლეში დაიწერა. მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ ჩვენს გვერდით დადიოდა დიდი მეუფე და მარტო შემოქმედებით საღამოებს კი არა, სიცოცხლეს გვილამაზებდა. დიდმა მეუფემ გააგრძელა თავისი სავალი გზა უფლისაკენ... და კიდევ ერთხელ დაგვანახვა გზა - შემოქმედისაკენ მავალი, გზა უფლისა და ერის სიყვარულისა. გზა ერთი უბრალო და ამასთანავე დიდებული ადამიანისა, გზა პოეტისა და არა მარტო უფლის, არამედ ყოველი გზად შემხვედრი კაცის წინაშე მუხლმოყრით მლოცველი უსპეტაკესი და უბრალოებით ამაღლებული ბერისა... გზა ადამიანისა, რომელსაც, თითქოს თვალნათლივ ვხედავთ, როგორც საკუთარ ეზოში გამოსულ, ტრედთა დამპურებელს, მარადისობის გზაზეც მტედები შესევიან მხრებზე და ღუღუნით დააცილებენ ლოცვად და ლექსად ქცეულ მეუფე პოეტის სულს.

მორჩილებით და პატიების თხოვნით...



მანანა კვატაია

თავისუფლება – სიცოცხლის არსი

(სანდრო ახმეტელის დაბადებიდან 130 წლისთავისათვის)

გრიგოლ რობაქიძეს ეკუთვნის მაქსიმა: "თავისუფლება არის სხივური ელემენტი ადამიანში". ბოლშევიკურ რეჟიმთან დაპირისპირებული 1920-1930-იანი წლების ქართული ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენელთა სულიერი აბრისის ეს უმთავრესი მარკერი მათი ტრაგიკული ხვედრის განმსაზღვრელიც გახდა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცულია სისხლის სამართლის საქმეები, რომლებიც ქვეყნის თუ პიროვნული თავისუფლებისათვის რეპრესირებული ადამიანების სამოქალაქო თავგანწირვის დოკუმენტებიცაა. მათ შორისაა თანამედროვე ქართული თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებლის, რეჟისორ სანდრო ახმეტელის საქმეები, რომლებიც მისი პოლიტიკური ბიოგრაფიის საინტერესო მომენტებს წარმოაჩენს.

ალექსანდრე (სანდრო) ვასილის ძე ახმეტელი 1886 წლის 1 (14) აპრილს სიღნაღის სოფელ ანაგაში დაიბადა. მამა – ვასილ ახმეტელაშვილი ანაგის ეკლესიის დიაკვანი იყო, დედა მარიამ ოდიშელიძე გახლდათ.

1900 წელს სანდრო ახმეტელმა სასულიერო სასწავლებელი დაამთავრა. ოჯახის განჯაში გადასვლის შემდეგ მომავალი რეჟისორი განჯის გიმნაზიის მოსწავლე გახდა. აქედან ჭაბუკი თავისუფალი აზროვნების გამო გაურიცხავთ. ს. ახმეტელი თბილისის გიმნაზიაში აღუდგენიათ, რომლის ინსპექტორი მაშინ ექვთიმე თაყაიშვილი ყოფილა.

თავისუფალი აზრის გამოხატვისათვის სანდრო ახმეტელი 1905 წელს დაუპატიმრებიათ. შემდეგ იგი თელავში გადასულა, სადაც გაუცნია მწერლისა და პუბლიცისტის, ივანე როსტომაშვილის ქალიშვილი ტასო და 1907 წელს მასზე დაქორწინებულა. ამავე წელს მასთან ვაჟი – შალვა შესძენია.

1916 წელს სანდრო ახმეტელმა დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 1910-იანი წლებიდან ის საქართველოს პერიოდულ პრესაში ეროვნული სულისკვეთების პუბლიცისტურ თუ თეატრალურ წერილებს აქვეყნებდა.

1910 წელს ახმეტელმა ქვემო მირზაანში დადგა ალექსანდრე სუმბათაშვილი-იუჟინის "ღალატი", 1919 წელს - თბილისის საოპერო თეატრში დიმიტრი არაყიშვილის "თქმულება შოთა რუსთაველზე". 1920 წელს სანდრო ახმეტელი მიიწვიეს რეჟისორად თბილისის ქართულ თეატრში, სადაც დაუდგამს ს. შანშიაშვილის "ბერდო ზმანია". 1923 წელს კოტე მარჯანიშვილს ახმეტელი თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრში რეჟისორად მიუწვევია. შემდეგ იგი იყო ამ თეატრის მთავარი რეჟისორი, 1926-1935 წლებში – სამხატვრო ხელმძღვანელი.

სანდრო ახმეტელი გახლდათ მსახიობთა კორპორაცია "დურუჯის" დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი (1924), ის იყო კოტე მარჯანიშვილის მოწაფე და მისი მრავალი დადგმის თანაავტორი. მისი რეჟისორობით დაიდგა ს. შანშიაშვილის "ანზორი" (1928), შ. დადიანის "თეთნულდი" (1931), გრ. რობაქიძის "ლამარა" (1930) და ა.შ. პიესა "ლამარა" 1930 წელს მოსკოვში წარმოადგინეს. მისმა რეჟისორულმა გადაწყვეტამ და ეროვნულმა სულისკვეთებამ საზოგადოების ყურადღება მიიპყრო. მიუხედავად ხელისუფლების მოთხოვნისა, პიესა ახმეტელმა რეპერტუარიდან არ მოხსნა. ამავე წელს ბერიას უშუალო ბრძანებით რუსთაველის თეატრი საზღვარგარეთ გასტროლებზე არ გაუშვეს. დოკუმენტური მასალის მიხედვით, აგენტთა დასმენებზე აგებული წერილობითი მოხსენებების საფუძველზე ლავრენტი ბერიამ მოგვიანებით "საიდუმლო განცხადება გაუგზავნა საქართველოს ცკ-ს პირველ მდივან შალვა ელიავას, სადაც კორპორაცია "დურუჯი" გამოყვანილია ნაციონალ-შოვინისტურ, ანტისაბჭოთა ორგანიზაციად და მოითხოვა მისი დახურვა" (მეგრელიძე 2008: 14). "1934 წლისათვის "დურუჯი" უკვე ფაშისტურ ანტისაბჭოთა ორგანიზაციად კვალიფიცირდება" (კიკნაძე 1999: 11).

ცნობილი რეჟისორი პოლიტიკურ საქმიანობაშიც აქტიურად მონაწილეობდა. 1905-1912 წლებში იგი ყოფილა ბოლშევიკთა პარტიის წევრი, 1917 წელს ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, ხოლო "იმავე წელს ამ პარტიის დამფუძნებელ კრებაზე გათიშვის შემდეგ, მან შექმნა რადიკალურ-დემოკრატიული პარტია. 1921 წელს რადიკალურ-დემოკრატიული და ნაციონალურ-დემიკრატიული პარტიები გაერთიანდნენ საქართველოს დემოკრატიული პარტიის სახელწოდებით " (მეგრელიძე 1992: 47-48).

სანდრო ახმეტელი 1922 და 1923 წლებში არალეგალური საქმიანობისათვის დააპატიმრეს, რაც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცული მასალებითაც დასტურდება. 1922 წლის 17 მაისს გაუციათ ახმეტელის დაპატიმრების ორდერი, საიდანაც ირკვევა, რომ რეჟისორი 26 მაისის ნავარაუდევ გამოსვლებში მონაწილეობასთან დაკავშირებით დაუკავებიათ (*ფ. 6, საარქივო №23311, ტ.2, ყუთი 55 – ალექსანდრე ახმეტელის საქმე).* აქვე დაცულია ნაცრისფერი ქაღალდის მეოთხედზე ფანქრით სანდრო ახმეტელის მიერ რუსულად დაწერილი ბარათი: "ძვირფასო ლადო! მე საქართველოს საგანგებო კომისიის განკარგულებით დამაპატიმრეს. შენი საშა. 17. V. 22."

დაკავებული რეჟისორის ანკეტაში მითითებულია, რომ ის არის 34 წლის, დაამთავრა უნივერსიტეტი, გახლავთ ქართული თეატრის რეჟისორი, საქართველოს სახელმწიფო აკადემიური თეატრის მმართველი. აღნიშნულ საქმეში არსებული რუსულენოვანი დადგენილების მიხედვით, 1922 წლის 15 ივლისს გამომძიებელ ვ. ქავთარაძეს განუხილავს "ალექსანდრე ვასილის ძე ახმეტელის (35 წლის, რეჟისორი, უპარტიო) საქმე № 1242, კონტრრევოლუციისა და ჯაშუშობის ბრალდებით". გამოძიებისა და საქმეში არსებული მასალების შესწავლით ქავთარაძეს მიუთითებია, რომ "აღძრული ბრალდება ფაქტიურად არ მტკიცდება" და დაუდგენია: "საქმე №1242 გამოძიებით შეწყდეს და გადაეცეს არქივს. მოქ. ახმეტელისაგან აღებული ხელწერილი გაუქმდეს და ჩამორთმეული ნივთები დაუბრუნდეს". ცნობაში აღნიშნულია, რომ მოცემული საქმისათვის დაპატიმრებული ს. ახმეტელი, რომელიც იზოლირებული იყო 26 მაისის ნავარაუდევი გამოსვლების გამო, ხელმოწერით გაუთავისუფლებიათ.

1923 წლის 8 მაისს სანდრო ახმეტელი უფრო მძიმე მოტივით დაუკავებიათ. მას ამჯერად ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობა და "სამხედრო ცენტრთან" თანამშრომლობა ბრალდებოდა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცულია სანდრ**ო** ახმეტელის მეორე სისხლის სამართლის საქმე **(***ფ.6, საარქივო № 23311, ტ.2, ყუთი 55),* სადაც დაპატიმრების ფურცელში (რუსულად) აღნუსხულია ბრალდებულის ანკეტური მონაცემები: ალექსანდრე ახმეტელი, 36 წლის, უმაღლესი განათლებით, სახელმწიფო თეატრის

რეჟისორი. მისი ოჯახის წევრთაგან დასახელებულნი არიან: მეუღლე ანასტასია, 35 წლის, ტელეგრაფისტი, ორი ვაჟი: შალვა, 16 წლის, ჯუანშერი, 6 წლის.

აქვე ინახება სანდრო ახმეტელის ხელით რუსულ ენაზე დაწერილი ავტოგრაფი – "ბერტრან-დე-ბორნ"-ის მოქმედი პირნი და შემსრულებლები, რომელთა შორის დასახელებულნი არიან რუსთაველის თეატრის მსახიობები: უ. ჩხეიძე, შ. ღამბაშიძე, გ. დავითაშვილი, ა. ვასაძე, ა. ხორავა, თ. ჭავჭავაძე, ც. ამირაჯიბი და სხვები. შევნიშნავთ, რომ ს. ახმეტელის "დოკუმენტებისა და ნარკვევების" სამტომეულის I წიგნში შეტანილ 1923-1924 წლების ერთ-ერთი სარეპეტიციო დღიურში, რომელიც 19 სექტემბრით თარიღდება, ნათქვამია: "რეჟისორ ახმეტელის აზრით, ეს პიესა თავისი ფორმით ყველაზე ძლიერი ექსპრესიონისტული პიესაა.. რეჟისორი თვითონ კითხულობს პიესას რუსულ ენაზე. თარგმანი არ არის დასრულებული და შესწორებული. მთარგმნელს ტ. ტაბიძეს უნდა მოეთხოვოს სასწრაფოდ დაამთავროს ამ პიესის თარგმნა" (ახმეტელი 1978: 226). აქ ყურადღებას იმსახურებს ის გარემოება, რომ "ბერტრან-დე-ბორნის" მთარგმნელი ტიციან ტაბიძე ყოფილა.

დაპატიმრების დღესვე, 1923 წლის 8 მაისს, ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის I განყოფილების უფროსის თანაშემწე ზალპერტს განუხილავს ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის კომენდატურის მიერ დაკავებული მოქალაქე ახმეტელის მიმართ მომზადებული საბრალდებო მასალა და განკარგულება გაუცია: სანდრო ახმეტელი, როგორც ნაციონალ-დემოკრატთა ცენტრალური კომიტეტის წევრი, ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის ციხეში დაეკავებინათ და მიემაგრებინათ I განყოფილებისათვის.

სანდრო ახმეტელის სისხლის სამართლის საქმეში დაცულია რეჟისორის ჩვენება (რუსულ ენაზე, მანქანაზე ნაბეჭდი), რომელიც დათარიღებულია 1923 წლის 10 მაისით: "1917 თუ 1918 წლის დასაწყისში ვიყავი ქიზიყის (ადგილი სიღნაღის მაზრაში) წარმომადგენელი. ადგილობრივმა ინტელიგენციამ "რადიკალ-დემოკრატების გლეხური პარტია" დააარსა. დამფუძნებელ კრებაში არჩევნების შემდეგ ეს პარტია დაიშალა. მე ამ პარტიის ცენტრალურ კომიტეტში შევდიოდი. "რადიკალ-დემოკრატების გლეხური პარტია" იდგა საქართველოს დამოუკიდებლობისა და მთელი მიწის გლეხებისათვის უსასყიდლოდ გადაცემის ნიადაგზე. მოსახლეობის სხვა ფენებს მიწა მიეცემოდათ იმ შემთხვევაში, თუ ისინი მიწას ამუშავებდნენ. მიწის საკითხთან დაკავშირებით ვებრძოდით მენშევიკებს ნორმების გამო და ნაციონალ-დემოკრატებს, როგორც ბურჟუაზიის წარმომადგენლებს. პარტიის დაშლის შემდეგ მე არცერთ პარტიაში არ შევსულვარ."

ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის რწმუნებულ პეტროსიანს 1923 წლის 15 მაისის დადგენილებაში აღუნიშნავს, რომ განიხილა საქმეები ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის შემდეგი წევრებისა: "1. სერგი იოსების ძე დანელიასი, 34 წლის, 2. დიმიტრი ვასილის ძე ჯავახიშვილისა, 40 წლის, 3. მიხეილ საბას ძე ჯავახიშვილისა, 43 წლის, 4. ალექსანდრე ვასილის ძე ახმეტელისა, 36 წლის, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამხობის მიზნით შეიარაღებული აჯანყების, ბანდიტური ჯგუფებისა სხვა დანაშაულობათა ორგანიზების ბრალდებით". ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის თავმჯდომარის მოგილევსკის განკარგულებით, ყველა ზემოხსენებული საქმე შესასწავლად საქართველოს საგანგებო კომისიისათვის გადაუციათ.

1923 წლის 3 აგვისტოს დადგენილებიდან ცნობილი ხდება გამოძიების შედეგები. საქართველოს საგანგებო კომისიის რწმუნებულ ნ. ჟაროვს განუხილავს 36 წლის ალექსანდრე ახმეტელის საქმე № 1293, კონტრრევოლუციაში მის მონაწილეობაზე და მიუთითებია საქმის გარემოებები: "საქართველოს მოსახლეობაში ახმეტელის დიდი პოპულარობის გამო ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურმა არალეგალურმა კომიტეტმა ავტორიტეტისათვის თავის შემადგენლობაში ახმეტელის კოოპტირება მოახდინა. გამოძიებამ დაადგინა, რომ ა.წ. იანვარში ახმეტელი ესწრებოდა დიმ. ჯავახოვის ბინაზე ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის არალეგალურ სხდომას, იცნობდა არალეგალური კომიტეტის მთელ შემადგენლობას და მათი საქმიანობის ნაწილს."

რწმუნებულ ჟაროვს გაუთვალისწინებია ის გარემოება, რომ სანდრო ახმეტელს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დაშლის დეკლარაციაზე მოუწერია ხელი და დაუდგენია: "გამოძიება დამთავრებულად ჩაითვალოს და არქივს ჩაბარდეს. დაპატიმრებული ახმეტელი გათავისუფლდეს. გაჩხრეკისას ჩამორთმეული დოკუმენტები მას დაუბრუნდეს".

მკვლევარ ვასილ კიკნაძეს მოჰყავს ლ. ბერიას მიერ 1930 წელს შედგენილი დოკუმენტი, სადაც მითითებულია: "1923 წელს, "სამხედრო ცენტრის" დაპატიმრების დროს, ახმეტელი მიეცა პასუხისგებაში, როგორც "სამხედრო ცენტრის" აქტიური მონაწილე. 1924 წლიდან ხელმძღვანელობს ანტისაბჭოთა ორგანიზაცია "დურუჯს" თეატრის შიგნით|" (კიკნაძე 1999: 6). ვ. კიკნაძე რეპრესირებული რეჟისორის დევნის ჭეშმარიტ მიზეზსაც გამოკვეთს: "სანდრო ახმეტელი თავის ეროვნულ თეატრს იმ წლებში ქმნიდა, როცა შემოქმედებაში გაბატონებულ ადგილს იჭერდა საბჭოური ინტერნაციონალიზმის დოქტრინა.. ეროვნულის უზენაესობის აღიარებას მისი თეატრისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა" (იქვე, გვ. 8).

დიდი რეჟისორის ბიოგრაფები იმასაც მიუთითებენ, რომ რუსთაველის თეატრში სამხატვრო ხელმძღვანელს - სანდრო ახმეტელსა და წამყვან მსახიობებს – აკაკი ვასაძესა და აკაკი ხორავას შორის დაპირისპირება ხელისუფლებამ ახმეტელის თანამდებობიდან გათავისუფლების საბაბად გამოიყენა.

ახმეტელი სამუშაოდ მოსკოვის "მწვანე თეატრში" გადავიდა. 1936 წლის 19 ნოემბერს ის სწორედ ამ თეატრში დააკავეს და მოსკოვიდან თბილისში ეტაპით ჩამოიყვანეს. მისი დაპატიმრების ბრძანება 1936 წლის 6 დეკემბერს გაცემულა.

დიდხანს გრძელდებოდა სანდრო ახმეტელის წამება. ბერიას მითითებით, დაუძლურებული ახმეტელი მანქანით რუსთაველის პროსპექტზე გაუტარებიათ, რათა ხალხს ენახა, რა ბედი ელოდა "ხალხის მტერს და მავნებელს".

დაპატიმრებულ რეჟისორს ბრალდებოდა ჯაშუშური საქმიანობა ინგლისის დაზვერვის სასარგებლოდ, ასევე, ტროცკისტულ-ზინოვიევური ორგანიზაციის წევრობა, ხელოვნების სფეროში მავნებლური საქმიანობა და თვით სტალინისა და ბერიას ფიზიკური განადგურების განზრახვა. ბრალდების მიხედვით, ახმეტელმა "შექმნა მეამბოხე სამხედრო დაჯგუფებები ბაქოში, სოხუმში, გროზნოში, სტალინირსა და საქართველოს რიგ რაიონებში. ამ მეამბოხე სამხედრო ჯგუფებში პირადად "გადმოიბირა" 35 ადამიანი" (საარქივო.. 2008: 38). ჩეკისტებმა ახმეტელის მეუღლე – თამარ წულიკიძე-ახმეტელიც დააპატიმრეს.

1937 წლის 28 ივნისს რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს ალექსანდრე ახმეტელსა და ამავე თეატრის თანამშრომლებს პლატონ კორიშელს, ელგუჯა ლორთქიფანიძეს, გია ქანთარიასა და ივანე ლაღიძეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით მიუსაჯეს სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა (ქონების კონფისკაციით), ხოლო თამარ წულუკიძე-ახმეტელს, ბუჟუჟა შავიშვილსა და ნინო ღვინიაშვილს - 10 წლით თავისუფლების აღკვეთა.

სანდრო ახმეტელი დახვრიტეს 1937 წლის 29 ივნისს. გადმოცემის მიხედვით, დახვრეტის წინ დიდი რეჟისორის სურვილი ყოფილა, მისთვის ქართველს არ ესროლა, რაც შეუსრულებიათ კიდეც. 1956 წლის 11 თებერვალს საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის გადაწყვეტილებით, სანდრო ახმეტელი და მისი მეუღლე რეაბილიტირებულნი იყვნენ.

დამოწმებული ლიტერატურა:

1. ახმეტელი 1978: ახმეტელი ს. დოკუმენტები და ნარკვევები სამ ტომად, წ. 1, თბილისი: საქართველოს თეატრალური საზოგადოება, 1978.
2. მეგრელიძე 2008: მეგრელიძე გ. რატომ დააჭერინა სანდრო ახმეტელი ლავრენტი ბერიამ? – ჟ. "გუმბათი", 2008, №38.
3. მეგრელიძე 1992: მეგრელიძე გ. სანდრო ახმეტელი და ეროვნული მოძრაობა. – ჟ. "თეატრი და ცხოვრება", №6, 1992.
4. კიკნაძე 1999: კიკნაძე ვ. ახმეტელის პოლიტიკური პორტრეტისათვის. – ჟ. "ხელოვნება", 1999, №9.
5. საარქივო.. 2008: კლდიაშვილი გ., ავალიშვილი ლ. სანდრო ახმეტელის საქმე. – ჟ. "საარქივო მოამბე", 2008, №1 (აპრილი).

სერგი ლომაძე

„მადლშემოსილი"

ველოდი ამ წიგნს და აი, ქალბატონმა გულნაზმა, ბოლო-ბოლო, მაუწყა: მზის სინათლე იხილაო ლუარა სორდიას კიდევ ერთმა ცალკე გამოცემულმა ნაშრომმა და წინ დამიდო პატარა, მაგრამ ბევრისდამტევი წიგნი-ბროშურა - „მადლშემოსილი" („გულნაზ ხარაიშვილის სულის გალობა"). მოკლედ, ერთი დიდი ადამიანი წერს მეორე დიდი ადამიანის

შესახებ, ხოლო სადაც სამართალია, ორივე მათგანი, – ქალბატონი ლუარა, ქალბატონი გულნაზიც, უნდა დარჩნენ ქართული ლიტერატურეს ისტორიაში, როგორც მეცნიერ-ხელოვანნი, და საერთოდ, როგორც დიდმოღვაწენი.

ეს მეორე წიგნია, რომელიც გულნაზ ხარაიშვილს მიეძღვნა. პირველი მე დავწერე („გზა მწვერვალისკენ"). პირველს მეორე სჯობია. ეს უფრო ღრმაა, ყოვლისდამტევი. თანაც აქ ფილოლოგიის სამი დოქტორი ერთად შეკრებილა: თვითონ ავტორი - ლუარა სორდია, წიგნის ტექნიკური რედაქტორი-ლამარა გერგედავა და ბოლოს რეზო მიშველაძე - უცნობილესი მწერალი! (სწორედ იგია წიგნის მთავარი რედაქტორი). აი, ამჯერად როგორი სამეულისაგან უწევს აღიარება ჩვენი აკადემიის უცვლელ პრეზიდენტს!

რაც შეეხება კონკრეტულად ავტორს ნაშრომისას - ქალბატონ ლუარას, იგი თანამედროვეობის ერთ-ერთი უძლიერესი ფილოლოგია ზოგადი ფაქტორისა გამო. მის ფენომენს ყველაზე კარგად ხსნის შემდეგი ხაზი: ლუარამ თავისი ფილოლოგია ფილოსოფია-თეოლოგიას დააფუძნა ისევე, როგორც ეს ქართული ფოლოლოგიის მეფემ-კორნელი კეკელიძემ და მისმა თაობამ გააკეთა თავის დროზე.

მაინც რატომ გააკეთა ეს ამბავი ბატონმა კეკელიძემ? (ასევე- ნუცუბიძემ, სხვებმაც).

პასუხი მარტივია: ჩვენი დიდი ლიტერატურა ჰაგიოგრაფია-ჰიმნოგრაფიას, ანუ სასულიერო მწერლობას ეფუძნება, ამიტომაც მკვლევარი ჩვენებური ლიტერატურისა, ქართველი მეცნიერ-ფილოლოგი, ფილოსოფიაშიცა და ფილოსოფიის უმაღლეს სახეობაშიც-თეოლოგიაშიც (ღვთის სასულიერო- მეცნიერული შემეცნება, ღვთაებასთან მიახლოება პოეტურად ცოდნისმიერი, ლოგოსისმიერი გზით) უნდა ერკვეოდეს.

კორნელი კეკელიძის ხაზი, შემდეგში არაერთმა დიდმა მეცნიერმა გააგრძელა, მათ შორის-რეზო სირაძემ, გრივერ ფარულავამ, ტიტე მოსიამ და სხვებმა. სწორედ ერთი იმათგანია ლუარა სორდიაც ერთ-ერთი ყველაზე უფრო განათლებული ადამიანი, რომლის ყოველი სტატია, ყოველი წიგნი (მათ შორის ზოგი მონუმენტური ნაშრომიც არის) მნიშვნელოვანია. საყოველთაოდაა ცნობილი, რომ ნებისმიერი რანგის, თვით უმაღლესი რანგის ადამიანისთვისაც კი, პრესტიჟულია, თუკი ქალბატონი ლუარა მის შესახებ სტატიას მაინც დაწერს, რაიმე, მცირე რეცენზიას მაინც, ხოლო როცა საქმე თვით წიგნის დაწერას ეხება!..

ო, ეს უკვე ძალიან დიდი ამბავია!..

და ქალბატონი გულნაზი სწორედაც რომ იმსახურებდა ასეთ დაფასებას, – დიახ, ბრწყინვალე ფილოლოგმა ამჯერად სწორედ მასზე შეაჩერა არჩევანი, მას, მის შემოქმედებას მიუძღვნა წიგნი.

ეს წიგნი შედგება თხუთმეტი კარისაგან (თავისაგან), ხოლო ამ თხუთმეტეულში ლამის მთელი სამყაროა ჩატეული. ქალბატონი გულნაზის შემოქმედება განხილულ-გაანალიზებულია მსოფლიო ცოდნის სამზერიდან. აი, ეს კარნი:

მადლით და რწმენით გადარჩენა;
სული ვარ, უკვე ცაში აჭრილი;
მიაყურადეთ, გაიგონეთ სულის გალობა;

სახისმეტყველების ზოგიერთი საკითხი;
ზღვას შევებმები, უნდა გავცურო;
აპოკალიფსურ მხეცთა ნაშიერები;
ლოყას ცრემლით ჯვარი დამეხატა;
ერიდე ქარბუქს, რადგან ირგვლივ დარბის სატანა;
შარაგზას ვეძებ ეკლიან ტყეში;
კვლავ გავუყვები თოვლიან გზას, და თანაც უკვლევს;
მოყვრად გექციოს,(სამშობლოსთვის) სამშობლოს მტერი;
რაა სიცოცხლე?;
მიღმიერთსაც მივწვდი ფიქრით;
პოეტის „სულის ძიძები“;
შემოქმედებითი თავისებურებების ზოგიერთი ასპექტი.

წიგნის ყოველი თავის სათაური აქ იმიტომ ჩავწერე, რომ თუნდაც მარტო ამ სათაურთა გადაკითხვა მიახვედრებს გამოცდილ მკითხველს, თუ რარიგ ღრმა ნაშრომთან გვაქვს საქმე. აქ, ამ კვლევაში, გადააწყდებით სინათლეს ძველი და ახალი აღქმისას, და ასევე-უამრავი ქართველი თუ არაქართველი ლეგენდარული ადამიანის სახელს. აი, როგორი სპექტრითაა განხილული ქალბატონი გულნაზის შემოქმედება, აი, როგორაა, (ლუარასეულად), გააზრებული პოეტისეული (გულნაზისეული) სამყარო.

იბადება კითხვა:

კი მაგრამ, მიუხედავად ყველა დამსახურებისა, მაინც, არის კი ქალბატონი გულნაზი იმ რანგის ხელოვანი, შემოქმედი, რომ მისი პოეზია ასე გაანალიზდეს, ასეთ დონეზე ამაღლდეს? გასაგებია, რომ ის დიდი მოღვაწეა, საზოგადო მოღვაწე, მაგრამ არის თუ არა იგი დიდი სალიტერატურო მოღვაწეც, უფრო კონკრეტულად-დიდი პოეტიც?

ქალბატონი ლუარა თავის წიგნში ამას დამაჯერებლად ამტკიცებს: დიახ, იგი გულნაზ ხარაიშვილის პოეზიას აანალიზებს, როგორც დიდ პოეზიას, და ამას წარმატებით ახერხებს;

ხოლო დანარჩენი მკითხველმა განსჯოს...

როდესაც მე დავწერე წიგნი ქალბატონი გულნაზის შესახებ, ბევრმა ქებით ცაში ამიყვანა (მადლობა მათ!), ხოლო ზოგიერთმა გამაკრიტიკეს კიდეც. მათ გასაგონად ვამბობ, რომ ქალბატონ ლუარას წიგნის გაკრიტიკება გაცილებით უფრო რთული საქმეა. რადგანაც მთელს წიგნს ერთ სტატიაში ვერ გააშუქებ, მაგალითად მოვიყვან მის თუნდაც ერთ თავს: „ლოყას ცრემლით ჯვარი დამეხატა.“ ჯერ მარტო სათაურს დააკვირდით-მეთქი: უკვე თვით ეს სათაურია პოეზია უმაღლესი! ეს ფრაზა, მეცნიერმა, ქალბატონი გულნაზის შემოქმედებიდან ამოიღო, რაც მეტყველებს პოეტის დიდ ხელოვნებაზე, ხოლო წიგნში მოტანილმა სტროფმა, პოეტის ლექსიდან, პირდაპირ გულზე გადამიარა:

„დავცქერი, დაბლა, ცრემლის გუბეებს,
ქვეყნად არ დარჩა სინდისის გროში,
მივდივარ წინ და ვხედავ წუმპეებს,
ვჯავრობ, რომ ვცხოვრობ საშინელ დროში!..“

ო, როგორი ნამდვილია ეს სტრიქონები, და რა ზუსტად დაუწერია პოეტს! და რა ზუსტად შეურჩევია ფილოლოგს საკუთარი წიგნისათვის.

ცრემლი და ჯვარი კი, ჯვარი და ცრემლი, უძველესი სიმბოლიკაა (ქვეყნად არაფერია ახალი, მთავარია, თუ როგორ განაახლებ მათ შენ), რომელიც შესანიშნავად დაასურათხატა პოეტმა. იქვე მოჰყავს, ლუარა სორდიას, პოეტის კიდევ ერთი გასაოცარი ფრაზა, – „გრძნობების ჯვარზე ვარ გადალანდული.“ ატყორცნილი ბოლო სიტყვით -„გადალანდული“, რომელიც რაღაც საოცარ მისტიკურობას ანიჭებს ისედაც მეტაფიზიკურ ოთხსიტყვედს.

ლუარა სორდია წერს: „სევდის დედოფლის“ სული „სევდის ქვაბში“ იხარშება, სულზე

„სევდის ბოქლომი“ ჰკიდია. „საუკუნის ტკივილი“ ამგზავრებია, „ტკივილების გიდია.“

ტერენტი გრანელივით „დარდით თრობა“ დაჰბედებია.

ბევრიც რომ ილაპარაკონ ჩემზე, რომ მჩვევია, როგორც საკუთარი თავის, ისე სხვა ადამიანთა ზედმეტი ქება, მაინც უნდა ვთქვა, რომ აღტაცებული ვარ ლუარა სორდიას თითეული ფრაზითაც კი! თუნდაც აი აქ, რა ზუსტად აქვს ნახსენები იგავმიუწვდომელი ტერენტი გრანელი, ერთ-ერთი ღმერთთაგანი ქართული პოეზიისა! დიახ, თუკი „სევდის დედოფალი“ ახსენე (ვინც არ უნდა მოიაზრებოდეს მასში), იქ „სევდის მეფეც“-წამოგაგონდეს, განა რა გასაკვირია, და ბუნებრივია, ლამაზია, პოეტურია,ამას რომ ქაღალდზე გადაიტან, სიტყვით რომ დაბეჭდავ და შთამომავლობას ასე დაუტოვებ, სიტყვით... მითუმეტეს, თუ – „მადლით და ჭეშმარიტებით“ მკვიდრდება კაცთა შორის ღვთის სიტყვა-ქრისტე.“...

ქალბატონი ლუარას ნაშრომის შესახებ უამრავი რამ მინდა ვთქვა, უამრავი, მაგრამ... სულ ამას ვწუწუნებ: მოკლეა არეალი სტატიისა... რაღა თქმა უნდა, უმჯობესი იყო, რომ ვრცელი წიგნი დამეწერა ამ პატარა წიგნის შესახებ, რომელიც ლუარა სორდიამ ჩვენს დიდებულ გულნაზის მიუძღვნა. დამიჯერეთ, ახლა ისე ვარ ანთებული, აი ახლა, „მადლშემოსილის“ წაკითხვის შემდეგ, რომ ამასაც შევძლებდი, მაგრამ... მაგრამ სწორედ ახლა ვმუშაობთ, „ზღვარის ბიჭები,“ ჩვენი ჯგუფის კიდევ ერთ წიგნზე, რომელსაც, ალბათ თებერვალში დავასრულებთ და ესაა. მოგეხსენებათ, „ზღვარი“ ჩვენთვის ყველაფერი ხშირად ისიც კი გვგონია, რომ ამ ჯგუფამდეც მისი წევრები ვიყავით და საერთოდ, სამარადისოდაც მის წევრებად დავრჩებით. ხომ ყოველი ადამიანი, ხომ ყოველივე, მთელი სამყარო ზღვარია თავისებურად (ანუ- უსაზღვროებაც), მაგრამ ჩვენ – ჯგუფ „ზღვარის“ წევრები, /(მითუმეტეს- ძირითადი წევრები) მაინც განსაკუთრებით და სამუდამოდ აღვიბეჭდეთ ზღაპრის ნიშნით, როგორც სიცოცხლეში, ასევე იქნება, ალბათ, სიკვდილის შემდეგაც, და რაც არ უნდა შეიცვალის, ეს მაინც სამარადისოდ ასე დარჩება. მაგალითად: პირადად მე იმასაც კი ვეღარ ვარჩევ, თუ სად სრულდება კონკრეტულად ჩემი შემოქმედება, და სად იწყება შემოქმედება ჩემი ჯგუფისა (ან- პირიქით). მოკლედ, ჩვენ, „ზღვარელები“ ერთნი ვართ, და როცა საერთო საქმეზე ვმუშაობთ, ჩვენთვის უმთავრესზე, სხვა საქმეებისათვის ნაკლებადღა ვიცლით, თორემ..

თორემ სხვა რა დაუდგებოდა წინ დიდებული ლუარა სორდიას ფილოსოფიური (დიახ, სწორედაც რომ ფილოსოფიური!) წიგნის შესახებ წიგნის დაწერას!

ახლა კი....

თუმცა შეიძლება ოდესმე ამ საქმეს მაინც მოვკიდო ხელი. ხოლო ახლა, ვიმეორებ, რომ ჩვენი შემოქმედებითი ჯგუფის თითოეული წევრი არა მატო ერთობლივად წარმოვიდგენთ „ზღვარის,“ არამედ ცალ-ცალკეც, ჩვენ-ჩვენი ნაღვაწიც კი ვეღარ გაგვისხვავებია ჯგუფის საერთო ნაღვაწისაგან, და ახლა ერთ კონკრეტულ გეზზე ვდგავართ, ამიტომაც სხვა გეზს ვერ ავიღებ: ახლა „ზღვარის“ წიგნს ვამთავრებთ.

სტატიის შემაჯამებლად იმას ვიტყვი, რომ ლუარა სორდიას ნაშრომს თითქმის

ვერსად მოედავები. არის მხოლოდ ერთი თავი - „პოეტის „სულის ძიძები“, სადაც შეიძლება გარკვეული კითხვები დაისვას. მაგალითად: ამ თავში გამოცხადებულია, რომ ვაჟა ეგრისელი შეიძლება უმაღლესი რანგის ნებისმიერ ხელოვანს დაუდგეს გვერდით, როგორც ახალი, ისე ძველი დროისას, და ზოგი სუპერლეგენდარული სახელია, იქვე დაწერილი.

სიმართლეს ვიტყვი:

მე კარგად ვიცი, რომ როგორც ქალბატონი ლუარა, ასევე ქალბატონი გულნაზიც ძალიან აფასებენ ვაჟა ეგრისელის ვრცელ პოეტურ სამყაროს.

თუმცა ისიც ვიცი, რომ ბატონ ვაჟას, ბევრ მომხრესთან ერთად, მოწინააღმდეგეც ბევრი ჰყავს.

რომელი მხარეა მართალი?

მოდით, ეს საკითხი უდიდეს მსაჯულს, დროს მივანდოთ, იშვიათად-მტყუანს, უმეტესად- ყველაზე უფრო სამართლიანს.

დღემდე არიან ქართულ პოეზიაში ხელოვანები, რომელთა შესახებაც კამათი არ წყდება. მაგალითად: არიან თუ არა, ვთქვათ, ნიკო სამადაშვილი, შოთა ჩანტლაძე, გიორგი კორნაპელი, შალვა მჭედლიშვილი, ბადრი გუგუშვილი და ზოგნი სხვანი გენიოსები?

ამ კითხვაზე დღესაც დიდი ყოყმანია, ზუსტად პასუხს კი არა, მიახლოებით პასუხსაც კი ძნელათ თუ ვინმე გაგცემთ. უფრო ის ურჩევნიათ გითხრან: განმიმარტე, ზუსტად რას გულისხმობ სიტყვა „გენიოსშიო“.

საბოლოოდ, იმ პოეტებს, ისევე,როგორც გახმაურებულ ვაჟა ეგრისელს, დრო ყველაზე უკეთ შეაფასებს. დრო ზოგს მოაკლებს რამეს, ზოგს მიუმატებს, თუმცა ყველას თავის ჭეშმარიტ ადგილს მიუჩენს.

ერთი კი ვიცი: თუ შორეულ მომავალშიაც წაიკითხავენ ლუარა სორდიას წიგნებს, ასე იტყვიან ამ ქალბატონის შესახებ: აი იგი, ვინც თავისი ნიჭს ტიტანური შრომისმოყვარეობა შეუზავა და ფილოსოფიურ-ფილოლოგიური შედევრები შექმნა; აი იგი, ვინც ლიტერატურულად დახატა ბატონი რეზო მიშველაძე, ბატონი ვაჟა ეგრისელიც, ქალბატონი გულნაზ ხარაიშვილიც და სხვანიც, და შექმნა ეპოქალური პორტრეტები თავისი დროისა, ლიტერატურულად დახატა თავისი ეპოქაც და სხვაც, რამეთუ იგი თუნდაც გენიალური გალაქტიონისა და გრანელის სახეებსაც ხატავდა თუ აქანდაკებდა სიტყვით... ხოლო რა არის ეპოქა?

ამ ბგერათნაერთს სხვადასხვაგვარი განმარტება აქვს. ჩემთვის კი, ახლა, ეპოქაკონკრეტული დროის სული არის.

საერთოდ?

საერთოდ დროის დიდი მონაკვეთის აღმნიშვნელად უფრო ამბობენ ხოლმე....

ახლა ზამთარია. იანვარი, თვე პირველი, ორი ათას თექვსმეტი წლისა.

გუშინ მაჩუქეს ქალბატონი ლუარას წიგნი.გუშინვე წავიკითხე, როგორც იტყვიან ერთი ამოსუნთქვით, დღეს კი, აი, უკვე დავწერე ეს სტატია; არა, არც შემეძლო. არ დამეწერა, – ძალზე მსურდა, რომ რაღაც მაინც მეთქვა ამ წიგნისა და მისი ავტორის შესახებ!

გამოვტყდები: ამ ნაშრომს, სანამ ცალკე წიგნად გამოვიდოდა, მანამდეც ვიცნობდი, თუმცაღა მისმა მეორედ წაკითხვამ ჩემში გაცილებით მეტი აღტაცება გამოიწვია.

დიახ, როგორც ჩანს, მართლაც საჭიროა, რომ კიდევ და კიდევ მივუბრუნდეთ ერთხელ უკვე წაკითხულ ქმნილებებს...

2016 წელი. თბილისი.

P. S. თუმცა უკვე საშუალო ასაკსაც მივაღწიეთ და ცხოვრებაში თითქმის ყველაფერიც ვნახეთ, მე და ჩემი მეგობრები, ხელოვნება-ფილოსოფიის გარდა, მაინც, თითქმის ყველგან, ჯერაც ისევ ახალმაძიებელთა სტადიაზე ვართ, თითქოსდა ახლად ვეცნობით, ვსწავლობთ, ვეძიებთ, ვეძებთ და ვიკვლევთ სხვადასხვა გზებს (სხვათაშორის, ასეთ ახალმაძიებლებად ვრჩებით, ჯერ-ჯერობით, ვთქვათ, პოლტიკაში.) აი, ხელოვნება-ფილოსოფიაში კი პროფესიონალებად ვთვლით საკუთარ პიროვნებებს, და მინდა აქვე ვთქვა, რომ ქალბატონი ლუარას ნაშრომმა, განსაკუთრებით-სწორედ რომ ფილოსოფიურ – თეოლოგიური თვალსაზრისით, არა მარტო პირადად ჩემი, არამედ-მთელი ჩემი სამეგობროს აღტაცებაც გამოიწვია.

ისტორია

რამაზ შენგელია

გიორგი ალიბეგაშვილი

გიორგი კვესიტაძე

ქართული მეცნიერების ფესვები

ქართული და, ზოგადად კავკასიური კულტურა უძველესი ფესვებითაა ნასაზრდოები. ყოველი ახალი მეცნიერული აღმოჩენა თუ მიდგომა ამ თეზას ამყარებს და კიდევ უფრო უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებს მას.

დმანისში (სამხრეთი საქართველო) აღმოჩენილი ჰომინიდების თავის ქალის ანალიზი გვამცნობს, რომ არათუ უძველეს დროში არსებობდა კავკასიაში მოსახლეობა, არამედ შესაძლოა ეს მხარე ანთროპოგენეზის ერთ-ერთ ძირითად რეგიონადაც განვიხილოთ [68].

მეცნიერებმა უძველესი შუმერული კულტურის აღმოჩენისთანავე გამოთქვეს მოსაზრება, რომ ქართველურ და შუამდინარეთში ხუთი-ექვსი ათასი წლის წინ გავრცელებულ ენებს შორის არსებობდა ურთიერთკავშირი, იმავდროულად მიუთითეს ტოპონიმიკასა და ონომასტიკონში, მითოლოგიის სფეროში არსებულ ყურადსაღებ თანხვედრებზე [4, 60]. როგორც ირკვევა, შუამდინარულ-ანატოლიურ-კავკასიური ეთნიკური და კულტუროლოგიური თანხვედრები შემთხვევითი არ არის, რასაც ადასტურებს თანამედროვე პოპულაციური გენეტიკური და ფილოგენეტიკური კვლევები, რომლებიც ასევე მიუთითებენ სამიწათმოქმედო კულტურის მატარებელი ხალხების აღნიშნულ რეგიონში მოძრაობასა და ნათესაობას [2]. სწორედ მათ შეაქვთ და ამკვიდრებენ ევროპაშიც ცივილიზაციის ძირითად ელემენტებს [69]. ეს კი უპირველესად გულისხმობს მიწათმოქმედებას, მეტალურგიას, დამწერლობას და ა.შ.

არქეოლოგებმა საქართველოს უძველესი დასახლებების ადგილას ჩატარებული გათხრებისას, მეღვინეობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა არტეფაქტთან ერთად არაერთხელ იპოვეს ყურძნის წიპწაც. მათი მორფოლოგიური, ამპელომეტრული და გენეტიკური შესწავლით დადგინდა, რომ საქმე გვაქვს მოშინაურებული ყურძნის ნაირსახეობასთან, რაც ჩვ. წ-მდე 5000-7000 წლებით თარიღდება და უძველესია არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში. მეცნიერები ფიქრობენ, რომ მსოფლიოს უპირველეს ცივილიზაციათა (შუამდინარეთი, ეგვიპტე, ხეთები და შემდგომ – ევროპული ცივილიზაცია) კულტურულ და ეკონომიკურ ცხოვრებაში ღვინის კულტურა სწორედ საქართველოდან მკვიდრდება. საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენელი უძველესი ბიოარქეოლოგიური მასალა ადასტურებს, რომ გვიან ქვისა და ნეოლითურ ხანაში მტკვრისა და არაქსის ხეობებში, სამხრეთ და ცენტრალურ საქართველოში უკვე არსებობდა ვაზის მოშენებისა და მეღვინეობის კარგად განვითარებული კულტურა.

ყურძნის წიპწები აღმოჩენილია სხვა რეგიონებშიც: ირანში, თურქეთში, სირიაში, ლიბანსა და იორდანიაში. თუმცა, საქართველოში მოპოვებული მასალების ასაკი და სახეობათა სრულყოფილება მოწმობს, რომ აქ ვაზის მოშენება და ღვინის დამზადება ქრ.შ.–ბამდე 7000 წლის წინ ან უფრო ადრე უნდა ყოფილიყო განვითარებული.

აღმოსავლეთ და დასავლეთ საქრთველოში არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილია მარნები მიწაში ჩაფლული ქვევრებით. სწორედ ამ ქვევრებში, სპეციალური ტექნოლოგიით დაყენებულმა ღვინომ მიიქცია დღეს მსოფლიოში სპეციალისტთა და ბიზნესმენთა ყურადღება. ღვინის დაყენების ეს უნიკალური ქართული ტექნოლოგია არამატერიალური კულტურის ძეგლადაც იქნა აღიარებული. აღმოჩენილია ასევე ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს, თიხის სასმისები,

რომლებიც ჩვენ წელთაღრიცხვამდე III-II ათასწლეულებით თარიღდება და ხელოვნების ღირებულ ნიმუშებს წარმოადგენენ.

საქართველოში ვაზსა და ღვინოს ღრმა საკრალური დატვირთვაც ჰქონდა. ქართლში IV საუკუნის დასაწყისში ქრისტიანობის საქადაგებლად შემოსულ წმ.ნინოს ხელში ვაზისგან დამზადებული და საკუთარი თმით შეკრული ჯვარი ეჭირა. ამ ფორმის ჯვარი ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის სიმბოლოდ იქცა. ქართული ეკლესიის კარებიც ხშირად საუკუნოვანი ვაზისგან კეთდებოდა ხოლმე. ვაზის თემა ქართული ეკლესია-მონასტრების დეკორში ერთ-ერთი უმთავრესია და მნიშვნელოვან აზრობრივ დატვირთვას ატარებს.

ვაზთან და ღვინოსთან დაკავშირებული დღესასაწაულები და რიტუალები ათასწლეულების წინ იღებენ დასაბამს და ქრისტიანობის მიღების შემდეგაც არ დაუკარგავთ მნიშვნელობა. თვით ღვინო კი უმთავრესი საეკლესიო საიდუმლოებების აღსრულების უმთავრეს ელემენტად იქცა.

წმიდა ნინოს ჯვარი

საქართველო საუკუნეების მანძილზე ღვინის აქტიური ექსპორტიორი იყო. ისტორიული დოკუმენტების მიხედვით, ამ ქვეყნების რიცხვში არა მარტო უშუალო მეზობლები, არამედ საკმაოდ შორეული ქვეყნებიც მოიხსენიებოდა.

დღეისთვის მსოფლიოში ვაზის 4000-მდე ჯიშია ცნობილი. საქართველოში კი ვაზის 450-მდე ადგილობრივი ჯიშია აღწერილი [39, 57].

საინტერესოა საქართველოსთვის (კავკასიისთვის) უმთავრესი საკვების – ხორბლეულის – ისტორიაც. საქართველოს ტერიტორიაზე ჩატარებული გათხრების დროს ხორბალი პირველად კოლხეთის ტერიტორიაზე იქნა აღმოჩენილი, ხოლო შემდეგ შულავერში მიაკვლიეს ჩვ. წ. აღ-მდე V-IV ათასწლეულის ნიმუშებს. პირველ ისტორიულ ცნობებს V-XII საუკუნის ლიტერატურულ ძეგლებსა და საბუთებში, ქართველი ისტორიკოსებისა და შემდეგ კი, სხვადასხვა დროს საქართველოში ჩამოსული უცხოელი მოგზაურების ჩანაწერებში ვკითხულობთ.

ქართველი და უცხოელი მკვლევარების მიერ საქართველოში ხორბლის 14 ბუნებრივი სახეობა არის აღწერილი და რეგისტრირებული. საქართველო ველური ხორბლის წარმოშობის არეალში მდებარეობს, რომელიც ამ ტერიტორიაზე ჯერ კიდევ ნეოლითისა და ენეოლითის ხანაში უნდა ყოფილიყო გავრცელებული. აღსანიშნავია ხორბლის ისეთი სახეობები, რომლებიც ევოლუციურად ახლოს დგანან ველურ სახეობებთან, დღემდე მხოლოდ საქართველოშია შემონახული, მხოლოდ აქ გვხვდება ხორბლის გვარის ევოლუციის დამადასტურებელი უნიკალური ტიპები. საქართველოში რეგისტრირებული და აღწერილია 150-ზე მეტი სახესხვაობა და ჯიშთა დიდი მრავალფეროვნება. ყველაფერი ეს არქეოლოგიურ მასალასთან ერთად ცხადყოფს, რომ ხორბლის ევოლუცია საქართველოში ძველი პერიოდიდან მოყოლებული ინტენსიურად მიმდინარეობდა [70].

ვაზის დეკორი სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარზე

საქართველოში ხორბალსა და პურს ღრმა ეკლესიური დატვირთვაც გააჩნია და დღემდე უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს საზოგადოების ცხოვრებაში.

ისტორიის ქარტეხილებს გადარჩენილი და კავკასიის მაღალ მთებში მოსახლე ხალხი ათასწლეულების საიდუმლოს ატარებს. ამ საკმაოდ მრავალრიცხოვანმა, ეთნოლოგიურად ძალზე მრავალფეროვანმა მოსახლეობამ მრავალი ათეული საუკუნე გამოიარა ერთად და თვალნათლივ მრავალფეროვნებასთან ერთად, მრავალი ასპექტით ერთიანობაც მოიტანა. როცა ვსაუბრობთ ერთიან ქართულ და ზოგადკავკასიურ კულტურებზე, მხედველობაში გვაქვს როგორც გენეტიკურ-

ანთროპოლოგიური [1, 9, 13, 49, 50], ასევე ენობრივი [15] და კულტუროლოგიური სიახლოვე და ხშირად იდენტობაც კი [5, 48, 65]. ქართული კულტურული დომინანტი კავკასიაში განპირობებული იყო საუკუნეების მანძილზე ერთადერთი დამნერლობით (სომხურის გამოკლებით), მეთაური სამეფო დინასტიებითა და გარკვეული რელიგიური ცენტრალიზებით.

დღეს კულტურული ერების უმრავლესობა თავის ეროვნულ მახსოვრობას ქრისტეშობამდე II ათასწლეულის სიახლოვეს იწყებს. ეს არის დრო, როდესაც დიდი მიგრაციები ხდება: გენეტიკური ნაკადების შერწყმა და დაშორება, დღევანდელი გაგებით ერების წარმოქმნა და ა.შ. შუამდინარული, ეგვიპტური, ანატოლიური (ხათურ-ხეთური), ჩინური და ინდური უნიკალური კულტურების აღორძინება; მათი ჩაწერა და არტეფაქტებად ქცევა სწორედ ამ ეპოქაშია დადასტურებული [3, 25]. ამავე პერიოდში იღებს სათავეს დიდი ბერძნული სამყარო და ყველაფერი ამის თანამდევი და თანამონაწილეა ქართული (კოლხურ–იბერიული) კულტურაც [10, 12, 23].

როგორც ჩანს, ერთიანი კავკასიური ეთნიკური სუბსტრატი. ახლო აღმოსავლეთისა და ანატოლიის ერთ-ერთი ძირითადი შემავსებელი იყო და მაღალი საბაზისო კულტურაც მათ დაახვედრეს იქ მოსულ ინდო-ევროპულ ენებზე მოლაპარაკე ხალხებს [11, 20, 21, 32, 43]. მათ შორის დაპირისპირებასა და ურთიერთობების ძიებას მიეძღვნა ჰომეროსის „ილიადა„ და „ოდისეა„, მითი კავკასიონზე მიჯაჭვულ პრომეთეზე და საერთოდ, ბერძნული მითოლოგიის უდიდესი ნაწილი. საყურადღებოა, რომ ბერძნები კოლხეთიდან ცდილობდნენ „მოეტაცათ„ ღვთიური სიბრძნის სიმბოლოდ ქცეული „ოქროს საწმისი„ და ამით ამაღლებულიყვნენ თვისტომებზე [6, 42].

მედეა ბერძნულ ლარნაკზე. ანტიკური ეპოქა

კაცობრიობის საუკეთესო მომავლის იმედად არის კავკასიონზე მიჯაჭვული, ჯერ კიდევ გაუმხელელი სიბრძნის მატარებელი პრომეთე [17].

მედეა, რომელიც იაზონმა და მისმა მეგობრებმა გაიტაცეს ელადაში, კოლხური სიბრძნის პერსონიფიცირება გახლდათ. ოქროს მოპოვება და მეტალურგია, მიწათმოქმედება და მედიცინა, გეოგრაფია და მრავალი სხვა იყო ცოდნის ის სხვათათვის მიუწვდომელი მარაგი, რასაც ასე ეშურებოდნენ ბერძნები და რაც მათთვის ბოლომდე შეუცნობელი დარჩა. მედეამ ისინი ამ სიბრძნეს საბოლოოდ მაინც არ აზიარა, რადგან ცოდნასთან ზიარების მათეული გზა და მიზნები მისთვის მიუღებელი აღმოჩნდა. ვერც მედეასა და იაზონის საერთო შვილებმა გაიხარეს - ამ ორი მონათესავე გენეტიკური და კულტურული სამყაროს ერთიან ორგანიზმად ქცევა ბოლომდე არ მოხერხდა. დაშორება ბევრად ადრე მოხდა და ისტორია პირუკუ ვეღარ დატრიალდებოდა [62].



მედეა ბერძნულ ლარნაკზე. ანტიკური ეპოქა



ქირურგიული სკალპელები. ქართლი. ბრინჯაოს ხანა

მკურნალობის ხელოვნების მედეასეული ცოდნა განსაკუთრებით დღეგრძელი შეიქნა. ბუნებრივი რესურსებიდან აქტიური ნივთიერებების კონცენტრირებით შხამების მიღება, ხოლო მათი განზავებით წამლების დამზადება – ეს არის ის უძირითადესი პრინციპი, რითაც დღესაც თანამედროვე ფარმაცია და, საერთოდ, მედიცინა დღესაც სულდგმულობს. საფიქრებელია, რომ თვით ტერმინი „მედიცინაც„ კოლხეთის მეფის ასულის სახელიდანაა ნაწარმოები. სავარაუდოდ, მხოლოდ ქართულ ენაშია შემონახული ამ ორი ტერმინის (წამალი – საწამლავი) თითქმის სრული იდენტურობა. დაახლოებით 30 საუკუნის შემდეგ გენიალური პარაცელსი იმავეს იტყვის და სხვებთან ერთად საფუძველს დაუდებს დღევანდელი ბიოსამედიცინო მეცნიერების განვითარებას [60, 62].

ოქროს თასი – თრიალეთი. ძვ.წ. XVII ს.

ძველი ბერძენი მწერლები და ისტორიკოსები ხშირად აღნიშნავენ ქართველური ტომების უზადო ცოდნას მეტალურგიაში, ხოლო თანამედროვე მეცნიერების უდიდესი ნაწილი ხაზს უსვამს ამ მეტად მნიშვნელოვანი კულტურული მარკერის ყველაზე ადრე კავკასიასა და აღმოსავლეთ ანატოლიაში გამოჩენას [18, 19, 26, 30, 35]. საქართველოში მეტალურგიის კვალდაკვალ ბრინჯაოს ხანაში ოქრომჭედლობაც უმაღლეს დონეზე განვითარდა, რისი დამადასტურებელი ბევრი არტეფაქტიც მუზეუმებშია დაცული [30].



ვერცხლის თასი. თრიალეთი .ძვ.წ II ათას. დასაწყისი

ძველი კოლხები თურმე დახელოვნებული მოგზაურებიც ყოფილან და მთელი მათი საბატონო ტერიტორია „კირბებით„, მოგზაურთათვის გზის მანიშნებელი ხის დაფებით ყოფილა მოფენილი. მათ ინტენსიური სავაჭრო ურთიერთობები ჰქონდათ დამყარებული ახლო და შორეულ მეზობლებთან და ფაზისზეც

თურმე 120-მდე ხიდი ყოფილა გადებული. თავისებური კოლხური „ოქროდამწერლობის„ არსებობასაც საგანგებოდ მიუთითებენ ძველი ავტორები [7, 17, 56]. სამწუხაროდ, ამ ფაქტზე დღეს მხოლოდ გადმოცემით და ვარაუდით გვიწევს საუბარი, რადგან ძირითადად ხესა და ტყავზე დატანილი ტექსტები დროთა განმავლობაში არ შემოგვრჩა. კახეთსა და შიდა ქართლში აღმოჩენილია ქრისტიანობამდელი წარწერები, რომლის წაკითხვასა და დათარიღებას ცდილობენ მეცნიერები. საქართველო ერთი დიდი არქეოლოგიური პოლიგონია და სათანადო სამუშაოების გაფართოება სულ უფრო მეტ აღმოჩენას გვპირდება.

პალესტინის ქართული წარწერა. VI ს. ქრ.შ.-დან

ქართული დამწერლობებზე კი, რომელიც მსოფლიოში არსებულ 14 ორიგინალურ დამწერლობას შორის ერთერთია, დებატები არ წყდება. ვამბობთ „დამწერლობებს„, რადგან საუბარია სხვადასხვა ეპოქაში წარმოქმნილ სამი, მონათესავე სახეობის დამწერლობაზე, რომელნიც სხვადასხვა ისტორიულ ეტაპზე შექმნეს, მაგრამ თანადროულადაც არსებობდნენ და გარკვეულად განსხვავებული ფუნქციაც გააჩნდათ (საეკლესიო, საერო და ა.შ.). აღწერილია ასევე ე.წ. „კრიპტული დამწერლობაც„, რომელიც ძირითადად მთიანი რეგიონის საკულტო და საერო დანიშნულების შენობების ქვებზეა გამოსახული და მოხაზულობით ძალზე წააგავს შუამდინარულ, ეგვიპტურ, ხეთურ, იბერიულ და სხვა დამწერლობის გრაფიკას. მათზე მუშაობა მიმდინარეობს.

ქართული მატიანე აღნიშნავს, რომ „მწიგნობრობა ქართული„ ელინისტურ ეპოქაში (III ს. ქრ.შ.-მდე) შეიქმნა. თუმცა, ამ პასაჟში ზუსტად რა იგულისხმება, ძნელი სათქმელია. ზემოაღნიშნული ქართული დამწერლობები (მრგვლოვანი, ხუცური და მხედრული), როგორც ჩანს, ქრისტიანულ ეპოქაში დაიხვეწა, ახალ ქრისტიანულ იდეას მოერგო და განვითარდა. ისინი თავისი სტრუქტურით ფინიკიური, ძველებრაული და ბერძნული ალფაბეტების მსგავსია.

დიდი ხანია, მეცნიერთა პასუხს ელის კითხვა, თუ ვინ ცხოვრობდა ელინთა მოსვლამდე კონტინენტურ ბალკანეთსა თუ კუნძულებზე, მცირე აზიაში. პელაზგები? მაგრამ რა ენაზე ლაპარაკობდნენ ისინი და ყველა ის ვინც A-ხაზოვანი დამწერლობით წერდა? კუნძულ კრეტაზე ნაპოვნი ფესტოს დისკო, რომელმაც აგერ უკვე საუკუნეზე მეტია თავსატეხი გაუჩინა მეცნიერებს, საბოლოოდ ქართველური (ზანური) ენის დახმარებით იქნა გაშიფრული. ვფიქრობთ, რომ, როგორც კი ეს მეცნიერთა მიერ საბოლოოდ იქნება დადასტურებული და აღიარებული, ბევრ კითხვას გაეცემა პასუხი [38, 65].

თანამედროვე სალიტერატურო ქართული, რომელიც საერთოქართულ ფუძე ენას ყველაზე გვიან გამოეყო, ქრისტეშობამდე III საუკუნეში იქნა აღიარებული სახელმწიფო და სამწიგნობრო ენად. ზანური (მეგრულ-ლაზური) და სვანური ენები, რომლებიც დღესაც არსებობენ, სალიტერატურო ქართულის წინაპრებად მოიაზრებიან და ამ რელიქტური ენების შესწავლა უდიდეს მნიშვნელობას იძენს როგორც ლინგვისტურ, ასევე, ზოგადად, ისტორიულ ასპექტში.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ისტორია თვალით და გონებით მიუწვდომელ სიღრმეებში იკარგება, ლაპარაკი ქართულ კულტურაზე ძირითადად მხოლოდ ქრისტიანული ტრადიციების გათვალისწინებით შეიძლება. მართალია, აქ ძალზე თვალნათლივ იკვეთება წარმართობის დროინდელი პლასტები: ფოლკლორი, წეს-ჩვეულებები, ტოპონიმიკა, ონომასტიკონი და სხვა. ასე მაგალითად, ფორმალური არგუმენტებით დასაბუთებულია, რომ ქრისტიანობასა და ქრისტიანულ ლიტერატურას საქართველოში დახვდა წარმართული ქართული ლიტერატურა, კერძოდ, პოეზია თავისი ტრადიციული ფორმებით [64], მაგრამ, მეორე მხრივ, შემორჩენილი ორიათასწლიანი არქეოლოგიური არტეფაქტები, არქიტექტურა, ეთნოგრაფიული მასალა, ლიტერატურა, მუსიკა, ქორეოგრაფია და ბოლოს, ქართველი (კავკასიელი) კაცის მენტალობა, რომელიც დროის ამ მონაკვეთში ჩამოყალიბდა, ეკლესიასთან მჭიდროდაა დაკავშირებული და შესაბამისად, ქრისტიანულ მორალურ ქარგაზეა მოჭრილი. ყველაფერი ძველი, ქრისტიანობამდელი, ადამიანის გონებით წვდომილი არსად წასულა, არ დაკარგულა, ის ისტორიულ მეხსიერებაში შემოინახა, მეცნიერულ აზრად ჩამოიქნა და საუკუნეების განმავლობაში არაერთხელ იჩინა თავი, საბოლოოდ, რენესანსად მოევლინა კაცობრიობას [51, 52].

ქრისტიანობა პირველად საქართველოში იესო ქრისტეს მოციქულმა – ანდრია პირველწოდებულმა სხვა სამ მოციქულთან (წმ.სიმონი, წმ.მატათა და წმ.ბართლომე) ერთად იქადაგა და აჭარაში (სამხრეთ–დასავლეთი საქართველო) პირველი ეკლესია 38 წელს ააგო. სახელწიფო რელიგიად ქცევას თითქმის სამი საუკუნე და კიდევ ერთი განმანათლებელი – წმ ნინო კაპადოკიელი – დასჭირდა. სირთულე სრულიად ბუნებრივი იყო – კულტურული ერები რელიგიის (მასთან ერთად ტრადიციების, მენტალობის) ცვლას იოლად ვერ ურიგდებიან და მისი გარდაუვალად მიღების შემთხვევაში განსხვავებულ, მათთვის იმანენტურ რელიგიურ ფორმებს ქმნიან [62].

ქრისტიანობის გავრცელებამ და სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამ ხელი შეუწყო ეკლესია-მონასტრებთან სასწავლო დაწესებულებების დაარსებასა და, შესაბამისად, განათლების სისტემის განვითარებას. ბუნებრივია, ქართული სამეცნიერო აზრიც მეოთხე საუკუნიდან მოყოლებული ქრისტიანულ რელიგიასთან კავშირში ვითარდებოდა, თუმცა, როგორც ითქვა, წარსული კავკასიელებს ძალუმად ექაჩებოდა უკან. ეს ის ძალა გახლდათ, რაც თავად აღმოსავლურ ეკლესიაში მრავალი სახის მწვალებლობის აღმოცენების და გავრცელების საფუძვლად იქცა. ფაქტია, ყველა სახის მწვალებლობა რელიგიაში განსჯის, გონისმიერი საწყისის გაძლიერების მაჩვენებელი იყო. მეტაფიზიკურის ფიზიკური კანონებით ახსნის მცდელობა გახლდათ ის არასწორი გზა, რასაც თავისი დროის მრავალი გამოჩენილი, მაღალი ინტელექუალური შესაძლებლობის კლერიკალი ადგებოდა და, საბოლოოდ, შეუვალ წმიდა მამათა მხრიდან ანათემით და სამუდამო წყევლით ამთავრებდა მოღვაწეობას. ძალზე მცირედის ხვედრი აღმოჩნდა, სწორად დაენახა სულიერი და გონიერი განვითარების გზა და მათი ჰარმონიული შერწყმის ოქროს შუალედი ეპოვნა. საქართველოში, ისევე როგორც ეგვიპტეში, ანტიოქიასადა ბიზანტიაში, ქრისტიანობის გავრცელებისა და გაბატონების პირველ ხანებში ჯერ კიდევ მოქმედებდა სკოლები და აკადემიები, სადაც ანტიკური სიბრძნე ძველებური მოცულობით ისწავლებოდა. მომდევნო ხანაში, რასაკვირველია, ეს საფუძვლიანად შეიზღუდა, თუმცა, დასავლეთ საქრისტიანოსგან განსხვავებით, სრულად არ ამოძირკვულა და სქოლასტიკის ბატონობის ერა არ დამდგარა.

ათონელი წმინდა მამები: იოანე, გაბრიელი, ექვთიმე

ეს რომ ასეა, ამაზე მეტყველებს XI საუკუნის გამოჩენილი თეოლოგისა და მთარგმნელის, წმ. ეფრემ მცირის

მიერ ბერძნული ენიდან გადმოღებული ერთ–ერთი ნაწარმოების სათაური: „სიტყუანი და სწავ-ლანი სამეცნიერონი, ფრიად მარგებელნი სულ–სხეულობით, ორკერძოვე ძუელისა და ახალისა წმიდათა წერილთაგან რჩევით გამოკრებილნი, კლემაქსისგან, დიდისა ბასილისა და გრიგოლ ღმრთისმეტყველისა და იოანე ოქროპირისა და სხუათა წმიდათა, მღვდელმოძღვართა, მამათა, მოციქულთა, წინასწარმეტყველთა და სოლომონ და ზაქარიასი და გასუშეთა წიგნთა: პლატონ, სოკრატი და მენანდროს და სხუათა ფილოსოფოსთა მიერ თქმულნი„.

საინტერესოა ერთი ფაქტიც: ათონის წმიდა მთის ორ ლავრაში – წმ.ათანასესა და ქარ-თველთა (ივერიის) მონასტრებში, შესაბამისად, ერთგან გამოსახულნი არიან ბერძენი ფილოსო-ფოსები და მეცნიერები: ფილონი, სოლონი, პითაგორა, სოკრატე, პლატონი, არისტოტელე, თა-ლესი, გალენი და პლუტარქე, ხოლო მეორეგან: სოლონი, სოფოკლე, თუკიდიდე, პლატონი, არისტოტელე და პლუტარქე.

ქართული სამეცნიერო აზრი ადრეულ და შუა საუკუნეებში, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში განთავსებულ აკადემიებში განვითარდა. ისინი იმ საეკლესიო სასწავლებლების ბაზაზე აღმოცენდნენ, რომლებიც ტრადიციულად ასტრონომიას, მათემატიკას, გეოგრაფიას, მედიცინას და სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებებს ასწავლიდნენ [7, 10].

საქართველოში პირველი, ჩვენთვის ისტორიულად დადასტურებული მნიშვნელოვანი სას-წავლო ცენტრი III-IV საუკუნეების მიჯნაზე შეიქმნა. ეს იყო ფაზისში დაარსებული რიტორიკუ-ლი სკოლა (კოლხეთის აკადემია) - უმაღლესი საფეხურის სასწავლებელი. ბერძენი ფილოსოფო-სი თემისტიოსი (317-388 წწ.) სიამაყით აღნიშნავს, რომ მან და მამამისმა ევგენიოსმა განათლება კოლხეთის რიტორიკულ სკოლაში მიიღეს. თემისტიოსი აქებს სკოლის დამაარსებელს, ,,ბრძენ-სა„ და ,,სათნოს„ უწოდებს მას და ხაზს უსვამს, რომ სკოლაში, მეზობელ ბარბაროსთა წესების მსგავსად, ისრის ტყორცნას, ოროლის სროლასა და ჯირითს კი არ ასწავლიდნენ, არამედ რიტო-რიკულ ხელოვნებას. თემისტიოსის ცნობით, კოლხეთის რიტორიკული სკოლა თავისი მიმართუ-ლებითა და სწავლების შინაარსით ბერძნული და რომაული სკოლებისაგან არ განსხვავდებოდა. აქ ფილოსოფიასა და ორატორულ ხელოვნებასთან ერთად ასწავლიდნენ ლიტერატურას, სამარ-თლის საფუძვლებს, ასტრონომიას, მუსიკას, მათემატიკის ელემენტებს. ამ სკოლის კურსდამ-თავრებულ კოლხებს, თურმე, ელინთა დღესასწაულებზე თავი მჭევრმეტყველებით გამოუჩენი-ათ [51].

ქართველური ტომებით იყო დასახლებული შავი ზღვისპირეთის აღმოსავლეთი, ჩრდილო- და სამხრეთ–აღმოსავლეთი სანაპიროები, პონტოს სამეფო და კაპადოკია. თუმცა, რადგანაც ბერძნული იმპერიის შემადგენლობაში შედიოდნენ, ისინი ძლიერ ენობრივ ზეგავლენას განიც-დიდნენ. რელიგიური და ხალხთაშორისი ენა აქ ბერძნული იყო. ძველი ისტორიკოსები და მწერ-ლები აღნიშნავენ აქაურ სკოლებში ქრისტიანული თეოლოგიის მძლავრ განვითარებას. სწორედ კაპადოკიელი წმიდა მამები: ბასილი დიდი, გრიგოლ ნოსელი და გრიგოლ ნაზიანზელი (IV ს.ქრ.შ.–დან) არიან ის პირველი მოაზროვნეები, რომლებიც აცდნენ რა მწვალებლობის განდრე-კილ გზას, წარმატებით შეძლეს ქრისტიანობაში ნეოპლატონური იდეების შემოტანა – ქრისტია-ნობისა და ანტიკური ფილოსოფიის ერთგვარი მორიგება. მათეულ ნეოპლატონიზმს ევროპაში თითქმის ათასი წლის შემდეგ გაიხსენებენ, რაც, როგორც ცნობილია, რენესანსის იდეოლოგიუ-რი საფუძველი გახდება და მსოფლიოს ახალი გზით წაიყვანს [23, 34, 36, 51].

V-VII საუკუნეებში ეკლესია-მონასტრებთან არსებული სკოლები დაწყებითი იყო და მათ პრაქტიკულ დანიშნულებას ეკლესიის მსახურთა მომზადება წარმოადგენდა. აქ ძირითადად საღმრთო წერილს ასწავლიდნენ. ასე იყო ეს შემდგომ საუკუნეებშიც და როგორც ჩანს, სწავლე-ბა მშობლიურ ენაზე მიმდინარეობდა, რადგან ქართულ და უცხოურ წყაროებში აღნიშნულია შემთხვევები, როდესაც არისტოკრატიული წარმოშობის, რელიგიაში ღრმად განსწავლული მოღვაწეები ბერძნულ ენასაც კი არ ფლობდნენ. თუმცა, ქართველები განათლების ბიზანტიურ სისტემასაც ეცნობიან, იქაურ სკოლასაც და ბევრი მათგანი ამ სკოლებში ბერძნულ განათლებას იღებს. ამავე პერიოდში ძლიერად ვითარდება საამშენებლო ხელოვნება და ტექნიკა. შენდება

დახვეწილი არქიტექტურითა და მაღალი საინჟინრო აზრით ქმნილი მრავალი ეკლესია-მონასტერი, საფორტიფიკაციო და საერო დანიშნულების ნაგებობები [47].

სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარი. XI საუკუნის დასაწყისი

ქართულ და ბერძნულ სამყაროს შორის ამ ასპექტით დაახლოვება ქრისტიანობის განვითარების კვალდაკვალ მოხდება და მწვერვალს ათონის მთის ივერთა (ქართველთა) მონატერში მიაღწევს, სადაც ქართველი ბერები ორივე მიმართულებით – ბერძნულიდან ქართულზე და ქართულიდან ბერძნულზე – მთარგმნელობით მოღვაწეობას გააჩაღებენ [16, 31, 44, 45].

საქართველოსა და უცხოეთის ეკლესია-მონასტრებში შეიქმნა და ითარგმნა ათასობით საეკლესიო და საერო ხასიათის ხელნაწერი, რომელთა მნიშვნლოვანი ნაწილი დღეს საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრშია დაცული.

თავისებურია და სპეციალური კვლევის საგანია ხოლმე საქართველოსა და ბიზანტიის სამეფო ოჯახების ურთიერთობა. V საუკუნეში ბიზანტიის სამეფო კარზე პოლიტიკური მიზნებით მოხვედრილი ქართველი უფლისწული მურვანოსი დიდი მონდომებით დაეწაფა სასულიერო განათლებას. მან თავისი გულმოდგინებითა და ნიჭით საყოველთაო აღტაცება გამოიწვია იმპერატორის კარზე, სამეფო ტახტზე საბოლოოდ უარი განაცხადა და ბერად შედგა. მას პეტრე უწოდეს. მურვანოს-პეტრეს მუდამ თან ახლდა გამზრდელი, მეგობარი და თანამოაზრე იოანე ლაზი. ისინი მალე განერიდნენ კონსტანტინოპოლის სასახლეების ფუფუნებას და წმიდა მიწას მიაშურეს. პეტრე იბერმა (ქართველმა), როგორც მას უწოდეს, უდიდესი სახელი და პატივი დაიმსახურა თანამედროვეებში. მისმა აშენებულმა ქართულმა მონასტრებმა, რომელთა ნანგრევე-

ვანის ოთხთავი,
XII-XIII საუკუნეები

ბი შესანიშნავი მოზაიკებითა და ქართული წარწერებით XX საუკუნის 60-იან წლებში იქნა აღმოჩენილი, საუკუნეებს გაუძლეს და არამარტო ქართული, არამედ მსოფლიო კულტურის საგანძურში დაიმკვიდრეს ადგილი. ეს მონასტრები თავისი სკოლებით იმ დროის ფილოსოფიური აზრის უმნიშვნელოვანესი კერები გახლდათ [51].

მინიატურა ადიშის ოთხთავიდან, IX საუკუნე

პეტრე საბოლოოდ პალესტინაში, მაიუმში დაფუძნდა, სირიულიც ისწავლა და იქაური ეპისკოპოსობა მიიღო. იმპერატორ ზენონის დავალებით მან მონოფიზიტებისა და დიოფიზიტების თეოლოგიური დისპუტი წარმართა, რომელშიც მონოფიზიტები დამარცხდნენ. მისი ავტორიტეტი იმდენად მაღალი იყო, რომ დამარცხებული მხარის წარმომადგენელმა, მონოფიზიტმა არქიეპისკოპოსმა პეტრე თანამდებობიდან არ ან ვერ გადააყენა [34].

წყاროსთავი, X საუკუნის მიწურული

მეცნიერთა შორის დიდხანს კამათის საგანი იყო დიონისე არეოპაგელის სახელით შექმნილი ფილოსოფიური კორპუსის („არეოპაგიტიკა„) ავტორობის საკითხი. ეს ნაშრომი V საუკუნეში შეიქმნა და მას საუკუნეების განმავლობაში მრავალ ენაზე თარგმნიდნენ. ნაშრომი უაღრესად მნიშვნელოვან თეოლოგიურ-ფილოსოფიურ ძეგლს წარმოადგენს და სხვა მრავალთან ერთად, ისევ და ისევ ქრისტიანული რელიგიისა და ანტიკური ფილოსოფიის ურთიერთმიმართების საკითხებს ეხება. ქართველი მეცნიერის შალვა ნუცუბიძისა და ბელგიელი ერნსტ ჰონიგმანის მიერ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად იქნა დადგენილი, რომ „არეოპაგიტიკის„ ავტორად პეტრე იბერი უნდა მივიჩნიოთ. პეტრეს ცხოვრება არაერთმა ავტორმა აღწერა და ის საბოლოოდ წმიდანად იქნა შერაცხული [51].

პეტრე იბერი, V ს.

წმიდა მიწაზე უძლიერესი ქართული სამწიგნობრო კერები 20-ზე მეტ მონასტერში იყო შექმნილი, ასევე - ანტიოქიაში, შავი მთის რამდენიმე ცენტრში, სინას მთაზე. ამ ეკლესია-მონასტრებიდან ზოგიერთი მათგანი ქართველების მიერ იყო აგებული, ზოგიერთში კი ქართველები მხოლოდ აქტიურ მოღვაწეობას ეწეოდნენ [44].

გრიგოლ ხანძთელის (759-861) მიერ გაშლილმა ფართო მასშტაბის მოღვაწეობამ, ჰაგიოგრაფიული მწერლობის განვითარებაში შეტანილმა წვლილმა, მთარგმნელობითმა საქმიანობამ, ფილოსოფიური ცოდნის გავრცელებამ მყარი ნიადაგი შექმნა საქართველოში საგანმანათლებლო მოღვაწეობის აღმავლობისათვის [40].

მისი თანამედროვე და თანამოაზრე იყო მე-9 საუკუნის გამორჩეული საეკლესიო მამა და „უვერცხლო მკურნალი„ – ილარიონ ქართველი (822-875), რომელიც იმდროინდელ ოიკუმენაში დიდი და უზადო სახელით სარგებლობდა. დიდად განათლებული, ბითინიის ოლიმპოს მთაზე მოღვაწე და სასწაულთმოქმედებით სახელგანთქმული ბერი მალე კონსტანტი-


წმ. ილარიონ ქართველი, IX ს.

ნოპოლში გამოიძახეს. იმ ხანებში აღმოსავლეთ და დასავლეთ საქრისტიანოში წარმოშობილი განხეთქილება სერიოზულ მასშტაბებს იღებდა. როგორც ჩანს, ბიზანტიის იმპერატორი ბასილი მაკედონელი და პატრიარქი ეგნატე შერიგების გზებს ეძებდნენ და ამ საქმის მოსაგვარებლად რომში წასვლა წმინდა ბერს შესთავაზეს, რომელიც ამავე დროს მაღალი არისტოკრატიული წარმოშობისაც გახლდათ. ილარიონმა რომში 2 წელზე მეტი დაჰყო და ამის შედეგად სქიზმამ რომსა და კონსტანტინოპოლს შორის თითქმის ორი საუკუნით გადაიწია. პასუხს კითხვაზე, თუ როგორ მიაღწია ასეთ მიზანს ბერმა, რომისა და ვატიკანის ბიბლიოთეკებსა და არქივებში დაცული ფოლიანტები გაგვცემენ. ილარიონი კონსტანტინოპოლის მახლობლად ქართველთათვის სპეციალურად აგებულ რომანას მონასტერში მოციქულთა თანსწორად დაკრძალეს და წმიდანადაც შერაცხეს [62].

X-XI საუკუნეებში საქართველოს ფარგლებს გარეთ მრავლად ფუძნდება ქართული საგანმანათლებლო ცენტრები, სადაც, როგორც ირკვევა, ამ პერიოდში დიდი შესაძლებლობები არსებობდა ერთა და კულტურათა შორის დიალოგისთვის - როგორც ეროვნულის პროპაგანდის, ასევე უცხოურის მიღების საკითხებზე.

X საუკუნის ბოლო ოცწლეულიდან (980-983 წწ.) მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო და სამეცნიერო მოღვაწეობა გაჩაღდა ათონის მთაზე - ივერთა მონასტერში. საქართველოსთან გეოგრაფიული სიშორე არ ქმნიდა დაბრკოლებას იმისათვის, რომ ეს ცენტრი თავისი საქმიანობით ქართულ სამყაროსთან მჭიდროდ კავშირში ყოფილიყო. ის, ფაქტობრივად, ათონის ქართული აკადემია იყო. სრულიად მართებულად მიუთითა კორნელი კეკელიძემ, რომ ათონის ივერთა მონასტერი და მასთან არსებული სკოლა ტაო-კლარჯეთის (გრიგოლ ხანძთელის სალიტერატურო სკოლა) ნიადაგზე აღმოცენდა და მისივე ტრადიციით იკვებებოდა. აქ სამასი ქართველი ბერი მოღვაწეობდა და ექვთიმე ათონელის ხელმძღვანელობით მრავალი მათგანი ლიტერატურულ, საგანმანათლებლო და კულტურულ საქმიანობას ეწეოდა. ამ წმიდა მამამ ბიზანტიურ, და აქედან გამომდინარე, მთლიანად ევროპულ ლიტერატურასაც დიდი ამაგი დასდო, როდესაც ქართულიდან რამდენიმე მეტად მნიშვნელოვანი ტექსტი („ბალაჰვარი„, „აბუკურა„ და „სხვანიცა რაოდენნიმე წერილნი„) თარგმნა ბერძნულად. ათონის მონასტერში შეიქმნა და ჩამოყალიბდა სალიტერატურო, საგრამატიკო და საკალიგრაფიო სკოლები. გიორგი ათონელმა საქართველოდან მრავალი ობოლი ბავშვი წაიყვანა ათონის მთაზე, ცოდნასა და სულიერებას აზიარა, რათა მათ შემდგომში მშობლიურ ქვეყანაში დაბრუნებულებს, მის აღმშენებლობაში მიეღოთ მონაწილეობა [7, 27, 31, 44].

მეტად საყურადღებო ცნობები არსებობს ათონის ივერთა მონასტრის ბიბლიოთეკის შესახებ. XVII საუკუნეში მონასტერში რუსი მღვდლები გამოჩნდნენ. შემონახულია არქიმანდრიტ დიონისეს 1660 წლის 15 თებერვლის „გრამოტა„, რომლითაც ის იმპერატორ ალექსეი მიხეილის ძეს მონასტრიდან რუსეთში გაგზავნილი წიგნებისა და ხელნაწერების შესახებ ატყობინებს. ეს ჯამში 170 ერთეულია და თეოლოგიური ლიტერატურის გარდა მოიცავს უძველეს, საერო შინაარსის ფოლიანტებს ისტორიაში, ფილოსოფიაში, მათემატიკაში, მედიცინაში, ფიზიკაში, გეოგრაფიაში, ლოგიკაში, პროზასა და დრამატურგიაში. მათი ავტორები კი, ქრისტიან წმიდა მამათა გარდა, არიან ჰომეროსი, არისტოტელე, სოფოკლე, ესქილე, გალენი და სხვა. უდაოა, ეს ფაქტი მონასტრის და ალბათ, მთლიანად იმდროინდელი ქართული სამეცნიერო აზრის საუკეთესო ტრადიციებზე, მაღალ დონესა და ფართო ჰორიზონტზე მეტყველებს.

საინტერესოა, რომ ივერთა მონასტერში სამი სასნეულო მოქმედებდა – სომატურ, ფსიქიურ და კეთროვან ავადმყოფთათვის. აქ იყო სპეციალური წყალგაყვანილობა, მომარაგებისა და სხვა უზრუნველყოფის ტიპიკონით გათვალისწინებული სამსახურები [60, 62].

ათონის ივერთა მონასტერი, X ს.

ქართული განათლებისა და კულტურისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ქართველთა მონასტერს ბულგარეთში - პეტრიწონში (ბაჩკოვო). იგი დაფუძნებული იყო XI საუკუნეში, 1083 წელს, საბერძნეთის დასავლეთი მხარეების დიდი დომესტიკოსის (მთავარსარდალი) და ვიპატოსის - ქართველი გრიგოლ ბაკურიანის ძის მიერ. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდის ბიზანტიაში მრავალი ქართველი მოღვაწეობდა როგორც პოლიტიკურ, ისე კულტურულ სარბიელზე. ბიზანტიის დედოფალი ქართველი მეფის ბაგრატ IV-ის ქალიშვილი – მარიამი გახლდათ, სამხედრო ლიდერები კი ძმები - გრიგოლ და აბას ბაკურიანისძეები. ისინი იმპერიაში მოღვაწე ქართველ მეცნიერ–ხელოვანთა ხელშემწყობნი იყვნენ [41, 61].

ჩვენამდე მოაღწია პეტრიწონის ქართველთა მონასტრის ტიპიკონმა, რომელიც დაწერილია ბერძნულად და ქართულად. პეტრიწონის საგანმანათლებლო ცენტრს სათავეში ჩაუდგა იმ დროის გამოჩენილი ფილოსოფოსი იოანე პეტრიწი (პეტრიწონელი). აქვე გაიხსნა სასულიერო სემინარია, რომელსაც ახალგაზრდების მომზადების ფუნქცია ჰქონდა. შეისწავლებოდა: საღვთო წერილი, გრამატიკა, რიტორიკა, დიალექტიკა. პეტრიწონელის სასწავლო ცენტრმა გარკვეული საფუძველი შეუქმნა საქართველოში უმაღლესი განათლების ახალ საფეხურზე აღმოცენებას.



პეტრიწონის მონასტერი, XI ს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მონასტერში მოღვაწე სასულიერო პირთა დიდი ნაწილი, გარდა ღვთისმსახურებისა, ქმნიდა ქრისტიანული კულტურის შედევრებს. ისინი დიდი ხელოვანები იყვნენ – ხატმწერნი, კედლის მხატვრობის შემოქმედნი, ხუროთმოძღვარნი, ჭედურობის, ტიხრული მინანქრის, მინიატურებისა და ნაქარგობის დახელოვნებული ოსტატები, კალიგრაფები და დამკაბადონებლები; აგრეთვე ჩინებული მკურნალები და წამალთ დამაზადებლები, სოფლის მეურნეობისა და ქიმიის, საინჟინრო საქმის მცოდნენი, ასტრონომიაში გაცნობიერებულნი და ა.შ. ყველაფერი ეს სამონასტრო ცხოვრების განუყოფელი ნაწილი იყო.

საქართველოს მეფის დავით IV-ის მიერ XII საუკუნის დასაწყისში მოწვეული იოანე პეტრიწი, რომელიც მანგანას აკადემიაში მიქაელ პსელოსისა და იოანე იტალოსის მოწაფე იყო. იოანე პეტრიწის დამსახურებით საქართველოში, გელათის ახლადაშენებულ აკადემიაში ჩნდება ევროპულ სივრცეში ერთ-ერთი პირველი რენესანსული ცენტრი, რომლის შესახებ ქვემოთ ვისაუბრებთ.

ამავე ეპოქაში მნიშვნელოვან კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას ეწეოდა ქართველთა სამონასტრო კოლონია შავ მთაზე (ანტიოქიის მახლობლად, სვიმეონ საკვირველმოქმედის მონასტერში). მეთორმეტე საუკუნეში აქ სამოცამდე ქართველი მოწესე მოღვაწეობდა, რომელთაც ახლო ურთიერთობა ჰქონდათ ბერძენ თუ არაბ მეცნიერებთან და მწერლებთან. შავ მთაზე ქართველთა მიერ შექმნილი და ნათარგმნი შრომები ფართოდ ვრცელდებოდა [44].

XI საუკუნის პირველ ნახევარში ქართველებმა პალესტინაში, იერუსალიმის მახლობლად ააგეს ჯვრის მონასტერი (მონასტრის მაშენებლად მოიხსენიება პროხორე შავშეთიდან), სადაც ოთხმოცამდე ქართველი შემოიკრიბა. მათ (საძმოს) ჰქონდათ ,,წესი და კანონი მონასტრისაჲ„, მსგავსად წმიდა საბას ლავრისა. მონასტერს ნივთიერ დახმარებას უწევდა საქართველოს მეფე ბაგრატ IV (1027-1072 წწ.) და დედამისი - მარიამ დედოფალი. ჯვრის მონასტერში ფართო მასშტაბის ლიტერატურული საქმიანობა გაიშალა. აქ ინტენსიურად მიმდინარეობდა წიგნების გადაწერა. იგი გახდა ქართული მწერლობის ცენტრი პალესტინაში [27].

აღსანიშნავია, რომ XI-XII სს-ში ქართველები პალესტინის სხვა მონასტრებშიც მოღვაწეობდნენ და ქართული კულტურის, ქართული ლიტერატურისა და მეცნიერების განვითარების სამსახურში იდგნენ. სავარაუდოდ, ქართველებს პალესტინაში ოცამდე მონასტერი ჰქონდათ.

კავკასიური (კერძოდ, ქართული) სამყაროსათვის მეტად მნიშვნელოვანი იყო 1045 წელს მანგანას აკადემიის ბაზაზე კონსტანტინოპოლის უნივერსიტეტის დაარსება. ეს საგანმანათლებლო ცენტრი ანტიკური აზროვნების განახლებისათვის იყო მოწოდებული. ასევე მნიშვნელოვანი იყო ბაღდადის აკადემია, რომლის შექმნასაც ხელი შეუწყო ნიზიბინის აკადემიამ. უცხოეთის უმაღლეს სასწავლო ცენტრებში ბევრი ქართველი ეუფლებოდა ცოდნას. ცხადია, საქართველოში სრული ინფორმაცია ჰქონდათ იმდროინდელი მსოფლიოს (განსაკუთრებით, ახლო აღმოსავლეთის) საგანმანათლებლო საქმიანობის შესახებ. ბუნებრივია, სამეცნიერო ცენტრის შექმნის სურვილი, თანაც სხვა ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით, დიდი იყო. მაღალი დონის, მსოფლიო სტანდარტების საგანმანათლებლო ცენტრის ჩამოყალიბება მხოლოდ ძლიერ სახელმწიფოს ხელეწიფებოდა.

XI საუკუნის დასაწყისში საქართველოს სახელმწიფოში შეიქმნა კეთილნაყოფიერი გარემო ხალხის სულიერი განვითარებისათვის, ფართო გზა მიეცა კულტურულ აღმშენებლობას. ამასთან შეიქმნა რეალური საფუძველი მაღალი დონის უმაღლესი განათლების ცენტრის - უმაღლესი სკოლის დაარსებისათვის. ეს წანამძღვრები ასეული წლების განმავლობაში ყალიბდებოდა. ტაო-კლარჯეთში გაშლილი კულტურული საქმიანობა, საზღვარგარეთ არსებული ქართული კულტურის კერები, სახელმოხვეჭილი ქართველი მოღვაწეები და საქართველოში შექმნილი მტკიცე ეკონომიკური თუ პოლიტიკურად მდგრადი ვითარება რეალურ საფუძველს ქმნიდა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის ახალი ეტაპის დაწყებისათვის [27, 31, 33, 36].

ნიშანდობლივია, რომ ახალი ეტაპის დაწყება თავს იდო დავით IV აღმაშენებელმა (1073-1125), რომელიც სრულიად საქართველოს რეალური გამაერთიანებელი იყო (,,მეფე აფხაზთა,

ქართველთა, რანთა, კახთა, სომეხთა, შირვანშა და შაჰანშა„) და აღმოსავლეთის საქრისტიანოს დიდ ქომაგად ითვლებოდა (,,მახვილი მესიისა„). დავით აღმაშენებელი თავად იყო ღრმად და მრავალმხრივ განსწავლული პიროვნება. მემატიანე (,,ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი„) განცვიფრებული ყვება მის მიერ წიგნისადმი განსაკუთრებული სიყვარულის თაობაზე. ის, თურმე, ბევრს კითხულობდა მშვიდობიან და, რაც ძნელად წარმოსადგენია, ბრძოლის დროსაც კი [31, 33, 58].

დავით IV აღმაშენებელი (1073-1125)

დავით აღმაშენებელი ავტორია შუა საუკუნეების ქართული კულტურულ-იდეოლოგიური და ესთეტიკური მრწამსის გამომხატველი ნაწარმოებისა ,,გალობანი სინანულისანი„ [8, 58, 61].

სწორედ მაღალი ზნეობისა და ღრმა განათლების პიროვნებას შეეძლო ეფიქრა ქვეყნის კულტურა-განათლების ამაღლებაზე. სომეხი მემატიანე ვარდან ბარბერდეცი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ დავითი ,,ძლიერ ზრუნავდა ცოდნის მოყვარე ივერიის ხალხზე„. საქართველოს მეფეს ორმოცი ბავშვი აურჩევია და ცოდნის მისაღებად საბერძნეთში გაუგზავნია, ,,რათა ესწავლათ ენები, შეესრულებინათ თარგმანები და ჩამოეტანათ, რაც მათ გააკეთეს კიდეც. სამი ამათგანი შემდეგში ცნობილი გახდა თავისი მოღვაწეობით„. თავად სიტყვა „აღმაშენებელიც„, უპირველეს ყოვლისა, სულიერ და შემეცნებით აღმავლობას, ჭეშმარიტი ეკლესიის შენებას გულისხმობს.

და აი, ყოველმხრივ – ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური დონით, თუ საკუთარი თეორიული ცოდნით - მზად მყოფმა დავით აღმაშენებელმა ,,მოიგონა აღშენება მონასტრისა„. ეს გადაწყვეტილება გულისხმობდა, რომ სასულიერო ცენტრის გვერდით აუცილებლად უნდა ყოფილიყო სასწავლო დაწესებულებაც - უმაღლესი სკოლა. ამ უკანასკნელის ამოცანა, როგორც ზემოთაც ითქვა, უნდა ყოფილიყო ,,სასწავლოდ ყოვლისა კეთილისად, მოძღურად სწავლულებისად„. მაღალი მოთხოვნის განხორციელება, შესაბამისად, რთულიც იქნებოდა. მეფემ საგანგებოდ შეარჩია ადგილი სამონასტრო კომპლექსის ასაგებად ქუთაისის მახლობლად, ,,ხოლო სახელი მისი გელათი„. მშენებლობის პარალელურად შეიქმნა უმაღლესი განათლების კერა - გელათის აკადემია - უნივერსიტეტის ტიპის დაწესებულება [7,31].

გელათის მონასტერი და აკადემია, XII ს.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ხაზგასმით გადმოგვცემს იმ მიზანდასახულობის შესახებ, რომელიც საქართველოს მეფემ ახალ სასწავლო ცენტრს დაუსახა - იგი უნდა გამხდარიყო ,,ყოვლისა აღმოსავლეთისა მეორედ იერუსალიმად„ და ,, სხუად ათინად, ფრიად უაღრეს მისსა საღმრთოთა შინა წესთა...„ როგორც ვხედავთ, ამოცანა ძალზედ მნიშვნელოვანია: გელათში უნდა შერწყმულიყო ყველა ის მაღალი ღირსება, რომელიც იერუსალიმსა (რწმენის, ქრისტიანობის საფუძველი და ცენტრი) და ათენს (სიბრძნის, საერთო ფილოსოფიური მეცნიერების, განათლების ცენტრი) გააჩნდა; აქ ორი აზრის შეხვედრა-შეწონასწორება უნდა მომხდრიყო: იერუსალიმური ქრისტიანობისა და ბერძნული ანტიკური ფილოსოფიის. ამისთვის აქვე დაფუძნდა გელათის აკადემია (უნივერსიტეტი), რომელიც ათენურ-იერუსალიმური უმაღლესი სკოლების მემკვიდრე უნდა გამხდარიყო და უფრო მაღალ საფეხურზეც (,,უაღრესსა მისსა„) ასულიყო.

ამგვარად, დავით აღმაშენებლის მიზანი ნათელი იყო – გადაექცია გელათი მაღალი დონის კულტურულ-საგანმანათლებლო და სასწავლო-სამეცნიერო ცენტრად. 1110 წლისათვის სასწავლო ცენტრის (აკადემიის) მშენებლობა დასრულებული იყო.

საქართველოს მეფე სწავლულ-მეცნიერებს ეძებდა არა მარტო საქართველოში, არამედ საზღვარგარეთაც. დავით აღმაშენებელი მაღალი კრიტერიუმებით უდგებოდა სწავლულთა შერჩევას. აუცილებელი პირობა იყო ,,სიწმინდე, სიკეთე, სისრულე, სულიერითა და ხორციელითა სათნოებითა აღსავსეობა„. მეფის მცდელობამ თავისი შედეგი გამოიღო - ,,შემოეკრიბნა კაცნი პატიოსანნი ცხოვრებითა და შემკული ყოველთა სათნოებითა„. ამგვარად, გელათის აკადემიაში (უნივერსიტეტი) შეიკრიბნენ ქართული მეცნიერებისა და კულტურის ყველაზე გამორჩეული პირები, რამაც ამ უმაღლესი სკოლის, როგორც კულტურული და სასწავლო კერის, მნიშვნელობა უაღრესად გაზარდა და ფრიად ავტორიტეტული გახადა.

როგორც საყოველთაოდაა აღიარებული, აღმოსავლეთიდან სარენესანსო მოძრაობა უმაღლესი სკოლების დაარსებით იწყება. ეს პროცესი კულტურათა შეხვედრის არეალიდან (სირია-პალესტინა) აღმოსავლეთით - ბაღდადამდე და დასავლეთში - ბიზანტიასა და იტალიამდეც კი (ფლორენციის აკადემია) ვრცელდება [23, 51, 52].

იყალთოს აკადემია, XI-XII ს.

გელათის აკადემიაც ეპოქის პირმშო იყო და იმ დროის კვალობაზე საზოგადოების წინაშე დასმულ პრობლემებს ემსახურებოდა. სტრუქტურულად აკადემიას რექტორი - მოძღვართმოძღვარი განაგებდა. თავის მხრივ, ამ ინსტიტუტის არსებობა, მისი ხელმძღვანელის მაღალი პატივი და დაფასება ნათლად უჩვენებს, საერთოდ, განათლებისა და, კერძოდ, გელათის უმაღლესი

სასწავლო ცენტრის - აკადემიის დიდ მნიშვნელობასა და გამორჩეულ დანიშნულებას საქართველოს სახელმწიფოში.

გელათის აკადემიაში სწავლება *trivium-quadrium*-ის პრინციპზე იყო აგებული. ე.ი. აქ შვიდი ძირითადი საგანი ისწავლებოდა: გეომეტრია, არითმეტიკა, მუსიკა, რიტორიკა, გრამატიკა, ფილოსოფია, ასტრონომია.

უდიდესია გელათის სასწავლო-სამეცნიერო კომპლექსის, როგორც საქართველოს პირველი საუნივერსიტეტო ტიპის დაწესებულების მნიშვნელობა.

გელათის აკადემია პოლიტიკურად დაწინაურებული, ეკონომიკურად ძლიერი და კულტურულად მაღალგანვითარებული ქვეყნის პირმშო იყო და ნათლად გვამცნობდა, რომ საქართველოში განათლება და კულტურა ერთიანი ფეოდალური სახელმწიფოს ძლიერების შესაბამის სიმაღლეზე იდგა [27].

ამავე ეპოქაში იქმნება მაღალი დონის საეკლესიო კანონთა და საერო სამართლის ძეგლები („დიდი სჯულის კანონი„), რომელთა განვითარება და ეპოქალური მოთხოვნების შესატყვისად (ე.წ. „აღბუღას სამართალი„, „დასტურლამალი„ და ა.შ.) პერიოდული დამუშავება ხდებოდა [46].

გელათის აკადემიის (შესაბამისად ქართული განათლებისა და მეცნიერების) ბედი საქართველოს სახელმწიფოს ბედის ანალოგიური იყო. შემდგომმა უმძიმესმა საუკუნეებმა განაპირობა საქართველოს დაღმასვლა. ამან კი, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად შეაფერხა მეცნიერებისა და კულტურის განვითარება და სახელოვანი უმაღლესი სასწავლო ცენტრის არსებობის შეწყვეტაც კი განაპირობა.

ეჭვს გარეშეა, რომ გელათმა შეასრულა თავისი ისტორიული მისია – განათლების, სიბრძნისა და რწმენის ცენტრად მოევლინა ქვეყანას. როცა გელათის აკადემიის არსებობის შეწყვეტიდან თითქმის ოთხასი წლის შემდეგ დაისვა უნივერსიტეტის დაარსების საკითხი, მისმა თაოსნებმა და, უწინარესად, ივანე ჯავახიშვილმა ამ ახალი ტაძრის გახსნის დღედ 26 იანვარი (ახალი სტილით 8 თებერვალი) დააწესეს. ეს დავით აღმაშენებლის მოხსენიების დღეა. ამით გამოხატეს ის აზრი, რომ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტი მემკვიდრეა ძველი ქართული განათლებისა და კულტურის ტრადიციებისა, მემკვიდრეა გელათის აკადემიისა. ასე რომ, ქართული უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების ისტორია ათეულ საუკუნეებზე მეტს მოითვლის.

გელათის აკადემიის (უნივერსიტეტის) თანადროულად აღმოსავლეთ საქართველოში, კახეთში, თელავის მახლობლად დაფუძნდა იყალთოს აკადემია, რომელიც ასევე უმაღლეს სასწავლო ცენტრად ითვლებოდა. ეს უმაღლესი სკოლაც საზღვარგარეთის, კერძოდ, ბიზანტიის აკადემიის პრინციპზე იყო აგებული. აკადემიას სათავეში ჩაუდგა არსენ იყალთოელი, რომელიც 1114 წელს ჩამოვიდა ბიზანტიიდან და გელათში მოღვაწეობდა. გარკვეული დროის შემდეგ კი გადავიდა აღმოსავლეთ საქართველოში და იქ (იყალთოში) დააფუძნა აკადემია [41].

შოთა რუსთაველის ფრესკა იერუსალიმის ჯვრის მონასტერში

საქართველოში იმ დროს სხვა სასწავლო ცენტრებიც ივარაუდება. გადმოცემით, შუა საუკუნეების უმაღლესი სწავლების კერებს შორის გრემის (აღმ. საქართველოს) აკადემიაც უნდა არსებულიყო.

ბევრი სამეცნიერო კვლევა არსებობს იმის დასტურად, რომ გენიალურმა ქართველმა პოეტმა და მოაზროვნემ შოთა რუსთაველმა (XII ს. მეორე ნახევრიდან) განათლება ქართულ აკადემიაში მიიღო. უმაღლეს პოეტურ აზროვნებასა და სიტყვის ხელოვნებასთან ერთად „ვეფხისტყაოსანი„ ჭეშმარიტი საგანძურია იმ სამეცნიერო აზრისა, რომელიც იმდროინდელ ქართულ მეგაკულტურაში იყო მიმოქცევაში და რომელსაც ასე სრულყოფილად ფლობდა პოეტი. ფილოსოფია თავისი მრავალფეროვნებით, თეოლოგია, ასტრონომია და ასტროლოგია, საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი, მედიცინა და ადამიანური აზ-

როვნების სხვა უამრავი სფერო, გაჯერებული უმაღლესი ჰუმანიზმით, არის ამ უკვდავი ნაწარმოების არსი. საგულისხმოა, რომ სარაინდო რომანის ტიპზე აგებული ნარატივი ქართველი ხალხის მიერ „მეორე ბიბლიად„ ხმობილი, საუკუნეების განმავლობაში მისი მენტალური ტიპის მაფორმირებელ წყაროდაც იქცა [27, 34].

XI-XIII საუკუნეები ქართული სახელმწიფოებრიობისა და კულტურის ზეობის ოქროს ეპოქად ითვლება. მთელ აღმოსავლეთ-დასავლეთში ერთ–ერთი უძლიერესი სახელმწიფო, რომელმაცარაერთხელ დაამარცხა კოალიციური არმიები, შეავიწროვა ბიზანტიის იმპერია და ინდოეთამდეც კი ილაშქრა წარმატებით, მაინც რჩებოდა მშვიდობიან ცხოვრებაზე ორიენტირებულ იმ ქვეყნად, სადაც მთავარი ღირებულება ჰუმანიზმი, სიკეთისა და სილამაზის მსახურება გახლდათ. ამის დასტურია უდიდესი წარმატებები თეოლოგიის, მეცნიერების ცალკეული დარგების და ხელოვნების სფეროში და თუ გნებავთ, ის ბრწყინვალე არქიტექტურული ძეგლები, დღესაც რომ ამშვენებს საქართველოს.

დიდად ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ ხშირად ამ „არაპოლიტიკურ„ საქმეთა მეთაურნი და შემოქმედნიც ქართველი მეფეები გახლდნენ. 2005 წელს გამოვიდა სოლიდური გამოცემა „ბაგრატიონთა სამეცნიერო და კულტურული მემკვიდრეობა„. შრომათა ამ კრებულიდან ირკვევა, რომ ევროპის ბაგრატიონთა უძველესი (IX საუკუნიდან) სამეფო დინასტია საქართველოში მეცნიერებისა და ხელოვნების სამ ათეულამდე დარგის ფუძემდებლები და განმავითარებლები არიან. ალბათ, ძნელია ამ ფაქტს ანალოგი მოეძებნოს [58].

უმძიმესმა ისტორიულმა ქარტეხილებმა – მონგოლების, თემურ-ლენგის, სპარსეთისა და იმ დროს ახლად აღმოცენებული ოსმალეთის შემოტევებმა საქართველო მეტად მძიმე პოლიტიკურ და სოციალურ მდგომარეობაში ჩააყენა. განუწყვეტელმა ომებმა საქართველო სისხლისაგან დაცალა და უდიდესი მატერიალური ზარალიც მიაყენა. ამ მხრივ განსაკუთრებული დამანგრეველი ძალისა იყო თემურ ლენგის (1336-1405) ჩვიდმეტ წელიწადში 8-ჯერ შემოსევა და ნგრევა-აწიოკება. საისტორიო წყაროების მიხედვით მან საქართველოდან აქლემებით გაზიდა უამრავი წიგნი და სამარყანდში საკუთარი ბიბლიოთეკა გაამდიდრა. ამ ფაქტს დღესაც არ დაუკარგავს ისტორიული და კულტუროლოგიური მნიშვნელობა და სპეციალურ კვლევას მოითხოვს.

ზაზა ფანასკერტელი. XV ს. ფრესკა ყინწვისის მონასტერში

მიუხედავად ყველაფრისა სამეცნიერო და შემოქმედებითი აზრი მაინც არ იშრიტებოდა, შეძლებისგვარად ვითარდებოდა და ყოველ შესაფერის დროს ახალი ძალით ამოხეთქავდა ხოლმე. კონსტანტინოპოლის დაცემამ საქართველო პრაქტიკულად მარტო დატოვა დიდი მუსლიმანური სამყაროს წინაშე. ქართველმა ხალხმა ამასაც გაუძლო და ამ უმძიმეს წლებში ქართველი ხალხის ღირსეულმა შვილებმა ქვეყანას არაერთი ლიტერატურული შედევრი და სამეცნიერო ხასიათის ნაწარმოები დაუტოვეს, შესანიშნავი არქიტექტურული ძეგლები შექმნეს. დიდი ქართველი ექიმი, მოაზროვნე და მხედართმთავარი ზაზა ფანასკერტელი XV საუკუნეში, ხოლო დავით XI ბაგრატიონი XVI საუკუნეში ქმნიან ბრწყინვალე სამედიცინო ნაშრომებს [60, 62]. ამავე საუკუნის შუა ხანებიდან იწყება მცდელობა ქართული სტამბის შესაქმნელად და მწიგნობრობის ასაღორძინებლად: გამოიცა ქართულ-იტალიური ლექსიკონი, სახარება, „ვეფხისტყაოსანი„... [59]

როგორც ითქვა, კონსტანტინოპოლის დაცემამ საქართველოს ისტორიაში თითქმის ფატალური როლი შეასრულა, თუმცა კაცობრიობის აზროვნების განვითარებაში გადამწყვეტი და არაერთგვაროვანი მისია იტვირთა.

რენესანსული აზროვნება XI–XV საუკუნეებში ნელ–ნელა იპყრობდა აღმოსავლეთის საქრისტიანოს. ანტიკური აზროვნების ცენტრად, რასაკვირველია, ისევ ბიზანტიის მრავალეროვა-

ნი იმპერია რჩებოდა. კონსტანტინოპოლის დაცემამ უამრავი მეცნიერისა და მთელი სკოლების რომში მიგრაცია გამოიწვია, რამაც თავის მხრივ დასავლეთ ევროპულ რენესანსს, ახალ, თანამედროვე ცივილიზაციას მისცა დასაბამი. ამ მეცნიერთა შორის იყო ტრაპიზონის ეპისკოპოსი, წარმოშობით ლაზი, შემდგომ რომის კათოლიკური ეკლესიის კარდინალი ბესარიონი. მისი დამსახურება მიმდინარე პროცესებში დიდი და უდავო იყო (კათოლიკური ენციკლოპედია, 1913).

სამეფო კარის მდივანბეგი, ქრისტეფორე დე კასტელის ჩანახატი, XVII ს.

რენესანსული კულტურა, რომელმაც ფეხი აპენინის ნახევარკუნძულზე აიდგა, მთელს ევროპას მოედო და მშობლიურ აღმოსავლეთსაც სახეცვლილი, უფრო დახვეწილი და ორგანიზებული მოევლინა. ევროპულმა ცივილიზაციამ მუსლიმანურ გარემოცვაში მყოფ საქართველოშიც შემოაღწია, რაც იმდროინდელ ქართულ საერო და სამეცნიერო ხასიათის ხელნაწერებსა და ინკუნაბულებს ნათლად ატყვია. ყველაფერ ამას კათოლიკე მისიონერთა მთელი ნაკადი მოჰყვა (XVI-XVIII სს.), რამაც საინტერესო კვალი დააჩნია ქართულ საზოგადოებას და რაც, საბოლოო ჯამში, ქართული კულტურისა და მეცნიერებისთვის დადებით მოვლენად უნდა იქნეს შეფასებული.

XVII საუკუნე და XVIII-ის დასაწყისი, ალბათ, ერთერთი ყველაზე მძიმე პერიოდთაგანია საქართველოს ისტორიაში. სპარსეთისა და თურქეთის აგრესიულმა პოლიტიკამ მართლმადიდებლური ქვეყანა მეტად მძიმე პოლიტიკურ მდგომარეობაში ჩააყენა.

საქართველო, რომელიც ისედაც აღმოსავლეთ-დასავლეთის გზაგასაყარზე იყო მუდამ განიცდიდა ამ ორი სამყაროს გავლენას და ბევრ ასპექტში აღნიშნულ კულტურათა მაინტეგრირებელ როლსაც ასრულებდა. ითარგმნებოდა სპარსული და არაბული ლიტერატურის გამორჩეული ნიმუშები, იქმნებოდა საერთო ესთეტიკის მატარებელი ორიგინალური თხზულებები. ქართველი პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწეები მნიშვნელოვან და ხშირად გადამწყვეტ როლსაც ასრულებდნენ ირანის, თურქეთის, ეგვიპტის, ახლო აღმოსავლეთის სახელწიფოთა პოლიტიკურ ცხოვრებაში. ქართული წარმოშობის დინასტიები დროგამოშვებით მართავდნენ კიდეც ამ სახელმწიფოებს მთლიანად და მათ ცალკეულ რეგიონებსაც. უნდილაძეთა გვარმა XVII საუკუნის ირანის პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში უაღესად დიდი კვალი დატოვა: აღმშენებლობა, ლიტერატურისა და ხელოვნების მეცენატობა, სოციალური და ეკონომიკური აღმავლობა, დასავლური მეცნიერული ცოდნის გავრცელება და ა.შ. [70]

სულხან-საბა ორბელიანი (1658-1725)

აღმოსავლეთ საქართველოს ტახტზე ერეკლე II-ის ასვლა ძირეულად ცვლის მდგომარეობას. მას უკვე კავკასიისა და ჩრდილო–აღმოსავლეთ ანატოლიის 40–მდე ხანი ეყმობა. ერეკლე იწყებს ქვეყნის ევროპულ ყაიდაზე მოწყობას. აარსებს სასულიერო, სამხედრო, სამედიცინო პროფილის სკოლებსა და საგანმანათლებლო ცენტრებს, აღადგენს სტამბას, იწვევს უცხოელ სპეციალისტებს, ამყარებს დიპლომატიურ კავშირებს როგორც რუსეთის საიმპერატორო კართან, ასევე ევროპელ მონარქებთან. ის ძლიერ მოკავშირეებს ეძებს შიდა და გარეშე მტრებისგან ქვეყნის გადასარჩენად. ერეკლეს გარდაცვალების შემდგომ ეს მცდელობები რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს ანექსიის საბაბად იქცა [31].

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ქართველები ნიადაგ ცდილობდნენ შეეღწიათ ევროპულ სივრცეში. ამ მხრივ, უაღრესად საინტერესო საეკლესიო, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე იყო

სულხან-საბა ორბელიანი (1658–1725), რომლის კალამს ეკუთვნის მხატვრული და მემუარული ლიტერატურა, პირველი ქართული განმარტებითი ლექსიკონი, რომლის მნიშვნელობა დროთა განმავლობაში არათუ კლებულობს, არამედ იზრდება. სულხან–საბა ორბელიანმა იმოგზაურა ევროპაში, ესტუმრა საფრანგეთის მეფე ლუდოვიკო XIV-ს, ორჯერ ჰქონდა აუდიენცია რომის პაპთან, კლიმენტისთან და მისი მცდელობა ყველგან გაჯერებული იყო სურვილით, რათა საქართველო უშუალოდ დაკავშირებოდა ევროპას – მისთვის ორგანულ სამყაროს [31, 53]. სულხან–საბა ორბელიანი საქართველოს მეფის ვახტანგ VI-ის აღმზრდელი და ერთგული თანამებრძოლი იყო, რომელმაც დიდი ღვაწლი დასდო ქართულ კულტურასა და მეცნიერებას.

ვახტანგ VI

ვახტანგ ბაგრატიონის კალამს ეკუთვნის შრომები ქიმიაში, მედიცინაში, ვეტერინარიაში, მოსაზრებები ფიზიკასა და ასტრონომიაში. ვახტანგმა შეკრიბა ქართველ მეცნიერთა საბჭო და დაავალა საუკუნეებისგან დაზიანებული ქართული ხელნაწერების, განსაკუთრებით კი საქართველოს ისტორიის უპირველესი წყაროს – „ქართლის ცხოვრების„ – აღდგენა და გადაწერა, რედაქტირება [14].

ქართველები საზღვარგარეთაც წარმატებით მოღვაწეობენ. ასე, მაგალითად, ანთიმოზ ივერიელი (1650/60-1716 წწ.), რომელიც ვლახეთის მიტროპოლიტი იყო, თანამედროვე რუმინული მწიგნობრობის ფუძემდებელი გახდა: მან მისთვის მშობლიურად ქცეულ რუმინულ ენაზე თარგმნა ქრისტიანული ლიტერატურა და ლიტურგიაც აღასრულა, შექმნა სტამბა (1691), იბრძოდა რუმინელი ხალხის თავისუფლებისათვის და ა.შ. ის, ამასთან ერთად, არც მშობლიურ საქართველოს ივიწყებდა და სასტამბო საქმის განვითარებას დიდი ამაგი დასდო - თბილისში თავისი მოწაფე ასოთამწყობი მოავლინა [24].

ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღვრები, კათოლიკოს-პატრიარქები ყოველთვის გამოირჩეოდნენ ღრმა თეოლოგიური განათლებითა და საფუძვლიანი საერო ერუდიციით. ამის მკაფიო მაგალითი იყო XVIII საუკუნის მოღვაწე ანტონ 1 კათალიკოსი (1720-1788). მან ღრმა კვალი დააჩნია თავისი დროის ქართულ ფილოსოფიურ მწერლობას, ენათმეცნიერებას, რიტორიკას და სხვ. [52, 55].

ანთიმოზ ივერიელი (XVII-XVIII)

რუსეთის შემადგენლობაში საქართველოს ინკორპორაციამ ბევრი რამ შეცვალა ქვეყნის ცხოვრებაში. დაიკარგა დამოუკიდებლობა, გაუქმდა სამეფო დინასტია, ქართული ეკლესიის ავტოკეფალია და ა.შ. შემოვიდა რუსული მმართველობის ფორმა [29]. უფუნქციოდ დარჩენილი სამეფო ოჯახის წარმომადგენლები სამეცნიერო-კულტურულ მოღვაწეობას მიეცნენ და შედეგიც მნიშვნელოვანი მიიღეს. ისინი წარმატებით თარგმნიან უცხო ენებიდან, ქმნიან ორიგინალურ ლიტერატურას, პრაქტიკულად ეხმარებიან მეცნიერებისა და განათლების წინსვლას [22].

ალექსანდრე ბაგრატიონი (1674-1711) იყო მთარგმნელი და საზოგადო მოღვაწე. რუსეთის იმპერატორის პეტრე I-ის უახლოესი პიროვნება - ევროპაში განათლებამიღებული პირველი არტილერისტი, ფელდცეხმაისტერი.

ქართლის სამეფო ტახტის უშუალო მემკვიდრე, დავით ბაგრატიონი (1767-1819) წერს შრომებს ფიზიკასა და მედიცინაში, მისი ძმა - იოანე ბაგრატიონი (1768-1830) ფილოსოფიაში,

ლექსიკოგრაფიაში, მედიცინასა და ისტორიაში [28, 52, 54, 60].

ვახუშტი ბაგრატიონი (1696-1757) უდიდეს ღვაწლს შეიტანს გეოგრაფიისა და ისტორიის სფეროში. მისი სამეცნიერო მემკვიდრეობა - საქართველოს სამეფოს აღწერა და ისტორიულ-ეთნოგრაფიული მიმოხილვები - ნამდვილი განძია ქართველოლოგიისათვის [66].

თეიმურაზ ბაგრატიონი (1782-1846) - პოეტი, დრამატურგი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე მრავალ ენას ფლობდა, იყო პარიზის სააზიო საზოგადოების ნამდვილი წევრი და მარი ფელისიტე ბროსესთან ერთად ქართველოლოგიის ფუძემდებლად შეიძლება იქნეს მიჩნეული [64].

ეს, რასაკვირველია, არასრული სიაა იმ ქართველი მოღვაწეებისა, რომლებმაც რუსეთის სამეცნიერო ცხოვრებაში ძალზე მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს. ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ მოსკოვის უნივერსიტეტის დაარსებაში, იყვნენ აკადემიებისა და სამეცნიერო საზოგადოებების წევრები. ლაფლანდიის გუბერნატორი, გენერალი პეტრე ბაგრატიონი (ცნობილი მხედართმთავრის, გენერალ პეტრე ბაგრატიონის ბიძაშვილი) თავის სამხედრო და სამოქალაქო მოღვაწეობას ბრწყინვალედ უთავსებდა სამეცნიერო ცდებს ქიმიაში და მსოფლიოში ცნობილი მეცნიერის სახელი მოიხვეჭა [37]. ასევე, მოსკოვში მცხოვრები ქართველი თავადი ილია ნამჩევაძე გრუზინოვის [60] გვარით გახდა ცნობილი და, მეტად ხანმოკლე ცხოვრების მიუხედვად, ფიზიოლოგიის ისტორიაში დაიმკვიდრა ადგილი. ის ნაპოლეონის მოსკოვში შემოჭრას ემსხვერპლა და „გმირი პროფესორის„ ეპითეტით იხსნიებდნენ თანამედროვენი და მომავალი თაობებიც.

გამოჩენილი მეცნიერი ქიმიკოსი და კომპოზიტორი, რუსული ოპერის ერთ-ერთი ფუძემდებელია ალექსანდრე ბოროდინი (1833-1887), წარმოშობით ქართველი, რუსეთში დამკვიდრებული ლუკა გედევანიშვილის ვაჟი. ის სამხედრო-ქირურგიულ აკადემიაში ქიმიურ ლაბორატორიას ხელმძღვანელობდა და ფუნდამენტური კვლევების ავტორია ამ მიმართულებით. ა. ბოროდინმა წარუშლელი კვალი დატოვა რუსულ კლასიკურ მუსიკაში: შექმნა უკვდავი ოპერა „თავადი იგორი„, საფორტეპიანო პიესები, სიმფონიები, რომანსები და სხვა.

მსოფლიო მასშტაბის მეცნიერი იყო ფიზიოლოგი ივანე თარხანოვი (თარხნიშვილი, 1846–1908), რომელიც ასევე რუსეთში მოღვაწეობდა და მეტად ღირებული წვლილი შეიტანა ფიზიოლოგიის განვითარებაში [60].

ქართველებმა დიდი ამაგი დასდეს რუსეთის იმპერიის სამხედრო ხელოვნების განვითარებას. უკვე ავღნიშნეთ ალექსანდრე არჩილის–ძე ბაგრატიონის, როგორც საარტილერიო საქმის დამფუძნებლის ღვაწლი. სახელგანთქმული სარდლის, ბოროდინოსა და სხვა მრავალი ბრძოლის გმირის –პეტრე ბაგრატიონის სახელი მსოფლიოს სამხედრო ისტორიაშია შესული, მაგრამ, ასევე საყუღადღებოა, რომ მასთან ერთად ნაპოლეონის წინააღმდეგ კიდევ 23 (სულ რუსულ არმიაში 56 გენერალი იყო) ქართველი გენერალი იბრძოდა. ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს ქართველი ხალხის არა მარტო ბრძოლის უნსრიანობას, არამედ მაღალ ინტელექტსაც [70].

XIX საუკუნეში საშუალება ეძლევა საშუალო და დაბალი სოციალური წარმოშობის ადამიანებს უმაღლესი განათლება რუსეთისა და ევროპის უმაღლეს სასწავლებლებში მიეღოთ. ეს, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი ბიძგი იყო განათლებული, ინტელექტუალური ელიტის შექმნის გზაზე. ამ უნივერსიტეტებში განათლებამიღებულები უმეტესად მშობლიურ ქვეყანას უბრუნდებოდნენ და თავის ცოდნას ხალხს ახმარდნენ. შედეგად, ქართული მეცნიერებისა და კულტურის გარკვეულ აღმასვლას ვხედავთ. მართალია, რუსეთის იმპერია კრაძალავდა მშობლიურ ენაზე განათლებას და მით უმეტეს მეცნიერების განვითარებას, მაგრამ იყო პროცესები, რომლის შეჩერება არავის და არაფერს შეეძლო. თვით რუსული იმპერიის მმართველი და საზოგადოების ცნობილი პირები აღიარებდნენ ქართული ენისა (ვ.უსლარი) და კულტურის უნიკალურობას (ნ.დურნოვო), მდიდარ ისტორიასა და დიდ პოტენციალს (მ.ვორონცოვი). ამავე პერიოდში თბილისში, რომელიც კავკასიის უალტერნატივო ცენტრია, იქმნება სხვადასხვა სამეცნიერო საზოგადოებები - გეოგრაფიული, სამედიცინო, საისტორიო და სხვ., პირველი ალპური კლუბი, კავკასიის საისტორიო მუზეუმი და სხვ. [6].

მალე თბილისი იმპერიის განაპირა პროვინციიდან, როგორადაც ის თავიდან მოიაზრებოდა, კულტურისა და მეცნიერების გარკვეული მიმართულებების ლიდერი და კანონმდებელიც კი გახდა. აქ პირველად დაიბეჭდა საფოსტო მარკა, გაკეთდა ეთერის ნარკოზი და დაიდგა რენტგენის აპარატი, მოეწყო ველოტრეკი; მოსკოვისა და პეტერბურგის შემდეგ ამოქმედდა ტელეფონი, რკინიგზა, ობსერვატორია, ჩამოყალიბდა ოპერა, მუსიკალური სკოლა. თბილისი გაიზარდა და მრავალი ტიპის არქიტექტურით დამშვენდა, მათ შორის, უნიკალური მოდერნითაც.

ილია ჭავჭავაძე
(1840-1907)

ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას XIX საუკუნის მეორე ნახევარში ილია ჭავჭავაძე და მისი თანამოაზრეები ჩაუდგნენ, რითაც ქვეყანაში ეროვნული თვითშეგნების აღმავლობა და ბრძოლის ახალი, გააზრებული ეტაპი დაიწყო [10].

რუსეთის ცარისტული იმპერიის დაშლას საქართველოს ხანმოკლე თავისუფლება მოჰყვა (1918-21 წლები). ამ არასრულ სამ წელიწადში ქართველებმა მოახერხეს უნივერსიტეტის გახსნა, რომელშიც მთელ რუსეთსა და ევროპაში გაფანტულმა თანამემამულე პროფესურამ მოიყარა თავი და მეტად ძლიერი გუნდი შეადგინა. შეიქმნა სამეცნიერო დაწესებულებები, რომელთაც ინტენსიური მუშაობა გააჩაღეს [7].

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე, 1941 წლის თებერვალში შეიქმნა და უმძიმეს პერიოდში აიდგა ფეხი. შეიძლება ამიტომაც არის ის ასე რეზისტენტული პოლიტიკური პროცესების მიმართ. მას სახელწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისთანავე საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ეწოდა.

ეპილოგის მაგიერ

თუ მოკლედ შევაჯამებთ წარმოდგენილ მასალას, ნათელი გახდება, რომ ქართული სამეცნიერო აზრის საწყისი ათასწლეულების წინ იღებს დასაბამს და მისი ჩამოყალიბება ქრისტიანული ეკლესიის წიაღში ხდება. წინსვლაც მისივე ფრთებქვეშ გახდა შესაძლებელი. ქართულმა ეკლესიამ სამეფო ოჯახთან, არისტოკრატიასთან და ხალხთან ერთად განაპირობა ქვეყნის სწორი ორიენტაციით განვითარება და უნიკალური ქართული მეცნიერებისა და კულტურის ჩამოყალიბება. საერთო პროგრესის ეს უდაო ფაქტორი XV საუკუნიდან მოყოლებული, როცა ბიზანტიის ქრისტიანული იმპერია არსებობას წყვეტს, ერთ იპოსტასად ქცეულ, რწმენისა და ერის გადარჩენის კიდევ ერთ, უმძიმეს მისიას იტვირთებს. ქრისტიანობის/ერის დაცვის უნივერსალური იდეა მრავალი დამანგრეველი ომის საბაბი გახდება. ამ ომებში ქართველი კაცი მტკიცდებოდა სულიერად, მაგრამ მცირდებოდა რაოდენობრივად.

ასეთ დროს, რასაკვირველია, ძალზე ძნელია რაიმე საკაცობრიო მნიშვნელობის სამეცნიერო-საგანმანათლებლო მიღწევებზე ისაუბრო. ქართველი ხალხი ცდილობდა არ ჩამორჩენოდა მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს დაარც თავისი, ათეულ საუკუნეებს გამოტარებული და გენეტიკურ მეხსიერებაში შემონახული მეცნიერული აზრი დაეკარგა. ეს მან შეძლო.

ცხადია, ამ მცირე ნარკვევში მოყვანილი მონაცემებით არ ამოიწურება საქართველოს მეცნიერებისა და განათლების განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპის დახასიათება.

ცალკე საუბრის თემაა ის დიდი მიღწევები, რომლებიც საქართველოს მეცნიერებას ბოლო საუკუნის მანძილზე ჰქონდა და იმედი გვაქვს, სამომავლოდ ამასაც შევძლებთ. ამ მცირე ნარკვევით კი ჩვენ მხოლოდ ქართული მეცნიერული აზრის ფესვებს შევეხეთ და შევეცადეთ ერთიანი ხედვით დაგვენახა ეს ხანგრძლივი და რთული გზა.

ხელოვნება

რუსუდან ფაილოძე

ქართული ბალეტის საწყისები

მკითხველს როგორ გასაკვირადაც არ უნდა მოეჩვენოს, ფაქტს ვერსად წაუვალთ: ქართული ბალეტის საწყისი ქართული თეატრია, რომელსაც სათავეში ედგნენ დიდი რეფორმატორები – კოტე მარჯანიშვილი და სანდრო ახმეტელი. მათმა ნიჭიერებამ მეტად მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ქართული ბალეტის განვითარებაში.

პანტომიმისადმი ინტერესი კოტე მარჯანიშვილს პირველად კომოზიტორმა ილია საცმა აღუძრა 1910 წელს როდესაც ისინი ერთად მუშაობდნენ მოსკოვის სამხატვრო თეატრში. ილია საცმა კოტე მარჯანიშვილს შესთავაზა, დაედგა უსიტყვო პიესა, რომლისთვისაც უკვე დაწერილი ჰქონდა მუსიკა. ეს იყო ა. ვოსკრესენსკის პიესა „ცრემლები“, რომელიც ნამდვილად დაიდგა თეატრში, ხოლო მისი გენერალური რეპეტიცია უჩვენა კიევის გარნიზონის ჯარისკაცებს. ამით სურდა, შეემოწმებინა, თუ როგორ იმოქმედებდა გამოუცდელ მაყურებელზე ისეთი სპექტაკლის ჩვენება, როგორიც იყო პანტომიმა „ცრემლები“. ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა. პანტომიმა-სპექტაკლმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მაყურებელზე.

აღნიშნული სპექტაკლის დადგმის შემდეგ კოტე მარჯანიშვილს პანტომიმის ირგვლივ ფიქრი არ შეუწყვეტია.

მართლაც 1913 წელს მან მოსკოვის „თავისუფალი თეატრის“ რეპერტუარში შეიტანა პანტომიმა – „პიერეტას მოსასხამი“, რომლის დადგმა მიენდო ა.თაიხოვს. სპექტაკლის სულისჩამდგმელი კი თვითონ კოტე მარჯანიშვილი იყო. იგი უჩუმრად წარმართავდა თაიხოვის საქმიანობას: გზადაგზა უსწორებდა მიზანსცენებს, აძლევდა კეთილ რჩევა-დარიგებას, სურდა, მიეხვედრებინა სიყალბეზე, გამოესწორებინა უინტერესო მიზანსცენა და სხვა, რამაც სპექტაკლის წარმატებაზე დიდი როლი ითამაშა.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კოტე მარჯანიშვილი შინაგანი განცდით ფიქრობდა პანტომიმის სპეციალური თეატრის შექმნაზე, ამ იდეის განხორციელება შეძლო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. მანამადე, რუსულ დრამატიულ თეატრში დადგა უილდის „სალომეასა“ და ვ. მეტცელის „ყვითელ კოფტასთან“ ერთად, მეტცელისავე პანტომიმა – ბალეტი „მომაჯადოებელი სინათლე“, რომლებიც დიდი სიმპათიით მიიღო მაყურებელმა.



თბილისში სამოღვაწეოდ ჩამოსულმა კოტე მარჯანიშვილმა გადაწყვიტა, მიეხედა ქართული თეატრისათვის. მან მიზნად დაისახა, შეექმნა თანამედროვეობასთან დაკავშირებული ისეთი სპექტაკლი, რომელშიც გმირთა პირად და საზოგადო განცდებს შეერწყმოდა ვაჟკაცობის ტრადიცია, სამშობლოს სიყვარული და პატრიოტიზმი. პანტომიმა „მზეთამზეს“ ლიბრეტო თვითონ დაწერა. მან შეგნებულად თავი აარიდა ისტორიულ თემატიკას და ლეგენდა „მზეთამზეს“ გმირებს თანამედროვეობის ელფერი შესძინა.

კოტე მარჯანიშვილი პანტომიმა „მზეთამზეს“ ლიბრეტოზე მუშაობას 1923 წლის ზაფხულიდან შეუდგა, რაც ორნახევარ წელიწადს გაგრძელდა და მისი პრემიერა 1926 წლის 16 მარტს შედგა.

სანდრო ახმეტელი

პანტომიმა „მზეთამზე“ რუსთაველის თეატრის სცენაზე ქართული დრამატული სტუდიის (დირექტორი ა. ფაღავა) ძალების მონაწილეობით დაიდგა. (მუსიკა თ. ვახვახიშვილის), რამაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მაყურებელზე ახალგაზრდა მსახიობთა შესანიშნავი თამაშით და „უსიტყვო მეტყველების“ მკაფიო გადმოცემით.

მანმადე ოპერის თეატრის 1924 წლის 24 დეკემბერს საბალეტო დასში „კარნავალი“ დაიდგა. სპექტაკლის მიმდინარეობისას დიდი ყურედღება მიიქცია სრულიად ახალგაზრდა მოცეკვავემ, მ. პერინის სტუდიელმა ვახტანგ ჭაბუკიანმა, ხოლო 1925 წლის 18 იანვარს, როდესაც საბალეტო სტუდიის მოწაფეთა საჩვენებელი დილა გაიმართა, მასში მონაწილეობდნენ გოგონები: ლ. ჩიკვაიძე, ლ. ბეგთაბეგაშვილი, მ. ბაუერი; ვაჟთაგან – ვახტანგ ჭაბუკიანი და სხვ. ჭაბუკიანის შესახებ ერთ-ერთი რეცენზენტი წერდა: „არ შეიძლება განსაკუთრებით არ აღინიშნოს მოწაფე ჭაბუკიანის იშვიათი ტექნიკური შესაძლებლობანი“-ო.

ქართული თეატრალური ხელოვნების ისტორიაში ნათელ ფურცლად ჩაიწერა ის, რომ პირველი ქართული პანტომიმა „მზეთამზე“ დაიდგა კოტე მარჯანიშვილისა და სანდრო ახმეტელის მიერ. რეჟისორი იყო კუკური პატარიძე, დირიჟორობდა ალექსანდრე გველესიანი, კოსტიუმები და ბუტაფორია დამზადდა მხატვარ დიმიტრი შევარდნაძის ესკიზებით, დეკორაციები – ლადო გუდიაშვილის ნახატებით, ცეკვების დამდგმელი იყო სახელმწიფო ოპერის ბალეტმაისტერი ს. სერგეევი. აი, ასეთმა შემადგენლობამ ხორცი შეასხა თბილისში პირველ პანტომიმა – ბალეტ „მზეთამზის“ დადგმას.

კოტე მარჯანიშვილი

კოტე მარჯანიშვილს გვერდით ედგნენ ისეთი ცნობილი შემომქმედნი, როგორებიც იყვნენ: იოსებ გრიშაშვილი, შალვა დადიანი, პაოლო იაშვილი, სიმონ ჩიქოვანი, ბესარიონ ჟღენტი და სხვები, რომლებიც ურჩევდნენ თანამედროვეობის თემატიკის შესახებ სპექტაკლების დადგმას. ყოველივე ამან კოტე მარჯანიშვილს ხელი შეუწყო საკუთარი იდეების გაძლიერებაში.

პრველი პანტომიმა – ბალეტ „მზეთამზის“ ზღაპრულმა სიუჟეტმა კოტე მარჯანიშვილი ვერ დააკმაყოფილა და იგი რეალური ცხოვრებით შეცვალა და ახალი სახელწოდება „ხანძარი“ უწოდა. „ხანძარი“ არის „მზეთამზის“ ახალი ვარიანტი, რომელიც უფრო ცეკვადი და პლასტიკური იყო, ვიდრე მისი წინამორბედი „მზეთამზე“. ცეკვების დამდგმელი იყო დავით მაჭავარიანი.

ქართული თეატრის სცენაზე „ხანძარი“ არის პირველი ბალეტი – პანტომიმა ქართული მუსიკით, საქართველოს ცხოვრებისეული სიუჟეტითა და ქართული ხალხური საცეკვაო ფოლკლორით.

კოტე მარჯანიშვილს ისე ძლიერ ყვარებია ხალხური ცეკვები, რომ სექტაკლში ჩართული ქორეოგრაფიული ნიმუშები იყო არა როგორც დამხმარე საშუალება, არამედ მთავარი კომპონენტი, რომელიც სიუჟეტის განვითარების მეტად მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებდა. აღნიშნულთან დაკავშირებით ხელოვნებათმცოდნე ოთარ ეგაძე წერს: ,,მას საბალეტო ჟანრიც აღელვებდა და სურდა, რომ ქორეოგრაფიულად კიდევ უფრო ჟღერადი და ცეკვადი გაეხადა ახალი სიუჟეტისა და ახალი ხასიათების მომტანი საბალეტო პანტომიმა „ხანძარი“. ამისათვის მან დიდი დამოუკიდებლობა მისცა ბალეტის დამდგმელს, ქორეოგრაფ დავით მაჭავარიანს. კოტე მარჯანიშვილი ქორეოგრაფისგან მოითხოვდა, რომ ყოველი ცეკვა სიუჟეტის განვითარებიდან ლოგიკურად წარმოშობილიყო და თავის მხრივ, ხელი შეეწყო შინაარსის გაძლიერებისათვის. ამ მიზანდასახულობისაკენ წარმართავდა კოტე მარჯანიშვილი ბალეტმაისტერს“.

„მზეთამზე“ იგივე „ხანძარი“ ქორეოგრაფიული მიზანსცენებით გამდიდრებული დადგმებია, რომლებიც დაეხმარა ქართულ ბალეტს საძირკვლის ამოყვანაში.

როგორც ვხედავთ, კოტე მარჯანიშვილი უბრალოდ არ იყო გატაცებული საბალეტო ხე-

ლოვნებით. მისი მიზანი იყო, ხელი შეეწყო მსახიობისათვის არა მარტო ფიზიკურ-პლასტიკური მომზადებისა და აქტიორის სინთეტური ფორმირებისათვის, არამედ ფიქრობდა, შეექმნა ახალი სახის საბალეტო სპექტაკლი, რომელიც სათავეს დაუდებდა პირველ ქართულ კლასიკურ ბალეტს, რაც რეალობად იქცა.

ვახტანგ ჭაბუკიანი თავისი მიზანსწრაფული ორიენტირებით მართლაც რომ დაემსგავსა კოტე მარჯანიშვილსა და სანდრო ახმეტელს. საკუთარ ნიჭზე დაყრდნობით იგი მიისწრაფოდა საბალეტმეისტერო შემოქმედებისაკენ. სჯეროდა, რომ სწორედ მას გამოუვიდოდა პირველი ქართული საბალეტო სპექტაკლი. ამ მიზნის განსახორციელებლად მშობლიურ ქვეყანას მოაშურა. ბალეტმეისტერ-დამდგმელად სწორედ აქ უნდა მოესინჯა ძალები. მართალია მას სპეციალური საბალეტმაისტერო განათლება არ ჰქონდა მიღებული, მაგრამ ყოველივეს მიუხედავად, მისი შემოქმედებისათვის ამას ხელი არ შეუშლია. ჩვენს დიდ რეჟისორებს – კოტე მარჯანიშვილსა და სანდრო ახმეტელსაც არ დაუმთავრებიათ სარეჟისორო ინსტიტუტები, მაგრამ ისინი შინაგანად მოწოდებულნი იყვნენ რეფორმატორებად სარეჟისორო საქმიანობაში.

ვახტანგ ჭაბუკიანსაც, მათი მიბაძვით რეფორმატორის სიტყვა უნდა ეთქვა ქართულ საბალეტო ხელოვნებაში. იგი იყო არა მარტო ფენომენალური მოვლენა, როგორც მოცეკვავე და ბრწყინვალე შემსრულებელი, არამედ დიდი ემოციებისა და შესაძლებლობების მქონე შემომქმედი. მან თავის მიერ დადგმულ ბალეტ „მზეჭაბუკში“ ხალხური ცეკვის ილეთები ისე შესანიშნავად შეურწყა კლასიკურ ბალეტს, რომ ყველა განაცვიფრა. ეს იყო ნოვატორული სიტყვა, რაც ასე კარგად გამოუვიდა ვახტანგ ჭაბუკიანს.

ვახტანგ ჭაბუკიანის მიერ 1936 წელს სადეკადოდ დადგმულმა – პირველი ქართული ბალეტ „მზეჭაბუკის“ პრემიერამ დიდად მოხიბლა ქართველი მაყურებელი, რომელშიც მთავარ როლს „მზეჭაბუკს“ თვითონ ვახტანგ ჭაბუკიანი ასრულებდა. „მუსიკათმცოდნენი, ბალეტის მცოდნენი, ხელოვნებისმცოდნენი – ყველა აღტაცებული იყო „მზეჭაბუკით“ – წერს ახალ ბალეტზე ალ. ბურთიკაშვილი.

ვახტანგ ჭაბუკიანი

გაზეთმა „ვეჩერნი ტბილისმა“ 1936 წლის 27 დეკემბრის ნომერში დაბეჭდა სტატია „პირველი ქართული ბალეტი“, რომელშიც ფართოდ არის გაშუქებული ქართული საოპერო და საბალეტო ხელოვნების წინსვლა, „მზეჭაბუკის“ შესახებ წერია: „მზეჭაბუკი“ პირველი სერიოზული ნაბიჯია დიდი საბალეტო სპექტაკლის შექმნაში, ქართული ხალხური ქორეოგრაფიული ხელოვნების საფუძველზე კლასიკური ბალეტის ტექნიკიური მემკვიდრეობის გამოყენებით“.

მართლაც, ბალეტ „მზეჭაბუკის“ დადგმის შემდეგ, საფუძველი ჩაეყარა ქართული პროფესიული ბალეტის განვითარებას.

ასე რომ, კოტე მარჯანიშვილია ის პიროვნება, რომელიც თავის დროზე ამწიფებდა აზრს – საფუძველი ჩაყროდა ქართულ პროფესიულ ბალეტს, ამავე აზრის იყო სანდრო ახმეტელი, რომლის შემოქმედებითმუშაობაში პლასტიკას და რიტმს გამოკვეთილი ადგილი ეჭირა. ამასვე ოცნებობდნენ რეჟისორი ალექსანდრე წუწუნავა და დირიჟორი ევგენი მიქელაძე. დიდი შემართებით იღვწოდა აკაკი ფაღავა ქორეოგრაფიული კულტურის დანერგვა - გავრცელებაში და ბევრი სხვ, რომლებიც პირველი ქართული საბალეტო სპექტაკლის დასადგმელად აღვივებდნენ მარცვალს, რაც ერთნაირად აღელვებდა ყველა ქართველ ხელოვანთ.

მართლაც, „მზეჭაბუკს“ მოჰყვა ბალეტები: „მალთაყვა“, „მთების გული“ (იგივე „მზეჭაბუკი“), „სინათლე“, „გორდა“, „ლაურენსია“, „ოტელო“ და სხვები, რომელიც ქართული საბალეტო ხელოვნების მშვენებაა.

24.02.2016

ეკონომიკა

სულხან მახათაძე

სახელმწიფო და მუნიციპალური ფინანსების არსი, ფუნქციები და პრინციპები

უკანასკნელ ხანს ბევრი რამ ითქვა რეფორმების კურსის შეცვლის თაობაზე, უფრო ზუსტად - საზოგადოების განვითარების ფინანსური სტრატეგიისადმი ადეკვატური მიდგომის შესახებ. მაგრამ საუბარი არ მიდის საბაზრო ეკონომიკის საფუძვლებზე უარის თქმის თაობაზე - საბაზრო ეკონომიკის მოდელებს ყოველთვის თან ახლავს დამახასიათებელი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ნიშნები და განსხვავებული თავისებურებები. თანამედროვე სიტუაცია საქართველოში აშკარად მოწმობს ეკონომიკის ფინანსურ სექტორში სახელმწიფოს მარეგულირებელი როლის გაძლიერების აუცილებლობაზე.

ეკონომიკის რეფორმირება მოითხოვს დაგროვებული გამოცდილების გააზრებას, ევოლუციური პროცესების გამოვლინებას საბაზრო ფორმების, მეთოდების ფინანსური რეგულირების პრინციპების ათვისებისადმი ნახტომისებრ ნაბიჯებს. ,,სახელმწიფო და მუნიციპალური ფინანსების“ კურსის საგანია ეკონომიკის სახელმწიფო და მუნიციპალურ სექტორში რეორგანიზაციის მიმართულებები და მათი კანონზომიერების შესწავლა მეურნეობის ახალი გარემოსადმი ადაპტაციის პირობებში.

ნაშრომში განხილულია სახელმწიფო და მუნიციპალური ფინანსების ფუნქციონირების კონცეფცია, რომელიც მიმართულია ფინანსური კატეგორიების, კანონზომიერებების განვითარების მიმართულებების, ეკონომიკის საზოგადოებრივი სექტორის საჭირო ფინანსური და საკრედიტო რესურსებით უზრუნველყოფის შესწავლაზე;

შესწავლის საგანია - სახელმწიფო და მუნიციპალური ფინანსების ეკონომიკური, ორგანიზაციული, სამართლებრივი და სოციალური ასპექტები საქართველოს ეკონომიკის ტრანსფორმაციის პერიოდის პირობებში.

შესწავლის ობიექტია დაგროვებული სახელმწიფო და მუნიციპალური ფინანსების ფუნქციონირების და მოქმედი საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების ჩარჩოებში სახელმწიფო ფინანსური რეგულირების სფეროში პრაქტიკული გამოცდილება.

შესწავლის მიზანია - ფინანსების და დაკრედიტირების პროცესების თეორიული და პრაქტიკული ანალიზის საფუძველზე და აგრეთვე საკანონმდებლო და ნორმატიული დოკუმენტის ერთობლიობაში მოყვანის, ეკონომიკის სახელმწიფო და მუნიციპალურ სექტორებში და სამეწარმეო საქმიანობის სფეროში საბაზრო რეორგანიზაციის გამოცდილების ერთობლიობით,

სახელმწიფო და მუნიციპალური ფინანსები იძლევიან ეკონომიკის სექტორზე ეფექტური და კომპლექსური ზემოქმედების საშუალებას. სახელმწიფო და მუნიციპალური ფინანსების განვითარება განისაზღვრება სახელმწიფო , სახელმწიფო სუბიექტების და მუნიციპალური წარმონაქმნების ჩარჩოებშირესურსების და კაპიტალის დაბალანსებულ მოძრაობაზე ფინანსური ზემოქმედების ერთიანი სისტემის შექმნის აუცილებლობით.

სახელმწიფო ფინანსური რეგულირების თანამედროვე პირობებთან ადეკვატური ფორმების და მეთოდების გამოყენებამოითხოვს მათ დაწვრილებით შესწავლას. უცხოური გამოცდილების კოპირება საქართველოს სპეციფიკის გათვალისწინების გარეშე არ აახლოებს არამედ აშორებს ეკონომიკას სტაბილიზაციისაგან და ეკონომიკური პროგრესისაგან.

კვლევის მთავარი ამოცანაა, რომ აჩვენოს სახელმწიფო ფინანსურ სფეროში არსებული ცვლილებების ერთობლიობა და ურთიერთდამოკიდებულება, მათი საერთო მიმართულება და მიზნობრივი ორიენტაცია, ეკონომიკური რეპროდუქციული ფინანსური რეგულირებისადმი საბაზრო მიდგომის რეალიზაციაში. შესაძლო ალტერნატივები მიღებული ცოდნა მოგვცემს ფინანსური ინფორმაციის ნაკადში, საკანონმდებლო და ნორმატიული ხასიათის ცვლილებებში

ორიენტაციის შესაძლებლობას.

სახელმწიფო და მუნიციპალური ფინანსები ქმნიან სტაბილიზაციის და ეკონომიკური ზრდის პირობებს, საშუალებას აძლევენ საბიუჯეტო ნაკადების მართვას, ხელს უწყობენ ფინანსური პოლიტიკის რეალიზაციას.

აუცილებელია გატარდეს შეთანხმებული ფინანსური, ფულად- საკრედიტო და სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა, მიმართული მოსახლეობის ფართო ფენების ინტერესებისადმი, რომლებიც ქმნიან ეროვნული სიმდიდრეს და ფლობენ უზარმაზარ ინტელექტუალურ პოტენციალს.

ფინანსური კრიზისის გადალახვა მდებარეობს მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის სიბრტყეში, ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარების, გამოცოცხლების ბაზაზე, რომელიც მიგვიყვანს გადასახადის მქონე ბაზის გაფართოებისაკენ და სახელმწიფოს ფედერაციულ წყობის საფუძვლების გამაგრებისაკენ.

სახელმწიფო და მუნიციპალური ფინანსების დარგში მთავარი პრობლემებია: ყველა დონის ბიუჯეტების და სახელმწიფო არასაბიუჯეტო ფონდების დაბალანსება; საგადასახადო სისტემისსრულყოფა; სახელმწიფო და მუნიციპალური საკუთრების გამოყენების ეფექტურობის ამაღლება;საბიუჯეტო ფედერალიზმის სრულყოფა; ფულადი საკრედიტო და ფინანსური პოლიტიკისერთიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური კონტროლის გაძლიერება და სხვა.

1. სახელმწიფოს ეკონომიკური როლი და ფუნქციები

თანამედროვე პირობებში სახელმწიფოს ეკონომიკური როლი გამოიხატება ქონებრივი ურთიერთობების რეფორმირებაში, ფედერაციული წყობილების ვერტიკალში, ინსტიტუციულ რეორგანიზაციაში და საზოგადოებაში ეკონომიკური ეფექტიანობის და სოციალურ სამართლიანობას შორის დაბალანსების მიღწევაში.

სახელმწიფოს ეკონომიკური როლი ვლინდება შემდეგ ფუნქციებში:

1. მარეგულირებელი,
2. გადამანაწილებელი,
3. სოციალური,
4. მაკონტროლებელი.

1.მარეგულირებელი ფუნქცია განპირობებულია იმით, რომ

1) არსებობენ სახელმწიფოს ფუნქციონირების დარგები, რომლებშიც მას უკავია წამყვანი პოზიციები (მაგალითად თავდაცვა, სოციალური დახმარება და ა. შ.).

2) სახელმწიფო ეკონომიკურ პოლიტიკას განახორციელებს ინსტიტუციური სისტემისმეშვეობით.

3) სახელმწიფო არის მესაკუთრე და თანაურთიერთობს ეკონომიკის სამეწარმეო სექტორის სხვადასხვა სტრუქტურებთან.

რეგულირების დარგებს მიეკუთვნება: სამეწარმეო სფერო, სახელმწიფო ფინანსები, ფულადი ბრუნვა, უნაღდო ანგარიშსწორება, საგარეო ეკონომიკური საქმიანობა, ვალუტის კურსი, ეკონომიკური უსაფრთხოება, საზოგადოებრივი სექტორი.

2.გადამანაწილებელი ფუნქცია: შექმნილი ეროვნული შემოსავალი არის გადანაწილების ობიექტი მის მწარმოებელს და მომხმარებელს შორის. სახელმწიფოში ამ ფუნქციის რეალიზებაში გადამწყვეტ როლს თამაშობს სოციალურ ეკონომიკურ სფეროში სახელმწიფოს და მის სუბიექტებს შორის უფლებამოსილების და მართვის საგნების განაწილება. ასეთი გადანაწილების მექანიზმია - საგადასახადო და საბიუჯეტო სისტემა.

3.სოციალური ფუნქცია - სახელმწიფო მხარს უჭერს სოციალურ სამართლიანობას და საზოგადოებრივი კეთილდღეობის განსაზღვრულ დონეს, არის საარსებო მინიმუმის, ხელფასის ზრდის და შრომის ნაყოფიერების შესაბამისობის გარანტი, უზრუნველყოფს მოსახლეობის დასაქმებას. ამ ფუნქციის რეალიზაციაში გადამწყვეტ როლს თამაშობს სახელმწიფოს საფინანსოეკონომიკური პოტენციალი, ამ ფუნქციის რეალიზაცია დაკავშირებულია ეკონომიკის საზოგადოებრივი სექტორის მოთხოვნის გაფართოებასთან. მისი რეალიზაციის მექანიზმია : რეგიონა-

ლურ და ადგილობრივ დონეზე სოციალური ტრანსფერების განვითარებისსისტემები, სოციალური პროგრამები, სახელმწიფო მინიმალური სოციალური სტანდარტების, სახელმწიფო სოციალური დაცვის, სამისამართო სოციალური დაცვის სისტემები.

4.მაკონტროლებელი ფუნქცია: სახელმწიფო ქმნის საზოგადოების სოციალურ - ეკონომიკური განვითარების ორიენტირებას, დებს ეკონომიკური და სოციალური ზრდის პარამეტრებს, განსაზღვრავს სამეწარმეო საქმიანობის პირობებს, აფორმებს გრძელვადიან, საშუალოვადიან და მიმდინარე ეკონომიკურ და სოციალურ პროგრამებს, რომლის შესრულება არის კონტროლის ობიექტი.

სახელმწიფოს ეკონომიკური როლი და ფუნქციები განსაზღვრავს ფინანსურ პოლიტიკას და სოციალურ-ეკონომიკური პროცესების რეგულირებების ფინანსურ მეთოდებს.

2. სახელმწიფო და მუნიციპალური საკუთრება

ქონება შიეძლება იყოს მოქალაქეების, იურიდიული პირების, და აგრეთვე საქართველოს სახელმწიფოს, სახელმწიფო სუბიექტების, მუნიციპალური წარმონაქმნის საკუთრებაში.

საქართველოს საკუთრებაში აღიარებული კერძო, სახელმწიფო, მუნიციპალური და საკუთრების სხვა ფორმები. ადგილი აქვს საკუთრების მრავალფეროვან ფორმებს.

სახელმწიფო საკუთრებას წარმოადგენს:

1) ქონება, მიკუთვნებული საკუთრების უფლებით საქართველოს სახელმწიფოს.
2) ქონება, მიკუთვნებული საკუთრების უფლებით სახელმწიფო სუბექტების საკუთრება.
3) მიწა და სხვა ბუნებრივი რესურსები, რომელიც არ არიან მოქალაქეების, იურიდიული პირების ან მუნიციპალური წარმონაქმნების საკუთრებაში.

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონება დამაგრებულია სახელმწიფო დაწესებულებებზე და საწარმოებზე მფლობელობისათვის, გამოყენებისათვის და განკარგვისათვის - სამეურნეო ან ოპერატიული მართვის უფლებით. შესაბამისი ბიუჯეტის სახსრები და სხვა სახელმწიფო ქონება, რომელიც არ არის დამაგრებული სახელმწიფო დაწესებულებებზე და უწყებებზე, შეადგინენ საქართველოს სახელმწიფო ხაზინას, სახელმწიფო სუბიექტის ხაზინას.

მუნიციპალური საკუთრება - არის ქონება, რომელიც მიეკუთვნება კუთვნილების უფლებით ქალაქის და სოფლის დასახლებას და აგრეთვე სხვა მუნიციპალურ წარმონაქმნებს, მუნიციპალური წარმონაქმნის სახელით მესაკუთრის უფლებებს განახორციელებენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები და სხვა პირები. მუნიციპალურ საკუთრებაში მყოფი ქონება დამაგრებულია მუნიციპალურ დაწესებულებებზე და საწარმოებზე მფლობელობის, გამოყენების და განკარგვისათვის.

3. სახელმწიფო და მუნიციპალური ფინანსები, არსი და ფუნქციები

სახელმწიფო და მუნიციპალური ფინანსები არის ფინანსური რესურსების ცენტრალიზებური ფონდების ფორმირების, განაწილების და მოხმარების რეალური ფულის ბრუნვაში შექმნილი ეკონომიკური ურთიერთობის ერთობლიობა.

სახელმწიფო და მუნიციპალური ფინანსები ფუნქციონირებენ სახელმწიფო ფინანსური სისტემის ჩარჩოში და არის მისი ცენტრალური რგოლის სახელმწიფო და მუნიცილაური ფინანსების შემადგენლობა:

- სახელმწიფო და მუნიციპალური ფინანსები
- საბიუჯეტო სისტემა
- არასაბიუჯეტო ფონდების სისტემა
- სახელმწიფო და მუნიციპალური სესხების სისტემა

ფინანსები, როგორც ეკონომიკური კატეგორია დამოკიდებულია საფინანსო სისტემის რგოლების შორის ურთიერთობის რეორგანიზაციაზე. უპირველესყოვლისა ეს ეხება ურთიერთობის მაკროდონის და მიკროდონის ფინანსებს შორის. მაკროდონის ფინანსები უპირველესყოვლისა სახელმწიფო და მუნიციპალური ბიჯეტი დაფუძნებულია საწარმოების ფინანსურ პო-

ტენციალზე.ფიანსები ხელს უწყობენ ეკონომიკური განვითარების საერთო მიზნების მიღწევას, ამიტომ საჭიროა მათი ოპტიმალური ორგანიზება.ორგანიზაციების ადგენს ფინანსების ხარისხიან განსაზღვრას სახელმწიფო ფინანური რესურსების განაწილება და მოხმარება განხორციელდება ფინანსური მართვის ინტელექტუალური სისტემების ჩარჩოებში.

სახელმწიფო და მუნიციპალური ფინანსები ეყრდნობა საფინანსო ნაკადებს. სახელმწიფოებრივი გადაწყვეტილების მიღება დაყრდნობილია ინფორმაციის ერთობლიობაზე. შემოსული ინფორმაციის ანალიზი მნიშვნელოვანია, როგორც გადაწყვეტილების მიღების მომენტში, ასევე შესრულების (აღსრულების) მიმდინარეობის კონტროლის დროსაც, ამ ინფორმაციას შეიცავს ოპერაციული და სტატისტიკური ანგარიშები, ხელშეკრულებები და შეთანხმებები, საანგარიშო დოკუმენტები და ა.შ.

სახელმწიფო და მუნიციპალურ ფინანსებს აქვთ მკვეთრი (მყისიერი) მიზნობრივი ორიენტაცია. ისინი საზოგადოების ზოგიერთი ფენის სოციალურ-პოლიტიკურ ინტერესებს. მაგრამ ყველა თავის ასპექტში ორიენტირებულნი არიან სახელმწიფოებრივი და მუნიციპალური ამოცანების გადაწყვეტაზე.

სახელმწიფო და მნიციპალური ფინანსები, როგორც ეკონომიკური კატეგორია ვლინდება მათ მიერ შესრულებული ფუნქციებში. ფუნქციის შესწავლა აუციელბელია სახელმწიფო საფინანსო პოლიტიკის რეალიზაციისათვის. ფინანსური მეცნიერების ჩარჩოებში (ფარგლებში) არსებობს სახელმწიფო ფინანსების და საწარმოების ფინანსური ფუნქციების განსაზღვრული ერთობლიობა და იმავე დროს არსებითი განსხვავებები, რომლებიც განსაზღვრავენ საერთო სახელმწიფო ინტერესების და საქმიანობის მეწარმეთა ასპექტის მნიშვნელობას.

ფინანსური სისტემის ძირითადი ფუნქციები:

ფინანსური სისტემისათვის საერთო ჯამში მთავარი მნიშვნელობა აქვს შემდეგ ფუნქციებს:

1.დაგეგმვას,

2.ორგანიზებას,

3.სტიმულირებას,

4.კონტროლს.

1.დაგეგმვის ფუნქცია გულისხმობს მიზნების ფორმულირებას და მათ მისაღებად გზების არჩევას, სახელმწიფო სუბიექტის და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილების და მართვის საგნის გამიჯვნის საფუძველზე. დაგეგმვის ფუნქციას ჩვეულებრივ მიაკუთვნებენ ფინანსური რესურსების განსაზღვრული მოცულობის განაწილებას დროის ასპექტში.

2. ორგანიზების ფუნქცია შეიცავს ბიუჯეტის შედგენას, საბიუჯეტო კლასიფიკაციას,, ვარაუდობას, ბიუჯეტის დამტკიცების და შესრულების შედგენის წესის განსაზღვრის აუცილებლობას და აღმასრულებელი ორგანოების უფლებამოსილების გამიჯვნას საბიუჯეტო პროცესში.

3. სტიმულირების ფუნქცია დაფუძნებულია მიზნების სარეალიზაციოდ მიმართულ საქმიანობაზე, ამ ფუნქციის დახმარებით განიმარტება ფაქტორები, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ ფინანსურ საქმიანობაზე და აღრიცხავენ მის მოთხოვნილებას ფულადი სახსრებისადმი. გადამწყვეტ როლს თამაშობენ ფაქტორები რომლებიც განსაზღვრავენ მომუშავეთა ქცევას, ფინანსების ტაქტიკურ და სტრატეგიულ ასპექტებში მათ მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

4. კონტროლის ფუნქცია ნიშნავს დაყენებული მიზნების რეალიზაციისათვის ხელის შეწყობას, მათ მიეკუთვნება ეტალონად შედეგების შეფასების კრიტერიუმად აღიარებული ნორმების და ნორმატივების გამომუშავება.

რეალური ფულადი ბრუნვის რეგულირებასთან დაკავშირებული ფინანსების ფუნქციები:

სახელმწიფო და მუნიციპალური ფინანსების გამანაწილებელი ფუნქცია ვლინდება მასში, რომ ახლად შექმნილი ღირებულების განაწილების და გადანაწილების მეშვეობით უზრუნველყოფენ საერთო სახელმწიფოებრივი მოთხოვნილებები, ყალიბდება ეკონომიკის საზოგადოებრივი სექტორის დაფინანსების წყაროები, საქართველოს საბიუჯეტო სისტემის ჩარჩოში აღწევენ საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო ფონდების დაბალანსებას.

სახელმწიფო და მუნიციპალური ფონდები ფუნქციონირებენ ფინანსური რესურსების გადანაწილების საფუძველზე ცენტრალიზებული ფონდების სისტემის მეშვეობით. ამ ფუნქციის დამხმარებით მათ მომსახურებას უწევენ რეპროდუქციულ პროცესებს, როგორც შედარებით განცალკავებულ სტრუქტურულ წარმონაქმნებზე ისე ზოგადად სახელმწიფო მაშტაბის ჩარჩოებში.

გამანაწილებელი ფუნქცია ნიშნავს რომ ახლად შექმნილი ღირებულება უნდა გადანაწილდეს საწარმოების მიერ ბიუჯეტის, ბანკების, კონტრაგენტების წინაშე აღებული ფულადი ვალდებულებების შესრულებისათვის, მისი შედეგია ფულადი სახსრების ცენტრალიზებული ფონდების ფორმირება და მოხმარება, ეკონომიკის არასაწარმოო სფეროს შენარჩუნება.

ფინანსების გამანაწილებელი ფუნქციის რეალიზების ძირითადი ობიექტებია - სავალდებულო გადასახადები ბიუჯეტში და არასაბიუჯეტო ფონდები, აგრეთვე საბიუჯეტო დეფიციტის დაფინანსების წყაროები განსაკუთრებულ როლს თამაშობს ბიუჯეტის სხვადასხვა დონეებს შორის შემოსავლების გადანაწილების პროცესი.

1. სახელმწიფო და მუნიციპალური ფინანსების მაკონტროლებელი ფუნქცია გამოიხატება რეალური ფულადი ბრუნვის რუბლით კონტროლის რეალიზაციაში, რომლის მონაწილეა სახელმწიფო, ფულადი სახსრების ცენტრალიზებული ფონდების ფორმირებით. რუბლით კონტროლს აქვს 2 ფორმა:

• ფინანსური მაჩვენებლების, გადახდის და ანგარიშის მდგომარეობის ცვლილებების კონტროლი;

• დაფინანსების სტრატეგიის რეალიცაზიის კონტროლი;

პირველ შემთხევვაში გამოიყენება სანქციების და წახალისების სისტემა, რომელიც იყენებს იძულების და სტიმულირების ხასიათის ზომებს. მეორე შემთხვევაში საუბარია გრძელვადიანი საფინანსო პოლიტიკის რეალიზაციის შესახებ, რომელშიც ძირითადი ყურადღება ექცევა მოსალოდნელ ცვლილებებს და მათდამი დაფინანსების პირობების მორგებას. საფინანსო სისტემის მუდმივი ცვლილებები, განახლება საჭიროებს ადეკვატურ რეაქციას ხელისუფლების ყველა შტოდან.

ფინანსების მაკონტროლებელ ფუნქციას ყოველთვის აქვს გამომჟღავნების კონკრეტული ფორმა, ის შეიძლება მიმართული იყოს განსაზღვრული დონის ბიუჯეტზე, არასაბიუჯეტო დონეზე, დაწესებულებაზე, უწყებაზე და ა. შ.

სახელმწიფო და მუნიციპალური ფინანსების მაკონტროლებელი ფუნქციის რეალიზება ხდება შემდეგი ძირითადი მიმართულებებით.

1) ცენტრალიზებულ ფონდებში სახსრების სწორი და დროული გადარიცხვის კონტროლი.

2) ფულადი სახსრების ცენტრალიზებული ფონდების მოცემული პარამეტრების დაცვის კონტროლი წარმოების და სოციალური განვითარების მოთხოვნების გათვალისწინებით.

3) ფინანსური რესურსების მიზანდასახული და ეფექტური გამოყენების კონტროლი.

ფინანსური რესურსების მიზნობრივი და ეფექტური გამოყენების კონტროლი ხორციელდება ფულადი ფონდების შექმნის და ხარჯვის შედგენილი გეგმიური და სააგარიშო ხარჯთაღრიცხვის საფუძველზე.

4. სახელმწიფო და მუნიციპალური ფონდების პრინციპები და როლი

სახელმწიფო და მუნიციპალური ფინანსების მდგომარეობა - არის ეკონომიკის მდგრადობის და სოციალური სისტემის სრულყოფის ერთერთი ძირითადი მაჩვენებელი. ბიუჯეტიდან ხორციელდება უმთავრესი საინვესტიციო პროგრამების, ეკოლოგიის, დაცვის და ა.შ. დაფინანსება.

სახელმწიფო და მუნიციპალური ფინანსები ორიენტირებულია შემდეგ ძირითად პრინციპებზე:

- საკანონმდებლო და ნორმატიული ბაზის ერთიანობა
- გახსნილობა და გამჭირვალობა.
- მიზნობრივი ორიენტირება.
- მეცნიერული მიდგომა დასახული მიზნების რეალიზაციისადმი.
- ეფექტურობა და რაციონალურობა (?)
- ცენტრალიზებულ ბაზაბე ფინანსური ნაკადების მართვა.

მიზნების მიღწევა განისაზღვრება განვითარების სტრატეგიით. ფინანსური სტრატეგია ეკონომიკის სახელმწიფო და მუნიციპალური სექტორის მფლობელობაში მყოფ მატერიალურ ტექნიკურ და ფულადი სახსრების ღირებულების შეფასებით, განსაზღვრავს დაბალანსებული მმართველობის შესაძლებლობას.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ფინასების როლის განსაზღვრას ქართული ეკონომიკის რეფორმირებაში, რომელიც შეიძლება იყოს დაყვანილი 3 გადამწყვეტ ფაქტორამდე:

1) ეკონომიკური სტაბილიზაცია.
2) ადაპტაცია საბაზრო გარდაქმნისადმი.
3) საინვესტიციო აქტივობის სტიმულირება.

1.მაკროდონეზე ეკონომიკური სტაბილიზაცია განუყოფელია საერთო საფინანსო სტაბილიზაციისაგან ეკონომიკაში. ამიტომ მაკროეკონომიკური მაჩვენებლების მონიტორინგი გვაძლევს საფინანსო სფეროში რეალური სიტუაციის გამოვლენის საშუალებას. მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს: ბიუჯეტის დეფიციტს, ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობას, საწარმოების დავალიანების დონეს ბიუჯეტის და კონტრაგენტების წინაშე, ინფლაციის დონეს, საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური ბანკის რედაფინანსების ფსონი, სავალუტო კურსის შეცვლას და სხვას.

2.ფინანსური ადაპტაცია საბაზრო რეფორმირებისადმი გამოიხატება იმაში, რომ სახელმწიფო და საწარმოები არიან კაპიტალების ბაზრის სრულყოფილი მონაწილეები, კრედიტორების და მსესხებლის როლში გამოსვლისას. ფინანსების ორგანიზება იძლევა საშუალებას ბაზარზე სიტუაციის ცვლილებაზე სწრაფი რეაგირების, ახალი პირობებისადმი შეთავსებისა, ალტერნატიული ფინანსურიინსტრუმენტების გამოყენებისა, საგადასახადო და სხვა ფულადი ვალდებულებების შესრლულებისა.

ეკონომიკის რეფორმირება ფინანსური ადაპტაციის მიზნით შეიცავს :

- ფასების ლიბერალიზაციას
- პრივატიზაცის
- სოციალურ ტრანსფორმაციას
- მსოფლიო სისტემაში ინტეგრაციას

ეკონომიკური ურთიერთობების ტრანსსფორმაცია ნიშნავს ინფლაციის და უმუშევრობის დაბალ დონეზე, საგარეო ეკონომიკური დაბალანსების, ხელსაყრელ ეკოლოგიის და საკმაოდ მაღალი ცხოვრების დონეზე აგებულ ეკონომიკური ზრდის ახალი ტიპისაკენ გადასვლას.

ტრანსფორმაციის მიზანია - სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის შექმნა.

3.სახელმწიფოს და ცალკეული საწარმოს საინვესტიციო აქტიობა არის ეკონომიკური ზრდის შედეგი და ინდიკატორი. ფინანსები თამაშობენ გადამწყვეტ როლს ინვესტიციების მოზიდვაში, კაპიტალების ბაზრის ფუნქციონირებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნაში. საინვესტიციო აქტიურობის მიმართ სტრატეგიული მიმართულების პრინციპი არის განმსაზღვრელი და ფინანსების ამოცანაა განახორციელოს მისი რეალიზაცია.

5.ეკონომიკის სახელმწიფო და მუნიციპალური სექტორების თანამედროვე მდგომარეობა-იმერეთის რეგიონის მაგალითზე

იმერეთის რეგიონი საქართველოს ცენტრალური ნაწილია. იგი დასავლეთ საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს. საქართველოს სხვა რეგიონებს შორის იმერეთის რეგიონი ტერიტორიის სიდიდის მიხედვით მესამეა სამეგრელო–ზემო სვანეთისა და მცხეთა–მთია-

ნეთის რეგიონების შემდეგ. მისი ფართობი 6518,8 კვ.მ–ია. და საქართველოს ტერიტორიის 19,4%-ს შეადგენს. მოსახლეობის მიხედვით კი რეგიონს პირველი ადგილი უჭირავს, მისი მოსახლეობა 2014 წლისთვის 703,3 ათას კაცს შეადგენდა, რაც საქართველოს მოსახლეობის 15,7%-ია.

რელიეფური მრავალფეროვნების გამო, იმერეთი პირობითად იყოფა ზემო და ქვემო იმერეთად, რომელიც აერთიანებს 12 ტერიტორიულ ერთეულს: ქალაქ ქუთაისს, ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ტყიბულის, ხარაგაულის, ხონის, წყალტუბოსა და ჭიათურის მუნიციპალიტეტებს. რეგიონში შედის 12 ქალაქი, 3 დაბა და 529 სოფელი.

რეგიონი გამოირჩევა საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ბუნებრივი რესურსების, ფლორისა და ფაუნის მრავალფეროვნებით. ამჟამად, იმერეთში 100-ზე მეტი მინერალურ-სანედლეულო რესურსების საბადოა აღრიცხული.

რეგიონშიხელსაყრელიბუნებრივიპირობებიამძლავრიენერგეტიკულიბაზისჩამოსაყალიბებლად. ასევეიმერეთისრეგიონსაქვსძალიანდიდიპოტენციალიტურიზმის, სოფლისმეურნეობისადამრეწველობისგანვითარებისათვის.

იმერეთისმოსახლეობა 67,8 ათასიკაცით (9%) შემცირდამოსახლეობისბოლოორაღწერას (1989-2002 წ.წ.) შორის. რეგიონში მოსახლეობის შემცირებისტენდენციაგაგრძელდა 2008 წლისთვისაც. იმერეთისმოსახლეობა 13,3 ათასითგაიზარდა 2008 წლიდან 2012 წლამდე, თუმცა 2014 წლისთვისმოსახლეობაკვლავშემცირებულია 4,5 ათასით. 2014 წლისთვისიმერეთისმოსახლეობის 48% ცხოვრობსქალაქად, 52%-სოფლად.

რეგიონისმოსახლეობის 28% ქ. ქუთაისშიცხოვრობს. 173 600 ათასიადამიანი (25%) ცხოვრობსრეგიონისმთიანნაწილში. ბოლო 12 წლისგანმავლობაშიმოსახლეობაუმნიშვნელოდ, მაგრამმაინცმცირდებარეგიონისთითქმისყველამუნიციპალიტეტში, ქუთაისისადასაჩხერისმუნიციპალიტეტებისგარდა.

სტატისტიკურიინოფრმაციისარარსებობისგამორთულიარეგიონშიარსებულისამუშაოძალისრაოდენობაზელაპარაკი, მაგრამსაქართველოსსტატისტიკისეროვნულისამსახურისმონაცემებითიმერეთსადარაჭა-ლეჩხუმში, ქვემოსვანეთისჩათვლითაქტიურიმოსახლეობა (სამუშაოძალა) 2006 წელს 394.9 ათასიდან, 2013 წლისთვის 387.7 ათასამდეშემცირდა. ამავეპერიოდში, იგივეტერიტორიაზეშემცირებულიასამუშოძალისგარეთმყოფიმოსახლეობისრაოდენობაც 191.7 ათასიდან 167.0 ათასამდე. რეგიონშისკოლისმოსწავლეთარაოდენობამოსახლეობის 11%-სშეადგენს. მიუხედავადიმისა,

ბოლოწლებში, რეგიონიდანშრომითიმიგრაციადამახასიათებელიაისეთქვეყნებში, როგორიცააესპანეთი, პორტუგალია, საბერძნეთი, იტალიადანაწილობრივდსთ-ისქვეყნები.

რეგიონშიმაღალიათვითდასაქმებულთარიცხოვნობა, რაცეკონომიკურადაქტიურიმოსახლეობის 63-65%-სშეადგენს. ესგანპირობებულიასაოჯახომეურნეობებშისასოფლო-სამეურნეოსექტორისმაღალიხვედრითიწილით.

შინამეურნეობებისმიერდეკლარირებულიმონაცემებისმიხედვითსაშუალოთვიურიშემოსავლებიერთსულმოსახლეზე 2011–2013 წლებში 190,2 ლარიდან 229,9 ლარამდეგაიზარდა. უნდააღინიშნოსრომესმაჩვენებელისოფლადუფრომცირეავიდრექალაქისტიპისდასახლებებში.

რეგიონშიმაღალიასიღარიბისმაჩვენებელი. 2014 წლისმდგომარეობითრეგისტრირებულია 283,18 ათასისოციალურადდაუცველიპირი, რაციმერეთისმოსახლეობის 28% შეადგენს, აქედანსაარსებოშემწეობისმქონებენეფიციარიარის 85,59 ათასიკაცი.

რეგიონშიირიცხება 27374 იძულებითგადაადგილებულიპირი (10950 ოჯახი), რაცმოსახლეობის 1,5%–სშეადგენს. აღნიშნულიპირებირეგიონშიჩასახლებულნიარიანროგორცკომპაქტურად, ასევეინდივიდუალურად.

იმერეთშიმოსახლეობისმოწყვლადიჯგუფებისთვის – მზრუნველობამოკლებულიბავშვებისთვის, მოხუცებისადაშშმპირებისთვისმოქმედებსსხვადასხვატიპისსოციალურისახლები. რეგიონშინაკლებადარისუზრუნველყოფილიშშმპირებისათვისადაპტირებულიინფრასტრუქტურით, არხდებაშესაბამისისამშენებლოსტანდარტებისდაცვა, რაცხელსუშლისსაზოგადოებრივცხოვრებაშიმათსათანადოინტეგრირებას.

რეგიონშიარარსებობსსოციალურითავშესაფრები, მაშინროცაიმერეთისრეგიონისთორმეტივემუნიციპალიტეტშირეგისტრირებულიაუსახლკაროდდარჩენილი 1574 ოჯახი, მათიუმეტე-

სობა 927 ოჯახირეგისტრირებულიაქ. ქუთაისში. მოქალაქეებიდაზარალებულნიარიანსხვადასხვამიზეზით: სტიქიურიუბედურები (მეწყერი, ქარი, წყალდიდობა, დიდთოვლობა, მიწისძვრა, ხანძარი), საცხოვრებელიშენობა–ნაგებობისსიძველე, ოჯახურიკონფლიქტები, იპოთეკითდაზარალებულები, ოჯახები, რომელთაცარასოდესჰქონიათსაცხოვრებელიფართიდასხვა.

რეგიონული ეკონომიკის განვითარების დონეს და მის შესაძლებლობებს მნიშვნელოვნად განაპირობებს მდიდარი ბუნებრივი რესურსები. რეგიონი გამოირჩევა საქართველოს ტერიტორიაზე არსებული წიაღისეული სიმდიდრეების მრავალფეროვნებით. ამჟამად იმერეთში 100-ზე მეტი მინერალურ-სანედლეულო რესურსების საბადოა აღრიცხული. მათგან ექსპორტშიზე გადის მანგანუმი, ქვანახშირი, ბარიტისა და დიატომიტის საშენი მასალები, თიხის მარაგები, ბეტონიტური თიხები (გუმბრინი), მარმარილო, გამარმარილოებული კირქვები, ტეშენიტების, ბაზალტის საბადოები.

ჭიათურაში მანგანუმის ბალანსური და ბალანსგარეშე მარაგები დაახლოებით 215 მილიონ ტონას შეადგენს მადნის ყველა ტიპის (ჟანგეული, კარბონატული, დაჟანგული, შერეული, ქვიშაქვები) მიხედვით. სავარაუდოდ მანგანუმის ჯერ კიდევ დაუმუშავებელი მარაგები არსებობს ყვირილასა და ზესტაფონის მუნიციპალიტეტებში, ჩხარი-აჯამეთის, ქუთაისის და თერჯოლის ტერიტორიებზე.

ტყიბულში ქვანახშირის მარაგები დაახლოებით 3,1 მლნ. მ3-ია (მ.შ: კურსები – 1,5 მლნ., ლოლაშენი – 1,6 მლნ.), წყალტუბოში (ოფურჩხეთის) დაახლოებით 3,0 მლნ. მ3. ასევე მოცულობითია ეკლარისა (16,6 მლნ. ტონა) და გელათის (1.6 მლნ. მ3) ქვის საბადოებიც, რაც ადგილობრივი წარმოების განვითარების რეალურ შესაძლებლობებს წარმოშობს.

იმერეთის რეგიონი მდიდარია სამშენებლო ინდუსტრიისათვის საჭირო რესურსული პოტენციალით. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ მოწოდებული 2009–2010 მონაცემების მიხედვით, იმერეთში ბურებრივი რესურსების შემდეგი მარაგებია:

- ზესტაფონის მუნიციპალიტეტი: არგვეთის სააგურე თიხის საბადო მარაგი – 160 ათასი მ3 და ბოსლევის სააგურე თიხის საბადო მარაგი – 870 ათასი მ3; შროშის ცეცხლგამძლე თიხების დიდი მოცულობის გამოვლინება - მარაგი პროგნოზით 1 მლნ. ტ.;
- თერჯოლის მუნიციპალიტეტი: ჩხარის სააგურე (150 მარკის) თიხის საბადო - 405 ათასი მ3;
- საჩხერის მუნიციპალიტეტი: პერევის კერამიკული თიხის და ლაშურის სააგურე (175 მარკის) თიხის საბადო. მარაგი 6,9 მლნ. მ3;
- სამტრედიის მუნიციპალიტეტი: ბარძგნარის თიხის III საბადო (სააგურე) მარაგი – 420 ათასი მ3; ბუკნარის თიხის II საბადო (სააგურე) მარაგი – 1,9 მლნ. მ3;
- წყალტუბოს მუნიციპალიტეტი: უკანეთის თიხის საბადო (სადგურ „ბროწეულას“ სამხრეთ-დასავლეთით 1,5 კმ-ზე) – 343 ათასი მ3;
- ხონის მუნიციპალიტეტი: ხონის თიხის საბადო – 128 ათასი მ3; „დედალაურის“ კირქვის (საკედლე ბლოკი) საბადო – 496 ათასი მ3;

რეგიონში ხელსაყრელი ბუნებრივი პირობებია მძლავრი ენერგეტიკული ბაზის ჩამოსაყალიბებლად. იმერეთში ამჟამად 5 ჰიდროელექტროსადგურია განლაგებული: რიონჰესი, გუმათჰესი, ვარციხჰესი, ძევრულჰესი, შაორჰესი. მათ მიერ ელექტროენერგიის წლიური გამომუშავება 1400-1500 მლნ. კვტ. საათია. ჰიდრორესურსების სიუხვე, იმავდროულად, მრავალი მცირე (მინი) ჰესის აგების და ფუნქციონირების პირობებსაც ქმნის.

ტყიბულისმუნიციპალიტეტისტერიტორიაზემდებარენახშირისსაბადოებიდანშესაძლებელიამეთანისმიღებადაშემდგომშიმისმრავალმხრივგამოყენება.

რეგიონში წარმოებული დამატებული ღირებულება.წარმოების განაწილება ქვეყნის ამა თუ იმ რეგიონის მიხედვით დამოკიდებულია რიგი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების ერთობლიობაზე. ამ ფაქტორთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია წარმოების ფაქტორების (მუშახელი, კაპიტალი, საქონელი, მომსახურება)



2008-2012 წლებში ფაქტობრივად შენარჩუნდა რეგიონში წარმოებული დამატებული ღირებულების ზრდის ტენდენცია (1,6 მლრდ. ლარიდან 2,2 მლრდ ლარამდე, ზრდა 137%). შესაბამისად, მნიშვნელოვნად გაიზარდა მთლიანი რეგიონული პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით, რაც რეგიონის ეკონომიკაში პოზიტიურ ძვრებზე მიუთითებს. კერძოდ, თუ 2008 წელს ეს მაჩვენებელი 2324 ლარს შეადგენდა, 2012 წლისათვის 3173 ლარს მიაღწია. აღნიშნულის მიუხედავად, იგი მნიშვნელოვნად ჩამორჩება ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს.

2012 წელს რეგიონში წარმოებულმა დამატებულმა ღირებულებამ 2221,7 მლნ. ლარი შეადგინა (ზრდის ტემპი 104,2%). ის შეადგენს საქართველოს რეგიონებში წარმოებული დამატებული ღირებულების 15%-ს და 350 მლნ. ლარით აღემატება საშუალო რეგიონულ მაჩვენებელს.

იმერეთისრეგიონისმრეწველობა.1990-ანი წლების დასაწყისიდან სამრეწველო წარმოების დონის მკვეთრი დაცემა და ამის შედეგად რეგიონის შიდა პროდუქტში დარგის ხვედრითი წილის არსებითი შემცირება აღინიშნა.ეს თავისთავად მიანიშნებდა დეინდუსტრიალიზაციის რეალურ საშიშროებაზე, რასაც სამრეწველო პროდუქციის ნომენკლატურისა და იმ პერიოდის წარმოების დინამიკის მონაცემებიც ადასტურებენ.

1995-2001 წლებში რეგიონის ეკონომიკურ სფეროში რიგი პოზიტიური ძვრები აღინიშნა, თუმცა, მდგომარეობა კვლავ რთულად დარჩა.ბოლო 15 წლის განმავლობაში (1999-2013 წლები) მნიშვნელოვნად გაიზარდა სამრეწველო პროდუქციის გამოშვება - 114,2 მლნ. ლარიდან 678,9 მლნ. ლარამდე (თითქმის 6-ჯერ). თუმცა 2012 წელთან შედარებით სამრეწველო პროდუქციის წარმოება შემცირდა 8,4%-ით. საქართველოს რეგიონების მიერ წარმოებულ სამრეწველო პროდუქციაში იმერეთის ხვედრითი წილი 15,2%-ია.

2004-2013 წლებში მრეწველობაში დასაქმებულთა რიცხოვნობა 13845 კაციდან 15219 კაცამდე გაიზარდა, რაც ამ დარგის განვითარების ტენდენციის დაბალ დონეზე მიუთითებს. სამრეწველო წარმოების ძირითადი სფეროებია: მეტალურგიისა და ლითონპროდუქტების წარმოება, ელექტროენერგიის წარმოება, კვების პროდუქტების წარმოება და მსუბუქი მრეწველობის ნაწარმის გამოშვება.

რეგიონის მრეწველობის განვითარებისათვის ძირითად პრობლემებს წარმოადგენს საწარმოო სიმძლავრეების დაუტვირთაობა; წარმოების პროცესში გამოყენებული მოძველებული ტექნოლოგიები; არაკვალიფიციური მუშახელი და ბაზრების შეუსწავლებლობა.

ბიზნეს სექტორის ზოგადი აღწერა. ბიზნესის რეგისტრის ოფიციალური მონაცემებით, იმერეთის რეგიონში რეგისტრირებულია 81198 სუბიექტი (2014 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით), რაც მთლიანად ქვეყანაში რეგისტრირებული სუბიექტების 13,8%-ს შეადგენს და თბილისის გარდა, ნებისმიერი სხვა რეგიონის მაჩვენებლებს მნიშვნელოვნად აღემატება. 2013 წლის ოფიციალური სტატისტიკისმონაცემებით რეგიონში არსებული სამეურნეო სუბიექტების მთლიანმა ბრუნვამ შეადგინა 2042,4 მლნ. ლარი, ხოლო გამოშვებულმა პროდუქციამ - 1135,5 მლნ. ლარი. იმავე წელს ამ სექტორში დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა 43122 იყო,

ხოლო საშუალო თვიური ანაზღაურება - 489,3 ლარი, რაც 67,5 ლარით აღემატება იმავე პერიოდში რეგიონში სახელმწიფო სექტორში საშუალო წლიური ანაზღაურების მაჩვენებელს.

ამსექტორშირეგიონებისმთლიანბრუნვაშიიმერეთისხვედრითიწილი 16,5%–ია, ხოლოგამოშვებულპროდუქციაში 14%. ამასთან, როგორცბრუნვის, ისეგამოშვებულიპროდუქციისმაჩვენებლებიმნიშვნელოვნადაღემატებასაშუალორეგიონულს (შესაბამისად, 805 მლნ. და 334 მლნ. ლარით).

ბიზნესსექტორშიგამოშვებულიპროდუქციისზრდისმიუხედავად, უარყოფითიტენდენციავლინდებაამსექტორშიდასაქმებისმაჩვენებლისმიხედვით 2006-2010 წლებში. თუ 2006 წელსამსექტორში 37,3 ათასიკაციიყოდასაქმებული, 2010 წელსამმაჩვენებელმა 35,5 ათასიკაციშეადგინა (შემცირდა 1,8 ათასიკაცით). თუმცა, 2011-2013 წლებშიზრდისტენდენციადაფიქსირდა. კერძოდ, დასაქმებულთარაოდენობაამპერიოდისათვისგაიზარდა 40 087 კაციდან 43122 კაცამდე (3035 კაცით, ზრდისტემპი 107%).

ბოლო წლებში იმერეთში განხორციელებული და მიმდინარე მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტები, როგორიცაა ზესტაფონი-ქუთაისი-სამტრედიის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მშენებლობა, მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია, სასმელი წყლის, ტურისტული ინფრასტრუქტურის აღდგენა-გაუმჯობესება საბოლოოდ სწორედ ბიზნესის განვითარებისაკენ არის მიმართული.

იმერეთში ოპერირებს ქვეყანაში მოქმედი თითქმის ყველა საბანკო, საკრედიტო და სადაზღვევო დაწესებულება, ასევე ადგილობრივი ბიზნეს საკონსულტაციო ორგანიზაციები, სახელმწიფო სტრუქტურები, პროფესიული და უმაღლესი სასწავლებლები, რომელთა გამართული მუშაობა უმნიშვნელოვანესია რეგიონში ინვესტიციების მოზიდვისა და ბიზნესის განვითარებისათვის.

საშუალოვადიანპერსპექტივაშიბიზნესისგანვითარებისათვისრეგიონში, ისევეროგორცმთლიანადქვეყანაშიფართოშესაძლებლობებსშექმნისევროკავშირთანგაფორმებულიხელშეკრულებაღრმადაყოვლისმომცველითავისუფალივაჭრობისშესახებ, რომელიცგაუადვილებსადგილობრივპროდუქციასევროპისბაზარზეშესვლას. ესკითავისმხრივწარმოადგენსდამატებითსტიმულსქვეყანაშიუცხოურიინვესტიციებისმოზიდვისათვის. ევროკავშირთანასოცირებისხელშეკრულებისადაღრმადაყოვლისმომცველითავისუფალივაჭრობისშეთანხმებისხელმოწერისშემდეგრეგიონშიწარმოებულპროდუქციასგზაეხსნებაევროკავშირის 500 მილიონიანბაზარზეგასასვლელად. ამისათვისსაჭიროარეგულაციებისადასტანდარტებისჰარმონიზებაევროკავშირისშესაბამისკანონმდებლობასთან.

მიზანშეწონილიაკვლევისჩატარებაბიზნესისსფეროშირეგიონისშესაძლებლობებისშესახებ, რაცსაჭიროაკონკრეტულიპროექტებისმომზადებისათვის. რეგიონშიბიზნესისგანვითარებისშემაფერხებელფაქტორთაშორისაღსანიშნავიაჯერკიდევარასრულადმოწესრიგებულიინფრასტრუქტურა, ინვესტიციებისნაკლებობა, მუშახელისარასათანადოკვალიფიკაცია, თანამედროვეტექნიკასადატექნოლოგიებზედაბალიხელმისაწვდომობადაა.შ.

დასკვნა

გამოყენებული ლიტერატურა

1. საჯარო ინვესტიციების მართვა მუნიციპალურ დონეზე, გზამკვლევი ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთათვის, თბილისი, 2012 წ
2. ო.კიკვაძე, მ. ძაგანია - ფისკლაური დეცენტრალიზაციის ტენდენციები საქარტველოში - თბილისი, 2013 წ
3. საქართველოს მუნიციპალური სექტორის განვითარებისათვის გათვალისწინებული ფინანსური სახსრების მართვის შესახებ – საქართველოსპრეზიდენტის ბრძანებულება №294, 1997 წლის 7 ივნისი, ქ. თბილისი
4. http://imereti.gov.ge/res/docs/strategia.pdf

ონერ ძაძუა

საგადასახადო ურთიერთობათა აქტუალური საკითხები

საქართველოში, დღეისათვის მოქმედი საგადასახადო კოდექსი რიგით მესამეა. იგი პარლამენტმა მესამე მოსმენით 2010 წლის 17 სექტემბერს დაამტკიცა და 2011 წლიდან შევიდა ძალაში. საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულია 6 გადასახადი, რომელთაც უფრო დაწვრილებით ამ თემაში განვიხილავთ.

ბოლო წლებში გაერთიანდა საგადასახადო და საბაჟო ადმინისტრაციები. დღეისათვის ამ ორი სტრუქტურული ერთეულის უფლებამოსილებას ახორციელებს შემოსავლების სამსახური, რაც დადებითი მოვლენაა თუმცა უკეთესი იქნებოდა ორივე სტრუქტურისათვის ყოფილიყვნენ ერთმანეთისაგან გამიჯნულები და შესულიყვნენ ფინანსთა სამინისტროს დაქვემდებარებაში.

შემოსავლების სამსახური არის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი, სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც თავის უფლებამოსილებას ახორციელებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. მისი მთავარი ფუნქციაა მარტივი და სანდო საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბება, საქართველოში არსებული ბიზნეს გარემოს ხელშეწყობა და გაუმჯობესება.

შემოსავლების სამსახურმა უნდა უზრუნველყოს სამართლიანი ადმინისტრირების ჩამოყალიბება, რათა საქართველო იყოს მიმზიდველი ქვეყანა ინვესტირების განხორციელებისთვის და ბიზნესის კეთება გახდეს მარტივი და უსაფრთხო.

აღსანიშნავია ის წინგადადგმული ნაბიჯები, რომელიც განახორციელა ბოლო წლების განმავლობაში შემოსავლების სამსახურმა:

- დაინერგა რისკზე დაფუძნებული აუდიტი;
- მიმდინარე კონტროლის პროცესი იგეგმება რისკების ელექტრონული პროგრამის მეშეობის;
- განხორციელდა საგადასახადო სისტემის ცენტრალიზება
- მიმდინარეობს კადრების სისტემური გადამზადება
- შესაძლებელია პრობლემურ საკითხებზე წინასწარი გადაწყვეტილების მიღება
- გადამხდელებს მიეცათ საგადასახადო შეთანხმების გაფორმების შესაძლებლობა
- გამარტივდა საგადასახადო კონტროლის შედეგების გასაჩივრების პროცედურები:
- ამუშავდა შემოსავლების სამსახურის სატელეფონო ცენტრი
- გამარტივდა და დაიხვეწა სერვისები, ვებ პორტალის www.rs.ge -ს საშუალებით შესაძლებელი გახდა დეკლარაციების და პირველადი საგადასახადო დოკუმენტების ელექტრონულად შევსება;
- გადამხდელს შეუძლია აიყვანოს პირადი საგადასახადო აგენტი (prive)
- მიენიჭათ შეღავათები სპეციალური საგადასახადო რეჟიმების სახით-მიკრო, მცირე და ფიქსირებული გადასახადის გადამხდელ ბიზნესის სტატუსის მქონე პირებს.
- შეიქმნა საგადასახადო ომბუცმენის ინსტიტუტი;
- შემცირდა საბაჟო ტარიფები და უცხო ქვეყნის მოქალაქეზე მოქმედებს Tax free reJmi;
- ჩამოყალიბდა გაფორმების ეკონომიკური ზონები თბილისში, ბათუმსა და ფოთში;
- კეთილსინდისიერი გადამხდელისთის ამოქმედდა GOOD FAITH პრინციპი-გაფრთხილება ჯარიმის ნაცვლად.

მიუხედავად განხორციელებული რეფორმებისა, დღეისათვის მოქმედი საგადასახადო სისტემა მაინც მოითხოვს დახვეწას და რიგი ცვლილებების განხორქციელებას, საგადასახადო სისტემის სრულყოფა სწორად ჩამოყალიბებული საგადასახადო პოლიტიკის გარეშე შეუძლებელია,

რომლის მიზანია: ბიზნესის სტიმულირება, მთლიანი, შიდა პროდუქტის ზრდა და ბიუჯეტის საშემოსავლო ბაზის განვითარება; გადასახადების სტაბილურობა; გადასახადების დადგენისა და ამოღების წესის გამარტივება, სამართლიანობის პრინციპის დაცვა.

საგადასახადო სისტემის და მასში განხორციელებული ცვლილებების ეფექტიანობის შესახებ შეიძლება ვიმსჯელოთ ისეთი ეკონომიკური მაჩვენებლის შესახებ, როგორიცაა საგადასახადო ტვირთი. საგადასახადო ტვირთი (საგადასახადო სიმძიმე) - ესაა ქვეყნის ჯამური საგადასახადო შემოსავლების ფარდობა მთლიან შიდა პროდუქტთან, გამოხატული პროცენტებში. საგადასახადო ტვირთი ასახავს საზოგადოების მიერ წარმოებული პროდუქტის იმ ნაწილს, რომელიც ნაწილდება საბიუჯეტო მექანიზმების მეშვეობით. საგადასახადო ტვირთის მაჩვენებელი სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაა, მაგრამ ძირითადად განვითარებულ ქვეყნებში მისი დონე მერყეობს 45-50%-ის ფარგლებში. საგადასახადო ტვირთის ოპტიმალური სიდიდის პრობლემას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც განვითარებადი, ისე განვითარებული ქვეყნებისათვის. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ჩემს მიერ გამოთვლილი საქართველოს საგადასახადო ტვირთის მაჩვენებელი მაჩვენებელი 2010 წლიდან 2014 წლის ჩათვლით. 2014 წელს საგადსახადო ტვირთი 2010 წელთან შედარებით 1,23% ით არის გაზრდილი.

საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში გადასახადების (საგადასახადო ტვირთის) შემცირება იწვევს ინვესტიციების სტიმულირებას. აქ იგულისხმება მეწარმეობაზე, ხელფასზე და დივიდენდებზე საგადასახადო განაკვეთის შემცირება. საჭიროა საინვესტიციო პროცესს მიეცეს სტიმულირება, რაც გამოიწვევს დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას და დამატებით გამომუშავებას. თავიანთ მსჯელობებში მეცნიერები ეყრდნობიან ზემოთ აღნიშნულ ლაფერის იდეას, და ასაბუთებენ, რომ საგადასახადო განაკვეთის შემცირებისას, საბოლოო ანგარიშში იზრდება საგადასახადო ბაზა, მეტი პროდუქცია იძლევა მეტ გადასახადებს, მაღალი გადასახადები ამცირებენ საგადასახადო ბაზას და სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებს. ამიტომ სახელმწიფოს ხელისუფლებას უდიდესი პასუხისმგებლობა აკისრია, მან უნდა შეიმუშაოს ისეთი ოპტიმალური საგადასხადო სისტემა, რომ შეივსოს ბიუჯეტიც და ამავე დროს ხელი შეეწყოს ბიზნესის განვითარებას და საზოგადოების კეთილდღეობას.

აღსანიშნავია 2015-2016 წლების შემოსავლების სამსახურის ,,საგადასახადო ვალდებულების ნებაყოფლობით შესრულების სტრატეგია", რაც გულისხმობს გადასახადის გადამხდელთა მხრიდან ნებაყოფლობით, ყოველგვარი იძულების გარეშე გამოვლენილი გადასახადის გადახდას. ასევე შემოსავლების სამსახური ახორციელებს სხვადასხვა მეთდებით იმ პირთა გამოვლენას, რომელნიც თავს არიდებენ გადასახადებს. სტატეგიის მიზანია ფოკუსირების მოხდენა პრობლემურ ჯგუფებზე და მათი ინფორმირება იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც განხორციელდება ნებაყოფლობითი დეკლარირების და გადახდევინების გაზრდის კუთხით. ,,საგადასახადო ვალდებულებების ნებაყოფლობითი შესრულების სტრატეგიის" ფარგლებში მოხდება იმ გადამხდელთა მხარდაჭერა, რომელთაც სურთ გადაიხადონ გადასახადები და ამავდროულად განხორციელდება მკაცრი კონტროლი იმ გადამხდელთა მიმართ, რომელნიც ცდილობენ თავი აარიდონ საგადასახადო ვალდებულების შესრულებას.

ვფიქრობთ, აღნიშნული სტრატეგია ახლო მომავალში იქნება დადებითი ეფექტის მომტანი, გადამხდელებს აუმაღლებს ცოდნას ამ სფეროში, შეამცირებს საგადასახადო სამართალდარღვევათა რაოდენობას და საგადასახდო სისტემის მიდგომა საზოგადოების მიმართ გახდება ლოიალური, გადამხდელს შეეძლება რჩევისთვის მიმართოს საგადასახადო ორგანოს და მიიღოს ყველანაირი ინფორმაცია ამ საკითხთან დაკავშირებით. რაც კარგია და მისასალმებელია, აღნიშნული სტრატეგიის გარეშე საგადასახადო სისტემის მუშაობა უკვე წარმოუდგენელია, რადგან ძალიან დადებითად იმოქმედა გადამხდელთა დამოკიდებულების შეცვლაზე გადასახადებთან და საგადასახადო სისტემასთან .

როგორც, ვიცით საქართველოს საგადასახადო კოდექსში მუდმივად შედის ცვლილებები, აქ მოცემულია ის ცვლილებები, რომელნიც 2015 წლის 01 მაისს განხორციელდა.

1. ზედმეტად გადახდილი თანხა არაუგვიანეს 3 თვის მაგივრად ბრუნდება არაუგვიანეს 1 თვისა (ამოქმედდება 2015 წლის 1 დეკემბრიდან)

2. საშემოსავლო გადასახადი დიფერენცირებული გახდა და ეს ნორმა ამოქმედდება ფინან-

სთა მინისტრის მიერ ფიზიკური პირების სპეციალური რეესტრირების წესის შემოღების შემდგომ, მხოლოდ ამ ფიზიკურ პირებზე:

• საცხოვრებელი ფართობის იურიდიულ ან ფიზიკურ პირზე საცხოვრებელი მიზნით გაქირავების შედეგად იმ ფიზიკური პირის მიერ მიღებული შემოსავალი, რომელიც ამ შემოსავლიდან გამოქვითვებს არ ახორციელებს, 5 პროცენტით იბეგრება.

• ფიზიკური პირის მიერ საცხოვრებელი ბინის (სახლის) და მასზე დამაგრებული მიწის ნაკვეთის, აგრეთვე ავტოსატრანსპორტო საშუალების მიწოდებით მიღებული ნამეტი შემოსავალი 5 პროცენტით იბეგრება.

3. არარეზიდენტის მიერ მიღებული როიალტი 10 პროცენტის მაგივრად 5 პროცენტით დაიბეგრება გადახდის წყაროსთან (სსკ 134 მუხლი)

4. 2015 წლის 1 ივლისიდან დღგ-ს არაგადამხდელად რეგისტრირებული პირი უკუდაბეგვრის დღგ-ს აღარ გადაიხდის მომდევნო თვის არაუგვიანეს 15 რიცხვისა, ამასთან დაკავშირებით შესაბამის წესს შემოიღებს საქართველოს ფინანსთა მინისტრი.

5. 2015 წლის 1 ივლისიდან, უკუდაბეგვრის დღგ-ს ბიუჯეტში თანხის გადახდის დოკუმენტი აღარ იქნება უკუდაბეგვრის დღგ-ს ჩათვლის დოკუმენტი, არამედ ჩათვლა მიიღება: დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული პირის მიერ უკუდაბეგვრის შემთხვევაში დარიცხული და დღგ-ის დეკლარაციაში უკუდაბეგვრის დღგ-ის თანხის ასახვით, რომელიც იმავდროულად ჩათვლის მიღების საფუძველია.

6. 2015 წლის 1 ივლისიდან პერიოდზე საურავი გახდა 0.05% (2013 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის 30 ივნისის ჩათვლით პერიოდში 0.06% და 2013 წლამდე პერიოდზე 0.07%)

7. დღგ-ს რეგისტრაციის გარეშე საქმიანობა - 15 პროცენტის ნაცვლად, იწვევს პირის დაჯარიმებას რეგისტრაციის გარეშე საქმიანობის პერიოდში განხორციელებული დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების (გარდა გათავისუფლებული ოპერაციებისა) თანხის 5 პროცენტის ოდენობით

8. გადასახადის გადამხდელთან სააღრიცხვო დოკუმენტაციაში აღურიცხველი და პირველადი საგადასახადო დოკუმენტის გარეშე სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გამოვლენა 100 პროცენტის მაგივრად, იწვევს პირის დაჯარიმებას გამოვლენის მომენტში ამ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების საბაზრო ღირებულების 50 პროცენტის ოდენობით

9. საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდელთან საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული დანაკლისის გამოვლენაზე 50 პროცენტიანი ჯარიმა გახდა 10 პროცენტი

შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული ცვლილებები ნამდვილად წინგადადგმული ნაბიჯია, მაგრამ ისევ და ისევ უნდა ითქვას, რომ საგადასახადო სისტემაში ძალიან ხშირად შედის ცვლილებები, რაც კანონმდებლობის არასტაბილურობაზე მიუთთებს და ინვესტორებისთვის არამიმზიდველ გარემოს ქმნის. საჭირო ცვლილებები უნდა განიჭვრიტოს თავიდანვე და არ გახდეს აუცილებლობა იმისა, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსმა წელიწადში რამდენჯერმე განიცადოს სახეცვლილება, ცვლილებები, რომელნიც შევა საგადასახადო კოდექსში უნდა იყოს წინასწარ კარგად გააზრებული და ჩამოყალიბებული.

საგადასახადო სისტემაში არსებული პრობლემები შეიძლევა ორ ნაწილად გაიყოს. ერთი იქნება ძირითადი ანუ უშუალოდ სისტემური პრობლემები და მეორე პრობლემები, რომელიც დაკავშირებულია საგადასახადო განაკვეთებთან.

სისტემური პრობლემები: საგადასახადო სისტემის ძირითად პრობლემას დაწყებული და დროში გაწელილი, დაუმთავრებელი საგადასახადო შემოწმებების ოდენობა, აღნიშნულთან დაკავშირებით მეწარმეები გამოხატავენ უკმაყოფილებას. ამისათვის საჭიროა, მოხდეს შესამოწმებელი ობიექტების კლასიფიცირება შემოსავლის ოდენობის მიხედვით..

ამ პრობლემას აგვარებდა ალტერნატიული აუდიტის სისტემა, რაც საშუალებას აძლევდა გადამხდელს საგადასახადო ინსპექციისათვის მიეწოდებინა აუდიტის მასალები, რაც დღეს საგადასახადო ინსპექციის თანამშრომლების შესასრულებელია, ეს კი ძალიან შრომატევადი პროცედურაა, რისთვისაც დღევანდელი საგადასახადო სისტემა მზად არ არის. შესაძლებელია ასევე მილიონამდე ბრუნვის მქონე საწარმოების შემთხვევაში საგადასახადო ორგანო დაკმაყოფილდეს კამერალური შემოწმებით.

იმის გამო, რომ ალტერნაციული აუდიტი გააუქმა ფინანსთა სამინისტრომ, საერთაშორისო

სავალუტო ფონდის რეკომენდაციით, აღნიშნულის პარარელურად დაიწყო შტატების რაოდენობის გაზრდა აუდიტის მიმართულებით, უფრო მეტიც დაიწყო აუდიტის დეპარტამენტის რეგიონალური სტრუქტურების შექმნა, ანუ დაუბრუნდა ძველ სისტემას, რომელიც არ შეიძლება არ იქცეს კორუფციის წყაროდ ამ კატეგორიის თანამშრომლებისათვის არაადეკვატური ხელფასების დანიშვნის პირობებში.

საგადასახადო აუდიტი, როგორც სხვა ნებისმიერი სახის აუდიტი ქვეყანაში უნდა ხორციელდებოდეს მხოლოდ რისკების საფუძველზე. საამისო ბაზა დღეს შემოსავლების სამსახურს გააჩნია, არის აუცილებლობა აღნიშნული ბაზა კიდევ უფრო დაიხვეწოს, რომელიც საბოლოო ჯამში გამოყენებული უნდა იქნას მაღალი სიზუსტის რისკების განსაზღვრისათვის, ჩემის აზრის შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტმა კამერალური და გასვლითი საგადასახადო შემოწმებები უნდა განახორციელოს მხოლოდ მაღალრისკიან სუბიექტებში, რომლის დადგენა შესაძლებელი იქნება ბაზაში არსებული ინფორმაციის და შესაბამისი ანალიტიკური ნორმატივებისა და კოეფიციენტების ანალიზის შედეგების საფუძველზე. აუდიტორებმა ბიზნეს რისკი უნდა განიხილონ სამი მიმართულებით: 1. ბიზნეს რისკის გამოკვლევა და შეფასება; 2. დამკვეთისათვის დახმარების გაწევა რისკის შეცნობაში, შეფასებასა და მასზე რეაგირებაში; 3. კავშირის დამყარება აუდიტორულ რისკს, ბიზნეს რისკსა და ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკს შორის. გარდა ამისა აუცილებელი წესით საგადასახადო აუდიტს უნდა დაექვემდებაროს მხოლოდ ის სუბიექტები , რომელთა წლიური ბრუნვა აღემატება 20 მილიონ ლარს.

ერთ-ერთი მნიშნელოვანი პრობლემაა ასევე გადამხდელების უცოდინარობა და დაუდევრობა, კერძოდ დღემდე არ არის მოწესრიგებული ორგანიზაციების საბუღალტრო აღრიცხვიანობა, რაც ართულებს და აფერხებს საგადასახადო სისტემის მუშაობას. ხელისუფლებამ უნდა შემოიღოს მკაცრი რეგულაციები ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების ნაწილში, რომელშიც ვგულისხმობთ მასშტაბული ბიზნესის მწარმოებელი კომპანიებისათვის ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების განხორციელების ვალდებულებას ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებთან. აღნიშნული ნორმამ ასახვა უნდა ჰპოვოს საქართველოს საგადსახადო კოდექსში.

ბუღალტრული აღრიცხვის არ ცოდნას ხელს უწყობს საკანონმდებლო ბაზის დაუხვეწაობა. ცვლილებები და საგადასახადო კოდექსის დახვეწა რა თქმა უნდა ყოველთვის მისაღები და აუცილებელია, მაგრამ ეს არ უნდა ხდებოდეს ქაოტურად. მაგალითად 2011 წლიდან დღემდე 81 ჯერ შევიდა ცვლილება ახალ საგადასახადო კოდექსში, რაც სტატისტიკურად ნიშნავს რომ ყოველ მეთექვსმეტე დღეს ხორციელდება ცვლილება საგადასახადო კოდექსში, მსგავსი, რამ არსად არ ხდება და საკანონმდებლო ბაზის და მომუშავე პერსონალის არაკომპეტენტურობაზე, წინდაუხედავობაზე და არაგეგმიურ მუშაობაზე მეტყველებს . ეს უარყოფითად მოქმედებს, როგორც შიდა ბაზაზე, ასევე გავლენას ახდენს ინვესტორების განწყობასა და მოტივებზე, რადგან ინვესტორი მის საინვესტიციო სტრატეგიას განსაზღვრავს გადაწყვეტილების მიღების მომენტისათვის მოქმედი საგადასახადო კანონმდბლობით, თუ აღნიშნული საკითხები მოგვარდება საინვესტიციო აქტივობა გაიზრდება, რაც გავლენას მოახდენს ყველა ასპექტით, გაიზრდება სამუშაო ადგილების რაოდენობა, მშპ და ხელი შეეწყობა ეკონომიკის განვითარებას.

ვფიქრობ, დადებითი ეფექტის მომტანი იქნება საგადსახადო და საბაჟო სისტემების განცალკევება ისეთი ანგარიშით, რომ საბაჟო დეპარტამენტი ჩამოყალიბდეს საქვეუწყებო დაწესებულებად ან საჯარო სამართლის იურიდიულ პირად საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში. აღნიშნული მოსაზრება ეყრდნობა ამ საკითხზე გამოთქმულ მთელ რიგ მოსაზრებებს, აგრეთვე პრაქტიკული გამოცდილების ანალიზს. იმ შემთხვევაში თუ მოხდება ერთიან საინფორმაიო ბაზაში, დროის რეალურ რეჟიმში გადამხდელზე ინფორმაციის გაცვლა.

აღსანიშნავია, უნდა დადგინდეს როგორც საგადასახადო, ასევე ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეჟიმების გავრცელების მიზნით მცირე, საშუალო და მსხვილი ბიზნესის დიფერენცირება და მხოლოდ ამის შემდგომ განისაზღვროს შესაბამისი პრეფერენციები.

კანონმდებლობა უნდა იყოს ბაზარზე არსებული სიტუაციის ადეკვატური. თავისუფლად უნდა ლავირებდეს წარმოქმნილი პრობლემებთან შესაბამისობაში, ქვეყნისა და გადამხდელის ინტერესების დაცვით, რომლითაც არც ბიუჯეტი უნდა დაზარალდეს და არც გადასახადის გადამ-

ხდელი.

საგადასახადო განაკვეთებთან დაკავშირებული მოსაზრებები - როგორც უკვე მრავალჯერ აღვნიშნეთ გამოიხატება საგადასახადო განაკვეთების პროპორციულ და ფიქსირებულ ხასიათში, როცა განვითარებული ქვეყნების საგადასახადო განაკვეთები სრულად დიფერენცირებულია .

საშემოსავლო გადასახადი ნებისმიერი შემოსავლის მქონე გადასახადის გადამხდელისთვის თანაბარია მათ შორის საარსებო მინიმუმზე ნაკლები შემოსავლიც იბეგრება, რაც მოითხოვს გადახედვას და დიფერენციაციას. მკაცრად უნდა განისაზღვროს დაუბეგრავი მინიმუმი და არა მომდენო წელს მისი დაბრუნება, რომელიც ფინანსთა მინისტრის ბრძანებით შეიძლება გაგრძელდეს ან არა. საშემოსავლო გადასახადი უნდა გახდეს პროგრესული მინიმალური განაკვეთი იყოს 5% და მაქსიმალური 30 % მდე. დაუბეგრავი მინიმუნი კი განისაზღვროს 500 ლარით.

მოგების გადასახადიც პროპორციულია ნებისმიერი შემოსავლის მქონე საწარმოებისთვის. მიგვაჩნია, რომ ეს გადასახადი უნდა იყოს ასევე დიფერენცირებული და მეწარმეობის წახალისებისთვის საჭიროა დამწყები ბიზნესი, რომლის ბრუნვა არ აღემატება 1000000 ლარს მინიმუმ 3 წელი განთავისუფლდეს მოგების გადასახადისგან. აღნიშნული მოსაზრება უნდა ეყრდნობოდეს შესაბამის გამოკვლევებს. ეს ნაბიჯი დადებითი ეფექტის მომცემი იქნება მეწარმეობის განვითარებისთვის. რაც ძალიან მნიშნელოვანია საქართველოსთბივის, როგორც განვითარებითი ქვეყნისათვის.

აქციზის გადასახადი ფიქსირებულია სხვადასხვა საქონლისთვის ამიტომ ამ კუთხით ეს განაკვეთი ელასტიური უნდა იყოს ბაზარზე არსებულ სიტუაციასთან.

დამატებული ღირებულების გადასახადიც მძიმე ტვირთად აწვება მის გადამხდელებს, ამიტომ აქაც საჭიროა დიფერენციაცია და მინიმულური და მაქსიმალური განაკვეთების დადგენა. დღგ ადგილობრივ ბიუჯეტზეც უნდა ნაწილდებოდეს.

იმპორტის გადასახადის შემთხვევაში ,,პირის მიერ 30 დღის განმავლობაში 500 ლარის ღირებულების და 30 კგ-მდე საქონელის შემოტანა პირადი მოხმარებისთვის" ეს ქვოტა უნდა გაიზარდოს და არაეკონომიკური დანიშნულების საქონელი პირადი მოხმარებისთვის არ უნდა დაიბეგროს, დასაშვები წონაც შესაბამისად უნდა გაიზარდოს მინიმუმ 70 კგ-მდე.

აღსანიშნავია სისხლის სამართლის 218-ე მუხლი - ,,გადასახადისათვის თავის არიდება" დიდი ოდენობით გადასახადისათვის განზრახ თავის არიდება, – ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე. იგივე ქმედება, ჩადენილი: ა) არაერთგზის; ბ) განსაკუთრებით დიდი ოდენობით, ისჯება თავისუფლების აღკვეთი0თ ვადით ხუთიდან რვა წლამდე. ამ მუხლში დიდ ოდენობად ითვლება, როდესაც გადასახდელი გადასახადის თანხა აღემატება ოცდახუთი ათას ლარს, ხოლო განსაკუთრებით დიდ ოდენობად – როდესაც თანხა აღემატება სამოცდათხუთმეტ ათას ლარს. მიგვაჩნია, რომ ეს ზღვარი უნდა გაიზარდოს არანაკლებ 100000 ლარამდე. ამასთან ერთად უნდა დაზუსტდეს ამ ნორმის შინაარსი, რადგან დამალვა სხვა ფენომენია და შეცდომა სხვა. ამიტომ ამ ნორმამ უნდა განიცადოს შესაბამისი ცვლილება შესაძლო მოკლე დროში.

ჩვენი მოკვლეული მასალების მიხედვით ორმაგი დაბეგვრისგან თავის აცილების პროგრამა 49 ქვეყანასთან მოქმედებს. მთავრობამ აღნიშნულ საკითხზე უნდა გააგრძელოს შესაბამისი მუშაობა, იმ მიზნით რათა საქართველოს მოქალაქეებს აგრეთვე დანარჩენი სახელმწიფოების მოქალაქეებს ქონდეს როგორც საქართველოში ისე უცხოეთში ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების რეჟიმში მუშაობის შესაბამისი პირობები.

ვალერი მოსიაშვილი

რეგიონული გამოთანაბრება - ტურისტული ინდუსტრიის განვითარების ხელშემწყობი ფაქტორი

ადგილობრივი თითმმართველობის ორგანოები წარმოადგენენ სახელმწიფო მართვის სისტემის სავალდებულო კომპონენტს. სახელმწიფო საფინანსო სისტემაში მკვეთრად იზრდება ადგილობრივი ბიუჯეტების როლი. საქართველოს საბიუჯეტო მოწყობის განვითარების მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს სხვადასხვა დონის ბიუჯეტებს შორის ჩამოყალიბებული ურთიერთობების გადასინჯვა. საბიუჯეტო სისტემის ნორმალური ფუნქციონირებისთვის საჭიროა საბიუჯეტო რესურსების „გადანაწილება“, რომლის განხორციელება დაუშვებელია თვითნებურად. იგი უნდა დაეფუძნოს მკაცრად ფორმულირებულ წესს, კერძოდ კი, საბიუჯეტო კლასიფიკაციას, რაც უზრუნველყოფს ფინანასური სახსრების მისამართიანობას და სხვადასხვა დონის საბიუჯეტო რესურსების განცალკევებას. იგი სავალდებულოა ყველა დონის ბიუჯეტისთვის და ქვეყნის ყველა საბიუჯეტო დაწესებულებებისა და ორგანიზაციის.თვის.

შესაძლოა რვნიშნოთ, საბიუჯეტო ფედერალიზმი ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების ისეთი სისტემაა, სადაც მაქსიმალურადაა გათვალისწინებული საბიუჯეტი იერარქიის ყველა დონის საბიუჯეტო - საფინანსო ინტერესები და საგადასახადო ბაზის განვითარების შესაძლებლობანი. მასში მნიშვნელოვანია საგადასახადო ფედერალიზმი, ანუ საგადასახადო უფლებამოსილებათა გამიჯვნა ცენტრსა და რეგიონებს შორის. ერთის მხრივ, სახელმწიფოსა (ცენტრს) და რეგიონებს შორისა, მეორეს მხრივ, რეგიონებს შიგნით რეგიონებსა და მასში შემავალ რაიონებს (ქალაქებს) შორის, მესამეს მხრივ, რაიონსა და რაიონში შემავალ სოფლებს, დაბებს, თემებს, საკრებულოებს შორის, მეოთხეს მხრივ, ქალაქსა და ქალაქში შემავალ რაიონებსა და საკრებულოებს შორის.

საბიუჯეტო ფედერალიზმს აქვს ორი მთავარი პრინციპი: პოლიტიკური და ეკონომიკური.

ფედერალიზმის პოლიტიკური პრინციპი მდგომარეობს ფედერაციის შემადგენელი ერთეულების მთლიანობის უზრუნველყოფის პირობებში ფედერალურ წარმონაქმნთა შორის კანონით მინიჭებულ სახელისუფლებო უფლებამოსილებათა კონსტიტუციურ განაწილებაში.

ფედერალიზმის ეკონომიკური პრინციპი მდგომარეობს უფლებამოსილებათა დაყოფაში საკუთრებასთან მიმართებაში. ფედერაციასა და მის სუბიექტებს შორის ფულად - საკრედიტო და საბიუჯეტო - საგდასახადო, სტრუქტურული და საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავება - რეალიზაციაში.

საბიუჯეტო ფედერალიზმის სისტემამ უნდა უზრუნველყოს: ტერიტორიული ინტეგრაცია, ეკონომიკური ეფექტიანობა, საბიუჯეტო პასუხისმგებლობა, სოციალური სამართლიანობა, პოლიტიკური კონსოლიდაცია. საბიუჯეტო ფედერალიზმის ძირითადი ამოცანებია: საქართველოს ტერიტორიული ერთეულების საბიუჯეტო მოწყობის მოწესრიგება. ხარჯვითი უფლებამოსილებების მკვეთრი გამიჯვნა, საგადასახო უფლებამოსილებების მკვეთრი და სტაბილური გამიჯვნა და შემოსავლის წყაროების მიმაგრება სხვადასხვა დონის ბიუჯეტებზე, რეგიონული და ადგილობრივი ბიუჯეტების ფინანსური მხარდაჭერის ობიექტური და გამჭვირვალე მექანიზმების შექმნა-განვითარება, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე საჯარო ფინანასების მართვის ხარისხის ამაღლება.

საბიუჯეტო ფედერალიზმის ნებისმიერი მეთოდის ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად უნდა შესრულდეს მინიმუმ სამი პირობა: ხელისუფლების ყველა დონეს შორის ხარჯვითი უფლებამოსილებების ერთმნიშვნელოვანი გამიჯვნა და საკანონმდებლო დაკანონება. ხელისუფლების შესაბამისი დონეების უზრუნველყოფა ამ უფლებამოსილებათა შესასრულებლად საკმარისი საშემოსავლო წყაროებით. ვერტიკალური და ჰორიზონტალური საბიუჯე-

ტო გამოთანაბრება ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების მექანიზმის გამოყენებით.

დღევანდელი ადმინისტრაციულ - ტერიტორიული დაყოფით საქართველოში ორი ავტონომიური რესპუბლიკა. ავტონომიური რესპუბლიკების საბიუჯეტო მოწყობა რეგულირდება როგორც საკუთარი კონსტიტუციითა და კანონმდებლობით ასევე ქვეყნის ძირითადი კონსტიტუციით, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით და სხვა კანონებით. შესაბამისად, ადგილობრივ ორგანოებს უფლება აქვთ გააჩნდეთ საკუთარი ფინანსური სახსრები, რომელთა განკარგვა მათ შეეძლებათ თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში.

უკანასკნელ წლებში მიმდინარეობს ეკონომიკური და სოციალური პროცესების რეგიონალიზაციის გაღრმავება - დეცენტრალიზაცია. მართვისა და რეგულირების ბერკეტები სახელმწიფო ხელისუფლების ცენტრალური დონიდან აქტიურად გადადის მართვის ადგილობრივ ორგანოებზე. ადგილობრივი ფინანსები აქტიურად ერთვება ეკონომიკის რეგულირებაში, სოციალურ - ეკონომიკური განვითარების სტიმულირებაში, რეგიონული მიზნობრივი პროგრამების რეალიზაციაში, სამუშაო ძალის კვლავწარმოებაში და ა.შ.

ადგილობრივი ფინანასები წარმოადგენენ ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემას, რომელთა საშუალებითაც მართვის ადგილობრივი ორგანოები ეროვნულ შემოსავალს მათდამი დაკისრებული სოციალური , ეკონომიკური და სხვა ფუნქციების შესასრულებლად გამოიყენებენ, ანაწილებენ და გადაანაწილებენ.

დაბალი საბიუჯეტო უზრუნველყოფის მქონე ტერიტორიული ერთეულების შესაძლებლობათა ზრდის და მოქალაქეთა ძირითადი საბიუჯეტო და სოციალური გარანტიების ხელმისაწვდომობის უზუნველსაყოფად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ტრანსფერტებს, რაც, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ფორმირების ერთ - ერთ უმთვარეს წყაროს წარმოადგენს და ხელს უწყობს რეგიონული ეკონომიკის განვითაარებას. დღესდღეობით საქართველოში სამი სახის ტრანსფერტი მოქმედებს: გამოთანაბრებითი, მიზნობრივი და სპეციალური. გამოთანაბრებითი ტრანსფერტი ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსური დახმარების სახით გადაეცემათ. ამ სახსრების გამოყენების მიმართულებას დამოუკიდებლად განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო. იგი გაიანგარიშება ყველა თვითმმათველი ერთეულისთვის. მიზნობრივი ტრანსფერი წარმოადგენს დელეგირებულ უფლებამოსლებათა განსახორციელებლად ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსური დახმარების სახით მიღებულ სახსრებს. მისი გათვალისწინება საგანგებოდ ხდება ადგილობრივი თვითმმათველი ერთეულის ყოველწლიურ ბიუჯეტში. სპეციალური ტრანსფერი არის ადგილობრივი თვითმმათველი ერთეულის ბიუჯეტისთვის სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციოდ, აგრეთვეე, კონკრეტული კაპიტალური და მიმდინარე ხარჯების დასაფინანსებლად საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დახმარების სახით გამოყოფილი სახსრები.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, საბიუჯეტო ფედერალიზმის ძირითადი ამოცანებია: საქართველოს ტერიტორიული ერთეულების საბიუჯეტო მოწყობის მოწესრიგება; ხარჯვითი უფლებამოსილებების მკვეთრი გამიჯვნა და „დაუფინანსებელი მანდატის“ შემცირება; საგადასახადო უფლებამოსილებების მკვეთრი და სტაბილური გამიჯვნა და შემოსავლების წყაროების მიმაგრება სხვადასხვა დონის ბიუჯეტებზე; რეგიონული და ადგილობრივი ბიუჯეტების ფინანსური მხარდაჭერის ობიექტური და გამჭვირვალე მექანიზმების შექმნა და განვითარება; რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე საჯარო ფინანსების მართვის ხარისხის ამაღლება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ საფინანსო-საბიუჯეტო ფედერალიზმის ამა თუ იმ მოდელის არჩევა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ფუნქციების შესრულებას აპირებს თავად ცენტრალური ხელისფულება და რა ფუნქციების დელეგირება ხდება ფედერაციის სუბიექტებზე. ამ პრობლემის გადასაწყვეტად ამოსავალია ცენტრალური ხელისფულების ე.წ. „მინიმალურ ფუნქციათა“ განსაზღვრა, რომლის გარეშეც ერთიანი სახელმწიფო ვერ იარსებებს.

მათემატიკა

იოსებ ფოჩხუა

ფურიეს ტრიგონომეტრიული მწკრივის განშლადობა სხვადასხვა სისტემის მიმართ

ვთქვათ, R არის ნამდვილ რიცხვთა სიმრავლე, რომელზეც განსაზღვრულია 2π პერიოდული ფუნქცია $f: R \to R$. დავუშვათ $f \in L[-\pi, \pi]$, მაშინ f ფუნქციის ფურიეს ტრიგონომეტრიულ მწკრივს აქვს სახე:

$$f \sim \frac{a_0}{2} + \sum_{n=1}^{\infty} (a_n \cos nt + b_n \sin nt),$$

ხოლო მის შეუღლებულ ტრიგონომეტრიულ მწკრივს ექნება სახე:

$$f \sim \sum_{n=1}^{\infty} (-b_n \cos nt + a_n \sin nt),$$

სადაც,

$$a_k = \frac{1}{\pi}\int_{-\pi}^{\pi} f(t)\cos kt\,dt, \quad b_k = \frac{1}{\pi}\int_{-\pi}^{\pi} f(t)\sin kt\,dt, \quad k \in N.$$

მაშინ ფურიეს ტრიგონომეტრიულ მწკრივის კერძო ჯამს ექნება სახე:

$$S_m(x, f) = \frac{1}{\pi}\int_{-\pi}^{\pi} f(y + t) D_m(y)\,dt,$$

სადაც

$$D_m(y) = \frac{1}{2} + \cos y + \cdots + \cos my = \frac{\sin\left(m + \frac{1}{2}\right)y}{2\sin\frac{y}{2}},$$

რომელსაც დირეხლეს ბირთვი ეწოდება.

$\{\chi_m(t)\}_{m=1}^{\infty}$-ით ავღნიშნოთ ორთონორმირებული ჰაარის სისტემა, სადაც $t \in [0; 1]$. ჰაარმა დაამტკიცა, რომ თუ $f(t) \in L[0; 1]$, მაშინ ფურიე-ჰაარის მწკრივი

$$\sum_{m=1}^{\infty} a_m(f)\chi_m(t),$$

კრებადია თითქმის ყველგან $[0; 1]$ შუალედზე $f(t)$ ფუნქციისკენ, სადაც

$$a_m(f) = \int_0^1 f(y)\chi_m(y)\,dy$$

მტკიცდება შემდეგი

ლემა 1. არსებობს 2π-პერიოდული $\{\varphi_n(t)\}_{n=1}^{\infty}$ ფუნქციათა მიმდევრობა, რომელიც აკმაყოფილებს პირობებს:

1.ფუნქცია $\varphi_n(t) \geq 0$, როცა $t \in [0; 2\pi]$, ხოლო ინტეგრალი

$$\int_0^{2\pi} \varphi_n(t)dt = 2 \qquad (n = 1,2,\dots);$$

2. $\varphi_n(t)$ ფუნქცია $[0; 2\pi]$ შუალედში გააჩნია შემოსაზღვრული ვარიაცია.

3. ყოველ $\varphi_n(t)$ ფუნქციისთვის შეიძლება შერჩეულ იქნას ისეთი დადებითი რიცხვი M_n , სიმრავლე $E_n \subset [0; 2\pi]$ და q_n მთელი რიცხვი ისეთი, რომ

$$\lim_{n\to\infty} M_n = \infty;$$

$$\lim_{n\to\infty} mesE_n = 2\pi;$$

ყოველი t წერტილისთვის E_n სიმრავლეში არსებობს $p_n(t)$ ნომერი ისეთი , რომ

$p_n(t) \le p_n$ და $\left|S_{p_n(t)}(t, \varphi_n)\right| > M_n \qquad (n = 1, 2, \dots).$

სადაც $S_p(t, \varphi_n)$- ფურიეს ტრიგონომეტრიული მწკრივის კერძო ჯამია.

ამ ლემის საფუძველზე მტკიცდება

თეორემა1. (ა.კოლმოგოროვ) არსებობს $\Phi(t) \in L(0; 2\pi)$ ფუნქცია ისეთი, რომ მისი ფურიეს ტრიგონომეტრიული მწკრივი განშლადია თითქმის ყველგან.

თეორემა 2. არსებობს

$\sum_{m=1}^{\infty} a_m \chi_m(t)$, სადაც $\sum_{m=1}^{\infty} a_m^2 < \infty$

მწკრივი, რომლის შემოსაზღვრული წევრთა შესაბამისი გადაადგილების შემდეგ განშლადია თითქმის ყველგან $[0; 1]$ -ზე.

თეორემა 3. $L^2(0,1)$ სივრცეში, ნებისმიერი $\{f_k\}_{k=1}^{\infty}$ ბაზისისთვის არსებობს $F \in L^2(0,1)$ ფუნქცია ისეთი, რომ მისი ფურიეს მწკრივი

$$F(t) = \sum_{k=1}^{\infty} a_k f_k(t) \quad (a_k = (F, \psi_k)),$$

რომლის შემოსაზღვრული წევრთა შესაბამისი გადაადგილების შემდეგ განშლადია თითქმის ყველგან $[0; 1]$ -ზე. სადაც $\{\psi_k\}$, არის $\{f_k\}$ სისტემის შეუღლებული სისტემა.

თეორემა 1. ვთქვათ $\Phi(x) = x\varphi(x)$, სადაც $\varphi(x)$- არაკლებადი ფუნქციაა შუალედში, $\varphi(0) = 1$ და აკმაყოფილებს პირობას

$\varphi(x) = o(\sqrt{\log x})$, როცა $x \to \infty$.

მაშინ არსებობს ისეთი ფუნქცია $f \in \Phi(L)$, რომლის ფურიე- უოლშის მწკრივი განშლადია შუალედზე.

თეორემა 2. თუ $\{\lambda_n\}$ დადებით რიცხვთა, ზრდადი მიმდევრობა აკმაყოფილებს პირობას

$(\lambda_n) = o\left(\sqrt{\log n}\right)$, როცა $n \to \infty$,

მაშინ არსებობს $f \in L(0,1)$ ისეთი, რომ

$$\overline{\lim_{n\to\infty}} \frac{|S_n(f,x)|}{\lambda_n} = \infty,$$

ნებისმიერი $x \in [0,1)$- სთვის.

თეორემა 3. ვთქვათ $\rho(k)$ არაკლებადი დადებით რიცხვთა მიმევრობა აკმაყოფილებს პირობას:

$$\sum_{k=1}^{\infty} \frac{1}{k\rho(k)} = \infty.$$

მაშინ არსებობს $\{a_k\}$ კოეფიციენტთა მიმდევრობა და ნატურალურ $\sigma(k)$ მწკრივის გადანაცვლება ისეთი, რომ

$$\sum_{k=1}^{\infty} a_k^2 \rho(k) < \infty,$$

მაგრამ მისი ფურიე- უოლშის გადანაცვლებული მწკრივი $\sum_{k=1}^{\infty} a_{\sigma(k)} \Psi_{\sigma(k)}(x)$ განშლადია ნებისმიერი $x \in [0,1]$- სთვის.

ლიტერატურა

1. П. Л. Ульянов А. Н. Колмогоров и расходящиеся ряд Фурье Успех матю наук. т.38 вып. 4(232) 1983 г.
2. Л. В. Жижиашвили некоторые вопросы теории тригонометрических рядов Фурье и их сопряженных Издательство Тбилисского университета 1993г.
3. С . В. Бочкарев всюду расходящиеся ряды фурье по системе Уолша и мулъти пликативным системам. УМН. 2004. том 59 1(355), 103-124
4. М. С. Беспалов В. А. Скляренко Функции Уолша и их приложения Владимир 2012

ნორჩი ათინათელები

მარიამ ხვედელიძე



ინტერვიუ ქალბატონ ნელი ქველაძესთან

მოგესალმებით ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალ-პროფილიანი საერთაშორისო აკადემიასთან არსებული ჟურნალ „ათინათის“ ნორჩი „ათინათელი“ მარიამ ხვედელიძე.

გთხოვთ გამაცნოთ თქვენი პიროვნება.

მე გახლავართ ნელი (ლელიკო) ქველაძე.

ქ-ნ ნელი რა პროფესიის ბრძანდებით?

დამთავრებული მაქვს ივანე ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი, ისტორიკოსის, ისტორიის მასწავლებლის სპეციალობით. თითქმის 45 წელია ვარ მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის (ყოფ. პიონერთა) თანამშრომელი (პედაგოგი, მხარეთმცოდნეობის განყოფილების მასობრივი მუშაობის ორგანიზატორი, საქართველოს ისტორიის კაბინეტის გამგე, უფროსი პედაგოგი...) ამჟამად ვმუშაობ ამავე კაბინეტის უფროს პედაგოგ კონსულტანტად. ვხელმძღვანელობ კაბინეტთან არსებულ სასკოლო მხარეთმცოდნეობის მუზეუმს, რომლის ერთ-ერთი დამაარსებელიც ვარ. ნახევარი საუკუნის განმავლობაში რუდუნებით (სამხარეთმცოდნეო და არქეოლოგიურ ექსპედიციებში) ჩვენს მრავალ თაობასთან ერთად მოპოვებულ ექსპონატებს სათუთად მოპყრობა, მოვლა და პატრონობა სჭირდება, რომ საქართველოს ისტორიის მუზეუმში მოსულ მოსწავლეს თუ სხვა სტუმარს ნათელი წარმოდგენა დარჩეს საქართველოს ისტორიის კაბინეტის საქმიანობაზე წარსულში და ახლაც, სადაც თაობები პატრიოტული გრძნობით იზრდებოდნენ, იზრდებიან და კვლავაც გაიზრდებიან. დღემდე წარვმართავ სასახლის ყველაზე უპირველესი და მნიშვნელოვანი ღონისძიების-მოსწავლეთა რესპუბლიკური სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციის ნორჩ ისტორიკოსთა სექციის მუშაობას, რომლიც ყოველწლიურად სულ უფრო და უფრო მაღალ დონეს აღწევს.

ჩვენი ქვეყნის რომელი კუთხის შვილი ხართ?

ბორჯომის უმშვენიერეს ხეობაში, დაბა ახალდაბაში დავიბადე და გავიზარდე. წარმტაცმა მშობლიურმა ბუნებამ მეოცნებე და რომანტიკულ ადამიანად მაქცია და დღემდე ასეთი ვარ.

სად გაატარეთ ბავშვობა?

მშობლიურ ახალდაბაში და მის შემოგარენში. საქართველოს ისტორიით ბავშვობიდანვე ვიყავი გატაცებული და აქ მდებარე ისტორიული ძეგლები დაწვრილებით შევისწავლე; მათ შორის გრიგოლ ხანძთელის მიერ აგებული „ნეძვის” ცნობილი ტაძარი, დაბის ცენტრში ცადაზიდული თამარის ციხე, ციხე-გოდოლნი მტკვრის სანაპიროზე და სამი უძველესი ეკლესია სოფლის სასაფლაოზე..

როგორი ბავშვი იყავით?

სწავლამოწყურებული, უზომოდ მიყვარდა კითხვა. ჩემს ბავშვობაში სოფელში შუქი არ იყო, ამიტომ ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა ხოლმე თუ მთვარიანი ღამე იყო და მის შუქზე თითქმის გათენებამდე ვკითხულობდი. სოფელში საკმაოდ მდიდარი ბიბლიოთეკა გვქონდა. აქ ყველა წიგნი წავიკითხე და შემდეგ ქ. ბორჯომისა და ხაშურის ბიბლიოთეკებშიც დავდიოდი. სკოლაში კარგად ვსწავლობდი, ყველა საგანში წარჩინებული ვიყავი და სკოლაც ოქროს მედალზე მაქვს დამთავრებული.

ვინ იყვნენ თქვენი მშობლები?

ჯერ ჩემი გვარის წარმომავლობაზე მოგახსენებთ: ჩვენი საგვარეულოს ფესვები (ქველაძეთა-„დიდ თავადთა," როგორც ჩვენი დიდი კლასიკოსი-გიორგი წერეთელი წერს თავისი რომანის „ჩვენი ცხოვრების ყვავილებში") უკავშირდება ტკბილ იმერეთს-კერძოდ ხარაგაულის რ-ნის სოფელ ვარძიას. ადრეული ბავშვობიდან მახსოვს, რომ ჩემს მამა-ბიძებს ბოლომდე არ გაუწყვეტიათ კავშირი მათ მამა-პაპათა ამ ძველი საცხოვრისთან.

ზემოთ აღნიშნული რომანის მთავარი მოქმედი გმირი დიდი თავადი დიტო ქველაძე მამაჩემის-დიმიტრი ქველაძის დიდი ბაბუა ყოფილა. მამაჩემს საკმაოდ მდიდარი ბიოგრაფია ჰქონდა. მამაცურად იბრძოდა მეორე მსოფლიო ომში და იქიდან მართალია ჭრილობებით, მაგრამ ცოცხალი დაბრუნდა და მალე შეუდგა შრომით საქმიანობას. მეტყევე იყო, სამუშაო დროის უმეტეს ნაწილს ახალდაბის მდიდარ ტყეებში ატარებდა და ბუნების დიდი მოტრფიალეც გახლდათ. საოცრად მზრუნველი და მოსიყვარულე მამა იყო, მაგრამ საუბედუროდ ჩვენს გაზრდას არ მოსწრებია, რადგან 60-იან წლებში ხაშურის ცნობილი ტრაგედიის დროს ეს ნაომარი ადამიანი მშვიდობიანობის დროს დაიღუპა და სამი შვილი დავობლდით...

დედაჩემი-თამარ სარალიძე წარმოშობით ზესტაფონის რ-ნის სოფ. თუზიდან იყო. უდიდესი შინაგანი კულტურის, სითბოსა და სიკეთის მატარებელი, ნამდვილი საუკეთესო ქართველი ქალის განსახიერება, ოჯახისა და შვილების ერთგული და თავდადებული დედა, რომ იტყვიან „სულს გვიბერავდა" და ჩვენი ცხოვრების რთულ პირობებში ბევრჯერ გვიხსნა მისმა ძვირფასმა სახებამ. მისი ბევრი კეთილშობილური თვისებებიდან განსაკუთრებით დამამახსოვრდა იშვიათი სტუმართმოყვარეობა. მამის დაღუპვის შემდეგ ეკონომიურად ძალზე შეჭირვებულნი ვიყავით, მაგრამ მიუხედავად ამისა, დედაჩემი ისესხებდა და განურჩევლად ყველა სტუმარს ჯეროვან მასპინძლობას გაუწევდა.

რამდენი დედმამიშვილი იზრდებოდით?

ჩვენ სამნი ვიყავით: ჩემი უფროსი ძმა სერგო ქველაძე (ზერო), ჩემი უფროსი და- ციცინო ქველაძე და მე ნაბოლარა-ნელი ქველაძე. სამწუხაროდ ჩემი და-ძმა აღარ არიან. ჩემი ძმა ზერო ძლიერი და კეთილშობილი ადამიანი იყო. ადრე ახალგაზრდობიდანვე ოჯახს მოეკიდა და სამი ვაჟი აჩუქა სამშობლოს: ვაჟა, ავთანდილი და ამირანი. მას დიდი სპორტული მონაცემები ჰქონდა. იყო ჭადრაკისა და ჭიდაობის პრიზიორი და არაერთხელ ასახელა ჩვენი მშობლიური რაიონი. ჩემი უსაყვარლესი დაიკოთი კი ციცინო ქველაძე დღემდე გაოცებული და შეძრული ვარ, დაუვიწყარი და შეუფასებელია მისი ამაგი ჩემდამი. როცა მშობლები აღარ გვყავდა ის გახდა ჩემი მეურვე და მზრუნველი და ჩემთვის ყველა ახლობელს განასახიერებდა. იგი სიკეთით და სხივებით შემკული ადამიანი იყო. სწორედ მასზე იყო ნათქვამი: „სხვისთვის პირიდან ლუკმას გამოიღებს და უკანასკნელ პერანგს გაიხდისო." მისი სითბო და სიკეთე სამაგალითოდ და სამუდამოდ დარჩა ჩემს ახლობლებსა და ნათესავებში. არც მეტი და არც ნაკლები: ჩემი დაიკო ციცინო რომ არ მყოლოდა, მე დღეს ცოცხალი არ ვიქნებოდი!

იცნობდით ბ. ნ. ჯუმბერ ლეჟავას?

არა თუ ვიცნობდი, უფრო მეტიც, იგი ჩემი დიდი მეგობარიც ბრძანდებოდა, რითაც დღემდე ვამაყობ და ვმხნეობ! იგი არა მარტო თანამედროვე მსოფლიოს უდიდესი მოგზაური, მეცნიერი და მკვლევარი იყო, არამედ ადამიანი-ლეგენდა, ჩვენი უკვდავი ერის დიდი, უდიდესი ქართველი და ყველაზე ადამიანური ადამიანი, ვისაც კი ვიცნობდი მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე.

თავისი ძლიერებით, მამაცობითა და რაინდული სულით მან მთელ მსოფლიოს უფრო სრულყოფილად გააცნო ჩვენი სამშობლო საქართველო და ქართველ ხალხსაც კიდევ ერთხელ შეუქმნა უძველესი კულტურული ერის იმიჯი.

ვარ დიდად ბედნიერი, რომ ამ ლეგენდარული პიროვნების მეგობარი მქვია და მისსავე სიცოცხლეში შევძელი მეთქვა მისთვის სიყვარულით გამთბარი სტრიქონები, როდესაც იგი ჩემი მოსწავლეთა ეროვნული სასახლის აღსაზრდელებს შეხვდა. „ქართული გენის უკვდავება"-ასეთია ამ ლექსის სათაური. (ეს ლექსი დაბეჭდილია ჟურნალ „ათინათის" წინა ნომერში. 2015.წ. №4 (18)

რომელი აკადემიის წევრი ბრძანდებით?

სიცოცხლის ბოლომდე მექნება საამაყოდ და სასიხარულოდ რომ მერგო დიდი ბედნიერება და გავხდი ბატონი ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი. მას შემდეგ, რაც დიდი დიღმის წმ. ნიკოლოზ სასწაულმოქმედის სახ. ტაძრის წინამძღვრის და მისივე ამშენებლის დეკანოზ მამა მერაბ დეკანოსიძის ლოცვა-კურთხევით ეკლესიური გავხდი, კიდევ უფრო განმიმტკიცდა რწმენა, რომ უფალი ღმერთის ნების გარეშე ქვეყნად არაფერი არ არსებობს. და როდესაც ჩემი სულიერი მოძღვარი მამა მერაბი და მისი ღირსეული მეუღლე ქ-ნი მაია ჯანველრდაშვილი აღნიშნული აკადემიის პრეზიდიუმმა აკადემიკოსებად აირჩია და აკადემიის პრეზიდენტმა ქ-ნმა გულნაზ ხარაიშვილმა მათ დიპლომები გადასცა, მე აღფრთოვანებით აღვწერე ეს დაჯილდოვების ცერემონიალი, სათაურით: „დღე სასწაული, არაჩვეულებრივი, ისტორიული, აკადემიური...” როგორც შემეძლო გამოვხატე დიდი მოწიწება იმ დიდი ქართველის მიმართ, ვის სახელსაც ეს დიდებული დაწესებულება ატარებს. და რა ვიცოდი რომ ასეთი დიდი სიხარული მეც მელოდა. მე საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ უფლის ნებით და ბატონი ჯუმბერის სულის მფარველობით მოხდა ჩემი მეორედ დაბადება. სწორედ ამაზეა ნათქვამი: „ობლის კვერი ცხვა, ცხვა და გვიან გამოცხვაო.” ობოლი მე ვიყავი და ჩემი კვერ-ბედის გამომცხობელ-გამომჭედელი კი აკადემიის პრეზიდენტი ქ-ნი გულნაზ ხარაიშვილი აღმოჩნდა. მასთან პირველივე შეხვედრით განცვიფრებული დავრჩი. იგი უნიჭიერესი და უკეთილშობილესი ქალბატონია: აკადემიკოსი, მეცნიერი, პოეტი, მწერალი, პედაგოგი, ჟურნალისტი.სანამ მეც აკადემიკოსად ამირჩევდნენ ამ ღირსეულ ქართველ მანდილოსანს იმ დიდი მადლიერების ნიშნად, რაც გამოიხატა ჩემთვის უსაყვარლესი და უძვირფასესი ადამიანების მამა მერაბისა და ქ-ნი მაიას ღვაწლის ესოდენ უმაღლეს შეფასებაში მივუძღვენი გულიდან ამოსული სტრიქონები. ლექსი სათაურით: „სიკეთისა და სითბოს მთესველი.” (დაიბეჭდა „ათინათის” წინა ნომერში). ამჟამად მიწვეული ვარ სხვა ქართულ აკადემიაშიც (საქართველოს ეროვნული აკადემიაში და სხვ).

გიყვართ პოეზია?

დიდი გალაქტიონი ამბობდა „პოეზია უპირველეს ყოვლისაო!” (ჩემი აკადემიის პრეზიდენტი ქ-ნი გულნაზი გალაქტიონ ტაბიძის პრემიის ლაურიატია)

პოეზია ბავშვობიდანვე მიტაცებდა. ლექსისადმი ტრფიალით მამაჩემს დავემგვანე (იგი ნიჭიერი სახალხო მთქმელი და მომღერალი იყო). ბავშვობაშივე დავწერე რამდენიმე ლექსი პატრიოტულ თემატიკაზე. სულ პირველი ლექსი ჩვენი ერის მამას ილია ჭავჭავაძეს მივუძღვენი, ბაგრატიონთა სახელოვანი დინასტიის წარმომადგენლებს, ჩემს მშობლიურ სოფელსა და მის მშვენიერ ბუნებას და სხვა.

მთელი საქართველოს მთა და ბარი ფეხით მაქვს შემოვლილი ჩემს აღსაზრდელ ნორჩ ისტორიკოსებთან, ეთნოგრაფებთან, არქეოლოგებთან და ძეგლის ნორჩ მეგობრებთან ერთად. ამ ოციოდე წლის წინ სვანეთის ზღაპრული ბუნების რამდენჯერმე ხილვამ კიდევ უფრო გააღვივა ჩემში პოეზიის უსაზღვრო სიყვარული და სწორედ ამის შემდეგ დავწერე საკმაოდ დიდი ოდენობით ლექსები და პოემები.

უსაზღვროდ ბედნიერი ვარ, რომ ჩემს ლექსებზე ცნობილი ქართველი კომპოზიტორების კახა ცაბაძის, ბორის შხიანისა და სხვათა მიერ შექმნილია მუსიკალური ნაწარმოებები, სიმღერებს ქართული ესტრადის ვარსკვლავები ასრულებენ. მაგალითად ლექსზე „ოცნება სვანეთზე” შეიქმნა სიმღერა „სვანეთო, დიდო სვანეთო” (კომპოზიტორ ბორის შხიანი), რომელზეც ამღერდა ქართველი ესტრადის „არწივი,” ყველასათვის საყვარელი მომღერალი ბ-ნი თეიმურაზ წიკლაური. ეს სიმღერა სვანეთისა და სვანების ჰიმნად იქცა....

რამდენი წიგნის ავტორი ხართ?

სამი დიდი პროზაული ნაწარმოების, ათეულობით მხატვრული ნარკვევის (ეძღვნება გამოჩენილ თანამემამულეებს), სამეცნიერო ნარკვევები და სტატიები საქართველოს ისტორიის სხვადასხვა პერიოდებსა და გამოჩენილ პიროვნებებზე. მათ შორის აღსანიშნავია „იწყო აღმოცისკრებად მზემან,” რომელიც დავით აღმაშენებელს ეძღვნება, აგრეთვე გეორგიევსკის ტრაქტატი და სხვა.

„მთა-ყინულეთის არწივი“ მხატვრულ დოკუმენტური ნარკვევია, რომელიც გამოჩენილ სვან მთასვლელებს და მეკლდეურებს მიხეილ ხერგიანს („კლდის ვეფხვს”), ჯუმბერ კახიანს

(„ყინულის ჯიქი”), ჯოკია გუგავას („ზესხოს ზევსი”) და სხვებს ეძღვნება. მადლიერების ნიშნად რაინდული სულისკვეთების მქონე სვანმა მთასვლელებმა მესტიის ალპური ლკლუბის „უშბას” პრესიდენტის ბ-ნი ჯუმბერ კახიანის ხელმძღვანელობით მწვერვალ თეთნულდის ზონაში დაიპყრეს უსახელო მწვერვალი და ჩემი სახელი უწოდეს. „ჩემი მშობლიური ეზო-კარმიდამოდან ნათლად მოჩანს უმშვენიერესი მწვერვალი, რომელიც ქ-ნო ნელი ამიერიდან თქვენს სახელს ატარებსო.” მეორე დღესვე დამირეკა ბ-ნმა ჯუმბერმა. ამ უჩვეულო ფაქტმა თავიდან ბოლომდე შემძრა და ენით ვერ გადმოვცემ რა გრძნობა დამეუფლა. ცოტა გონზე რომ მოვედი აღფრთოვანებულმა სვანური ეპოსის საფუძველზე დავწერე ლიბრეტო საოპერო ნაწარმოებისთვის „სვანეთის ლეგენდები.”

რას იტყვით მამა მერაბზე?

ღმერთს მადლობას ვწირავ იმისათვის რომ მისი სახით ბოლოს და ბოლოს ვიპოვე გულისხმიერი, ადამიანური, მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული (მშენებელი, ხატმწერი, მხატვარი, მუსიკოსი, მომღერალი, ტექნიკური უნივერსიტეტის პედაგოგი და მეცნიერ თანამშრომელი) მოძღვარი.

მამა მერაბი უფლისმიერი მადლმოსილი სასწაულმოქმედი მოძღვარია. მან უდიდესი ძალისხმევითა და თითქმის თავგანწირვის ფასად, სასწაულებრივად, უსწრაფეს დროში (7 თვე) აააგო დიდი დიღმის წმ. ნიკოოზის სახ. ტაძარი, რომელიც ჩვენს დედაქალაქში ახლად აშენებულ ტაძართა ხუთეულში საპატიო ადგილს იკავებს და რომელსაც ჰყავს საკმაოდ დიდი მრევლი. გავა დრო და ტაძრის მშენებლობის, მოძიების , ბრძოლისა და აღმშენებლობის საოცარი დღეები ოქროს ასოებით ჩაიწერება საქართველოს 21-ე საუკუნის დასაწყისის წმ. ტაძართა მშენებლობის ისტორიაში.

დეკანოზი მამა მერაბ დეკანოსიძე თავისივე მარჯვენით აშენებული ტაძრის წინამძღვარია, ჩვენი უძვირფასესი და უსაყვარლესი მოძღვარი. მანამდე მოძღვარი არ მყოლია. სწორედ მან მოახდინა დიდი გარდატეხა არა მარტო ჩემს , არამედ უამრავი ადამიანის სულიერ ცხოვრებაში. მადლიერების ნიშნად და წმ. სამების მადლით ჩემი მესამე წიგნი „უფლის სახლის მაშენებელი” მივუძღვენი დეკანოზ მამა მერაბ დეკანოსიძის ცხოვრებას და მოღვაწეობას (55 წლის იუბილეს) დამ ის მიერვე აგებული დიდი დიღმის წმ. ნიკოლოზის სახელობის ტაძრის აშენების მე-5 წლისთავს.

....„წიგნში ასახულია აქ მომხდარი დიდი სასწაულები, რაც ტაძრის საძირკველის ჩაყრისთანავე დღემდე აღესრულება თითეული სიტყვა, ყოველი სტრიქონი გაჟღენთილია უზომო სიყვარულით უფალი ღმრთისა, უფლის სახლისა, მისივე ამშენებლისა, ტაძრის მსახურებისა და მთელი მრევლისადმი....

ვფიქრობთ, რომ სიყვარული ამ წიგნის ყველაზე დიდი ღირსებაა”...

ლევან ფრუიძე –ეთნოგრაფი,

საქ. მეცნ. აკადემიის აკადემიკოსი.

„სიცოცხლე ნავარდობს დიდი დიღმის ველზე”..... ასეთი სათაური აქვს წიგნის ბოლო თავს, სადაც უფლის ნებითა და მამა მერაბის სასწაულებრივი ლოცვა-კურთხევით მომხდარ უმნიშვნელოვანეს ამბებს აღვწერ და რაც ტაძარში მომხდარ სასწაულებს შორის უპრეცედენტო, ჯერ არსად ნახულ და არსად გაგონილ უზრმაზარ სასწაულზე ვსაუბრობ. რასაც უფლის ნებით ახალი სიცოცხლის მოვლინება ჰქვია. სიცოცხლე ჭეშმარიტად ნავარდობს ჩვენთან, დიდი დიღომის ველზე, წმ. ნიკოლოზის სახ. ტაძარში. საქმე იმაშIა, რომ მათი მხრიდან ვისაც უკვე აქვს ბედნერება იზეიმოს დიდი ხნის ნანატრი პირმშოს დაბადება, საზოგადოებისათვის გახდა ცნობილი, რომ წმ. ნიკოლოზის სახ. ტაძრის წინამძღვრისა და მისი უნიჭიერესიმეუღლის ქ-ნ მაია ჯანვერდაშვილის მიერ დაწერილ ხატებს სასწაულებრივი ძალა აქვთ და ეს ხატები რომელ ოჯახშიც კი (უკვე 160-ზე მეტია) წააბრძანეს, აივსო შვილიერების მადლით. ამას მოსდევს მამა მერაბის მიერ სახლის კურთხევა და სასწაულებრივი ლოცვა, რამაც უკვე მრავალი უშვილო წყვილი გააბედნიერა.

გფარავდეს უფალი და კვლავაც ჭრიდეს ჩვენი მადლიანი წინამძღვრის დეკანოზ მერაბ დეკანოსიძის სასწაულებრივი ლოცვა და ჩვენ არ დავილევით, არ დავცოტავდებით, არამედ გავმრავლდებით და გავძლიერდებით...

როგორ შეაფასებდით მამა მერაბისა და ქ-ნ მაიას სამხატვრო ხელოვნებას.

მართალია მე პროფესიით ხელოვნებათმცოდნე არ გახლავართ, მაგრამ მაქვს დიდი სიყვარული ხელოვნებისადმი, სილამაზისა და სიდიდის აღქმის უნარყ. მე მათ უბადლო შემოქმედებას წიგნის ერთ-ერთი თავი მივუძღვენი: „სილამაზე გადაარჩენს სამყაროს" (დოსტოევსკი). მამა მერაბისა და სამი წლის შემდეგ კი დედა მაიას მიერ ხატვის მოულოდნელი დაწყება (მათ ხომ მანამდე არასოდეს უცდიათ) კიდევ ერთი დიდი სასწაულია ტაძარში აღსრულებულ სასწაულებს შორის.

იმისათვის, რათა ჯეროვნად გავცნობოდი და მკითხველისათვის გამეცნო მათი ფერწერული ნიმუშები, მთელი წლის განმავლობაში წიგნზე მუშაობის პარალელურად ინტენსიურად ვსწავლობდი ხატვისა და ხატწერის კანონიკას და ჩემთვის ნათელი გახდა, რომ ხატწერასა და ფერწერას შორის დიდი განსხვავება არსებობს: ხატში გამოსახულება უფრო პირობითია და ხაზების სილამაზესა და სისუფთავეს ექცევა ყურადღება. ხატი ძირითადად მლოცველისკენაა მიმართული, ფერწერაში კი უფრო სივრცე არის გადმოცემული.

ხატი ეს არის გამოსახულებათა ფერებით და ხაზებით, ამიტომ ხატწერისას ყოველ ფერს თავისი დანიშნულება აქვს. მაგალითად: თეთრი ნიშნავს სიწმინდეს, ოქროსფერი- მარადიულობას, მწვანე-ცხოვრებას, ლურჯი-საიდუმლოს, წითელი-მსხვერპლთა შეწირვას და ა. შ.

მამა მერაბისა და ქ-ნ მაიას შემოქმედებაში თვალნათლივ დავინახე, რომ მათზე გადმოსული ღვთიური მადლის წყალობით ის ყველაფერი, რაც უკვე ჩამოვთვალე მათ ნამუშევრებში თავისთავად წესრიგდება. მათი უბადლო ხელოვნება ღვთის წიაღშია შობილი და ამიტომ ისინიც ნამდვილ შედევრებს ქმნიან.

რა აზრის ხართ ჟურნალ „ათინათზე"?

ჟურნალი „ათინათი" ყველანაირად გამორჩეულია და თანამედროვე პუბლიკაციის მაღალხარისხოვანი პროდუქტია. აქ დაბეჭდილი ღრმად შინაარსიანი და უაღრესად საინტერესო მასალები თითქმის ჩვენი ხალხის ყოფესა და კულტურის ყველა სფეროს მოიცავს.

აღსანიშნავია და თვალში საცემია ჟურნალის მხატვრული გაფორმების ესთეტიკური მხარე და მაღალი ტექნიკური დონე. ამ უმშვენიერეს ჟურნალს მისი შესანიშნავი სარედაქციო კოლეგიის შემოქმედების და ჟურნალის მთავარი რედაქტორის და დამფუძნებლის ქ-ნ გულნაზ ხარაიშვილის სიღრმისეული ცოდნისა და დიდი გემოვნების ბეჭედი აზის....

მეამაყება, რომ ამ უმშვენიერეს და სრულყოფილ ჟურნალის წინა ნომერში დაიბეჭდა ჩემი ლექსები და ამ ნომერშიც დაიბეჭდება, რომლებიც მიძღვნილი მაქვს ჩემი მშობელი კუთხისადმი (სოფ. ახალდაბა) და ჩემი ოჯახის წევრებისადმი (ქალიშვილი ქეთევან ტყებუჩავა, ჩემი საყვარელი შვილიშვილები: გიორგი და ნესტან მახარაშვილები, ულამაზესი ქეთა, ჩემი პატარა შვილთაშვილი) ერთ-ერთი ლექსი „სიკეთის სხივი" მიძღვნილია ჩემი უსათნოესი და დაუვიწყარი დისციცინო ქველაძის ხსოვნისადმი.

რას უსურვებდით ახალ თაობას.

უშესანიშნავესი და უმშვენიერესი ახალი თაობა გვყავს თუნდაც ჩემო ძვირფასო ნორჩო მეგობარო, შენ და შენი თანატოლები ჩვენი ქვეყნის ყველაზე დიდი განძი და სიმდიდრე, ჩვენი სამშობლოს ხვალინდელი დღე.

მე მათ სულითა და გულით ვუსურვებ გაიზარდონ და ჩამოყალიბდნენ ჩვენი სახელოვანი სამშობლოს, თავისუფლებისმოყვარე ქართველი ერის გონიერ, განათლებულ და პატრიოტ მემკვიდრეებად. თქვენ პროფესიის მრავალფეროვანი არჩევანი გაქვთ და ყველა პროფესია შეგიძლიათ გამოიყენოთ ქვეყნისა და ხალხის სამსახურისთვის. დაე, სულ წარმატებები დაგებედოთ ცხოვრების ფართო გზაზე, სიკეთე და სათნოება, უფლისადმი დიდი სიყვარული ყოფილიყოს თქვენი მუდმივი მეგზური და სულიერი საზრდო.

მხურვალე მადლობას მოგახსენებთ იმისათვის, რომ მომეცით საშუალება ფართო მკითხველისათვის გამეცნო ჩემი მოკრძალებული ცხოვრება, გულის ნადები ოცნებები და გამომეთქვა ღრმა რწმენა უკეთესი მომავლისადმი.

ტატო ხარატიშვილი

ლ ო ც ვ ა

ბოლო ჟამის პერიოდი, უკვე კარზე მოგვადგა,
აღარ გახსოვთ? შეგახსენებთ თუ რა არის ლოგიკა,
ვიღაც ურჩი გოგონა კი პატრიარქის წინააღმდეგ გამოვიდა,
მაგრამ, უცებ მივახვედრეთ, რომ არაფერი გამოუვიდა.

სჯობს ვილოცოთ და ღმერთს ვსთხოვოთ, შეწყნარება ყველასი,
დაუფიქრდით თქვენ ყველაფერს, თითქმის აღარა გვაქვს გელათი,
მე პირადად ყველასა გთხოვთ შემინდოთ, მაპატიოთ,
მაპატიეთ ყველა ცოდვა, რომ ღმერთმაც მაპატიოს.

მე მიყვარხართ ყველა, რადგან მეც სიყვარულს მოველი,
რა გგონიათ ლექსებს, რომ ვწერ, მე რამე გამოვედი?
მაგრამ ისე ვუფიქრდები და მგონი გამოვედი,
მაგრამ კი არ გამოვედი, უწმუნოთა ზღურბლიდან გადმოვედი.

ჩემი სული უგულოა, ჩემი გული უსულო,
მეც დავდივარ ხეივანში ყოველ დილით უსულოდ,
ჩემი გული ჩემს სულსა ჰგავს, ჩემი სული უკვდავია,
დაუფიქრდით და მიხვდებით რომ აქ ყველა მოკვდავია.

ჩემი აზრით, რომ გავჩუმდეთ და ვილოცოთ უბრალოდ,
ჩემი აზრით, არაფერი გამოგვივა უხალხოდ,
ჩემი აზრით გულღრძო, არის ის ვინც პატრიარქი უარყო,
ჩემი სული ღმერთს ეკუთვნის, ეს მე როგორ უარვყო?!

***

შენ უგნური ხარ,
და კრიტიკის არ იცი ფასი,
არ აკრიტიკებენ იმას ვისაც,
არა ჰყავს მსგავსი.

***

ამაოა ყველაფერი
რათქმაუნდა ყოველთვის,
მაგრამ ამ ყველაფრისგან
ყველა რაღაცას მოელის.

ზოგს

ზოგს რაღაცა ,, ევასება" ზოგს რაღაცა სძულს,
მაგრამ რაღაც, მომენტებში მაინც ვუბავთ ზურგს,
ვინც თვალებში ვერ გიყურებს, ის ვერ გიშლის გულს,
ჩემი გული ყვირის, მაგრამ ჩემი სული სდუმს.

გოდება

რამდენჯერ დამალულა შავი გოდება,
რამდენჯერ დამალულა დიდი ოცნება,
მომავალში მცხოვრები, ვფიქრობ რა მოხდება,
სხვა კი იმას ფიქრობს, ამას რა მოყვება,

ულში გავიფიქრებ, შემდეგ კი გადავწყვეტ,
შემდეგ კი ჩემსვე არჩევანს ვაკრიტიკებ,
მივხვდი, რომ მე ჩემს ცხოვრებას არა ვწყვეტ,
მე მხოლოდ ცხოვრებაში, შედეგსღა ვიგებ.

შედეგით ვფიქრობ და შედეგი განმაგენს,
შედეგი ჩემს რითმებს, ნამდვილად არ აქებს,
შედეგი ჩემს გულში, მომავალს ააგებს,
გამოცდილება, ნამდვილად არ მაწყენს.

ღმერთი მახსენდება მაგრამ მცხვენია,
ჯვარი მიკეთია ეს ჩემთვის ძღვენია,
გულს მიღებს, მიკეტავს, შავთეთრი ფერია,
ეს ყველაფერი, ჩემთვის ყველაფერია.

თუ ცხოვრებაა, ცხოვრება იყოს,
თუ სიკვდილია, ბოლომდე მოვკვდეთ,
თუ თქვენ მზად არ ხართ, დარჩით, ჰა იყოს,
მე არ ვწყვეტ ლექსებნს და „მოვკვდები იყოს"

საბა ტომარაძე
(თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის №25 საჯარო სკოლის III კლასის მოსწავლე –კლასის დამრიგებელი- გულიკო ქურდიანი (ლექსების წერა დაიწყო 7 წლის ასაკიდან))

კაცს დასარგავად ნერგი მიჰქონდა

კაცს დასარგავად ნერგი მიჰქონდა
თოთო ბავშვივით მკერდით მიჰკროდა.
ვისარგებლებო, ამის ნაყოფით
მოვესწრებიო- ის არ ფიქრობდა.
მაშ, რატომ, რისთვის, ან ვისთვის რგავდა?
ფიქრით მომავალს ხოტბას ასხამდა.
ვისთვის და სხვისთვის,
ვისთვის და მოხუცს ბადიში ჰყავდა!

მამასთან საუბარი

აქ რომ დიდი გუბე იყო, მამი, მითხარ, რა იქნა?
„ცაში ღრუბლად აორთქლდა და ღრუბლებად
გადაიქცა.“
ღრუბლებში რომ გაიქნა, ის ღრუბლები რა იქნა?
„წინწკლა წვიმა წამოვიდა და შხაპუნად გარდიქმნა“
შხაპუნად რომ გარდიქმნა, ის შხაპუნა რა იქნა?
„პურის ყანებს დაესხურა, გაახარა, კარგი ქნა!“
დათავთავდა ჯეჯილი, მოსამკალად გარდიქმნა.
მომკეს კიდეც, გალეწეს პურის ზვავი დაგვიდგა;
პური ბევრზე ბევრი გვაქვს, კარგი წელი დაგვიდგა;
„იმ პურსა ჭამს შენი ძმა, ფეხი მიტომ აიდგა.“

რთველი

კუდჯინჯილა მელიას ქარვისფერი რთველი აქვს,
ცალკე აწყობს მტევნებს და ცალკე აწყობს აკიდოს,
სურს პირსავსე კალათით დათუნიას აჰკიდოს.
ეს რა საოცრებაა! ხედავს მოაქვთ გოდორი!
აკანკალდა მელია, როგორც ვერხვის ფოთოლი,
გადაგორდა გოდორი, ბიჭოს! ციყვი გამოჩნდა,
იკისკისა, იხტუნა, მერე თავზე წამოჯდა;
მორბის ზღარბი ქაცვია, ეკლის ქურქი აცვია;
მეც მაჭამეთ ყურძენი!
სად იყო და სად არა, გამოვარდა ბასარა!
ვის ყურძენს კრეფთ! შეჰყეფა
ვინ ვის ასწრებს, გარბიან.
აბა ჩქარა, იმარჯვეთ,
ჰე, ვინ უფრო მარდია!
დათვი შედგა ღობეზე, ატყდა ლიწინ-ლიწინი
აბურდღუნდა ბაჯბაჯა, მელა კვდება სიცილით.

შემოდგომის სურათი

ეს ქარვით პირამდე ნავსები გოდრები,
ეს გიშრით პირამდე ნავსები ურმები,
მიდიან ჭრიალით, ზარმაცად, ზმორებით
ფუტკრების ზუზუნით გიწივის ყურები.
ეს ღვინის სიმაგრით დაგული ბიჭები
მარანს გარს უვლიან ბახუსით ნამიანს;
მღერიან, თვრებიან პირსავსე ჯამებით
მღერიან: დალიე, დაგილევ ძამია.
ღვინო კი ჩუხჩუხით იღვრება ჭურებში
ჭურები გმინავენ, ქშინავენ, თვრებიან.
ღვინო კი ჩაღვრილი საწნახლის უბეში
ცრემლს ღვრიან წუწუნით და
შაქრად დნებიან.

საქართველო

ქართლ-კახეთი ლეგენდაა,
იმერეთი ზღაპარი,
სამეგრელო ოცნებაა, გაფრენილი არწივი,
გურია კი სიმღერა, ხოლო რაჭა-სამოთხე
ყველა ერთად ვენახია, დილის ცვარის ნაწვიმი.

ნორჩი ლიტერატორები

რომან გვენცაძე
ქ. თბილისის 167-ე საჯარო
სკოლის მე-5 კლასის მოსწავლე

გაზაფხული...

გაზაფხული დადგა ბუნება საოცრად ლამაზდება. გარეთ ბავშვების ჟრიამული ისმის, ცხოველები ბუნაგებიდან გამოდიან. მზე საოცრად ბრწყინავს... ყოველივე მიხარია და ვგრძნობ, რომ ჩემს გულშიც გაზაფხულია...

რაჭა ჩემი სიყვარული...

რაჭა საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი, უმშვენიერესი კუთხეა. იქ მრავალი მდინარე და ჩანჩქერია, ეს ლამაზი მხარე ჩემი სამშობლოა... ოთხ მეგობართან ერთად მოვინახულე ოცმეტრიანი ჩანჩქერი ძალიან ძლიერი და ცივია... საუცხოოა ზემოკრისის ტაძარი, რომელიც თურმე თამარ მეფემ ააგო გადმოცემით, იქ ასვე არის მის მიერ დარგული ათასწლეული ხე. მასზეც ავედი და გადმოვხედე ქვეყანას. ეს ადგილი ჯაჯანიძის შოუშიც აჩვენეს. მთაზე გამოკვეთილია მთამსვლელთათვის განკუთვნილი კლდე... რაწის სილამაზეს ვერ აღწერთ სიტყვებით, გირჩევთ, მიხვიდეთ და თავად ნახოთ იქაური ღირს შესანიშნაობები და მშვენიერი ხედები, სიამაყეს იგრძნობთ...

დავით ლაბაძე
ქ. თბილისის 167-ე საჯარო
სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე

ჩემი სამშობლო საქართველოა...

ჩემი სამშობლო საქართველოა, სადაც დავიბადე და გავიზარდე. ის პატარაა, მაგრამ ძალიან ლამაზი, მან მრავალ ქარტეხილს გაუძლო...

აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომი... ბევრი ვაჟკაცი დავკარგეთ, ისინი ჩვენი გმირებია... სამშობლო მუდამ იამაყებს მათი საქმეებით.

მტკიცედ მწამს, რომ საქართველო გაერთიანდება, გაძლიერდება და ძველ დიდებას დაიბრუნებს...

„თავს არ მოიკლავს ქართველი, არა?
ის შეიძლება ბრძოლაში მოკვდეს!!!
ას გმოძღვრავს ქართველი ცნობილი პოეტი...
გაბრწყინდება, გასხივოსნდება ჩვენი სამშობლო...

ელენე ლეთოლიანი
ქ. თბილისის 167-ე საჯარო
სკოლის მე-5 კლასის მოსწავლე



აფხაზეთი ჩვენი ტკივილია

აფხაზეთი ძალიან ლამაზი მხარეა. . . დღეს ის ჩვენი არ არის, მაგრამ მაქვს იმედი, რომ დავბრუნდებით. . . ჩემი ოჯახი აფხაზეთიდანაა. ისინი ყოველთვის მიყვებიან ამ ლამაზ კუთხეზე და მტკიცედ სწამთ, რომ ჩვენ აუცილებლად დავბრუნდებით იქ!!!

ლაშა ვადაჭკორია
ქ. თბილისის 167-ე საჯარო სკოლის
მე-7 კლასის მოსწავლე

ჩვენი ვალია. . .

ჩვენი ვალია ბებიებსა და ბაბუებს თბილად მოვექცეთ, რათა დარჩენილი ცხოვრება უზრუნველად გაატარონო. . .

ისინი ჩვენგან მეტ ყურადღებას იმსახურებენ. მე მათგან უფრო მეტ სითბოს ვიღებ ვიდრე გავცემ. . .

მინდა აქედან მოვეფერო ბებიასა და ბაბუას, მსურს დიდხანს იცოცხლონ, ისინი ძალიან მიყვარს და ბოდიშიც მინდა გადავუხადო სათანადოდ თუ არ ვიქცევი. . .

ცხოვრების მცოდნენი, გამოცდილებები, მზრუნველები, საყვარელი ბებიები და ბაბუები. . . ადამიანები, რომელთაც დიდი ადამიანური სითბოს განაწილება შეუძლიათ...

დემნა ლომიძე
ქ. თბილისის 167-ე საჯარო
კოლის მე-7 კლასის მოსწავლე



ბუნების დაცვა

მსოფლიოს ადამიანთა უმეტესობა ვერ ხვდება, რომ ბუნება სასარგებლოა. ჩეხავენ ტყეებს, აბინძურებენ ჰაერს, მდინარეებს, ტბებს, ზღვებს, ოკეანეებს და წყაროებს. . . ამით თავიანთ თავსა და ოჯახებს ვნებენ. . . არსებობს ორგანიზაციები, რომლებიც იცავენ ბუნებას, რგავენ ხეებს, ასუფთავებენ წყალს. . .
თითქოს ხალხი ორ ფენად გაყოფილა, ბუნების დამცველებად და მის დამანგრეველებად. იმედია, თქვენც, ჩემსავით, ბუნების დაცვას ემხრობით. . . ის ხომ ჩვენშია და ჩვენ მასში, როგორც დიდმა ვაჟა-ფშაველამ ბრძანა. . . ბუნება სიცოცხლის წყაროაო...

ანა ასაბაშვილი
ქ. თბილისის 167-ე საჯარო
სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე

ჰარპერ ლი „მერი პოპინსი"

ლიტერატურულ-შემოქმედებით წრეზე წავიკითხე ამელა ტრავერსის „მერი პოპინსი"

პენქსების ოჯახი თავისი ბავშვებისათვის ძიძას ეძებს და როგორც ყოველთვის ხდება ზღაპარში, ის არსაიდან გაჩნდება. მშვენიერი, მომხიბვლელი, რომელიც არავის არ ჰგავს. ის ისეთია, როგორზეც ნებისმიერი მშობელი იოცნებებდა სახლში ჰყოლოდა. მას არ გააჩნია ნაკლი. ბავშვებს ძალიან შეუყვარდათ. მისი წყალობით ზღაპრულ სამყაროში იმოგზაურეს.

მსურს ყველა ძიძა იყოს ისეთი, როგორიც მერი პოპინსია. როცა ნაწარამოების კითხვას მოვრჩით, ვუყურეთ მიუზიკლს. ემოციების გადმოცემა მიჭირს, უშთაბეჭდილებების ქვეშ ვარ.

მარიამ ცანავა
ქ. თბილისის 167-ე საჯარო სკოლის
მე-7 კლასის მოსწავლე

„მე ვარ მალალა"

ეს იმ წიგნის სათაურია, რომელიც მოგვითხრობს გმირ გოგონაზე, მალალაზე. ის ცხოვრობდა პაკისტანის სოფელ სვატში. გოგონამ ღიად გაილაშქრა თალიბების უმკაცრესი წესების წინააღმდეგ, ქალთა განათლების უფლებების დასაცავად.

სკოლიდან შინისაკენ მიმავალ გზაზე, მალალას შეიარაღებული თალიბი დაესხა თავს და რამდენიმეჯერ ესროლა. . .

მძიმედ დაჭრილ გოგონას სოლიდარობა მთელმა მსოფლიომ გამოუცხადა . . .

განცხადებები გააკეთეს სახელმწიფოთა მეთაურებმა და კინოვარსკვლავებმა. ბიონსემ ღია ბარათი გაუგზავნა და ბარათის ფოტო სოციალურ ქსელ ფეისბუკზე გამოაქვეყნა. სელენა გომესმა მალალას „ტვიტერში" მისწერა, მადონამ კი სიმღერა მიუძღვნა, მან შეტყობინება მიიღო თავისი საყვარელი მსახიობისგან, ანჯელინა ჯოლისგან.

მოხიბლული ვარ ამ გოგონათი, ის თითქმის ჩემი ასაკისაა.

მალალა მსოფლიოში ყველაზე ახალგაზრდა ნობელის პრემიის ლაურეატია. . . ბედნიერი ვარ, რომ ლიტერატურულ-შემოქმედებითი წრის მეცადინეობაზე ხელმძღვანელის, ლელა მესხის თანამონაწილეობით წავიკითხეთ წიგნი მალალაზე. . .

ალექსანდრე კალანდია
ქ. თბილისის 167-ე საჯარო სკოლის
მე-7 კლასის მოსწავლე

ჩემი თვალით დანახული მალალა . . .

მალალა იუსაფზაი არის გოგონა, რომელიც თავისუფლებისა და სამართლიანობისთვის ადამიანის უფლებებისათვის იბრძოდა. იგი ნობელის პრემიის ყველაზე ახალგაზრდა ლაურეატია. გოგონამ დიდი ტანჯვა გადაიტანა, მისი მოკვლა თალიბანმაც სცადა. ის ახლა ინგლისში, ბირმინგემში ცხოვრობდ და ძალიან უნდა თავის სამშობლოში, პაკისტანში დაბრუნება, თუმცა, ის მანმადე ვერ მოხერხდება სანამ იქ ქალის უფლება იქნება დარღვეული.

მალალა დაჭრილი იყო და ხელოვნურ კომაში იმყოფებოდა და, მამამისსაც კი ჰქონდა დაკარგული იმის იმედი, რომ გადარჩებოდა, ამიტომაც მალალას ბიძას სთხოვა, დაკრძალვისთვის მზადება დაეწყო, მაგრამ იგი გადარჩა.

ჩემი აზრით მალალა ძალიან მამაცურად მოიქცა, როცა ასეთი ნაბიჯი გადადგა და სწავლისათვისა და სამშობლოსათვის თავგანწირვას არ შეუშინდა.

ანანია კალანდია
ქ. თბილისის 167-ე საჯარო
სკოლის მე-5 კლასის მოსწავლე

რ. ინანიშვილის „სიკვდილი ბარბალე ბალიაურისა“

რ. ინანიშვილის ნოველა „სიკვდილი ბარბალე ბალიაურისა“ მიუძღვნა ნიკო ლორთქიფანიძის, „თავსაფრიანი დედაკაცის“ ხსოვნას. . .

ბარბალეს ცხოვრება დაბადებიდან მოყოლებული, სიცოცხლის ბოლომდე, ტრაგიკულად ვითარდებოდა. ის იყო ძალიან კეთილი და შრომისმოყვარე, ძალიან ადრე დაქვრივდა. მარტო გაზარდა სამი შვილი, მათგან ერთი ომში დაეღუპა. ყველაზე სამწუხარო ის იყო, რომ შვილებმა სათანადოდ ვერ დააფასეს დედის ამაგი, თავისსავე ეზოში განუტევა სული. . .

ამ ნოველამ ძალიან დამაფიქრა, ჩემი სურვილია, შეძლებისდაგვარად, მეტი დრო დავუთმოთ მშობლებს. . .

მარიამ ტყეშელაშვილი
ქ. თბილისის 167-ე საჯარო
სკოლის მე-6 კლასის მოსწავლე

ობოლი გოგონა

ჩემს სკოლაში ერთი ობოლი გოგონა იყო, ყველა დასცინოდა და აბუჩად იგდებდა. ტანსაცმელი ყოველთვის დახეული ეცვა, ალბათ მშიერიც იყო. არ ვიცოდი როგორ გამომეჩინა მის მიმართ მზრუნველობა და დედამ მირჩია წამეღო მისთვის ტანსაცმელი. ასეც მოვიქეცი. მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მას ტანსაცმელზე მეტად კეთილისმსურველი ადამიანის თანაგრძნობა და მეგობრობა გაუხარდა.

დავით აბლოთია
ქ. თბილისის 167-ე საჯარო
სკოლის მე-5 კლასის მოსწავლე

მეგობრობა...

მეგობრობა დიდი განძია. ბედნიერი ვარ, რომ მყავს ბევრი მეგობარი, ისინი ჭირსი და ლხინში ჩემთან არიან...

მეგობრობაზე ბევრი წიგნია დაწერილი და ფილმიც არაერთი მინახავს...

გავუფრთხილდეთ სათუთ, მშვენიერ გრძნობას, რომელსაც მეგობრობა ჰქვია.

გახსენება

მირანდა ხოდელიძე

მირანდა!.. ჩემო პატარა ანგელოზო

ჩემო სიხარულო,სიყვარულო,პატარა ანგელოზო,უსაზღვროდ,ძლიერ–ძლიერ მენატრები. მენატრება შენი საუბარი,შენი ფუმფულა ხელების შეხება,მინდა ჩაგიხუტო და ჩაგიკრა ჩემს გაუბედურებულ გულში მინდა ჩაიხედო შენ ჩემს სულში,თუ როგორ უჭირს არსებობა მას შენს გარეშე.ჩემმა სიცოცხლემ და ცხოვრებამ საერთოდ დაკარგა აზრი,სიხარული და ხალისი.

ჩემო მირანდა ვგრძნობ თუ როგორ მეცლება ძალა და ენერგია,როგორ უძლურდება ჩემი გული,მიჭირს წერა და საერთოდ ძლიერმა დეპრესიამ შემიპყრო.რომ არა გულნაზი ბებო,რომლის სიტყვებმაც სტიმული მომცა:–შენ ორ დღეში ისევ დაწერ მირანდასთვისო.მოხდა ისევ სასაწაული და ნამდვილად გაიღვიძა ჩემში წერის სურვილმა,ავიღე კალამი ხელში და მინდა გესაუბრო.

ჩემო საყვარელო,ვიცი რომ სიცოცხე მუდმივი არ არის და არც დედამიწაზე არ არსებობს ისეთი ადგილი,სადაც სიკვდილი არ ბატონობდეს,მაგრამ ხომ შეიძლება არსებობდეს განსაზღვრული ზღვარი სიცოცხლესა და სიკვდილს შორის. არ მისცეს უფლება სიკვდილს დიდმა უფალმა,რომ იბატონოს ისე,როგორც მას გაეხარდება როგორ შეიძლება გულგრილი იყვეს პატარა უსუსური ბავშვების მიმართ და არ აწუხებდეს გარშემო მყოფთა ბედი.ასეთი ყოფილა ჩვენი ბედის ბორბალი,სადაც მოწევს იქ ჩერდება.დაგვცინის–მერედა რა მწარედ და დაუნდობლად დაგვცინის.

ჩემო ანგელოზო–იესო ქრისტემ უამრავი სასწაული ჩაიდინა და უამრავი ადამიანი გამოგლიჯა დაუნდობელი კლანჭებიდან დაუნდობელ სიკვდილს , მაგრამ შენს შემთხვევაში ის ასე არ მოხდა.უფალმა ვერ წაართვა საშინელი კლანჭებიდან დაუნდობელ სიკვდილს შენი თავი. სამაგიეროდ ადგილი,სადაც თვით უფალი და მისი დედიკო–მარიამი ღვთის მშობელი ზრუნავენ შნზე და გფარველობენ ყოველივე სისასტიკის და საშინელებისაგან.შენ კი ლამაზი,ტვბილი სიმღერებით ეფერები მათ.

ბებოს სიყვარულო უკვე მესამე წელია რაც მინდა ლამაზ და სამართლიან სამყაროში შეხვიდე შენს დაბადების დღეს(22თებერვალს).იმედს ვიტოვებ,რომ დიდი პოეტი–ბაბუა–ბენჟამინ ხარაიშვილმა დაგიწერა და მოგიძღვნა ლამაზი ლექსი შენი დაბადების დღის მოსალოცად,ხოლო გელა და კოკა ბიძიამ კი სიმღერად აქციეს ეს ლექსი და ტკბილი ხმით მოგილოცეს.გულნაზი ბებომ ხომ მათ ჩააბატრა შენი თავი და მანდ გვერდით ჰყავხარ გელას სულ,კიდევ უამრავი რამის თქმა მინდა შენთის ძალას ვატან ჩემს თავს მაგრამ....

ჩემო სიცოცხლევ უზომდ დიდო სიყვარულო,ძვირფასო და განუმეორებელი,უსაზღვროდ დიდო ტკივილო,ყველაზე დიდი იმედი და საყრდენი იყავი ჩემთვის და აი ასე იეცრად და დაუფიქრებლად მიმატოვე და დამიტოვე უშველებელი დარდი და სევდა,რომელსაც ვგრძნობ,რომ ველარ ვუმკლავდები.

ალბათ ეს უფლის სასჯელია ჩემს მიმართ,რადგან ყველაზე დიდი და განუმერებელი სიყვარული იყავი ჩემთვის და კიდეც იქეცი ყველაზ დიდ ტკივილად.შენს სურათშ ვესაუბრები, ის კი მხლოდ უხმოდ მიყურებს და ხმას არ მცემს.რატომ,რისთვის?.. ბებოს სიცოცხლევ,რად მიმატოვე უეცრად და სად წახვედი.დღე შენით თენდებოდა და ჩემთვის შენიტ ღამდებოდა. ახლა კი

სულ ბნელა და ბნელა ჩემს გულსა და სულში.
„დარდმა და სევდამ ვგრძნობ დამაბერა,
გამიჭაღაეა თმებიდა გული,
მე შენზე დარდმა სულ დამაბერა,
შენმა სიკვდილმა მომიკლა გული.
მზე ჩაესვენა და მომადგა ცრემლი,
გულშ ზღვასავით ბობოქრობს სისხლი
მომაწვა ისევ სევდა ნაღველი
ოჰ, ჩემს გაჩენას უღმერთდ ვწყევლი.“

ელენე ფუტკარაძე

დედის გახსენება

ამონაკვნები

...ამბობენ, დრო მკურნალიაო...შეძლება ზოგჯერ ასეცაა, მაგრამ ტკივილი არ გადის...უბრალოდ, თანადათან, ტკივილთან ერთად ცხოვრებას სწავლობ...

ის სადღაც სულშია ჩაბუდებული და ჩუმად წვეთავს ცრემლების სახით...

....თვალსა და ხელს შუა წავიდა დედიას სიცოცხლე....უცებ, მოულოდნელად გასკდა ზარდამცემი განაჩენი....თანაც ბოლო სტადია...თანდათან ჩაუქრა შუქი მბზინავ თვალებში....ნელნელა წაართვა სიცოცხლის ძალა, ხალისი....

ჩემი დედა - თავსაფრიანი დედაკაცის ტყუპისცალი...ქართველი ქალი, თავისი სიავ - კარგით...ამაყი და კეთილი, ლამაზი კნიაჟნა, თანდათან დაადნო თოვლის ფიფქივით...როგორც შეგვეძლო ვიბრძოლეთ, მაგრამ უკვე გვიან იყო..არ გვითქვამს სიმართლე...ვირუსია და გვიან გაივლის, დრო სჭირდება მის გავლასო, დეე, ვეუბნებოდით...მძიმედ გაიარა დეკემბრიდან ოთხ იანვრამდე...გამთენიისას გაუჩერდა გულისცემა....ისევ დაულაგდა სახეზე ნაკვთები....თვენახევარში გათავდა სიცოცხლით სავსე, დიდი გულის ადამიანი....თვალები ჩვენსკენ დარჩა მომზირალი...მაინც ბედნიერი ყოფილა - ორივემ გავაცილეთ...

- ❖ ამბობენ, ეს ვაება სენი განსაწმენდელიაო, დეე...
- ❖ ჩემი ბელურა დედა, დეე...თავგანწირული თავისი ბარტყებისთვის, დეე...
- ❖ ორჯერ თავსაფრიანი დედაკაცი, დეე...
- ❖ ვერაფერი ვეღარ შევძელით...შვილობაც ძნელი ყოფილა, დეე... გულით რომ გინდა, მაგრამ ვეღარ შველი, დეე...
- ❖ ყოველივე ღვთის ნებაა, მან მოგვიყვანა და მასვე მივყავართ, დეე...
- ❖ ღმერთმა დალოცოს ყველა დედა, აქ მყოფიცა და ზეცაში წასულიც, დეე...
- ❖ უფალმა შეგიწყალოს, სასუფეველი დაგიმკვიდროს, დეე...
- ❖ დედა ღვთისმშობელს ებარებოდე, დეე...
- ❖ განათებული იყოს შენი გზა...ისევ შევხვდებით, დროის ამბავია, უბრალოდ, დეე...
- ❖ ნათელი და სანთელი, შენს ხსოვნას, დეე...
- ❖ არასოდეს განელდები ჩვენს გულში, დეე...
- ❖ გვიყვარხარ...გვიყვარხარ...გვიყვარხარ, დეე...

ელენეაია 07.03.2016

მზევინარ ჯუმუტია – სოხუმი

ჩემო მონატრებულო დაიკო მადონა!

მეშვიდე წელია, შენი საყვარელი ადამიანების გვერდით აღარ ხარ! ჩემს გულში მუდამ ხარ და იქნები მარადჟამს. მხოლოდ შენზე ფიქრით, ტანჯვით და ცრემლებით.

ჩემო ლამაზო, ნაზო და თბილო დაიკო, ყველგან და ყველასთან სიკეთის შუქს ასხივებდი.

ვიგონებ შენს განვლილ ცხოვრებას, შენს პატარაობას, როგორი სათნო და მოსიყვარულე იყავი. ახლა ძალიან შორის ხარ მანძილით. შენი სამუდამო ბინა აფხაზეთშია.

46 წელი იცხოვრე კეთილსინდისიერად. 25 წელი შეალიე პედაგოგიურ მოღვაწეობას. დამსახურებული მასწავლებლის წოდება და გოგებაშვილის ორდენით ხარ დაჯილდოებული, მაგრამ განა ეს კმარა? შენი პატარა თაკო 8 წლის იყო მაშინ, როცა ჭირდებოდა დედის სითბო და ალერსი.

ახლა უკვე დიდი გოგოა, 14 წლის. რამდენი ჩანაფიქრი და გეგმები გქონდა 1 სექტემბრისათვის. სკოლაში მიდიოდი შენი თამარითი, მაგრამ უვნებელმა სიკვდილმა ყველაფერს დაგაშორა. აღარ დაგაცალა ცხოვრება.

ჩემო მადონა, შენს სახელს ვიტყვი და ცრემლები მომდის. რითი გაგახარო, იქიდან ილოცე შენი შვილებისათვის.

ჩემო მადო, შენს შვილიშვილს დაარქვეს შენი სახელი. შენ ვერ მოესწარი ვერც შვილების დაქორწინებას და ვერც შვილიშვილებს.

დიდი ტკივილი დატოვე. შენი სიცოცხლის მონატრებული შენი დაიკო მზევინარი.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული.
ჩემო საყვარელო დაიკო მადონა!

ნათელა კაპანაძე-გაფრინდაშვილი – ისტორიის დოქტორი

იმერული ოჯახის გახსენება

ზემო იმერეთში, კერძოდ, საჩხერეში მრავალი ლამაზი სოფელია, მათ შორის გამორცეულია სოფელი კალვათა თავისი იმერული კოლორიტულობით, სილამაზითა და სიკოხტავით, ბუნებითა, მოსახლეობითა და სტუმართმოყვარეობით. მის შემყურეს უნებლიეთ გახსენდება სიტყვები: „იმერეთში ხალხი სულ სხვა ჰაერს სუნთქავს. იმერეთი!.... იმერულად ასე უთქვამთ. სტუმრისათვის „გოუჩენლის" შოვნა უყვართ. თუ ესტუმრე გაგიყოფენ ბოლო ლუკმას".

სოფელ კალვათაში ცხოვრობდა ვარლამ გაფრინდაშვილისა და ელენე ყაველაშვილის ერთი ულამაზესი ოჯახი. ქალბატონი ელენე ჭიათურის რაიონის სოფელ ზედუბნიდან იყო გამოთხოვილი კალვათაში. მოგეხსენებათ, ყველაფერი ოჯახით დაბადებით და ბავშვობით იწყება. ქალბატონ ელენესაც თავისი ოჯახიდან გამოყვა ის ოჯახიშვილობა, სიკოხტავე, ხიბლი, სილამაზე და კდემამოსილება, რითაც გაფრინდაშვილების ოჯახში გააგრძელა ცხოვრება.

ისინი ადრე დაქორწინდნენ. უფლისგან დალოცვილი ლამაზი ქართული ოჯახი შექმნეს. დიდ შარაგზაზე გასასვლელად გულწრფელი და მართალი, ჭეშმარიტი ცხოვრების გზა აირჩიეს და მოახერხეს კიდეც ასე ეცხოვრათ.

ხე ნაყოფით შეიცნობაო,ეს, რასაკვირველია, ჭეშმარიტებაა და ნაზოფიც სახეზეა: შეეძინათ სამი შვილი: ლეო, მაყვალა და ოთარი. სამივე შვილი წამოზარდეს, განათლება მისცეს და დააბინავეს, დააქორწინეს და დაიხუნძლნენ შვილიშვილებით. ღმერთით, რძლებიც და სიძეც ღირსეული შეხვდათ. გ. განსაკუთრებით ამაზობდნენ ლეო გაფრინდაშვილის მეუყლით დარეჯან კაპანაძით, რომელიც ექიმი ფარმაცევტია, და მას იმედის თვალით შეხაროდნენ,, სიბერეში რძლის იმედი ჰქონდათ- ის მოგვივლისო, ისე ყველაფერი აგიხდეთ, როგორც ამ რძალმა იმედები გაუმართლათ.

მაგრამ ცხოვრება თავის წილ ტკივილსაც უბოძებს ადამიანებს, სიყვარულსან და სიხარულთან ერთად. მოხდა ისე, რომ მათ ერთი ვაჯიშვილი გარდაეცვალათ, რაც რასაკვირველია, უდიდესი ტკივილი და სიმწარე იყო ოჯახისათვის. აქაც, უნდა გითხრათ, მათ გამოიჩინეს სულის საოცარი სიძლიერე და ღირსეულად გაუძლეს ამ ტკივილსაც, ისე რომ თავიანთი ტკივილითა და მწუხარებით არავინ შეუწუხებიათ. ხშირად სულში ცრემლები ჰქონდათ ჩაგუბებული, ისე რომ ამას ვერავინ ამჩნევდა. გაუგონარ სულირ ტკივილ უძლებდნენ ჩმათ, თავისთვის. ამ დიდ სულიერ განცდებს შესაშური შრომისმოყვარეობით კლავდნენ და უსაქმოდ წუთი რაა იმასაც კი არ კარგავდნენ

ბატონ ვარლამს კაცური სიტყვისთვის არასდროს უღალატნია. ცოლ-ქმარი სიძნელეების გადალახვის საოცარი უნარით, უდიდესი ნებისყოფით, წინდახედულობითა და პრინციპულობით კრიჭაში ჩაუდგნენ ბედისწერას და გააგრძელეს ცხოვრება.

ბატონმა ვარლამმა და ქალბატონმა ელენემ ერთად თანაცხოვრებით თითქმის საუკუნეს მიაღწიეს და როპგორც ერთდროულად დაიწყეს ცხოვრება, ისე ერთდროულად განეშორნენ ამ წუთისოფელს, გარდაიცვალა ბატონი ვარლამ გაფრინდაშვილი 96 წლის ასაკში და ორმოცი რომ უნდა გადაეხადა ოჯახს, სწორედ იმ დღეს გარდაიცვალა მისი მეუღლე ქალბატონი ელენეც ისიც ასევე 95 ქლის და ორმოციც ერთად გადაუხადეს ცოლ-ქმარს. გაგიჩნდებათ ალბათ კითხვა როგორო? იცით როგორ მოხდა, რომ ორივემ თითქმის საუკუნეს მიაღწიეს დაორივე ცოლ-ქმარი ერთდროულად გაემგზავრნენ ამა სოფლიდან. იცით როგორ და რატომ მოხდა ასეთი თანხვედრა სიცოცხლისა და გარდაცვალებისა? იმიტომ, რომ ისინი სიყვარულით ცხოვრობდნენ და სიყვარულს აფრქვევდნენ გარშემომყოფთა მიმართაც. თვითონ კი საოცრად ავსებდნენ ერთმანეთს. როგორი სიყვარულითაც ცხოვრობდნენ, ასეთივე სიყვარულით განეცლნენ ამ წუთისოფელს და სიყვარულითვე შეუერთდნენ სამარადისო სასუფეველს. ბატონივარლამი და ქალბატონი ელენე მტელი ცხოვრება შეხაროდნენ ერთმანეთს, ყველას და ყველაფერს, ცხოვრობდნენ ბედნიერი ყიმილით და სიკეთით განათებული სახით.

ორივენი გამოირჩეოდნენ სიტყვაძუნწობით. მათი ხმამაღალი სიტყვა არავის გაუგონია, ისინი ხომ უსიტყვოდ უგებდნენ ერთმანეთს, იყვნენ სულით ძლიერნი, გაწონასწორებულნი, მხნეობითა და სიცოცხლით სავსენი. გამოირჩეოდნენ იმერული პეწით. საოცარი სიდინჯით, სუფთა გონით და რუდუნებით ეფოფინებოდნენ თავიანთ ოჯახს, ბოლო დროს მათი საფიცარი შვილიშვილები იყვნენ.

მათთან სტუმრობა ყველას უხაროდა. მიგვიხაროდა, იმიტომ,რომ ვიცოდით იქ სითბო და სიყვარული დაგვხვდებოდა. მათთან ყოფნა სასიამოვნო იყო, ჩვენ კარგად ვგრძნობდით თავს. ისინი ყოველთვის ცდილობდნენ რაც შეიძლება კმაყოფილები წავსულიყავით მათი ოჯახიდან. ვინ მოსთვლის რამდენისთვის გაუმართავთ ხელი. მათ ოჯახში თავი ზედმეტად არასოდეს არავის უგრძვნია. იყვნენ უაღრესად სტუმართმოყვარენი, აღვივებდნენ ნათესავებს შორის სითბოს, იყვნენ უაღრესად უბრალონი და თანამგრძნობი.

ქალბატონმა ელენემ უგემრიელესი იმერული კერძების კეთება იცოდა, მჭადს და ყველს კი ისეთ გემრიელს მთელს იმერეთში ვერ დააგემოვნებდით, მისი გემო დღემდე მოგვყვება, სუფრის გაწყობაც ისეთი იცოდნენ ამ ოჯაში, ნახატი გეგონებოდათ. მგონია,ისეთები, როგორებიც ისინი იყვნენ, ვერასოდეს ვერ ვიქნებით.

გამოირჩეოდნენ საოცარი გულწრფელობით, ჰქონდათ სოფლელი კაცისათვის დამახასიათებელი გულწრფელი, ხალასი, სუფთა სული, სადაც სიყალბე არასოდეს არ იგრძნობოდა.

ფუტკარივით მოფუსფუსეთ, გათავისებული ჰქონდათ შეუვალი ჭეშმარიტება კაცთმოყვარეობისა და შრომისმოყვარეობისა. ვფიქრობ, დრო ალბათ მათ ცხოვრებას უკეთ დააფასებს.

ასე და ამგვარად, დარჩნენ ისინი მოგონებაში.

ისტორიის ჩარხი ზეციურ ნებას ემორჩილება. წყალი ნაგუბარს უბრუნდება. უკვდავი სული საუკუნეებს გადაევლება და უკიდეგანო სამყაროში თავის სულიერ ნაწილს ჰპოვებს, ხოლო მათ შემდგომ მათი შვილები და შვილიშვილები გააგრძელებენ მათ მიერ გაკვალულ გზას.

ცხოვრება მართლაც წუთია, ერთი გაელვებაა, უნდა გავუფრთხილდეთ მას.

სიცოცხლე კი გრძელდება, მას ვერ შეაჩერებ. მათი ღირსეული ფუძე ოჯახიც, სადაც ახლა მისი შვილი ლეო გაფრინდაშვილი,მეუღლით დარეჯან კაპანაძითა და მათი საამაყო შვილებით სოფო, ელენე და სალომეთი, რომლებიც თბილისში ცხოვრობენ და მოღვაწეობენ, აგრძელებენ ცხოვრებას. ისინი თამამად უსწორებენ თვალს ქვეყანას, სადაც დაიბადნენ და გაიზარდნენ და ამაყნი არიან იმით, რომ მათ მშობლებს და ბებია ბაბუას არც თავისი თავისათვის, არც სხვისთვის, არც სოფლისათვის, არც თავისი სამშობლოსათვის არასოდეს უღალატნიათ.

მსუბუქი იყოს მათთვის მშობლიური მიწა.

ქართველ ხელოვანთა დიდ ოჯახს შესანიშნავი მხატვარი ფერმწერი, გრაფიკოსი ზაურ გაბესკირია გამოაკლდა. ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია, ჟურნალ „ათინათის“ რედაქცია სამძიმარს უცხადებს ოჯახს, მეუღლეს – ლია მათიაშვილს, შვილებს, რუსთაველ მხატვრებს ნიჭიერი შემოქმედის გარდაცვალების გამო.

ზაურ გაბესკირია ხელოვანთა ოჯახში აღიზარდა. მისი მამა შალვა გაბესკირია თეატრის მსახიობი, დედა - მარგალიტა წულეისკირი – პედაგოგი იყო. ზაური შვიდი წლიდან ხატავდა. მან დაამთავრა ი. ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელი, შემდეგ სამხატვრო აკადემია, სადაც მისი პედაგოგები სხვებთან ერთად იყვნენ: უჩა ჯაფარიძე და თენგიზ მირზაშვილი.

ზაურ გაბესკირიას შემოქმედებას მაღალ შეფასებას აძლევდნენ მხატვრები, მეგობრები.

ნიჭიერი და უაღრესად თავმდაბალი შემოქმედი გამოაკლდა ქალაქს. იგი თანაბრად ძლიერი იყო ფერწერაში და გრაფიკაში, მუშაობდა აკვარელში და ჭედურობაში. აღსანიშნავია მისი პორტრეტები და საოცარი პეიზაჟები. იგი იყო მრავალი პერსონალური თუ ჯგუფური გამოფენების მონაწილე და ორგანიზატორი.

2008- 2011 წლებში ზაურ გაბესკირია იყო რუსთავის მხატვართა კავშირის თავმჯდომარე. დაუღალავი შემოქმედი, დაუღალავი მეგობარი და თანამდგომიც გახლდათ. ბატონი ზაური თავისი პიროვნული თუ მაღალადამიანური თვისებებით ამშვენებდა ჩოხოსანთა საზოგადოებას. იგი იყო ქალაქ რუსთავის კოლორიტი, მარტო მხატვრობით კი არა, პიროვნულობით, პოეზიის სიყვარულით და სიმღერით გამორჩეული, ქართული სულის და ეროვნული შეგნების შემოქმედი.

მიმდინარე წლის 20 მარტის სუსხიან და ცრემლიან დღეს დიდებული ადამიანი და შემოქმედი უკანასკნელ გზაზე გააცილეს ოჯახის წევრებმა, ნათესავებმა, მეგობრებმა, ჩოხოსანთა საზოგადოებამ. მათ შორის იყვნენ ილია პატაშური, ალექსანდრე თოდუა, ჯემალ კუხალაშვილი, მურმან გელენიძე, ივანე ჯაფარიძე, გულნაზი ხარაიშვილი, იზოლდა ფიფია, მარინე ცხვედიაშვილი, რუსთავის საკრებულოს წევრი ქალბატონი ელზა ლეკვეიშვილი და სხვები.

ნათელში დააბინადროს უფალმა ზაურ გაბესკირიას ნათელი სული.

რედაქციისაგან

ხალხური რჩევები

მედეა ადეიშვილი-ხარაიშვილი.

თუ გაკოვლით:

ყელის დაავადებებისას მიიღეთ 2 ჩაის კოვზი ხახვის წვენი 3-ჯერ დღეში. ხველებისას: 500 გრ. დაქუცმაცებულ ხახვს, 50გრ თაფლს და 400გრ შაქარს დაასხით 1ლიტრი წყალი და ადუღეთ 1 საათი ნელ ცეცხლზე. მიიღეთ 2 სუფრის კოვზი 3-ჯერ დღეში.

სურდოს სამკურნალოდ : ხახვის წვენის ტამპონები ჩაიდეთ ცხვირში 3-4-ჯერ დღეში. ახალგამოწურული სტაფილოს წვენი და თაფლი [რამდენიც წვენია, იმდენი უნდა იყოს თაფლი] გამოიყენება ხველების სამკურნალოდ ბავშვებში : 1 სუფრის კოვზი 4-5ჯერ დღეში.

რას შეიკავებს მანდარინის კანი?

ნაყოფის კანი შეიძლება შევჭამოთ როგორც ახალი, ასევე გამხმარი. მას ამატებენ ხაჭოს, ნამცხვარს. ბეტ-კაროტინი ასრულებს მოდულიატორის როლს უჯრედში. ნაყოფის კანს აქვს უნარი, შეამციროს რისკი გულსისხლძარხვთა დაავადების.

ნერვული დაავადებისას, ძილის დარღვევისას, შაკიკის დროს იყენებენ მანდარინის კანისაგან დამზადებულ ჩაის, 2 ჩაის კოვზი მანდარინის დაქუცმაცებულ გამხმარ კანს დაასხით მდუღარე წყალი.

მანდარინის კანის, წყლისა და არყის ნაყენი კარგია მადის მოსაგვრელად, კარგი ამოსახველებელი საშუალებაა, აგრეთვე აქვს სისხლში შაქრის რაოდენობის შემცირების ეფექტი.

კარტოფილი

ხელის გაუხეშებულ, გაშავებულ, დამსკდარ კანს წესრიგში მოიყვანს ნიღაბი: 2 მოხარშული კარტოფილი გასრისეთ და მოზილეთ თბილ რძეში. წაისვით მზესუმზირის ზეთი და ჩადეთ მომზადებულ პიურეში. 15 წუთის შემდეგ დაიბანეთ თბილი წყლით და გადაივლეთ ცივი წყალი.

ასეთივე კარტოფილის პიურეს დაამატეთ 2 ჩაის კოვზი ლიმონის წვენი და წაისვით ხელებზე, ჩაიცვით ცელოფნის ხელთათმანი, შემდეგ თბილი ხელთათმანები. 20 წუთის შემდეგ დაიბანეთ ხელები თბილი წყლით და წაისვით მკვებავი მალამო.

ჩვენი სამზარეულო

სამარხვო სალათები

სტაფილოს სალათა:

მასალა: 1 კგ სტაფილო, 1 თავი ნიორი [წვრილად დაჭერით ან საჭყლეტში გაატარეთ] 1\2 ჭიქა ზეთი, 4 სუფრის კოვზი ძმარი, 2 ჩაის კოვზი დაფქული ხმელი ქინძი, 1 ჩაის კოვზი შავი პილპილი, 2 ჩაის კოვზი მარილი, 1 სუფრის კოვზი შაქარი, 100გრ გატარებული ნიგოზი, წითელი დაფქული წიწაკა გემოვნებით.

მომზადება: გახეხეთ სტაფილო, დანარჩენი კომპონენტები აურიეთ ერთმანეთში და გააცხელეთ მანამ, სანამ მარილი და შაქარი არ გადნება [არ ადუღოთ]. მიღებული მარინადი მოასხით სტაფილოს, კარგად აურიეთ, დააფარეთ თავზე და 24 საათი მაცივარში შეინახეთ. გამოიყენეთ ემალის ჭურჭელი.

ქარხლის სალათი კიტრით და ნიგვზით

მასალა: 300გრ. ქარხალი, 100 გრ.კიტრის მწნილი, 30 გრ. ნიგოზი, 2 კბილი ნიორი, მარილი, სამარხვო მაიონეზი ან მცენარეული ზეთი. ქარხალი მოხარშეთ, დაფცქვენით. ქარხალი და კიტრი გახეხეთ მსხვილ სახეხზე, ნიგოზი დაჭერით წვრილად, ნიორი დაჭყლიტეთ, ყველაფერი ერთად აურიეთ, მოასხით მაიონეზი ან ზეთი, მარილი გემოვნებით, სურვილისამებრ. სალათს შეგიძლიათ ლიმონის წვენი მოასხათ.

ბოჩიბნული სალათა

მასალა: 3 პამიდორი, 1-2 კიტრი, 2 თავი ხახვი, 20 ცალი ზეთისხილი, მცენარეული ან ზეითუნის ზეთი 1/3 ჭიქა. 2 ჩაის კოვზი ლიმონის წვენი, მარილი და წიწაკა გემოვნებით.

მომზადება: პამიდორი დავჭრათ საშუალო ნაჭრებათ, ხახვი დავჭრათ ნახევარ რგოლებად,

კიტრი მრგვალ ნაჭრებად, ზეთისხილის ნაწილი დავჭრად რგოლებად, ნაწილი დავტოვოთ

მოსართავად. ყველაფერი მოვათავსოთ სასალათე ჭურჭელში. ცალკე ჯამზე C 1/2 Cჭიქა

ზეთი, 2 სუფრის კოვზი ლიმონის წვენი, მარილი და პილპილი ავურიოთ მოვასხათ დაჭრილ ბოსტნეულს და კარგად ავურიოთ. მოვრთოთ ზეთისხილით.

მიირთვით გემრიელად.

მილოცვა

შალვა ილურიძე

მადლობის წერილი

მადლობის წერილი ჩემს დაიას
გულნაზ ხარაიშვილს
მინდა დიდი მადლობა გამოვხატო, თქვენ მიმართ ჩემო უძვირფასესო ადამიანო, კეთილო ქალბატონო, გულთბილო მგოსანო და უსაყვარლესო დაიავ!

- მადლობა „უფალს“ რომ მაზიარა თქვენს დარდის პირამიდებს.

- მადლობა „ნიკო ხერკილაძეს“ რომ თქვენი უკეთილშობილესი პიროვნება გამაცნო, |თქვენი ლამაზი პოეზია და მის ლაბირინთებში დღესაც ვცურავ, რადგან თქვენმა დარდიანმა პირამიდებმა მე მასწავლეს როგორ გამოვიდეთ გაჭირვებიდან და როგორ გადავირჩინო ცოდვილი სული.

- თქვენმა ლექსებმა მე დამაწყებინეს ახლით ცხოვრების აღქმა, რადგან დაკარგული მქონდა სიცოცხლის მწამსი, რაც კი ღირებულია ადამიანში.

- ჩემი აკვნის დედა, ჩემი გამზრდელის საფლავი, ჩემი ფესვის და ჩემი სამშობლოს ის ნაწილი, რასაც პაპის საძვალე ჰქვია.

- რაც კი ოდესმე გამაჩნდა ის მიუწვდომელი ღირებულებები.

- 21-ე საუკუნეში ასეთი შეცდომების დაშვება იმ ერის შვილებიდან ვისაც ჰყავდა ფარნავაზი, სიმონი, ვახტანგი, გიორგი და სხვა წმინდანები, ასეთ შეცდომას არ უნდა უშვებდნენ ახლანდელი ქართველი კაცუნები, მაგრამ სამწუხაროდ, ძალიან მომრავლებულან შადიმანები და მაყაშვილები.

- მე ჩემს თავზე დატრიალებულ ცოდვა-.ბრალს ვგულისხმობ, არავის ეწყინოს, ზოგს სხვა გვარად მიაჩნია ეს უმძიმესი ტრაგედია მარა, ჩემი ოჯახისთვის და პირადად ჩემთვის ეს უმძიმესი სატკივარია. 30000 აღიგავა ახალგორის რაიონიდან და ამ ხალხის ცოდვა-ბრალი მაწუხებს. თქვენი ლექსების წაკითხვის შემდეგ მეც მინდოდა მეცადა პატარა ლექსების ჩორკვნა, რათა ჩემს დევნილებისთვის მიმეწვდინა ჩემი გულის ტკივილი და გამექარწყლებინა მათი სევდა.

- მე არ ვარ ორატორი, რადგან სიმღერით ვიცი ჩემი გულის ნადების გამოაშკარავება და ახლა თქვენი წყალობით და თქვენი ნებართვით არ მეშინია ამ ლექსების გამომზეურება.

თქვენ მე შეუძლებელი შემაძლებინეთ. ასი ლექსი შევპირდი ჩემს მამულს და ქსნის ხეობას თავისი სიმღერით, მერე კი თავს ვანებებ ჩორკვნას, რადგან მე ამის არც ნიჭი და არც ძალა არ შემწევს. მინდა, ერთ პატარა წიგნად გამოვცე, შემდეგში რომ იცოდნენ ჩემმა ქსნის ხეველებმა, რაზე ტიროდა შალვა ბოლელი.

- ეს თქვენი დამსახურებაა, ჩემო უთბილესო „დაიავ“ გულნაზ ხარაიშვილო, ამისთვის გიხდი დიდ მადლობას, რომ სული გადამირჩინე. იმედი ჩამისახე ხვალინდელი დღისა!!!

ჯუმბერ ღუჯაკა, ჯუმბერ შალიკაძე და ბახვა სამხარაძე

ამერიკაში ხელმძღვანელ ბახვა სამხარაძის ოჯახში

ჯუმბერ ღუჯაკას ახალი შეკრება

სარჩევი

გულნაზ ხარაიშვილი
შენი ლოცვით....3
(მამა ანდრია აბაშიძეს)....3
სრულიად საქართველოს კათალიკოს–პატრიარქ ილია II–ეს დაბადების 83 წლისთავთან დაკავშირებით
დიად აღმაშენებელს!....4
მამა მერაბი და დედა მაია სასწაულებს ახდენენ....6
ილია ძმანაშვილი
ინტერვიუ მამა მერაბთან 6
გულნაზ ხარაიშვილი
ვედრება....9

პოეზია

მეუფე თადეოზი (მირიან იორამაშვილი)
* * *ჟამია, ვდარდობ გაფრენილ წუთზე... 10
* * * დღეს ჩემთან სუფევს მამა-მშობელი... 10
* * *კაცი სულგრძელი უნდა იყოს მადლია დიდი ... .10
* * *მიდის ზამთარი – მოხუცი, მკაცრი... 10
* * * სახელო – შენთვის სიცოცხლე....10
იყავნ მოხედვა შენი იბერიასა ზედა, უფალო, ვითარცა ჟამსა დავითისა და თამარისასა.
ამინ 11
სულში შემოდიხარ, როგორც ცისფერ ზღვაში
* * *გულო გაჰბედე, მიენდე 11
* * * სიცოცხლის წყაროდ იდინე... 11
კახა ბაციკაძე (ჯგუფ „ზღვარის“ წევრი)
ფერი წარსულის....12
მუსიკის დედოფალს 12
გადმოსვლა შენს თვალებში....12
მაია ხოფერია
დიდება შენდა უფალო ჩემო 13
დილით ქალმა გადაკვეთა ქუჩა....13
სევდიანი სიყვარულის მეხოტბე 13
მე მოვალ შენთან....13
ნინო ჯანქანიძე
* * * მე შენში ვპოვე ჩემეული სულის მსგავსება 14
* * * ხშირად კითხულობენ... 14
* * * ნუთუ ვერ ხვდები..რომ მიყვარდები ... .14
* * * ერთი მზის სხივი მინდა..სათნო,თბილი და წმინდა.. 14
* * * ცის კამკამა სილურჯემ... 15
* * * წუხრის მუქ სარეცელზე... 15
* * * უთქვამთ თურმე,დედის ცრემლზე...
* * * მე შენ გიპოვი, – რადგანაც ვხედავ, რომ ცისარტყელა კვლავ შვიდფერია.. 15
თამარ გავაშელაშვილი
უშენოდ გული წრიალებს....16
მაინც მიყვარხარ და 16
სიყვარული დაულოცე ყველას....16
მანანა ტონია
მზის და მთვარის სიყვარული....17
ატმის ხე....17

ლეილა გაფრინდაშვილი
იმერეთს მასტუმრეთ....18
ვერ დამღლით....18
ვეფერები თბილისს....18
შედევრები, ხელით ციმ-ციმ სატარები....19
საფლავიდან წინაპრის ამოძახილი....19
ჭა ჩვენს ეზოში....19
ზეგული ტყეშელეშავილი
*** წელს მათქმევინე ჩემს სოფელში ვარ...20
ანტონიმი....20
ო რ ი კ ვ ი რ ტ ი....20
ხელს გამოგიწვდით!....20
ამ წელს მაინც....21
ია....21
ჩემი წამალია....21
იას არ გავცვლი შენზე....21
რას იზამ 21
უშანგი მოსიაშვილი
არას გვიშველის მარტო ჩივილი....22
მეფე ფარნავაზი....22
შალვა ილურიძეს....22
ბერი თევდორე....22
ტაშისკარი....23
რწმენა....23
არაგველებს....23
კახა სამყურაშვილი
* * * ვიღაც არ ჩარჩა ხროვაში....24
აღმართი....24
ტყუილ-მართალი....24
წერილი მამას....24
იდეა....24
გაქრობასქება....25
სოფლიდან დაბრუნებისას....25
პაოლო იაშვილს....25
ენდე-ელი!....25
ლამზირა შეყილაძე
* * * წუთისოფელში დრო ისე დადის...26
* * *ვერ დამიმონა დარდებმა...26
რომ ყველაფერი კარგად იქნება....26
თუ ცოცხალი ხარ....26
აღმა-დაღმა....27
სამშობლო....27
მამულზე ფიქრში....27
ია ქებურია
მწუხრის მელოდია....28
მენატრები....28
ათასწლეულთა ჟამი გაცვითავს....28
მოლოდინი....28
ვერ ვუძლებ ეჭვთა ქარტეხილს....28
განუკითხაობა....29
ყვავ-ყორნები....29

ხეები 29
ზამთარი 29
**** ნეტავი რა მჭირს... 29
შვილებს- ლიზის და ზურას 29
ნანა ბერაია
სიყვარულმა გადამარჩინოს 30
მე თქვენ მიყვარხართ 30
გაზაფხული 30
ქალია ღმერთი 30
ნუნუკა გურალია
სიამაყით ფეთქავს 31
სხვაა მისი სურნელი 31
ტერენტი გრანელს 31
შალვა ილურიძე
ჩემი წიგნის ნატირალი 32
იესოს სისხლი 32
ძველი ქართული სიმღერა 32
მადლობა დაიას 33
ჩივილი ლომა ხარისა 33
შალვა ახალციხელს 33
სნეული სული 34
ჩემი ხეობის წმინდანებს 34
გუკა ბერიძე
• ბობოქარია ეს ქვეყანა ამბიციებით ... .35
მანანა ზაზიკაშვილი
ფრთები გავშალე 36
ქარი ჩადგება 36
ყვავილნარი შენი 36
შენც შეგიყვარდი?! 36
ოცნების კოშკი 36
ზამთარი მიდის 36
ნიკო ბაღაშვილი
სიზმარი 37
მონატრება 37
ბავშვობა არბოშიკში 37
კლდეებსაც შევეჭიდები 37
მიყვარს ჩემი ბათუმი 37
ნათია სირაძე-კახიძე
სურვილი 38
ღამე კახეთში 38
• გასაოცარი სწორედ ის არის 38
18 იანვარი ჩემი დაბადების დღე 39
• • • რაც შენ მოხუცდი 39
• ქალი ანტიკვარი 39
ნელი ქველაძე
ბავშვობის ხილვა 40
მონატრება 41
გაზაფხულზე მაისობ 41
გაგვიბრწყინდა მთა-ველი 41
სიკეთის სხივი 41
თინათინ კაპანაძე
***ასე ხშირად ვბრძოლობთ მე და მონატრება... 42
*** ჰადესს მიყიდული სულით და გრძნობებით... 42
*** ზოგჯერ მგონია, რომ ზეცა ჩამოწვება 43

*** მტკივა უშენოდ არსებული მთელი სამყარო....43
ცისნამი უტარაშვილი
მღვდელი თევდორე 44
გიორგი სააკაძე 44
ბააკა ხერხეულიძე 44
გურამ გედევანიშვილი
ხილვები ხალიჩასთან....45
ნანა მესხი
Мой город....46
«Не родись красивой» 46
Все мы странники....46
ივერი თაბაგარი
ციცქნა გოგო 47
დაბადება....47
ტკივილი იყო....47
ქალი მზეა 47
თამარ (იამზე) ჭელიძე
ვის ესმის წრფელი სულის ძახილი 48
ბედნიერებავ....48
კაცი წრფელი და კაცი გულღია 49
ახლა აჩრდილთა თბილი ზმანება....49
ბელა ალანია
ლივლივა ზღვაო... 50
წამომიყოლე 50
ალიონი 50
მე-შენი ცალი 51
* მე მიხარია, რომ ჩიტები სახლობენ სულში... 51
*გვიყვარდა მე და შენ, ორივეს გვიყვარდა... 51
ტერენტის კვალად... 52
* მოვალ შენამდე... 52
ფოთოლი წარსულიდან 52
მამის პიჯაკი 52
* შენი თვალები ლაჟვარდისფერი გალაკტიკაა... 53
*ყოველდღე იღვრები გრძნობებად, ტკივილად... 53
* ქუჩის მევიოლინე 53
* მინდვრის ყვავილები ადრე იძინებენ... 53
გვანცა ხარაიშვილი
* * * ოთახში, თუნდაც... 54
* * * მეგობრებს... 54
არა 55
ბეჟან ხარაიშვილი
ნატვრა....56
რუსთავო....56
რატომ გამიფრინდი? 56
სხვაობა....56
გახსენება 57
შემოდგომით....57
გამოთხოვება....57
გულნაზ ხარაიშვილი
აბობოქრდება 58
მთაო 58
ყოჩივარდები 58
ლექსით მაცოცხლეთ ჩემო ბიჭებო....58
გული....58
გულის ფანჯარა 58

შემომღიმილეს 58
შენს ნაზ სულეთში 59
ვარ ისე უმწიკლო 59
მე არ გავცურავ 59
ვეძებ 59
თამაში, სცენები 59
არ მძინავს 59
ფრთები მაქვს 59
თეთრად აფეთქება გაზაფხულის 60
შენი სამყაროს სიკეთიდან გამომდინარე 60
არ დაგიგებენ 60
წავალ 60
მე 60
და ისევ მაინც... 61
გამოზაფხულზე 61
არ გპატიობენ 61
უნდა გავტეხო 61
უსინდისობის ბალიში 61
გისურვებ 61
ზღვას შემოგბედე 61
არ ენდო 61
ხუთი მაისი 62
ღვთის წილნაყარო 62
ყავისფერ ტანზე 62
სინდისით მოვკვდე 62
მშვიდობის კრავი 62
ჩემი სოფლის მთები 62
ხათუნა ჩიტაძე
გაპატიებდი 63
მარტის თვალი 63
ქალი –ხარება 63
ფითრი 64
ოდესღაც 64
საღამოს ექსპრომტი 64
მზითევი 64
ავტოპორტრეტი 65
ხაშურს 65
იარებს 65
ვაჟა ფშაველას 65
მწარაბალა (ზვარეში) 66
ანისული 66
* * *სულ ცოტაც და... 66
მეუღლეს 66
ეკა მოდებაძე
გულში ჩაგიხუტო, მინდა! 67
სერგი ლომაძე
ზამთრის ეპოქა 68

თარგმანები

მაყვალა გონაშვილი
მარ ბაჯიევი
პოემა – მანასის ბავშვობა (გაგრძელება) 71
კახა სამყურაშვილი
ჰაინრიხ ჰაინე
Sorge nie! 74
Alte Rose – ბებერი ვარდი 74

Die Wanderratten-მოხეტიალე ვირთხები 75
Jetzt wohin? -ახლა საით? 76
Die Tendenz - ტენდენცია 76

სხვადასხვა განყოფილება

ყამარ ტიელიძე-ბლიაძე (ყამარ ბებო)
შეცდომა 77
„მეზღაპრე“ ლალი კახიძე
ყვავი და ფუტკარი 80

პროზა

რევაზ მიშველაძე
რას მერჩოდი 82
სერგი ლომაძე
ნოდარ ბერაძე მეორე ჯუმბერ ლეჟავა?! 88
ხატწერის დიდოსტატი 91
ხაშურქალაქი-2016 92
სწრაფი აღზევება მაია მახარაშვილისა 94
გახსენება-დაფასება აკაკი გასიტაშვილის ღვაწლისა 96
ზღვარი-2016 98
„მოგონება..... მონატრების ცრემლია” 100
თამარ თედიაშვილი
ეგვიპტური სიურეალიზმი 103
ანა პაპუაშვილი
მაცუო ბაშო „ჰაიკუს უდიდესი ოსტატი“ 104
გულნაზი ხარაიშვილი
ვინ არის სერგი ლომაძე და კახა ბაციკაძე 105
მაია ტყემლაძე
დ ე დ ა შ ვ ი ლ ო ბ ა 107
ელენე ფუტკარაძე
ღია წერილი პატარა, ახალგაზრდა ქართველებს.... ყველას, ვისაც საქართველო უყვარს.... ...110
ამალია საზანდრიშვილი
დაუღალავი შემოქმედი, რჩეულთა შორის რჩეული 111

პროექტი

მაია ტყემლაძე
ვ ე ფ ხ ი ს ტ ყ ა ო ს ნ ი ს გ ა რ შ ე მ ო გ ა ე რ თ ი ა ნ ე ბ ა 112
თბილისის № 36 საჯარო სკოლის პროექტი
თანამედროვე პროზისა და პოეზიის კორიფეებთან 113

ინტერვიუ

ლამარა გერგედავას
ინტერვიუ ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორ, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ მარიამ მირესაშვილთან 114

წერილები

ტიტე მოსია
ბიბლიურ-რელიგიური ნაკადი და ასპექტები (ვაჟა ეგრისელის შემოქმედებაში) 118
ლუარა სორდია
„ცისფერი ღამის“ პარადიგმები ტერენტი გრანელის პოეზიაში 122
ლიანა წურწუმია
მითოსი – კონკრეტულ-ისტორიული ეპოქის ანარეკლი 126
Lali Ratiani
Strukturell-semantische Modelle im Satzgefüge mit dem Lokalsatz (Adverbialsatz des Ortes)..... 130
Sergi Lomadze – Weg des Ruhmes /Literarisches Porträt

Sergi Lomadze – Multiprofilierte Intarnationale Akademie der Wissenschaften namens Dschumber Ledshawa 135
თამარ ჯაჭვაძე
„ქალი და ყვავილი ერთია“ (მეუფე თადეოზის სატრფიალო ლირიკა) 141
მანანა კვატაია
თავისუფლება – სიცოცხლის არსი (სანდრო ახმეტელის დაბადებიდან 130 წლისთავისათვის) 145
სერგი ლომაძე
„მადლშემოსილი“ 149

ისტორია

რამაზ შენგელია, გიორგი ალიბეგაშვილი, გიორგი კვესიტაძე
ქართული მეცნიერების ფესვები 153

ხელოვნება

რუსუდან ფაილოძე
ქართული ბალეტის საწყისები 173

ეკონომიკა

სულხან მახათაძე
სახელმწიფო და მუნიციპალური ფინანსების არსი, ფუნქციები და პრინციპები 176
ონერ ძაძუა
საგადასახადო ურთიერთობათა აქტუალური საკითხები 186
ვალერი მოსიაშვილი
რეგიონული გამოთანაბრება - ტურისტული ინდუსტრიის განვითარების ხელშემწყობი ფაქტორი 191

მათემატიკა

იოსებ ფოჩხუა
ფურიეს ტრიგონომეტრიული მწკრივის განშლადობა სხვადასხვა სისტემის მიმართ 193

ნორჩი ათინათელები

მარიამ ხვედელიძე
ინტერვიუ ქალბატონ ნელი ქველაძესთან 196
ტატო ხარატიშვილი
ლ ო ც ვ ა.....201
*** შენ უგნური ხარ... 201
*** ამაოა ყველაფერი.....201
ზოგს 201
გოდება 201
საბა ტომარაძე
კაცს დასარგავად ნერგი მიჰქონდა 202
მამასთან საუბარი.....202
რთველი 202
შემოდგომის სურათი.....202
საქართველო.....202

ნორჩი ლიტერატორები

რომან გვენცაძე
გაზაფხული.....203
რაჭა ჩემი სიყვარული.....203
დავით ლაბაძე
ჩემი სამშობლო საქართველოა.....203
ელენე ლეთოლიანი
აფხაზეთი ჩვენი ტკივილია 204
ლაშა ვადაჭკორია
ჩვენი ვალია. 204
დემნა ლომიძე

ბუნების დაცვა 204
ანა ასაბაშვილი
პამელა ტრავერსის „მერი პოპინსი“ 205
მარიამ ცანავა
„მე ვარ მალალა“ 205
ალექსანდრე კალანდია
ჩემი თვალით დანახული მალალა 206
ანანია კალანდია
რ. ინანიშვილის „სიკვდილი ბარბალე ბადიაურისა“ 206
მარიამ ტყეშელაშვილი
ობოლი გოგონა.....207
დავით აბლოთია
მეგობრობა.....207

გახსენება

მირანდა ხოდელიძე
მირანდა!.. ჩემო პატარა ანგელოზო 208
ელენე ფუტკარაძე
დედის გახსენება – ამონაკვნესი 209
მზევინარ ჯუმუტია – სოხუმი
ჩემო მონატრებულო დაიკო მადონა! 210
ნათელა კაპანაძე-გაფრინდაშვილი
იმერული ოჯახის გახსენება.....210
რედაქციისაგან 212

სასარგებლო რჩევები

მედეა ადეიშვილი-ხარაიშვილი
სასარგებლო რჩევები.....213

მილოცვა

შალვა ილურიძე
მადლობის წერილი.....215

ავტორთა სყურადღებოდ

ჟურნალი „ათინათი” არ მიიღებს პოლიტიკურ წერილებს და არც სხვათა მისამართით საქილიკო მასალებს, ჟურნალი არის სამეცნიერო შემეცნებითი, მოიცავს ყველა დარგს, თესავს: სითბოს, სიყვარულს, სიკეთეს... მეტი ყურადღება ეთმობა მეცნიერებასა და საზღვარგარეთთან ურთიერთობების საკითხებს.

შეგიძლიათ მასალები გადმოგზავნოთ იმეილით gulnazi5@bk.ru

შემოწირულობა ჩარიცხეთ შემდეგ ანგარიშზე:

თიბისი ბანკი

საბანკო კოდი – TBCBGR 22

მიმღების დასახელება – შპს „ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია.”

ანგარიშსწორების ნომერი – GE51 TB73 1333 6080 1000 01

ტელ: 593657921;
0341227287.
790657921

გარეკანის პირველ გვერდზე „წმინდა ნინო”. გარეკანის მეორე გვერდზე ვანიკო კაზუას ფერწერა – გივი ბერიკაშვილის პორტრეტი. გარეკანის ბოლო გვერდზე რეზო ადამიას „ვეფხვისტყაოსნის“ ილუსტრაცია.

ჟურნალ „ათინათის“ დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი:
გულნაზ ხარაიშვილი

პასუხისმგებელი მდივანი: ემელიანე (რეზო) ადამია – მხატვარი, პროზაიკოსი

აკადემიის სწავლული მდივანი: გიორგი ბეჟიტაშვილი – პროფესორი

საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების რედაქტორი:
ვანო შუშტაკაშვილი – პროფესორი

სამეცნიერო განყოფილების რედაქტორები:
ტიტე მოსია და ლუარა სორდია – პროფესორები.

ისტორიის განყოფილების რედაქტორი: ელგუჯა მამუკელაშვილი – პროფესორი
მხატვრული განყოფილების რედაქტორები:
ლევან ბაბუხადია – ჟურნალ „ხატის“ რედაქტორი
ანა ბოდბელი – მეცნიერი
თამარ ჯაჭვაძე, აკადემიის წევრი
სერგი ლომაძე, ჯგუფ „ზღვარის“ წევრი
კახა ბაციკაძე, ჯგუფ „ზღვარის“ წევრი.

საბავშვო განყოფილების რედაქტორები:
ლამარა გერგედავა – აკადემიის ნამდვილი წევრი
ყამარ ბლიაძე – ჟურნალ „ლამპარის“ დამფუძნებელი

ზუსტი და საბუნებისმეტყველო განყოფილების რედაქტორები:
სიმონ ზაქარაია და ონერ ძაძუა – სსმ მეცნიერებათა დოქტორები

ეკონომიკის განყოფილების რედაქტორი ვალერი მოსიაშვილი – პროფესორი.

რედკოლეგიის წევრები:
ბრუნო თრიბურგი (საფრანგეთი) – მოგზაური
იური მამედოვი(აზერბაიჯანი) – მოგზაური
მარინე სხირტლაძე-საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის მთავარი სპეციალისტი.
ლამზირა შეყილაძე-პოეტი
კომპიუტერული უზრუნველყოფა – ნანა სხირტლაძე
ჟურნალი დაკაბადონდა გამომცემლობა „უნივერსალში“.

რედაქციის მისამართი: თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი, ხელოვნების მეცნიერებათა აკადემია, II სართული, მეთხუთმეტე ოთახი.
ტელეფონი: 593 65 79 21;
შეგიძლიათ მასალები გადმოგზავნოთ იმეილით gulnazi5@bk.ru

გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge